

9251

# აქტი

საქართველოს  
საზღაპროსს

№ 7 (15)

114  
1925 / 4

117

1925

პატლუცატეხთ ცვლა ცვყნისა, შუერთდით!



6276.  
406

№ 7 (15)

სოციალური საზოგადოებრივი და  
სამეცნიერო ჟურნალი

ივლისი

თბილისი 1925 წელი





სარედაქციო კოლეგია: {  
მ. ბახტაძე.  
მ. ქახიანი.  
ლ. რუნაძე.

გამომცემელი: {  
საქართველოს პოლიტ-განათლების  
მთავარ-მართველობა.

# მხატვრული ლიტერატურა

საქართველო  
რუსეთი  
დასავლეთი

# ჩინეთი.

არის ჩინეთი ბოგდიხანის,  
პაგოდების და კერპების,  
სალერსო ზარების და ფერად ფარნების,  
ჩინეთი მანდარინების  
ოპიუმის და აბრეშუმის.

და კიდევ ჩინეთი ჩინელების  
ჩინეთი ეკიმ სუნიატ-სენის,  
ჩინეთი, აჯანყებული როგორც ხუან—ხე,  
უცხოელებს წინააღმდეგ.

მთელი ჩინეთი თავსდებოდა წინად ლარნაკზე,  
დღეს მის სარეცელს წარმოადგენს თვითოეკიანე,  
როგორც ჩინური აღფაბეტი, უამარია  
ჩინეთის ხალხი

და მიაღწევს თავის ოქტომბერს.  
აღმოსავლეთით მზე-ლაშქარი ამოზრწინდება!

## ალექსანდრე ქუთათელი

# „FORD“

გადაბრუნდა ქარხნებისგან კარნელეი—ფორდის  
ტყე, ყვავილები, მწე ნე მდელოსი.  
ოქრო—ლითონის, უიტმონის სიმყარო მოდის,  
რკინის ორბები, კაცები ქმოსი.

აღქარიანი დაქანდება ჩქარი ბორბლები  
ზრომის ამქარნი: მანქანათა ხელები ქმობრი—  
და ყოველ წუთში მოტორები ძელებით მორბის,  
დამთავრებულნი საბეჩზინო დგმული გოდლებით...  
ანთებულ თვალით მიაქროლებს ავტომობილი  
ყველა ქვეყნების გზატკეცილზე პლაკატებს: „Ford“-ი.  
მოტორის ძალა კაცის ხელებს აქვს შეპყრობილი—  
ხელებს—რეკორდი!  
ო, ეს ხელები, კონთიანი ტყე ანატოკი,  
რომ დაჭამულან ზედ ძარღვები: ანძების თოკი!



მაგრამ არ კმარა ეს პლანეტა: კაცთ ასპარეზზე  
წუთში თუ წამში ათასეულ მეტრის გარბენა...  
უცხო ფიქრებით ანთებულან ნიუ—ორკ, პარიზი  
და უსასრულო ზენიტების სურთ გადაფრენა...

მეტისმეტია სიხარული: ჰაერზე ჯიბრი,  
მიგაქროლებდეს ორბის ფრთები ცივ ხარბინამდე,  
იდუშალთვალა ჰანგეოსში თავს განიბანდე,  
მოვიდნენ ინდნი მზით დამწვარნი, როგორც ნახშირი  
და ეირაფებით აწყვეტილი ნახო ალყირი,  
ან და ალპებზე იოცნებო გმირ ჰანიბალზე...

ო, დედო ლოცვავე, მისწრაფებავ ჩქარი ანთებით:  
რელსი, რეისი, ელვისო, რადი—  
კინო—გრძობებების გადმომცემი სახის კუნთებით,  
ძარღვით, თითებით, ზურგის ძვალით: ვეიდტ კონრადი!

ივიატორო, შენ პრომეთევ, გმირო ესქილეს,—  
უკვე დაიწყო ახალ დროის ღვდელშახურება:  
ხრანნილ ბორბლების და ქარხნების გახმაურება,  
ფერხთქვეშ მიგიქრის მოძრაობა, არზი ელქსელით,  
ტინობის სიპა  
და მისისიპა

ცათ ამოწვდილი სართულები, სახლთა ქოლგანი,  
მილიონ ხალხთა ინაჯანეთა სისხლი სახსოვი,  
ლენინ, ველები, გაფრენილი ვრცელი მოსკოვი,  
გუგუნი, ბანი, შორს მსოფლიო შრომის ორგანი!

ო, დედამიწავ, მიწავ ბოლოზო,  
ბოლსადენებით მალლა მორგანის,  
სადლაი ახლა შამბანარებით სავეც კონგოზე  
მფარველობითი ფერით ნაფერი

და დაღრენილი ვეფხვების ტორი?  
დარიალისკენ მიჰქრის შოფერი

და შეჯიბრების იღრიალებს სულ სხვა რეკორდი:  
ანთებულ თვალთ მიაქროლებს დამით მოტორი  
ყველა ქვეყნების გზატკეცილზე პლაკატებს: „Ford“-ი...

ქ. ტფილისი.  
1925 წელი.

## გ ო გ ო.

გოგო მთიდან ჩამორბოდა  
როცა შველებს მიკიოდენ;  
ბატებივით ცის ორმოდან  
შორს ღრუბლები მიდიოდენ.

რომ გახედა მონადირემ  
შთა ბეღელა ნისლი იღვა;  
მოზვირთო და მომდინარემ  
ტირიფეები ჩამოიღვა.

სადაც სახლი ქვიტკვირიდან  
მეწისქვილეს გადაეგო  
ცხენებს ჩალა გაეტკვირა  
აბუანდები გადაეგლო.

მთის მეურმე მომღეროდა:—  
ცანგალა და გოგონაო  
გოგოს ყელი მოღეროდა  
პირი მზისგან მეგონაო.

კაბის ნაფლეთს იფარავდა  
მზე ფოთლებით შეკონაო  
ბალში ყურძენს იპარავდა  
ცანგალა და გოგონაო.

მომღეროდა მთის მეურმე:  
გოგო მზისკენ გაიქეცი!  
მზე გაგორდა ირემივით  
რქა მოჭრილი ჩაიკეცა.

სადაც კვამლის ნაპერწყალი  
კრამიტებმა ჩაიწვინა,  
ბორბლების ქვეშ გატყდა წყალი  
მეწისქვილემ ჩაიციინა.

მოზვირთო და მომდინარემ  
ტირიფეები ჩამოიღვა;  
რომ გახედა მონადირემ  
შთა ბეღელა ნისლი იღვა.

ხომ ვაიგე გადიბინდა  
გაითალე მერცხლის კბე:  
მერცხალი რომ ვაგვიფრინდა  
მთას მოცვები გადაკრიფე.

გოგო მთიდან ჩამორბოდა  
როცა შველებს მიკიოდენ;  
ბატებივით ცის ორმოდან  
შორს ღრუბლები მიდიოდენ.

### ს ა ბ ა დ უ რ ი.

ღელ-ღელიდან ბადიურებ  
გამოყვი წყლის პირსაო!  
ეგ მინდვრები გადიარე,  
გზა მოფოლე სილისაო.

წყლებს სირბილი გადახიდე,  
ცა მოფოთლე წვიმისაო:  
ხან სასირე ბადე კიდე,  
ხან ქობი დგი ნისლისაო.

მზე-გამზირე რა დარია,  
დარს კობრები მონადენე,  
ჰერი ბიჭო კვლდაურე  
არ გაუწეა წყალ ნადირი.

არ გაუწეა წყალ ნადირი,  
ჰერი ბიჭო კვლდაურე,  
გორ-გორიდან ვადიდარა,  
მზე-გამზირე სვინთაურე.

ხან სასირე ბადე კიდე,  
ხან ქობი დგი ნისლისაო;  
წყლებს სირბილი გადახიდე,  
ცა მოფოთლე წვიმისაო.

ეგ მინდვრები გადიარე,  
გზა მოფოლე სილისაო;  
ღელ ღელიდან ბადიურებ;  
„გამოკვევი წყლის პირსაო“.



ა. გუმბრანგ-გაზაზვილი.

## ფუნაქულიორიდან

მზე კორფლიანი  
 იღრიგება ესკიპოზივით,  
 დაბლა მიწაზე  
 მოძრაობას კვალ და კვალ უმზერს.  
 კანკალებს სიციხე  
 ფანჯიანი  
 ცეცხლით მოსილი  
 და  
 დღე იმსხვრევა  
 საინივით ქალაქის ზურგზე.  
 ცხოვრება - დროგი  
 სიციხისაგან  
 გარბის, გააკვივის,  
 ვნებიან ქუჩებს აცახცახებს  
 რკინის ბორბლებით.  
 ცა ახედება  
 რუპორივით გაოცებული  
 და  
 მტვერი წხამოზს  
 ცოფიანი—დაფურობელი.  
 მოქალაქენი თავშესაფარს  
 ეძებენ მთაში.  
 მუნჯი ცხოვრება  
 განა მუდამ მოსაწყენია?  
 ყოველ დღე ნახავთ ბატეპივით  
 ხალხს მთებზე გაშლილს...  
 რას იწამ?  
 მტერიან ატმოსფერით  
 სურთქვა ძნელია.  
 მამადავითის ეკლესია—  
 ცხვირმოტეხილი  
 ბრალდებულივით გადმომდგარა  
 ცისფერ ნისლიდან.  
 ფუნაქულიორი



მთის კლზიდან  
 მოსწანს კეხივით  
 და მოგზაურებს  
 გახარებით თვისყენ იზიდავს.  
 შოთას პროსპექტი  
 აკაკანდა რემენგტონივით,  
 ო, დღეს რამდენი  
 რახა-რუხი დაისტამბება.  
 გარბის მსახური, საქმიანი  
 და უსაქმურიც  
 გადაქცეული ქუჩის მისხრად,  
 ქუჩის ამბებათ.  
 სიმბურვალისგან იბერება ფიქრი დაირა.  
 ძუნეკლაიორს  
 პროსპექტიდან სალამს უგზავნი.  
 კარგია:  
 წუთით დაასვენო  
 ფიქრი მთა-გორებს.  
 დადის ტრამვაი ფეხაკრეფით,  
 დადის კუსავით  
 და მოგზაურებს  
 ხურდასავით  
 ზეფით აგროვებს.  
 დაფურებ ტფილისს:  
 ვარ პოეტი,  
 ვარ შემომქმედი...  
 ხეაურობს მტკვარი  
 სიმბრაზისგან გაშავებული...  
 ქვის შენობები,  
 შენობები  
 და შენობები  
 მტკვრის ნაპირებზე  
 შახმატივით გაშენებული.  
 შეკრული კვამლის  
 რონოდები  
 ტრუბებს მოება,  
 კვამლი მიმქრალი  
 ემსგავსება ბებერ ღამურას.  
 ტფილისმაც იგრძნო  
 სხვა ეპოქის მოახლოება





და არე მარე  
 მანქანებით ახმაურა.  
 ო, საქართველოვ,  
 მომავალი შენი ვინ იცის.  
 რევოლუციის  
 სამუდამოთ გახდი მეზარე.  
 მსოფლიოვ,  
 იცან:  
 განახლება  
 ძველი ტფილისის,  
 მსოფლიოვ,  
 იცან:  
 ეხ-ეხ-ერ-ეს ტახტი მესამე-  
 ეი, ტფილისო!  
 მე შენში ვარ,  
 შენ ჩემში მეფობ,  
 მოვშორდი მთებს და  
 რევგენივით ძირს გადავეშვი.  
 მშფოთოთ ქალაქო,  
 ისევ შენთან...  
 მშვიდობით მთებო,  
 ისევ მომინდა ხეტიალი  
 მტკერში—  
 თარეშით.  
 ისევ მომინდა მზორვალება  
 და მზეს დავეძებ.  
 ტფილისო, სული  
 პაპირუსათ ტანს გახვევია,  
 დავიწყებ ყვირილს  
 უსიარცხვილოთ ამ რუსთაველზე  
 და გადავცვები  
 სხვა ცხოვრებას—სხვა სახეზიანს!  
 ალბათ მწყურვალეს  
 გამიტაცებს მტკერის ნაპირები  
 და სადმე ფიქრებს საოცნებოთ  
 თუ გაუწერდი:  
 ავიღებ ქალამს  
 და იქნება თემა პირველი—  
 პირსაბოცივით დამანჭული  
 შენი ქუჩები.



## დავით რონდელი.

### ს მ ფ ე ლ ს

ჩემო სოფელო სიყვარული ჩემი დამძველდა  
და აღარ ვფიქრობ ძველი გრძნობის გამობრუნებას  
იყოს ეს ლექსი აღსარებათ, შენთვის ანდერძათ  
თუ შენი ღონე საზრესაჲთ მოიღუწება.

სპილენძის ფრთიან ქალაქიდან დღეს ჩამოვედი  
პირველ ნაბიჯზე ჩამოგზივ სიჩუნის ჩადრი,  
ჩემო სოფელო სიყვარულის ცეცხლი რომეღვა  
როდესაც გნახე მწვანე ვეფრში შენ აღარ ჩანდი.

რამდენი მაჯა გადაიმტვრა ეპოქის გრდემლზე,  
ჩემო სოფელო შეიცვალა ბევრი დროება,  
შენ ისევ ჩემი ბავსებივით არავის ეძებ  
და სუნთქვას გიშლის ჯვარის სურთ და მუდროება.

მზე გადავარდა ცაებზედან ცეცხლიან წვერით.  
მზე დაზევარლი ჩაიყურა უსაზღვრო თვალში  
სოფელო გული ამეგვება მტრი მოწყენით  
თუ მგზავრი ღამით ამ საშიშარ შარაზე დაერჩი.

სოფელო მშვიდო! შენ ბრმასავით დადიხარ კრახით  
ან გზას გინათებს ლავარდების ეყენების წყება.  
ღელის ნაპირას სამტყდურში სინათლე ჩაქრა  
რომ ფოთლებივით მიგაბაროს გრძელ დაიწყებას.

სოფელო წყნარო! შენს წისქვილთან დილაქი პარსავს.  
ის ფულს არ იღებს, ან ხელის კუქს და მისთვის ურგებს,  
ყოფილა რისხვა, არ დაინდობს მივარდნილ დათვსაც,  
თურმე ის ძველი ყაჩაღია შლისენბურგელი.

წყლებში ნარბენი მაცდურით ვიციანის, მთვარე  
ქვეშ ჩინარების ჩრდილებიდან კალთებს იკონავ,  
მე ხომ ქალაქის რკინის თვალებს გამოვეპარე  
რომ შენთვის ლექსში გივიმართო ერთგულ სტრიქონათ,

აღბათ არ იცი და ამაში წილი არ გიდევს  
ჩემთვის იმედი ვარსკვლავივით ღრუბლებს გაპოქრის  
კომე ვშირელი პლატფორმაზე აღარ გაყოდის  
კომკავშირელი პლატფორმაზე აღარ ივაქრებს.

შრომის სიკაცხლე! ტყის ფერდებში მაინც დაგძებ  
და ვნატრობ ღონეს ყაჩაღივით ვჯობდე მთა უღრანს  
გლებების გულში თუთუნით სევდას დაკეცილს  
უკრავს არღანზე მზიარული სოფლის დოქანი.

სოფელო შენი მდინარება დარდივით მდორგ  
თუ შეიცვლება ქალაქებზე ვად ბარებით,  
როცა ყვავები ინდუსტრიის ხალისით შეიღვენ  
და დაგჩაველებენ მწვანე თავზე ბარაბანივით.

## ღმგვალუ დუ ყაყუ.

(დასასრული\*).

მეორე დღეს გამარჯვებულ ასურელთა და ქურთების ნასოფლართა ფერ-ფლის დასაცავად მანავაში ერთი ასეული დარჩა, ხოლო დანარჩენები მოკლულთა გვამებით, დაჭრილებით და სამარცხვინო ნადავლით ისევ ურშიაში დაგბრუნდით.

მე გიორგის გვამს მოვდევდი.

გზაში აკლებულთა მეზობელი ქურთები და იქაური თათრები დაგვიხვდნენ. წინ ასკერაბადელი კაიდარ-მოლლა მოუძლოდათ. მე და მოლლამ ერთმანერთი ვიცანით.

ჯერ საზეიმო საღამო მოგვეცეს და მორჩილების ფიცე დასდეს. მერე და-ხოცილთა გვამები ჩამოგვადებინეს, პირისახეებიდან ზეწორები მოხსნეს და თა-იანთებური პანაშვიდი გადახადეს.

— ალლაჰ ილ ალლა... ბისმილა... ბუტბუტებდა მოლლა.

მუსლიმანები რომ ხელებს ალლაჰისკენ აღაპურობდნენ ხოლმე, მათი ამკლები ქრისტიანი სალდათებიც განიერ პირჯვარს იწერდნენ. ხოლო გაფითრებული ყაშა საკაციდან გესლს აფურთხებდა და დათვეურად ბურტყუნებდა:

— ჯერ დაგვიხოცეს, ეხლა კი ლოცულობენ... უწმინდურები... წუწკები. ფუ! ღმერთო შეგკოდე, ფუ!.. ისინი ალლაჰს ლოცულობენ, ეს ბრიყვები კა პირ-ჯვარს იწერენ და ქრისტეს ახსენებენ. ღმერთო შეუნდე. ფუ, ფუ!

ასკერაბადელი კაიდარ მოლლა და თათრები ურშიამდე მოგვეყვენ და წამ-დაუწუმ გიორგი მინდიაშვილის სახელს ახსენებდნენ.

გენერალი ჩერნოზუბოვი, შტაბა და გარნიზონი ზემით და ზათქით და-გვიხვდნენ.

იმევე საღამოს ჩერნოზუბოვმა დამიბარა. ვეახელი და ჩემი რაზმის ანგარი-ში მივიართვი. სასწრაფოდ თვალი გადაავლო. შუბლი შეიკრა და მკვახედ მკი-თხა:

— თქვენ თქვენი ვალი პირნათლად შევისრულებიათ. მაგრამ... ასეთი შრალი კილო... რატომ არავის ასახელებთ? თქვენ ჯილდოს მოვცემთ, მაგრამ სხვები?

\*) -ს. „მნათობი“ № 5 და 6.



— მადლობელი გენერალო. ნუ ირჯებით. ღირსი არა უნდა მანავაში ბრძოლა არ ყოფილა.

— როგორ თუ არ ყოფილა?

მე ჩემი ვუთხარი: იყო ყაშა ლაზარეს პროვოკაცია, უბრალო ხალხის აკლება, ცეცხლი, ცარცვა და საქმის გაბერვა, ხოლო ბრძოლა არ ყოფილა მეთქი.

გენერალმა დამიბღვირა. უმაღლე მივუხვდი: გუშინდელი ამბავი ომის ისტორიაში და გენერლის სამსახურის სიაში საგმირო საქმედ უნდა ჩაწერილიყო ამ „სასტიკ ბრძოლაზე“ ასიოდე თაბაბი უნდა დაწერილიყო; ათიოდეს თუ ასიოდეს სამხედრო ჯილდო უნდა მიეღო, მე კი გამარჯვების სიმღერას ხმა ვერ შევუწყო.

ბღვერას პასუხი მივაგებე:

— თუ გნებავთ, რამდენიმე სანიტარს დავასახელებ ჯილდოსთვის.

— დანარჩენი? ექიმები, სათნოების დები? ყაშა?

— ყაშა წითელი ჯვრის სამსახურში არ ითვლება. ხოლო დანარჩენები ვეცდებით, რომ პირველივე დიდ ბრძოლაში თქვენი ყურადღება და ჯილდო დავიმსახუროთ.

— კეთილი, ეგრე იყოს. ეხლა მიბრძანეთ, ვინ იყვნენ ის ქურთები, გუშინ დილით რომ ელაპარაკებოდით?

— მე? ქურთებს? გუშინ დილით?

— დიალ, თქვენ... ქურთებს. დილის შვიდ საათზე.

— სად, გენერალო?

— აგერ, იმ მთის კალთაზე.

— არაფერი არ შესმის.

— მე კი შესმის. ერთი ქურთის სახელიც ვიცი.

— სახელიც?

— დი. ლ. მოგახსენებთ: აბდულ რეზაკი, ბარადოსტიდან გადმოსული ქურთების ბელადის ისმაილ-ალა სიმკოს კაცი. არ გაგონდებათ?

— ჩემს სიცოცხლეში ჯერ ერთს ქურთსაც არ დავლაპარაკებია.

— სად იყავით გუშინ დილით?

უკებ გამახსენდა: დილას სეირნობა, მაშადი იზნათი, ლამბალო, ცხენზე შემჯდარი წითელი მაიმუნი და ლამბალოს ხეშრობა.

— ყაშა ლაზარ!—წამოვიძახე ღიმილით.

— დიალ, ყაშა ლაზარემ დაგინახათ.

გენერალი არ ხეშრობდა. ავლედი და ავშუოთდი. ფიცხად და გულწრფელად ვუამბე ყოველივე: ყაშას ოინები, ქურდობა, თვითნებობა, ქის წამურტვლა, ბასი ებისკოპოსთან და გუშინდელი სეირნობა.

— ვიცი... ვიცი.—ზშირად მაწყვეტინებდა გენერალი. თანდათან მოლბა და გამოტყდა:—საზარელი ადამიანია; მაენე, ფლიდი, მკვლეელი. არ ვიცი რა მოვუხერხო. ძლიერი მოსარჩლენი ჰყავს. გუშინ განცხადება შემოიტანა... საქმე შეს-

დგა... უნდა გამოვიძიოთ... მიბრძანდით გამოამძიებელთან, ჩვენებზე მდევრით და თქვენს საქმეს დაუბრუნდით.

ლაშქარი გამახსენდა:

— ამ საქმეზე უდანაშაულო თათარია დაპატიმრებული.

— ვიცი. გამოამძიებელს სთხოვეთ.

შტაბიდან ორი საათის შემდეგ იმ იმედით გამოვედი, რომ იმავე საღამოს ლაშქარსაც გამოუშვებდნენ.

მაგრამ იმავე დღეს ლაშქარის განთავისუფლების მაგიერ ხევსური ბეჭაურიც დააპატიმრეს. დაჭრილები და სანიტარები აღელდნენ. დაკითხვის დროს ერთხმად წაყარა ჩვენს ამხანაგს, რომელმაც მათი და საკუთარი შეურაცხყოფა მუშტით ჩამორეცხა.

საქმეს სახელმწიფო გეზი მისცეს: ბრძოლის დროს სახელმწიფო შობელის სცემავო. ამ ბრალდებებს დახვრეტის სუნი ასდიოდა. ყველას გვიკვირდა—ბრალმდებელსაც და გამოამძიებელსაც—რომ ყაზა ლაშარე, მისიის ბალღინჯო, მოხელედ ჩასთვალეს და ქურთების ხაბაყ-ხუბაყის მოტაცება უუზენაეს ვალის მოზადად გაანაღდეს.

მაგრამ ასე მოისურვა ეპისკოპოსმა პავლემ, ხოლო ლაშქრის სარდალი ბერის ბრძანებას ვიღაც ხევსურის გულისთვის არ დააბრუნებდა.

ჩერნოზუბოვმა მითხრა:

— თქვენი საქმე მოვსპე. ის თათარი გაეანთავისუფლეს. მაგრამ იმ სანიტარისთვის სხვა გზით იზრუნეთ. მე არაფერი შემიძლია.

გენერალ კოლაუბიაკინს შეესჩიველ. მოიფიქრა და დარიგება მომცა.

— თუ ახირდით, იმ სანიტარს დაჰლუპათ. ასე მოიქცით: ჯერ ყაზა ლაშარეზე საჩივარი შემოიტანეთ ცილისწამებისათვის. მერე მხრით პავლეს მოელაქუტეთ. მერე თქვენ ყაზა დაუთმეთ, ის კი სანიტარს დაგიტოვებთ.

ამ დარიგებას გაეყვი. ან რა უფლება მქონდა ბეჭაური დამელუნა და ჩემი თავმოყვარეობა შემენახნა?

შაბათი დღე იყო. თავი მოვიდრიკე, მისიის ეკლესიაში შევედი და საღამოს ლოცვა ბოლომდის მოვისმინე. მთავარმოდღარი პავლე ხშირად იხედებოდა ჩემსკენ.

ციხეების ზარი ჩამოკრეს, მე ისევ ეკლესიაში ვიყავი. ვილოცე, დაუბრუნდი და ეპისკოპოსს ერთი ჟრემი საჩუქარი გაეუგზავნე: საცვალი, სურსათი, კონიაკი, წამლები და მრავალი მსხვილმანი და წვრილმანი.

წირვა საზიარებლად გამხადებულ ბერივით მოვისმინე. ჯვარს და ფაფუკ ხელს რომ ვემთხვიე, პავლემ წამოჩურჩულა:

— მოითმინეთ. თქვენი ნახვა მინდა.

მერე, ანაფორა რომ გადაიცვა, ხელი მკლავში გამიყარა და მისაყვედურა:

— თქვენ თურმე მორწმუნე ყოფილხართ. რატომ აქამდის არ დადიოდით ეკლესიაში?



— კოდეა შეშინდეთ, მამაო. არ შეცალა. სამკურნალო დაწერეულნი იყო. ამიერიდინ მოკლილი ვარ.

— მოინანეთ და ღმერთიც შევინდობთ, შეილო. მეც შეშინდებიხართ.

სადილად დამპატრეა. შორიდან დავიწყეთ. ძველი შხანი დავივიწყეთ და ენები მოვითაფლეთ. ჩემმა კონიაქმა, კახტრმა და პორტეინმა გულში მამა-შვილური სათნოება აღგვიძრეს და ბეჭაურსაც უშველეს. სადილი ტკბილი ბაასით დამთავრდა. ეუთხარი:

— თქვენი ყაშა შხაშინი კაცია.

— მართალია. მაგრამ არ დავთმობ.

— არცა გთხოვთ. ღმერთმა დაიწუაროს, რომ ეკლესიის შინაურ საქმეში ჩავერიო.

— არც თქვენი ბეჭაური ყოვილა ანგელოზი. ვილაც ველური, წარმართი...

— ბეჭაური ქართველია, ესე იგი ქრისტიანია.

— ეგრე იყოს. მაინც ველურები ხართ. მუდამ მუშტზე და ხანჯალზე გიჭირავთ თვალი.

— ეგ კი მართალია. ჩხუბი გვიყვარს. მაგრამ არც ყაშა ყოფილა ღვთის კაცი. თუ ვინმე თითს გაპკრავს, ყაშა ორივე ყბას მოამტვრევს.

— ხო-ხო-ხო! აბეზარი კაცია ყაშა, აბეზარი, ხა-ხა-ხა!

— აბეზარი, გესლიანი და ფლიდი. ცილი დამწამა. საპყრობილე არ ასცდება, საჩივარი შევიტანე.

ჩენი ბაასი მტკიცე ზავით დასრულდა. შევთანხმდით: პავლე ქრისტეს გაახსენებს, ჩერნოზობოვსაც გაახსენებს და ბეჭაურის თავს მაჩუქებს. მე კი საჩივარს დავიბრუნებ და სამუდამოდ ეკლესიას დავებრუნდები.

პირობა ორივემ შევასრულეთ: ბეჭაურს დახვერტა ხუთი წლის პატიმრობით შეუცვალეს. მე საჩივარი მოვსპე და... ეკლესია და პავლე ისევ დავივიწყე. მაგრამ ბედმა არც ღვთისმოსავე პავლე დამაფიწყა და არც ღვთისმსახური ყაშა.

\* \* \*

ღღე არ გავიდოდა, რომ დილით მამადი პასანის წერილს, ძლიერსა და მშვენიერ შექაბილს არ გავეღვიძებინე:

— ლა-ამბალო-ო-ო... ეი ინოგრა-ა-ად...

— გამარჯობა ლამბალო!— გადავძახებდი ხოლმე ფანჯრიდან.

— საბაბ ზეირ ოლსუნ, ალა!— შემომხაროდა მნიარული თათარი. აი, რა მოგიტანე.

და ვადმოალაგებდა საუცხოვო ხილს, გემრიელ ნალებს, კარაქს და ზოგჯერ სპარსულ საბზას, ნულას და რაპათ-ლუხუნს.

ერთხელ კბილები ჩვეულგებრივზე მეტად გააკრიჭა და მითხრა:

— ალა, ლანბალოს ქორწილი აქვს.

— შენი ქორწილი? მართლა? ცოლს ირთავ?

— ვერთავ. ერთი „ყიზი“ ვიშოვნე. ისეთი ლამაზია, როგორც ურუსის კუკლა“.

და გამბრწყინებულში თათარმა სამის თითით საკუთარ ტუჩებს კოცნა მოსწყვიტა და ზედ მადიანად დააყოლა:

— ლამბალო! ლა-ა-ხათ!

მერე პირსახეზე ხვეწნა და მორცხვობა აისახა:

— ალა... ლამბალო „ბალაჯა აღამია“,—პატარა კაცია. ღარიბია... მაგრამ ვაღლაპ, ტკბილი გული აქვს.

ლამბალოს ისე ვუყვარვარ, როგორც ღვიძლი ძმა. ვაღლაპ, ძმაზედაც მეტად ვუყვარვარ და დედაზედაც. ჩემთვის თავს გაწირავს. თუნდ ურუსის ტბაში გადაეარდება, თუნდ ურუსის ზიშტზე აეგება, თუნდ...

— თუნდ ყაზა ლაზარეს გაჭყვები ყმად, არა?

არა, არა! ლამბალოს ურუსის ზიშტი მართლა ურჩევნიან ყაზას მეგობრობასაც კი. ნუ ვეხუმრები ლამბალოს. ყაზას სახელსაც ნუ გავახსენებ. გველის შხამი სჯობია ყაზას ღიმბლს, ხოლო მისი რისხვა უფრო სანდოა, ვიდრე მისი ძმობა. მაშ ესე: ლამბალოს ჩემსავით ჯერ არავინ შეჭყვარებია. გკითხე:

— არც „ურუსული კუკლა“?

აღა, ნუ სტანჯავ ლამბალოს! რას ჩააცვივდი ყაზა ლაზარეს და „ურუსულ კუკლას“! თუ მართალი გინდა, ლამბალო შენი გულისთვის დღესვე თავს დაანებებს „ყიზის“.

— ლამბალო, მართლა თავი არ დაანებო, თორემ მე მოგიტაცებ.

ინებე, ალა, ინებე, შოიტაცე. ოღონდ შენ ისიამოვნე, თორემ იმ ქალის მოტაცებაში ლამბალოც გიშველის და მოსამსახურედაც გაგყვება. ღმერთმანი, გაგყვება! ხა ხა-ხა! იმ ქალს მოიტაცებს და მოგიყვანს, ხო-ხო-ხო!

— „იოლდაშ“ ლამბალო, ის „ურუსული კუკლა“ შენთვის დამითმია, მაგრამ ერთი პირობით: მეორე „ყიზი“—თათრული „კუკლა“ უნდა მიშოვნო. შე-ერთავ. მაჰმადის სჯულსაც ვიწამებ და აქ დაეწრები.

ლამბალო ჭყვირილ-ხარხარით ფანჯარაზე ამოკოცდა და ხელი კეტრევით ამოფშია: ხა-ხა-ხა! გიურჯი იოლდაშო, ხელი მიეცი ლამბალოს, ხელი! „აღ ვერ, აღ!“ ხო-ხო-ხო-! დღესვე მოგიყვანს ლამბალო პირველ მზეთუნახავს, თუნდ ორს, ხუთს, ათსაც და ასსაც. ზი-ზი-ზი! მოლღაც აქვეა. ხუთ წუთში მოგნათლავთ. მოლღა გაღესიდ დანას აიღებს, ერთხელ დაიქნევს და... ჩიკ! გაათათრდება გქიბ-ბაში. ზი-ზი-ზი! ხო ხო-ხო! ალა, ხელი მიეცი ლამბალოს, ხელი!

ლამბალომ ვერ მოისვენა სანამ არ მათქმევინა:

— კარგი, ლამბალო, კარგი. პირობას გაძღვე, რომ ხვალ შენი სტუმარი ვიქნები.

ბტუნვით გაიქცა, ვირს მოაჯდა, ერთხელ კიდევ მოიბრუნა ჩემსკენ გაბადრული, გრუზა პირსახე, თავი დამიქნია და ვირი იორღით დასძრა:

— ხოწი ხოწ-ხოწ!

და ზარის ხმით თავისებურად გააბა:  
— ლა-ამბალო-ო-ო-ო... ვი-ინოგრა-ა-ა-ა...



\* \* \*

სოფელი ასკერაბადი ურმია-დიღომანის გზაზე გაშენებული, მაშადი იზხათი და ლამბალო იქაურები არიან. სუფთა სახლ-კარი და კობტა ბალი აქვთ.

იმ ბაღს გვერდით ორი ბაღ-ბოსტანი აკრავს. ერთი წითელ ჯვარს აქვს აღებული იჯარით, მეორე—ეპისკოპოსს პავლეს.

ჩენის ბაღს მაშადი იზხათი და ლამბალო უვლიან, მისიონერებისას—ყაშა და ვილაც ასური.

იმ ბაღს და ასკერაბაღს შევეჩვიე. ხშირად წვეალ ცხენით, იქაურობას მოვივლი, მერე მალალ აივანზე ჩამოვჯდები და ახალ ხილს შევექცევი.

ლამბალოს და იზხათს მუდამ გამოაქვთ იმ აივანზე მცირე ნობათი: ჩაი ფინჯნით, ნაღები და სპარსული ტკბილეული. არც მე ვიდებ ვალს: ურმიის ბაზრიდან მცირე საჩუქარი ნიმაქეს და იზხათის ჯალაბ-ჯულაბს ვუგზავნი.

მე და ლამბალო „იოლდაშები“ ვართ. ისე დამტრიალებს თავთ, რომ ბუზი მოახლოვებისაც ვერ ჰბედავს. ლამბალო მანებიერებს. მრავალჯერ დავეშალე, მაგრამ იწყინა. რა ვქნა! ასე ესმის თათარს ჩენი იოლდაშობა.

ზოგჯერ იქვე ჩამოჯდება, უფრო ხელის გულზე დაიდებს და აღიღინდება:

— იმ ბალამ ბალა... ნა ტურუვ სან ტალ ბაშინა ნართაქი; მამალარინ ვერივ ეივან ყართაქი...

როცა ცხენს მოვაჯდები და წამოვიღ, ჩემი იოლდაში უქველად მომამყოლებს უკნიდან:

— ლა-ამბალო-ო-ო... ვი-ინოგრა-ა-ა-ა...

მეორე დღეს ადრე წავედი ასკერაბადში. ლამბალოს — „თოი“, — ქორწილი იმ დღისთვის იყო დანიშნული.

სტუმრად მისვლა ჯერ ადრე იყო. ჩენი სახლის მალალ აივანზე გავედი და იქაურობას გადაეხედე.

დიდ გზაზე ქარავანი გამოჩნდა. ოკვიოდე თათარი მოდიოდა, ზოგი ფეხით, ზოგი ვირით და ზოგიც ცხენით. საზეიმო ნაბიჯით მოაბიჯებდნენ. თან მოჰქონდათ ჭრელი სკავრები, ბალიშები, საბნები, ქურკელი და მრავალი ახალი ნივთი. მივხვდი: დედოფლის მზითვეი გადმოჰქონდათ ლამბალოს სახლში.

ქვემო ბაღიდან ვირზე შემჯდარი ყაშა ლაზარე გამოვიდა. ცალ ხელში უუზარმაზარი გაშლილი ქოლგა ეჭირა, ხოლო მეორეში—გადაფურცლული ლოცვანი.

ქარავანი რომ დანახა, ვირი შეიყენა და ლოცვანი დაჰქეცა. მომავალნი რომ გაუსწორდნენ, ყაშამ უცნაური პრანქვა დაიწყო: წითელ თავს და გრძელ ხელებს იქნევდა, იკრიჭებოდა, გაუგებარს ჰბოდავდა და ზითხითებდა. ხან ქოლ-





გას აიჭვედა საქონლის დასაფრთხობად, ხან დაუსტენდა, ხან პლურსენება და ხანაც იმ თათრებს ცოფიან მიიმუნეით აფურთხებდა.

ალბად კარგად იცნობდნენ ყაშა ლაზარეს იმ ქვეყანაში. წინამძღოლმა თათარმა დანარჩენებს რალაც გადასახა. მისი ბრძანება ერთმანერთს გადასცეს და აშლილ ყაშას არც აქვენენ და არც ხმა გასცეს. ისე გაუარეს გვერდით, რომ ზედაც არ შეხედეს, თითქო დორბლიან ქრისტიანეს ნაცვლად იმ ალაგზე კუნძი ეგდო.

ამან უფრო გაახელა ყაშა. პრანქვას, დორბლს და პრუწუნს უმატა. მგზავრები—მუსლიმანები და ასურელები შესდგნენ. მუსლიმანები იცინოდნენ, ასურელები კი დალონდნენ. სამნი ყაშასთან მივიდნენ, შეარცხენეს და დამწვიდება სცადეს, მაგრამ ამაოდ. ქარაევანის კუდს კიდევ რამდენჯერმე მიაფურთხა, მუქარა მიიყოლა და შესტენა. მერე ვიჩი მიიბრუნა, ქოლგა გაშალა, ლოცვანი ისევ გადაფურცლა და წავიდა.

ქარაევანი ლამბალოს ეზოში შევიდა. მაშადი იზხათი და ჯალაბ-ჯულაბნი მიეგებნენ.

მზე ჩასაყალს იყო. მაშადი იზხათი და ხუთიოდე მოხუცი ჩემს ბაღში გამოვიდნენ, შუაში ჩამოყენეს, წამიყვანეს და დიდის პატივით მოზრდილ დარბაზში შემოყვანეს.

კაიდარ-მოლლა და პატივდებული თავი კაცები ფეხზე ამიდგნენ და უფრომესი საღამო მომცეს. მეც ასეთივე საღამით ვუპასუხე.

აგურით ნაგები იატაკი ხალეზით და ფარდაგებით იყო დაფენილი. შუა დარბაზში გრძელი ლურჯი სუფრა იყო გაშლილი. ზედ მრავლად ეყარა ყვავილები, მწვანელი, ლავაშები, მრავალნაირი ყველი და ჩემთვის ჯერ უნახავ-უქმე-ლი მშრალი სანოვავე. ჭამა-სმას ჯერ არ შესდგომოდნენ: ჯერ დედოფალი არ მოეყვანათ.

სტუმრები კედლების ჩაყოლებაზე იდგნენ და ჩემს დაჯდომას ელოდნენ. მაშადი იზხათმა საპატიო ალაგი შემთავაზა. მე არ დავეგეკე, სანამ ჩემს გვერდით მდგომი მოხუცი მოლლა არ დავსვი. ჩემი ზრდილობა ესიამოვნათ. მერე ყველანი მუხლის თავებზე ჩაცუცქდნენ და გახედდნენ.

ლამბალო „ქუქლას“ მოლოდინით და ჩემი სტუმრობით იყო აშლილი. აღარ იცოდა, როგორ ესიამოვნებინა ჩემთვის. ფუსფუსებდა, თავს მევლებოდა და იძახდა:

— ალა, აქ დაბრძანდი... ალა, ხომ არაფერი გნებავს... ალა, როგორ ბრძანდები... ალა, შენ გენაცვალე, არ მოიწყინო.

მერე უფროსებისა შერცხვა და გარეთ გავიდა.

კაიდარ მოლლამ მანავას „ბრძოლა“ და მინდიაშვილი ვამახსენა.

მალე გარედან ზურნის ქვეტიანი და კეიჩი მოისმა. ეზო უმაღლე ხალებით გაიესო. ჩადრში გახვეული დედოფალი ცხენიდან ჩამოიყვანეს, დარბაზში შემოიყვანეს და მისი პაწაწა, ფუნჩულა ხელი ლამბალოს თათში ჩაუდეს.

დილითვე მცირე საჩუქარი გამოგზავნენ, — ტკბილი ღვინო და კონიაკი,



შეიზარდეთ და იღუპალი მეგობრული ჯაჭვებით შევიჯაჭვებოთ. ან როდის, რად, ან როგორ გაიბა ეს ზხილავი სიმეში,—არც ეხლა მესმის. რას ელოდნენ დაშრეტილი სპარსები და თარაქიამა თათრები ოდესღაც თავიანთივე ხელებით დაწრეტილ ერთი მუქა გიფორჯებისგან? შევლას? არ შეგვეძლო. დაჩაგრულთა იღუპალ კავშირს? მეგონიან. თანაგრძობასაც? ვგრძობდი, მესმოდა.

დიდი დრო იყო. გულში დიდი იმედები გეკონდა და დიდსაც ველოდით.



ნადიმი გაგვივრძელდა. მზე ამოვიდა. კარებში ლაშხალოს თავს მოვკარი თვალი. ღიმილით და თითის ქნევით გასვლა მანიშნა. მეც ავდექა და ეზოში გავვედი.

— ალა იოლდაშ,—მითხრა ლაშხალომ ჩურჩულით.—მუსლიმანს აკრძალული აქვს ქალის ჩვენება, მაგრამ შენ ჩემი იოლდაში ხარ. ისე მიყვარხარ, როგორც ლეიძლი ძმა და მამა. ამიტომ. აქეთ წამოდი. არაფერს დაგვიანებს.

ეზო გამატარა და ბაღში მიდევანა. დაბურულ შამშიანში შავს სულარას მოვკარი თვალი.

— ზეკია ყიზი,—უთხრა ჩადრში გახვეულს ლაშხალომ,—აი ჩემი ძმა და მამა. შენი პირით გადაუხადე მადლობა. მოიხსენი, ნუ გეცხენიან... არაფერს გეზუდავს.

შავი ფარდიდან ნელნელა ჯერ შავი თმა გამოჩნდა, მერე თეთრი შუბლი გადაიშალა, მერე ორმა თვალმა,—დიდრონმა, შავმა და ბავშვურმა თვალებმა პარსახეში შემომანათეს.

ლაშხალო მიეშველა: თითი ჩადრს გამოსდო, ჩამოსწია და სულარა-კუბოდან ცამეტი ან თოთხმეტი წლის პარსახემ მორცხვად გაიღიმა. მართლა „უქვლას“ ჰგავდა, მაგრამ უცრო თათრულს, ვიდრე ურსულს.

— ზეკია ხანუმ,—წოდელის გულით გაეახანუმე ზეკია ყიზი,—გილოცავ ქორწილს. ძალიან კარგი „ქიში“ — ქმარი გიმოყენია. მაშაღა ჰასანანი პატიოსანი, მზარული და მშრომელი კაცია. ერთგულად ემსახურეთ ერთმანერთს და თქვენს ბედნიერებას დასასრული არ გქნება.

— მეც ეგრე ვთუხარია, ალა.—ჩაერია გამადრტული ლაშხალო. მერე „უქვლას“ მიუბრუნდა:—ყიზ, მადლობა მოახსენე ალას.

— ჩოხ რაზიამ... ჩოხ საღოლ. ალა, ჩოხ! მადლობელი ვარ, ალა, დიდი მადლობელი, — წაიჩურჩულა ზეკია ყიზიმ. მერე უცებ ხელზე მაკოცა, უშალევ შავში გაეხეცა და ბურჭებიდან გაეფარდა. მე თვალი დაფადევენე ჰაწაწინა ფუხებს, რომელნიც ჰაწაწა ქალს მიაგრებინებდნენ.

უკვე ჩამოცხა, როდესაც „იოლდაშ“ მასპინძლებს მხურვალე მადლობა გადაუხადე და ჩვენს ბაღში გადმოვედო. სანამ ცხენს მომიყვანდნენ, მალალ აივანზე ვადმოვდექი და ურშია-დიღმანის დიდ გზას გადავხედე.

უკვე ჩამოცხა. ვხა საფე იყო მგზავრი თათრებით და ასურელებით. აქა-იქ



რუსული სამხედრო ურმები და ყაზახ-სალდათებიც მოსჩანდნენ, ქვეიდან გრძელი სამხედრო „ობოზი“ მოდიოდა, ზევიდან აქლემების ქარავანი დინჯდებოდა.

იმ გზაზე თვალი მოეკარი კაიდარ-მოლლასაც, რომელსაც წელან გამოვემშვიდობე. მისი თავჩალუნული ვირი მარდად მიიბიჯებდა. კაიდარ-მოლლაც თავჩალუნული იყო: ცალ ხელში გადაშლილი კურანი ეჭირა და კითხულობდა, მეორეში—გაშლილი ქოლგა.

ქვეიდან მეორე ვირი გამოჩნდა, ზედ წითელი ყაშა იჯდა. იმასაც ქოლგა და ლოცვანი ეჭირა. ორივე ღვთისმსახური ასე იყვნენ გართული ჭრისტესი და მაჰმადის ნაქადაგარით, რომ ვერც ირგვლივ ვინმეს ამჩნევდნენ, ვერც ერთიმეორეს ხედავდნენ.

აქლემების ქარავანი და რუსული „ობოზი“ ერთმანერთს შეხედნენ და გზასტყნენ. ყაშასი და მოლლას ვირები დარჩენილ ვიწრო ბილიკს გაჰყვნენ. ბოლოს, ერთმანერთს თავებით დაეტაკნენ და შესდგნენ.

ყაშამ და მოლლამ ერთსა და იმავე დროს მოსწყვიტეს თვალები წმიდა წიგნებს და ერთმანერთს შეაჩერდნენ. მეოე, როგორც მოწმენი ამბობდნენ, ასეთი ბაასი გააბეს:

— რატომ გზას არ მიძლეეთ?—გაიკვირვა ყაშამ.

— რატომ თქვენ არ მიძლეეთ?—გაოცდა მოლლა.

— შე წმიდა სახარებას ვკითხულობ.—რიხით გაახსენა კაიდარ-მოლლას მართლ-მადიდებელმა.

— მე კი წმიდა კურანს ვკითხულობ.—აისხლიტა ყაშას საბუთი მუსლიმანმა.

— რომ კიდევაც დამენახეთ, ჭრისტინი ყაშა წარმართ მუსლიმანს გზას არ დაუთმობდა,—შეუტია წითელმა მღვდელმა.

— ყაშა ლაზარ! თქვენი პირიც ისეთივე უწმინდურია, როგორც თქვენი ფეხი, რომელსაც წელიწადში ერთხელ ძლივს დაიბანთ, ხოლო თქვენი სიტყვაც ისეთივე უწმინდურია, როგორც თქვენი ვირის ყრყინი.—დინჯად მოუჭრა ჰილარა მოლლამ.

— ჩემი კი არა, თქვენი ვირია უწმინდური.—გაკაპასდა თურმე ყაშა.

— ჩემი ვირი თავრიზის მუშთეჰიდის საჯდომი ვირის ჩამონავალია,—გახსენა თურმე ყაშას კაიდარ-მოლლამ თეთრი ვირის გენეალოგია,—ხოლო თქვენ და თქვენი ვირიც ერთი უწმინდური სულიერის ნაკეთები ბრძანდებით.

აივნიდან დავინახე: ყაშა ლაზარემ ქოლგა დაჰკეცა და მისი წვერი მოლლას ვირს თავში ატაკა. კაიდარ-მოლლამაც დაჰკეცა თვისი ქოლგა და ყაშას ვირს დაატაკა. ეხლა კი მკაფიოდ მომესმა მათი მუქარა და კივილი:

— გზა მომეცი, შე უწმინდურო!—აფეთქდა ყაშა.—Давай дарог, басурман, паршивый-й-й!

— დონღუზ! ით!—გაცხარდა კაიდარ-მოლლაც.

ყაშა ლაზარემ ქოლგა მოიქნია და კაიდარ-მოლლას დინჯად დამტკბარებულში, თანაც დააყოლა:

— Вот тебе, чорт окаянный!

კაიდარ-მოლლამ ქოლგის წვერი ყაშას წაჰკრა და აფრიანი ქუდი მტვერში გადმოუფგდო.

ყაშა გაცხარდა და გაგიჟდა: უმალ ვირიდან ვადმობტა, მოხუცი მოლლა ვირიდან გადმოიღო და მტვერში აგორაჲა. მუშტით და ფეხით სცემდა და იმეორებდა:

— Вот тебе! вот тебе! вот тебе!

რუსი სალდათები იცინოდნენ და ჰყვიროდნენ:

— Ай да, по-ош! Ай да, мулла-а!

ქარავენს ხუთიოდუ თათარი მოსწყდა. კაიდარ მოლლას გაგიჟებული ყაშა ძლიეს ააგლიჯეს და ააბურთავეს.

ყაშას ათიოდე მგზავრი ასურელი მოეშველა. მოლლასაც ათიოდე თათარი მიესარჩლა. ყოველ მხრიდან კივილით და მღჰარით მორბოდნენ. ჰაერში ჯოხი ტრიალენდა. მოჩუბარნი მტერის კორიანტელში გორაობდნენ.

უკვებ მარჯვენა მხრიდან ნაცნობი კიენი მომესმა:

— ლამბალო, ქიოფა ოლდი!

მაწადი ჰასანი მტვერში შერია. განზე ყაშა ლაზარე ერთ თათარს სჯიჯგნიდა. ლამბალო ყაშას თავთ წაადგა და შესძახა:

— ყაშა ლაზარ, ლამბალო! მობრუნდი!

ყაშამ უმალ ანაფორა გაიძრო. ერთმანერთს ეცნენ. წესიერი კრივი ვაიმართა: არც ძაძვილი, არც ჰილილი. ყაშას კრივი ალბად რუსეთში ჰქონდა ნასწავლი, ლამბალოს კი ტფილისში, — ჰაელაბარში ან ვერაზე. მათი მუშტების ბაგა-ბუგი მეც მკაფიოდ ნესბოდა. რუსები და ზოგი მოჩუბარი გარს შემოეხვიენენ და წესიერ კრივს ხალისით, კიენით და წაჭეზებით უცქერდნენ.

ყაშა უფრო ღონიერი იყო, მაგრამ ლამბალო უფრო მარდი აღმოჩნდა. მუშტი და სილა სეტყვასავით დააყარა. როცა სავსე მუშტს ფერდში მისცემდა, ან გაშლილ სილას ყაშაში გაულაწუნებდა, ზედ მხიარულ კიენსაც მიიყოლებდა:

— ლამბალო, ქიოფა ოლდი!

— Так его, так его! — ამხნეებდნენ სალდათები. — Хо-хо-хо!

ყაშა რამდენჯერმე წატორტმანდა და წაიქუა. ლამბალო წაქცეულს ხელს არ ახლებდა, მაგრამ წამოწყეულს სულსაც არ მოათქმევინებდა. ყაშა უკვე ლასლასებდა და ხელებს ჰაერში ასავსავებდა.

— ლამბალო! — მიძახა ერთხელ კიდევ თათარმა და ისე მძლავრად დასცა ორივე მუშტი, რომ გულელმა გადაქცეული ყაშა ველარ წამოადგა.

კრივი გათავდა. დანარჩენნი მოჩუბარნი სალდათებმა ადვილად გააშველეს. მალე ლანძღვა გინების ნაცვლად მხოლოდ სრცილი ისმოდა. — ხოლო საერთო სიცილს ჰასანის გულუბრყვილო ხარხარი ჰფარავდა. დოინჯ შემოყრილი ფალავენი შუა გზაზე იდგა და იძახდა:



— ლამბალო, ყაშა ლაზარ!.. ბა-ბა ბა!.. თქვენ, ჰეი, კლრანცი კლრანცი და ჯოხს თავი დაანებეთ. ვაგაკურ კრივში გამოდით. ისე გაკურდით, როგორც ბურთი. ბო-ბო-ბო!

ნელნელა დაიშალნენ. „ობოზი“ და ქარაგანი თავიანთ გზას გაჰყვნენ. კაიდარ-მოლლამ ქოლგა ისევ გაშალა, კლრანცი გადაფურცლა და თავრიზის მუსთეჰიდის ვირი თობაროკით წაიყვანა.

ლამბალომ ლიტრით წყალი მოარბევინა და ყაშა მოასულიერა. მერე მისი ქოლგა, ანაფორა და სახარება იპოვნა და ჩააბარა. ბოლოს ვირიც მოუყვანა შესვა და გიანტუნრა, თანაც ლმობიერი და „იოლდაშერი“ დარიგება მიაცოლა:

— ყაშა ლაზარ, გული არ გაიტეხო. ვალაპ, კარგი კრივი გცოდნია. ალლაჰმა სხვებთან მოგაბმაროს, მე კი თავი დამანებებ.

მერე ჩემსკენ მოიხედა. კბილები გააკრიჭა, ორივე ხელი ყურებთან გაიშალა და ჩემი საყვარელი ჰანგი ზარის ლარივით გააბა:

— ლამბალო-ო თ-ო... ვინაგრა-ა-იდ ..



ერთი საათის შემდეგ ქალაქში დაებრუნდი. სამეფრნალოს მახლობლად უცნაური ქარაგანი შემხვდა, სისხლით შეიხუპნილი, ვირზე შენჯღღარი ყაშა ლაზარე ასიოდე ჩამოფრეწილ ასურელს მოუძღოდა. დაკეტილი ქოლგა ილღიაში ამოეჩარნა, შოლო მერე ხელში გაშლილი ლოცვანი ეჭირა.

მრავალი ასურელიც დასისხლიანებულ იყო. წუწუნით და ოხერით მილასლასებდნენ. თათრები და სპარსელები უცნაურ ქარაგანს ღიმილით შესცქეროდნენ და ჩუმ-ჩუმად ოხუნჯობდნენ.

ჩემი თანაშემწე ექიმი შემხვდა. ღიმილით მითხრა:

— ყაშას ლაშქარს სისხლიანი ბრძოლა ჰქონია თათრებთან. სასტიკად დამარცხებულან. აი, რამოდენა დაჭრილი ჰყოლიათ.

— ეხლა სად მიდის?

— საჩივლეღად, თავიანთ მთავარსარდალთან, ეპისკოპოს პავლესთან.

— მერე, ამოუნა დაჭრილი?! საიდან, როგორ?! მეც ენაზე ის „სახარელი ბრძოლა“, მაგრამ...

ჩემმა თანაშემწემ ბრძოლის აწერილობა მოისმინა და ისევ გაიცინა:

— პატარა ბიჭებს ასეთი სურათი უნახავთ: ყაშამ ერთ ეზოში თანამებრძოლნი და და ხუთი იმდენი მათხოვარი შეჰკრიუა. ხუთიოდე ქათამი დააკვლინა და მათი სისხლით თვითონაც პირსახე მოისვარა და ოციოდე ასურელიც შეთხუპნა. მერე ვირს მოაჯდა და ნაბრძოლ ასურელებს კრისტესავით წარუძღვა. შედეგს მალე ნახავთ, „დაჭრილები“ დახმარებას მიიღებენ, ეს კიდევ არაფერი: აირევა მონასტერი.

მონასტერი მართლა აირია. მართლმადიდებელ რუსულ მისიაში „დაჭრილებს“ მოუალერესეს: გაცვეთილი საცვლი და თითო მუქა თამბაქო დაურიგეს



და შემდეგისათვისაც მრავალს დაპირდნენ, თუ — რა თქმა უნდა — „ქრისტიანობის“ ჯიშს არ დაიხვედნენ და საქმეს ბოლომდე მიიყვანდნენ.

ეპისკოპოსი პავლე თურმე ლამიზ წვერს იგლეჯდა და გრვავინავდა:

— მაშ ქრისტიანი არ ვყოფილვარ, თუ უწმინდურებს შევარჩინო ასეთი თავხედობა. ჩამოვახიზობ!.. ციხეში დავალობ!.. აქაურობას ავიკლებ და შევმუსრაყ!

მერე ყაზა ლაზარე დაარიგა:

— ყველანი ითიზად დოუღესთან წადით და საჩივარი შეიტანეთ. თუ არ დაშაჯა ის წუნკალები, ყველაზე მეტი მავას მოხვდება.

„დაპირალები“ ვალისთან წავეიდნენ საჩიველელად, ხოლო ქრისტიანი ეპისკოპოსი იმავე დღეს, წირვის დასასრულს, ასე უქადაგებდა თურმე რუსის ლაშქრის სარდალს და უმადლეს აფიცრობას:

— წმიდა რუსულ საქმეს ამ დაწყველილ ქვეყანაში ლამის აღსასრულის დღე დაუდგეს: უწმინდურა მუსლიმანები ისე გათამამდნენ, რომ მართიადიღებულ ქრისტიანებს გზაზე გავლაც კი აღარ შეუძლიანთ. უმანკო ასურელებს თავთ ესხმან და ქებებით აქოლებენ. მერე? ს.დ და როდის ხდება ასეთი თავხედური ამბები? იგი ხდება ჩვენს ქვეყანაში, ურნიაში. დღეს ძღვევათისილი რუსის ჯარი წმიდა სისხლით რწყავს აქაურობას, ხოლო აქვე, და ჩვენს თვალწინ, ამავე დროს თავკასული „პურსითუკები“ ჩენი ერთმორწმუნე ხალხის სისხლს ღვრიან. ჩენი ხელისუფალნი კი თითქო ვერაფერს ხედავენ. მართლმადიდებელნი! ხელისუფალნი! მეუვისა და რუსეთის ერთგულნი! როდემდის უნდა ვითმინოთ ასეთი სირცხვილი? როდემდის უნდა ვხიდოთ ასეთი დამარცხება დიდი და წმიდა რუსეთისა?

როცა წირვა გათავდა, სარდალი ჩერნოზუბოვი მრისხანე ეპისკოპოსს გაეპარა. სანაგიეროდ მყომარ ბერს ხელში კონსული ნერატოვი ჩაუფარდა. დიპლომატმა თურმე ასე იმართლა თავი:

— ომი ჯერ არ გათავებულა. ვითარება მეტად რთულია. ჩენი მოკავშირენი აქვე სხედან და თვალყურს გვადევნებენ. ცოტაც უნდა მოვითმინოთ. ჯერჯერობით სპარსეთში ვართ.

— სპარსეთში?! — იფეთქა თურმე მოუთმენელმა ბერმა. — სპარსეთში კი არა, რუსეთში ვართ, რუსეთში! სადაც რუსის სისხლი დაიღვრება და სადაც რუსის სამხედრო დროშა ფრიალებს, ის ქვეყანაც ჩენია, რუსეთია!

ქვეიანი და მომთმენი კონსული თურმე ძლივს მოსწყდა სულწასულ ბერს.

იმავე დღეს მითბრეს: თურმე პავლემ ეჭვსი მრისხანე დეპეშა გაუგზავნა სინოდს, სამხედრო და საგარეო საქმეთა მინისტრებს, მეფის ნაცვალს ტფილისში, რუსეთის გენერალურ კონსულს თავრიზში და რუსეთისავე ელჩს თეირანში.

აღვირაგლეჯილმა ბერმა თავგების კინკლაობა მუსლიმანების აჯანყებად და ქრისტიანების ამოწყვეტად გადააქცია. ყველას აბეზღებდა: სარდალს ჩერნოზუბოვს, კონსულს ნერატოვს, ითიზად დოულეს და ურმიის კომენდანტს ბერე-



ზოგისაც. ყველამ თურმე პირი შეტკრეს ქრისტიანების იმოსაყვლეტიდა და მამადის მწვანე დროშის ასამაღლებლად.

სალანოზე ითიმად დოუღუს სანახავად წავედი. დიდ ქუჩაზე ისევ მოხეტიალე ქარავანს წავაწყდი. ვირით მომავალი ყაშა დაღერემილიყო. არც იმის—ჯარს ეტყობოდა მზნეობა და ძლევამოსილება.

ითიმად დოუღუმ მომჩივანნი თურმე რუსეთის კონსულს გაუგზავნა. ნერატოვნა საჩივარი მოისმინა და იმოდენა ბრბო ისევ ვალის დაუბრუნა ვალიმ ორი საათი აცდევინა და ისეც ეპისკოპოსთან გამოგზავნა, ხოლო ნისსიის მთავარ-მოდღარმა აშურბანიპალის მემკვიდრენი ეხლა ჩერნოზუბოვს მიუსია.

— ირანი იღუპება.—ატირდა ჩემი მასპინძელი, თან სარაჯიშვილის კონიაკს ციებ-ციხელების წაშლად მიირთმევდა და მეც მასმევდა.—აი, დღევანდელი მაგალითი. ერთმა ყაშამ ლამის მთელი სპარსეთი აიკლოს. იმის წვრილმან გაიძყრობას თავი დავანებოთ. ჯერ ქურთების სოფლები დააწვევინა ურუსის ჯარს და რამდენიმე ათასი ჩვენი ქვეშევრდომი ოსმალეთში გადახიზნა. ეხლა ოციოდე მამლაყინწის კინკლაობა ლამის აჯანყებდად გადააქციოს.

— ყოველივე პავლეს ბრალია.—ჩაფურთხე ინის წუწუნს სამი სიტყვა.

— ვიცო. ვუ, სავე, მონ შერ ამი, თქვენი მუშეთჰადი პოლი ცხვარივით მშვიდს მუსლიმანებს ბოლოს მართლა ააჯანყებს. ვინ იცის, იქნება საბაბს ეძებენ. მთელს ქვეყანას დეპეშეები გაუგზავნა, ისე ასწერა საქმე, თითქო...

— ვიცო, როგორ ასწერა.

— ნამდვილად კი აი, როგორ ყოფილა თურმე...

— ეგვეც ვიცო, თავით-ბოლომდე ჩემივე თვალთ ვნახე.

— მართლა?—გაუხარდა ვალის.—მიამბეთ, მონ შერ ამი, მიამბეთ სრული

სიმართლე.

თხოვნა შევესრულე. ვალის იმედი მიეცა:

— მაშ მოწმედ დამიდგებით, მონ შერ ამი?

— დიდი ზალისით, მონ შერ ვალი.

— თქვენი მოწმობა დანარჩენ მოწმეებს ათჯერ მაინც სჯობია, რადგან თქვენ ურუსის ჯარის ექიმი და ქრისტიანი ბრძანდებით.

— მესმის. იქ რუსის სალდათებიც იყვნენ. აპოვინეთ და დაიმოწმეთ.

ვალი დაიმედებულნი დავტოვე. მეორე დღეს ორივეს იმედი გაგვიცრთვდა. პავლე-ბერმა რუსეთის სარდალსაც და კონსულსაც მტკივანი ალაგები უპოვნა და ზედ დააქირა. სარდალიც და კონსულიც ითიმად დოუღუს მიაწყენენ, იმასაც ასეთი ალაგი უპოვნეს და ორმოციოდე თათარი საპკრობილეში ჩააყრევინეს.

მაშადი იზნათი ისევ ჩემს კარებთან აიტუზა:

— მაშადი ჰასანს დიდი ბორკილები დაადეს. შენს მეტი მშველელი არა გვეყავს. ჰასანის „არვადიც“—ცოლიც გებეფეობათ.

საწყალი ზეკია ყიზი! მხოლოდ ორი დღე და ღამე გაატარა თავისს „ქიში“—ქმართან. ადრე გაპყარეს. ვინ იცის, როდისღა შეეყრება ხელმეორედ





მზიარულ ლამბალოს, სპარსული საპყრობილე ადვილად გააღებოდა და შევიდა შავს პირს ტუსაღის ჩასაყლაპად, მაგრამ უკანვე ძკირად გადმოაგდებდას.

მაშადი იზნათი დავამშვიდე და ვეკალობას შევეუდექი. თავდაპირველად გენერალ ზერნოზუბოვს ვეწვიე ევთხარი:

— თქვენო აღმატებავ! მაშადი ჰასანი ჩვენი მებაღეა, გარდა ამისა, თავით ბოლომდე ჩემივე თვალით ვნახე ის ჩხუბი.

და დაწერილებით ვუამბე ყოველივე.

— მესმის... მესმის, მაგრამ.. საკვირველია, რაღა ყველგან თქვენ შეეჩხუბით ხოლმე ყაშა ლაზარუს?

— ყაშა ჩემი მოსამსახურე იყო, გენერალო, ამიტომ...

— ვიცი, ვიცი, მაგრამ... რადგან... ვინაიღვან...

ერთი სიტყვით, ჩემი საქმე არ არის. რუსეთის მოხელე „პერსიუტებს“ არ უნდა ესარჩლებოდეს. ისედაც წითელი ქალაქი ჩემზე ლაპარაკობს. ბაზარში არ გაევივლი, რომ თათრებმა ჩორჩული არ ასტებონ: „გიურჯი მოდის, გიურჯი“. რა არის ამის მიზეზი? რა კავშირი მაქვს „პერსიუტებთან“? რუსებს და სომხებს უბღღვერიან, ხოლო ქართველებს უღიმიან და შეჰხარაიან. აქ რაღაც საეჭვო ამბავია. ზერნოზუბოვმა კარგად იცის იღუმალი სარჩული იღუმალ მეგობრობისა, მაგრამ... ერთი სიტყვით, სჯობია საეჭვო ვეჭილობას თავა დავანებო, ხოლო თუ ჩემივე ნებით წავალ სპარსეთიდან, უკეთესიც იქნება ჩქრთვის.

— მოიფიქრეთ.—დაასრულა ზერნოზუბოვმა ჩემი დატუქსვა.

— გმადლობთ, გენერალო, დარიგებისთვის. მოვიფიქრებ. მშვიდობით ბრძანდებოდეთ!

ნახევარი საათის შემდეგ კონსულს ვეწვიე.

— ა-ა-ა, ესკულაააა,—მზიარულად გააბა კონს ელმა;—ჩემი ძვირი სტუმარი!

— მე იმისთვის გიახელით, რომ...

— ვიცი, ვიცი.—გამაწყვეტინა კონსულმა.—ყველაფერი ვიცი. მაგრამ მეგობრულად გთხოვთ, ჩვეულებას ნუ შემაცვლევინებთ. ჯერ კონიაკი, სიგარები, ქორცბა, ქალები და შერე... შერე ქუქუიანი ყაშა ლაზარე. ქუქუი ბოლოსთვის დაეტოვოთ. სმა-კამაში წწარე სჯობია დასაწყისში, ბაასში კი პარტუკლმა შირჩეენია.

სპარსულ ოთახში მოვიკეცეთ. ჩემი კონიაკი ესვით ძველი სიგარები გავაბოლეთ, ქალებს სიტყვით ტანთ გავხადეთ და, ბოლოს, „ქუქუიანი“ ყაშაც გავიხსენეთ.

ჯერ მე ვთქვი სათქმელი. მერე კონსულმა ჩამომართვა სიტყვა:

— მშურს თქვენი ქართული გული. გწამთ და ეძებთ სიმართლეს. მე კი ურწმუნო ვარ.

ტან პი პურ მუა,—ჩაურთო ფრანგული,—უარესი ჩენთვის. ეხლა მოკლედ: პეტერბურგი გადასტრის, თეირანს უკარნახებს, თეირანი ითიმად დოულეს უბრძანებს და ითიმადიც ათიოდე თათარს დასჯის. ასე დასრულდება ეს საპარტუკინო საქმე. ვერც მე და ვერც თქვენ ვერაფერსაც ვერ შეეცვლით. ამიტომ გიორჩევთ.



თავი დაანებეთ თათარსაც, ყაზახსაც და პავლესაც. ზვალ დიდობის სატროპიკო-ში ჩაესხდეთ და დიღმანში წავიდეთ. შუადღეს ჩავალთ. იქვე, ასურკლთა სოფელ ხოსროვასი წითელი ჯვრის სამკურნალოა. გამგე ჩემი მეგობარია. რაც ქვეყანაზე ლამაზი ქალები იყვნენ, ყველამ იქ მოიყარა თავი. თურმე სათნოების დები კი არა, იმ ექიმის ოდლისკები არაან.

— ჰარამხანა გაუხსნია.

— ოღონდაც! თქვენ კი არა გვანებიათ. სამკურნალო ნონასტრად გადა-აქციეთ, ხოლო თქვენი სათნოების დები, რომელთაც ყოველ მწუკრვალს უნდა სათნო ჰყონ, მონახონებად მიდიან. არც საკვარველია: რაც წითელ ჯვარში ბებრუცანა ჯოჯო მოიძებნებოდა, თქვენ გამოვკაზავენს.

— მიზეზიც ცხადია: ტფილისში იყოღენენ, რომ იმ ქალებს თქვენისთანა მეზობელი ეყოლებოდა.

თხუნჯობაში გავატარე საღამო, მაგრამ გულდაუთქვლი წამოვედი. კონსულმა დამაჯერა, რომ ლამბალოს სასჯელი არ ასცდებოდა.

ჯერ ბეჭაური გამომგლიჯა წითელმა ნაიმუნმა, ეხლა ლამბალოც ჩავიდო ხელში.

ისევ იმ გზას დაფადეტი, რომელმაც ბეჭაური სიკვდილს გადაარჩინა: თავ-მოყვარეობის სამოსელი გავიხადე, თავი დავლუნე და იმეგ ეპისკოპოსს პავლეს მოვუდრიკე კისერი. ვერაფერი მოვიგე. ყაზახან ანთებული ავი ცეცხლი ურშაა-ში ველარ ჩაქრებოდა. იგი თურმე შორეულ პეტერბურგსა და თეირანში გადაი-ტანეს.

ლამბალოს ჩემის ხარჯით ერთი მედღეწე სადილის წარჩენს უგზავნიდა.

ერთხელ მოვიცალე და ვალის ნებართვით სპარსულ საპრობილეში შევი-ხედე.

მყარლსა და ბნელ სარდაფში სანთლით ძლივს გავიგენი გზა. დარაჯმა კარი გამიღო და ერთ გვირაბში შემიყვანა. ისეთი სუნი მეცა, რომ კინალამ გა-ვიგუდე. ძაღლონე ძლივს მოვიკრივე და დირეს გადავაბოჯე.

ჭრაქის მკრთალ შუქზე ოდნავ გავარჩიე პატიმრები. ათაოდე ტუსალი პი-რისპირ ორ რიგად ისხდნენ. შუაში გადებული ჰქონდათ ორი სკელი ფიცარი, ერთმანეთზე რკინით მიკედელი. ფიცრებში ამოქაილი იყო ოცი მრგვალი ნახე-რეტი. პატიმრებს ამ ნახერტებში კოტემაძის ეწყობთ ფეხები. გარდა ამისა, ხელებითაც ჯაჭვით იყვნენ იმ ფიცრებზე მიბმული. ქვემო ფიცარი უძრავი იყო. როცა ზემო ფიცარს ახსნიდნენ დარაჯები, პატიმრებიც მხოლოდ მაშინ წამოდგებოდნენ ზეზე.

— ალა, სან სან, — შენა ხარ? — მომესმა ჩურჩული.

დავაცქერდი და მიბნედილ-მიღუელი ლამბალო ძლივს ვიცანი.

ლამბალო მეორე ჯგუფში იყო ჩამბული. ფეხები თავისუფალი ჰქონდათ, სამაგიეროდ ყველანი ერთმანერთზე ისე მოკლედ იყვნენ გადაბმული ხელებით, რომ მხოლოდ ერთად შეეძლოდ ადგომაც, დაჯდომაც და მოძრაობაც.

— მაშადი ჰასან, ავად ხომ არა ხარ?



— არა, ალა, მაგრამ...

მაჯა გავეშინჯე, მეტის მეტად დასუსტებულიყო. გული კალბა (სიტყვებით გავეშაგრე:

— მალე გავიშვებენ... ნუ შეშინდებით... გამიგრდით. აი, ცოტაოდენი ფულიც. ერთად დახარჯეთ.

ტუსალიტბა მადლობის ნიშნად კნავილი და ბლავილი ასტეხეს.

ლამბალოს ქალაქის ფული ჩავლყარე კალთაში, ერთი ქალაქიც დარაჯს მივაჩრე ხელში და ითიმად დოულეს მივევარდი:

— სირცხვილია, ვალი... ასეთი საპყრობილე... მეოცე საუკუნეში... თქვენ ევროპაში ბრძანდებოდით...

— დამშვიდდით, მონ შერ ანი, ჯერ ერთი, რაც სხვაგან სირცხვილად ითვლება, ჩვენში სამარცხვინო არ არის. მეორე: დღეს ევროპაში მეოცე საუკუნეა, სპარსეთში კი მეშვიდე ან მეთორმეტე საუკუნეა. მესამე: ევროპული საპატიმროს შენახვა მდიდარ ევროპელებს შეუძლიანთ, ჩვენ კი...

— ბოდიში, მონ შერ ვალი, დიდი ბოდიში. თქვენს შანაურ საქვეში არ ვერევი, მაგრამ ლანბალო... მაშადი ჰასანი მაინც შეშინახეთ კარგად.

— კეთილი, ტრე ბიენ, მონ შერ. ბრძანებას გაცვიშ.

აღზად დანაპირევი არ შეპისრულა, თორემ ორი კვირის შენდეგ ლამბალო აღვილად აიტანდა იმ განსაცდელს, რომელიც გესლიანმა შედმა არგუნა.

\* \* \*

ერთი კვირის შემდეგ რამდენიმე დღით წითელი ჯვრის მოწინავე რაზმის სანახავად წავედი ტალაქ უწნეში. ურპიაში რომ დავებრუნდი, შტაბიდან ტელეფონით მომიკაზბეს. მერე ასეთი ტელეფონოგრაფია ჩამაბარეს:

„დღეს, თორმეტ საათზე, რუსულ მართლმადიდებელ მისიის ეზოში უნდა გაჯობილ იქმნეს თხუთმეტი მუსლიმანი ქრისტიანების დარბევისათვის. თითო დამნაშავეს უნდა დაჰკან ორმოცდაათი ჯობი. გიბრძანებთ აღნიშნულ ექვტეციას დაესწროთ და, თუ გარემოებამ მოიხზოვა, დასასჯელებს საექიმო დახმარება აღმოუწინოთ. კორპუსის სარდალი ჩერნოზუბოვი“.

უცვე თერთმეტი საათი სრულდებოდა. წამლები და შესახვევი მასალა ფელდშერს გავატანე მისისაში, მე კა ათი წუთის შემდეგ ითიმად დოულეს შეუვეარდი.

დაღვრემილმა ვალიმ ძლივს წამოიწია:

— ვუ სავე, მონ შერ ანი, — დაიწყო ირანის გლოვა ითიმად დოულემ, — აი, როგორ დაეცა ოდესღაც მრისხანე ლომი...

— შევლა შეუძლებელია? — გაეაწყვეტინე მე.

— დაგვიანებულია. ყოველივე გათავდა. გუშინ კონსულსაც და სერდარსაც ბრძანება მოუვიდათ პეტერბურგიდან, ხოლო მე თეირანიდან: ყველა დამნაშავე გაჯობეთო.

— მერე, მერე?



— მერე ვაპრობა დავიწყეთ. თქვენს მუშეთიდან პოლს ვერაფერს ვხედავთ. მონდომებინა ჯალათობა, არ გამოიკვირდებოდა. ჯერ მოითხოვს რაიმეს და მსხვერპლი. ძლივს-ძლივობით ჩამოვიყვანეთ თბუთმეტამდე.

შემდეგ გაჰბედა და სთქვა: თბუთმეტაში ის მოლლაც უნდა გავერიოთო.

— კაიდარ-მოლლა? — გავიკვირე მე.— მოხუცი კაიდარ-მოლლაც უნდა გაეჯობნა?!

— დიად, მონ შერ ამი, დიად. მოხუცებული კაიდარ-მოლლაც მოკვებოდა. ძლივს გავაგებინეთ და დავაჯერეთ, რომ ამის გამო სისხლი დაიღვრებოდა.

— მხეცი, ანაფორაში გახვეული მხეცი!

— მერე დაიქნა: თითოს ასი უნდა დავარტყათო. თქვენი ლაშქრის უფროსმა ექიმმა ძლივს დაარწმუნა, რომ მეტად მისუსტებულ ტუსალებისთვის ორმოცდაათივე ბევრიაო. ესეც დაგვითმო, მაგრამ აღვიღებ ახირდა: ან მისისის ეზოში უნდა გავეჯობოთო, ან დიდ მოედანზეო. მე დავუთმე. ჩვენს შერცხვენას მთელ ქალაქს ვერ ვაჩვენებდი. მუსლიმანებში დიდი მღელვარებაა.

გამახსენდა პატრულები. ელაქი სავსე იყო რუსის ჯარით. გორაკებზე ზარბაზნები აეტანათ.

— რაღა მე დამავალა ჩერნოზუბოვმა იმ ჯოჯობებში წილის მიღება?!— ამოვიკენეს მე— რა ჩემი საქმეა! გამოცდილი არა ვარ...

— თქვენ დაგვალათ?— მკითხა ითიმად დოღუმ და მწარედ გაიღიმა.— მესმის. არაფერც პოლის ნაკარნახევი იქნება. დეე მუსლიმანებმა გაიგონ, რომ მათი მოსარჩლე ვიჭრჯიც ურუსის სალდათია.

— მართალია, ეგრე იქნება, მაგრამ მაინც...

გალიაში დანწყვდელი და შეურყეველი მხეცივით ვეძებდი გასაძერენს, მაგრამ ვერ ვიპოვნე. თავი მომეფადმყოფნა? უშუღედან ერთი საათის წინ მზიარული დავბრუნდი. „გარდა ამისა, — გვკითხებოდი ჩემს თავს, — იქნება სჯობდეს კიდევაც უბედურთათვის ჩემი დასწრება. მე რომ უარი ვთქვა, იქნება ისეთი მხეცი ვინმე დანიშნონ, რომ უბედურება რამ დაატრიალოს“.

— მიძიმს ბრძანების შესრულება, ვალი, მაგრამ მეტი გზა არ არის. ასე გავიმავრე გული და ვალიც დავამშვიდი.

— ვალი, ქიომაც ელა-ა-ა, — ვალი გვიშველე! — მოისმა ამ დროს ქუჩიდან რამდენიმე ხმა.

ვალი გაფითრდა.

— ვალი, ქიომაც ვე-ე ვრ! — იგრაილა უკვე რამდენიმე ასეულმა ხმამ.

ითიმად დოღუმე თრთოდა. გაფითრებული შემოსტკეპროდა, თათქო ჩემგან მოელოდა რჩევას და შველას. მე აიგანზე გავიღე.

ქვეით თბუთმეტე ტუსალი იღვა, სპარსელ სარბაზების და ყაზახ-რუსების რკალით შემორტყმული. მოედანზე ათასამდე თათარი და სპარსელი შეკრებილიყო. აქეთ-იქიდან ჯგუფ-ჯგუფად კიდევ მობრბოვნენ.

ტუსალებში ლამბალოს მოგყარი თვალი. ძლივს ვიცანი. ოცი წლის პირტიკველი, ლავლაჟა თათარი ყვითელ სანთელივით დამდნარაყო. დიდრონ თვალებს



მანათებდა და თეთრ კბილებს აელვებდა. გამილიმა. მერე ისე ჩაიფიქვრეუხა თავი, თითქო მეუბნებოდა: ვაი დედასა, რა ბედი ერგო შენს „იოლდაშს“ ლამზალს! მერე ხელეზი კლაპტრებივით ამომიწვირა და ამომძახა:

— გიურჯი ყარდაშ, ქიომაგ ვერ, — ძმაო ქართველო მიშველე!

და ასიოდე ზამ უმაღლე გაიმეორა:

— გიურჯი აქიმბაშ, ქიომაგ ვე-ე-ერ!

მე უძღურების ნიშნად ხელეზი გავშალე.

გვერდით ვალის თანაშემწე-ყარგუზარი ამომიდგა. ისიც თრთოდა და თვალთავან ცრემლს იწმენდდა. იმის შემდეგ ათასთა ბღავეილი და გრგვინვა აღარ შეწყვეტილ:

— ვალი, ქიომაგ ელა-ა-ა!.. ვალი, ქიომაგ ვე-ე-ერ!..

— დაიშალენით... გაჩუმიდით... ასეთია შაჰინ-შაჰს ბრძანება... წადით.. დამშვიდდით... — სლუკ სლუკით ჩიფჩიფებდა აცახკახებული ყარგუზარი.

დარბაზში დაებრუნდი.

— აი, ხომ ხედავთ, მონ შერ ამი, — ბორძიკით წაიბუტბუტა ვალიმ, — ხომ ხედავთ აზოდენა ხალხს... ხომ გესმით მათი რისხვა და მუდარა... მაგრამ რა ექნა?.. მირჩიეთ, რა ექნა? ნონ, სე ტრო პურ მუა, სე ტრო, — არა, ეს ჩემთვის მეტის მეტია, მეტის-მეტი!

ორივე ხელი პირსახეზე აიფარა და მეორე ოთახში ლასლასით გავიდა.

მეც თავჩაღუნული წამოვედი. უჩინდნ კიდევ დიდხანს მომდევდა ხალხის ბღავეილი და მუდარა:

— ვალი, ქიომაგ ელა-ა-ა!.. ვალი, ქიომაგ ვე-ე-ერ!

ნაზიჯს მოვფმატე. თითქმის მოვრბოდე.

\* \* \*

მართლმადიდებელ მისიის დიდი ეზო სავსე იყო მორეკილ ქრისტიანებით, ყაზახებით, სარბაზებით და ჩაღრებით. შუაში დიდი მოედანი იყო დატოვებული. იქვე ერთ ჯვრულად იდგნენ წარმომადგენელნი ითიმად დოულესი, კონსტანტინის და ჩერნოზუბოვისა. სისხლიან „თამაშას“ მასპინძელს — მართლ-მადიდებელ ეპისკოპოსს, თავის მხრივ იმ გოლგოთის მთავარი ავტორი დაენიშნა — წითელი მაიმუნი, წითელ ჯალათად გადაქცეული ყაშა ლაზარე.

ყაშას ანაფორა გაეზადნა, ნიდაყვამდე დაემკლავნა და მთავარ ჯალათს პირველობას ეცილებოდა: ბრძანებას ბრძანებაზე გაჰკიოდა, გრძელ ხელებს წარამარად იქნედა, იორღით დარბოდა და იძახდა:

— გაშხადეთ!.. აქ დააწვინეთ!.. ზედ დაახედით... მაგრად დაიჭირეთ...

— არ დაიწყეთ, სანამ ყველას გულს არ გავუჩინჯავ. — განუუცხადე მე ეკლესიის გამგეს — ურზიის კომენდანტს, განკაცებულ მხეცს ბერეზოვსკის.

პასუხი ჯერ ყაშამ მომახალა:

— „ბარიშნები“ ხომ არ არიან, რომ არშიყობაც დაუწყეთ.



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

— საჭირო არ არის.—დაუდასტურა ბერეზოვსკიმაც.  
— თქვენ რას იტყვით?—გკითხე წარმომადგენლებს.  
— სულ ერთია... არ არის საჭირო... დაგვიანდება.—სთქვა კონსულის მდი-  
ვანმა ბაბალიანცმა.

— ვაცხადებ, რომ მე პასუხს არ ვაგებ, თუ რამ უბედურება დატრიალდა.  
— განვაცხადე მე.

გაწიშვლებული თათრები შუა მოედანზე გამოიყვანეს და ერთ რიგზე პირ-  
ქვე დააწინეს. თითოს სამი ასურელი მიუჩინეს: ორნი კისერსა და ფეხებზე  
დაასხდნენ, ნესამემ ჯობი მოიპარჯეა.

ლამბალო ისევ ილიმებოდა. სანამ პირქვე დაწვებოდა, რამდენჯერმე შე-  
მომხედა, მაგრამ თვალი ვერ გავუსწორე.

— რაღა ასურელებს დაავალეს ჯალათობა?—გკითხე ვალის მოხელეს.

— ასე ინება ურუსებზე მუშტეკადმა. ურუსებმა არ იკადრეს, მუსლიმანებს-  
კი არ ენდნენ, მაგრად არ დაჰყრავთო.

ჩაეიბუტბუტე:

— უაჰამ დაარჩია ჯალათები. ამათი ერთი დაკვრა ჩვეულებრივის ორს  
უღრის.

— რა თქმა უნდა. თითოს ორმოცდაათი აპატიეს, მაგრამ ნაპატიევები  
სხვანაირად აინაზღაურეს.

კომენდანტიმა ბერეზოვსკიმ დაიძახა:

— აბა, დავიწყეთ!

ერთი თათარი მოხელე მიწაზე ჯვარცმულ თათრებს თავთ დაადგა.

ჯალათებმა ჯობები აღმართეს.

— ბი-ი-ირ!—გრძლად წესძახა იმ თათარმა და აშვერილი ხელი დაიჭნია.  
თხუთმეტმა ჯობმა ზულით გასჭრა პაერი.

იმავე წუთს მიწიდან თხუთმეტის გმინვამ და ყმუილმა ანოხეთკა.

— ბი-ი-ირ!—ერთხმად გაიწეორა თხუთმეტმა ჯალათმა და თხუთმეტი ჯო-  
ხი კვლავ აღიმართა.

— იქი-ი-ი!—დაიძახა თათარმა და აწეული ხელი მეორედ დაიჭნია.

გმინვამ და ღრიღმა კვლავ გასტენეს მართლმადიდებელთა ეზო და შე-  
ნობები.

— იქი-ი-ი!—გაიმეორეს ჯალათებმა.

მერე ერთმანერთში აირია ჯობების სისინი, ლაწუნნი, კივილი, გმინვა,  
მთვეულის კარხები და ჯალათების გამოძახილი:

— უ-უ!.. დო-ო-ორთ!.. ბე-ე-ე! ალთი-ი-ი!

თათრები თვეულებივით ფართხალებდნენ. მათი ხორცი ჯერ წითლად დაიზო-  
ლა, მერე შელურჯდა, აბურცდა და დასკდა. ზურგები, ვაგები და ბარკლები  
სისხლით მოერწყოთ და აეკებათ.

კომენდანტი ბერეზოვსკი პაპიროსს ამოლებდა და ისე არხეინად სცემდა  
ბოლთას, თითქო საკუთარ ბალში დასეირნობდაო.

ვალის მოხელე უღვაშებს იკენეტდა და შენობების კედლებს ათვალიერებდა. კონსოლის მდივანი ბაბალიანცი ფრჩხილებს იპრილებდა.

ჩერნოზუბოვის მხლებელი ლაკრონის ჩექმების წვერებს ისინჯავდა.

თხუთმეტის გმინვა ყაშა ლაზარეს ძლევაბოსილმა კიყინამ შთანთქა. პირველივე დაკვრახე თვითონაც ისე აფრინა, თითქო თხუთმეტი ჯოხი იმ თათრების მაგივრად წითელ ყაშას მოხვდაო. მერე აცქმუტდა და ახტუნდა. გრძელ ხელებს და მოგრებილ ფეხებს უცნაურად იწვევდა, წითელ წვერს აცანცარებდა და გიყვივით ხითხითებდა. ჯალათები რომ ჯოხებს აღმართავდნენ, ყაშაც მარჯვენა ხელს ჯოხივით აჭუშეკავდა, თვითონაც აისვეტებოდა და უცნაურად გაიზრდებოდა. ჯალათები რომ ჯოხებს დაიქნევდნენ, ყაშაც აშვერილ ხელს ჯოხივით წამოიღებდა და ისე მძლავრად დაუშვებდა მიწამდის, თითქოს ერთი დაკვრით მთელს მუსლიმანობას თავს უქექუყავდაო. მერე ისევ გასწორდებოდა და ჯალათებთან ერთად დაიქუხებდა ხოლმე:

— ბიირ!.. იკიი!.. უუუჰ!.. დოჰუუჰ!.. ოოონ!..

ყაშა უფრო ლამბალოს დასტრიალებდა. მან მიუჩინა მაშადი ჰასანს ახოვანი ჯალათი და მანვე ჩასჩარა ხელში იმ ჯალათს სქელი და მაგარი ჯოხი. თავიდან ისე მძლავრად სცემდა, რომ ერთი მისი ნაკრავი სხვების ორს უდრიდა. კომენდანტს იმ ჯალათზე მივუთითე:

— ის კაცი მეტად მძლავრად ურტყავს. ჯოხიც მეტად სქელი აქვს. ის თათარი ვერ გაუძლებს.

— კისერიც მოუტეხნია, თუნდ ეხლავე გაფუშეოს ფეხები.—მომიგდო ბერეზოესკიმ.

— მე ნოვითხოვ, რომ იმ ჯალათს ჯოხი გამოუტყვალოთ.—ამოვიხრიალე მე.

— თქვენი საქმე არ არის, როცა მოკვდება, მერე მოუარეთ.—მომიჭრა გესლით. მერე გატრიალდა და არბეინად გააბოლა.

უცებ მკორე სართულის სარკმელში იისფერ ანაფორას მოგვარი თვალი. მართლ-მადიდებელ კაიაფას მკლავები მკერდზე დაეწყო და ფაფუკი ხელით ლამაზ წვერს უალერსებდა. ჩვენი თვალეში ერთმანერთს შეხედნენ. არ მახსოვს, რა ეწერა ჩემს პირსახეზე, ეპისკოპოსი პავლე ელდანაკრავივით მოსწყდა სარკმელს.

თათრები წყლანდელივით აღარ იგრინებოდნენ. მათი ფართხალი თანდათან კლებულობდა. ყვირილისა და ბლავილის შემდეგ ჯერ აგმინდნენ, მერე ბკუნესდნენ, ბოლოს ხრიალი ამოუშვეს. მათი ბორცის ნაფლეთები და სისხლის წვეთები აქეთ-იქით სცვიოდა.

— ონ საჰიზ!.. ონ დოჰუუჰ!.. იგირმი!—სთვლიდნენ თათარი, ჯალათები და ყაშა.

ლამბალო სხვებზე აღრე ახრიალდა. მერე გაჩუმდა. კუნძივით ეგდო, არც ერთ კუნთს აღარ ანძრევდა.

— შესდექი!—მივამახე ლამბალოს ჯალათს და მაჯაში მიეწვდი.



იმავე წიამს ყაშა ლაზარე ორივეს დაგვეჯახა. ჯალათს ჯოხს [გამოიჭრა] და, ორივე ხელით აღმართა და დაფლეთილ ლამბალოს სეტყვისასკენ დაეწინა, თხე-  
სა, კისერსა და ხერხემალში გააფთვრებით სცემდა და ღმუთოდა:

— ვოტ ტებე! ვოტ ტებე! ვოტ ტებე!

— ბატონო კომენდანტო, — შევძახე ბერეზოვისკის, — გააჩერეთ ეს გიჟი, თორემ ამ ადამიანს მოჰკლავს!

კომენდანტმა ჯერ გაიღიმა, მერე ყაშას ურჩია:

— ყაშა ლაზარ, გვეყოფათ.. აკმარეთ,

ყაშამ ბერეზოვისკის დარიგება ვერც კი გაიგო. იმის ჯოხს ლამბალოს თავზე კვლავ ჩახუნი გაჰქონდა.

თვალთ დამიბნეულდა და გონება დამებურთა. ორივე მუშტი მძლავრად დავატაკე ყაშას მკერდს და გაჯალათებული მღვდელი მიწაზე გავშოტე.

უმაღლე წამოდგა და ჯოხი მომიღერა. აღარ დავაქადე: ხელი ჯოხს შევაშველე, გამოვგლიჯე და შორს გადავისროლე.

გამგელელებული ყაშა ისევ გამოქანდა, მაგრამ ჩაფრებს და სარბაზებს ჩაუვარდა მკლავებში. ჩემსკენ იწეგდა და გაჰყოდა:

— გამიშვით!.. დაჰკარით!.. ეგეც მუსლიმანია!.. უწმინდურია!.. პერსიუკია!..

— იგირში დორთ... იგირში ბეშ... — სთვლიდნენ ჯალათები.

— ტურ! იეთარ! — შესდევით, კმარა! — დაიძახა მთელელმა.

ჯალათებმა მუშაობა შესწყვიტეს. მე ლამბალოს დავსწვდი. ფელდშერი დანარჩენების მოსულიერებას შეუდგა.

ასურელები რკინის კასრებით წყალს ეზიდებოდნენ და გულწასულ თათრებს ასხავდნენ.

ლამბალოს გულისცემას ყური ძლივს მოგკარი. მაჯა ოდნავ ჰვეთქავდა. პულსი ორმოცსაც ვერ აღწევდა.

გავიდა ხანი. ლამბალოს გარდა დანარჩენნი მოსულიერდნენ.

— აბა, დავიწყეთ! — განაცხადა ბერეზოვისკიმ.

— ეს მუღიმანი ველარ აიტანს ოცდახუთ დაკვრას. — ვუთხარი კომენდანტს და ლამბალოზე მივუთითე.

— სტყუის, სტყუის! — აკივდა ყაშა. — ეგ თათარი ამ ექამის მეკობარია, ამიტომ ესარჩლება. მე ნებას არ ვაძლევთ, ბატონო ექიმო, ნებას არ ვაძლევთ

— მე თქვენ არც ვთხოვთ ნებათთვის, ყაშა ლაზარ. მე ხელისუფალთა წარმომადგენლებს ველაპარაკები.

— მე კი მათი მაღალ ღირსების წარმომადგენელი ვარ. რადგან ეს უწმინდურნი ამ წმინდა სახლში ისჯებიან, ამიტომ აქ ბატონ-პატრონიც მე ვარ. ნებას არ მოგცემთ მეთქი!

ვალს მოხელემ ძლივს გაალო პარი. სხვემაც ხმა ამოიღეს. ლამბალოს სასჯელის შესრულება იმის მოსულიერებამდე გადასდეს.

— ბირ!.. იქი!.. უ!.. — დაიწყო თავიდან თათარმა.

— ბირ!.. იქი!.. უ!.. — მიჰყენენ ჯალათებიც.



კვლავ აბლავდა თოთხმეტი თათარი, ბლავილს ისევ გმინებდა მუხრანის გზისაკენ კვლავ კენესად გადიქცა.

— ტაკ ევო! ტაკ ევო!—ისევ გაჰკიოდა ყაშა და კვლავ უცნაურად იკლანტებოდა, იგრინებოდა, დახტოდა და ხითხითებდა.

ექიმი ვიყავი და ყაშას სენი მალე ვავიგე: იქვი არ მქონდა, რომ წითელი ყაშა სადისტი იყო.

— ონ ბეშ!.. ონ ალთი!.. ონ იედლი!..—ითვლიდნენ ჯალათები.

თათრებმა ხრიალი ამოუშვეს.

საუბედუროდ, ლაშხალომ თვალეზი გაახილა. ჯერ გონს ვერ მოსულიყო. მერე მიცნო და გაშიღიმა.

— ლაშხალო, თვალეზი დახტე.—ჩაჩქურჩულე ჩემს „იოლდაშს“,—თვალეზი დახტე მეთქი... გონს ნუ მოდიხარ.

ლაშხალომ ჩემი ნათქვამი ვერ გაიგო.

— არ გესმის, შე უბედურო! თვალეზი დახტე მეთქი. არ გაინძრე, თორემ...

— მოსულიერდა, მოსულიერდა!—ჩემს ყურთან დაიძახა ამ დროს ყაშამ.—ურაა, მოსულიერდა! აბა, ჯოხი!

— იგირში დორთ... იგირში ბეშ... ტურ, იეთარ! ყურთულდი,—შესდექი, კმარა, გათავდა!—შესძახა მთვლელმა...

მეც მივმშველე ფელდშერს. რამდენიმე თათარი ხიფათში იყო ჩაეარდნილი. დასჯილთა ნათესავები ეზოს კარებთან იდგნენ. მოსულიერებულნი თითო-თითოდ გაჰქონდათ და ნათესავებს აბარებდნენ. ქუჩაში ტირილი და წყველა-კრულვა ასტყდა.

ყაშა გაკაპასებულ მუსლიმანურ ბრბოსკენ იწევდა, მჯილს უჭნევდა და ემუქრებოდა:

— დონდუზლარ, ითლარ, ღორებო, ძაღლებო, უწმინდურებო! არც ეხლა დაიჯერებთ ურჯსების და ქრისტიანების ძალას! ეს ერთი ხომ მიიღეთ, ათასი კიდევ იქნება! დაიკარგეთ აქედან, თქვე წუნწკალებო, თქვენა!

სანამ ყაშა იგინებოდა და იმუქრებოდა, მე ლაშხალოს გადაარჩენას ვლამობდი. კომენდანტს და სხვებსაც ვაჯერებდი:

— მართალია, მოსულიერდა, მაგრამ მეტის-მეტად დასუსტდა. შეხედეთ, რამდენი სისხლი დააკვდა. ოცდახუთ დაკვრას ვერ აიტანს. მოკვდება.

— მოკვდეს.—არხეინად განაცხადა ბერუზოვსკიმ. მერე დაუმატა:—ნიძლავს დაედებ, რომ ადვილად აიტანს. სხვებზე ჯანმრთელი მოსჩანს. თუ ყაშას მოერიცა..

— მართალია, მართალი!—მოვარდა ამ დროს ყაშა.—ეს ძალე მამინ იმიტომ მომერია, რომ დაღლილი და დასუსტებული ვიყავი. მაინც ღონიერი ღორია, ამიტომ მე ნებას არ მოკცემთ, რომ..

— მე ექიმი ვარ და საქმე მე უნდა გადავწყვიტო.—მტკიცედ განვაცხადე მე.—მე ზამაღლა ვაცხადებ, რომ ადვილად შეიძლება უბედურებით დასრულდეს ვაჭვეშკია.



ყაშამ და კომენდანტი თავეიანთი დაიყინეს. კონსულის მდივანე ზაბალოან-ციც მიემხრო.

— აბა, დაიწყეთ!—ბრძანა უკვე მთვლელმა.

— მე გიცხადებთ, ბატონებო, რომ ამ საბრალოს სიცოცხლისთვის პასუხს თქვენ აგებთ ღვთისა და კანონის წინაშე.

— კეთილი.—დამეთანხმა ზაბალიანცი.

— ღვთის წინაშე?—გაოცდა ყაშა.—ხო ხო-ხო! მე ვაგებ პასუხს, მე! ამ ურჯულოს სული არა აქვს, ამიტომ ღმერთი ამას არც კი გაიხსენებს. აბა დაიწყეთ!

— მე ცხარე გულისწყრომას ვაცხადებ იმის გამო,—ერთხელ კიდევ მივმართე უკულო ჯალათებს,—რომ თქვენ ეჭიმიხ საჭმეში ჩაერიეთ. არ მესმის, მაშ რისთვისა ვარ აქ გამოგზავნილი?

— დაიწყეთ მეთქი!—ჩემს მაგივრად მთვლელს უპასუხა ბერეზოვსკიმ. მერე მე მომიბრუნდა:—არც მე მესმის, რისთვის მოსულხართ ამ ეზოში?

რა უნდა მექნა? ებღაც ხშირად ვეკითხები ჩემს სინიდიხს, რა უნდა მექნა მეთქი? თავი დაჰენებებინა ლამზალოსთვის, მიმეგდო მშიერ ჯალათებისთვის და წამოვსულიყავი? ასეთი საქციელი არც სინიდიხს დამამაშვიდებდა, არც განწირულ ლამზალოს ვადამირჩენდა. მაშ რა უნდა მექნა, რა? არაფერი. დავა გათავებული იყო. გზები მოჭრილი მქონდა. ბრძოლა წაევაგე. ისევე ის უნდა მექნა, რაც ვქენი: დაერჩი და ეჭიმიხს და მეგობრის ვალი ზოლომდე მოვიხადე.

— ბიიირ!.. იქი-ი-ი!.. უ-უჰ!—ითვლიდნენ მთვლელი, ყაშა და ჯალათი. რომელსაც ყაშამ ისევე წელანდელი ჯოხი ჩასჩარა ხელში.

მათი მალალ ღირსება, იისფერი ანაფორა ერთხელ კიდევ გამოჩნდა სარკმელში.

ვალის მოხელე ებღა ერთ ფანჯარას მიაჩერდა.

კონსულის მდივანი ზაბალიანცი ფრჩხილების მაგივრად კბილებს იწმენდავდა. კომენდანტი ისევე ბოლთას სცემდა და აბოლებდა.

ყაშა დასაბმელი გახდა. სიხარულით თითქმის ყირამალა დგებოდა და... წერილი ხმით წკმუტუნებდა:

— Ничавоор, голубчик, ничавооо. Сладко, а? потерпи, миленький, потерпнии.

— ონ ბირ... ონ იქი... ონ უჰ...—კვლავ ითვლიდნენ მთვლელი და ჯალათი ლამზალო კი წკმუტუნებდა, ბრიალებდა და იგრებებოდა.

უცებ შორეული და მივიწყებული სურათი გამახსენდა.

ბავშვი ვიყავი, ოთხი თუ ხუთი წლის ბავშვი. ჩემს მეზობელ გლეხს ბოძზე საბელით ძაღლი მიემა და სქელ ჯოხს უწყალოდ ურტყამდა. სისხლით მოსერილი და დამტვრეული ძაღლი შესაზარათ და მიბნედილი ხმით ყბუოდა და წკმუტუნებდა, თან მიღეულ თვალებით გლეხს თვალეზში შესცქეროდა და უძირო მუდარით შენდობას ევედრებოდა. მაგრამ გლეხი ბრმა და გულდაშხული იყო.



არც ძაღლის თვალებს ხედავდა, არც იმისი ხეყუნა-წყმუტური ~~ქაჩოდა~~ ~~შეცვლა~~ ~~ეხილავდა~~ ~~ხედავდა~~ ბრაზით სცემდა და უცნაურ რასმეს ჰბოდავდა.

იღუმალმა ძალამ ძაღლზე მიმაგდო. ჩემის ტანით ჩამტვრეული ნეკნები დაფუფარე, ორივე ხელით კისერზე მოვებზევ და მეც გლებს შევლაღადე:

— ეყოფა, ძია, ეყოფა!.. ეყოფა... ეყოფა...

გლები შესდგა. ძაღლმა წყმუტური დააღბილა, სისხლიან ენით მლოკავდა და ბავშვივით სლუკუნებდა. მეც ვტიროდი და ისევე ჩემსას გავიძაბოდი:

— ძია, ცოდოა... ცოდოა... ეყოფა, ეყოფა.

გლებმა ჯობი დააგდო და მოგვშორდა. ჩვენ კი,—მე და ძაღლს—ერთმანეთის აღერსა და ტირილში მალე ჩაგვეძინა. როცა გავიღვიძე, ძაღლი უკვე მომკვდარიყო. ჩვენს ბაღში გადმოვათრიე, მიწა გავათხრევიე და დავმარბე. უოველ დღე ლიტრით წყალი მიმქონდა და ძაღლის საფლავს ვრწყავდი, მოკლულს წყურვილს ვუქრობდი და ვიცრემლუბოდი.

— ონ ბეშ... ონ ალთი... ონ იედლი...

ორმოცი წლის დამარბული ამბავი სამარბიდან წამოდგა და განმეორდა ეხლაც ვილაკამ ან რაღაცამ ხელი წამკრა. უმაღ ლამზალოს გადავფუფარე და ჯალათის ჯოხს შევწვდი.

— კარა!.. ვეყოფათ!.. ლამზალო კვდება!..

ჯალათი შესდგა. მთვლეელიც გაჩუმდა. მაგრამ ყაშამ ჯალათს ჯობი გაიასტაცა და მიხრწნილ ლამზალოს წელანდელივით დაუშინა, თან გაჰკიოდა:

— იგირმი!.. იგირმი ბირს!.. იგირმი იქი!..

გამწარებულნი, ისე დავეტაკე ყაშას, რომ ხუთ ნაბიჯზე წატორტმანდა და გაიშალა, ბერეზოვსკი და ჯალათები შემომეხევიენ.

— დამშვიდდით, გოლუბჩიკ, დამშვიდდით.—მაწყნარებდა კომენდანტი. მერე ყაშას მიუბრუნდა:—ყაშა, გაათავე!

ყაშამ ერთ წუთში გაათავა:

— იგირმი უჩ!.. იგირმი დოროთ!.. იგირმი ბე-ი-ეშ! გათავდა! ეხლა წაიყვანოს და უწამლოს!

დოინჯი შემოიყარა და მძლევის სიცილით ჩაიხითხითა.

დიდხანს ვეძებე ლამზალოს მაჯის ფეთქვა და გულსიცემა. ვერ ვიპოვნე. ვილაკამ სარკის ნაჭერი მომაწოდა. არც ნაორთქლი მოსჩანდა.

ლამზალო მოკვდა.

წელი ძლივს ავითრიე და მკვლელებს თვალი გადავაველე. ჩემს განაჩენს მოელოდნენ.

— ნუ-უუ—შკითხა ბერეზოვსკიმ.

ძლივს ამოვიხრიალე:

— მოკვდა.

— კადვე კარგი, რომ ჩემი ნიძლევი არ მიიღეთ,—წაიბუტბუტა კომენდანტი,—წაეგებდით.

მერე გატრიალდა და ეზო დინჯად გადასკრა.



— Ах, чорт!—სტეჟა ბაბალიანცმა და კომენდანტს გაჰყვა  
 ყაშამ წითელი თავი მოიფხანა და თავისთვის წაიბურტყუნა:

— Вот свинья! თავის სახლში მაინც მომკვდარიყო ეს უწმინდური.  
 მერე გასწორდა და გული გაიმაგრა:

— თუმცა, наплевать! ძალს ძალღური სიკვდილიაო.

თითქო ტვინში ნაკვერცხალი ჩამიგდესო;

— ყაშა!.. ყაშა ლაზარ!—ვიფეთქე და ყაშას წავეტანე, მაგრამ არ და--  
 მიხვდა: უმაღ ზურგი მაჩვენა და მახლობელი კარი შეიანგრაია.

ასურელებს გადაეხედე. ყაშას გაქცევის გამო ყველანი ილიმებოდნენ.

— მხეცია, —ჩაიბურტბურტა ერთმა.

— ამ თათრების ჯავრს ჩვენზე ამოიყრიან.—სტეჟა შეორემ.

— ძალიან დავაწავეთ, რომ გამოვყვეით.—ჩაურთო მესამემ.

მივიხედ-მოვიხედე. არც კონსულის მდივანი სჩანდა, არც კომენდანტი და  
 აღარც ჩერნოზუბოვის მხლებელი. ვალის მოხელე ისევე უღვაშებს იკვნიტდა.  
 ერთხელ კიდევ განახსენდა უკუწეთს მიმავალი რაში. მაგრამ ეხლა იმ  
 რაშზე მიდიელის მაგიერ მიდიელი, მიხრწნილი და მოხრილი სპარსა იჯდა.

\* \* \*

მეორე დღესაც ყოველდღიური ჩვეულება გავიმეორე: რიგაზე ცხენს  
 მოვაჯექი და დილმანის დიდ გზას დავადექი.

მარძივანის, შიხანის და აღ-დაგის მთების ნაოკებში მკრთალი იისა და  
 ლილის ფერი ნისლი წივს, ხოლო მწვერვალებს მიწითალო ლეჩქაქები წამოუ-  
 ბურავთ.

ურშიის ტბა ლეინონარეც რძის ჰავს. მაღლად ასვეტილ ყოიუნ-დაგის და  
 შაპ-დაგის კუნძულებს თავზე ცეცხლის გვირგვინები დაუდგამთ, ხოლო მცირე  
 და დაბალ კუნძულაქებს სქელ ბურუსში დილის ძილით სძინაეთ.

სოფლები ფურჩუნებენ. ისმის ფრანველთა ფრინვა, ბატების ყიყინი, საჭონ-  
 ლის ბლავილი, აქლემების და ვირების ყრუყინი.

გზაზე კანტი-კუნტად მოსჩანან თათრები და ასურელები, რომელთაც  
 ურშიის ბაზარზე დილის სანოვავე მიიქვთ.

მარტო მივდივარ. მხლებელი არ წამოვიყვანე. დასვენებული ცხენი ლა-  
 გამს ღრღინს და მხიარულად ფრტუნებს. ჩოროზე ლამობს გადასვლას, მაგრამ  
 თავს ვუჭერ და ნაბიჯით მიშყავს.

უკნიდან ჭიხვინი მომესმა. ჩემმა ცხენმა ზეიხვინით უქასუხა. მივიხედე.

მოსახვევში თეთრი ცხენი თოხბარკით მორბის. წითელი ცხენი ხუთიოდე  
 ნაბიჯზე მოსდევს. ცხენებს შუაში ვრძელი და კუმბოს მზგავსი საკაცე ჰკიდიათ.  
 ტილოთი შეხვეული და კანაფით შეკურული. წინა ცხენს გვერდით ჩანჩალით და-  
 ფარფატით წვერწელებილი, მოკუხული თათარი მოსდევს. მორბის ბებერი თა-  
 თარი და ღრიადებს:

— ჰა, ჰა!.. ჰა, ჰა!



მეორე მხარე  
მეორე მხარე

მეორე ცხენი პატარა ბიჭს მოჰყავს.

ცხენებს მოშორებით ორი დედაკაცი მოსდევს,—ერთი ლასლასით, მეორე უფრო მარდად. ლასლასით მომავალს ჩადრი მხრებზე ჩამოჰყარდნია, მეორე კი შუბლამდე შეეშია გაბეფული.

მორბიან დედაკაცები, ქვითინებენ და გაჰკვივან:

— ჰასააან!.. ჰასააან!..

ჩადრახდელი წატორტმანდა და დაეცა. მეორე მიეშველა და ძლივს წამოაყენა.

— ჰაი ქიში, იაეაშ,—კაცო, მოიცა!—ხრინწით იძახის ჩამორჩენილი მოხუცი დედაკაცი.

— ჰასააან, დამიცადე!—კივის ჰასანის „ყიზი კულა“.

მაშადი იზნათმა ცხენები შეაყენა და ორივე ხელით ოფლი მოიწურა.

ლამბალოს „ანა და არვადი“—დედა და ცოლი ძლივს მოდიან და კვლავ ხრიბალებენ:

— ჰასააან!.. ჰასააან!..

— თუ ელა,—დააქარე,—უფვირის მაშადი იზნათი და ცხენებს კვლავ თოხარკით მოარბეინებს, რადგან ცხედარი ერთ ალაგადან მეორემდე, იჭაურის წესით, სწრაფად უნდა გადიტანონ.

„ანა“ და „კულა-ყიზი“ ისევ სირბილით მოსდევენ შესუდრულ ლამბალოს, რომელიც ებლაც ისე იგრიბება და ბტუნავს, როგორც გუშინ.. იქ.. მართლმადიდებელთა ეზოში.

ცხენი შევაყენე და ქუდი მოვიხადე.

მოხუცი დედაკაცი ერთხელ კიდევ წაიქცა:

— ჰაი ქიში, იაეაშ, იაეა აშ,—კაცო, მოიცა, მოიცადე...

მაშადი იზნათმა ცხენები და ლამბალოს ცხედარი ჩემი ცხენის წინ შეაჩერა.

— მაშადი იზნათ...—დავიწყე ათრთოლებული ხმით და გაეჩუმდი. ენა პირში ჩამივარდა. სიტყვა ველარ ვიპოვნე. ან რას ვეტყვადი? რა უნდა მეთქვა?

თავნაღონული იზნათი მიწას დასცქეროდა, მძიმეთ ზენეშოდა, მჯილით ცრემლს იწმენდდა, მერე იმავე მჯილს გაღვლილსა და ჩაშავებულ მკერდზე იბაგუნებდა და გაუკებარს ბურტყუნებდა.

ველარ მოვითმინე და მაინც წავიბუტბუტე:

— მაშადი იზნათ, ალლაჰმა უწყის, რომ ჩემი ბრალი არ არის. ვცადე, მაგრამ..

— ბილერამ, ალა, ბილერამ,—ვიცი, პატონო, ვიცი.—სალამათ ოლ, სალამათ. ალლაჰ სანა ხეირ ვერსინ.—შშვიდობით იყავი, შშვიდობით. ალლაჰმა ხეირი მოგცეს.



ცხენები ისევ თოხარიკით დასძრა და თვითონაც ჩანჩალობით გააქცა, ორი დედაკაცი კი იქვე დარჩა.

ლამბალოს დედა დაღუნულიყო და წინდას ან ჩუსტს ისწორებდა. ბოლო ზეკია ყიზის, ლამბალოს „კუტლას“ ჩადრი ჩამოეხსნა და ცრემლით სავსე ბავშვური თვალებით ისევ მიცქეროდა, თითქო მეკითხებოდა: ხომ არაფერი იცი? სათქმელი ხომ არაფერი გაქვსო?

ბევრი ვიციოდი. სათქმელიც მრავალი მქონდა, მაგრამ... რა უნდა მეთქვა ბავშვი-ქვრივისთვის შარა-გზაზე, ისიც იმ დროს?

— გედაბ, — წაფიქვით. — სთქვა მოხუცებულმა და ლასლასით გაიქცა.

ზეკია-ყიზიმ ერთხელ კიდევ შემომანათა ნაძტირალი შველის თვალები. მერე ჩადრი მოიბურა და დედამთილს გაჰყვა.

დედასანს ვუცქეროდი თოხარიკით მიმავალ ცხენებს და ფრიალა ჩადრებს. გახუნებული ჩადრი ერთხელ კიდევ წაიქცა. ცხენები ერთხელ კიდევ შესდგნენ. მერე ყველანი ლობებს მიეფარნენ.

ჩემი ცხენი დაეძარი. მოვდიოდდი და ყურებით და გულით კიდევ დიდხანს მომქონდა ლამბალოს დედის და ქვრივი ზეკიას ქვითინი:

— ჰასა ა ანი.. ჰასა-ა-ანი..

ასკერაბადში მივდიოდდი. ჩენი ბალი ჯერ შორს იყო. მაგრამ...

ცხენი მოვატრიალე და გაქანებულის ჩოროთით წამოვიყვანე.



ასკერაბადში ვარ. ლამბალოს მაგიერ ბალს და ბოსტანს მაშადი იზნათი უვლის, მაგრამ ლამბალოსავით სამკურნალოში არ დადის და ხილი არ მოაქვს. ყოველ დღე სანიტარი ამოდის და ბოსტნეულობა და ხილი ორთვალათი ჩამოაქვს.

მაშადი იზნათი არსად მოსჩანს. სახლი დაკეტილია...

შუადღე გადასულია. ცხელა. ნიადაგს ალმური ასდის. ყოველი სულდგმული ჩრდილს ეძებს.

მეც ჩრდილი მოეძებნე: აივანზე გავედი და ბანამდე აცოცილ ვაზებს ამოვეფარე. მე დამალული ვარ, მაგრამ ჩემთვის დადი მანძილია გაშლილი. ვხედავ გზას, მთის კალთებს და სოფლებს. სამივე ბალიც კარგად მოსჩანს: მაშადი იზნათის, ჩენი და მართლმადიდებელთა მისიის.

მაშადის შენობები სპარსულ წესზეა აგებული: მეტად მაღალი თიხის გალავანი აქვს გარს შემორტყმული. იგი სახლებსაც და ეზოსაც ჰშადავს.

მისიონერთა ბალის ძველი შენობა ხელის გულზე სდგას. დაბალი ბუჩქნარი ქამარიკით აკრავს გარსშემო. ყაზა ლაზარე აქაც სცხოვრობს და ურჯიანშიც ეხლა სად არის — არ ვიცი.

ხის სკამზე დავეშვი და პაპიროსი გავაბოლე. ირგვოვე ცხელი ღლის სიჩუმე სდგას. ხანგამოშვებით მხოლოდ საღამურის სტვენა იმისი, — მოკლე, ნაწყვეტიანი, სედიანი.



კარგა ხანმა გაიარა, ბოლოს, მაშადი იზნათიე გამოჩნდა. ლობის დაყოლებზე ფეხაკრეფით მოდიოდა და წნორის წყალას აქა-იქ უჩიკინებდა, თითქო რალაკას ეძებდა. ზოგჯერ თავს მალა აიღებდა, იქაურობას ისე მოათვლიერებდა, თითქო ვინმეს უფრობოდაო.

შესდგა და მიბრუნდა. უბიდან სალამური ამოიღო და ააკაქანა. წელანდელი კილო ვიცანი: უცნაური და გაუგონარი, თითქო ერთი ფრინველი მეორეს უძახისო. მერე სალამური ისევ უბეში ჩაიღო, ხელები წინ გაიშალა და ისე დაიწყო ქნევა, როგორ ჰაპნოტიზიორი იქნევს, როცა ვინმეს აძინებს, თან უკან უკან მოდიოდა და გაუკებარ სიმღერას ბუტბუტებდა. მოხუცის ბოდვა არ მესმოდა, მაგრამ ორიოდ სიტყვას და ხმას მაინც რამდენჯერმე მოგვარი ყური:

— ა ა-აჰ, ილან ილანი... ჰა-ა-აბათი ბათი... თიბა-თიბათი... აათი ბათი...

სიტყვა „ილანი“—გველი რომ გავიგე, ბუნდოვანს რასმეს მივაგენი.

გამახსენდა საწყალი ლამბალო. ერთხელ სამკურნალოს ბაღში სანიტარმა გველი მოჰკლა. ლამბალოს მოკლული გველი ენახა. მოვიდა და მითხრა:

— ალა, აქ გველი გყოლიათ. თქვენი დიასახლისი „სესტრა“ ჩივის, დაკეტილ ოთახიდან რქე იკარგებაო. გველები სქამენ. მამა ჩემი „ილან ოჯახია“, კარგად იცის მცურავთა წამალი.

ლამბალოს ნათქვამს მაშინ ყური არ ვათხოვე, ეხლა კი მისი სიტყვა გავიხსენე: მამა ჩემი „ილან-ოჯახლიდი“,—გველის-ოჯახელიაო.

გაეფიქრე: „ალბად გველი ვახშირდა ბაღში და...“

მინდოდა გამოვჩენილიყავი, მაგრამ შევსდექი და უფრო მეტადაც დავიმალე: გამახსენდა მაშადი იზნათის სიფრთხილე და თვალების ცეცვა. ცხადი იყო, რომ „ილან-ოჯახია“ უცხოს ერიდებოდა.

მოხუცი თათარი ისევ სალაურს უკრავდა და ნელ-ნელა მოდიოდა. ბოლოს, ეზოში შემოვიდა და სამკედლიან დაწულ ფარდულში შევიდა. რა ხდებოდა აქამდის მაშადი იზნათის გარსშემო, ვერ ვხედავდი, რადგან მალა ბაღში მოდიოდა. ეხლა კი დავინახე.

ბალახებიდან მოწმენდილ ალაგზე ჯერ ერთი გველი გამოცოცდა,—წრილი, მოკლე, ნაცრის ფერი. მერე მეორე მოჰყვა,—მაჯის სისქე, სამკედლიანი, შავ-წითელი; ყვითელ ხალეზიანი. მერე გამოვიდნენ და გამოლაგდნენ: ლურჯები, ყვითლები, შავები, წითლები და ჭრელები. თავები მალა აეწივნათ და ისე ჩაიციებოთ უფრებდნენ სალამურს, თითქოს უცხო ჰანგით მოხიბლულ-დაბანგულები იყვნენო.

ფარდულის შუაში ვარკლი და სელის ტომარა დავინახე. ვარკლში რქე იდგა. მაშადი იზნათი ცალის ხელით სალამურს უკრავდა, ხოლო მეორე ხელით ჯიბიდან რალაკ ნაფხვენს იღებდა და ვარკლის გარსშემო ჰყრიდა. ხუთიოდე ადლის სიგანეზე იღუპალი წრე შემოავლო, თვითონ იმ წრეში ჩადგა და ჰანგი გამოცვალა.

სვედიანის მაგიერ ეხლა სწრაფს, მყვირალს და მოუსვენარს რასმეს უკრავდა, თითქო გველებს აღიზიანებდა და ბრძანებას რამეს აძლევდაო.



მცურავები გამოეხიზლდნენ, აღელდნენ და გაკაპასდნენ, ალყისკენ მოეხვივნენ, ყალბზე ადგნენ და ატორტმანდნენ. ჰაერში იგრიბებოდნენ, სისინებდნენ, ენებს აქაქუნებდნენ, ტალღასავით ქანაობდნენ და მაშადის ეტანებოდნენ, მაგრამ წრეს ვერ გადადიოდნენ, თითქო იმ რკალზე რალაც უცნაური და იღუძალი ძალით იყვნენ მიბმულნიო.

მაშადი იზნათისთვის შიშით ეთართოდი. იღვა მოხუცი, შხამიანი, გაშმაგებული მცურავებით შემორტყმული და თვითონაც იგრიბებოდა. ხან ერთ გველს უბერავდა თავში სალამურს, ხან მეორეს, ხან კიდევ მეთათს.

უცებ ისევ პირველი ჰანგი დაუკრა,—სევდიანი, წყნარი და ელგეიერი. მცურავები ნელნელა დაწყნარდნენ. მაშადი იზნათი ხელებით სალამურს უყრავდა, ზოლო ფეხით ვარცხლს თანდათან საიდუმლო ხაზისკენ მიაცურებდა. ბოლოს, ვარცხლი წრეს გადასცდა. სალამურის ხმა შესწყდა. მცურავები ვარცხლს შემოეხვივნენ და რძეს ხარბად დაეწაფნენ.

მაშადიმ ტომარა აიღო, ილღიაში ამოიჩარა და პირი გაუხსნა. მერე დაიხარა, ერთ გველს კისერში დასწვდა და მარდად ტომარაში ჩააგდო. მერე შეეწითელი ამოიღო, მერე სპილენძას ფერი, ლურჯი, ყვითელი, ნაცარის ფერი და კიდევ ხუთიოდე სხვადასხვა ფერისა და ტანისა. შემდეგ ტომარას ბაწრით პირი შეუკრა და იქვე დასდო. ტომარა ალაგ-ალაგ ისე იბერებოდა და იგრიბებოდა, თითქო შიგ კაცალი მსხვილი თევზები ჩაჰყარესო.

მაშადი იზნათმა მესამე ჰანგი დაჰბერა, მეორეზე უფრო მოუხვენარი, ველური და ამურტენილი. მცურავები ვარცხლიდან ამოკოცდნენ, ფარდულიდან გამოცურდნენ და ბალახებში შეერივნენ. ერთი მეორეს ისე მისდევდნენ, როგორც გაწაფული მწერები. ორ წუთში იქაურობა დაცალიერდა.

მაშადი იზნათმა ფარდულადან გამოახედა და არე-მარე მოათვლიერა. მერე ტომარა მოიკიდა და ძუნძულით თავისს სახლისკენ გაიქცა.

ეხლა მაშადის სახლს დაეადგი თვალი. ორიოდ წუთის შემდეგ იქიდან პატარა ბიჭი გამოვიდა. ეიცანი. ეს ბიჭი მოსდევდა ლამბალოს გვამს, როცა იგი ურწიოდან ასკერაბადში გადმოჰქონდათ.

ბიჭმა ქურდევით გადმოირბინა მაშადის ბოსტანი, გადასჭრა ჩვენი ბალი და ყაშას ბუჩქნარში შესძვრა.

ხუთიოდე წუთმა გაიარა. მომეჩვენა, თითქო ბუჩქებიდან პატარა თავი-ადვრა ყაშას ფანჯარამდე, შიგ შეიხედა და ისევ ბუჩქებში ჩამოვარდა.

ბიჭი ისევ გამოჩნდა. ფეხაკრეფით მოიბარებოდა. რალაც მოეჩვენა. შეშინდა. ბადრიჯნის კვალში ჩაწეა და გამოკოცდა. მერე წამოიწია, თავი ხელის გულზე დაიდო და ისე დაიქნია, თითქოს ამბობდა: დაიძინეო, ან მეძინებო, ან სძინავსო.

თვალი მარჯვნივ გადავიტანე. თიბის გალაენის პატარა კარებში მაშადი იზნათი იღვა. ბიჭს თავი დაუქნია,—გავიგეო. უპალვე ეზოში შებრუნდა და მაშინვე გამობრუნდა. ზურგზე წნორის გოდორი ეკიდა.

ისევ ფეხაკრეფით წამოვიდა. ბენილის ძირში და ბადრიჯნის ბუჩქებთან





შესდგებოდა და ხელებს მიღლა ასწევდა, ან დაიხრებოდა და დათრეობდა, ეითომ ხილს ან ბადრიჯანს ვკრეფავო.

ყაშას ბუჩქნართან რომ მივიდა, თაეი დაჰლუნა, რამდენჯერმე ისკუბა და ბუჩქებში მიიმაღა.

ყარვა ხანი გავიდა. საიდგანლაც დამწვარი გოგირდის სუნი მეცა. ნელი ნთაეი ყაშას ბალიდან მოდიოდა.

მაშადი იზხათი ისევ გამოძვრა ბუჩქებიდან, ფოფხვით წამოვიდა და ბადრიჯანის კვლებში შესდგრა. გოდორი ისევ ზურგზე ეკიდა მერე წამოდგა, მიიხედ-მოიხედა და ბადრიჯანს დაუწყო კრეფა. მოუსვენრად ჰკრეფდა და გოდორში ჰკრიდა.

უცებ მისიონერთა საბლიდან გაბმული, საზარელი, ღიმელო და სასოწარ-კვეთილი ბლავილი მოისმა.

უმაღვე ეიკანი ყაშა ლაზარეს ჩახლენილი ხმა.

— უცქველია, ყაშას ყელს სჭრიან.—გაფიფქრე, საფარიდან გამოვეარდი და იმ სახლისკენ გავიქეცი.

ბლავილი უმეილად გადიქცა

— ალა... ალა, სად მიხვალთ?—მომამაზა მაშადი იზხათმა.

შეებედა. დაბნეული იყო. პირსახეზე შიში და გაოცება ეწერა.

მივამაზე:

— მაშადი იზხათ, მომყევი! კაცს ჰკლავენ.

და ისევ გავიქეცი.

— ალა, იავაზ.. გეთმა. გეთმა!—ბატონო, მოიყადეთ... ნუ მიხვალთ, ნუ მიდიხართ.—მომამაზა მაშადიმ, მაგრამ მაინც დამედგენა.

კედელს შემ-ვეურბინე და დაბალ ფიცრულ კიბეს მივადექი.

იმავე წუთს ზემოთ ყარებმა დაიჩახუნა. წელამდე ტიტველი ყაშა მძლავრად ნაკრავ ბურთივით გამოეარდა და ერთი ნახტომით ზედ მომეარდა.

— მიშველე—ე—ე!—ბლავილით მომამაზა და ორივე ხელი ჩამკიდა.

იმავე წუთს უკნიდან მკლავში მაშადი მომწვდა და ყაშას ხელებს მომ-გლიჯა.

მე კინალამ წავიქეცი. ყაშამ ჩემს ფეხს წაჰკრა ფეხი და პირქვე დაეცა.

იმავე წამს თვალი მოგკარი შეე-წითელა უზუზარმაზარ გველს, რომელიც ყაშას კისერს მოსწყუდა და სწრაფად ბალახში სეცურდა.

— ალა, ფრთხილად!—მომამაზა მაშადიმ და ერთხელ კიდევ გამკრა ხელი.

მივიხედე და რამდენიმე ნახტომით უკან გადავხტი: ფიცრულ კიბეზე სისინით და კლაკენით მცურაეები ჩამოდიოდნენ და მარცხნივ, ბალახ-ბუღახში იმა-ლებოდნენ.

— ყორხმა, ალა, გეთლარ,—ნუ შეშინდები, ალა, წავიდნენ. ალარ და-ბრუნდებიან.—ჩამწურჩულა მაშადიმ.

ყაშა მტვერში გორაობდა და ღმუოდა:

— მიშველეთ! მიშველე—ე—ეთ!



ორივე ხელი დასისხლიანებულ პირსახეზე ჰქონდა აფარებული ნიღბი.

— მაჩვენე.—უყუბხად უთხრა მაშადი იზნათმა და ხელეში მოაქმის ძალით მოაგლიჯა პირსახიდან.

ყაშა საზარელი სანახავი იყო. ცხვირის ნახევარი თითქმის გადაკმული ჰქონდა. მეორე ნაკბენი მარცხენა ფერდებში ჰქონდა, მესამე—ფეხის კოჭთან.

— ყურთულდი,—გათავდა!—ჩაიქნია მაშადიმ ხელი.

«ილან-ოჯახის» შევხედე. მოკუტულ თვალებში სიხარულის ნაპერწკლები დაუბტოდნენ. ტუჩი ოდნავ უფროთოდა.

გამახსენდა მისიის ეზო, სისხლით მოსვრილი ლამბალო.. სიხარულით გაგიყებული ყაშა... მეორე დღა. თოხარკით მომავალი ცხენები... გასუდრული ლამბალო.. მაშადი იზნათის ხენეშა, რამდენჯერამე წაქცეული მოხუცი დედაკაცი და ზეკია ყიზი,—ლამბალოს „ურუს-კუკლა“.

— ჰასაან! ჰასაან!—ჯელავ მომესმა მაშინდელი წივილი.

გამახსენდა ყოველივე და ყაშას გადავხედე, თეთრი ტანი და ნარმის ნიუხავი სისხლით მოესვარა. აღარ ბღაღის. ნაცემ ძალღივით წკმეტუნებს, იგრიხება და მემუღარება:

— ექიმო, მიშველე... მიშველე...

ყაშას ხმაში და თვალებშიც ისევ იმ ძალის ხმა და თვალი მომელანდა, რომელმაც ორმოცი წლის წინათ ხელი წამკრა და სისხლიანი ოთხფეხს ჩამახტვინა.

მაშინ ეტიროდი. ძალი მლოკავდა. ღელავთ და ცრემლით დათენთილი, მომაცვდავ პირუტყვის მოეხეხე და იმის სისხლიან თათებში ჩავიძინე.

ათიოდე დღის წინათ იქ... ურმიაში... იმ ეზოში, ამავე იღუმალმა ძალამ ლამბალოს ჯალათზე მიმაგლო.

ვერც ძალს ვუშველე, ვერც ლამბალოს, ვერც ყაშას ვუშველიდი, მაგრამ ეხლა ვერც ის იღუმალი და ხელწამკრავი ძალა ვიგრძენი ჩემს სულში.

— ყურთულდი,—გათავდა!—ულმოზელი კილოთი გაიმეორა მაშადი იზნათმა და ეს ერთი სიტყვა ჩრდილოელის სუსხით გაჰყინა.

ხელმეორედ დავაცქერდი მაშადის, თვალი მომარბდა და ოდნავ გაიღიმა.

ჰაერი დავყნოსე, ისევ დამწვარი გოგირდის სუნი მკეა. მესამედ თვითონ მაშადიმ გამიყარა თვალი თვალში. ერთმანერთის სათქველი უსიტყვოდ გავივით.

მეც უნებურად გავიღიმე. რა ვქნა! მეც თავდაპირველად ადამიანი ვარ, მერე ექიმი, ბოლოს ქრისტიანი, ან ჯერ ქრისტიანი და მერე ექიმი.

ათიოდე თათარი და ასურელი მოვიდა. ყაშას დასცქეროდნენ და ჩემს განაჩენს ელოდნენ.

ჩემს მაგიერ ისევ მაშადიმ უპასუხა:

— ყურთულდი,—გათავდა, არ მორჩება!

ჩემც მზატე ვალი მიინკ მოვიხადე:

— დააწვინეთ ურემზე და წითელ ჯვარში მიიყვანეთ. იქ მოვუღიან, მიც მალე ჩამოვალ.





როგორც დავიწყე: მოწინავე პოზიციაზე ხეტიალი, კარვებზე ცხივრება, დათვის ტყავში ძილი, ყინვა, წვიმა, ქუჩყი, მონი, მკბენარი და სიმზილი.

მაგრამ არ მიეწყინა. მხოლოდ ვუთხარი ახალ ექიმს:

— ბედია ვკონიათ. ყაშა ლაზარე მინც ალარ გეყოლებათ.

ისეთივე ბაასი გავმართეთ იმავე სასადილო დარბაზში, როგორც ზაფხულში მე და ჩემმა წინამორბედმა.

ახალმა ექიმმა გადმომცა, რომ ეპისკოპოსმა პავლემ მეფის ნაცვალს, საქართველოს ეგზარქოსს და წითელი ჯვრის მთავარ რწმუნებულს კამერაჟერ გოლუბეგს ჩემი თავი მოთხოვა.

— გადაეცით, — დააბარა თურმე ახალ ექიმს ჩემზე გოლუბეგმა, — რომ გულით და სულით იმის მხარეზე ვარ, მაგრამ...

მაგრამ გოლუბეგსაც ეზინიან პავლეს გავლენისა.

მისიის მღვდელ-მთავარი დიდის ზემოთ მოვიდა ყაშა ლაზარეს საზიარებლად: ერთმანეროს მოვერიდეთ. აზიარა, დიდი ეზო თვარშევანკოვით გადასჭრა და წავიდა.

მომაკვდავის სანახავად შევედი.

ყაშა კედებოდა. გულადმა იწყა. წითელი თავი და პარისახე უუზარმახარ გოგრაასავით გამსიენიყო. ცხვირი სიშხიენეში ჩამალულიყო. იმის მაგიერ მხოლოდ ლურჯი ღილი მოსჩანდა. პირი აპრუწყული ჰქონდა. ერთი თვალი წითელ კომში ჩაკვლულიყო, ხოლო მეორე თვალის ნაცვლად მოლურჯო მუხუდო უბრწყინაედა.

მუხუდო-თვალთ მიცნო და მომაჩერდა.

— ყაშა ლაზარ, როგორა ხართ?

პასუხი არ გამცა. მხოლოდ აიშრიზა და აიღიპა

გვერდით მიეუჯექი და განვაგრძე:

— ყაშა ლაზარ, მე აქედან მივდივარ. დამითხოვეს.

მუხუდო თვალში სიხარულის ელვამ გაირბინა.

— გიხარიათ, განა! თქვენი მადლობელი უნდა ვიყო, მაგრამ ეზლა, როცა...

ერთი სიტყვით, არა გზრახავთ. თქვენ ქრისტიანი ხართ, ამიტომ ღმერთსა ვთხოვ, რომ მან მოგიტევოს ყოველი შეცოდებანი თქვენი. მეც შეშინდებიართ. მეც მიპატიებია თქვენი ბოროტებანი, რომელნიც უხვად მიძღვენით.

ყაშას მოკბუტულ თვალადან შხამის ალი ამოვიარდა. აპრუწყული პირი ააცმაცუნა და ახლად მიღებულ ზიარებასთან ერთად თვისი სულის შხამიც ამოანთხია:

— К чорту! — ძლივს ამოიხრიალა ბლუენით წითელმა ნეცმა. — შენი ჯავრი საფლაკში მიმაჭვს. წუწყია „პერსიუკი“ პასანი მაჰმადს გაეუგზავნე, შენ კი...

ისედაც გასიებული ლოკები ბაყაყივით გაიბერა და გესლიანი დუგი გალურჯებულ ტარებზე ძლივს ამოიფურთხა:

— ფუტ, окаянный!



მე წამოვდექი. ბრაზის და ზიზლის მაგიერ გულში სიბრაზის დაწვავდა ვუთხარი:

— ყაზა ლაზარ, მეტრალეებით. საწინელია, ოდეს ქრისტეს მსახური სიკოცბლის უკანასკნელ წაშლივ კი ვერ გაიხსენებს წმიდა მასწავლებელს. ალბად ამიტომ გიძნელდებათ სიკვდილი. მაინც ღმერთმა შეება მოგცეთ.

კარები რომ გამოვალე, უკნიდან ერთხელ კიდევ მომესმა გომბეზოს ამონახეთქი:

— ფუჰ, Идол проклятый!

\* \* \*

მხოლოდ ეხლახანს გავიგე, რომ ლამბალოს ჯავრი სხვებზე ბედმა-მდევარმა ამოიყარა.

განგებობის ეტიკი უკვე ჰყოდა მითხედა და უხილავი იითი უკვე სწერდა ეტლსა, როდესაც თხუთმეტი მიწაზე გააკრეს და თხუთმეტი ჯოჯი აღმართეს.

1918 წელს გოგი და მაგოგი საბოლოოდ წამოვიდნენ ურმიიდან.

როდესაც ქალაქში ერთი საღდათიც არ დარჩა, ზოლო იქვე გორაკებიდან ოსმალეები და ჭურთები ჩამოდიოდნენ, მრისხანე და უინიანი ეპისკოპოსი ჰავლე ისევე თავისას გაიძახოდა:

— არ წავალ! სადაც რუსის წმიდა სისხლი დაიღვარა, რუსეთის შუაგულიც იქ არის. არ წავალ! ვერ გამიბედავენ!

გაუბედეს. მარაღმადიდებელთა კლდეს აღუდებული მუსლიმანურა ზღვა მიიღვა. კლდე შეინგრიეს და შევიდნენ. ამაყი და ლამაზი ვაჟკაცი, ფარჩის ანაფორაში გამოწყობილი, თხუთმეტი წამებულის ეზოში გამოაყვანეს და კაიდარ-მოლლას წინ დაუყენეს.

— ალლაჰ ილ ალლაჰ,—სთქვა კაიდარ-მოლლამ და ერთ მოხუცებულ თათარს მიუბრუნდა:—მაშადი იზხათ, ეს მხეცი შენია.

და იისფერ ანაფორაზე მიუთითა.

და მაშადი იზხათმაც ალლაჰ ახსენა, დაიმკლავა და ის ანაფორა დინჯად დაქლა იმავე ალაგზე, სადაც იმის ლამბალოს იმავე ანაფორამ სული ამოართმეინა.

იმავე დროს ასი ათასი გადარჩენილი ასურელი უთავბოლო გველეშაპივით მიიკლაკნებოდა სამბრეთისაკენ,—ჰამადან ბალდადიაკენ,—ინგლისელთა შესახვედრად და განრისხებულ მუსლიმანების კლანჭებიდან თავის დასაღწევად. შიროჩავდნენ უდაბნოში ასურელები, ვითარცა ეგვიპტედან გამოსული ურიები, და გზაში დილით დილაშუა რამდენიმე ათასს ჰკარგავდნენ, მკვდრებს არც კი მარხავდნენ, დავარდნილებს ვერ ჰშველოდნენ, უკან არც კი იხედებოდნენ. ნახევარი გასწირეს და სამწვიდობოს გავიდნენ.

ბედი-მდევარი სხვებსაც ურმით დაეწია და რუსეთის წითელ ჟინჯვალზე დასწვა.

გენერალ ჩერნოზუბოვს უღმობელმა კისლოვოდსკში ჩასკიდა ბასრი კლანჭები.

კომენდანტი ბერეზოვსკი ხარკოვში გახვრიტა წითელმა ტყვიამ.

კონსული ნერატოვი ციმბირში გაიყინა, ხოლო მისი მდივანი ვოლგაში დაიხზო.

საზარელ არს ყველი განგების ეტიკისა.

დიდ არს ძალა ბედი მდევარის!

# ტ უ ი ლ ი ს ი

(რომანის მასალები).

შეთხველ 1 აზ ზ დოგ'ას ვრდგ-ნება რომანის ჯ რ დუშოიერ ბელ და ნედლი მასალები, ავტორი ამ თავთვე აცხადებს, რომ ქვემოთ წარმოდგენილი რომანის ადგილები, არავ-თარ შემთხვევაში არ არის უცანასკნელი რედაქცია. შეს ძლებელია ზოგჯერთი აქ წარმოდგენილი თავები ხელახლა შეიკმნეს დასაწერი, ან დი ძირველად გადაკეთება შოითბ-გოს, ამ-ტომ ავტორის თხოვნაა დაბეჭდილ ადგილებს მოეპყროთ ისე, როგორც მასალებს და არა, როგორც უვე დათავრებულ თავებს.

პატრიცევიტ ა ე ტ რ ა ი .

## თავი მესამე

### შ ა ვ ი ჯ რ ა ნ ი

ეს არის ლამით.

ქალაქს სძინავს.

შილის ცაზე ჰკიდია მთვარე მინანქარი.

მე ვწევარ.

არ შეძინება.

გადაწეულ რიდეებში გატეხილი მთვარე მათოვს შაქარს.

ნაცნობ პროსტიტუტის გრძელი, მწუხარე მონოლოგი არ შორდება ჩემ გონებას.

ის ავადმყოფი იყო: ასლიოდა ტრიმიტალამინის და იოდოფორმის სუნით.

შემოვიდა ჩემთან. შემოშნივლა თავისი უბედობა, გამოიტირა თავისი თავი და წავიდა საფაქროდ.

მისი სახელია: ნუშო.

ნუშო ხშირად შემოდის ჩემთან, ათასჯერ მომიყვება ამბავს, როგორ დაპყარვა ქალწულობა, როგორ დაადგა იმ გზას, როგორ ჰშურს პარტიოსან ქალების ცხოვრება და მე არ ვიცი რა ურჩიო.



ქუჩაში ახლა დადის საექვო ხალხი: იმითომ რომ ღამეა, მარტინულში  
 მე უცქერი ფანჯარას: ელექტროს მავთულზე ზის მთვარის სხივი და ბავ-  
 შივით უცინის.

ოთახი ჩემი ექვსკუთხედია და ფანჯარაში ჰამაკივით ჰკიდია მტკვარი,  
 დუღუნებს მტკვარი.

კოჭლი პოეტის ფაქრები ნისლივით ადგას მტკვარს და ამძინებს ღამის  
 სისოფლეს. სივრცეებში მესმის გაფრენილ შერანის ფლოკების თქარუნი და თმა-  
 გაშლილ პოეტის ექსტატიური ყვირია.

მეორდზე ხელი მიეჭიარე და უფრო მიღვდე: ჩემი გული სცემს უცნაურად,  
 თავი მტკივა და ხანდახან მგონია, რომ თავი მიხშება.

ვიკიდებ ხელს: არაფერს ვგრანობ. თითქოს ჭვა შეძას კისერზე. მინდა ვი-  
 კეფლო, რომ თავი გამიხსა და მიშველონ, მაგრამ ტვინში უფცარად შემოვა ცი-  
 კინათიელასავით აკახცახებული წშინდა ცეცილია და უცნაურად გამეცინება.

ეს აღბაღ იმითომ, რომ ჩენს ირგვლივ ცხოვრობენ: პროსტიტუტები, ქურ-  
 დები, სპეკულიანტები, სტუდენტები, დალალები, ვინ იცის კადევ რა პროფე-  
 სიის ხალხი, და ოთახში შემოდის იოდოფორპის სუნთ, ტვინი მძიმდება ასეთ  
 ჰაერში და ფაქრები ნახინჯ ბავშვბივით იხადებთან.

დერეფანში პნელა და დერეფანში დგას აბანოს ქიის, თაგვებისა და სავ-  
 ნიან დამპალ წყლის სუნთ.

დერეფანში დღეს აგურთ: ბინძური, განეხილი და ეს აგური რატომღაც არ  
 სცილდება ჩემ ფაქრებს, (იქნებ ეს აგური მიხზობს თავს?) აგურ ქვეშ მე ეი-  
 ნაბავ ოთახის გასაღებს, ფეხები ზანთარ ზაღზულ ცივი მაქვს და ხანდახან, როცა  
 ფეხები მძლად გამიწეწდება, დიასახლისი გახურებულ აგურით მითბობს ფეხებს  
 უცნაურია ჩემი დიასახლისი, აგურს სომხეთიდან გადმოხეცილ გოგოს სი-  
 რანუშას გახურებინებს და ეს ჩოფურა, თვალზე დაკუსული გოგო განსაკუთრე-  
 ბულ მზრუნველობით მისრესს ფეხებს და მე არ ვიცი რა ვქნა, როგორ დავაღ-  
 წაო თავი მის ქურდულ აღერსს.

ახლა, როცა მე ვწვივარ ასე:

—შენ—ჩემი სიყვარული, შენ—ჩემი სიზმარი!..

შენ გძინავს შენს ძველებურ ქართულ იფიანზე ამ სიციხეში და მთვარე პე-  
 რანგის აშივბიან უბნში გაყრის შაქარს ტკბილს და მილულულ თვალებზე, გამ-  
 ხეფებს ახალგაზღა დედის რძესავით ჩვილ სხივებს.

— მთვარევე ნუ აყრი შაქარსა,

შენ ვერ იშოვი მაგ ქალსა!..—მინდა შეეძახო მთვარეს, მაგრამ მე თფითონ-  
 ვე მაკვირვებს ჩემი თავი, რათ დაიბაღა ასე ახირებული და უჩუმიდები.

მე გამოვხევი ჩემი გული ჰიგროსკოპიულ ზამბაში და მოვამბარე ავადმყოფი  
 შესანახავად.

ასე დავრჩი მე გლაბაკი და საცოდავი გულგაღადრული.





მარკინეშვილი  
კრიტიკოსი

აღზევანს წავიდენ მარილზე,—  
მარილი მომიტანეს ბროლის და დამაყარეს გახსნილ მეტეორს  
მეტეორს ბორცი და შემოგზებდე შენ დაქრილ ირმა ხარის საწყალ თვა-  
ლებით.

შენ იყავ მწუხარე:

— შენი თვალეში!.. შენი წარბებში!..

რა გაახარებს შენს გულს!..

აი ინებე ჩემი თავი და შევეკანინანი ბნელი ფიქრები(რა ექნა სხვა რომ არაფერი გამაზნია!) აქამდის მიაიჭუნები ისხდენ თბილისს ნაჭუჭებში და ჰლექდენ შპალერს, ახლა ისინი ავზნიან ფოქს-ტროტით შემოგისიენ ქალაქს და ისმის ტამ-ტაშის დაფი.

შავკანიანი კანკანი ბნელდასავით დააწვა მთვარით ალოკილ პროსპექტებს და რესტორანებიდან ისმის ტიქების მსხვრევა და კახვების კივილი.

მე მტყუნება ქვეყნის გარდაქმნა: ჩემს იაფეტურ მოდგმას მოსდევს ყვი-  
თელი უტადური მონღოლურ ირიბ თვალეებით.

შენ გეზინია და დიდახარ ეკლესიაში.

ლოკულობ სასოებით და კენჭს კედელზე აკრავ.

შენ ხარ ახალგაზრდა და შენი პატარა მკერდი ჯერ კარგიდ არც დამწი-  
ფებულა.

შენ გაცვია დეზერტირების ბაზარში ნაყიდი ამერიკული ტანისამოსი, დე-  
კოლტე სივრძეზეა ჩაქრილი და მკერდზე პერანგის მაღალი რიდე გაქვს ჩამო-  
ფარებული. იმიტომ რომ ხარ შევეგრემანი, ხარ მორცხვი და ამას გარდა მკერ-  
დი ბუსუსებთან გაქვს და შენ გრცხვენია ამისი. ალბად, როცა ხანში შეხვალ  
მკერდი ბალნით გეუნება შემოსილი და ახლა რომ ასე ნაზი ხარ და მიმზიდველი,  
მაშინ იქნები: ცოლი, დედა, დიასახლისი, მზარეული, კაპასი და ძროხა.

არ იკითხავ მკრე ფრანგულ და ინგლისურ რომანებს.

ჯველაფერი დაგაეიწყდება.

როილას არ გაეკარები და ასე შენი დიდი გვარის დიდი მოდგმა გადაშენ-  
დება შენში.

შენ წმინდა ხარ და ჩამორჩენილი.

მე მიყვარს შენი თვალეში, შენი წარბები.

შენ ხარ დაბალი და ძვალმსხვილი:

მე ვნახე ერთბელ ახალგაზრდა ძროხა, ის იყო გათქვი-  
რული, რძიანი და წმინდა.

მას წაართვეს იდამიანებმა ხბო და ვაჟიდექს.

ზმუოდა ძროხა გამგამირავად:

— ბე!..

ბბო!..

ბეე!..



ბა!..  
ბბო!..

მე შემეცოდა დედა.

აქანკალბული მიველ მასთან და უთხარ შემდგვი:

— ჩემო ძროხავ, შენ, თარაქამას, წაგართვეს ბბო და გწველიან. შენ არ შეგძლია ლაპარაკი და ჩივილი, იმიტომ რომ პირუტყვი ხარ! შენ პირუტყვი ხარ და მე მეტყველი?..—ეგ ჩემო ლაბავ, ნუ შეგშორდება!.. რა ვქნა მეც წენსავეით ვარ, მეც წამართვეს ზეცა ძალით, მე უკვე გამომწველეს და ახლარძე გამშრალი ვზმუი:

— ოხერა, მოხრა,  
არა ხორბი  
უხარია!..

იმიტომ რომ სიტყვა იბადება მაშინ, როცა ტანჯვა ცნობიერებამდის არის დასული, როცა ის მას გადასცდება, მაშინ სიტყვები ჰკარგავენ მნიშვნელობას და უნდა იზმუელო, მოდი, ვიცხოვროთ ერთად, ძროხავ, ერთგულად ვწიოთ ქაპანი ჩენი და ვიზმუელოთ, შენ არ იცი: სარდინაპალი პირუტყვად ვადიქცა, წმ. ჭრისტეფორე ძალოვით ჰყუფს და მე ხარი ვიქნები. ასე ვივლით მე და შენ ერთად: მე შენი ქმარი და შენ ჩემი ცოლი.

მაგრამ ძროხა დვას თავანთვის და კუდით ბღზს იგერიებს. თვალთაგან ცრემლები ჩამოსდის და არის დაღერეშილი.

და მე ვიგრძენ უცნაური სიტყვები:

ძროხა,  
სახრე,  
ძაბრი,—  
უხმო ენას ყელში გაყრილს,  
ძროხას სევდით წელში გახრილს,  
არ-ხე-ხორხი ქვალეზს დაყრის!..

შუბლზე ხელი გადავისვი, მარცხენა ხელი გულზე მივიჭირე, ძროხის წინ დავიჩოქე და მიემართე მუდარით:

— მოხრი,  
მოო-ხი, მოო-ხი!..—  
მომეხმარე!..  
ხარი,  
ხობა,  
ყობა,



ყვაბი,  
რა ვქნა, მითხარ, ძროხავ, როცა  
ტკივილს ბოღმა გამოყობა.

აკანკალებულ ძროხას მუხლთ მოეკვცა, დაწვა ბავშვივით და ცალი რქით მიწას დაერტო. მიწამ იგრძნო ძროხის სიციხე და მანაც ძროხასავით ამოიფშვინა.

ეს ძროხა შენ ხარ, ახლა იქ, სარეცელში რომ გძინავს და მთვარე შაქარს რომ გათოვს, შენ ხარ იმითომ რომ, შენ უარბყავ მე და გაჭყვევ ვილაც უბედსა და სულელ პოეტს, მაგრამ მე მაინც მიყვარხარ. მე მინდა რომ შენი სახელი იყოს ლაბა.

ვინ დაგარქვა შენ მანანა?..

ქალო, შენ რომ სატრფო გყავს, მე ხისას გავთლი მოითანას, მაგრამ რა ვქნა, როცა შენ მაინც ის გირჩეენია ჩემ თავს.

შენ, ჩემო ლაბავ, შენ მიყვარხარ მე.

მე მინდა ვითხრა მეცხრამეტე საუკუნის ლიტერატურიდან ამოღებული კომპლიმენტი, მაგრამ არ მაგონდება. — — —

მობრძანდი ჩემ სიყვარულში ისე, როგორც საყოთარ ოჯახში და დაბრძანდი დედოფალდევით: დაგეგდება ბუხარი ნაკვერცხლებით, ამოღებული ბოშერ რომანსების შუტაფორიიდან.

ჩემ თავში ფიჭვები ჰგავს ახორხლილ სკამებს და ეს სკამები ჰგვანან ნაზამთარ კალოშებივით გაცვეთილ უფერულ დღეებს, რომელნიც შეგვპამე მე და, რომელთაც მე უნდა შემეპამონ.

მე შეველ სკანებში და დავაწყე რიგში.

უცნაურად იდგენ ორკესტრში პიუპიტრები, ინსტრუმენტები, გულგახსნილი ნოტები და გაროფილი შავი კომპარული როიალი.

დირიკორი პიუპიტრზე აფართქალდა ღამურასავით უხმოთ და წაყიდა ცაში გულგათეთრებული.

როიალმა უზარმაზარი ხახა დაალო და დაკრილ გორილასავით დაიწყო ბლავილი. მე გოგენტოცივით გადავებოტე პიუპიტრებზე, როიალი ჯიბეში ჩავიდე და დავალბრჩე მისი ბლავილი. როიალზე ეწყო შენი თვალები ძვირფას ქვებივით. ავადმყოფ მამაკაცივით ნომატრია ვიოლონჩელმა. შენი თვალები მკერდ ქვეშ ჩავისვენე.

მეტკინა გული და რატონდაც ორივემ შევხედეთ ცას გადმოსროლილს.

გვადგია ცა ძახთაპირი, და ძახთაპირი აყეფდება ცაში ყუფილით.

ვარსკვლავები მოსწყდენ ზეცას და დაცვივდენ ძირს ეინელილებივით.

შენ გაიარე ფეხშიშველი ვარსკვლავებში და ეკლიანმა ვარსკვლავებმა დაგწვეს ფეხები.

სკამზე დაჯექ და ფეხები აიკეცე.

ვარსკვლავებით განათდა ჩვენი სიყვარული.


 ეროვნული  
 ბიბლიოთეკა

ასე დაერჩი ამ სინათლეში მთლად ტიტველი: გავიძიო, ვინაა კარ-  
 ტონის უკან.

იქნებ, ყოველივე ეს ფარსია ბებერ უცოლოებისათვის? გამოცემული, ძველ  
 ურნალიდან ამოღებული?!

მე შემრცხვა: ვიკბინე თითზე და წამოვიდა ალუბლის წვენი.

ქვრბში მაშინ ეგდო ოცი გრადუსი ყინვა. შენ ქათიბში გახვეული ადი  
 შენს ოთახში და ფეხებმორთხმული, სიცივით აქანკალეზული შენ კატასთან ერ-  
 თად კატასავით ჩაჯექ საგარძელში.

ცეცხლი არა გაქვს, ღარიბი ხარ და გინთია ტიპ-ტოპ.

დაბალჭერიან ოთახში ჰკადია შენ წინაპართა ძველი ჰორტრეტები კრინო-  
 ლინებში, ნილიციის ოფიცრები და კუთხეში დგა კბილჩაჭმული ბნელი რიიალი.  
 შენ ნათესავი ხარ ჩემი დისახლისას და იქიდან გიცნობ.

გცივა და იუფუნები.

ნეტამც არ დაგძინებოდა შენ საგარძელში!

ახლა უნება გარეთ და შეიძლება გაცივდე.

უზარმაზარი მზე-გერმანოროდიტი ამოვა მალე და გაათბობს ქვრებს. (ეს  
 იყო ზამთარში). ახლა უზარმაზარი გერმანოროდიტი უზარმაზარ ცხელ უკანალით  
 ჩაჯდა პროსპექტებში და დადგა თაკარა სიციხეები.

ცაში ზმუის ბატი ძანთაპირი და მეგზოვეები იმალებიან ალყაფებში.

მე მოგაბარე გული ავადმყოფი გამოხვეული ჰაგროსკოპიულ ბამბაში შესა-  
 ნახავად, მაგრამ შენ არ გაუფრთხილდი მას და გზაში დაჰკარგა.

ქვრბში ეპოვნათ კამოს სახელობის საბავშვო ბაღის ბავშვებს და მსუქან ლა-  
 ბუა მტრედებზეთ ეთამაშებოდნენ.

რატომღაც ეს არ მოეწონა მონტესორის მეთოდის მიმდევარ ხნიერ მას-  
 წავლებელ ქალს, წაართვა ბავშვებს ჩემი გული და გადაავდო.

ტელეგრაფის ბოძს მივეყუდე და ავტირდი.

მე მიყვარს ბავშვები ყვავილებზეთ. ისინი ისე სუფთა არიან და მათ თვა-  
 ლებში არის განუსაზღვრელი ნდობა, გულუბრყვილობა და უბრალო ჭკუა. ვარ-  
 დისფერ მოკლე კაბის ქვეშ შესაქცევად მოსრანს ნიფხავის აშია და ისინი ჰგვანან  
 მსუქან ბატის კუჭულებს.

ერთი ბავში მოვიდა ჩემთან, შენზედა დიდი, ცრემლით საცხე თვალებით და  
 მსუქან ხელებით გული მომაწოდა. ცალი თითი პირში ნორცხვად ედო და ლო-  
 კავდა.

ვაკოცე ბავშს და გავბრუნდი.

შეველ თორნეში. ფეხშიშველი მეთორნე „ყარამანიანის“ მეცბრე კარს თი-  
 თის დადებით კითხულობდა. ნოფხოვე წყალი და გული გადაეყვამა.

გავმწარდი.

მინდა ყელში ვულკანი ჩაეიდგა და ვიბღავლო:

— გულო შეგვულო, ბედკრულო მეთქი! — მაგრამ ეს ახლა არ შეიძლება,  
 როცა ყოველი უბრალო საცოდავი ქარხანაც თავის საკუთარ ვეზულის იხდის.



მინდა ავდგე და აივანზე გავიდე.

იქიდან მოსმანს მტკვარი დაღვრილი ბარბაქანად, თითქმის მთლიანად მოწველი ღმერთს ხელიდან კოკა გაეარდა, კოკა გატყდა წყაროზე და დაღვრა იგი-მტკვარს ვალმა: ელექტროს ტრაპეიას ცენტრალური სადგური, საგიგე და მხეილის საავადმყოფო.

იჭ, უკან: (არ სმანს): ფუნქციონირი დვას უზარმაზარ შუბლივით და ზუთ-ბოლოიანი წითელი ვარსკვლავი ანათებს ტფილისს.

მამა დავითი ფუნქციონირის ძირს გელესიის საკურთხეველში ზის და წვე-რებს ივარცხნის.

აკაკისა და ილიას საფლავეებს სძინავთ.

ხანდახან გადმოდგება მამადავითზე ძაბთაპირი და შეჰყვებს ზუთბოლოიან ვარსკვლავს.

ელექტროს სადგური ქოშინობს და აღდგომის პასკასავით არის განათებუ-ლი. მაღალი ბუხარი ახველებს უხმოდ და ქლეკიანივით არწყევს ცაში კვამლსა და ბურჟს.

ცაში ჰკიდია აღდგომის ვერძი, ჰენეს საკონდიტროში ვაკეთებული პასკის შაქრის ვერძი წევს და იცობნის, — თავის ამინდი ჰკონია.

ტკბილია ვერძი.

(შაქარი ტკბილია მაწონი მგა-ვეა. ციხე შივნიდან გატყდება, თხა ვიყიდე, თხა გავეიდე, — სარგებელი ველარ ვნახე).

კისერზე ვარდისფერი შაქრის ზონარი აქვს შემოკერილი და ოქროს ეყვანი წკა-რუნობს ლაბუა ყელზე.

სადგურთან არის საგიგე და საავადმყოფო.

საგიგეზე... არ მინდა ლაპარაკი... არც ფიქრი...

საავადმყოფოში მე სამი თვე ვიწექ.

იქ ახველებენ ავადმყოფები და სიცოცხლის იმედებით იხოცებიან. იქ სახა-დია, ქლეკი, პლევრიტი. უზარმაზარი ბალაშიანი კუქას კიბო მიფორთხავს თეთრ კედელზე და ბაცილებისაგან შექმულ სიცოცხლეს ექიმებით საათობით ინა-ხვენ კაფურითა და ფიზიოლოგიურ ხნილით.

ცაში გადმოშვებულა წყელი აკარწახბული შიშველი მკლავი და ხელში ვარდისფერ ზონარით მუცელ ამოკრული შაქრის ვერძი უჭირავს. ჰკიდია იგი მოწყვეტილ ცოდვასავით ტკბილი დედაქალაქზე. ხატი ძაბთაპირი, წმ. ქრისტე-ფორე, შეჰყვებს ვერძს და ლოკავს შაქრის ჯეირს დარკობილს პასკის თავზე. —

ჩემ გვერდით ცხოვრობს უცნაური ხალხი: ზოგი ვაჭრობს, ზოგი ჩარჩობს, ზოგი თავისუფლების მოედანზე ვალიუტას ახურდავებს. არის აქ კაცის მკვლე-ლიც: მე მეშინია მისი ციებიანივით ანთებულ და უაზრო თვალების.



ჩემ გვერდით ცხოვრობს აგრეთვე დიასახლისი, მინანას დედა, რომელიც ისე ჰკავს ყვევის ქალს. შემოვა ჩემთან და შელაპარაკება ფეხბურთის სათამაშო ქალაქის მისტიურ მნიშვნელობაზე.

ყოველ ტუზს, ყოველ დამას და ვალეტს აქვს თავისი ისტორია და თავისი რომანტიკა. ეს არის ქალაქის რომანტიკა, თბილი და უსიციოცხლო.

ჩემი დიასახლისი არის ამ სახლის მესაკუთრე.

ჭირას არავენ იხდის და ცხოვრობს ღარიბად.

გარეთ არ ვადის.

არც მასთან დადის დღისით არავენ, ხანდახან მინანა თუ ინახულებს და არის ალერსი, კონცა და სიხარულის ცრემლები.

ტანთ დედის დანატოვარი ჩრჩილით დაქმული კაბა აცვია, სახე ნაოჭებით აქვს დაღარული, ცხვირი წვეტიანი და მოღუნული. ფერუმარულს უხვად იცხებს და მუდამ ნაფტალინის სუნი ასდის. (ალბად მასაც ჩრჩილი გაუჩნდა).

ოთხმოცი წლის ბებიაო,

როდის გათხოვდებიაო

მთელი დღეები სახლში ზის.

მას ჰკავს მოახლე, სომხეთიდან გადმოსვეწილი, უპატრონო, ყრუ მუნჯი, ნაცყავაღლევი და ასე მის ოთახში გამეფებულია სიჩუმე და სათამაშო ქალაქის მუჟდრობა.

მთელი დღეები უზის როკოკოს სტილის გაცრეცილ პატარა მაგიდას და შლის პასიანს.

— დღეს მე პრინცი ვნახე!..— შემოვა ოთახში და შეტყვის. მერე:— იგი დამის გზით მოვა... ის ჩემი ვალეტია... თქვენ, ალბად, იცით მე რომ პრინცი მიყვარს... პეტერბურგში ვავიციანი, სამეფო კარის რაუტზე.

მე სრულიად არ ვარწმუნებ, რომ თუ ასეთი პრინცი იყო ოდესმე, ის ახლა დაბერდებოდა,— ან და ბოლშევიკები დახერცდნენ.

მის ოთახში ჰკიდია პრინცის სურათი, მას კავალერპარდის ქუდი ჰხურავს და ურთხველის წითელ ჩარჩოდან ჯიჩიანად იტყირება.

ღამით მ.სთან დადიან უცნაური დამები და ვალეტები. მთელი ღამე ქალაქის თამაშობენ: ხმის ამოუღებლად, ჩუმად, არც გაიციინებენ, არც წაიკიდებიან. ისმის მხოლოდ დარიგებულ ქალაქის შრიალი.

უცნაური არიან ისინი.

მე არ ვიცი სად არიან ისინი დღისით, ან სად ცხოვრობენ.

მე დავკვირვებივარ ქალაქს: დღისით ასეთი ხალხი ქუჩაში არ შემხვედრია.

არიან: გამოთაყენებული, გამხდარი, მაღალი.

გამოხედვა: ქალაქდივით მშრალი, გაწყალბებული თვალები და მკლავები კი არ აბიათ,— ჰკიდიათ.

ერთხელ მე მათ დაუდარაჯდი და ვნახე დღისის სინათლეზე: ისინი ისე



საცოდავი იყვნენ, უფერულნი, გაცრეცილი და დარიგებისაგან წაწყურანსა მითი-  
ბით კუთხეებში დასვრილი.

ფარფატით დილის მღერია სინათლეში გავიდენ და იქვე კარებთან გაი-  
ფანტენ.

ახლა: მე რომ ვწევარ,—ისინი ქალაღს თამაშობენ.

ჩემი დიასახლისი ყვავის დანასივით ზას ამ ვალეტებში და ქალაღს თა-  
მაშობს. მე ცოტა ხანს უფრს უვდებ მათ და მერე ისევ შენზე ფიქრს უბრუნდ-  
ბი. შენ ვერ გიცილებს ჩემი გონება, რა ვქნა მე ახლა, როცა ასე მიყვარხარ,  
მომავონდები სიზმარში, წამოვდგები და ვტირი. სად წავიღო ჩემი უბედური  
სიყვარული! რა არის ამის წამალი?

მანლებმა იყიველეს, მეგზოვეები ქოჩებს ჰკვიან და ისმის ცოცხების შრიალი.

მილიტონერი დადის ქუჩაში: თუ ცოლიანია,—ფიქრობს ცოლ შევიღზე, თუ  
უცოლო—პროსტიტუტებზე, ან—და უსაქმურობისაგან მეგზოვეს ეზზებება, რომ  
მან ალაყადი დროზე არ დაკეტა.

მე ვწევარ აქ და ვფიქრობ შენზე.

ოთახში მყუდროებია.

მთვარე იღვენთება და სახლის სახურავეები დაყურსულია აკაციის თოვლი-  
ვით მტევნებით.

მტკარს ფიქრები ტალღებად მიაქვს, მიათამაშებს და უერთებს დუდუნს. მე  
მეჩვენება თითქოს მტკვარი ადგა, გაწვა მთვარის სხივებზე და სხივებთან ერთად  
უზარმაზარი გრილი გველივით მოაწვა ჩემ ღია სარკმელს.

ოთახი გაივსო წყლითა და მთვარის სხივებით და ასე ოთახი ჩემი დამ-  
ზგავსა მოთლებით მოვაჯრე თათრის დუქანში დაღმულ მტვერიან აკვარიუმს,  
მე ვწევარ აკვარიუმში და წყლის სიგრილე ნერვებს მიმწვიდებს. მე ვწევარ და  
ვხედავ,—მოკურავენ: სალამანდრაზე ტრიუმფატორივით ამხედრებული მორიელი,  
ლიპი ტრიტონა და აგური, რომელიც იღო ჩემ დერეფანში, შემოვიდა ჩემ  
ოთახში.

სალამანდრას ფოსფორიული სინათლე წმინდანის ნიბივით ადგას მორი-  
ელს და წმინდანივით განათებული მორიელი ჰკბენს სალამანდრას და ზხამს  
არწყევს.

— რას შვრები ამობილოვო?...—ეკითხება კბენით გამწარებული სალა-  
მანდრა.

— მე ასეთი გვარისა ვარ, თუ ვინმეს არ უკბინე, ისე არ შემიძლიაო!...—  
მიუგო მორიელმა და კიდევ უფრო ღრმად ჩაასო შხამიანი ნეტარი.

— მე კი ისეთი გვარისა ვარ, თუ დაზხამული ადგილი წაღში არ გავიბა-  
ნე ისე მოგვედებიო!...—უბასუხა სალამანდრამ და დაყვინთა; მორიელი წაღში  
ტივტივით წავიდა, აგურს მოეკიდა და მის ქვეშ შეფრობდა.

აგურ ქვეშ მე ოთახის გასაღებს ვინახავ, ახლა იქ კბენას მოწყურებული  
მორიელი იკრუნჩხება და თავს იშხამავს.



აგურით მე დიასახლისი ფეხებს მითბობს და ახლა მის მკვეთრ ხმას ზის და ამბობს შხაიან ზღაპრებს.

შემეშინდა.

გამოფერკვიე.

ელექტრონის სადგური ისევ ქოშინობს.

სადღაც ძალღი ყნუსის და ხატი ძახთაპირი ჰყუფს ცაში, სახლები ბანს ეტბნებიან.

წმიდა ქრისტეფოროე იყო ბერი და ნშვენიერი ვაგაკი. ამ შვენებას იგა ბშირად შეცოდებაში შეჰყავდა. ქალები სამოსს იგლეჯდენ და დედალ ირბები ვით დასდევდენ აღერსს მოწყურებულნი. მაშინ წმინდანი შეევედრა ღმერთს, რომ მისთვის მიეცი ძაღლის სახე და ღმერთმა აესრულა წადილი. უცრად აყეფდა იგი გელესიაში და დაბინავდა წმინდა ძაღლი წმინდანთა შორის. იგი ავი ყუბაქივით სდარაჯობდა სარწმუნოებას და იგერიებდა ურწმუნოებს.

აქ არის რაღაც ეგვიპტური და ეს ეგვიპტური ძაღლი, ხატი ძახთაპირი არ შორდება ჩემ ტვინს. ტვინში დევს გაბებილი აგური და აგურ ქვეშ შმაღულია მორიელა.

მორიელმა ჩამასო ტვინში გესლი და ნარწყევს შხამს.

ტრიტონა დაფრთხა, ტვინს მიეფარა და მე ეკეთებები მორიელს ტკივილით:

— რას შერბები ძმობილოვო?..

— მე ასეთი გვარისა ვარ, თუ იინშეს არ ვუკბინე ისე არ შემიძლიაო!..— მომიგო მორიელმა და მარწყევს ტვინში შხამსა და საშხალას.

რა ვენა მე იხლა,—ცურვა მე არ ვიცი და რა უყო!..

ასე ვწევარ მე მტკვარში და მტკვარი სულივით ჩამიდგა პირში.

სათავე მისი იმყოფება კოლის სანახებში და მისი სათავე არის წამებანი შეიღთა ყრმათა კოლაელთა.

მე ხომ წმინდანი არა ვარ, მე ვარ პოეტო და რატომ უნდა იყოს ჩემი სათავე წამებანი!..

ასე ვარ მე. ვწუხ და ლოგინში ვტრიალებ.

უცრად კაკლნი მომესმა.

— ეინ ბრძანდებით?..— ეკეთებები გაკვირებული.

— ბატონო დედე, გძინაეთი?..— მეკითხება კალის ხმა.

ვიცან: ყვავის ქალია.

— აოა, მობრძანდით!..

კარი იღება და ოთახში შემოდის შავ აბრეშუმის კრინოლინში გაფართაშებული ავად ყვავივით მოფუყული ოთხნოცი წლის ბებია.

ის სათამაშო ქაღალდიდან გადმოსულ ყვავს ჰგავს.

მტკვარი არ არის ჩემ ოთახში და დამცხა.

ქალი შრიალით მომიახლოვდა და ყორანივით შავი ჩამოჯდა ჩემ ლოგინზე. მე ვწევარ და უცქერი.



— უჯაკრიადა!...—მინდა ბოდიში მოვიხადო, მაგრამ გადავწყვიტე არ ღირს და ხელი ჩავიჭინე.

ჟუკერი: უაჭივით თეთრი თმა და ფეროუმარულით შეცხებული სახე უცნაურად ზღბდება მის შავ ტანსაცმელს.

ყვავის ქალი უზერხულად ზის ჩემ ლოგინზე, უნდა რალაც მითხრას და არ იცის როგორ დაიწყოს.

მე რალაც საკვირველ კნაყოფილებას განვიცდი და მოლოდინით, თითქოს ნიშნის მოგებითაც, ჟუკერი დამას.

— ბატონო დღდე,—დაიწყო, როგორც იქნა და მე ჩემი სახელი უცნაურად მომეჩვენა მისი პირიდან,—თქვენ იცით ალბად, მე რომ ქაღალდს ვთამაშობ. მე ვთამაშობ ადამიანის დღეებზე. შეხედეთ ჩემ სახეს, იგი დალარეს ამ დღეებმა. მე მიუყარდა პრინცი, მაგრამ მან უარი მითხრა სიყვარულზე. მას მერე გადავწყვიტე, რომ ჩემი სიცოცხლე არ ღირდა. ასე დაეკარგე მე მთელი ჩემი მომავალი, მაგრამ დღეები უფერული, რომელიც უნდა გაშეარა მაინც დარჩა ბეგარასავით და გადავწყვიტე მათი წაგებაც. ოო, რომ იცოდეთ, როგორ მიყვარდა მე პრინცი... ახლაც მიყვარს. როცა მძინავს, ის მოდის ჩემთან და თმებზე ხელს მისვამს. ასე დავიწყე მე ჩემი დღე და ღანებების წაგება. ამალამ მე წავაგე მთელი ჩემი სისიუოცხოლო დღეები და ხვალ დამის თორმეტ საათზე მე აღარ ვიქნები. და როცა ჩემი სიცოცხლის უკანასკნელი მიჯნა ვიხილე, ახლა არ მინდა სიკვდილი. მე ცხოველურმა შიშმა ამიტანა და სიცოცხლე მომიწყურდა. თუნდაც იმათ მაინც ღირს ეს დღეები, რომ მე ის სიზმარში ვნახო!.. მიშველეთ, ჩემო ბატონო, დამიხსენით! თქვენთვის ჯერჯერობით არაფერს წარმოადგენს ეს შეიდი დღე და მასესხეთ, მომეცით საშუალება რომ ვითამაშო. მე ვიცი: უძველესად ამოვიგებ და როცა დაგპირდებათ,—დაგიბრუნებთ. ხელწერილს მოგცემთ. მე ბევრისაგან მაქვს ნასესხები და ყველას დროზე უბრუნებ. ხვალ, დამის თორმეტ საათზე მე მოგვდები და რომ იცოდეთ, როგორ მწყურია სიცოცხლე,—ხელს გამიმართავდით. მე ვიცი, რომ უძველესად მოვიგებ და ყველა დღეებს ერთიანად განოფანაღდებ. თქვენ ხომ პოეტი ხართ, თქვენ უცნაური კაცი ხართ და მიმიხვდებით—ამბობს ყვავის ქალი, სტირის, ძლიერ სტირის და დაცრემლილ თვალებს ცხვირსახოცით იშვრიალებს

შეებდეთ,—შემებრალა.

ის ისე საცოდავი იყო,—საბრალო ყვავი!..

ან როგორ შემეძლო მე მანანას დეიდისათვის უარი მეთქვა, მე არ შემეძლია ქალის ცრემლების იტანა და მაჯაში ხელი მოვკიდე.

— ქალბატონო,—წამოვიძახე და ყელში რალაც მომაწეა ქავილით, ნერწყვი გადაეყლაპე და სულწასწრებულად განვაგრძე:—ნუ სტირით ქალბატონო, ნუ ინებებთ!.. ინებეთ, ქალბატონო, რამდენიც გნებავთ. მთელი ჩემი სიცოცხლე თქვენი ჭირის ხანაცვლოდ იყოს!.. მე ისედაც მომიწყინდა ეს სიცოცხლე. ჩემთვის ახლა ფასი არა აქვს ამ დღეებს, როცა ისინი ორჩხუმის გამხმარ ბალის ტყავებივით აწყვითა უსიუოცხოლო და დაცხრილული. რა ფასი აქვთ ახლა ჩემთვის ამ დღეებს,



როცა ეს დღეები მიდის უფერულად და უაზროდ, როგორც კარუსელის ხისგან გათლილი გაკრეცილი ფერადი ცხენები. ინებეთ რამდენიც გსურთ, ყურადღებით მთელი ჩემი სიცოცხლე:—მე დავიწყობ გულზე ხელებს და მოვისვენებ ისე, რომ არაფერი დამენანება.

ყვავის ქალმა თვალეზე ხელი ჩამოიშორა და შემომცქეროდა. მერე ერთ-ადგილას საოცრად აფუსფუსდა, წამოდგა, ისევ დაჯდა. თვალეები ბოროტი ცეცხლით აენთო და ცბიერად დამაკვირდა. მერე, თითქოს ახლა მოავიწყდა, თავში ხელი იტაცა, თვალეები მილულა, თვალთმაქცურად მიინაბა და იგი იყო, ნამდვილი ყვავი, ნამდვილი ყოვანი, რომელიც აი ახლა გაისწორებდა ფრთებს და დათარსულად დაიჩხვლებდა.

მე მივხვდი რომ ეს ყვავი არ გამახარებდა.

ყვავი იჯდა და არ დაუჩხვლია, ისე დაიწყო:

— არა, ბატონო დედო, მე სულ ერთი შეიდეგი მეყოფა ამისთვის!.. დღეს რა დღეა?

— ოთხშაბათი!..—მიუკე მე.

— ძლიერ კარგი. მაისის ოცდაერთი, თქვენი დაბადების დღე, 1925 წელი!.. სთქვა მან და მე გაკვირვებული მივაშტერდი, საიდან იცოდა მან ჩემი დაბადების დღე, როცა მე თვითონ არ მახსოვდა იგი.

ყვავის დამა განაგძობდა:

— მე სულ ერთი კვირა მინდა: პარასკევი, შაბათი, კვირა, ორშაბათი, სამშაბათი, ოთხშაბათი და ხუთშაბათი. თქვენ გაგიკონიათ ბუს ზელოცვა, როცა ის სოფლის ეზოში ჩამოყრინდება და უბედურებს დასკვივლებს ოჯახს? მაშინ დედაკაცი გამოვა ეზოში ანთებულ ჭრაქით და იტყვის: ბუს მუცელი ეტყინა ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს, შაბათს და კვირა დილას სული გაეარდა. ამას მე სამეგრელოში უყარე, დედაჩემი იტარო იყო. მე მაქვს ყველა ეს დღეები და ასე გადავრჩი! გადავრჩი!..—წამოძახა ალტაცებით და სიამოვნებით ხელების სრესა დაიწყო.—მაშ მე ახლა მივდივარ!.. იქ დამები და ვალტები მელოდებიან. ნახვამდის!.. ოო, რომ იცოდეთ, რა მადლობელი ვარ!.. ახლა დაიძინეთ, გეყოფათ ამდენი ოცნება. სამაგიეროდ მე დავიბრუნებთ ყოვლად უცნაურ დღეებს და თქვენი სიცოცხლის უკანასკნელი შეიდი დღე ჩიიარს შეიდეგზირიანივით ფანტასტიურად. ნახვამდის!.. ძილი ნებისა!.. მე მი-მაქვს თქვენი დღეები. მე მიმაქვს თქვენი დღეები!..—დაიძახა ყვავის ქალმა ორ-ჯერ სიხარულით ალტაცებულმა, მხარმოტეხილ ფრინველივით აფართქალდა და უცრად ყვავივით დაიჩხვლა.

მე ზარდაცემული ლოგინს გავესნატე და უცქეროდი.

ქალს შეეშინდა, პირზე ხელი აიფარა და წელში გაღუნულა, თავისი თავით უკმყოფილო კარებისაკენ გაემართა.

ლოგინზე გასნატული უცქეროდი ყვავს და შევატყე რომ ეს შავ დარაია მოხვეული ოთხმოცი წლის ბებია სიცილს ძლივს იკავებდა.

კარი გააღო, გავიდა და მოიხურა. მერე ისევ შემოაღო, თავი შემოპყო და



თითქოს ნიშნის მოგებით დაიქნია, კიდევ დასჩხავლა და მოხეტიალე სხივით ხითხით კარს მიეფარა.

კარგა ხანს ისმოდა დერეფანში მისი სიცილი.

დერეფანში ბნელა და დერეფანში დგას აბანოს ქვის, თავგებობისა და დამპალ წყლის სუნნი.

დერეფანში დევს აგური: ბინძური, გახეხილი და ეს აგური ლოდევით დააწევა ჩემ ფიჭვებს. აგურ ქვეშ შე ოთახის გასაღებს ვინახავ.

შე მომავონდა ედგარ პოე და მისი ყორანი.

შემეწინდა.

ავდექ და საცულები ამარა ვაველ გარეთ მტკვარზე გადაკიდებულ აივანზე და მთვარემ დამთოვლა.

ცაში ჰყეფდა ხატი ძახთაპირი, ლამეს სდარაჯობდა და ეს თეთრი მთვარე, შექარს რომ ჰყრიდა, ტკბილი ვერძივით ეყიდა, იცოხნებოდა და ღაბუა ყელზე ვერცხლის ეყვანი წკარუნობდა.

მთვარემ შემომახვია ციებასავით აკანკალებული გრილი სხივები. მოაჯირს მივეყუდე და შლბლი რკინის გრილ სვეტს მივადე. მე შევეცქეროდი ლირწ მთვარეს და უცრად მომეჩვენა რომ სხივებმა მკლავზე შემიგდეს და გამაქანეს.

მეძინა...

## თავი მეოთხე

### მთვარე.

მე განვიცდიდი უცნაურ მდგომარეობას.

მთვარე ჩამოწევა ჩემ სულში, და წაველ დათოვლილ სივრცეებში.

ტანში იყო გრილი სისოვლე. სიმძიმე გაჭრა სადღაც და ფეხქვეშ სხივები ფეხით გასრესილ ახალ თოვლივით კრაქუნობდენ.

უეცრად მომესმა:

— გაჩერდი, ვინ ხარ?

— ფეხი არ მოიცვალა, თორემ გესვრით!..

გამოვეგრკეოე.

თვალეში მოვიშმუნე და ერთ ადგილას ვაგქვავდი.

გაკვირვებული თვალეშ ვაცეცებდი: საცულები ამარა უზარმაზარ ცალიერ დარბაზში ვიდექ და ისე დიდი იყო ჩემი ვაკვირვება, რომ სირცხვილი არ მიგრძენია.

ჩემკენ ვილაც ტყავის კურტკიანები მობობდნენ ფეხზე შეყენებულ ნაგანებით:—ჩეკისტები იყვნენ.

— ხელუბი ზევით!..— მომძახეს მათ. ცალიერ დარბაზში ხმები ზარებივით გულუნებდენ და დერეფნიდან დერეფნებში გამოძახილებად ყირაზე გადადიოდნენ.



ხელემა ავწიე და წემრცხვა. მე თითქმის წიშველი ვიყავი. მივიხედ-მოვიხედე.— მივხვდი: საქართველოს კომუნისტური ცენტრალური კომიტეტის დარბაზში ვიყავ.

ელექტროს სანათურები უსაცოცხლოდ ანათებდნენ და დარბაზში იდგა ქალღმერთის, ღამის სიმკაცისა და საწერ მანქანათა ლენტების სუნნი.

კედლებზე ეკიდა ლენინის, ტროცკის, ალ. ჯაფარიძის, შალვაშვილის და სხვა კომუნისტების პორტრეტები. კარებზე მიკრული იყო ცეკვის განყოფილებათა მსუქანი წარწერები.

მარჯვნივ ფანჯარაში ქუჩის მეორე მხარეს მთავართა და ელექტრონით განათებული ტროტუარი და საპარიკმახეროს აბრა მოსჩანდა.

ტროტუარზე ვიღაცის ლანდმა გაიბრინა ქალღმერთით და მიიძალა.

— ვინა ხარ?

— აქ რა გინდა?...— შეკითხუბოდნენ შეიარაღებულები და ექვსის თვალთ მათვალთვლებდნენ.

რა უთხრა მე ამათ?..

უთხრა რომ მივარდული ვარ,—არ დამიჯერებენ,—არა და რა ვქნა!

— მეც არ ვიცი!— მივუგე მტუბუტით და მერე განვაგრძე:— მე თვითონ არ ვიცი, როგორ მოვხვდი აქ.

— პირადობის მოწმობა გვანენენ!..— დამიღრიალა ერთმა იუხსულად.

მე საცვლებზე დავიხედე და სულღურად გამეღიმა. საიდან ნექნებოდა პირადობის მოწმობა, როცა მე თითქმის წიშველი ვიყავ.

— აქ რას ელაპარაკები, გამომძიებელთან წავიყვანოთ!..— სთქვა ერთმა მათვანმა.

რჩევამ გასჭრა და მე წინ გამიგდეს.

ფეხები მტვერში მჭონდა დასერილი, ღამის სიკრილემ დამკრა და ტანში შემავრეოლა.

ყველა გაკვირვებული და ექვსის თვალთ მიყურებდნენ.

მე თავი უხერხულად ვიგრიძენ, შემოცხვა სიშიშვლის და ღამის პერანგის გულის პირი ღილზე შევიბნე.

თავში ისევ იდგა ძაღლის სიბლუფე და მთვარე წინწილივით რეკდა.

რა კარგია ამ მთვარის ფინჯანზე მორთმეულ ნაყინის ჭამა ჭენეს საკონდიტროში, თორემ რას ჰკავს, პირში სულივით ჩამიდგა და იცინის სულელ ბავშვივით.

ასე ერთ პატარა ოთახში შემიყვანეს.

კედელზე ლენინისა და მარქსის სურათი ეკიდა.

მე მომაგონდა სიტყვა „მარქსი“ და მთვარემ სული გამინათა.

მაშინ მე შეაღდა ამხანაგი ლადო ბუნტური, ისიც ზემსავით პატარა, და ჩვენ ორივეს გვახარებდა ეს სახელი.

ის ახლა მენშევიკურ პარტიის არალეგალურ ცეკას წევრია, არალეგალურ



მარკინეშვილი

პროკლამაციებს აწყობს, ჩამოხმა და თვალები მუდამ დანატრეხილნი აქვს ანთებულა.

მთელი ერთი თვე იმალებოდა ჩემ ბინაზე და ჩვენ ვდავობდით, გვეყვარდა ერთი ნეორე და წარსულ დროებს ვეგონებდით.

ლადო რკინიგზის მთავარ სახელოსნოს მეშას შეილი იყო, თერამეტი წლისამ პროფკატორი მეგზოვე მოჰკლა, მერე დაიჭირეს და ნეტებში ასოთ აწყობობა ისწავლა. მენსევეკების დროს სახალხო გეარდიას შტაბის წევრი იყო.

სად არის ახლა ის?

ბავშობისას მე და ბენტური ეზარობდით ერთად ამ სახელით.

ახლა „მარქსის“ გვერდით იღვა მეორე სახელი „ულიანოვ-ლენინ“.

ილიჩი იღვა ტრიბუნაზე. ტანით ოდნავ გადმოხრიალიყო, ყრონტის ძარღვები დაეხიდა და მთელი ტანით დააბეუს, ქვედა ყბა გადმოხრილ ტანის გასწვრივ წაეგდო და ყრონტიდან ნივთივით ამოვდებულა ლოზუნგი უნდოდა რაც შეიძლება შორს გადაესროლა მილიონიან მასსებში

მისი ატორჯნილი დაკრწნბული ბელი, დაწყურული მონლოლური თვალე-ბი და კუახური შებლი ამ განუსაზღვრელ წაურვილს გამოხატავდა.

— ულიანოვ-ლენინი!.. ულიანოვ-ლენინი!..—რეკლენ ყურები და მე სიოცრად მახარებდა ასო ლასებიაა და ნარების გადაჯვარედინება.

ეს იყო ამბოხებულ სკეითის ყიყინა.

უეცრად ილიჩი ჩარჩოდან დაძრა, კვეიანი და ბასრი თვალეები კიდევ უფრო გაუწვრილდა. „ულიანოვ-ლენინი“ პლაშივით ნიოძრო, ჩარჩოზე გადაჰყიდა და სულ ჯბრალო, კეთილი ილიჩი მოვიდა ჩემთან, თვალი თვალში გამიყარა და დაყვავებით შემგვითბა:

— აქ რა გინდოდა, ამხანაგო?..

თვალეები მოვიშმუნე. ავბედე: ილიჩი აღარ იყო,—წინ სიყმიდან ჩემთან შეზრდილი ამხანაგი კომუნისტი მანასე ვოდაბერიძე იღვა.

მესულე, ომბიანი და კუთხური.

ტანთ ვალიფე-შარვალი, ტყავის კურტკა და მალალ ყელიანი ჩეშმა ეცვა. გულზე ლენინის ნიშანი ებნია.

— შენ აქ რა გინდა, კაცო?—შემეკითხა მანასე გოაცებული.

— მეც არ ვიცი!

— ტანზე რატომ არ ვაცვი?

— მენინა... არ ვიცი...—ვთქვი, მერე უეცრად გულში რაღაც ბალღამივით თბილი მოსკდა და აღმომხდა:—შენ ხომ იცი, მანასე!.. ავიდ რომ ვარ... ესენი არ დამიჯერებენ... აღბად ძილის დროს... მე მხოლოდ ძახილზე გამოვერკვიე... არაფერი არ მახსოვს... მე თვითონ არ ვიცი რა მჭირს ამალამ... შავი ყოროანი, წმინდა მორიელი და უცნაური ამბები არ მასვენებენ...

მანასე გაშტერებული მიცქეროდა.

აღბად ფიქრობდა: ხელახლა ვიწლებოდი, თავი გამანება და დარაჯებს დაჰკითხა.



მათ განაცხადებს რომ გვიან დამინახეს. მათ მხოლოდ ექვსშენ უშენიშნეს, როცა მე ქუჩის შრიდან მესამე საათულის ფანჯარაში შეტყვევებულხარ. ახლა გარინდებოლი. ვერ თურმე თვალებს არ უჯერებდენ, მერე გამოერკვენ და დამაბატომრეს.

ოქმი შეადგინეს, დამკითხეს, მისამართი დაიტოვეს და კარგა ხნის ახსნა-განმარტების შემდეგ მანასეს თადებობის ქვეშ გამანთავისუფლეს.

ტანთ არაფერი მეცვა.

სიცივით ვკანკალებდი, ან როგორ უნდა ნება კქნაში საცვლების ამარს! მანასემ თავისი მაზარა ნათხოვა, სადღაც ძველი წულები ნონახეს, ჩამიცვეს და გამიშვეს.

სახლში დაღლილ-დაქანცული მიველ.

ოთახის კარი ოდნავ შეღებული დანხდა.

მამლებმა ყვილი დაიწყეს, ოდნავ ინათა, მთვარე მიმცხრალდა და სახლში გაჩნდა ღანის ბეტილიდან დაბრუნებულ მდგმურების ხმაური.

ფანჯარასთან მიველ, მაზარაში დამცხა, მოვიხადე დანაძალადეეს გავხედუ-ძილი გამიფრთხა.

მე ნაძალადეეში აღვიზარდე.

ჩვენ სახლში მოდიოდენ რკინისგზის ნუშები, სკამებზე მოუხერხებლად, ტლანქად ისხდენ და მაზუთიან ბელებს პაკლით იწმენდენ. თვალებაღზნებულნი ლაპარაკობდენ კომუნაზე, თანასწორობაზე, ერთობაზე.

მე აქ გავიგონე პირველად ნარქსის სახელი და ამ სახელმა მაგრძნობინა სიტკბო და სითბო სიტყვებისა:

მანამდე მე ვიცოდი კიდევ ორი უცნაური სიტყვა: ღმერთი და თაფლი. სიტყვა თაფლს მე გვიანდი, ტბილი იყო, მაგრამ ღმერთი ვერ დაგაწყვედიე ჩემ შეგნებაში და მეწინადა.

ახლა ყველა სიტყვები ჩემი ნაცნობ-მეგობრები არიან. ზოგი ჩემი საყვარელია, ზოგი უცხო დედოფალი, ზოგი სიტყვა ჩემთან ერთად წვება ლოგინში, ნებიერ ბავშვით მკლავზე თავს დამადებს და ნიეძინება.

მე ნიევიარს სიტყვები, როგორც კრიეანგს ოქრო და ფული.

როცა მე საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი დავკარგე, მე ისე ვიყავე, თითქოს დედა მომიყვდა.

ზწირად შემართება ასე, როცა ქუჩაში მივდივარ, უეცრად რომელიმე სიტყვა დამინახავს, ამეღეენება, საყვარელ ქალივით მოწყვება გვერდით და იანო-რებს თავის თავს უამრავ სახეებში, უძრავ ფერებში, თავს მაწონებს, მეაღერსება, რომ ხელი მკლავში გამოვდო და სახლში წავიყვანო.

ზოგი სიტყვა მაიმუნეით მანქიაა, ზოგი ნიბლიასავით ყუჩი და ზოგი პროსტიტუტივით უსირცხვილო.

ო, მე ძლიერ მიყვიარს სიტყვებთან ცხოვრება.

ახლა, როცა ყველამ მიმატოვა, მე მხოლოდ ისინი შემრჩენ...

მესამე უცნაური სიტყვა, რომელიც გავიცანი, იყო ნარქსი.



ის უცნაურ შთაბეჭდილებას აბდენდა ჩემზე და როცა მამაჩემს მწოდებდა, ვიდაც მოხუცის სურათი ენახე, რომელსაც ქვეშ მარჯი ეწერა, მე ამხანაგებთან გიჟივით ვავიქეცი, მოგნახე ლაღო ბუნტური, მანასე, გოდაბერიძე და კიდევ ერთი ამხანაგი, რომელიც შემდეგ სულ ახალგაზდა გალიციაში მოჰკლეს, სურათი მოწიწებით ავიღეთ, სახლის თავიანზე ავიტანეთ და მუცელზე დაწოლილი დიდხანს დაეცქეროდით.

მერე მე გავიციან ბევრი სიტყვები, ბევრი სახელები,

როცა მე ვხედავ ნივთს, რომელიც ანათებს, ის დგას ცალკე, მაგრამ, როცა მე ვიტყვი:

— ლამაა!..— ეს ნივთი იღებს უცნაურ სახეს, იგი მოდის ჩემთან, შემოდის ჩემ ინტიმობაში და მე შეშინია არ გატყდეს და ცუცხლი არ გაიძინდეს.

შუის სისტემის გარდა, არის მრავალი სისტემები, მაგრამ ნე ისინი სრულიადაც არ მაწუხებენ, რადგან მე არ ვიცი მათი სახელები, მიუხედავად იმისა რომ ისინი არსებობენ.

ეს არ ესმოდათ არც ბუნტურს და არც მანასე გოდაბერიძეს.

ისინი ყველაფერს უბრალოდ უცქეროდნენ.

ლაღო ბუნტური არალეგალურად ცხოვრობს, მანასე გოდაბერიძე საგანგებო კომისიის გამომძიებელია.— — — — —

ეს იყო ცხრაას ხუთში.

მე მაშინ მოკლე შარვლით დავდიოდი, ვიყავ პატარა და გრძელ შარვალზე და წვერ-ულვაშზე ვოცნებობდი.

დილაობით ლოგინს ვეტოლებოდი და ენატრობდი იმ დროს, როცა მის სიგრძეს გავწვდებოდი, ვიჭებოდი დიდი და მცც მამაჩემივით ჰკვიანად ვილაპარაკებდი.

მე ვიყავ ყაჩაღების მეთაური, ჩემი ამხანაგები იყვნენ ლაღო და მანასე.

ჩვენ ტყეში უნდა გავფარდნილიყავით, მაგრამ თოფი არ გვქონდა და დროებით ვიცდიდით.

ჩვენ მდევებსა და ყაზახებს უნდა შევებოლებოდით.

ეს იყო ცხრაას ხუთში, შუა ზამთარში და ცხრაას ხუთმა ცხრა ძმა შეიწირა ზვარაკად. მე და ჩემი ამხანაგები შიშით აკანკალებული შევედით ნათალადევის საეკლესიო-სამრევლო სკოლის ოთახში და ვნახეთ: ცხრა ვაჟკაცი წთღორ წინდებისა და პერანგის ამირა ჩამწკრივებული იწეა სკოლის პარტებზე.

არ გვიტირია.

კრიჭა შევკარით და გარეთ გამოვევლით.

ვიცოდით: სისხლის ალუბა იყო საჭირო.

შევხედე ამხანაგებს და მივხვდი: შურს იძიებდნენ.

მათ შორის მე სიზმარივით მახსოვს ერთი უცნაური სახელი, რომელიც კუბოში ჩამყვება, არ ვიცი რომელ მათგანს ერქვა: შინა კალამე.— — —



ეს იყო ზამთარში, გათენებისას. მაშინ თოვლი იყო და ჩოროცხეც დედამ გარეთ გაიხედა, — მოედანი, სადაც ეკლესიაა შენდებოდა, საესეპტაჰმამადნაბრებულ უახეხებით.

ვილაც სამუშაოზე მიმავალი ტრამვაის ლიანდაგის მწმენდავი მუშა შეიპყრეს, ლიანდაგის საწმენდი წვეტიანი ბარი წაართვის და ჩვენ ბაღში ჩამოაგდეს, ბარი ისარივით ჩაერტო რბილად თოვლში და მე მომეჩვენა, თითქოს ტვინში ჩამესო იგი.

მას შერე დავდივარ მე ამ ისარივით წვეტიან ბარით ტვინში და ვერ ვიცილებ შავებში ჩაქმულ მოხუც დედაკაცოს კივილს.

ცხენები ფრუტუნობდნენ და ახალ თოვლზე აორთქლილ ცხელ ჩონჩორიკს ჰყრიდნენ.

მათრახები შუოდა, ისმოდა თქარუნი და რუსული დედის გენება.

მე შემეშინდა, აკანკალებული მაგიდის ქვეშ შევედვრ და ტირილი დავიწყე: ვიცილი „იმათაქ“ იგივე ბედი მოელოდათ, როგორიც რაედენ სტურუას, რომელსაც მე თოფის წმენდაში ვეხმარებოდი.

დედა მიყავებდა. მამაჩემი დაიჭირეს და მალე მე და დედა ვიდექით სირაჯხანის ქუჩაზე და ხელს უწევდით გალიაში დამწყვედიულ მამას.

მამაჩემი იყო რკინისგზის მუშა.

ჭეა დაიკადა გულზე და ისე გამზარდა, მაგრამ მე ვერ გაუმართლე იმედები. მე მუდამ უცნაური ვიყავ და მუდამ თავი მტკიოდა.

ის იყო არსენ ჯორჯიაშვილის ამხანაგი და როცა მე გავივინე:

დედავ, ნუ სტირი, ნამავ, ნუ სივი,

მე მოვაშორე ქვეყანას ჭირი. .

მე მივგექ კუთხეში და გულამოსკვნილი ვტიროდი ძია არსენას.

ახლა მამა არა მყავს. ის მოჰკლეს ბაიკალზე, როცა მან გაქცევა გააპირა.

მას შერე მაფიქრებს ტბები: ბახალეთის ტბა, პალიასტომი, თაფარაიანი.

დედა სოფელშია და მწერს ტკბილ წერილებს, რომ კარგად ვიყო, რომ მისმა ძროხამ მოიგო ხბო და ჩემ სახელზე ზრდის.

ახლა მე ვცხოვრობ უცნაურ ოთახში: აქედან მოსიანს მყინვარი და მახათა.

მე ვხედავ შაქრის ვერძს, ჰკილია იგი ცაში ტკბილი, როგორც მეშხანთა სამმართველოს ლერბი და უზარმაზარი გერმანოფროდიტი აღრჩობს ქალაქს გვალვაში.

ხანდახან მგონია, რომ ტფილისი არის ალექსანდრია და მე ვიღრჩებები კურტიხანების გინგლივით ცხელ სხეულებში. ქალის შიშველ სხეულებში ამართულია უზარმაზარი სამკითხველო თავგამხმარ ბიბლიოფილებით, რომელთაც ხელში უზარმაზარი კატალოგები უჭირავთ.

ცხელი გინგლი მალრჩობს, ვიხუთები და ძილქუში დამაწვა თავზე, გამგულდა და თავი ბალიშზე მივაგდე.

როცა გამეღვიძა, მზე მოხვერივით ბულრაობდა ცაში და ცხელოდა...





საქართველოს  
წიგნითმწიფის  
კავშირისთვის

## თავი მეხუთე

### ბ ა შ ა ლ ი ბ ე რ

გვიან არის.

ტრაქტირებიდან, ქუჩებიდან, საზოგადო სახლებიდან და სარდაფებიდან დაბრუნებული მდგმურები შექვრენ სოროებში და ღამის ნათევი ისვენებენ.

ეს სახლი, სადაც მე ვცხოვრობ, ჰგავს გადარეულს კუჩიან ბოდვას.

დაღამებისთანავე სახლში დაიწყება მოძრაობა, მიდი-მოდიან, ხმაურობენ, ყვირიან და შუღლიან, როცა ყველას სძინავს, სახლი იგი მთვრალ დედაკაცივით ამორგდება და ნესტიან ჯურღმულებიდან ბაცილებივით გამოხოხდებიან ქურდები, პროსტიტუტები, რევიდივისტები და კაცის მკვლელები. მოარულ სენივით მოედებიან ქალაქის ქუჩებს, დაძინებულ ბინებს, სამიკიტნოებს და გააჩენენ უცნაურსა და ბნელ ამბებს. მთელი ღამე ბუშაობენ, მოჭმელობენ და მერე, როცა ცა მტრედისფრად ინათებს, დაბრუნდებიან დაღლილნი, სისხლში დასვრილ ბებუთებით, ნაპარაე ნივთებით, ნაცემ-ნაგვემნი, ჩაძვრებიან სოროებში და მთელი დღე ამ კბილჩაბდღვნილ სახლს სძინავს ბებერ ინვალიდივით.

პატიოსანი და წარჩინებული მრავალსართულიანი სახლები ალაყაფებს უზარმაზარ ხახვივით დააღებენ, ნესტიან ყრონტიდან გამოძინებულ მდგმურებს გადმოყრიან და აყუფდებიან შეეზოვებით, მილიციონერებით, გამომძიებლებით და ნახევრად შიშველ, ჯერ კიდევ ჩაუცმულ ქორიკანა დედაკაცივით.

სისხლი! სამართლის მილიცია თავზე თმებს იჯლეჯს, ოქმს ოქმზე ადგენს და ისმის უცნაური სახელი.

— ქორიამ სასამართლოს ქუჩაზე კაცი მოჰკლა.

— ქორიამ რუსთველის პროსპექტზე ბანი გაჰქურდა, წაღებულა ძვირფასი ქალაღები.

— ქორიამ ხოჯივანქის სასაფლაოზე მკვლარი ამოთხარა და გაძარცვა.

— ავლაბარში ქორიამ ბავში აცვანში ჩაიღრა.

ასე ისმის ეს უცნაური სახელი და ამ სახელის გავრცელება ტანში მიერეოლდება. ეს სახელი იჭრება ჩემს მეხსიერებაში, შემოდის ჩემ შეგნებაში და სულში იატაკის სარეცხ ბინძურ ტილოსავით ვატარებ.

და სახლს, რომელშიც მე ვცხოვრობ და რომელიც არის ნამდვილი მიზეზი ამ ალიაქოთისა, სძინავს თავისთვის, რომ შენდევ ღამით ხორთუმიან კომმაროვით ადგეს ისევ, დააძროს მიწაში ღრმად გაყრილი დამბალ კბილის ძირევივით ჩაქვული ბალავერები და უზარმაზარ, უზნეო კუბიკავით დაიწყოს ბორგვა ქუჩებში, იღრინოს ალაყაფებით, სურდოიანივით იხროტინოს გაციებულ ბუბრებით, ლოთივით წაიქცეს შუა პროსპექტზე, დაიფშვანას ნაციარტუტასავით, მერე ისევ აშენდეს და სახურავ გადაბადილმა პროსტიტუტებთან ერთად ბნელ ქუჩებში მკვლავ გაყრილმა უქულოთ იაროს.



კარმინითა და სიეკვეო პუდრით შეცხებულნი ცხვირ ჩანგრეული კანის კისით-  
პოკინის კუბიკს. მთვრალი კუბიკი დაღებულ ალყაფეხით მარჯვენა კისრ-  
ხარებს და კლამოძებულნი ხატი ძახთაპირი წელმოწყვეტილი მიფორთხავს-  
ცაზე. ძწოლა ატანილი ვერძის შაქრიან ბაყეებში შეხობდება და ლოკავს ტკბილ-  
ჭანკლებს.

ასე დაძრწის ეს ბებერ სიფილისიანივით ცხვირ ჩანგრეული ჰირძალი სახლი-  
დაათრეეს მუკელში სკამებს, სავარძლებს, ვანებს, უნიტასს, კანალიზაციას და-  
საშოდან გადნოვარდნილი კომოდი როყინით ზისდევს. პრისპექტზე გაქცეულ  
მეოცნებე თმახუტუკა პოეტს.

მე ვცხოვრობ ამ სახლში: შიში ზიპურობს, ფეხი არ მოუსხლტეს და  
მტკვარში არ გადიჩხოს.

ალბად იმიტომ არ მძინავს მე მთელი ღამეები და ვხედავ ყოველად უცნაურ  
ამბებს.

გათენებისას დაბრუნდება იგი თავის ადგილას წანწალით ქანცვაწყვეტილი,  
ღონკიხოტის ძველ იარაღივით აიკიდებს გაცრეცილ სარკმლებს, დანალ აიფ-  
ნებს, აპრიალეზულ კარებს, ბინძურ ფეხის ადგილებს, დააღებს ხახას და ჩაყ-  
ლაპავს ახოხებულ სიეკვეო მდგმურებს.

ძირმომპალ საძირკვლებს წურბელივით მიწაში გაფურის, თავზე კრამი-  
ტებს დაიწყობს, მათხოვარივით დაწვება მკლავზე და დაიძინებს.

მზე ცეცხლის კრუხივით დააცხრება, ჰეორტნის ცხელი ნისკარტით, ფხოქ-  
ნის ცეცხლის კლანჭებით, ლოკავს აღმურით და საღამოთი დაცლილი და ნიათ-  
გამოლიწყული მზე ავადმყოფ კახასავით გადაწვება მთის გრეხილებზე და მოკ-  
რილ თავივით ჩაეკანება საღამოს ბინდებში.

ახლა შუადღეა და სახლს სძინავს.

ჩემ დიასახლისს ჰყავს ყრუ-ზნჯი მოახლე, ძღუტებ ათქვირული, ჩოფურა  
და ავხორცი. ეს ის, მე რომ აგურით ფეხებს ნითბობს.

მას არავენ ეკარება.

სტუდენტებიც ერიდებიან.

და როცა მას ვაყის ალერსი მოწყურდება, დააღებს პირს და ბღავის ნა-  
დირივით, ბღავილი იგი იმწყვდევს დერეფნებში და ძღუტებივით რბილად მი-  
გორავს კბეებზე.

ახლა მხოლოდ ის დადის დერეფანში და მე ვგრძნობ, როგორ მოიპარება  
იგი ფეხაკრეფით ჩემ კარებისაკენ და როგორ იტყვირება გასაღების ზერელში  
ენიანად.

მე მიკვირს, როგორ იფლებს სისხლგამშრალი ქალღლის ყვავი ამ ვათქვი-  
რულს და ხორციით დაძძიმებულ სონის გოგოს.

დერეფანში ისმის სტუდენტების ხმა: ოსტეოლოგიის ჩასაბარებლად ეზა-  
დებიან.

ერთი მათგანი ჩემი მეგობარია, მისი სახელი: ჯაბა.



ის ხშირად შემოდის ჩემთან და მეზაისება პოეზიაზე, ჩემი მანანა მუღამ რო-  
მანზე, მედიცინაზე, ეროტიკაზე, პროსტიტუციაზე და ატავიზმზე.

ჯაბას განსაკუთრებით სტესობრივი საკითხი აინტერესებს და, როცა მე მას  
ვენაში გამოცემული გერმანული კრებული „Linae“ ვათხოვე, მთლად გადაირია  
ფროიდის სიზმრების ახალ თეორიით და ბავშვთა სექსუალურ ცხოვრების ახალ-  
პრობლემებით. ამას გარდა მან თითქმის ზეპარად იცის კრავტ-ეზინგის „სტე-  
სობრივი პსიხოპათოლოგია“.

ჯაბა არ მსახურობს.

დღე და ღამე სწავლობს. იცის გერმანული და ახლა ფრანგულში მეცა-  
დინეობს.

სამეგრელოდან ჩამოსდის ხის კოთხოვებში ჩაწყობილი სულგუნები და სი-  
მინდის ფქვილი.

ხშირად შემოვა ჩემთან ოთახში და მთხოვს სიზმრები მოუყევ, ფროიდის  
თეორიის შესამოწმებლად უნდა, მაგრამ მე მას მუდამ ბაყალ გეოასთან  
ვგზავნი.

გეუა ხედავს მუდამ ეროტიულ სიზმრებს.

რა უნდა უთხრა მე მას, როდესაც მთელი ჩემი ცხოვრება ჰგავს უზარმა-  
ზარ კაშპარულ სიზმარს და ერთი მეორეში ამერია სიზმარი და ცხადი, როდეს-  
საც მათ შორის ერთიანად წაიშალა საზღვარი და ამბავი, რომელიც ხდება  
ჩემს ნამდვილ ცხოვრებაში, ვერ გამიჩვევია სიზმარში იყო, თუ სინამდვილეში.  
წუხელ მე ცეკვაში ვიყავ დაპატიმრებული და რომ ეს მაზარა და ეს წულები  
არა, მე არ დავიჯერებდი რომ ეს ნამდვილად მოხდა.

გუშინ მე ბაყალ გეუას უსაყვედურე, რომ მას ევროპული კოსტიუმი ეცვა  
და ისე ჩამიარა გვერდით, თითქოს ვერ მიცნო.

მე ეს მეწყინა: რა ჰქონდა საუკადრისო.

გეოს სიცილად არ ეყო ეს ამბავი.

— ეპა, რას ამბობ ძაო, მე და შტატსკი!.. ხომ არ დაგესიზმრა?...— მომი-  
გო მან და ლეკრად მომავიწყდა რომ, ეს შეჭველად სიზმარში იქნებოდა.

• ასე მეპართება მე.

• ასე ვარ, მაგრამ ექივთან მაინც არ მივდივარ.

• ისინი ზედმიწევნით სუფთა, წესიერი და მეთოდური არიან.

• ეს მე მაბრაზებს.

ახლა მთელ სახლში სამარისებური დუმილია შემომწყვდევული და სტუდენ-  
ტების ლათინური ტერმინები ბოდვასავით ხმაურობს დერეფანში.

ჩემი დიასახლისის მოახლე სირანუშა, ეტყობა, გასაღების ზვრელში არ  
იკვირება, — ასე ვგრძნობ.

დერეფანში დაღის ერთი ფილოლოგი სტუდენტი და სანსკრიტულ სიტ-  
ყვებს იზეპირებს,

ყველა ბინებში სიწყნარეა, მხოლოდ ჩემ ნაცნობ პროსტიტუტის ოთახი-



დან ისმის ქალის ზრინწიანი ტირილი და მთვრალი ოღრავი დასრული ნადი-  
რივით ბღაველი.

დერეფანში ახლა დადის სტუდენტი ფილოლოგი და სანსკრიტულ ფრაზებს  
ზუთხავს.

დერეფანში გდია აგური და მე მომაგონდა სალამანდრას ფოსფორული  
სინათლით ნიბმოსილი წმინდა მორიელი.

არ ვიცი რატომ, რალაც ჯენაურმა ძალამ ამაყენა და დერეფანში გამი-  
ყვანა: აგური ფრთხილად გადავწიე და სიბნელეში ძლივს გავაჩრეე იატაკზე  
განსატლელი ყვითელი მორიელი. კბენას მოწყურებული ენისანად იკრუნჩხებოდა  
და თავს იშხამავდა.

სტუდენტი ფილოლოგი მომიახლოვდა და გაკვირებულ თვალეზით  
დასცქეროდა.

ფეხი დავაკირე მორიელს,—გაესროსე და მას არ უთქვამს:

— ასეთი გვარისა ვარ: თუ ვნშეს არ უკბინე, ისე არ შემოძლიაო!

სამაგიეროდ მე გამიელვა:

— ვინც მე მკბენს, თუ არ გაესროსე, ისე არ შემოძლია მეთქი!.. და უც-  
ნაურად გამეცინა.

სტუდენტი გაკვირებული მიცქეროდა და მე რატომღაც უთხარი:

— რას იზამ, მეგობარო, კვიცი გვარზე ხტის!..

სახტად დარჩენილი სტუდენტი სულელურ თვალეზით მიცქეროდა და მე  
გამარჯვებულ სარდალივით კმაყოფილი შეველ ჩემ ოთახში.

სტუდენტი დგას ალბად ახლა დერეფანში და ფიქრობს რომ მე ან გადა-  
რეული ვარ და ან ფარსაგი არ მქირს. ორივე შემთხვევაში მართალი ხარ შენ.  
სტუდენტო, მაგრამ რას იზამ, როცა კვიცი გვარზე ხტის და მე უმიზეზოდ გა-  
მზიარულებული ლოგინზე წამოვწყეტი.

ვიწეკ და დიდხანს შეეცქეროდი ჰერს, მერე კუთხეში მიკიდებულ ჯვარც-  
მას შევხედე. დედამ დაკიდა წმინდა ნინოს ხატის გვერდით. შარშანდელი ბზა  
ეკიდა იქვე გამხმარი და მტერიანი.

დავაკვირდი ჯვარცმას და დავინახე რომ, ჯვარზე გარდამოხსნილი ქრის-  
ტე ცალი ხელით მოწყვეტილი ეკიდა და ჯვარზე მის მაგივრად გაკრული იყო  
წმიდა მორიელი და ქრისტეს შამავდა.

წამოვდექი, მივუახლოვდი,—არაფერია. ქრისტე ისევე გაკრულია ჯვარზე,  
ფერდი წამებისაგან შეგარდნილი აქვს და სისხლი მკერდზე შეხმობია.

მოვცილდი.

ფანჯარას მივუახლოვდი.

დიდხანს გავცქეროდი ამღვრეულ შტკვარს.

თავი ტყვისასვით მკონდა დამძიმებული და სახე პირდაუბანელივით  
მიხურდა.

მიდღუნებდა ზანტი მტკვარი ამღვრეული, ნერწყვიანი და წყლის ენებით  
ნაპირებს ლოკავდა.



ვერის ხიდზე დასაფლავების მშუბარე კორტეი მიემართებოდა. და გულ-დათუთქული დედა, ბედდამწვარი მეუღლე და ღრმად დამწუხრებულმა დაძაბდა ძეგები მიპყვებოდნენ უდროვოდ გარდაცვალებულ საყვარელ ცხედარს და შავად შემოსილ ქირისუფლებში თეთრად მიირწყოდა კიკნაძისა და მაიერის დასაფლავების ბიუროს ბალდახინი. ბალდახინის გუმბათზე მსუქანი მოვერცხლილი ანგლოზი იჯდა და ხელში მძიმე ჯვარი ეჭირა.

ტრამეაები და ავტომობილები ბუზღუნით დაპჭროდნენ სივრცეებს ბამბებივით ყლაპავდნენ და კლოუნებივით უზრდელად კისკისებდნენ.

იქ ძირს, სადაც საარტილერიო ხეგია, ჭრელი კარუსელები ირწიოდნენ და ეს კარუსელები შემოვიდნენ ჩემ ტვინში თავისი უსიციოცხლო გაცრეცილ ხის ცხენებით, ისე როგორც ავგვის, თავლაში, აქიბვინდენ ბუტაფორიულად და ქიხვინში დაძყარეს დაღეჟილ ქალაღდის ნეხვი.

მანეთე წიოელ-არმიელები ვარჯიშობდნენ.

ექესი ცხენი დააგორებდა სამთო ზარბაზანს.

მე მომაგონდა ჩემი ჯარისკაცობა, როცა მე-2-ე საარტილერიო ბრიგადის 1-ლ ბატარეაში ვმსახურობდი.

უაზარმაში მაშინ იყო სევდა და ჯარისკაცის მაზარასავით უფერული და მოსაწყენი დღეები.

ჩამოცხა.

ჰაერი ჩამოიბჟთა.

შავი ღრუბელი ფურკამეჩივით დაწვა ცაში, მერე უეცრად წაშოდვა, შციგლო რქებით ზურგზე მზე და გაიქცა.

გრძელი ჩრდილი რიდესავით გადაეფარა ტფილისს, მაგრამ კამეჩმა ვერ შეარგო ცხელი მზე, ამოიციხნა და დადობრილია მზემ დაღვარა სახლის სახურავზე და ქუჩებში აკაპასებული პაპანაჭება.

ახლა მე აღარ ვფიქრობ შენზე.

შენზე ალბად ბაყალი გეუა ოცნებობს.

ბაყალ გეუას უყვარხარ შენ და სწორედ იმიტომ ლაპარაკობს შენზე უწმამწორ ამბებზე. გეო შენ წარმოგიდგენს ათასგვარ პიკანტურ მდგომარეობებში, არ იღლება და ილაპარაკებს შენზე ენინიანად და თან ზალს ივრებს აკანკალეზულ მსუქან თითებით, იმიტომ რომ შენ მას უყვარხარ თავისებურად, უცნაურად და მე რატომღაც არ ვეჭვიანობ, არ ვბრაზობ, პირიქით საერთო სიყვარულმა დაგვამეგობრა.

მეტად უყვარს გეოს უწმამწური ამბები და ბინძური შენთხევეები.

ამისათვის მას ესაჭიროება კაცი, რომელიც ყურს უგდებდეს, ასეთი კაცი არის მერტაჩე ზახარ ზახარიჩი და მიკიტანი ბაბაქუა, რომელმაც თავისი ქალიშვილი გააუპატიურა და მერე საზოგადო სახლში შეიყვანა „მოსამსახურედ“ დედა სოფიოსთან.

გეო განსაკუთრებით დადის საზოგადო ფეხისადგილებში, მაგალითად ოპე-



რის გვერდით, საათობით დგას და კიბულობს კედლებზე წარწერებს, იცინის, უხარია და ათვალეირებს უზგავს ნაბტებს:

— ვაჰ, დუდეჯან, მოდი ერთი კარგი ჩისტოპისანიე წასწავლე, რაღა, რომ სულ გადმოვწერო!... შემებვეუა ერთხელ გეო, მაგრამ მე ვუთხარი, რომ ის საკმაოდ ბებერია აპისთეას.

გეომ გულში სინანულით მფშტა დაიკრა და კბილები მოუჭირა.

მისი ხილით სავაჭრო ფარდული დგას ჩემი ბინის მახლობლად ზედწარწერით:

ბაჰალ გეუას ხილით სავაჭრო.

БЕДНИ ГЕО

ის ვაჭრობს მხოლოდ ხილეულითა და მწვანეხილით.

ზაფხულში ლალიდის ხილეულ წყალს ჰყიდის.

ხილი აწყევია მის ირგვლივ აღმოსავლურ ნოხივით, გეო ზის ამ ნოხში შიშველ კოტიტა ფეხებით უხარმაზარ რუმბივით და ხენეშის. ტანთ განიერი ტოტებ ამოწვებული შარვალი აცვია და გადმოდებული მუცელი ათ გირვანქიან ვერცხლის საპარხ ქამარით აქვს აკრული.

ირგვლივ დგას მამრუტებელი სურნელება და სიგრილე ბოლოკების, პიტნის, ტარხუნის, ცერეკოს, ქინძის, ვაშლების, მსალების, ნესკების, ატმების და გაბერილი ოფლად გაღვრილი გეო თვრება და მიზნედილ თვალებით შესცქერის შენს ძველებურ ჩუქურთმიან ქართულ აივანს.

შენ მას დღუქნის პირდაპირ ცხოვრობ, მაგრამ შენ ხარ უმოწყალო და ერთხელ არ გადმოხედავ შენის ეშხით დამწვარ საწყალ გეოს.

გეო სწუხს.

გეოს არ ასვენებს შენი სიყვარული.

რა ჰქნას გეომ, როცა სისხლი შავ ღვინოსავით სდღღს ძარღვებში და სიყვარული ყელში ბოღმად აწვება.

მკითხავთანაც კი იყო მარტყოფში, თილისმაც იშოვა, თელეთობას არ აკლდება, მაგრამ შენ მაინც არ გიყვარს იგი და გეო გულმოსულ დათვივით ღმრის ხოლმე თავის დღუქანში.

გულის გასართობად ორთაქალის ბაღში დადის საქეიფოდ და თვალკრემლიანი ისმენს ეთიმ გურჯის დამწვარ ბაიოებს. იქ არღანი ავარულ „ქენსის“ უკრავს და გეო დნება წმინდა სამთელივით უცეცხლოდ და ეშხში შესული გაიძახის ლაზროდ:

— შენი კირიზე, შენ კი გენაცვა მაგ ყაყრანტოში, აჰაა!..

მერე ვერ მოითმენს, თითქოს გულს რაღაც შემოახტაო, მუშტს სუფრაზე მთელის ღონით დააარტყამს და დაიძახებს:



— უუჰ, შენი სულის ქირიმე შენია..

მარკუნული

ბიჭურად შეკრეკილი კახბა დროს იხელთებს, კალთაში ჩაქუცდებში დამკის მალალ საკინძეს მორიდებით და ნაქირავებ აღერსით ეთამაშება.

გეო სადღაც გადაბრუნდება იქ, უკან, ეს არღანი, ეს ეთამ გურჯი და უხარმაზარი ზელადა აიმაართება მის წინ ვნებით სავსე და შენს ეინს იკლავს კახპასთან. მაშ რა უნდა ჰქნას გეომ, როცა ასე დაურღვიე შეუდროება!

იყო თავისთვის და ლილინებდა თეიმურაზის „ხილთა ქებას“, რომელიც მე ვასწავლე.

— ფერად მზგაავსიი ვაარ ლა—ალი—ისა, მერმე საქმელად ტკბილი—ლითაა!..—ან-და:

— ვაიი, რა—ა დააკვარგე—ეე!—წითელი—ი ლალი—ი..

გეოს უყვარს ქიდაობა.

ყოველ კვირა მტრატყე ზახარ ზახარითან ერთად დადის ცირკში და შაშო ვერელისა და ნავთლულელ მალაკნის ქიდაობას უცქეროიან.

სხედან პირველ რიგში და ილტაცებულნი ქონით დამღრჩვალ ხმით ეძახიან მედოლეს:

— შენ დაუჯა, ცხრა თითაე!..

— ტარა—ნა—ნა, კულა,

ჯერ არ გაიალახუ—ულა!..

მერე, ქიდაობის გათავგების შემდეგ ბაბაქუს სამოკიტნოში მიდიან და მთვრალი, გაღეშილი გეო ლაპარაკობს თავის სიყვარულზე.

მტრატყე ზახარ ზახარი შეწუხებულ ქირისუფალივით ყურს უკდებს, თანაგრძნობით თავს იქნევს და თან ღვინოს სევამს.

ასე სხედან ისინი შულამემდე და გეო ოხრავს შენზე.

გეომ იცის შენი სახელის დღე და არასოდეს არ გამოეპარება.

ნამდვილი შენი სახელი არის თამარ, გეძახიან შინანას, არ ვიცი საიდან გაიგო, მე არ მითქვამს, და ყოველ პირველ მაისს გიგზავნის წმინდა კელაპტრებით აქათქათებულ მალალ თარუს ხილეულობით დაყურსულს და ზედ აწვეია გელაქნური და ცოცხალი იშანი.

თარღზე მიკრულია პატარა ბარათი:

От Бедни Гео.

მე ვზივარ შენთან ნადიმში და თავს უხერხულად ვგრძნობ.

შენ გახსნილ ღიმილით თარუს ბაყალ გეოს აღზნებულ სულივით ჩამოდგამ შუა სტუმბრებში და თარფი ირწყევა აქათქათებულ კელაპტრებში:

შენ გადმომხედავ შენი თვალებით და მე თავს ვლუნავ: იმიტომ რომ შენ იცი ჩემი და გეოს მეგობრობის ამბავი.



შენ ჩემთან ზიხარ და მთელი ღამე განსაკუთრებულ ყურადღებებს მიმეპრობი. არ ვიცი რატომ შეიცვალე განწყობილება, იქნებ მასპინძელთა (წრფელთა) მისათვის მიტევეი ასე, ან ქალის ხერხია, რომ შური აღძრა ჩემ პოქიშკეში, როგორც უნდა იყოს, მე თავს მაინც ბედნიერად ვგრძნობ და მინდა შელჩერებლივ ვილაპარაკო ჩემ სიყვარულზე, მაგრამ ხმას ვერ ვიღებ, ენა მუცელში ჩამივივარდა და მგონია: თავს გაწყენ ჩემი უხერხული სიჩუმით.

აქ არის ის ყბედი თმახუჭუჭა პოეტის, რომელშიაც მე გამცვალე. არ გვარები. გეტყობა: აღმაცერად უტყერი. მე მაბრაზებს მისი ფსევდონიმი: იაკობინო თორელი. მომავლანდა როგორ მისდევდა თავადებული და უზრდელი კომოდი რაყინით ამ მყოცნებე პოეტს წუხელ პრისპექტზე და გამელიმა.

შენ შემეკითხე რატომ ვიღიმი. მე ვერაფერი გიპასუხე. განა შეიძლება ასეთი ანზის მოყოლა! ვინ დაიჯერებს, ან რა ფასი აქვს ამის მოყოლას? უცერად ჩვენი ყურადღება დამთვრალ თამაღის ხრინწიანმა ყვირილმა მიიპყრო.

— აბა, მგოსანო, ლექსი!.. ლექსი!.. — იძახდა თამადა პირველად და თვალების კრიატით ულუაშებს ზელსახოცით იწმენდა.

— ლექსი!.. ლექსი!.. — დაიძახეს სტუმრებმაც ერთხმად.

პოეტმა არ დააყოვნა, წამოდგა, გულზე ხელი ოპერის არტისტივით მიიჭირა და ცაში თვალაპყრობილმა დაიწყო რაღაც გაცვეთილი და ბანალური, სიყვარულზე.

მე არ შემიძლია უნიქო ლექსების მოსმენა, თავს მუდამ უხერხულად ვგრძნობ და ვიტანჯები.

პოეტი აზნვედა სონეტის სტრიქონებს და კახეთიდან გადმობეწილნი შენი ნათესაენი მოხუცი კნინები ცრემლებს აფრქვევდენ და ცხვირსახოცით იმშრალბდენ. ოდესღაც ისინი იყვნენ მოხდენილნი, ტანი ტატანი დაჯურული იყო კრიზოლინის ვილანსინის ქაფავით აშიებში და მათ მილიციის ოფიცერი, პოეტები უკითხავდენ გრ. რჩეულოვის ლექსს მთვარის სინათლეზე მტკვარზე გადაკიდებულ ძველ აივნებზე:

ახ მთვარევ, მთვარევ, დამწვართ იმედო,  
მსურს ჩემი ტანჯვა შენ გაგიბედო!  
მთვარევ, ხომ გახსოვს: ის ბნელი ღამე,  
მხოლოდ შენ იყავ იმ დროს მოწამე... — და სხვა.

ახლა კნინებს ეს მთვარე აგონდებათ, შამილის ომში დაკარგული სატრფო და სტირიან.

პოეტ იაკობინო თორელის ხმა ისმოდა ისტერიულად.

ეს ლექსი შენდამი იყო მოძღენილი. მე შევხედე თარუს „От Бедни Гео“ და ის ისე გულწრფელად ქათქათობდა რომ შემეცოდა.

მომწყინდა.

ლაპარაკი უხერხულია და ჩანგლით თეფშზე ქათმის ძვალს ვატრიალებდი.





ერეკნული

— «Ведни Геол.»—და მე მომავონდა ხილულუობაში ~~საქვეყნო~~ გეოს-  
დუქანი, მას წუხანდელი შემთხვევა მოჰყვა: ვერ მივხვდარვარ, როგორ მოვხვ-  
დი ცეკაში, ან ქუჩაში როგორ არ შემამჩნიეს საცეკლების ამარა და არ გამა-  
ჩერეს...

ტაშის ხმამ გამომარვეია.

პოეტს ლექსი გაეთავებინა.

შენ დაქანცულ თვალებით შემომხედე და სთქვი:

— მომწყინდა!..

— რით გაგარათო!.. მე ისე უწნო ვარ ამ საქმეში!..—შევეციოხებ.

შენ უცნაურად შემომხედე და შენი სპარსული თვალები შემოვიდენ ჩემ  
სულში და დასხდენ ვარსკვლავებად.

— რა მშვენიერია ეს თარფი!—წამოიძახე და უეცრად თარფის შუა ჩადგ-  
მულ ქილიდან ცოცხალი თევზი ამოვარდა და სუფრაზე დაეცა.

თევზი წიწმატის ფურცელზე დაეცა და მისუსტებული ოდნავ სცემდა ბო-  
ლოს სუფრაზე. სტუმრებმა ნხიარული ჩოჩქოლი ასტიხეს.

შენ სათუთად აიყვანე თევზი და ნაზი ალერსით ისევ წყალში ჩააგდე.

მე მომავონდა შენი სიყვარული ამ თევზით აფართქალბული გეოს  
გული და იქვიანობამ ამიტანა.

— აივანზე გავიდეთ!..

მე სიამოვნებით გამოგყევი.

შენ დაღალული ჩაჯექი შეზღონგში, მკლავები თავს უკან საზურგეზე გა-  
დიწყვი, განიერ თხელ მარკიხეტის სახელოები ილღობთან ჩაიკეცა და შენი  
შავგვრემანი მკლავები თბილად გამოჩნდა მთვარის სხივებზე.

შუალამეს გადასული იყო.

მთვარე თათლის სანთელივით იღვენთებოდა და გეოს დუქანი მოსჩანდა.  
საცოდავად.

მოაჯირს დავეყრდენ და ვიყავ ჩემად.

სადღაც შორს ხატი ძახთაპირი ყმეოდა ცაში.

— მთხარით რამე!..

მე მხრები ავიჩეხე.

რა უნდა გითხრა. მე მხოლოდ სიჩუმე შემიძლია და სხვა არაფერი.  
მაგრამ უეცრად ჩემ სულში შენი ნუშვივით მოგრძო თვალები მწიფე ზეთის ხი-  
ლივით ჩაცვივდენ და შუბლზე წარბები წურბელივით გადაგეწურნენ, და მე რო-  
გორღაც მოულოდნელად დავიწყე რაღაც უთავბოლო და აღტაცებული ჩემ სი-  
ყვარულზე.

შენ თავჩალუნული ყურს მიგდებდი.

ვლაპარაკობდი. ყველაფერი დამაივიწყდა და როცა მე რაღაც აღგზნებულს  
ვამბობდი, კარებზე მომდგარ თმახუტუქ პოეტის იქვიანმა თვალებმა გამომარ-  
კვია.



თუმცა ჩემი თავი ათას ახირებულ ფიქრებით არის დაღმარებული. მაგრამ მკლავი მაინც ღონიერი ნაქვს, გულიც საკმაოდ მერჩის და სკან-სკანად და-ვიწევ.

— ბატონო დუდე!..— დაიძახა მან განრისხებულმა და აღელვებამ ძლიეს ჰფარავდა, — გათხოვთ ამიერიდან ჩემთან შეხვედრას მოერიდოთ!..

— პირიქით, ბატონო იაკობინო, მე შევეცდები რაც შეიძლება მალე შეგვხედოთ!..— გაღღგღე მე გამოიწვევიდა.

შენ ვერ ვერ გამოერკვიე, ფერმა გადაგკრა, მერე უეცრად მიხვდი, ფეხზე წამოიჭერ და ორივეს გვამშვიდებდი.

მემუდარებოდი დაეწყინარებულყავ და შენი სახე ისე ახლო იყო ჩემთან რომ შენი სუნთქვა მხვდებოდა, დავთვერი თავბრუდასხმულმა შებლზე ხელი გადავისვი და ოდნავ დაეშოშინდი.

ჩემი დარჩენა უკვე უხერხული იყო.

სტუმრებს გამოვეთხოვე.

შენ მე კარებამდე მომაცილე და მადლიერი თვალები ნაღვერდლებივით შემომინათე. მე თავი ვერ შევიკავე, დავაკვდი შენ ხელს... მოეწყვდი და კიბეებზე ჩამოვირბინე.

ქჩა — — —

ცას კალთა ბარაქიანად გაეშალა და შიგ შაქრის ვერკი ხკავიანად გო-რაობდა.

უკვე ინათა.

## თავი მეექვსე.

### ხილთა ქება.

გომებზე აწყვია ხილი მრავალგვარი და გომები იცხება დაღვრილ მზის ცხელი დორბლით: ლება ხილი, შრება წყალმოკურებული მწვანელი.

მზე ლოკავს ცხელი ენით გეოს დუქანს.

დუქანში დგას ცაების ხაშში, მიწის ალხი და ხილის მამრუბული სურნე-ლება.

გომებზე დაფორთხვენ ამებისა და ხოლერის ბაცალები და ჩემო მანანავ, შენი სპარსული მუქი ხავერდის თვალები ტრიალებს შიგ ღვთის თვალისით.

პეი, თქვენ, ლოყაწითელო თურაშაულო ვაშლებო, ყვითელო გულაბო მსხლებო, ხიდისთავურო ატემბო და გულგაღელილო სისხლივით წითელო ბრო-წიულეობო, დამშენდით და ხარეთ, ხედავთ, დაგკეპრისთ თქვენ მანანას ღვთის მადლივით ტკბილი თვალეები, გადმოსული სპარსულ ხაზვისფერ მინიატიურებიდან და თქვენ შორის წევს კოლოტივით გასტკბული თქვენით მადლიერი პატრონი საწყალი გეო და მისი უხარმახარი ინით შებლშელებილი ყოჩი.



გეო ზის ნებიერი ყაენივით და თქვენ წლის განმავლობაში ჩვენი გობებზედ კოპწით დაწყობილი ათასერთი ლამესავით გეოს წინადაცხადის ცხელი ზღაპრებით დაატკბობთ მის სმენას. არის ზილთა პაექრობა და თავის თავაგდებული ქება. და ხილუეულობა იღვრება ტკბილად მურაბის წვენივით ფართო თაბახზე.

ქორღლიანი მარწყვი ვერ ითმენს, ცმუტავს, მერე წამოდგა, წითელი ქათიბი კოპწით დაიბერტყა და მოკლე კაბიან გოგონასავით ამოზბს ტიტინით:

— მოვალ პირველად, მე ვერა მისწრებს ხილია,  
ფერად მზავსი ვარ ლალისა, მერმე საკმელად ტბილია;  
წინად მომისწრებს ტყემალი,—მეავე არის და გრილია,  
მისგან სჩივიან ყოველნი:

— ვქამეთ მოგვეკეთა კბილია!..

სთქვა მარწყვი და იქვე უწმინწვეტილი წაწვა თაბახზე.

ტარბუნასთან მიდგმულ გობზე დაყრილი ტყემალი გაბრაზდა მარწყვის კადნიერებაზე და სიბრაზით მთლად გამწვანდა. მისმა სიმეავემ უხვად დაღვარა ნერწყვი გობზე და გეო პირ გამწვარტებული ინერწყვება.

ტყემალი უთხრა:

— შეგარცხვენს, მარწყვო, ეგ საუბარია,  
უარესი ხარ ყოველთა, არა ხილთა რა დარია;  
თავსა მოგუამენ ქიანი, ძირი გაქვს მეტად მწარეა,  
უჩემოდ ლბინი არ ვარგა, არცლა რა სანუკარია!

ეს რომ ბაღმა გაიგონა ყუნწზე ლალის საყურესავით აკანკალდა, მოსწყდა ვარდისფერი და ბაყალ გეოს პირში მიიმალა.

ბაღმა უთხრა:

— ამხანაგნო, თქვენ ვერ იტყვით ჩემსა ძერსა,  
ხესა თეთრად ავაყვავებ, დავიმშვენებ ჩემსა ძირსა,  
ბროლისავით ვადვიქცივი, ლალისფერად შიგნით ქვიესა,  
შაქრის მსგავსად მე დაედნები, რა ჩამიდებს კაცი პირსა!..

სთქვა ბაღმა პირად მზიანმა და ბაყალ გეუს ხაოიან ენაზე შაქარივით დაადნა.

ეს რომ თხილმა გაიგონა, გობზე მოუსვენრად ახაქუნდა, თავისივე ხმაურით შეწინებულმა თვალეზი დააცუცა, თავგმა ხომ არ გაიგონათ და როცა გული დაიმშვიდა, თავაგდებულად დაიწყო:



— ვაკადროთ მართალი, ჩემი პასუხი გულისა, **ერკენული**  
მოქვეით ტუფილ-ტუფილსა, მე ამან გამაგულისა; **ხიზლირთიქა**  
სალხინოდ შესაქვევარი მე ვარ ყოვლისა სჯულისა,  
ვარ მატკიენელი კბილისა, მერე დამწველი გულისა.

კიტრმა სთქვა:

— რალა ვაკადრო საქმე ქებისა ჩემისა,  
ტყბილი და მგავე არა ვარ, კაცი რად მემოყვრებისა,  
გრილი ვარ, კაცსა გაებერავ, თავი მე არ მეჭებისა,  
ვინცა ჩემითა გაძლება, ციება შეეყვრებისა.

გულაბზიანი ნესვი ბრაზით გაყვიოლდა, ციებით აკანკალებული და ტყირ-  
პით მუცელ გატენილი ავადმყოფ ქალივით თივაში დაწვა და მუცელ თესლია-  
ნად ჩააგდო სიტყვა უკმეხი:

— ვჩივი ამისთვის, მიწასა მომყრიანო,  
რა ვავიზრდები, საქმელად ყველანი მინატრიანო,  
მოვლენ, მძებნიან, მპოვებენ, ხორცსა დანითა მჭრიანო,  
ციებას, მერე ცხელებას, პირს ჩემგან შეიყრიანო!

სახამთრო ბრაზიან მიკიტანივით ეწმანურად აყვიოდა, დახლიდან ვაან-  
ჩხლებული გადმოიჭრა, მიწაზე მუცლით დაეცა და გასკდა შუაზე. პირგაცეცხლე-  
ბულმა შავი კურკები დორბლით წამოაყარა და სთქვა:

— ნუ უბნობთ, მე არვის დაგიცილებთო,  
თავსა ნუ იქებთ ჩემთანა, ყოველსა შეგარცხვინებო;  
შეწუხებულსა სიციხითა მე გულსა მოვყვრილებო,  
ვარ ჯანაოზი ექიმი, სნეულსაც მოყალხინებო!

ხდისთავურმა ატამმა ბაგე განიპო და ბაყალ გეუას სსუქან ტუჩზე ტყბი-  
ლად და თინიანად დააკედა, მერე ვნებით დამთვრალმა ცალი მკლავი პატრონს  
კისერზე საყვარელ ცოლივით შემოჰხვია, თავი ქალივით თაბახზე ჩამოსდო და  
ვნებით დაყურსულმა თინიან საყვედურით დაიწყო:

— რა ვაკადრო საქმე ჩემისა ქებისა,  
უკეთესი ვარ ყოველთა, ხე ჩემი ტურფად ყვავისა  
შეყრა უხარის ყოველსა ტურფისა სანახ-ვისა,  
მე და ნესვი ვართ ამშლეღი ყოვლის სენისა თავისა!

თურაშაულმა შეხედა ატამს, მის უტიფრობაზე გაწითლდა მორცხვი, სახე-  
ზე წიწმატი აიდარა და მთლად გაწიწმატებულმა დაიწყო კაპასით:



— შევინებთ თქვენ გერა ხართ ჩემი დარი,  
ვარ ყოველთა საყვარელი, საამური, საქებარი,  
სალხინო და სანადიმო, „სუფრაზედაც მადებარი,  
გულის კირის უყუყურელი, არრად უნდა საუბარი!

ბროწეულმა სთქვა:

— ვერ უზნობთ მართლითა სამართალითა,  
ჩემს უტურფესი ნაყოფი, არვის უნახავს თვალითა,  
მე ჩემსა ხესა მოვკაზმავ, ტურფად შევამკობ ხილითა,  
დარბაზს სუფრასა ავავსებ იაგუნდითა, ლალითა!..

და უეცრად ბაყალ გეოს ხილის დუქანი დაემზგავსა უხარმახარ ფანტასტიურ ბროწეულს გატენილს ხილეულით: კლიავით, შინდით, ლეღვით, კომშით, ქერამით და რა გინდა სულს და გულოს!.. და გეოს ფანტასტიურ დუქანში ღვთის თვალივით დაეცა მანანას მადლივით თვალები, დუქანმა ვერ გაუძლო ბარაკას ღვთისას, გასკდა შუაზე და წამოვიდა ფერხული მწვანილის კაბებში ჩაბნულ ხილეულთა. ვაშლი ვაშლს მისდევს, მსხალი მსხალს და ვეველამ ერთად ციურ გალობით ასწიეს ბაყალი გეო და ცაში გაათურინეს.

გეო გამოიერკვა: თვალები მოიშუშნა,—არიფერია.

ოფელანი ღლიავი მოიფხანა, „ზელკვი“ დალია და გარინდებული გაშეშდა ერთ ადგილას:

მის დუქანს მანანა დასცქეროდა და კევსა ჰღეჰავდა.

## თავი მეშვიდე.

### ხატი ძახთაპირი.

მზე ჩაივარდა ქალაქის დაყრილ სახლებში და გახურებულ ტროტუარებმა აადღვლეს ჰაერი. მიწაზე დაეცა სულის შემსუთველი სიციხე და ათახთახებული ხვატი კრახანასავით აზუზუნდა თუნუქის საწვიმარ მიღებში. სიციხით დახუთული დამტვერილი ხეები დგანან გაოინდებით და ზედ შემსხდარი ბელურები სულს ძლიეს იბრუნებენ.

მზე ცხელი მოზვერივით ჩაწვა ხორციელ პროსპექტებში და თბილ ბალღამივით დააქცია პაპანაქება.

ბენზინის, ოფლის და თუნუქის შეღებულ სახურავების სუნით დამიმბდა ჰაერი. ქალების შილიფ ტანისამოსში ილანდება აშიებინი თეთრი საცელები ღრმა დეკოლტეებში შწიფე მტევნებივით ირწევიან ძუძუები და მარკიზეტში ჰკილია ვნებით დაყურსული შავგვრემანი თბილი მკლავეები.



ბაყალი გეო დუქნის წინ გულგაღვლილი, ფეხშიშველი მის წინ მდგომარეობაშია თუ სლოიკა.. მამ მე მემურაზი ვიყო თუ მეტის მოთმენა? შენებდოს!—ძახის გეო, გულში მუშტის იცენს და მერე ხმაშალა გაპკივის:

— ვაჰ, ეს რა არი კაცო!, ფრანკუტკი ბულკია თუ სლოიკა.. მამ მე მემურაზი ვიყო თუ მეტის მოთმენა? შენებდოს!—ძახის გეო, გულში მუშტის იცენს და მერე ხმაშალა გაპკივის:

— ბიკოს, ეს რა მოსულა, ეს რა მოსულა, ეს რა მოსულა!.. ვაჰ, რა მოსულა!.. ტარხუნა მოსულა, კიტრი მოსულა, შუშა კიტრი, შუშა კიტრიო!.. იფ, იფ, შენ დაილოცე კიტროჯან!.. იმას კი ვენაცვა მარჯვენაში ვინც შენ მოგიყვანა!.. კიტრი, იტამი, ტარხუნა!..—უვირის გეო და ტრიალებს დუქანში, მუშტის ტრის ხილს უწონის, ხამ მეიდველს სასწოროზე ხელს დაუქრავს, ცოტას მოატყუებს, საქონელს უქებს, პარკს ღიბთიანიდ თავს მოუქრავს და ჩაბანდურ თავით შიართმევს, თან დააყოლებს.

— ინებე, ზარინჯან, გაანოს!.. კიტრი ჭამე, ჯანზე მოხვალ!..

ასე ტრიალებს მთელი დღე გეო.

ვაჭრობა შუადღეზის ირის, მერე წინდღება და წინს ჩაგელს შემდგომს გაპკივის:

— ეს რა მოსულა, ეს რა მოსულა!.. კიტრი მოსულა, იტამი მოსულა, პერსიკ, პერსიკ!.. მაღადლი იგურეც, იგურეც!..

შუადღისით, როცა გეოს ვაჭრობა არა იქვს, ის წვეს თივაზე მიყრილ კიტრებში და ოცნებობს შენზე.

სიხარულით კანში ვერ ვეტევი, თმანუქუქა პოეტი ჩადგა ჟკანა რიგში და იმდებში ფრთა გაშალა. დღეს დილით მანანა დეიდასთან იყო, მერე ჩემთან შემოვიდა და განცვიფრებული დადიოდა ჩემს ექვსკუთხედ უზარმაზარ ოთახში. წიგნები დაათვალიერა და მთხოვა მისთვის რამე ახალი წამეკითხა. მე ჩემი რომანიდან წაუკითხე ადგილი, რომელიც მას უძღვევ. მანანამ მადლიერ თვალებით ხელი ჩამომართვა, გაწითლდა და იქვე სავიარძელში ჩაჯდა, ფეხები აიკეცა. მე მთლად დავიბენი. ვიჯექვ ერთ ადგილას, გული ყელში მცემდა, ყურებმა უცნაური წივილი დაიწყეს.

კარგა ხანს ვიყავით ასე ჩემად. მერე ქალი წამოდგა, სარკეში ჩაიხედა და და თავმუშაკავებელი სიცილი დაიწყო. იცინოდა იგი და მისი ხმავერცხლივით ღრიალებდა. ჩემ ოთახში იშვიათად ისმის სიცილი და მე სულ სხვანაირი, მიმზიდველი და ძვირფასი მომეჩვენა ეს დაღვრემილი ექვსი კედელი, ეს საწერი მაგიდა და ეს ფანჯრები.

სარკე ჩამოიღო, ლურსმანი მომატნინა და ისეთ ადგილას დაჰკიდა, სადაც სინათლე სახეს ხედებოდა და სარკეს სინათლე მიეცა. შენობზედა. რა მეთქმოდა,—სარკე ასე უნდა ყოფილიყო დაკიდებული. მერე პერსის ყნოსვა დაიწყო: ოთახში შემოდოდა იოდოფორმის, ტრიმიტილამინის და საპნიან დამბალ წყლის სუნნი. მირჩია ფიჭვის წყალი მიყიდა და მომეპყურებინა. მერე კიდევ რალაც მასწავლა. გამომთხოვა, თვალებში უცნაურად ჩანობზედა და წავიდა. მე ვიგრძენ



რომ მისი ხავერდის თვალების ზრუნვის ქვეშ ვაქცეოდი და მსახურეობაში ცოლენტელივით გაიზინა.

მე არ ვიცოდი რა მექნა, ხან აქვთ ვეცი, ხან იქვით და ოთახში ისე ვტრიალებდი. მისი წასვლის შემდეგ ოთახი ისევ ყაზარმასავით მეჩვენებოდა, ვერ მოვითმინე, თავზე ქუდი ჩამოვიფხატე და გეოსთან გავიქეცი.

— ააი, გაგიმარჯო-ოს!...— მომიგო გეომ სალამზე და დუქანში შემიყვანა.

მე ტყავავადაკრულ დაბალ ხის სკამში ჩავეკე და უცერად ვიგრძენ, რომ მე და გეოს შორის ვათავდა ყველაფერი. რომ ჩვენ საერთო სიყვარული ამიერიდან კი არ დაგვახლოვებს, პირიქით დაგვაშორებს და ვინანე რომ მოვდღ.

გეომ ბაღდადით ოფლი მოიწმინდა, მერე დაბლზე მუშტი ისე ღონიერად დაჰკრა, რომ დუქანმა ზანზარი დაიწყა.

— ვაჰ, მითხარ ძმეო, როგორ მოვიქეცი, თორემ ზაპლა წავიდა რაღა!...— დაიძახა გეომ მხრების აჩქვით, ხელები ჰაერში გაშალა და მერე თავი მოწყვეტით ჩაჰკიდა. კარგა ხანს იყო ასე, მერე თვალები ზევით აღაპყრო და თინან მუდარით საიათნოვას ლექი დაილიღინა:

ვიწვი ეზისგან, აღი არა მაქვს;  
 ნებით გებვეწები, ძალი არა მაქვს;  
 საწყალი გეო ამბობს: ბრალი არა მაქვს,  
 ნულარ დანწეავ, ეს მეყოფა ჯაზადა!..

უკვე ჩამოცხა და მუშტრის დენა თითქმის მთლად შესწყდა.

მე და გეო ვზივართ და ვმუსაიფობთ.

მე უცქერ ბაყალს და მაკვირვებს ეს მისი ჯიუტი და თინიანი სიყვარული, უცქერ და ვკვირობ რად არის მისი ცხოვრება და დღეები შენგან ასე დამოკიდებული.

როცა შენ ზაფხულში საგარაკოდ მიემგზავრები და შენი ფანჯრები რამდენიმე თვით დარაბებით დაიხშობა, გეომ არ იცის რა ჰქმნას, წოილობს, სწუხს, იმიტომ რომ შენ წასვლასთან ერთად გეოს ეპარგება ის ეროტიული სიზმრები, რომლითაც ის სკოცხლობს და არ იცის თავს რით უშველოს.

დადის ექიმთან, შესჩივის თავის უბედურებას და ექიმს ვერ გაურკვევია რა სჭირს მის უცნაურ პაციენტს.

გეო თანდათან ხმება, დნება და წონაში კლებულობს.

ასე სწუხს იგი შენ ჩამოსვლამდე. როცა შენ ჩამოხვალ, იმ დღეს გეო გივით არის, მთელი კვირა ქეიფობს, „მბლარიჩი“ აქვს და ლოცავს ყველას, ლოწინს და ამოდენა კაცი კრემლ-მორეული ზღუქნობს გულაუტრებული, სიზმრები უბრუნდება და წონაში თანდათან მომატებას იწყებს. თვალბში აზრი უჩნდება და მის გარყვნილ ტვინში იბადება უცნაური ეროტიული ამბები.

— იცი რა გითხრა, დღუდეჯახ?.. აი ერთი ფლანი ამბავი მინდა გითხრა რაღა. ასი წლის წინად მეფე ერეკლეს კარზე შაიყარენ რაღა საპაეტროდ თუ



სადმე დუნიაზე ფილოსოფოსები და აზულები იყვნენ, საიათნუფაც კი ეყუდებოდა და ერეკლემ სთქო გამოცანა: რა არის ქვეყანაზე ყველაზე უფრო უმარადესი ფილოსოფოსება და აზულები ცხრა დღე და ღამეს ფიქრობდენ თურმე. ზოგმა სთქვა ძილიო, ზოგმა ქალიო, ზოგმა ღვინო, მაგრამ ვერ გამოიციენს და ვერა. მერე ერთი ბებერი უკბილო ფილოსოფოსი ადგა თურმე და სთქო: ქალის ნიფხვისაგან პაპიროზის ქალაღლი გააკეთე, შიგ თუთუნი გაბეიე და მოსწიეო. ყველამ თურმე ხელები დაჰყარეს. საიათნოვამ თურმე ზუბამბაზიც კი მოიგონა ამაზე და ქალაქში მღეროდენ. ჰხედავ შენ ამ პირველ ფილოსოფოსს, რა ზორბად უთქომს!.. ესეც მაზალოა რაღა!..—დაიძახა გეომ და ბინძური სიცილით თითი მუცელში დამატკა.

მე არ მომეწონა ეს საქციელი, მაგრამ არ შევამჩნევინე. პირიქით, ზრდილობისათვის ნაძალადევად ვიღიმებოდი.

— შენ ერთი ამ ღმერთადლ ბებერს დაჰხედე, ა?!.—ჰყვირობდა გეო და თან სიცილით კედებოდა.

— ხომ კარგად უთქომს, ა?..

მე თანხმობის ნიშნად თავს უქნევ და თან შენ სარკმელს შემოვცქერო.

აივანზე ჰკიღია ნობი და შენი წითელი კოტუა, რომელიც ისე გიხდებდა.

ღარაბები მოხურული გაქვს, იმიტომ რომ შენს ოთახს მზე პირდაპირ უცქერის და სიცხეა. შენ დადიხარ ოთახში ფოსტლებით შიშველ ფეხზე, მკერდი გაღვლილი გაქვს და პატარა ძუძუები გულაბი მსხლებივით ქანაობენ.

ბაჟალი გეო ისევ ამბობს რაღაც ამბავს, მაგრამ მე ყურს არ უგდებ, ჩემი ფიქრები შემოვიდენ შენს ოთახში და გარს დაგტრიალებენ. შენ წეცხარ ჩემს ფიქრებში და ნებიერობ. და ასე მე შენზე ფიქრებში ვიყავ გართული, როცა გეოს სიტყვებმა გამომარკვეეს:

— ჩემმა მზემ!..—ამბობდა იგი და მხარზე ხელი დამკრა:—სიყნე ნუ მომიკვდებო, კარაბადინში ასე ეწერა. ჩემი თვალთ ვნახე! მაშ, მაშ!.. კარგისაა, არა? ოოჰ, ეს ტაბასტა!..—ამოიოხრა გეომ და თავი გაიქნია.

მე არ მესმოდა რაზე ლაპარაკობდა, მაგრამ თავს მაინც უქნევდი. ეტუობოდა რაღაც უწმინდური ამბავი ჰქონდა ნათქვამი.

გეომ შემატყო, უკმაყოფილოდ თივაში გადაწვა და გაჩუმდა.

რა უყო, მე ზომ მეტარეე ზაზარ ზაზარიჩი არა ვარ მისი უწმინდური ამბები ვისმინო.

გეო კარგა ხანს იწვა კიბრებში ჩემად და მერე რომელიღაც შიქასტის ნაწიყვეტი ჩაიღიღინა. მე წამოყდეკი და წასვლა დაეპირე. არ შემეძლო მისი ცქერა, როცა ამდენ სიხარულს გული ვერ იტევდა, მაგრამ არ გამიშვა.

— მოიკა, რა გეჩქარება, ცოტა ღვინო დავლიოთ.

მე გაეპატედი, მაგრამ გეოს მუდარამ ვასკრა და დავრჩი. ჩამოძინდიღმა ბიჭმა ლალიძის წყალის გასაციებელ საყინულედან კვარტიანი ამოიღო და დახლზე დადგა, ბოთლს იფლი დაასხა, მერე სახელდახელოდ შოთი დასკრა და თევშით ძმარმოსხმული კიტრი და ჰამიდორი მოგვართვა.





გეომ ლეინო დაასხა, დამლოცა და დალია. მერე მეორე ფეხზე დადგო:  
— ეს ღმერთმა გაუმარჯოს იმ ვარსკვლავს, რომელიც ჰრძობს მქნსებზე არ-  
არის გაჩენილი, მაგრამ გზას მაინც გინათებს. იი, ვთქვათ, ბნელა. ღამეა და ცა-  
ში მარტო ერთი ვარსკვლავი ანთია და აი ეს ვარსკვლავი გზადაკარგულ კაცს  
გზას უნათებს!.. ღმერთმა გაუმარჯოს ამ ვარსკვლავს!—სთქვა გეომ, ლეინო გა-  
დაჰკრა და ზედ პურის ნატები და ძმრიანი კიტრი მიატანა.

მეც დავცალე ჭიქა და დადგი.

— კაცო, ერთი მითხარი, თუ ძმა ხარ, რა ვქნა. ცეცხლი მედება, გეინა  
გამიძნდა და რა უყო ახლა არ ვიცი. მეტაბე ზაზარ ზაზარიჩი რომ არ იყოს,  
არ ვიცი რას ვიზამდი. მოდი ერთიც დავლიოთ!—სთქვა გეომ, ლეინო დაასხა და  
დაიწყო:

— ეს ღმერთმა ადღერგძელოს ის მეფურგუნე, რომელიც რომა, ვთქოთ  
დიდი წვიმაა, ფურგუნი გატენილია ხალხით და ტევა არ არის, ამ ღროს ერთი  
კაცი მოდის, სულ მოლად სველი, მეფურგუნე კოზლაზე მიიწევა, კაცს დაუძახებს  
და ეტყვის: „მოდი ძმაო, დაჯექ. წაგიყვანოო!..“ ღმერთმა გაუმარჯოს ამ  
მეფურგუნეს!..

დავლიეთ. ჩუნიდ ვართ.

დღეპანთან ინით შებლ შეღებილი უზარმაზარი ყოჩი წევს და იცოხნის.

მე მომაგონდა შაქრის ვერძი, ცაში რომ მთელი ღამეები ჰკილია.

კარგა ხანს ვისხედით ასე და ლეინოს ნელ-ნელა შევკეცოდით. იშვიათ  
მუშტარს მიჭა ისტუმრებდა და ფულს გეო აბარებდა. ერთ კვარტს მეორე მოჰ-  
ყვა, მეორეს მესამე და ჩვენ უკვე მთვრალეები ვიყავით. გეოს თვალები  
აუტრიატდა, მიელულა და რაღაც მუხამზაზის ნაწყვეტი ჩაილიდინა. მერე თავი  
ჩაქინდრა, უწყოდ გაიქნ-გამოიქნია და ტრელ ხელსახოცით ცრემლი ქვრდულად  
მოიწმინდა. მე თითქოს ვერ შევნიშნე, და კედელზე მიკრულ გეოს ფოტოგრა-  
ფიულ სურათს ვათვალერებდი: თავზე ხელადა ედგა და ბაღდადურს თამაშობ-  
და. უტყარად სურათი გაქანდა სადღაც და წაპოვიდა წვიმა ატმების, ბალის,  
მარწყვის, კიტრების და მთელი დღეპანი უზარმაზარ წისკვილის ქვასავით და-  
ტრიალდა. შუაში იდგა შაქრის ყოჩი და ატმობდა ბილებს. თვალები მოვიუ-  
შენიტე,—არაფერი. ლეინო მომედო, ტანში საამო ყრუანტელს ვგრძნობდი და  
ბელები დამიბუჯდა.

მე გეოს უტკეროდი: იწვა თავისთვის და ლილინებდა, მერე წამოდგა, თი-  
თქოს რაღაც მოაგონდაო, დახლს მოუარა დინჯად მომიახლოვდა და დამერთ-  
ხალ თვალებით მიიხედ-მოიხედა, მერე სკამზე ჩემ პირდაპირ სულ ახლო დაჯდა  
და კარგა ხანს ყოყმანის შემდეგ გადასწყვიტა: სახე ჩემ სახესთან მოიტანა, თი-  
თი ასწია და გაფითრებული ჩურჩულით დაიწყო:

— იცი, დუდეჯან, რა გითხრა!..

— რა?—შევიკითხე მე გაკვირვებით და თვალებში მივაცოდე ი.

— ღამე არაფერი გესმის?

— არა, რა იყო?...—ვთქვი მე მოლოდინად გადატყუულმა.



მარტოველი

— მაშ ლამე არაფერი გესმის?..—სთქვა ჩაფიქრებით მარტოველი.  
მერე იტყე მყოფ ბიჭს მიუბრუნდა და დაუძახა:

— წადი, ბიჭო, თუ ხახარ ხახარიჩი სახლში არის, უთხარ მოვიდეს!  
ბიჭი გაიქცა და მე და გეო სულ მარტო დავრჩით.

— მაშ ლამე ცაში არაფერი გესმის?

მე რაღაც მენიშნა და მოთმინებიდან გამოსულმა შევუტყე:

— კარგი ახლა, მითხარ რაშია საქმე?

გეომ შემოაშვედა, გაჩუმდა და მერე წყნარად სთქვა:

— ლამით ცაში ძალღი უშუის! არ გაგიგონია? მთელი ქალაქი ამაზე ლა-  
პარაკობს.

მეხვიეთ დამატყდა ეს სიტყვები. დახლს ავესინატე და ზარდაცემულ თვა-  
ლებით გეოს შევცქეროდი.

— მაშ ყოველივე ეს სინამდვილეა? მორჩენება არ არის?..—ეჭურჩულელებდი  
მე უაზროდ.—მე მეგონა, ყოველივე ეს ჩემი ავადმყოფ წარმოდგენის ნაყოფი  
იყო. კანკალმა ამიტანა.

გეო განაგრძობდა:

— ხომ იცი, მთაწმინდაში ვცხოვრობ. ჩემი თვლით ვნახე. შუალამით  
ფუნქციონირებე გადმოდგება და უშუის.. რა ვიღონო არ ვიცი. მთელი ლამე  
არ მძინავს. ამას წინად ვერის ბალებში ბაბაქუასთან ვქეიფობდით. მთვრალი  
ვიყავ. ფაიტონი ვერ ვიშოვე და ფეხით წამოველ. ბოზარჯიანცის ფაბრიკასთან  
წაქცეული ჯვარი რომ არის, წმინდანებით განათებულია მოზვერის ოდენა ძალმა  
ღრენით ჩამირბინა. კისერზე ფაფარი ეყარა და დმუილით ფიქრის გორაზე  
აიჭრა. სული კინალამ ფრჩხილებში გამეპარა. ვაი საწყალი გეო, ვაი, ვაი!..—  
ამოიკვნესა გეომ და თავი მოწყვეტით ჩაჰკიდა.

მიშის ზარმა ამიტანა.

— ხატი ძახთაპირი, ხატი ძახთაპირი!..—ეჭურჩულელებდი უაზროდ.

მე ბეგრჯერ მინახავს ეს ხატი ბავშობისას დედულეთში, ზოფის მონას-  
ტერში. მეორე მისი ხატი საეკლესიო მუზეუმში ინახება. მისი მინიატიურით არის  
აგრეთვე შემკული დედაჩემის მიერ დატოვებული ხვთიშობლის აკათისტი და ეს  
დაუჯდომელი ჩემს ოთახში გდია წიგნის თაროზე. იქაც ამბობდენ, სოფელში,  
რომ მონასტრიდან ლამით ხშირად ისმოდა ძალღის ყფვა. ერთხელ ბერსაც ენახა  
და შიშით ენა ჩავარდნოდა.

— დღეს ვილაც კომსომოლა უპოვნიათ ვაკეზე ყელგამოჭრილი:—განაგრძობ-  
და გეო.—იქვე უზარმაზარ ძალღის ნაკვალევიც უნახავთ. ვაჰ, რა იღბალზე გა-  
დავრჩი დე!..—წამოიძახა გეომ და მერე განაგრძო:—ამას წინად მილიციონერს  
უნახავს, ციციანთ აღმართზე თურმე ენაგამოვადებული არბოდა. ვაჰ, ეს რა არის,  
კაცო, მეორედ მოსვლა ხომ არ უნდა იყოს!..—დაიძახა გეომ სასოწარკვეთილე-  
ით და თავში ხელი წაიშინა.—ეხლა ეს პირძალღი ქორიაც გამწარდა. ლამე  
არ გაივლის,—ვინმე არ მოჰკლას, გუშინ წინ ლამით ცეკადან ქალღლები მოუ-



პარავთ. ავბობენ მენშევიკებმა მოიპარესო. მთელი ჩეკა ფეხზე დაგვსვამდა და დიდი საქმის ქაღალდები იქნებოდა!..

შოშისაგან ენა ჩამივარდა. სწორედ იმ ღამეს ვიყავ მე დაკავებული და შოშის ზარმა ამიტანა. რათ დავარწმუნებდი, რომ მე არ წამიღია არაფერი, ან მთვარით ატაცებული რომ ვიყავ.

ეს ხალა, ეს მწვანელი, ეს კარაოველი თავში უცნაურად აირია, თავი გავიქნე, გამოვერკვიე და წამოვდექი.

გეო არ მიშვებდა, მაგრამ მე გავჯიუტდი და გამოვეთხოვე, ჯერ გასულიც არ ვიყავ, რომ კარებში მეტრეკე ზახარ ზახარიჩი შემომეფეთა:

— გეოს გაუმარჯოს!..— დაიძახა ზახარ ზახარიჩმა, ბაყალს ხელი ჩამოართვა და მერე მე გამომიწოდა. მე ხელახლა გამოვეთხოვე და სახლში წამოვიღ.

ლენინო გამომიხედა.

ფიქრები კორიანტელივით აირია.

რას ნიშნავს ყოველივე ეს, რა არის ეს ძალი, ეს ქორია. დავიბენი, ტვინი ამეღვრა და იყო წუთები, როდესაც მე შიში მიპყრობდა, რომ კვლიდან შევირყეოდი. არაფერი გამიგია როგორ ჩაველ ჩემ ბნელ დერეფანში და როგორ გავიღე ოთახის კარი.

წამოვწექი ლოგინზე და ავალის დახამამებაში თვალწინ გუშინწინდელმა ღამემ ჩაირბინა. მე მივხვდი: სადალაქოს წინ რომ კაცია მიიპარებოდა ქაღალდებით, ციკადან იყო.

შორიელი, რომელიც წუხელ ჩემ ოთახში წმინდანივით შემოვიდა, დღეს დილით ნამდვილად აღმოჩნდა აგურ ქვეშ, გავსრისე, მაგრამ მერე ხელახლა ვნახე ჯვარზე გაკრული და წამებული. თუ ის ახალი ქრისტია? მაშინ ხვალ მესამე დღეა და რომ აღდგეს მკვდრეთით რა ვქნა მაშინ, როგორ მოვიქცე, როგორ გადავიხადო შორიელის აღდგომა?! ეს პასკის ვერძიც მთელი ღამეები რომ იცოხნება! რა ხდება ჩემს ირგვლივ! ფაქტები და მოჩვენებები ისე აირია ერთა მეორეში, რომ უკვე თავს ვეღარ ვართმევ სად არის მათ შორის საზღვარი. ფაქტები მოჩვენებებს ასაბუთებდენ და მოჩვენებები ფაქტებში გადადიოდენ.

უეცრად ქაღალდის ყვავი მომაგონდა და ლოგინიდან გველნაკბენივით წამოვარდი.

— ყვავი!.. ყვავი!..— აღმოჩნდა მე და დაჭრილ ნადირივით დავბრბოდი ოთახში.

აივანზე გაველ. სიციხე ქურებს აღულებდა და თაქარა სივრცეები მზეზე გაფენილ კარტონებივით იკრუნჩხებოდენ.

ოღნავ დავმწვიდდი.

ისევ შემოველ ოთახში, გრილა. ლოგინზე წამოვწექი და გადავწვავიტე ცოტა წავიძინო. ლოგინში გადავბრუნდი და გვერდში რალაცამ მიჩხვლიტა. ხელი მოვესვი, — ხელში ქალის თმის დასამაგრებელი მომხედა.

— კიდევ ფაქტი!..— დავიბლაღვე მე. უეცრად კარი ნელა გაიღო და ღია კარში ყვავის დამამ შემოიხედა.



— გნებავთ რამე?.. — შემეკითხა დამა და თავი ავტომატურულად დაიქნია.

— არაფერი, ჩემო ბატონო!.. — მიუგე მე და ზარდაცემულს თმის დასამაგრებელი ხელიდან გამვარდა.

ყვავის დამამ კარი გაიხურა.

— ჩემ ნაცნობ პროსტიტუტს, თუ დარჩა!.. — გავიფიქრე და ოდნავ დაეშოშმინდი. თმის დასამაგრებელს დაეწვდი, ავიღე და ყვავის ქალი მომაგონდა.

კარი ისევ გაიღო და ყვავის დამამ შემოიხედა.

— გნებავთ რამე?.. — შემეკითხა იგი და თავი ავადმყოფ ყვავივით ავტომატიურად დაიქნია,

— არაფერი, ჩემო ბატონო! — ჟპასუხე მე და თმის დასამაგრებელი სახატეზე ჩამოვდე.

ყვავის დამამ კარი გაიხურა.

ტახტზე ჩაფიქვეყი.

კუთაზე ხომ არ ვირყევი? იჭრებ ეს თმის დასამაგრებელია მისი მოვლენების მიზეზი?

მიველ სახატესთან, თმის დასამაგრებელი ავიღე და ყვავი გავიხსენე.

კარი ისევ გაიღო.

— გნებავთ რამე?.. — შემეკითხა ყვავი ისევ ისევ.

— არა, ჩემო ბატონო!.. — მიუგე მე ძრწოლა ატანილმა. ფეხზე წამოვიჭერ და თმის დასამაგრებელი ისევ სახატეზე ჩამოვდე.

ყვავმა კარი ისევ გაიხურა.

— მაშ ყველაფერი სინამდვილეა, სინამდვილე!.. — დაეიკვნესე მე და ლოგინში მოწყვეტით ჩავეშვი.

.....

## აზონაკვნესი.

— ვინ უნდა მოვიდესო, რას მეუბნებოდით წელიწადი? მკითხა მერიმ კაბინეტში შემოსვლისას.

— ერთი განათლებული ქართველი, ირაკლი ნასაკიძე. ძლიერ დაახლოვებით არ ვიცნობ, მაგრამ თავის არსებობაში, რომ დიდ სულს ატარებს ეს კი უდავოა, ჩვენი ხალხის გონებრივად ამაღლებისა და პოლიტიკურად გათვითცნობიერების საქმეში, როგორც თეორეტიკოსის, თვალსაჩინო ღვაწლი მიუძღვის. გულთთ ფოლადი, სულითაც სპეტაკი უნდა იყოს. ბავშვთა ლიტერატურის მოტრფიალე პირად ცხოვრებაში, თვითაც ბავშვთა აზრზე. ამბობენ პატარების სიკვდილს ვერ ურიგდებო. და ის კაცი ვინც ცხოვრების ვერავითარშია სიკვამყარე ვერ მოღუნა, ამ ოცი წლის წინეთ ათი თვის გოგონას დაკარგვას კინაღამ თან არ გადაწყვიტავს.

— იმის ოჯახს იცნობ?

— ვიცნობ. ისე, არა დაახლოვებით. ცოლი ინტელიგენტი და ლამაზი ქალია. მე ირაკლი ვუწინ ვნახე ერთ ადგილას და იმდენად მიმზიდველი მეჩვენა, იმდენად მომწყურდა მისი ჩემ ოჯახთან მკვიდროთ დაახლოვება, რომ ვერ მოვიტოვებინე და დღეს სადილად დაგაპატივე. რას იტყვი?

— რა უნდა ვთქვა. «მშვიდობა მოსვლასა მისსა».

დაირეკა ზარი და ისიც თავზე წამოგვიდგა. ცოლი გაეცანია. აშკარა იყო პირველმა გაცნობამ ურთიერთზე კარგი შთაბეჭდილება დასტოვა. მცირე ხნის აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, წარუფლანგით ჩვენი პაწია ეთერი.

— ახ! რა მშვენიერი ჩიტუნია გყოლიათ, რა მშვენიერი!—წამოიძახა. აიყვანა ხელში და ნაზად აკოცა შუბლზე,—გაიზარდე გოგონავ, გაიზარდე და იყავ ბედნიერი! ზრდილობიანათ და მოწიწებით დედას გადასცა.

— მერი! მგონი ეთერის შია, ასე რძე, ვუთხარი ცოლს. ამის გაგონებაზე ნასაკიძე ოდნავი შეშფოთებით წამოდგა.

— რასა ბრძანებთ! რასა ბრძანებთ! დავიჯერო, ძეძუს არ აწოვებთ!

— სხვა გზა არ იყო, იმ თავითვე არ მიეკარა,—უპასუხა მერიმ.



— არა, არა ეს ვერაფერი თავის მართლებათა, ძალიან სხარტად ნაქმე გიქისრიათ; მალე ზაფხული დადგება და თუ მუცელი მოეშალა შეიძლება ქიდი სკანდალით ვათავდეს. გემუდარებით ებლავე დაიჭირაფოთ ძიძა, პირობას გაძლევთ ჩინებულათ მოსწოვს და თქვენი ანგელოზი დაზღვეული იქნება მუცლის ყოველგვარ ავადმყოფობისაგან.

ამან ჩვენ საგონებელში ჩაგვაგდო და გადავსწყვიტეთ ძიძის დაჭირაგება.

— მაპატიეთ, უნდა დავაძინო,—სთქვა მერიმ. ვახტანგი ძვირფასი სტუმარი არ მომიწყინო, მეც მალე მოვალ.

ჩვენ გავვებით ლაპარაკში და ჩენი ცხოვრების შრავალ საჭირბოროტო მხარეებს შევხებით, მერი, რომ დაბრუნდა, ნასაკიძე ადგა, მოხვია მერის ხელი წელზე და დასვა თავის პირდაპირ სავარძელზე.

— მეგობარნო, დაიწყო მან, ეთერის ხათრისთვის მინდა გიამბოთ ცოტა რამ ჩემი ცხოვრებიდან. ნებას მომცემთ კი?

— სიამოვნებით, სიამოვნებით,—ვუპასუხეთ ჩვენ.

— პირობას გაძლევთ სიტყვა არ გაგიჟიანუროთ, ვიქნები მოშპირნი და სხარტი.

დაიწყო იმ მომენტიდან, როცა ახალგაზრდა ცოლი პირველად დააწვინა სამშობიარო სახლში.

— ოცი წლის ამბავია, დაიწყო იმან. ერთ მშვენიერ დღეს როცა დრო დადგა, ახალგაზრდა ცოლი სამშობიარო სახლში დავაწვინე. მეორე დღეს ღამის ათ საათზე დაეურეკე და გამოვუძახე ნაცნობ ბებია ქალს. „მომილოცნია, მომილოცნია ბატონო ირაკლი. ქალი შეგეძინათ და ისეთი ღამაში, ისეთი ღამაში, რომ თუ ფხიზლად არ იქნებით მოგტაცებენ უთუოთ. ხომ ხედავთ რა ნაღდები ვართ, ერთი მოიყვანეთ ორი მიჯავთ“, დაბოლოვა კისკისით. მადლობა გადავუხადე და სამახაროლოც დავპირდი. იმ ღამეს სულ არ შპინებია. ვინ იცის რა არ ვიფიქრე, რა გეგმები არ შევადგინე. მეორე დღეს ნებადართულ საათებში მიველ სამშობიაროში. გულის ფანქვალთ ავირბინე ორი საათული, არ მენახა მაგრამ ჩემი გვრიტუნა უკვე შემოიყვარდა. მივესალმე ცოლს, და იმ წამსვე ავბადე დოლბანდი ევროპულ აკვანს. იმას ეძინა. სახე, როგორც ახლად შობილს ჯერ კიდევ მოწითალო ჰქონდა. მაგრამ დედას რომ ჰვადე ეს კი აშკარა იყო. მე ეს მიამა, რადგან სახედნთეროდ ცოლი ღამაში მყვანდა. ცამეტი გირვანჭა გამოსულიყო. ვერ მოვითმინე და ვაკოცე. შეინძრა და ტუჩები შეაცმატუნა. მალე თვალბეტი გაახილა, შემომხედა თუ არა უყვრივ გამიცინა, მაგრამ წამსვე სერიოზულად გახდა და ტირილიც დაიწყო... უა.. უა, უა.. ამას შემთხვევით სხვა ბავშებიც აპყენენ და გაიმართა კონცერტი. ყველა დედამ ძუძუ მოიპარჯა და კვლავ დამყარდა სიწყნარე. მერი ჩნის მუსაიფის შემდეგ ცოლმა მომცა საჭირო დირექტივები და დავბრუნდი სახლში. ერთი სიტყვით მე ცოლშვილიანი ვიყავი. ჩემს ცხოვრებაში იწყებოდა ახალი ხანა, ხანა გაორკეცებული ჰაპან წყვეტისა, მწუხარებისა და სიხარულისა, ბედისა და უბედობისა. მეშვიდე დღეს



ცოლშვილი მოვიყვანე და კვლავ ჩავები ცხოვრების ჩვეულებრივ ცხოვრებაში სახელად ვუწოდებ ცოლის დის თხოვნით ქენიკო. შევატყაობინე მასთან მკვლევარებს და იმათაც არ დამიყოვნეს ასულის ნახვა. თან მოვიყვანეს თავთავიანთი შვილები, რომელთაც მე გავიყვანე: ანჩილი, კოტე, ვარიკო, ბაია, ოთარ, ნათელა, ბიძინა და ქართლოსი. მოუტანეს პატარას სხვადასხვა საჩუქრები და თავისი ქვილივილით და გულწრფელი აღტაცებით სიხარული გამიორკვეს. ჩემი ცოლი მეტად ნაზი და სამაგალითო დედა გამოდგა. პაწია არსებამ ოჯახი უღველი სიხარულით აბივსო და მოჰკახშა იგი ბედნიერებას შარავანდელით. მხრუნველ დედოქოს წინათვე ჰქონდა თურმე ახლად შობილიანათის მოპარაგებული კობტად შეკერილი ნაარ-ნაირო პაწია პერანგები, ჩეპიკები და სხვა საჭარო თეთრეული. ათი დღის შემდეგ ბავშს სახე სულ დეწმინდა და ჩვენს წინ წარმოსდგა საუცხოვო ფერხულა გოგო. მისი ხუჭუქა თმები, მისი წმინდა, ვით ანკარა წყარო, ვიშრის თვალები და სიმპატიური სახე ერთ რამეთა ღირდა.

ხომ უკვე იცით ვაბტანგი, მით უმეტეს თქვენ ქალბატონო მერა, — მიპართა ჩემს ცოლს, რა საინტერესოა ტიტლიკანა ბავში ბანაობის დროს, ან და მაშინ როცა დედა ლოვინზე დაიგორებს, როცა ის აღტაცების ნიშნად ფეხებს აათამაშებს. ახ, რა მიმზიდველია ადამიანი ამ ხანაში, რა კეთილშობილი, რა უმანკო და მომზიბლავი. მან არ იცის რა არის ღვარძლი, შური, მტრობა და სხვა ათასი ბოროტება, რომელიც ჩვენს გააწარებულ არსებას ღრღინს და სწიწნის კვატობიდან სიბერემდე. ჩემი ტუგლიკო დღითი დღე მშვენიერდებოდა. მალე საქმე იქამდე მივიდა, რომ დამინახავდა თუ არა, ან გაიგონებდა ჩემს ხმას, აღტაცებით, დამიკვივლებდა; „დამიკვივლე შვილიკო, დამიკვივლე“ ვეუბნებოდი და მყისვე ჩავკოცნიდი. ასე გავატარეთ ათი თვე. შესდგა თუ არა ფეხი მეთერთმეტეში, მუცელა შეეყარა, ელდა მეცა, ვეცა ექიმებს, მივიღე საჭარო ზომები, და იმათივე რჩევით ავადმყოფი მცხეთაში წავიყვანეთ. უნდა გენახათ რა სერიოზულად ეჭირა თავი ჩემს ციკინათელას. ყოველ წაწლის მიწოდებაზე შოშაასავით დაალებდა პირს და მორჩილად ჩაპყლაპავდა მწარე წამალს. თვისი ჭკვიანი თვალებით თითქოს ვეუბნებოდა: ხომ ხედავ მაშინ, რა დამჯერე ქალი გვევართ, როგორ გიწყობთ ხელს, მაშ მიშველეთ, მიშველეთ და მით მომეცით საშვალეობა დაესტებე იმ საუნჯით, რომელიც თქვენ მაჩუქეთ, და იმსიყვარულით, რომელიც ასე უხვად მომაფრქვიეთ ორივემ. მდგომარეობა დღითი დღე უარესდებოდა; მეხუთე დღეს მცხეთის ექიმმა გამოგვიცხადა: „საქმე ცუდათაა, ტვინის წყალმაკი იწყება, და ქალაქს მიაშურეთო“ ჩვენც აღარ დავაყოვნეთ და ღამის მატარებლით გამოვეშურეთ შინისაკენ, გულდამწვარნი და სევდა ვარამით სასენი.

მთვარიანი ღამე იყო. ჩვენს ვაგონში, სადაც მარცხად არავინ არ იყო, სრული სიჩუმე სუფევდა. მუდრობას არ ღვევდა მხოლოდ ტანჯული არსების ყრუ კვნესა, რომელიც მცხეთიდან ავკალამდე უსაზარლეს წივილად გადაიქცა. წივილად მეთკი მოგახსენებთ, რომელმაც კინალამ შეიპოვია გონება-ბადრი მთვარე ამოვიდა და ჩემს ვაგონას შავ თვალეებში ჩაანათა სწორედ იმ



დროს როცა ის დედის გულმკერდზე მისუსტებული თურმე სულსან მღვდელს: „ერთი  
ორი ამოისუნთქა და ჩაჰვიდა პაწია თავი.“

მიეფთხოვდით თბილისს. ქალაქიდან, ნამეტნავად მუშათა უბნებიდან ვაც-  
ხარებული სროლის ზმა მოგვესმა. 1905 წელი იყო. აშკარა იყო ქართველი პრო-  
ლეტარიატი შეზმოდა მეფის ჯალათებს და უსწორო ბრძოლაში სისხლიდან  
იწირიტებოდა, ამ ამბებმა ერთის წუთით გული ამიფანცქალეს, ვინაიდან  
გორც ერთ ერთი იდეური ხელმძღვანელი, საცა სამართალია მეც იმათთან უნდა  
ცოფილიყავი. ცოტა რომ გავიარეთ, რამოდენიმე მუშა შემოგვებდა. „ირაკლი  
საით? მკითხეს სჩქაროდ, რატომ ჩვენთან არა ხარ? რევოლუცია დაიწყო.“  
მცხეთაში ვიყავი, შეილი მომიკვდა. ძლიერ ეწყინათ. წამით სამარისებური სიჩ-  
ქე ჩამოვარდა. უფროვ მოისმა სამჯერ მწყობრი ზალპი. „ჩვენები არიან, ჩვენები  
თქვენი ჭირიმე ბიჭებო“ დაიძახეს იმათ. „ნახავდის მასწავლებლო, ისეთი დროა  
რომ სამძიმარსაც ველარ გიცხადებთ. ხეალ თუ ცოცხლები დაფრჩით ჩვენც მო-  
ვალთ და შენს პაწიას ჩვენც გავაცილებთ“-ო და სწრაფად მიეფარნენ. მოვედით  
სახლში და შევედუქით მიცვალეზულის გაპატოისნებას: ჯერ გავბანეთ,  
მერე დედამ ჩააცვა არზია შემოვლებული მოკლე პირანგი. საგანგებოდ შეკერი-  
ლი საუცხოვო კოხტა კაბა, ჭრელი ჩულკები და წითელი წულები. ამას, რომ  
მოვრჩით, ტელეფონით შეგატყობინე მეგობრებს, რომ ზეგ ქალიშვილს ვათხოვებ  
და ქორწილზე დამესწარით მეთქი.

ის იყო დავასვენეთ მიცვალეზული სუფრა გადაფარებულ მაგიდაზე, რომ  
მოვიდნენ ეანდარმები და დატუსილება გამომიცხადეს. ვსთხოვე ეცლიათ შეი-  
ლის დამარხვა. ჴარი მითხრეს, სხვა გზა არ იყო უნდა შევრიგებოდი ბედს  
და რომ იმათ არ ენახათ ჩემი სულის მოღუნება ცივად მივეზრუნდი ჩემი  
უბედურების მიზეზს, დავუკონე ტურჩები და შუბლი: „მშვიდობით ჩემო პაწიავ,  
მშვიდობით საუკუნოდ, ჩაეზრჩულე ყურში. ცოლსაც ხელი ჩამოვართვი,  
ყოჩაღად იყავი თუკლე არ განახოს მტერმა ძაბუნად მეთქი. იმან ამის პირობა  
მომცა. მე წამიყვანეს მეტეხში. იმ დამეს, დაკითხვის დროს, ეანდარმის აფი-  
ცერმა რაკი ვერ გამომტეხა, ხელით შეურაცხოვაკი კი მომაყენა. ექვსი თვის  
წამების შემდეგ გამომიშვეს. შუა დღე იყო. ცოლი, რაკი გავვო ჩემი გან-  
თავისუფლების ამბავი, იქვე ციხის გასავალთან მელოდებოდა. დავიჭირეთ  
ეტლი და გავსწიეთ კუკის სასაფლაოსკენ. გამოვკითხე ამბები. ეენიკას დასაფ-  
ლავებას ყველა ჩენი მეგობარ-ნაცნობნი და მოკეთებნი დასწრებოდნენ. და მ-  
გობარ ბავშვებს: ბიძინას, კარლოს, ბაიას, ოთარს და ნათელას, თან მოეტანათ  
ყვავილები და ჴმანკო ცრემლები. ათი წლის მკვირცხლი ნიჭიერი და განვითარ-  
რებული ბაია, ერთი თვის შემდეგ გარდაცვლილიყო, და ის მებრძოლი მუშები  
ვაგზალთან, რომ შეგებდნენ, იმ საბედისწერო დამეს ერთს გარდა ყველანი და-  
ლუპულიყვნენ. მალე მეეტლე შესდგა და „მივედითო“ დაიძახა. გადმოვბტით და  
სამ წუთში გავჩნდით ქალიშვილის საფლავთან. სიყვარულით მოვიკითხეთ ერთამ-  
ნეთი, დავგვიანებისთვის პატიება ვსთხოვე და შეგვირდი, რომ მარტოდ არ დავს-





ტოვებდი. ცოლმა მიმიითოა ეენიკოს მეზობლებზე, აგერ ჩვენი ძალიან კესენი მის წინეთ გარდაცვლილი დეიდა შვილები, ნინოს კუდრაჭა რუსუდანი და ანიკოს ბუთხუზა შოთა. ხომ ჰხედავ რა საიდუმლო მეგობართ შუა ჩაუაწვინე. უნდა გენახათ ირაკლი, როგორ გამოიტირა ბაიამ ჩვენი გვრიტუნია. ერთი თვის შემდეგ შეეყარა ზუნაგი და როგორც ჰხედავ ისიც აქ გადმოასახლეს.

— ახ, რა ცეცხლია, რა ცეცხლია, გაიძახოდა წერი და კრენლები ლაპალუპით ჩამოსდიოდა.

— წაველით სახლში. ვანიგრობი იმან. მაგრამ გულში რომ არ მომიტიმინა, სამხრობისას ცოლის უზუმრად ისევ ავირბინე კუკიის სასაფლაოზე. მივუჯექი შვილს და დავუწყე მუსაიფი. სხვა, შვილო როგორა გრწნობ თავს ახალ ბინაზე, რათ გამომეყვე ასე მალე, რა დიგიშავე? ერთი ეს მითხარ, თვალის ჩინო, უშენობას ვით ზეუროგდეს უბედური მამაშენი. ცივ ნიავს არ გაკარებ, ჩემო სიცოცხლე და ამ სუდარა გადაფარებულ სიკვდილის საეფოში, ღამე მარტო როგორ დაგტოვო? ცოტა ხნის შემდეგ შევნიშნე ბაიას საფლავი წარწერით, ვიტირე ჩემი ბაიკო, ჩემი პროტესტანტი მეგობარა ბიჭი.

— ნუ დარდობ ძია ირაკლი, შენს ეენიკოს მე ვუპატრონებ, ამაში ვიცი დამებზარებიან შოთაცა და რუსუდანიც. ჩემმა მზემ მართალს გეუბნები. პატივისცემის არ დაეჯღებ მანამ, სანამ წყეული მატლები თვალებს სულ არ ამოკორტნიან. აი აგერ ერთი-ორი ეენიკოსაც დააცოცდა ცხვირზე, მაგრამ მყისვე გავჰულიტე. ახ ძია, რომ იცოდე როგორ მენანება იქაურობის მოშორება, როგორ მენანება. ამიხსენი თუ ხათრი გაქვს, ისეთი რა დავუშავეთ მუხანათ წუთისოფელს, რომ აილო და განუკითხავად გადმოგვისროლა არყოფნის წყედიადში. რა დაცინეაა?! რა თავის აგდებაა?! ძია, ვთხოვთ გადასკეთ მამას, მომიტანოს ინგლისურიდან ნათარგმნი წიგნი, რომლის ბოლომდე ჩაკითხვა სიკვდილის გამოვერ მოვასწარი. ეს ხომ თქვენც იცით. ხომ გახსოვს ჩვენ სამნი: მე, მამუკა და თქვენ როგორ ვკამათობდით იმ თბულეების შესახებ; ის იყო პასუხი უნდა გამეცა, რომ თუკრივ მახლობელ საფლავის ქვაზე შევნიშნე ჰაბუკი ვინმე შავს წანოსასხამში, ნალაღი, ტანადი, შავი ზუჭუჭი თმებით, ღამაზე ვით აპოლონი, ვით დორიან გრეი.

— ვინ ხართ? შევეკითხე.

— ზეკაცო, ზემეცნიერი, იყო პასუხი—სახელი ჩემი ქართულად არჩილია, ინგლისურად კი არჩიბალდი. გვარად ილარიძე ვარ.

— რა გნებავთ ჩემგან? შევეკითხე ხმა ჩაწყვეტით.

— მანდა გიშველოთ.

— არა ბუერა.

— რატომ?

— მიტომ, რომ თქვენ მხოლოდ ადამიანი ხართ და ადამიანი ვით შესძლებს სიკვდილთან შებმას.



- აკი გითხარი ზეკაცი ვარ მეტი.
- ფოკუსნიკი იქნები—მივახალე ბრაზით.
- გიშველი?
- არა მჯერა.
- დაგაჯერებთ.
- ?!

— დაუჯერებელი გამიგონეთ: როგორც ყოველთვის სიტყვა ჩემი იქნება მოკლე და მკვეთრი.

— გისმენთ, გისმენთ... ვუპასუხე ფრიად გაოცებულმა.

— მე ისა ვარ, ვინც ხარბად შეისუთქა ევროპისა და აღმოსავლეთის ცივილიზაციებზე. ვინც მიადგა ჩვენი შემეცნების გარეშე მყოფი ქვეყნის „ტრანს-ცენდენტის“ ჩაკირულ კარებს და გაბედულად შეიღო იგი.

— ოჰო! მართლაც რომ გაბედული სიტყვაა.

— არა სკეპტიკო, ეს ფაქტია და არა სიტყვა. ეს—სიტყვა თუ არა წამოიწია წინ, შუაზე გადახაზა თილისმა ჯოხით ოთხივე საფლაკი და იქიდან ამოა-ცურა ოთხი კუბო. გადახაზა სახურავები. რალაც სათხე დაახა ზედ და შოი ხაკვირველებამ, ყველანი გააცოცხლა.—აჰა ჩაიბარეთ თქვენი მეგობრებიო და ვაჰქრა.

— საყვარელო არჩიბალდ, შენ დიდება ხარ ივერიის, დიდება კაცობრიო-ბის, შევეყირე ალტაცებით. უტკრივ მოხუცმა მესაფლავემ მხარზე ხელი დამაღო და მთხოვა მიმეტოვებინა იქაურობა.

— ვინ იყო ის კაცი, ეხლა რომ აქ იდგა?

— ვინ იქნებოდა თუ არა ეშმაკი. წამოზრძანდით!

— ესენი რომ აქა მრჩებიან!?

— რას ამბობ კაცო, გონს მოდი, ვაეკაცი არა ხარ. რა უყოთ, ყველანი სიკვდილის შვილები ვართ. მიწა ვართ და მიწად უნდა ვიქცეთ. გესმის! მიწად უნდა ვიქცეთ.

გონზე მოსულმა დაეიხარე, ვაკოცე წმინდა სამარეს და მშობელი ქვეყნის მიწას ჩაეაბარე შვილიცა და მისი ყრმა მეგობრებიც.

ეს სიტყვა თუ არა ძვირფასი სტუმარი გაჩუმდა. პაპიროს მოვეყიდეთ.

— წლინახევრის შემდეგ, განაგრძო მან, შემემინა მეორე ქალი, წარმოუ-დგენელი მზგავსება ჰქონდა ეენიკოსთან. სრული მისი განსახიერება, მისი ალ-ტერ-ეგო—ეხედავდი ერთ და იმავე დროს ბუნება მსჯიდა და მჯილიდოვებდა კიდევ. იმისი არ იყოს „დალაზეროს ღმერთმა იმის რჯული და საღავათი“, ჩემი სიხარული უსაზღვრო იყო.

პირველის მიერ დაკოდილი გულა მეორემ თითქმის სულ მოაშფუა. იმასაც ეენიკო ვუწოდეთ. სასაფლაოზე სიარულს ვუყელით და მალე სულ შევეწყვიტეთ. განვლო ოცმა წელმა. და ამ ხნის განმავლობაში შვილი აღარ შეგვძენია, ვინი-



დან თეკლეკ აჰყვა მოდას და აბორტები შემოიღო. ჩემი მეორე ვენიკო, ჩემი ლეთაება, სამავალითო ქალი დადგა, ნიჭიერი, პატოსანი, ბეჭინამან მინხარებელი მშობელია. ის ეხლა უმალღესი სკოლის მოწაფეა და მრჩველნი ჩქედებსაც იძლევა. პირვანდელი სახე, სახე მომავონებელი ჟუროს დისა, საგრძნობლად გამოეცყალა. ეს გარემოება მე ძალზე მალონებდა.

ამ დიდი პაუზის შემდეგ ჩემში თანდათან იღვიძებდა ერთი სურვილი და ხანდახნაც მესამე შეილის სილუეტით გამიბრუნდა გონების თვალწინ. ხომ ხედავთ, რა მოუსვენარი კაცი ვყოფილვარო, და მიუბრუნდა მერის ნელი ხარხარით.

— მომავონდა აგრეთვე იქ ქალაქ გარეთ მიგდებულ-დავიწყებული საუნჯე და ატირდა გული, ამ ჩემი სოლის ამოკვნესას ამწნევედნ ცოლიცა და მეორე ქალიც, რომელიც ბოლო ხანებში, რაღაც ჩამეფერფლა. მის გიშრის თვალებში რაღაც დიდი მოწყენა იფარებოდა. ამან მე საგონებელში ჩამაგდო, მივეფერე და ვსთხოვე შუბლი გაეხსნა.

— არაფერია, მაშიკო არაფერი, მამშვიდებდა ის. ეს ალბად მოზღვავებული ლექციების ბრალია. მიუხედავით ამისა მანც ვატყობდი, რომ რაღაცას მიმალავდა. მეორე დღეს, როცა მე მისი აზრით ფარდის იქით მეძინა, დედას შესჩავლა.

— დედიკო! გინახავს სადმე ჩემისთანა უბედური?

— როგორ! მოგიკედეს დედაო, უპასუხა თეკლემ.

— ყველაფერიდან სჩანს, რომ მაშიკოს ალარ ვუყვარვარ; სჩანს ჩემი შეილობა და მისდამი ესოდენ დიდი სიყვარული ალარ აკმაყოფილებს—ო. და გადმოვავორა მარგალიტი ცრენლები. ამაზე გოაცებულმა დედამ მიიკრა გულზე და დაღმტკიცა წინააღმდეგი და დაამშვიდა. ამის შესახებ მერე მეც მოველაპარაკე. გავიდა ერთი კვირა და როგორც იყო ავედი ქენიკოსთან და რა ვნახე! დაობლებული და დიდინით მიტოვებული სანარე მისი გულ-საკლავად გამოიყურებოდა. ხის დამპალი ჯვარი წაქცეულიყო, საფლავზე ამოსულიყო ლვარძლი—ბალახი და ანწლი. იქვე ჩაეკიცე, პირქვე ჩავემხვე და ჩავაშტერდი ძვირფას სამარეს, მაგრამ პაწია შეგობრები ხმას არ იღებდნენ. ეძინათ საუკუნო ძილით.

ალბად მოხდა ის, რისიც ბაიას ასე ეშინოდა.

ირგვლივ სისხლის გამყინავი სიჩუმე სუფევდა. შემოდგომის მიწურულში, ყველაფერი კეკლესად შემოსილი, განძარცვულიყო და ცივი ქარი მომავალ ზამთარს თავისებურ ოსანას უვალობდა. ოდნავ გამაერთოლა, წამოსვლა დევაპირე, მაგრამ უეცრივ მკვდარი ქალაქის ანაფორიან კომენდანტის ბინიდან მოისმა დამათრობელი, ნაზი მუსიკა.—შედეგი უფრო დავუგდე, ნაცნობი ჰანგები იყო. მივლაერსე ჩემს ტუფლიკოს. ხმა არ გამცა, აშკარა იყო მეტუტებოდა.

მწარე ღიმილით გადმოგვხედა და კვლავ განაგრძო.

— რომ შესძლებოდა ჩემი მოსმენა, აუცილებლად დავაჯერებდი, რომ მის უმანკო სახეს, მისი დეკარგვით დამწყარ გულში განუწყვეტლად თან ვატარებდი. ვიტყო-



დი, თუ მთელი ამ ხნის განმავლობაში დღეშიც კი ცხოვრების ყოველ წუთშიც რამდენი ტანჯვა გამოვიარე. მოუთხოვრებელი ჩვენი დროის რევოლუციონერები, გვიღებ შამსოფლიო ომზე და შთანთქმულ, გასრესილ უთვალავ მსხვერპლზე. არ მეცალა მეოქი ვეტყვი შენთვის და აი ეხლა ვალმოხდილი ქვეყნის წინაშე, სატყაი შუბლით დაგიბრუნდი და საჩუქრად ეს მოგიტანე. ამ დროს მუსიკა შესწყდა და ჩემი ფიქრთა სრბოლაც თან წარიტაცა. მივატოვე იქაურობა იმ მტკიცე გარდაწყვეტილებით, რომ რაც შეიძლება ჩქარა გადმომესვენებია ძვირფასი ნეშტი ჩემს ახლოს.

ის მოვეითხოვრებდა ამ სამკვლევარო ამბავს დიდის გატაცებით და ექსპრესიით. თვალთავიანაც ტრუანტელის მომგვრელ ნაპერწყლებს ისროდა.

-- მაშ გინდა გადმოასვენო?— შევეკითხე მე.

— ეს უკვე ფაქტია ჩემო კარგო; ეს ჩემი ოცი წლის იღვწალი ფიქრი, ოცნება იყო. ახლოსა მყავს, ენაცვალოს მაშა. უნდა ნახოთ, ვახტანგ, როგორ მოვეურთე კარმიდამო, რა საუცხოვო წრე შემოვაველე: დაუნის ფოთლები, ია და ეარდი რამდენიც გინდა. ეზოც ნაირ-ნაირი ზღვის ქენჭებით მოუკარწულე.

— როდის მოხდა ეს, რატომ ჩვენც არ შეგვატოვებინეთ? ვუსაყვედურე მე.

— თქვენ მაშინ მივლინებაში იყავით და ამას ვარდა ეს ამბავი არ გამიხშიანებია, მოვასვენე ჩუმაღ, არა დემონსტრაციულად. ახ, ჩემო ახალგაზრდა... მეგობარო, რომ იცოდეთ, რა განვიცადე, რა განვიცადე! მე უჩეღურს მეგონა ისევე გაუბრწუნელს ვიხილავდი, მაგრამ ცალიერი ლაქონჩხი შემჩა ხელში. სადღა იყო მისი გიშრის თვალები, სახე, ფუნჯლა ლოყები და კოკობი ტუჩები, მე რომ ისე ხარბად ჩავუკონიდი ხოლმე. ამ ამბის მესამე თვის შემდეგ, შემეძინა მესამე ქალი.

— აა, დაუთმაა, დაუთმაა ქალბატონ თეკლეს, ჩავურთე მე.

— დიახ დამითმო, დამითმო, მხოლოდ დიდი მუდარისა და ბრძოლის შემდეგ. მესამეც თავისი დების განსაცვიფრებელი განსახიერებაა. ერთი სიტყვით ვიხილე მეტყვიდროების სახით, ბუნების დიადი სასწაული, სასწაული, რომელიც მოასწავებს ეენიკოს მკვდრებით აღდგომას, მის მეორედ გაცოცხლებას.

— რა უნდა დაარქვათ? ვკითხე მე.

— უკვე დავარქვე— ეენიკო.

— ისევე ეენიკო!

— სხვა გზა არ იყო ჩემო კეთილო, სხვა გზა არ იყო, როცა ჩემს ოჯახში გაქტრება იმისი ციური სახე და სახელი, ნამდვილად სწორედ მაშინ დავკარგავ. ეს მესამე ვიცი უკანასკნელი და განუშეორებელია. თავის დროზე ესეც დაქარგავს პირვანდელ ელფურს, მაგრამ მაშინ ზომ ჩემი აღსასრულის დღეც მოახლოვებული იქნება.

— არა, არ გეთანხმებით. ვინაიდან ამათ მაკავრობას გაგიწვევენ შვილის შვილები, რომელნიც მოგველინებიან სიზერის იმედით და სიხარულად.

— ვაშა, ვაშა!— შემოჰკრა ტაში.



— დიდებულია, დიდებულია—და ხელი მაგრად მომიჭირა.

— აი მოვალთ და ფანაზეთ თქვენს საყვარელ კრუცებს უფრო მეტი.

— ახ, ქალბატონო მერი და თქვენც ვახტანგ! მობძანდით გეთაყვა, უთუოდ მობძანდით, რათა გაიზიაროთ ამ ჩემი ცხოვრების მიწურულში უკანასკნელი დღე-სასწაული.

— მართლა, იმასთანაც ხომ მივალთ სადარბაზოთ?

— უთუოდ, უთუოდ.

— ამას წინეთ ვეწვიეთ მთელას შემადგენლობით და „ნოკოსელი“ მიველოცეთ. ამასთანავე წარვუდგინეთ ორივე დები...

— სამნი მყევხართ სამნი, შევძახე ალტაცებულმა და პაწია დაიკო ჩავუგორე მწვანე ეზოში.

ამით დაასრულა ირაკლიმ თვისი სამგლოვიარო მოთხრობა.

— ბატონებო ზღაპარი ესე უკვე დასრულდა. ყოფილივე ეს მოკახსენეთ იმიტომ, რათა იფხიზლით და ეთერი არ დაჰკარგოთ. მაპატივეთ, მაპატივეთ საყვარელნო, ხომ ხედავ რა ამირებულ ვინმე ვარ. გინახავთ სადმე ჩემისთანა კაცი?

— რა თქმა უნდა არა. ირაკლი ამ ქვეყნად კენტია,—უუთხარი სიცილით.

— ვაშა, ვაშა, მართლაც რომ კენტია,—გულკეთილად ჩიხარბარა მან.

მერი წამოდგა, ბოდიში მოიხადა და სუფრის ვასაძღვლად გავიდა სასაღილოში.

ჩვენ კი პაპიროსები გავაჩაღეთ და რამოდენიმე წუთით სიჩუმე ჩამოვარდა. ის მივიდა ფანჯარასთან და ცალი ხელით მოაჯირზე მაყრდნობილი მოწვენილი სივრცეს გაჰყურებდა. მე ვიჯექ საყვარელში და მის პოზას სიყვარულით შევსტყუროდი.

— ირაკლი, დავარღვიე სიჩუმე, მაბრძანეთ და მოაბრუნდა ჩემსკენ, როგორც გადმოშვებ თქვენ ამეამად რაღაც სამეცნიერო შრომას გვიმზადებთ თურმე.

— არაფერი მაგის მხგავსი.

— რატომ? ჩავეკითხე.

— იმიტომ რომ ნაკისათვის არც ცოდნა შემწვევს და არც იაქი.

— მე კი ვფიქრობ, რომ ამას გათქვევინებთ კლემპოსილება.

— ახ, ვახტანგ! შემომხედა ნერვიულად, ღვთის გულისთვის ნუ შეურაცხყოფთ მეცნიერებს.

— უჟაცრავად, უჟაცრავად, ვუპასუხე მე.

— ერთი პატარა უპრეტენზიო კაცი ვარ. გავაკეთე ის, რისი ვაკეთებაც შემძლო. ერმა ის მიიღო და მეც მიმიჩინა ერთი მცირე კუნჭული მოღვაწეთა პანთეონში, ეს არის და ეს! პაპიროსი კადევ მოსწია,—რა კი სიტყვამ მოიტანა და შენც ასე გეინტერესება, გეტყვი რომ მე ვწერ ეხლა წარსულის ვრცელ მოგონებებს და მთელი ჩემი ცხოვრების ნამოქმედარს შიგა და შიგ ვუყურობ რეზიუმებს. ეს შრომა მინდა მიუძღვნა მომავლის გამომწვედ ახალთაობას.



ქართული  
ნაციონალური  
ბიბლიოთეკა

— რა დროს მოგონებებია, ეს ხომ გამოთხოვების ნიშნად დაგაპირა პასუხის მოცემა, მაგრამ ამ დროს შემოვიდა მერი.

— ბატონო, სადილი მზად გახლავთ და ნაზი ღიმილით შეუძღვა სტუმარს სასადილოში. სადილზე ირაკლი ერთობ გამზიარულდა და თვისი მოხდენილი ობუნჯობით ბევრიც გვეცინა. სადილს ჩაიც მოვასულებთ, მცირე ხნით კიდევ ვიბაასეთ და ურთ-ერთით ფრიად კმაყოფილნი დავშორდით ერთმანეთს.

— ღმერთო ჩემო, როგორ შემეცვარდა ეს კაცი, როგორ შემეცვარდა, მასში საყოფია, რაც მამაკაცს ასე ამშვენებს, წამოიძაბა მერიმ აღტაცებით.

— ლალატი არ იცის მეთქი, ვუთხარი თითის ქნევით, ნუ დაიფიწყებ რომ არ მიყობა ბიჭი ცეცია. აშკარა იყო რომ ჩვენსა და ირაკლის შორის უკვე გაიბა მეგობრობის მტკიცე ძაფი.

## ზიზველი წელი („ГОЛЫЙ ГОД“)

რ მ ე ა ნ ი  
(გაგრძელება\*).

III

თავისუფლებათა შესახებ

ანდრიას თვალებით.

და ისევ—ის ღამე:—

ამბანავ ლაიტისმა იკითხა:

— სად არის აქ აფიცერ-იზნაურ-სტუდენტ  
ვოლკოვისის ბინა?

ანდრია ვოლკოვიჩმა გულგრილად უპასუხა:

— სახლს მოუარეთ და მეორე სართულში  
კიბეზე დათ.—სთქვა, დამთქნარა, ცოტა  
ზანს შერე—და, გაიზმორა და ზანტად სახლის  
საზეიშო შესასვლელ კარებისაკენ გაემართა,—

და —

და —

სიბარული განჟსაზღვრილი, თავისძვლება, ოჯახი, წარსული დღეები, წარ-  
სული ცხოვრება,—დარჩა ჯიან სა უდამოთ,—სიკვდილი იმათ! დაგორდა ქვეები  
დაქანებულ ეგრდობზე, დაემ ა მ.სთან ერთად და ძიუს დაქანებულ ანდრიას  
ქარმა ჯურში:—„გვიღო.“—დაძებრა), დაცენისაგან თვალთიან ჩაბე-წყობები გას-  
ცვივდა,—და ნაშინ მას დარჩა მხოლოდ ერთი რამ: სიხლისფერი გული. საი-  
დაწლაც ზევით გუშაგმა რ ღაც დაიძახა და მერე:—დანსულოთა ცეცხლები, რკი-  
ნისგზის ლიანდაგის ნამორები, დამბეულთა სიძღვის ნაწყეტი და მდინარე ვა-



ლოვა. — თავისუფლება! თავისუფლება! არაფერი გაგაჩნდეს კამარულსავე, უარი განაცხადო, — დარჩე ღვთის ანაბარა! — ღამეები, დღეები, ღამეები, გვალვა, ნისლი, წვიმა, — არ იცოდე შენი საკეთარი ხეაღე და გვალვიანი თაკარა დღეები, — როგორც ოცდაათი წლის მხურვალე სალდატკა სარაფანში, — როგორც ისინი, ტყეებში რომ ცხოვრობდნენ ორდინინს-იქით, ჩრდილოეთის ცისკიდურთან: ტკბილია ღამით საბჭელში სალდატკის კოცნა.

გიტყუებს მიწა მაისში, — მაისში გამოენიის ხანს, ჯერ კიდევ ნისლში, — დაწვეები მიწაზე, — წახვალ მიწაში: გიზიდავს მიწა. და იმ საღამოთივე, როგორც კი ანდრია პოპერეჩიევი სოფ. ჩერნოორჩიევი მოვიდა, ქალიშვილებმა ქოხის სარკმელს მოაკაკუნეს და შემოსძახეს:

— ანდრიუშა, წამო სათამაშოდ! — და ქალიშვილთა კისკისი აწკრიალდა სარკმელში.

ანდრია ქოხიდან გამოვიდა, მწვანე ბინდებში, ეკლესიის უკან მდებარე პატარა გორაკზე, ხაბოს ნაპირად იდგნენ ჭრელკაბიანი და თეთრ თავსახურავიანი გოგოები. იქვე მახლობლად აბურძენილ შავ სილუეტებათ იდგნენ ყმაწვილი ბიჭებიც.

— მოდი, რის გეშინია! ვითამაშოთ!

წუთით სიჩუმე ჩამოვარდა, საღვაც მოშორებით მწყურები ჭუკჭუებდნენ. ბერე აწკრიალდა სიმღერა:

Чи-ви-ли-ви-ли-ви-ли  
 Каю хочешь бери!..  
 Стоит елочка на горочке,  
 На самой высоте!  
 Создай, боже, помоложе  
 По моей, по красоте-а...

საღამო იყო წყნარი და ნათელი, თეთრი ვარსკვლავებით მოქედილი ეკლესია: „Никола, что на Бelyx-Колодезях“ მოსჩანდა მოლურჯოდ და სასტიკად, მისი მაღალი შავი სახურავი და ამართული ჯვარი ვარსკვლავებისაგან იყო ატყორცნილი. მდინარეზე და ირგვლივ მიდამოებში სიწყნარე იყო. ყრულ მოისმოდა მწვანის შრიალი, მაგრამ მაინც სიჩუმე იყო, — ღუმილი ღამის. მთელი ღამე გათენებამდის მღეროდნენ ქალიშვილები. ღამით კოკისპირული წვიმა დაუშვა, წამოვიდა იგი აღმოსავლეთიდან გრგვინით და ელვით, გადაიარა დედამიწაზე თქემით და ღვარით, რაც ისე აუცილებელი იყო მწვანეებისათვის. ანდრია მთელი ღამე ფერდობებზე დაეხეტებოდა. — სულ სხვა ცხოვრება დაიწყო მისთვის! დარჩე ღვთის გლახასავით, არაფერი გებადოს, ყველაფერი უარჰყო.

კრებით შევეთქილე ეკლესია: „Никола, что на Бelyx-Колодезях“ გორაკზე ხაბოს ნაპირის იყო ამართული. ოდესღაც აქ ბერები მარტვილობდნენ, ახ-





მარკინაშვილი

ლა მხოლოდ ხავსით შემოსილა მალალ სარკმლებიანი, წაფერგულ-წითლანა-ბულ საბურავიანი თეთრი, მიწაში ჩაუდებული ეკლესია დარჩა. გორაკიდან: „Неле-Колодези“ ერცელი სანახაობა იშლებოდა: გაშლილი ნდინარე, მისი ვაღმა ნაპირები, შორს ლურჯი ტყეები და დაურთულბელი სიერცყეები, გორაკი ნაძვე-ბითა და ხავსით იყო შეუქნილა. ეკლესიის ასაეღ კიბესთან მარჯვნივ მიწიდან ცაცხვის ხის გვიშში მომწვევებული ბინული სკემბა (აქედან წამოვიდა სახელი: „Неле-Колодези“). — ბინული ასეულ წლების კანმაგლობაში მოწინააღმდეგე ფერდობზე, გზა ვაკიფა და სოფელზე გადაოდა, — ვაღმა თავად ორდინინების ნაფუქარი და მამულები იყო. მდინარის ვაღმა ტყეებში ჩაყენილი იყო სოფელი ჩერნორეჩი და ობლად იღვა ბორცვი ურეკი. ირგვლივ ჩრდილოეთის ცისკიდურ-ამდე წასული უღრანი ტყეები და სამხრეთის დასაღიერამდე გატყორცნილი თვალგადუწვედნელი მინდორ-ველები.

იმ საღამოს, ანდრია რომ წამოვიდა, ევორკა სახლში არ იყო. ქოაში თა-ვის, ხორბლისა და ახლად გაბილულ თაფლას სურნელება იღვა. არინამ ანდრიას ახალი თაფლი მოართვა. მამლები უკვე ყოოდნ და მზეთუნახე არინამ გასწია ტყეში, ღამებში.

— დედამიწა გვაზიდავს მაისში — მაისის თვეში, გან-თიადებში, დილის ნასლებში მაიაის ბალახს დამტკბარი თაფლის სუნის ასდის, მაისის ღამებში მწარე სურნე-ბით ფშვინავენ არყის ხეები და ყრუბეები, მაისის ღა-მეები ღრმა, უძირო, ზარბოშიანი და მაისის ალიონები სისხლავეთ წითელი. მამბუა ევორკას არინა მაისში შეე-ძანა და იყო: მაისი, ზეცა, ნაძვები, გაშლალი მდელოები, კორდი და მდინარე. თავის დედასთან და ევორკასთან ერთად ჰკრეფდა იგი სამეჭურნალო ბალახებს და მათგან ისწავლა — როგორ შეფთავეს მაისში მიწა ბუღბუღებით, გუგულებით, ღამით, — აყვავილების თვესავეთ, მაისივეთ ღელავს ადამიანში სისხლა. მარჩიელთა მოდგმა საქეთარ კანონებისდა მიხედვით ცხოვრობს, — არინასათვისაც იყო, ალბად, მაისი — უბუკოდ, უსაკმეველოდ, — ყრუბის საქმე-ველით და ბუღბუღების გალობით. კონ არ იცის როგორ სწყურია ღამით მაისში, მაისის იმავიღილებულ ღამებში ახალგაზრდა სისხლს ახალგაზრდა საფულში?.. იქნებ ინი-ტომ იყო არინა სიტყვა-მასზეში უტიფარი და დედაკაცუ-რად გულაბდილი? არინა — ქალიშვილა უკვე დაქალდა, დამშენდა, გაქვრივდა, ლუყებზე ვარდისფერი გადაქრა, სისქეზე წავიდა. შავი თვალები უტიფრად იცქირება, — უკანება, თავქეიფაა, ღალია ახალგაზრდა მკითხავი რეკო-ლიფუცია სოფელ ჩერნორეჩიში მოვიდა მაისში, — გვიზი-



მარკეტული

დავს მაისში დედაშიწა, გეტყუებს თავისი უდაჯერო- ისევე გულგაშლით შეგება ამზობების, როგორც მარჩიე- ლი ეგორკა.

როცა ანდრია ჩამოვიდა, ბაბუა, მკითხავე ეგორკა, თვეზის საჭერად იყო წასულა და ანდრია პირდაპირ ბაბუას სანახავად წავიდა, მდინარე ჩქარი იყო, ლალი, ამღვრეული, დუღუნებდა ისე, თითქოს სუნთქავდა და მთელი ღამე მაწა- ზე იწევა ქაობთა მწვანე ბინდები და ღრუბელთა თეთრი ცხენოსნები. მდინარის ნაპირას იღვა მთლად გათეთრებული ეგორკა თეთრ ფეხსახვევებით, წყალი ძაბ- რივით ღურღღუნობდა, ჩხრიალებდა და ონაეგრა ქარიულაპია თვეზები დონიერად ასკდებოდენ ბადეს,—ანდრია მარჯვედ იჭერდა ცივს, ლიასა და ღამის სიბნე- ლეში მტრედის ფრთახავით თეთრად მოელვარე თვეზებს.

— აბა, თუ იცი, — სთქვა ჩურჩულით ეგორკამ, — როდის გაცნდა ეს თვეზი? იქნებ გგონია, — აბლა მოიგონეს? როგორ?

— არ ვიცი!

— მე ვფიქრობ რომ ამას ჩენი მამა-პაპაც იჭერდა. როგორ?... როცა ნი- კოლა ააგეს, — ხუთასი წლის წინად, — ეს თვეზი მაშინაც იყო... აქ უწინ მონას- ტერი იღვა, ყაჩაღმა რედენიამ ააგო იგი, — და აი, მე გეუბნები რომ ეს მონას- ტერი რამდენიმეჯერ იყო აღებული თათრების, ყალბუხების და ყირგიზთა მიერ. ამისთვის მე, ბოლშევიკს, ერთხელ ნაობახშიც კი ამომაცრევიანეს თავი.

— როგორ?

— ჯერ რუსეთი თათრების ბატონობის ქვეშ იმყოფებოდა, მერე ლემენ- ცების. რუსეთი, თუ თავის ანაბარა არის მიტოვებული, კეკეიანია. ლემენციც კეკეიანია, მაგრამ ცოტას მაინც მოისულღლებს, მისი ქუთა ფეხისადგილების მოწ- ყობაში თუ გამოხვება. კრებაზე ვთქვი: არ არის არავითარი ინტერნაციონა- ლი, არამედ არის რუსეთის სახალხო ლეგორჯია სტეპან ტიმოფევიჩი რაზინის დროებისდაგვარად და სხვა არაფერი. — „კარლ მარქსი?“ — მეკითხებიან. — ლემენ- ცია, — ვუპასუხე მე, — მამასადავანე ისიც სულელია. — „ლენინი?“ — ისევ შემეკითხნენ. — ლენინი, — მიგუგე მე, — ლენინი მუჟიკია, ბოლშევიკი. თქვენ კი კომუნისტები ხართ. უნდა გადავიძროთ ლემენციურ ტატარზინას უღელი! მიწა — მუჟიკებს! ვაჭ- რები — ჯანდაბას იქით! მემამულეებიც ჯანდაბას, დამფუძნებელი კრებაც, მთელ ქვეყნიერებაზე საბჭოები უნდა იქნას მოწყობილი, — და, ვისაც უნდა, — მოვიდეს. ყველაფერი ცის ქვეშ უნდა წყვებოდეს. ჩაი — მოვსპოთ, ყავა და ბურახიც უნდა მოისპოს, არ გვინდა. რწმენა და სანართალი უნდა იყოს განმტკიცებული. სა- ტახტო ქალაქი მოსკოვი უნდა იყოს. რაც გინდა ის გწამდეს, თუ გინდა, ჯირკ- ზე ილოცე. კომუნისტებიც ჯანდაბას იქით! — ბოლშევიკები, — ვთქვი მე, — უში- თოდაც კარგად მოაწყობენ თავის საქმეებს. და ამ სიტყვებნათვის დისიპლი- ცინის გამო, — მე პირდაპირ ნაობახში ამომავოფინეს თავი.

წყლის ზედაპირზე თევზი შებტა და ეგორკას ბნამაღალ ლაპარაკით დამ- ფრთხალი ისევ წყალზე: ნიმილა.



მარკსეზული

— ეხ, აცხებდდი მეც რაღა!—დაიწყა ისევ ჩურჩულით ეგონებოდა მისი...  
 თუ შექისპარის, არა?—კამლეტი წაკითხული გეჩნება და ის კი არ იცი, რას  
 თამაშობენ ჩენი სოფლის გოგოები. თუნდაც—«Во субботу день ненаст-  
 ный...»—იცი? როგორ?..

— არა, არ ვიცი.

— ჰოო, ხომ ხედაე, შენც კომუნესტი ყოფილხარ!

ამ დროს მალღობზე გოგოებმა დასძახეს:

Отставала бела лебедь от стада лебединого,

Приставала бела лебедь ко стаду, ко серым гусям!..

იმატომ რომ დღევანდელი დღე ძღვევამოსილებით შემოიჭრა, იმიტომ რომ  
 ადამიანის მშფოთვარე სტიქიონში იგი უბრალო ნაფოტი იყო, რომელიც დროს  
 ჩამოსკდა,—ანდრია ფიჭრობდა სულ სხვანაირ თავისუფლებაზე, სხვაგვარ შეება-  
 ზე, რომელიც გამოჰდინარეობს შიგნადან და არა გარედან: უარი განაცხადო  
 საგნებზე, დროზე, არაფერი გაგანდეს, იყო ლატაკი და არაფერი გასურდეს,  
 არაფერი გენანებოვდა, ჩუო მათხოვარი და ღვთის გლახა,—ცხოვრობდე ქობში  
 ქართოვალათ და შევეე კომპოსტოთი, იყო თავისუფალია თუ შებოქვილი,—  
 ეს სულერთია: დეე სტიქიის ღვართქაჟმა ჩაგითრიოს, გატიეტიეოს, სული  
 მაინც ხელუხლებელი და აღუშფოთებელი დაშეება, რომ ყოველივეს სკერეტდე-  
 ქვენიერებაზე დაძრწოდა შავი ქამი და მშიერი სახადი. ყოველ დილით ნიკო-  
 ლას ეკლესიაზე მოქმუნდათ მიკვალბულნი, ხანდახან ნაშუადღევის ოთხ საათ-  
 ზე მოდიოდენ, ბავშვებს ნათლაგდენ და მაშინ რეკდენ სამრეკლოზე, რომელსაც  
 ოდესღაც ყურს უჯდებდენ თათრები და ყოველ საღამოს ნიკოლაზე მღეროდენ  
 სოფლის გოგოები.

დადგა თიბათვე.

სოველ ჩურჩოჩეში გლეხების მოსახლეობა იყო, ყველა ერთი გვარის:  
 კანოროვების, მაგრამ ნათესაობა ურთიერთშორას არ ჰქონდათ. გაზაფხულიდან  
 შემოდგომამდე დიდა და პატარა წელში გაუმართავად მუშაობდა, ირუჯებოდენ  
 გაეარვარებულ მზის მკებნვარე სხივებ ქვეშ და ოფლად იღვრებოდენ. და შე-  
 მოდგომიდან გაზაფხულამდე მუშაობდენ თავაუღებლად, იმკვარტლებოდენ ბოლ-  
 ში და ცეცხლში, სიცივეებში ძაკტიკობდენ ნახევრად მშიერ-მწყურეულნი. ცხოვ-  
 რობდენ გაჭირვებით, ვაი-ვაგლახათ, თავი სღიეს გამოქმუნდათ,—მაგრამ სი-  
 ცოცხლე თავის მბრჩოლაკი ბოლით, სიცივეებით, გვალვით, ვაებით მაინც თავ-  
 დავიწყებამდე უყვარდათ, ცხოვრობდენ ტყეების, მინდვრების და ზეცის სიცი-  
 ზლესთან ერთად,—საქარო იყო მათთან შეთანხმებული მეგობრული ცხოვრე-  
 ბა,—მაგრამ საქარო იყო აგრეთვე მოფდრეკელი, უჯათი ჰობოლაც. ყოველთვის  
 მხედველობაში უნდა ჰქონებოდათ ღამეები, ალიონები, ყური ეგდოთ ტყის გუ-



გუნისათვის, ნამასახლისად სოფელში პაპა კანონი იყო, მანამდეც აღარ ახსოვდა რა ერქვა მის პაპას, მაგრამ ძველი დროები მაინც იცოდა და ახსოვდა, როგორ ცხოვრობდა მამა-პაპა და როგორ უნდა იცხოვრონ შემდეგში. ტყისაკენ ზურგმკეცივლი ქოხები მდინარის პირას ნაძვის ხეების ტოტებ ქვეშ შეფარებულიყვნენ. მოღუშული სარკმლები მოწუებით იცქირებოდნენ და მგლის თვალბიებით იცრებლებოდნენ, ლიბრი ყურდასკნულ ქოხის ნაშორები იწვევენ ერთიანობაზე სახის ნაოჭბივით და ყვითელი ბურჯული თმბივით ეყარა მიწაზე და ქოხები გამოიციქობოდნენ ათასი წლებივით.

— თავად ორდინინების მამულში გაზაფხულიდანვე ანარქისტები ჩასახლდნენ. ეს— ანდრია ვოლკოვიჩის თვალთა ხედვით.—

აპრილის ღამეს თავადების სახლში (დღევ ამ ნოთხრობის ნასკვი თავადების სახლიდან გადახვეწის ამბავი იყო), მოულოდნელად, კაცმა არ იცოდა საიდან, მოვიდნენ ანარქისტები, მთელი ღამე ხმაურობდნენ, ბინავებოდნენ, დაათრევდნენ ურჩებით ტყვიამყრქვევლებს, ვინტოკებს, სანოვავებს და დილით სახლის თავზე უკვე ფრიალობდა დროშა ზედწარწერით:

— დეე, ამახად იფრიალოს შავნა დროშამ თავისუფალთა!

გავიდა აპრილი, გავიდა მაისიც, გაათავეს ყვევილობა ყრუხეხებმა, იასამანმა, ზამბახმა, საქმოდ იმღერეს სახლს ქვევოდ ფშანში ბულბულებმა. ღამით მოულოდნელად მოსული ანარქისტები მეორე დილითვე გავიდნენ მინდვრებში მიწების სახანავად ლურჯ სანუშაო ხალათებში და კეპის ქვლებში.— ანდრია სოფელ ჩერნორეჩიეში საივანობოდ ჩამოვიდა და ივანობა ღამით შევიდა ანდრიაკომუნაში საცხოვრებლად, დადგა აღქაჯათი კვირები, ჭიაკოკონობა. კომუნის ქალები ადიოდნენ ნიკოლას მდღობზე და მკეროდნენ გვიანობამდე. დადგა ივანობა ღამე. დაანთეს უზარ-მაზარი ჭიაკოკონები, ღამე იყო თეთრი და როკაპულად იღვწალი, ცეცხლებს ანთებდნენ მდინარის ნისლში და კვიში, ფერხულს აბამდნენ, ცეცხლებს ახტებოდნენ. ივანკა, ამხანავი ივანკა, ცეცხლს გულმოდგინედ ახტებოდა, ნავარდობდა, მღეროდა, დასტაცა ხელი ანდრიას, გაიტაცა, სიბნელეში, გააქანა მინდვრებში, ძერე უღმოდერებით შეჭერდა, ხელი არ შეუშვა, ისე უთხრა სულწაწრებითა და ქონინით სრულიად უცნობ ანდრიას:

— გული მტკივა, ამხანავო. გული მე ტამბოვიდან ვარ. სულ პატარა ქალი დამარჩა იქ, შეილი. მოახლედ წიველ, ლლი ცხოვრება მომწყურდა. გული მტკივა, რალაცა ნძიმედ მაწვება მკერდ ქვეშ. ნეტავ რა სჭირს ახლა ჩემ შეილს!..— და ისევ გაქანდა ცეცხლისაკენ პავლენკოსთან.

და იმავ ღამით ანდრიას პირველად მოუხდა ზაასი ანასთან. ოცდაათმა წელმა, — ანნას ოცდაათმა წელმა ჩაიარა სამუდამოდ და იქ დარჩა უკან. ანნაში



იყო რაღაც ნათელი და გულის დაძლიევი.—ის, რაც ახლავს შემოქმედების, ცამე-  
ებს ვარსკვლავებისა და ფოთლების ცვეენის დროს. ანდრეი გლაიკოვიჩი  
წავიდა. გათენებისას (როცა დაკვიბული და ჯადოქარი ივანობა ღამე ილტო-  
და)—ანდრია სათიბში ანნას შეეფეთა; მოდიოდა იგი მარტო თეთრ კაბაში,  
თეთრ ნისლეტში.

ანდრია გამოეხმაურა:

— ცხენები წყნარად სძოვენ, ნოტიოა,—ბადებები ხელს არ შეგვიშლის,  
წამო, ნებით ვაგვიყვან გაღმა, უუჰ, რა ნისლია! ბანდაბან გინდა იარო,—იარო,  
იარო,—ნისლში!

ანდრია დიდხანს მუსაიდობდა იმ რძისფერ დილით ანნასთან.

ანნა,—ნაქმარევი; მისი ქმარი ქარხნის ინჟინერი იყო, და უველაფერი,  
რაც ქმართან უნდა განეცადა,—განიცადა და ახლა არ იყო ყოველივე ეს საჭი-  
რო. ანდრია მიხვდა, რომ ანნას ამ თიბათვის ალიონზე უკვე ეტირა. ქალს სი-  
ცოცხლე წყუროდ, ქმარი ვერასოდეს ვერ გაიგებდა, ვერ მიხვდებოდა რომ  
არის რუსეთი მღვრია დროებით, აღრეებით, რაზინოვშინითა და პუგაჩევში-  
ნით, შტრეიდმეტე წელით, ძეელისძველ ეკლესიებით, ხატებით. ბლინებით, ადა-  
თებით, იულიანა ლაზარეფსკაითი და ანდრია რუბლევიტ, ტყეებით, მინდორ-  
ველებით, კაობებით, მდინარეებით, ალქაჯებით, ვერასოდეს ვერ მიხვდება,  
ვერ იგრძნობს თავისუფლებას და სილალეს იმისას,—რომ არაფერი გაგაჩნდეს,  
არ გკონდეს საკუთარი საცვალი. დეე რუსეთში ნუ იქნება ორთქლმავალები,—  
განა ლამაზი არ არის ანთებული კვარი, სიმშლი, ავადმყოფობა და ტყვიელები?  
უნდა ისწავლო ყოველივეს გარედან ხილვა, თვით საკუთარი თავისაც. მხოლოდ  
ხილვა, და არავის არ უნდა ეკუთვნოდე. იარო, იარო დაუსრულებლად, ამო-  
კამო სიხარულაცა და წამებაც.

დადგა თიბვის დრო, ღამეები თითქმის არ იყო, ღამით ცა, თითქოს  
არ ეხურა არც მდინარეებს, არც ტყეებს,—არც უფეს. როცა ანდრია პირვე-  
ლად კომუნაში მოვიდა, მას შორიდანვე მიაძახეს:

— ვინ მოდის?

და ბაბუა ეგორკამ უპასუხა დათქმული ნიშანი:

— ჰაილა!..

გზა ქვის ღონებთან ალყაფიდან გალაყნის გასწვრივ მიდიოდა. გალაყანი  
ქვის ღარნაკიან სვეტებით იყო ჩამწყრივებული. ფერდობზე მოკენქილი ბილი-  
კები ბოსტანში, სათიბებში და მდინარისაკენ მიიმართებოდენ. შეგვეფუფულ  
ხეების უკან, მოღნარს იქით, ქართის უკან იდგა ხუროთ მოძღვრების კლასიკური  
სტილით ნაშენი გულჩახვეული სახლი და გვერდით აქეთ-იქით სამოჯალაბო და  
ფლიგელები მიუყვებოდა, აიგანზე სვეტებს შორის ავად იღრინებოდა ცხვირი-  
ნაჯული ტყვიამურქვეველი მაქსიმი. ეზოში არავინიყო. სახლს ბილიკით შემოუარეს,  
ნუშისა და იასამანის დაბურღულ ბუჩქებში გაიარეს და კიბეზე ავიდნენ. სასაღი-  
ლო ოთახში გრძელ მაგიდის ირგვლივ ანარქისტები ისხდენ და ვახშამს ათავენ.



დენ, ბაბუა ეგორკა ცოტა გაბატონდა და მერე სახლისაკენ წავიდნენ. უკვე გვიან იყო, მაგრამ ჯერ კიდევ იდგა ოდნავ მომწუვანო ბანდი, სათიბებში ახოხდა მიწაზე გასნატვლილი ძიძი-მე ნისლები, ზოგი დასაძინებლად წავიდა.—ვინც ადრე იყო ასადგომი. ანდრია ამხანაგ იუზიკთან იჯდა კაბინეტში, სანთლის პარკალზე ოქროის ვარაყთან წიგნებით შეფენილი კაღლები ბრწყინავდნენ, ამხანაგი იუზიკი სარკმელთან იდგა და ზეკას უცქეროდა.

— რა მშვენიერი გაზაფხული სცოდნია აქ,— სთქვა იუზიკმა ტუნაური აქცენტით, ასო-რ-ს მაგიერ პ-ბ-ს ხმარობდა,— და რა მშვიდი ვარსკვლავებია თქვენში,— ასე გგონია დარდობენო. თქვენ არასოდეს არ ყოფილხართ ასტრონომიით გატაცებულნი?— როცა ვარსკვლავებზე დაიწყებთ ფიქრს,— მაშინ თავი არარაობად მოგეჩვენება. მიწა,— მსოფლიო ცაზეა:— რანი ვართ ჩვენ— ადამიანები? ან რას ნიშნავს ჩვენი რევოლუცია და უსამართლობა.

ანდრიამ საჩქაროდ უბასუბა:

— დი.ხ. დიახ! მეც ვერე ვფიქრობ. ადამიანი ლალი, თავისუფალი უნდა იყო. უნდა უარყო ყოველივე. რა საოცრად შეთანხმდა ჩვენი აზრები.

— რასაკვირველია!..— უზიკი გაჩუმდა.— არსად არ არის ისეთი ვარსკვლავები, როგორც ინდოეთის ოქანდენი .. მე მოვიარე მთელი ქვეყანა და არსად არ მინ. ხავს ისეთი ქვეყანა, როგორც რუსეთი, ჩვენ აქ ძოველით რომ მიწასთან ახლოს ვიცხოვროთ და ავაგოთ ჩვენი საკუთარი ცხოვრება... რა კარგია აქ და რა მშვენიერი წიგნებია ამ თაროებზე... ამ წიგნებს ორი საუკუნის განმავლობაში აკრძავდნენ... ევროპელების შებედულებით ჩვენ, რუსები ჯერ კიდევ საშუალო საუკუნეებს განვიცდიათ...

შემოვიდნენ პავლენკო, სვირიდა, ნატალია, ირინე, ავანკა.

ავანკამ რძე და შვირის პური შემოიტანა.

— ვის გინდათ!

სასტუმრო ოთახში სანთელი ენთო. ოქროს ვარაყიანი ამპირის სტილის ავეჯი მიღაცებული იყო, დარბაზში დაშვებულ კამარას—იქით ცალიერი ოთახი იყო. სასტუმრო ოთახისა და კაბინეტის ფანჯრები ღიად იყო დატოვებული. მთის ძირიდან გაშლილ მინდორში სხვადასხვა ხმაზე გალობდნენ, ხმაურობდნენ ფრინველები და მწერები, როგორც ოპერაში უფერტიურის წინ, როდესაც ორკესტრს მართავენ. ირინემ როცა-ღზე რამდენიმე აკორდი აიღო და ავანკა საცეკვიოდ მოემზადა, შეიმოყიდა სემიონ ივანოვიჩი მარქსის წევრებით, ხელში მთელი დასტა გაზეთები ეჭირა და გასლიანი ლაპარაკი ჩამოაგდო იმის შესახებ, რომ რუსეთი ინგრევა, ნადგურდება.— იმ საღამოთი ანდრია ნიკოლას ეკლესიაში წავიდა, ქედნობრილი სასოებით იდგა ნიკოლას წინ და ერთხელ კიდევ სასტიკათ და მწველად განიცადა ის სიხარული, რომელიც მასში ოცნებად და რევოლუციად იმღვრებოდა— ოცნება სილატაკის სამართლიანობაზე, სამართალზე, მშვენიერებაზე— ძველ ხუთსაუკუნოვან ეკლესიებზე.




ანარქისტებთან ანდრია ალიონზე დგებოდა, — ზაფხულის მდინარეებში ცხენებს შეიბამდა და უზარმაზარი კასრიო მდინარეზე წყლის მოპატონებას მიტოვებდა. წყლის ამოქაჩვაში აგანკა ეხმარებოდა და როცა ცხენებს დააღეკინებდნენ ერთმანეთისაგან მაღალ ბუჩქნარით დაშორებულნი, მდინარეში ბანაობდნენ. ბანაობის შემდეგ ანდრიას წყალი ჯერ ბოსტანში მიჰქონდა მოსარწყავად და მერე სამზაველოში. მზე წელა, სისხლისფრად ამოდიოდა და ტანისამოთი დილის ცვარში სველდებოდა. მინდორზე ნიალის უკანასკნელი ნაგლეგები ჰქრებოდა. თორმეტ საათიდან სამ საათამდე ისვენებდნენ, მაშაქაცებს ოფლად გაღვრილ ტანზე ორთქლი ასდიოდათ, სადილად თავს ერთად იყრიდნენ. ანდრიას არასოდეს არ უშეშავია მკლავით, — დალილი მკლავები, წელი და ბეჭა ტკილად ქრიალებდა, კისერზე თავს მსუბუქად ჰგრანობდა და შავ აზრები დაწქენდალი და ნათელი იყო. დგებოდა ნათელი და წყნარი საღამოები, ანდრიას ძალი ერეოდა, დალილობისაგან მზრები ქრუოდნენ შუა, — შალობისას, — ამაყრო ბროლივით იმსკვირვალებოდა. ყოველ საღამოს ამაზნავი ნატავი ანდრიასთან ერთად სეირნობდა, გვირგვინებს წნავდა, ახურავდა ანდრიას თავზე და თვითონაც იხურავდა და თან სიცილით ეუბნებოდა რომ ის ისე წყნარია და სათნო, როგორც შეშპრა ყვავილი. გაზეთები საღამოთი მოჰქონდათ, გაზეთში სწერდნენ რომ სოციალისტური სამშობლო განსაცდელშია, ჯანყდებოდნენ ყაზახები, უკრაინელები, პოლონელები, — და ყოველივე ეს მათთვის მოკლებული იყო ყოველგვარ მნიშვნელობას, — ეინ დაარღვევს მუღრობებს უჩილობის ჭაობისას? ძილის უსაზღვრო წყურვილში გადატეხილი აზრები ნათელი იყო და მსუბუქი.

თბათვე გავიდა თავისი ფაიფურის ქაშინებით და ბროლას აიპებით.

დღისით ანდრია ბაღში მუშაობდა, მას აგანკა ეხმარებოდა და ანდრია ტკებოდა მისი ცქერით. აგანკა მუდამ მღეროდა, მუდამ ხუმრობდა და ანდრიას არასოდეს არ უჩაბავს რომ მას დალილობაზე შეეჩვილა და არ იყო და როდის იძინებდა ეს ქალი, ან ისვენებდა. საშუალო ტანის, დანაკრუ დედაკაცო, ფეხშიშველი, მუდამ მოღიშარი სახით და ცქრაალა, გამთენიის ხანს ძროხის მოწველის შემდეგ, ანდრიას წყლის შეხვევებით აღვიძებდა. მდინარეში ბაყაყივით უსარცხვილო ცურავდა, ბანაობდა და მერე მთელი დღე დატრიალებდა — ბაღში, ბოსტანში, ქართოფილის ნათესებში. საღამოთი ჯერ პავლენკოს ეღრინებოდა, მერე სეირიდს, — ებ, — ვისი რა საქვეა ვისთან ვიყავი წუხელ მთელი ღამე, თბების დროს აგანკა და ანდრია თივას შლიდნენ, ანდრია თუთუნის მოსაწყვად შეტრდებოდა, აგანკა ფოცხს ათამაშებდა, თავს იქვედა, თქოებს ახადებდა, ჯერ კიდევ გაუხეზნავ ცხენივით ამოძრავებდა და უტიფრად უწევდა:

- გაისარჯე ანდრია, გაისარჯე!
- სადაური ხარ, აგანკა? როდის იძინებ, ან ისვენებ?
- საიდანაც ყველა: — დედის მუცლიდან!
- ნუ სულელობ!

— Где уж нам уж, мы уж так уж!.. — თავა გაშალე, ისა სჯობია!





ქვემოთაჲსი

და აგანკა მოკვდა თიბათვენი—დღღამიწანზე დაძრწოდენი დაძრწოდენი და სახადი...—სიკვდილი, არეულობა, სიმშლილი.. მკათათვის პირველ დღეებში იყო, გვალვების დაწყებამდე ხუთი დღის განმავლობაში გადაუღებლად წვიმდა და იყო თქვენი და ნიაღვარი. ანარქისტები სახლში ისხდნენ და არას დროს ანდრიას არ უგრძენია ასეთი სიხარული სიცოცხლისაგან.

ეს ანდრიას თვალთახედვით ანდრია ვოლკოვიჩის პოეზიაა.

### ნათბობას თვალთახედვით.

ნიკოლას ეკლესიასთან სოფ. ჩერნორეჩიეში იდგა ერთად ერთი მალღობა—უდაბური, ტიტველი და მის ქვეშ ხევები უაქველით იყო დაბურდული. ჩრდილოეთის ცისკიდურში ტყეები ხერხივით აძრვდელიყო და სამხრეთით თვალგადუწვდნელი მინდორ-ველები იყო გაშლილი და საუკუნეებმა ებოძა დენაში შეუნახეს მას სახელი—უვეკ.

მკათათვე ილგოდა.

უვეკის მალღობზე ხალხმა ძველისძველი ნანგრევები და ბეჭობი შენიშნა—არქეოლოგი ბაუდეკი და მხატვარი ორდინინი ჩამოვიდნენ მის გასათხრელა გათხრა სამი კვირის განმავლობაში გრძელდებოდა და დღღამიწის გულიდან ანოდოდა საუკუნეები. უვეკში ნიანგნეს უძველეს ქალაქის ნაშთებს, ამოდაოდა ბაქანივით შეწვული ქვით ნაშენი წყლის საქაჩეები, შენობათა ბაღავერები. კანალიზაციები—და ყოველივე ეს იყო დაშთენილი არა ფინელთაგან, არა სკვითთაგან და არც ბულგარელთაგან,—ვიღაც უცნობი მოვიდა აქ აზიის ველებიდან, რომ იეგო აქ ქალაქი და მერე იღვეილიყო ისტორიის ფურცლებიდან, იღვინენ აქ სკვითნი და დატოვეს თავივით საფლავები და ყორღანობები. ყორღანობებში, ქვის აკლდამებში და სივანეებში, შეკრულ კამარებ ქვეშ ეყარა ტანი-სამოსში გაბეჭული ადამიანის ჩონჩხები, რომელნიც ხელის ოდნავ შეხებაზე ფერფლივით იშლებოდნენ. აქვე იდგა სფრები და სხვა ქურქულელი, რომელიც ჩხედრებისა და მონადირეების სფრათებით იყო მოხატული და ამ ქურქულში ოდესღაც იდგა საქმელ-სასმელი,—ცხენის ჩონჩხების ფერხითთ ვეღო ოქროს ზარნი. შიანი და სადაფითა და ძვირფას თელებით მოკვეთილი უნაგირი, და ტყავი მისი დამქნარი იყო მუშიასავით. ქვის კამარა შეკრულ სივანეებში სამარისებური დუმილი იყო და მუდამ, როცა ზიგ ჩასვლა იყო სიქირო, აზრები მკაუთოვდებოდნენ, მშვიდდებოდნენ და გულში უცნაური სევდა სადგურდებოდა. ქვით მიყრილ-მოყრილი მალღობი უვეკის კალთებზე შეფენილ აბზინდას დამტვერილ ფოთლები-საგან ვერცხლივით ციალებდა და მისი მძაფრი სუნი სუნთქვას ამძიმებდა. ბაუდეკი, როგორც ყოველი მხატვარი, სიცოცხლეს მხატვრობის მიხედვით ანგარიშობდა. და—საუკუნეებიდან და რეკოლოუციიდან ბაუდეკსა და ორდინინს უნდოდათ თვალი ეღვენებინათ იმ სექტანტებისათვის, რომელნიც ცხოვრობდნენ





ველებში გომურებად, და აბზინდას შწარე და მძაფრი სული მთელ შვიკში.

შვიკში წიწის მთხრელები აღიონზე დგებოდენ და წყალს პატარა ვეაბე-  
ბით ადღვლებდენ, მერე თხრიდენ. შუადღისით კონუნრიდან სადილი მოჰქონდათ,  
ისვენებდენ. მერე ისევ თხრიდენ წელამებამდე, ღამით ცეცხლებს დაანთებდენ,  
თბებოდენ, ყაყაობდენ, მღეროდენ... მდინარის გაღმა, სოფელში—ხნავდენ,  
თიბავდენ, სქანდენ, სეანდენ და ეძინათ, რომ ცეცხოვრათ, ისევე, როგორც  
კომუნაში და ნინდორ-ველებში გომურებად დასაღებულ სექტანტებს, სადაც ისევე  
მუშაობდენ, სქამდენ და ეძინათ. და ამას გარდა ყველა ცდილობდა ძირამდე  
დაეწურა თავისი დღენი და გახარებითა და წყნარად ცეცხოვრათ მკათათვის ხეიტი  
და გვაღვები სწავადა დღეებს; დღეები, როგორც ყოველთვის, განსჭვირვალე  
ნონქანცველი იყო—ღაპრებს მოჰქონდათ მუდროება და ღამის შფოთი. ზოგი  
კუნძირე და სიბ ქვიან მიწასა სთხრიდა, აბრუნებდა და დანარჩენები ეზიდებო-  
დენ ყოველივე ამას პატარა ხელურებით და სტრიდენ. ნათხარმა ქვის ალაყა-  
თამდე მიადწია. საეანე ჩაბნელებული იყო და კბილებზაბდღენილი. სასაფლავო  
ნაღვლებზე იდგა. ფანრები ანათეს. გადმოხატეს, მაგნით გაანათეს და ფორთ-  
გრაფიულად გადიდეს. ირგვლივ მუდროება იყო. ახადეს მთლად გამწვანებული  
ათფუთიანი სპილენძის ხუფი. სხვები რომელიც შენობის ირგვლივ განავრძობ-  
დენ თხრას.

ნოსხლეტით დაეშვა რვეკი. შვიკ ქვეშ უდაბურ სივრცეებად გადაშლილიყო  
მინდორ-ველები და იქით, შორს, კის დასალიერში ამართულიყო ჯაგარივით  
აბუჯული ტყეები და თვით ჩორხორჩიე; და არტელოვ ბაუდეს უამბეს  
რომ მედინში სხედან დეზერტირები, ყაჩაღთა მწვეანე არნია, რომ გათხარეს  
მიწურები, გაწალეს კარგები, ჩირგენარში მოჰყინეს გუშაგები ტყვიისმფრქვევ-  
ლებით, ვინტოვკებით და თუ შეუტყვედენ მზად იყვნენ, რომ გაფანტულიყვნენ  
ველებში, ამბობებულყვნენ და გაეღაწქრათ ქალაქებზე.

თუმცა ეს ანარქისტ ნატალიას თვალთახედვითაა.

სალანოთი, შეგვიანებით, როცა ნატალია და ბაუდესი მინდორებიდან დაბ-  
რუნდნენ, პირდაპირ განათხარისკენ გაემართენ, ყველგან აბზინდას მყარალი სუხი  
იდგა, აბზინდა ჯაგარივით იყო შეფენილი შალოობის კალთებზე, საიდანაც მოს-  
ჩანდა თვალგადუწვედენელი სივრცეები და ქვეშ მდინარე დიოდა, გაღმა ლქასას-  
კნელ მთიბავებისა და ღამის მებრეების ცეცხლები ენათ. მინდორებიდან დაპბე-  
რა მშრალმა სიომ. გამოსათხოვებლად შეჩერდენ და შენიშნეს:—ხევიდან განათ-  
ხარებისკენ მორბოდნენ თმაგაშლილი მიშველი ქალები ბუქნით, დაეღურით  
ცოცხებით ხელში. ქალებმა ხმის ამოუღებლად მოჭრბინეს კოშკივით მრგვალ-  
ძეგლისძველ შენობას, ხაბოსკენ ჩაუხვიეს, გაიქრენ ხეებში და აგორდა მტვერი  
აბზინდას ფოთოლოთაგან.

ბაუდესმა სთქვა:



— იქ, სადღაც ვეროპა, მარქსი, მეცნიერული სოციალიზმი და რევოლუციონარიზმი ათასწლოვანი ცრუმორწმუნეობა. ქალიშვილები დავლურს უვლიან საკუთარ მიწის ირგლივ, ულოკავენ თავისივე სხეულითა და კდემამოსილებით. ეს პეტრე—შხ სიმობრუნებლის კვირაა! ვინ მოიფიქრებდა,—პეტრე-მხისსიმობრუნებლისწ. ყოველივე ეს ამ განათბარებზე უფრო ძვირფასია. ახლა უკვე დაღამდა. იქნებ ჩვენ გვკრულავენ, ჩვენ გვლოკავენ. ეს იმ ქალთა საიდუმლოებას წარმოადგენს!

ისე დაპბერა ველებიდან მშრალმა სიომ. ცაში ვარსკვლავი მოსწედა, —მკათათვის ვარსკვლავთა ცვეცნა ახლოვდებოდა. ქაჭანობელების ქრაჭანი გულა აწუხებდა! აბზინდას მძაფრი სუნით სუნთქვა იხუკებოდა.

გამოეთხოვენ, გამომშვიდობებისას ბაუდეკმა ნატალიას ხელი ხელში შეაჩერა და ყრუდ სთქვა:

— ნ ტალია, ძვირფასო, როდას იქნება ჩეი ცოლი?

ნატალიამ შეკვიანებით წყნარად უპასუხა:

— დამეთხოვეთ, ქლორი.

ბაუდეკი კარვებისაკენ გაემართა. ნატალია ხაბოს ჩაუყა, ჯაკველით დაბურღულ ბილიკით გასწია და კომუნის მამულისაკენ დაეშვა. გავარცარებულ დღის წყურვილი ვერ ჩაქლა ღამე, ღამით იყო გაუთავებელი წყურვილი და და აღმური. გააცეცალ ვერცხლოვით ციალებდა მშრალი ბალახი, სივრცეები, მინდვრები, ჭაერა, მოკირწყლულ ბილიკზე კენჭები სცეკოვდა.

თავლების მახლობლად, ქართასთან სვირილი იწევა, მღეროდა, ცაში იცქირებოდა:

Кама, Кама, мать ри—ка—а!..

Бей па-а роти Калча—ка—а!

Кама, Кама водиш—ета!

Бей па-а роти комму—ниста!..

ნატალია შენიშნა, გამოეხმაურა:

— ღამეა, ამხანაგო ნატალია, ღამეა და მაინც არ მეძინება, მოდი ვისიყვარულოთ! მიწისმთხრელებთან იყავით, არა? ამბობენ, ქალაქს სთხრიანო,—რას იზამ, ახლა ისეთი დროებაა,—ყველაფერი უნდა გამოთხარონ! დიამ! და ხელახლა ჩაილიღანა:

Кама, Кама мать ри—ка—а!..

— სადგურიდან გაზეთები მოიტანეს. ოპ, როგორ ჰყარს აქაურობა ამ ოხერ აბზინდით!

ნატალია სამკითხველოში შევიდა, სანთელი აანთო და მბეტრავი სინათლე თრთოლით აციალდა გამოყვითლებულ მარმარილოს სვეტებში. ძველებურად



იდგა წიგნებით გატენილი კარგდები, ოქროთი ნავარაყვი სვეტრებზე: და შუაში გაზეთებით მოფანტული მრგვალი მაგიდა. თავი ჩალუნჯი და ჩაყვდნებ მძიმე ნაწნავზე დაცვივდა,—გაზეთებს კითხლობდა. გუბერნიიდან მოსული გაზეთ ბიჭვისურ კალდზე იყო დაბეჭდილი, მოსკოვიდან (ოსული—ლუჯ ქალაღდზე ყველა გაზეთები და წერალები აღსავსე იყო სიმწრითა და აღზფოთებით. არ იყო პური, არ იყო რკინა, იყო სიმშლი, სიკვდილი, სიკრუე, ძრწუნება და საშინელება,—იწურებოდა მეცბრამეტე წელი.

ოთახში სემიონ ივანოვიჩი შემოვიდა, ძველი რევოლიუციონერი, მარქსის წვერებით, სავარძელში ჩაეშვა და ჩიბუბი მოუსვენრად გააბოლა.

— ნატალია!

— რას მიბრძანებთ!

— მე ახლა ქალაქში ვიყავ. ვერ წარმოიდგენთ რა ხდება იქ. არაფერი არ არის, ამ ზამთარს ყველა სიცივითა და სიმშლით დაიხოცება. არ არის რალაც მარილი, ურომლისოდაც შეუძლებელია ფოლადის გამოწრითობა, უვოლადოთ არ შეიძლება ხერხების დამზადება, უხერხოთ კი შეშას ვერ მოსკოი,—ზამთარში სახლები გაიყინება,—რალაც მარილის გამო! საშინელება! ხომ ჰგანობთ რა საშინელებაა?!—რა ძრწოლის მომგვრელი, ყრუ სიწმე! შეხედეთ—სიკვდილი უფრო ბუნებრივ მოვლენად გადაქცა ვიდრე დაბადება, ვიდრე სიკოცხე. ყველგან სიკვდილი დაძრწის, სიმშლი, სურავანდი, სახადი, ყვავილი, ხოლერა... ტყვიები და ხ ობები ყ ჩაღებით აივისო. არ გესმისთ როგორი სამარისებური სიწმეა! სიკვდილი. ამ მინდორ-ფერდებში არის სოფლები, რომელნიც პირწმინდათ აღიგავრნიწის პირისაგან. ნიკვალბულთა დამმარხავნიც არ არიან და ღამით სიბნელეში დაძრწიან ძაღლები და დეზერტირები... რუსეთის ხალხი!

ნატალიას ოთახში, მეზონინში, კუთხეში ჯვარცმა ეკიდა ბალახის კონით—ეს ბატონებისაგან იყო დარჩენილი. ფრთხელის მეცლიან ტუ-ლეტზე დადგმულ სარკის ჯაჯაირი გაცრეცილიყო და გამოხუნებულყო, ტუ-ლეტის უჯრა გამოლეტული იყო და იქიდან ბატონური წესისაგებ ამოდოდა წმიდა სათლის სურხელება და ძრწი იყარა აბრეშუმის ჭრული ნაჭრები,—ორდინინების ამ ოთახში საქალებო ვანყოფილება იყო. იატაკზე ევინა პატარა ნოხები, სარკმელს იქით მოსჩანდა მდინარე და მინდორ-ფელები,—და გაახსენდა რომ ზამთარში მთელი ეს თვალგადწეწენელი ცალიერა სიერცეები თოვლით გადათეთრდება. ნატალია დიღხანს იდგა სარკმელთან, თმებს იშლიდა და სარაფანი მოიძრო. ფიქრობდა—არქეოლოგ ბაღდეტზე, სემიონ ივანოვიჩზე, თავის თავზე,—რევოლიუციაზე, მის სიმწარეზე და თავის საკუთარ სიმწარეზე.

და ამ დროს, მონასტრის მოშორებულ კუთხეში, მეორე ორდინინი, — არქიფესკოპოსი სილიბისტრო, — სწერდა თავს ჰალაქის შესახებ. ჰქვის ყედლებიან ბნელ სენაკში. ვიწრო მაგადაზე ერთო ხატის კანდელი, პორის ნატეხი და ნაც-



რისფერი ცრიატი ხუცესი იჯდა თავიღუნული, კუბოსავით ვაჭმისფერად ფეხით, რომელიც თვით სენაკივით იყო დახავსებული. ბალასინებით შეტყუანული მსახურული მაღალი იყო, სენაკში შემოდითოდა მხოლოდ ღამე, და არ იყო შეათათვე. კარებთან ხელზე მოსამსახურე ბერი მოკუნტულიყო და ეძინა. სიხუმე იყო. ბანჯგელიანი ხუცესი სწერდა:

ტყე, ქალები, ქაობები, ხოდაბუნები, მოწმენდილი ცა, სოფლის გზები, ხანდახან სოფლის გზები ერთდებიან საბატონოში, საბატონოში ივარდა ამბოხება. საბატონოსთან გაიარა ორთქლმავალმა. ორთქლმავალი შევიდა ქალაქებში, და ქალაქებში ცხოვრობდენ ისინი უცნაურნი, რომელნიც დაიქანცენ სოფლის გზებზე სიარულით და ქალაქებში სიხალხო ამბოხებამ სოფლის გზებით მოიტანა — სიკვდილი. ქალაქში, წარსულზე დარდით, სახალხო აჯანყების შიშით — ყველა მსახურობდა და ქალაქდებს ადგენდა. ქალაქში ყველა დიდიან პატარიანად მსახურობდა, რომ თავისი თავის სამსახური გაეწიათ, და ყველა დიდიან-პატარიანად ქალაქში ადგენდენ ქალაქდებს, რომ მერე დაბნეულიყვნენ შ-გ. გახლართულიყვნენ — ქალაქდებში, ქალაქდის ნაგლეჯებში, ბარათებში, რუკებში, ზღაკატებში. ქალაქში გაქა პური, ქალაქში ჩაქრა სინათლე, ქალაქში არ იყო წყალი, ქალაქში არ იყო სითბო, — ქალაქში საცდაც გაპქრენ ძალღებიც, კაცები (და განდა თავები, რომ შეეჭამათ გადამაღული სანოვავე), — და თვით ჯინქარიც კი გაპქრა ქალაქის განაპირა უბნებში, რომელიც ასპრეს ბიჭებმა ჯინქრის შეტქანდისთვის. სამიკიტნოებში, სადაც კოვზები არ იყო, მოხუცებულები ირეოდენ ქვაბებით ხელში და დედაბრები ქუდებში, გაძვალტყავებულ თითებით კანკალით თეფშებზე ნასუფრალს იტაცებდენ. განაჯვარადინებზე, ეკლესიებთან, წმინდა ადგილებთან არამზადები ჰყიდდენ შვილის ფასად დამბალ პურსა და ქართოფილს, — ეკლესიებთან ასობით მოპქონდათ მიცვალებულნი და დამარხვას ვერ ასწრებდენ. ქალაქში დაძწოდა სიმშილი, ათაშანგი და სიკვდილი. პროსპექტებზე დაპქროდენ ბნედა შეპქრობილი ავტომობილები. ხალხი გამხეცდა პურისა და ქართოფილის ოცნებით, ხალხი სიმშილობდა, ისდენ სახლში უსინათლოდ, სიცივით, ძიგძიგებდენ, — ხალხი არღვევდა ლობებს, ხის შენობებს, რომ გაეზურებინათ გაყინული კედლები და სამწერლო კანტორები. წითელი სისხლისფერი სი-

ცოცხლე ისე გაჰქრა ქალაქში, თითქოს არასოდეს არ ყოფილიყოს, თუმცა, —სამაგიეროდ ქალაქის სიციხეში მოვიდა, —სიკვდილი. ქალაქი დაუბადებლად კვდებოდა, გული იკუმშებოდა გაზაფხულზე, როცა ქუჩებში, როგორც სამეფო დასაფლავებაზე, იბეჭებოდნენ ბოლში გახვეული ცეცხლები, რომლებშიც სწვავდნენ გემებს და ქალაქი გახვეული იყო სიმურალეში, —ქუჩებში, —რომელიც გაძარცვული იყო, გატყავებული, ნაფურთხი, ჩამტვრეულ ფანჯრებით, აკვდილ სახლებით, ჩამოღლეტილ ფრონტონებით. ხალხი კი, რომელნიც უწინ კოკოტკებთან რესტორანებში დროს ატარებდნენ, რომელთაც უყვარდათ უშვილო ცოლები, ხელები სუფთა და ჩივილი ჰქონდათ და ორმოცი წლისანი ოცნებობდნენ მონაკოზე, პოლ-დე კოკის იდეალებით გატაცებულნი და გაწვრთნილი გერმანულ წესისაებრ, —უნდოდნენ კიდევ და კიდევ გაეძარცვათ მკვდარი ქალაქი, რომ ნაპარავი სოფლებში გაეზიდათ გაეცვალათ მახოლიან ხელებით მოპოებულ პურში, რომ დღეს არ დახოცილიყვნენ, სიკვდილი ერთი თვით გადაედოთ, რომ ხელახლა ეწერათ თავისი ქალაქები, ჰყვარებოდათ ახლა სამართლის ძალით უშვილოთ და გულისთქმით ეცადათ გახრწნილ ძველ დროებისათვის, ვერ ჰბედავდნენ შეეგნოთ რომ მათ დარჩენოდათ მხოლოდ ერთი რამ —ამბოხებულებიყვნენ მკვდარნი, დახოცილებიყვნენ, —და რომ გულის თქმით ნალოდინევი ძველი სიკვდილი და გზა სიკვდილისაყენ...

ქალაქ გარეთ კი, განაპირებში, ინთებოდა ახალი, ცივი, ტალისფერი ალორძინება!!

ასე სწერდა ნაცრისფერი ხუცესი თავისი აგურით ნაშენ სენაკში, მაგიდაზე მდებარე პურის ნატებში და ქალაქებში თავიარგული.

ამზანაგ ლაიტისმა ის ის იყო დაუკრა ვიოლინოზე, —რომ მას ამზანაგ კარრიკა შეაწვევტინა:

— არ ღირს კატის კედით წვალება!

ოლინკა კონცმა სიტყვა:

— წამო, გავიაროთ.

და როცა ისინი ერთი მეორეს შეეტაკენ კარებში, ლაიტისის თავში ყველაფერი აირია და ჯანდაბას იქით წავიდა, —სიტყვები უცვე არ იყო.

მონასტრის ალაყაუთან იღვა გუშაგი.



მკრთალ ზოლებად იწვა მთვარის სხივები. ქვეყანაზე, მარტო მარტო თავზე მიკურავდა მრგვალი, საესე მთვარე და ხევდა მთელ ქვეყანას და მონასტერს ხავერდში და ატლასებში. გაიშრიალა დილის სიომ, ქვეყანას ბაყაყებმა შექაყანეს. მტრედის ფრად ინათა, და მზე ოქროს გვირგვინივით აიშარათა.

მაშინ ჯარისკაცებმა რიგ-რიგად დაიწყეს გუშაგთან მისელა და გუშაგის გვერდით რიგ-რიგად მიდი-მოდიოდნენ ნამძინარევი, დაღლილი ქალები, ვინაიდან სამხედრო წესების ვადა უკვე გათავდა და გუშაგს გვერდით ჩაუარეს ოლინკა კონცმა და მისმა მგეგობარმა ქალმა, კნიაჟა კატია ორდინიამ, ხელგაყრილებმა თვალეზზე ჩამოშვებულ ცახოცებით და თან კამფეტს იღებებოდნენ.

### ხანძარი.—ლიბტორები.

და მინც...

კრემლი და ქვითნაგები სალაყო მოედანი. დღის უდაბურებაში გაისმის მონასტრის ზარების რეკა.

— დონ! დონ! დონ!—რეკენ ზარები და სახლის ფანჯრები დაღებულთა. სემიონ მატვეევ ზილოტოვის ბოსტანში პამიდორები მწიფდებოდა.

სერგეი სერგეევიჩის სამსახურში, შემნახველ კასაში, თანაშემწემ კარტის დარიგების დროს (სერგეი სერგეევიჩი და მისი თანაშემწე პრეფერანსს არაფერზე თამაშობდნენ),—თანაშემწემ კარტის დარიგების დროს სთქვა:

— იცი, შენმა ოლგა სემიონოვნამ, —გაიმასქნა! წუხელ ღამით მონასტერში კომუნისტებთან ერთად ღამე გაათია... იამელმა გოგოებმა სთქვეს—იმათ უნახათ.

და მინც, მინც...

სამსახურიდან დაბრუნდა თუ არა, სერგეი სერგეევიჩი სემიონ მატვეევ ზილოტოვთან ჩაიღდა სარდაფში, ჩადიოდა, ცალფეხზე ბუქნავდა და ჯერ კიდევ პირველ საფეხურზე არ ჰქონდა ფეხი ჩადგმული, რომ მისი გოლიათური ზარხარი გაისმა:

— ხო-ხო! ოლგა სემიონოვნა! ღამით მონასტერში ლაიტისთან ერთად იყო! ხო-ხო! მე მოვაწყვე!

სემიონ მატვეევი ღუმელის თავზე იწვა. სემიონ მატვეევი ღუმელის თავიდან ჩამოხობდა. და მის მოჭყეულ სახის გამომეტყველებაში დაბნეულობა და უმწეობა გამოისახა. სემიონ მატვეევმა მუხლი მოიკიცა და წაიბუტბუტა:

— დაიფიცე! პენტაგრამმა? ვფიცავ, ეშმაკს?

— პენტაგრამმა? ვფიცავ ეშმაკს!

— საჭურთხეველში?

— საჭურთხეველში!

— რა უყოთ... ახლა წადი, სერგეიჩ! მარტო მინდა...—სემიონ მატვეევს.

სახეში საცოდობა და უმწეობა გამოიხატა, და ფეხზე არ წამოდგა. — ნაცემი ძალღვივთ ახოზდა ღუმელის თავზე.

— ახლა წადი, სერგეიჩი.. მარტო მინდა დაერჩე.— სემიონ მატვეევმა სიტყვა წყნარად და მწუხარედ.— მარტო მინდა!..

აი ყველაფერი და ზინცა..

სამსახურიდან ნეგობირ ქალთან ერთად დაბრუნებული ოლინკა კონცი,— ქიშკარიდან სახლის უკანა კარებამდე— ეზოს მაღალ ბალახებში ჩაფენილ ფიცრებზე ფეხსაცმელების ქუსლის ბრაზუნით გაირბინა, და თან მღეროდენ:

— В том саду, где мы с вами встретились,  
Хризантемы куст...

სალამოთი ოლინკა კონცი კინემატოგრაფ „ვენეციაში“ წავიდა. იქ ვერა ხლოდნაია „თამაშობდა“. სალამოთი მონასტრის თავზე აცურდა მოვარე. სალამოთი სემიონ მატვეევი არქივისკოპოს სილიბისტროსთან იყო და პამიდორი მიუტანა, სემიონ მატვეევი სხვადასხვანაირად ჰქეცავდა ხუთკოთხედს,— ბერლინი, ვენა, ლონდონი, პარიზი, რომი მოსკოვისაკენ იხრებოდენ და ამგვარად წითელი პამიდორი გამოდიოდა. არქივისკოპოსი სილიბისტრო, შავ ანაფორაში იდგა მკაცრად, მოღუშვით უცქეროდა და ბოლოს წამოიძახა:

— გზაბნეულობა? გზაბნეულები! ერესი! მოიგონე ხალხური სიმღერები: მკერდიანი, მაგარი, ჭაჯი, როკაპი! ჭაჯი, მაგარი, საქმიანი, საქმეს მოკვიდა: ტყავის კურტკები ცულუებით. კეტებით. მუყეკი! ფხიზელი! ერესი! პამიდორი-სათვის მადლობა მომიხსენებია!

და როცა ოლინკა კონცი კინემატოგრაფ „ვენეციიდან“ ბრუნდებოდა, მონასტერში იფეთქა ხანძარმა. ცეცხლის ენები შემოეხვია მონასტერს და სენაკებს. კარვა ხნის სიჩუმის შემდეგ აგულუნდა განგაშში მონასტრის ზარები. ზარების წყრილით და ქვაფენილებზე ჭრიალით მოვარდა უწყლოდ მებანძრეთა რაზმი, და ნაცდურმა მებანძრეებმა მოჰკლოჯეს ზევიდან წითელი აბრა წითელ ვარსკვლავით:

— „ორდინინის სოვედების სახალხო დაცვის განყოფილება“. — ის, რომელიც სწორედ მეორე განცხადების პირდაპირ ეკიდა:

— „აქ ისყიდება პეშადორები“.

ნაპერწყლების ბუქი ცაში იბდღვირებოდა. კარებიდან და ფანჯრებიდან ცვივოდნენ ჯარისკაცები და ქალები (უკვე სამხედრო წესების ვადა იყო). ჩამოინგრა ერთი აივანი: ის, რომელიც დედა-ილუმენის სენაკში სახმათრო ეკლესიაში გადიოდა. აანხლდრო წესები იყო, მაგრამ რადგან ხანძარი შუღამ მშვე-



ნიერია, მუდამ უჩვეულო, მუდამ აებნედიითი,—გაშვების ქალაქებს არაფერს კითხულობდა და მონასტრის კედლებს ირგვლივ ხალხი მოაწუდებდა.

ხანძარი სამოცდაათ ვერსის მანძილზე მოსჩანდა. ნაპერწკლების ბუჩქი ავარდა ცაში, სიშავეში და იქ იშლებოდა. ჩამოინგრა ერთი გადასავალი, მეორეც მთავარ სახლს ეცეხლი ირგვლივ შემოეგლო. მონასტერი იღუპებოდა,—ხანძარი სამოცდაათ ვერსის მანძილზე მოსჩანდა.

და უეცრად წენიშნეს: სახურავზე პატარა სარკმელში გამოჩნდა სემიონ მატვეევ ზილოტოვი სემიონ მატვეევი ბებერ ძალღვივით ნაპირთან მოლასლასდა, გაჩერდა ალთან, დაიბღავლა რალაც ველური და სახეზე ხელაფარებულო, გამომოეშვა—დაეშვა ძირს, ბოლში, აბდღვირულ ნაპერწკლებში და ალში. და მაშინვე ქვით ნაშენ კედელზე გამოჩნდა ორი ბერი,—ერთი ახალგაზრდა, შავი გადმოეკიდა კედელზე და მშვიდობიანად ჩამობტა ხალხში, მეორემ, ნაცრისფერმა თავი ორჯერ გამოჰყო და ხელახლა მიიშალა.

სემიონ მატვეევ ზილოტოვი. ბავშობიდანვე ჩაუნერგა ღმერთმა სემიონ მატვეევ ზილოტოვს დიდი სიყვარული წიგნებისადმი. მისი დღეები მიდიოდა ორდინინში. მაგრამ ორდინინი უკანასკნელად სკოცხლობდა სამოცდაათი წლის წინად. და ორდინინში იყო ერთად-ერთი წიგნიც სავაჭრო (სყიდვა-გაყიდვა)—ვერიგინის რუნდუჯი, სადაც იყიდებოდა და ხელახლა ყიდულობდენ ერთ და იმავე წიგნებს, ტყავის კანებში და ბალღინჯოვებით დასვრილებს. ამ ამ წიგნების სახელები:

„პენტაგონამა, ანუ ნიშანი მასსონთა, თარგმანი ფრანგულიდან“. „ოპტიმისმი, ე. ი. საუკეთესო რჩევა-დარიგება, თარგმანი ფრანგულითგან“, „გონიერი ყოფა ან ზნობრივი შეხედულება სკოცხლის ღირსეულობებაზე, თარგმნილი ფრანგულიდან, ლოდიკისა და მეტაფი-სიკის პროფესორის ანდრია ბრიანცევის გამოცემა“. „პაპიუსის შავი შავია“.

მკვდარ ქალაქის მკვდარი დღეები დაამშვენა პაპიუსმა. სემიონ მატვეევ ზილოტოვის ახალგაზრდობა,—ვოლკოვიჩების სახლის სარდაფში,—ფრანგულიდან ნათარგმნ წიგნების სიბრძნემ დაამშვენა და ვვალვიან მკათათვის სიციხეებმა გაახშო სემიონ მატვეევ ზილოტოვის ტვინი, ჰოი, წიგნებო!

გვალვიან მკათათვეს იფეთქა ომმა, ტყეების ხანძრებით, სემიონ მატვეევ ზილოტოვი წაეიდა ფრონტზე უბრალო ჯარისკაცად. ომი დაიწვა რევოლუციამ, და თავის დიდ მწიგნობრობის გამო სემიონ ზილოტოვი არჩულ იქმნა ეს-ერების მიერ დეპუტატად ჯარისკაცების დეპუტატთა საბჭოს კულტურ-განმანათლებელ კავშირის განყოფილებაში. რევოლუცია იწვოდა წარმოთქმულ



სიტყვებში, — სემიონ მატვეევ ზილოტოვი დადიოდა ლექტორებზე: ერთად შტაბის მოტოციკლეტებზე რომ ელაპარაკა ჯარისკაცებთან, — მათგან ერთმა შეტყობინა ფოლვარკზე — სამართალზე, ძმობაზე, — სახელმწიფოზე, რესპუბლიკაზე, — საფრანგეთის კომუნაზე და გრიშკა რასპუტინზე.

და ჯარისკაცებს ლექციებს შემდეგ შეჰქონდათ შეკითხვები:

— „რა დაემართება გრიშკას საიქიოს?“ — „ამხანაგო ლექტორო! რა მოუვა ჩემ ცოლს, თუ მე ფრონტზე ხმას ესერებს მიეცემ და ის კი ჰურიშკევისს?“ — „გთხოვ ამიხსნა შეიძლება თუ არა ორ პარტიაში ერთად ყოფნა ამხ. ესერებთან და ამხ. ბალშევიკებთან?“ — „ამხანაგო ლექტოინერო! გთხოვ ამიხსნა ბალშევიკებს პრაგრამით ნათესები მინდვრებში დაზღვეული იქნება თუ კაპიტალის ექსპროპრიაციას უზამენ?“ — „ბატონო ამხანაგო! განთავი სუფლებული იქნებიან თუ არა დედაკაცები რვა საათის სამუშაო დღისაგან თვიურის დროს, გთხოვთ მოკლედ აგვახსნათ ბიეგრაფიები ვიქტორ გიუგოსა. ამხ. ერზოვი“.

და სემიონ მატვეევ ზილოტოვს ხშირად უბდებოდა რომელიმე ლექტორის დახსნა, — სადმე ფოლვარკის სარაიაში, მაჯიდაზე შეხტებოდა და ყვაროდა:

— მე, როგორც თქვენი რჩეული, გთხოვთ სულელურ რამე-რუმეებს ნუ სწერთ!

ეს ხდებოდა ჩვენ საყვარელ პოლესიეში, სადაც იყო ტბები, ნარაყალი, ბორცვები, ნაძვები და ფერმკრთალი ზეცა, ზაფხული გავიდა წყნარ მარიამობის-თვით თავის გრძელი საღამოებით დღისით ჯარისკაცები სწერდნენ სიხუდღეღე-ებს, საღამოთი კი სადმე მიწურებს ან და ფოლვარკის საჯინბოებში, ჯარის-კაცებს ქვაბები ცეცხლზე ედგათ და — ბაასობდნენ: თავის საქმეებზე და ზღაპრებს ჰყვებოდნენ, ჯარისკაცები ლაპარაკობდნენ თავის უბრალო მუყიკურ ცნით ივანუშკა დურაჩოკზე, სადაც უბრალოება და სიმართლე სიმრუდეს ამარ-ცხებს, ჩვენებურ წყნარ მინდორ-გელებზე და მათ სევდაზე, ტყეებზე, ქობებიან რუსეთზე, — მათი სიტყვები იყო წრფელი და ნათელი, როგორც აგვისტოს ეს საღამოები, სახეები აშკარა და ღია, როგორც აგვისტოს ეს ვარსკვლავები და ოცნება მშვენიერი.

ორი სული აღმოსავლეთი და დასავლეთი, ხალხის სიბრძნე ძველის ძველი, ჩვენი საკუთარი, მშვენიერი, სისულელე და სიბრძნე, ზღაპრული კეშმარიტება, შიგ ჩაქსოვილი დარდითა და უმართლოებით, საუკუნოები მქუზარა, ქვეშ ქვეშ მოქცეულნი და გახსნილი — სიმართლით სემიონ მატვეევ ზილოტოვმა ეს დაინა-ხა მაგრამ, — ჰო, წიგნებო! — სემიონ მატვეევ ზილოტოვმა იხილა აქ — — — სან-გრებიდან სანგრებში სიარულისას, ერთ დღით სანგრების უკან, როცა ის დღის ჩაის შექცეოდა, სანგარს გერმანელთა ყუმბარა დაეცა, გასკდა და სემ-



მიონ მატვევი თავის ფინჯიანა მიწაში ცოცხლად ჩამარბა, მწკრივს კუმბარამ კი იგი ისევ ზევით ამოაგდო (ფინჯიანი მაინც არ გატეხილა), — და სემიონ მატვევი გამოერკვა, რეალობას მხოლოდ ერთი თვის შემდეგ დაუბრუნდა თავის მშობლიურ ორდინინში: გარეგნულად იგი მთლად დასახიჩრდა: სახე გვერდზე მოექცა, ცალი უღვაში უფრო გრძელი მოსჩანდა, ვიდრე მეორე, მარჯვენა თვალი დაეცო, სხეული შეახმა და სემიონ მატვევ ზილოტოვი დადიოდა ისე როგორც გადაბერებული, გამხმარი მეძებარი ძაღვი: — სემიონ მატვევ ზილოტოვის გამხმარმა ტვინმა, ერთი თვის სიკვდილითა და ვარიანისიგული რუნდუკის წიგნებისაგან შექმულმა (წიგნებს ტყავის კანი ჰქონდა გადაკრული და ბაღლინჯოებით ჰყარდა), ვერ დაინახა რუსული სიბრძნე და იბილა დიადი საიდუმლოება: — ორი სული, დიადი საიდუმლოება, შავი მაგია, პენტაგრამმა, პენტაგრამმა წიგნიდან პენტაგრამმა, ანუ მასონური ნიშანი, თარგმანი ფრანგულიდან! (ვარიანი იმ დროს მძევლად იჯდა ციხეში). მაშინ წითელ-არმიელთა ქუდებზე გაჩნდა ხუთკუთხედიანი წითელი ვარსკვლავი. რუსეთი, რევოლუცია. წიგნები ამბობდენ, თუ როგორ ევალეზობდათ ასი წლის წინად ფიქრი. და აი იგი რუსეთის გაწამებული, ამღვრული, მხოხავი, გავარდნილი, ლატაკი! წითელ არმიელების ქუდებზე ნისტიურ კივილით აენტო პენტაგრამმა (თარგმნილი ფრანგულიდან), — ის მოგვიტანს, ის მოგვიტანს, ის გვიხსნის. შავი მაგია — ეშმა! ეშმა, — და არა ღმერთი! ღვთის დათრგუნა! ეკლესიაში, საკურთხეველში, რუსეთი გადუჯვარედინდება დასავლეთს! რუსეთი. რევოლუცია. რუსეთის ხსნა! — აი ოცნება კაბუკობისა და ოცნებაში გამხმარი ტვინი!

ამხანაგ ლაიტისმა ოლინკა კონცისა და სერგეი სერგეევიჩის დასაპატიმრებელ მანდატს ხელი მოაწერა:

ობივატელი სერგეი სერგეევიჩი. იყო თუ არა სერგეი სერგეევიჩი ნამდვილად პროვოკატორი და წერილი ბურჟუა? საღამოთი სერგეი სერგეევიჩმა დაპატიმრების წინ გაშალა ხელსახოცი და ზილოტოვის ბოსტანში მოკრეფილ ჰამიდორს ძმრითა და პილილით შეექცოდა. მერე სერგეი სერგეევიჩმა ტანთ გაიბა და, დაწვა და დაძინებამდე ფიქრობდა თავისთვის. სერგეი სერგეევიჩი **იდანჯეზობდა** გულწრფელად და ღმად, და როგორც ყოველგვარი ტანჯვა, და, როგორც ყველაფერი გულწრფელი, — მისი ტკივილები **წარმტაცი** და **მშვენიერი** იყო სერგეი სერგეევიჩის **ხმაჯდა**, როგორც ყველა მზდალს, — ეს ღღეები, ამხანაგი ლაიტისი, ყველა და ყველაფერი, — და **ეშინოდა**, ეშინოდა ზარდაცემამდე, ფიზიკურ ტკივილებამდე, გონების დაბრმავებამდე... —

და ძირს, კიბეზე ახმაურდა ჯარისკაცთა ფეხები. როცა ჯარისკაცები სერგეი სერგეევიჩის ოთახში შენოვიდნენ, სერგეი სერგეევიჩი ლოგინის კუთხეში მიქუჭული იჯდა, თვალები ავადმყოფურად დაეპყიტა, ქვედა ჩარბი გადმოჰკიდებოდა და ბუტბუტობდა:

— რისა ვის. რისთვის?



— ასე რომ დაწვრილებით ყველამ იცის და დეტალების უკონკრეტო მოხატვასთან ერთად — სთქვა ჯარისკაცმა. — ჩაიცვი იქ გაიგებ!

სხვათა შორის, კომპარტმა ვასცა ბრძანება ლაიტისის შესაპყრობად. ბოლშევიკების საერთო ბინა ორდინინების სახლში მოთავსდა, საიდანაც თავადი ორდინინები გამოასახლეს.

— დონ! დონ! დონ! — რეკდა ზარები.  
ვის — ტატორები და ვის ლიატორები!\*)

V.

სულთა ღაფვა

(პირველი ტრიპტიხი)

კომმუნის სიკვდილი

ამავე დღეებში დაიღუპა პოპერეჩიეს კომუნა: დაიღუპა, ერთბაშად, მოულოდნელად, მარიაპოლისეთეში. მოდიოდა გამუდმებული წვიმები, ღამეები იყო წყნარი და უჭრი, — და ღამით კომუნაში მოვიდნენ ვიღაც შეიარაღებული უცნობნი, ბუხრის ქულებში და ნაბდებში, ისინი ვიღაც შეეტრუხა ბიჭმა გერრიმ მოიყვანა. ერთი კვირით ადრე შურა სტეცენკომ მიატოვა კომუნა, წავიდა საღვთადაც და გერრისთან ერთად დაბრუნდა უკან. შებინდებისას სეტყვამ დაუშვა, წვიმა ხმაურობდა, ქარი უბერავდა, ანდრია დილიდანვე მინდორში მიდიოდა. საღამო ხანს მან სემიონ ივანოვიჩი და გერრი იუზიკის ბიბლიოთეკაში ნახა; ბუხარს აჩაღებდნენ და რაღაც ქალაქებს სწვავდნენ. იუზიკს ჩხირივით ფეხები გაეშალა და დოინჯ შემორტყმული იდგა. გერრის თავზე ბუხრის ქუდი ებურა და ცეცხლის პირას მუხლმოკეცილი იჯდა.

— თქვენ არ იცნობთ? — იცნობდეთ: ამხანაგი ანდრია, — ამხანაგი გერრი.

გერრიმ ხმის ამოუღებლად უზარ-მზარი ხელი გაუწოდა და იუზიკს რაღაც ინგლისურად უთხრა, იუზიკმა ზიზღით მხრები აიჩჩინა და გაჩუმდა.

— ამხანაგ ანდრიას ინგლისური არ ესმის, — სთქვა იუზიკმა.

— მაპატიეთ, ამხანაგო ანდრია, მაგრამ, — ძლიერ დავიღალე, — გერრის ტუჩები, რომელმაც საცილისათვის სრულებით არ იყო მოწყობილი, ღიმილით გაიშალა, მაგრამ მისი კუბრით შავი თვალები მაინც ცივი და მძიმე იყო.

— გერრი უკრაინიდან ჩამოვიდა, იქ მალე აჯანყება იქნება. მე და გერრი კანადაში დიდხანს ვმომშობდით ერთად. მერე უკრაინაში სიკვდილისაგან ვიხსენი. როცა გაიდამაკები ეკატერინოსლავს იღებდნენ, გერრიმ მიზნება არ იცოდა, მაგრამ ზარბაზნის მაინც უშენდა ქალაქს, — მიზნება არ იცოდა და ისე! გერრი, ამბობენ, რომ შენ მაშინ მთვრალი იყავი? გერრი შეიპყრეს და დაბურჯ-

\*) Кому — таторы, а к кому — лядеры! (სიტყვათა თამაში.) მთარგმნ.



ტას უპირებდენ. მაგრამ საღამოთი მე მოუსწარ ჩემი რაზმით მტკიცედ მოკვდი-  
ლისაგან ვიხსენ. მე ძლიერ მიყვარს სიცოცხლე, ამხანაგო გეგონი, ისევე რო-  
გორც შენ. მე არავისაგან არაფერს არ მოვიტხოვ, მაგრამ არც სხვას ვახლები-  
ნებ ხელს.

— ამხანაგო იუზეფ, როცა მოვხუცდებით, მაშინ მოვიგონებთ. შენ მეტად  
ფრაზიული ხარ!

— მე მეტად მიყვარს სიცოცხლე, გერბი, რადგან მე ლაღი ნებისყოფის  
პატრონი ვარ!

— შენ მეტად ფრაზიული ხარ, ამხანაგო იუზეფ!

— თუნდაც ვერე იყოს!—იუზიკმა მხრები აიჩეჩა.

გერბი წამოდგა და გაიხშორა. ზუზარში ცეცხლი ქრებოდა. იუზიკი უძრა-  
ვად იდგა. ჩხირებივით ხელები თეთვზე დაეყრდნო და ცეცხლს უცქეროდა. კა-  
ბინეტში ოსკერკო, კირილუ, ნატალია, ანა და პავლენკო შემოვიდნენ. სტასიკმა  
სასტუმრო ოთახში როიალზე გოპაკი დაუკრა და მაშინვე შესწყვიტა. ნატალია  
იუზიკს უკნიდან მიუახლოვდა, მხრებზე ხელები დააწყო, თავი დააყრდნო და  
სთქვა:

— ძვირფასო ამხანაგო იუზიკ! ნუ მოიწყინეთ. რა წვიმაა! ჩვენ ამ საღა-  
მითი იმიტომ მოვეგროვდით, რომ ერთად ვიყოთ.

შემოვიდა სტასიკი ხალათში, წელზე ფორეიანი სარტყელი ჰქონდა შემო-  
კრული, დაიღრიალა:

— იუზკა, რას მოგწყენია?

იუზიკი მობრუნდა. ხმამალა მშვიდად და ოდნავი ზიზღით სთქვა:

— ამხანაგებო! შურა სტეცენკო არც ამხანაგია და არც რევოლიუციონე-  
რი, ის ბანდიტია და მეტი არაფერი. გერბი სტუმარია. მოვით ვიზიარალოთ!

კომუნაში, ძველებურ თავადურ სახლში, მზიარულობდნენ თავადებით, ლა-  
ღად და ახალგაზდურად. სარკმლებს იქით სიბნელი იყო. წვიმა უშხაპუნებდა,  
ქარი ხმაურობდა. სასტუმრო სახლში აანთეს კენკეტები, რომლებიც ალბად,  
უკანასკნელად თავადების დროს ენთო, ცეკვავენ, მღეროდნენ. პავლენკომ  
და ნატალიამ დიდის ამბით შემოიტანეს ლორი, კონიაკი, არაყი და ერთი კა-  
ლათი ვაშლი. გერბი და მასთან ერთად მოსულები აქ არ იყვნენ, და იმიტომ  
რომ კედლებს უკან იყვნენ ვიღაც უცხონი, და იმიტომ რომ გარეთ შემოდგო-  
მის ცივი ნისლეუნი წვებოდა, — ოთახი განსაკუთრებით სასიამოვნო და მზიარული  
იყო, სვამდნენ თასებით, მერე აქეთ-იქით იწლებოდნენ, ისევ გროვდებოდნენ, ხუმ-  
რობდნენ, დაეობდნენ, ბასობდნენ. ნაშუალამევის გადასული იყო, როცა დაი-  
შალენ, — ანდრია აივანზე გამოვიდა, ყურს უგდებდა ქარს, თვალყურს ადევ-  
ნებდა სიბნელეს, ფეკობდა, რომ ქვეყანას შემოდგომა უახლოვდებოდა. სას-  
ტუმრო ოთახში უკვე არავინ იყო. იუზიკი ოსკერკოს ეუბნებოდა:

— ყველაგან გუშაგები უნდა იქმნას დაყენებული. სახლში იქნებიან:—შენ,  
პავლენკო, სვირიდი და ნიკოლაი. ვინტოკეებით და ბონებებით.—იუზიკი ანდრი-



ასკენ მობრუნდა, გაიღიმა—ამხანაგო ანდრია ჩვენ ერთად გავაძლიერებთ კუთხის ოთახში, მე გაგაცვილებთ.

კუთხის ოთახში სარკის წინ ოდნავ ბეჭტავდა სანთელი. ორივე მზრიდან თალიან დიდ სარკმლებში ქარი უბერავდა; ალბად ჩარჩოები არ იყო მჭიდროთ მიხურული,—ქარი შემოდის ოთახში და გულის ქშემალონებლად ზუზუნებდა. იუზიკი პირს დიდხანს იბანდა, სუფთავდებოდა, მერე ანდრიას მოუბრუნდა:

— მონიტვეთ, ამხანაგო ანდრია, ცოტა მადროცეთ. სულ ნახევარ საათით ვიკნები დაკავებული.—სანთელი გაიტანა, იქვე მონაპირე ოთახში, კაბინეტში დადგა და ნაბიჯები სადღაც მოშორებით მიუჭრდა. სანთლის მბეჭტავი სინათლე შემოდის ანდრიას ოთახში და ოდნავ ანათებდა.

კარგახანს სიწყნარე იყო. ანდრია დივანზე მიწვა. უცრად კაბინეტიდან ლაპარაკი მოისმა,—უკან შემოსულის ნაბიჯის ხმა ანდრიას არ გაუგონია.

— იუზიკ, შენ ყველაფერი უნდა სთქვა,—ამბობდა კირილი.

— წყნარად,—მეორის ხმა ანდრიამ ვერ იცნო.

— კარგი, გეტყვი,—იუზიკი—ჩურჩულობდა დიდხანს, მშვიდად, ანდრიას ლაპარაკის ნხოლოდ ნაწყვეტები ესმოდა.

— გერრი და სტეცენკო ნოვიდენ ჩემთან და გერრიმ მითხრა:—„შენ დატუსაღებული ხარ“. მაგრამ მე ჯიბეში ხელის ჩადება მოვასწარ და ვუთხარ: „ამხანაგო გერრი: მეც ისევე მიყვარს სიცოცხლე, როგორც შენ, ვინც ხელს ასწევს, მას ჩემზე ადრე გაეარდება სული“. ვთქვი და მოვშორდი, ისინი კი იდგენ, იმიტომ რომ ისინი ბანდიტები და მშვიდარები არიან...

—...გერრი იმ მილიონებს თხოულობს, რომელაც ჩვენ ეკატერინოსლავის ბანკის ექსპროპრიაციის დროს ხელში ჩაგვივარდა... გერრის დაავიწყდა კანადა...

—...არაფერსაც არ მივეცი. მე რევოლუციისაში, სიკვდილში და სისხლში დავიბადე.

ჩურჩული დიდხანს გრძელდებოდა, შემდეგ იუზიკმა, ისე როგორც ყოველთვის, ხმაიღლა სთქვა:

— პავლენკო, უთხარ გერრის ჩემთან მოვიდეს. უთხარ კირილსა და სვირიდს რომ ამ ოთახში იარაღით დაინახონ.

პავლენკოს ნაბიჯები მიუჭრდა, ჩამოვარდა დღეშილი. შემოვიდა ორი კაცი ვინტოვეტების ხმაურით. სვირიდი ფარდის უკან, ანდრიას მახლობლად გაჩერდა ვინტოვეტით ხელში. მერე შორიდან მოისმა გერრის მძიმე ფეხების ხმაურა.

— ამხანაგო იუზეფ,—მეძახლით?

— დიხ. მინდოდა მეთქვა, რომ ჩემგან ვერაფერს მიიღებ. მე გთხოვ ახლავე დასტოვო კომუნა,—იუზიკი შემობრუნდა და კუთხის ოთახში შემოვიდა.

— ამხანაგო იუზეფ!

იუზიკი არ გამოეხმაურა, წუთით ქარის წივილი გაისმა,—ხელახლა ახმაურდენ მიმავალ გერრის დაქვდალი ფეხაკმელები. ანდრიამ თავი მოიმიძინარა. იუზიკმა ურთხილად გაიხადა, დაწვა და მაშინვე ხერინვა ამოუშვა.



გათენებისას ანდრია სროლის ხმამ გააღვიძა. — ბახ ბახ! — დაიგვიღია მეზობელ ოთახში, შორიდან მწყობრი სროლით უპასუხეს, სროლე ეზოდანაც მოისმა, აივანზე ტყვიამფრქვეველი აკაიანდა და მაშინვე მიუწადა. ანდრია ფეხზე წამოიჭრა — იუზიკმა შეაჩერა. იუზიკი ლოგინში გადმოშვებული ხელით იწეა და ხელში ბრაუნინგი ეჭირა.

— ამხანაგო ანდრია, ნუ ღელავთ, დამშვიდდით. ეს გაუგებრობაა.

დილით კომუნაში უკვე არაფერი იყო. სახლი, ეზო, ბაღი დაცლილი იყო. ანამ ანდრიას ჭობრა რომ ქვის ლომებიან ალაყაფის კარებთან საგულშაღოში დახოცილები ყრია. — ბავლენკო, სვირიდი, გერრი, სტიცენკო და ნატალია.

დღისით კომუნაში საბჭოს მიერ გამოგზავნილი ჯარისკაცთა რაზმი მოვიდა.

უკანასკნელი ღამე ანდრიამ ეკლესია „Никола, что на Белях—Колодезях“ — თან გაატარა. ეგორკა საღამო ხანს თევზის საჭერ გოდრების სანახავად წავიდა და ერთი ქარიყლაპია თევზი მოიტანა, ანთებულ კვარის ირგვლივ ისხდენ, ღამე მოვიდა შავი, დაყარყუმბული, წყიმიანი. ანდრია წყაროზე წავიდა, ნიკოლას სამრეკლოზე ზარები ქარისაგან მწუხარედ ირეცებოდა. ეკლესია და სამრეკლო სიბნელეში კიდევ უფრო მაგრა ჩამჯდარი და ძველი მოსჩანდა. ნაძვები ხმაურობდენ. და ნა ვეზიდან, სიბნელიდან ქუდიანი ცხენოსანი გამოვიდა ნაბდით, ხელში ვინტოვკა ეჭირა.

— ვინ მოდის?

— ჰაიდა!

— ამხანაგი იუზიკ?

— ეს თქვენა ხართ, ამხანაგო ანდრია? — იუზიკმა ცხენი შეაჩერა. — მე თქვენთან. — გაჩუმდა. — თქვენ აქედან უნდა წახვიდით. დილით დაგაპატიმრებენ და შესაძლებელია დაგზერიტონ კიდევ. ხვალ ჩვენ აქედან მივდივართ — უკრაინაში. თქვენც წამოგყევით.

ანდრიამ უარი განაცხადა, გამოეთხოვა.

— მალე შემოდგომაც დადგება. ვარსკვლავები არ არის, წუთიერი ციხე — გახსოვთ? ბედნიერად! იცოცხლეთ!

იუზიკი გაჩუმდა, მერე ცხენი შეაბრუნა და წავიდა ნავარდით.

გათენებისას ანდრია უკვე სადგურ „ბაქან ბარში“ იყო, ძლივს ჩაეტენა მეტრომრეებით სავსე ვაკონში. გამთენიის მღვრია ბინდებში ბავში სტიროდა და ტენის ამომკმულ გამოდნებით იძახდა ვილაკის გადამეტებულად მზიარული ხმა:

— გაგრილა, დაატრია-ალე-ე, დაატრია-ა-ლე-ე, გავრუშკა-ა-ა!

მატარებელი დიჯხანს იღვა, მერე ნელა დაიძრა დაქანცული და ღორივით ბინძვრო.



საქართველოს  
წიგნიერების  
კავშირთა  
კავშირთა

ასე დაილუპა ანარქისტების კომუნა პორეჩიეში.

— და აი ამბავი იმაზე, თუ როგორ დაილუპა პომეშიკური პორეჩიე: ეს მოხდა რევოლიუციის პირველ დღეებში, რევოლიუციის პირველ ნაპრწყლებს აეარდნისას, მას მერე მრავალი ხანძარი გაჩნდა და მრავალი ქაბუჭიანი სინდერები იმღერეს იმ შავ დღეებში და მრავალი ხალხი თან გადაიტანეს. აი ამბავი—

### სულის პირველი ღაფსა.

— თუნცა, რევოლიუციის დროს განა მარტო მკედრები დაიხცა?!. ეს რევოლიუციის პირველ დღეებში მოხდა. აი ამბავი:

ხაწყვეტი პირველი. ეს მამაპაპეუღია. ორდინინების უპაკოვებთ.

სასტუმრო ოთახის ფანჯარაში, რომელიც შემოდგომის ცარიელ ბალისაკენ იქტირებოდა, დიდხანს ანათებდა მზე. შემოდგომის დუმილში ყოჩულებში და მინდვრებში ჯვავები ყაყანობდნენ, ამ სახლში, სადაც თითქმის მთელმა სიკოცხლემ განვლო, ახლა წასვლა იყო საჭირო, სამუდამოდ: თვითონ თავმჯდომარე, ივანე კოლოტუროვი-კანონოვმა, მოატანა უკანასკნელი მოწერილობა, სამხარეთლოში უკვე ჩასახლდნენ ისინი, უცხონი.

დილით, ცამ რომ მტრედისურად ინათა, მიწან ადგა, დილა იყო ოქროს ფერი, ნათელი, — უწინ მამები ასეთ დღეებში მწვერებით მიდიოდნენ სანადიროთ. მინდვრები კვე გამოშვლდა, მხოლოდ ჰუვის ნამჯა თუ მოსჩანდა, ალბად სადმე უკვე მგელი იღრინებოდა. გუშინ საღამოთი სახლის საზეიმო კარებზე წითელ აბრას აქედებდნენ:—

„— ჩერნორეჩიეს ლატაკთა კომიტეტი, —“

— და მთელი ღამე დარბაზში ხმაფობდნენ, რალაცას ალაგებდნენ. სასტუმრო ოთახი ისევ ისეა, სამკითხველოში მინებს უკან ოქროს ვარაყიანი წიგნები ბრწყინავენ, —ო, წიგნებო, წიგნებო! ნუ თუ ოდესმე დაილუპა შხამი თქვენი და სიტკბო თქვენი?

დილით, როცა ცამ მტრედისურად ინათა, თავადი ანდრია ორდინინი აღ-



გა, მოხუცის უმცროსი ძმა,—და გასწია მინდვრებში, ხეტიალში და მარტო დღე, თვრებოდა შემოდგომის უკანასკნელ დღით და ყურს უგდებდა უკანასკნელსა ქორწინო ყაყანს; ბავშობისას, როცა ყვავების ასეთ ქორწილს დაინახავდა მიაძახებდა:—„გძლიე! გძლიე!“—არასოდეს არავითარი ქორწილი მისთვის არ ყოფილა. იყო მრავალი სიყვარული, იყო ტკივილები, და არის ტკივილები,—და სიცარიელე, ტრანა. იყო საწამლავე მოსკოვის „პოვარსკოის“, წიგნებისა და ქალების, იყო მწუხარება და სევდა შემოდგომის პორეიესი, და აქ ყოველ შემოდგომით ჩამოდიოდა საცხოვრებლად. ეს მისი ფიქრები იყო. მიდიოდა გატრამუო მინდვრებში უგზო-უკვლოდ, ხეებში და ღრანტებში აღისფრად ერთო ვერხვები, უფეის ბორცვ ქვიშ, გაძარცულ ბალის ლაინისფერ ბუჩქებში იდგა თეთრი სახლი. განუსაზღვრელ სიშორებში იყო გატყორცნილი ლურჯი, ბროლივით გამჟღავნე სივრცეები. თმა გაკვივდა და ქალარა შეეპარა—ვერ შეაჩერებ, ვერ მოაბრუნებ.

მინდორში გლეხი შემოეფეთა, აქაური, ტომრებით დატვირთულ ოთხთვალა ურმით, ტყავის ქეჩაში,—უტყვი კედელი,—ქუდი მოუხადა, ცხენი შეაჩერა, სანამ ბატონი ჩაიარდა.

— თქვენს ბრწყინვალეებას ვახლავარ!—ცხენს დაუწრუბუნა, აღვირი მოსწია, წავიდა, მერე ისევ შეჩერდა, დაუძახა:—ბატონო! გამიგონე, მინდა რამე ვითხრა!

დაბრუნდა. გლეხის სახე ბალნით იყო გაბურძენილი, მთლად, დანაოკებულა,—მოხუცი.

— რა უნდა ჭნახლა, ბატონო?

— ძნელია მაგის თქმა!

— აღბად წახვალ? პურს გვართმევენ—ღარ იბი კომიტეტები. არც ასანთია, არც მანუფაითულა,—სახლში კვარი მინთია!.. პურის გაყიდვის ნებას არ გვაძლევენ,—სადგურზე ნაპარაყად მიმაქვს! მოსკოვიდან ჩამოვიდენ—უფუ!.. ოცდათხუთმეტი—ოცდათხუთმეტი!.. მერე რას იყიდი ამ ფულით? მაგრამ მინც ხალხსია, ხალხსი!.. მოსწიე ბატონო.

არას დროს „ცივარკა“ არ მოუწევია,—დაახვია. ირგვლივ ველებია, არავინ დაინახავს. ჰგონია რომ გლეხს ებრალება, უხარია და უნდა რომ ებრალებოდეს. ხელის ჩამორთმევით განოვიხოვია, შებრუნდა. სახლისკენ გასწია. ბაღში ტბა სარკესავით იყო, ლურჯი,—წყალი ტბაში ცივი იყო, განსკვირვალე, როგორც მინა: ჯერ ყინვებს დრო არ იყო დამდგარი. მზე დასავლეთით გადიხარა.

კაბინეტში შევიდა, მაგიდასთან დაჯდა, წერილებით საეცე უჯრა გამოალო,—მთელი სიცოცხლე,—თან ხომ ვერ წაიღებს! უჯრები იატაკზე გადმოხერტყა, გავიდა სასტუმრო ოთახში, ბუხარს მიუხლოვდა. აღბომის სტოლზე რძე და პური იდგა. ბუხარი დაანთო, ქალაღები დასწვა, იჯდა და რძეს სვამდა, პურს სჭამდა, უკვე მოშეებოდა. ოთახში უკვე საღამოს მოღურჯო ბინდები შემოვიდა, ფანჯრებს იქით დადგა ლილსფერი, ნისლები. ბუხარი წითლად ლაღლაღობდა რძე მოძველებული იყო და პური გამშმარიყო.

დერეფნის დუმილში ფეხსაცმელების ხმაური გაისმა. შემოვიდა კოლოტუროვი, მაზრის თავმჯდომარე, სარტყელზე რევოლვერი ეკიდა.—ივანე კოლოტუროვ კანონიკი:—ბავშობისას ერთად თამაშობდენ, მერე კვიციანი გლეხი იყო, მეოჯახე, მუშა, ხმის ამოუღებლად გადასცა ქალაქი და შუა ოთახში გაჩერდა.

რემიგტონით ნაბეჭდ ქალაქში ეწერა:

„მებატონე ორდინინს. ჩერნორეჩიეს ლარბთა კომიტეტი ვაუწყებთ, რომ დაუყოვნებლივ დასტოვოთ საბჭოთა მამულა პორეჩიე და მაზრის საზღვრები. თავმჯდომარე ივ. კოლოტუროვი“.

— რას იზამ, დღეს საღამოსვე წავალ.

— ცხენები არ მოგეცემათ.

— ფეხით წავალ.

— როგორც გინდათ! არავითარი ნავთი თან არ უნდა წაიღოთ!—შემოტრიალდა, შეჩერდა, ცოტა ჩაფიქრდა და მერე გავიდა.

სწორედ ამ დროს საათმა სამი მეოთხედი დაჰკრა,—მეთვრამეტე საუკუნის ოსტატის კუვალდინის მიერ ნაკეთებმა საათმა, საათი იგი ჯერ მოსკოვის კრემლის სასახლეში იმყოფებოდა, მერე თავად ვადკოვსკებთან ერთად მოგზაურობდა კავკასიაში,—რამდენჯერ დაიკაუნეს მათ თავისი „ტიკ-ტაკით“, ორი საუკუნის განმავლობაში კაცს რომ დაეთვალა?—დანჯარაზე ჩამოჯდა, გაძარცვულ ბაღს გასცქეროდა, მარმარილოს ფიკარზე დაყრდნობილი უძრავად იჯდა, ფიქრობდა, წარსულს იგონებდა. ფიქრი კოლოტუროვმა გააწყვეტინა,—ხმის ამოუღებლად ორი ტალიკი ბიქის თანხლებით შემოვიდა. კაბინეტში შევიდნენ, ხმის ამოუღებლად უნდოდათ საწერ მაგიდის აწევა, რაღაცა გასკდა.

ანდრია წამოღგა. იჭარბა. ჩაიცვა თავისი განიერი ინგლისური პალტო, ძეტრის ქუდი თავზე დაიხურა, აივანზე გავიდა, ძირს ჩავიდა და საკუჭნაოებისაკენ, საჯინბოებთან და არყის სახდელ ქარხანასთან გამხმარ ფოთლებში ფეხების შრიალით გაიარა, ხევი ჩავიდა, ვაღმა ნიკოლასთან ავიდა, დაიღალა და გადასწყვიტა, რომ ნელა იაროს—ოცდაათი ვერსი უნდა ეარა, პირველად უხდებოდა აქ ფეხით სიარული. რა უბრალოა არსებითად, ყველაფერი,—ასე ფიქრობდა,—და—და საშინელია თავისი უბრალოებით!

მზე უკვე ჩაესვენა, სისხლისფრად აინთო დასავლეთი უკანასკნელი ყვავების გუნდი გადაფრინდა და ჩამოწვა ველების საშემოდგომო დუმილი. სიბნელე უციბ მყარდებოდა, სიბნელე დაყარკუმებული, უკუნი. ცაში აინთო ვარსკვლავები, მიდიოდა ყოჩაღად მინდვრის საურმე გზაზე. პირველად მიდიოდა თავის სიციხლეში ასე მსუბუქად, არაფრის მქონე, თვითონაც არ იცოდა საით და რის-



თვის, სადაც ძლიერ შორს სექტანტების გომურებში ძალღებე ჰყვებოდნენ და დგა უკუნეო ღამე, შემოდგომის ყრუ ღამე ოდნავი ყინვით.

თორავტი ვერსი გაიარა ყოჩაღად, არ შეუშინებია ისე და მერე შეგრდა ერთი წუთით—ფეხსაცმელის ზონარის შესაკრავად—და უეცრად უსაზღვრო დაღლილობა იგრძნო, მუხლები სტეხდა—ერთ დღეში ოპოპოცი ვერსი მაინც იხეტიალა. წინ სოფელი მახშიტკა იყო,—ახლაგზრდობისას, სტუდენტობის დროს, აქ მოდიოდა ხოლმე ერთ „საღდატკასთან“, ჩემად,—ახლა იქ არ მივა—არასოდეს, არაფრის გულისათვის, მონა! სოფელი მიწაზე იყო განსატული, უზარმაზარი ძნები ამართულიყვენ და ხორბლისა და სასტუქის სუნი იდგა. ძალღებე ყვეფით შემოყვებენ, ბნელ ბურთებზეფით გამოექანენ და ფეხებში ეტანებოდენ.

მორდოველთა ზბანი გაიარა და რუსების ხნარზე პირველ ქობის სარკმელს მიუტაკუნა, სარკმელს უკან კვარი იბეჭებებოდა. ხმა უცებ არ გამოუციათ.

— ვინაა?

— კეთილო ხალხო, მიმიღეთ ღამის გასათევად.

— მერე ვინა ხარ?

— გამყოელი მგზავრი.

— ახლავე.

გამოვიდა გლები, ვარდისფერ ყოშებით, ფეხშიშველი, კვარით, გაანათა, აათვალღერა.

— ხნიაზი? თქვენო ბრწყინვალეზავ! მობრძანდი!

იატაკზე ბზე გაშალეს, კრიკინა კრიკინობდა და ყველგან მკვარტლისა და ნეხვის სუნი იდგა.

— დაიძინე, ხნიაზო! მოისვენე!

გლები ღუმელზე შეძვრა, ამოიხზრა, დედაკაცმა რაღაც წაიბუტბუტა, გლებმა დაიბუზღუნა და მერე ხმამალა სთქვა:

— ხნიაზ! ახლა დაიძინე და დღლით გამთენიამდე წადი, არ დაგინახონ. შენც კარგად იცი, ცუდი დროებია, შენ კი—ბატონი ხარ. ბატონები—უნდა მოისპონ.

კრიკინობდა კრიკინა. კუთხეში გოკები ვყვიროდენ. დაწვა, ტანთ არ გაუხდია, ქუდი თავქვეშ დაიდო და მამინვე კისერზე შებოხებული აბანოს ჭია დაიკირა.

ხორბლით. ბზით, თივის ზეინებითა და ქოხებით დატვირთული, ყრუ მინდორველებში, სადაც ქოხები დაქულია ტიღებით, ბალღინჯოებით, რწყილებით, მუნაან ჯღიბებით, აბანოს ჭიებით, გამკვარტლულ აჭოთებულ ქოხში, სადაც ხალხი, საქონელი და ღორები ერთად ცხოვრობენ—იქ ბზეზე თავადი ორდინინი იწვა (ახლა უკვე მცდარი!), რწყილებით შეწუხებული ტრიალებდა, ვერ ისვენებდა და თან ფიქრობდა, რომ ახლა ამ დახუთულ სიციხეში, ის, დაქანკული, განიცდიდა უსაზღვრო ბედნიერებას. გოკი ღრუტუნით მუახლოვდა, დასუნა და ისეე გაბრუნდა. ფანჯარაში იტკარებოდა დაბლა დასული, ნათელი ვარსკვლავი, — არა აქვს ბოლო ქვეყანას! სოფელში მღეროდენ.





როგორ მიეძინა—არ შეუტყვია. გათენების ხანს დედაცაც განაპოვინა, შეჯანა კარში გაიყვანა. ალიონი იყო ლურჯი, ცივი, ბალახი დაქრთნილი. ვახშია ჩქარა, ჯოხის ქნევით, პალტოს საყულო აწეული. ცა საოცრად ღრმა და ლურჯი იყო. სადგურ „ბაქანი მარ“-ში თავადი როგორღაც შეჭერა მეტრომრევებით გატენილ სათბურ ვაგონში, და იქ, კედელზე ასნატული, ფეხებით დასვრილი, —წაივინდა...

ნაწყვეტი მეორე.

ივანე კოლოტუროვი, თავმჯდომარე, ოცი წლის განმავლობაში ინახავდა ორ სულ ადამიანს, დგებოდა მუდამ ალიონზე და მუშაობდა, სთხრიდა, ფარცხავდა, ლეწოდა, ასალაშინებდა, აკეთებდა,—მუშაობდა თავისი საკუთარ დიდ, მოუდრეკელ, დაგრებილ მკლავებით. დილით ადგომისთანავე კარტოფილსა და პურს მიიძღებოდა და სახლიდან გარეთ ვადიოდა, რომ რამე გაეკეთებინა ხისაგან, ქვისაგან, რკინისაგან, მიწა დაემუშავებინა, ხვადგებისათვის მოეიარა. კოლოტუროვი დაუზარებელი, მუშა, პატიოსანი და გონიერი გლეხი იყო, ჯერ კიდევ ცხრაას ხუთში (სადგურიდან მოდიოდა. ზრემზე ვილაც კურტკიანი სახელოსნოს მუშა შემოისვია) უამბეს, რომ ლეთის წინაშე ყველანაირი თანასწორობა, რომ მიწა—მათია,—გლეხების, რომ მებატონებმა მიწა მოიპარეს, რომ დადგება დრო, როცა საქმეს უნდა მოჰკიდონ ხელი. ივანე კოლოტუროვმა კარგად ვერც გაიგო, რა უნდა გაეკეთებინა, მაგრამ როცა რევოლუტუცია მოვიდა და ველებამდე მოაღწია —ის პირველი წამოიჭრა, რომ საქმე დაეწყო. და მისმა გულმა იგრძნო სევდა. მისი სურვილი იყო ყველაფერი პატიოსნად გაეკეთებინა, მას კი მხოლოდ მკლავით შეეძლო საქმის კეთება—მიწის თხრა, ხენა, თესვა. სათემო კომიტეტში აირჩიეს —ის მიჩვეული იყო ალიონზე ადგომას და მაშინვე საქმის დაწყებას,—ახლა კი ათ საათამდე უსაქმოდ უნდა მჯდარიყო, ათზე კომიტეტში მიდიოდა, სადაც დიდის გაპირვებით აწერდა ხელს ქალაქდებზე,—მაგრამ ეს საქმე არ იყო: ქალაქდები მოდიოდა და მიდიოდა მისი ნებისყოფის გარეშე, თავისით, არ ესმოდა მათი არაფერი, მხოლოდ ხელს აწერდა. მას საქმე სწყუროდა. გაზაფხულზე იგი მიწის სახნავად წაივინდა სახლში. და შემოდგომით ის ღარიბთა კომიტეტის თავმჯდომარეთ აირჩიეს. თავადების ეკონომიაში ჩასახლდა, ძმის სალდათური მახარა ჩაიკვა და ქაშარზე რევოლვნი დაიკიდა.

ერთ საღამოს სახლში დაბრუნდა; ცოლი შებლშეკვრით დახვდა. ცომას ზელდა. ლუმელზე ბავშვები ისხდნენ, კვარი ხრჩოლავდა.

— იქნება ბატონური საკმელს შემდეგ, ჩენი საკმელი არ ვიამოს! გაგვიდიდაცკი!

გაჩუმდა. ხატებთან სტუარივით იჯდა.

— რა ხალხთან გაქვს საქმე? ყველა მტრები მოგროვილან! ხალხის მტრები და სხვა არაფერი.

— გაჩუმდი ჩერჩეტო, როცა არ გესმის, გაჩუმდი!

— ჩემი გრცხვენია და იმალები?



— წამო, ჩემთან, იცხოვრე.

— არ წამოვალ!

— ჩერჩეტო!

— ყვეა კარგათ ვისწავლია!.. რატომ ჩვენთან ერთად არ სკამ? თუ, ვადაგაჩვია ბატონების ღორის ხორცმა?

მართალი იყო, მიხვდა, — ღორის ხორცით იყო გამაძღარი. აქონინდა.

— ჩერჩეტი ხარ, ჩერჩეტი!

სახლს იმიტომ მოაკითხა რომ საოჯახო საქმეზე მოელაპარაკა, ხელცარიელი გაბრუნდა. ცოლმა მტკივნეულ ადგილს უჩხელიტა — პატივსცემი გლეხები პირს არიდებდნენ, კომიტეტში თავი ისეთ ხალხს მოეყარა, რომელთაც დასაქარგი არაფერი ჰქონდათ. სოფელზე გაიარა, და ბაღში გადავიდა და მერე საჯინი-ბოებს ჩაუარა, შიგ დასახედავად შეიარა. ჯერ კიდევ სინათლე იყო. სოფლის ახალგაზრდობას თავი მოეყარა, ქალაღდს თამაშობდნენ და თუთუნს ეწეოდნენ. შეხედა, — შუბლშეკვრით სთქვა:

— ვერ შერგებით, ბიჭებო, კარგ საქმეს. ცეცხლს გააჩენთ!

— ჯანდაბას! არ ვიცი რაში გენაღვლევა სხვისი ქონება!

— სხვისი კი არა, — ჩვენია.

შებრუნდა, წავიდა. უკან მიადახეს:

— ძია ვანო! მარნის გასაღები შენ ხომ არა გაქვს?! იქ, ამზობენ, სპირტიო, არ მოგვცემ — ძალით გავტეხთ!

სახლში ბნელოდა, სიჩუმე იყო, სასტუმრო ოთახში ჯერ კიდევ თავადი ცხოვრობდა. დიდი ოთახები მისთვის უჩვეულო იყო, საშინელი. კანცელარიაში შეიარა (ყოფილი სასადილო ოთახი), ლამა აანთო. მუდამ სისუფთავეზე ზრუნავდა, — იატაკზე ჩექმიდან ავარდნილი ტალახის ლანჩები ეყარა: ვერაფრით ვერ მიშხვდარიყო, — რატომ ბატონური ფეხსაცმელები არ სტოვებდნენ ნაკვალევს? — დაიჩოქა და იატაკზე ტალახი მოაგროვა, ფანჯარაში გადაყარა, ცოცხი მოიტანა და დაგავა. საქმე არაფერი ჰქონდა. სამზარეულოში შევიდა, გრძელ სკამზე გაუხდელი წამოწვა, დიდხანს არ დაეძინა.

დილით მაშინ გაღვიძა, როცა ყველას ეძინა, დადიოდა მამულში. საბატონო თავლაში ბიჭები ისევ ყოპარბაზობდნენ.

— რატომ არ გძინავს?

— უკვე გამოვიძინე!

საქონლის მომვლელნი გააღვიძა, მეჯოგე სიმონი გარეთ გამოვიდა, იღვა, იტკებოდა, უმცაოფელოდ ღონიერად შეიგინა, რომ გააღვიძეს და სთქვა:

— რაც შენი საქმე არაა, ნუ ეტენები! თვითონ ვიცი, როცა გავიღვიძებ! რიერაეი იყო ლავარდისფერი, ნათელი, უნივიანი, სასტუმრო ოთახი ვაანათეს; დაინახა, როგორ გამოვიდა თავადი აიეანზე და წავიდა მინდორ-ველებში.

ათ საათზე კანცელარიაში იჯდა, მეცადინებდა გამაწამებელ — და მისი აზრით უსარგებლო საქმეზე, — ადგენდა მთელი ხორბლისა და ქერის მარაგის სიას, რომელ გლეხს რამდენი ჰქონდა, — უსარგებლო იყო, იმიტომ რომ, ზეპიოდ



იცოდა, რომელ ვლესს რამდენი რა ჰქონდა, საწვალელებელი, იმეტრე... კერძო-ბელი უნდა ეწერა. ქალაქიდან ტელეფონით დაურეკეს, უბრალოდ რომ ვთქვამდი გაესახლებინა. მთელი საათი ბეჭდავდა მანქანაზე თავადისადმი მიმართულ ბრძანებას.

სალამოთი თავადაც წავიდა. დაიწყო ვეჯის გადატან-გადმოტანა, საწერ მაგიდას ფანერი ააგლიჯეს. კანცელარიაში საათის გადატანა უნდოდათ, შეხედეს რომ მხოლოდ ერთი ისარი ჰქონდა—არაფერი არ იცოდა, რომ ძველებური კლავდინის საათის მხოლოდ ცალი ისარი უნდა ჰქონდეს, ალბად იმიტომ რომ ძველ დროს წამები არ ენანებოდათ,—ვილაკამ შენიშნა, რომ საათის ფუტლიანიდან ამოღება შეიძლება, და ივანე კოლოტუროვმა განკარგულება ვასცა:

— საათი ყუთიდან ამოიღეთ! უთხარით დურგალს, რაფები გაუკეთოს! კანცელარიისათვის კარადათ გამოდგება... და ფეხებს, ფეხებს ნუ ამრახუნებთ!

სალამოთი ვილაკ დედაკაცი მოვიდა. სოფელში იყო შემოხვევა: წარსულ ღამით გოგო ძალით გააფატიერეს,—არ იცოდენ ვინ იყო,—თავისიანები, თუ ფჭილისათვის ჩამოსული მოსკოველები. დედაკაცი კომიტეტელებს ამრალეზდა. დედაკაცი სარკმელს ქვემოდ იდგა და თავსაპრელად გაპიოდა,—ივანე კოლოტუროვმა დედაკაცი გააგდო, სილა გააწნა. დედაკაცი წივილ-კივილით წავიდა.

უკვე ბნელოდა, სახლში დღემილი იყო, ეზოში ნეჯოგები მღეროდნენ. კაბინეტში შევიდა, იჯდა დივანში, გასინჯა მისა სირბილე, ხელში დავიწყებული ელექტრონის პატარა ფანარი მოხვდა, კედელი გაანათა და იატაკზე საათი დაინახა, ფიქრობდა—სად წაველ?—წაილა და ფეხისადგილში ჩააგდო. სახლის მეორე მხრიდან სოფლის ბიჭები გახარამაციით შემოვიდნენ, ვილაკამ როიალს დაუშინა, ივანე კოლოტუროვს მათი ვარეკა უნდოდა, რომ უწესობა აღგვეთა,—მაგრამ ვერ გაბედა, უცებ თავისი თავი და ცოლი უცნაურად შეებრაღა, გულმა სახლისკენ გასწია, ღუმელზე წამოწოლა მოუნდა.

ვახშმის დარეკეს. ჩემად სპირტის მარანში ჩაიარა, დაისხა, დალია, მარნის დაკეტვა მოასწრო, მაგრამ სახლამდის ვერ მიიღწია, ბაღში წაიქცა, დიდხანს ეგდო მიწაზე, ადგომას ამოოდ ცდილობდა, რაღაცა უნდოდა ეამბა, აეხსნა, მაგრამ დაეძინა. ღამე იყო დაყარუჭებელი, შემოდგომის ბნელი ღამე.

და საბატონო პორეჩიე, ანარქისტების პორეჩიე, ივანე კოლოტუროვის პორეჩიე—დაიღუპა, იმიტომ რომ პორეჩიე მკვდარი იყო. იმიტომ რომ პირველი, მეორეებს და მესამეებსაც (განა ივანე კოლოტუროვს არ ჰქონდა რაიმე უფლებები?!—ჰქონდა, რასაკვირველია, რადგან ყოველივე ეს—მისია)—და პირველთაც მეორეთაც და მესამეთაც—აკლდათ უპირველესი რამ: მოქმედებისა და შემოქმედების ნებისყოფა, ვინაიდან შემოქმედება მუდამ არღვეს.



და—

—ტრიპტიხის მესამე ნაწილი, ყველაზე ბნელი.

დედამიწას ცივი ბინდები გადაეფარა,—ის შემოდგომის ბინდები, როცა ცა თოვლითა და ზამთრით არის დაფარული და გათენებიაას ღრუბლები თოვლად უნდა წამოვიდეს და დაწვეს მიწაზე. მიწა უტყვია და შავი. ველები. უკი მიწები. რამდენი შორს წახვალ ველებში, მით უფრო მაღალია თივის ზეინები. მით უფრო დაბალია ვლების ქობები, მით უფრო იშვიათია მოსახლეობა. ველე-ბიდან—გაძარცულ უდაბნოში—ცისა და ველებს შორის დარჩენილ შავ ღრეო-დან—უბერავს ზამთრის აწანწალებული ქარი. ოდნავ გასაგონად შრიალობს ნა-თიბარი, წველი და ნაშჯა. მალე შუშის მთვარეც ამოვა. თუ მოიღრუბლა, თოვ-ლი იქნება, თუ არა სუსხი.—ჰფრა.

ლიანდაგზე გადასასვლელ საფრზე გზაზე დგანან ხარები. ხარებს თავი ჩაუ-ღუნიათ, დგანან მორჩილად, მორჩილად გასცქერიან ველებს, ველთა მცხოვრებნი. მატარებელმა ჩაიარა მუცელზე ხოხვით. სოფელში ეკლესია არ არის, ამართულია უბადროუკი მეჩეთი. ველები. მატარებელი მიზნობავს ნელა—რუხი ვაგონები, რომელნიც ხალხით ისეა დაბუნძლული როგორც თვით ეს ხალხი ტილებით, მატარებელი უტყვია: ხალხი ჰკიდია სახურავებზე, საფეხურებზე, ჯახრიდებზე.—მატარა სადგურ „ბაქან მარზე“, სადაც მატარებლები არასოდეს არ ჩერდებიან და არასოდეს არ სცვლიან კვერთხებს, მატარებელი კოშინობს—ადამიანური კოშინით: სახურავიდან სახურავზე ორთქლმავალამდე ბორბოცობს ხალხი რაღაცა-ზე ამ ცივ ბინდებში. და „გაერიალა“) აჩერებს მატარებელს. სადგურის ახალ-გაზდა მორიგი წითელი ქუდით—დარდისაგან—მატარებელს ბაქანზე ზედება, მატარებლიდან ხალხი გუბებზე წყლისათვის მიიჩქარის. მატარებელი სკასავით გუ-გუნობს, კოშინობს, იქაჩება, ქრაქუნობს და ლიანდაგის ნამორებზე რჩება დედა-კაცი ტკივილისაგან ხარდაცემულ თვალებით. დედაკაცი მისიდეც მატარებელს და მიჰკივის გამწარებული:

— მიტია, გენაცვალე! შვილები სიმშლით, სიმშლით არ დამიხოცო!

მერე, ბოხჩის ქნევით, ბლავილით სადღაც ლიანდაგს იქით გადირბინა და ძალღივით აყმუღდა. წინ გაშლილ ველების გატრამული სივრცეები,—დედაკაცმა მოუხვია და შირბის სადგურისაკენ, მიირბინა მორიგთან, რომელიც ისევ ისე იდგა ბაქანზე მოწყენილი. დედაკაცი შესცქერის მას წამებულ თვალებით, ტუ-ჩები ტკივილებისგან უთრთის და თვალებში აუტანელი ტკივილები გამოსჰკვივის.

— რა გინდა?—ეკითხება მორიგი.

დედაკაცი ჩუმდება, მერე შეტაცებულივით იკივლებს და ისევ გარბის სად-ღაც ბლავილით და თან ბოხჩას მიაქნევს. დარაჯი მოხუცი თათარი, მოღუშვით ამბობს:

\*) მემანქანე.



— დედაკაცს შობამ უწია. დედაკაცი ბავშს შობს.—*ეჲ, დედაკაცი!*—*აქელ მოდი!*.. რუსის დედაკაცი—კატაა,—და მოზღეს დედაკაცი სადგურის ქოხში მიპყავა, თავის ოთახში, სადაც ტახტზე ყრია ნახევრად დაჰპალი თივა და ტყაპუნი. დედაკაცი, ჭეშმარიტად კატასავეთ ავარდა ტახტზე და ვაბოროტებული ჩურჩულობს:

— წადი უზრდელი,—მომშორდი! ქალს დაუძახე...

ქალი სადგურზე არავინ არის.

მორიგი დადის ბაქანზე იქით-აქეთ, ვაცქერის ბნელ ველებს და ფიქრობს გამწარებით:—*აზია!*

ველები ცალიერია და ყოჩი. ცაში შუშის პატარა მთვარე მისკურავს. ქარა ცივად უბერავს, მორიგი დიდხანს დადის ბაქანზე. მერე კანტორაში შევიდა, კედელს იქით დედაკაცი ჰკოვის, სადგურის მორიგი მეზობელ სადგურს ურევს და ამბობს ისე, როგორც ამბობენ რუსეთის ყველა სადგურის მორიგეები:

— ახმიტოვაა! მიიღე ორმოცდათვრამეტი. რაზე ზომ არ მოდის?

მატარებელი არ ნოდოდა. მორიგე ზის მაგარ საბაზინო დივანში, ჰფურცლავს უკრანალ „*Приключеніе*“-ს, ფურცლავს მეთათსჯერ და წვება, იმიტომ რომ არ იჯდეს.—*მოზღეს ლამაა შემოაქვს.*—*მორიგეს ტკბილად სძინავს.*

მორიგეობის შემდეგ იგი სოფელში მიდის,—სახლში. „*ბაქანი მარი*“, რომელზედაც არასოდეს მატარებლები არ ჩერდებიან და კვერთხებსაც კი არ სცვლიან, უცებ იძირება სიბნელეში. ირგვლივ დუმილია და ველები. მორიგემ ბარს ჩაუარა. საველე საფლავის უზარმაზარი ბეჭობი ამართულა და დგას მუნჯად,—*ვინ, როდის ან რომელ ქოჩათმავალმა ხალხმა მიიყარა ეს ბეჭობი, და რას ინასავს იგი? საღურმე გზაზე უყი მიწა ასფალტით არის მობეჭენილი და ხმაურობს ნაბიჯებ ქვეშ.*

სოფელი დამუნჯებულია, მხოლოდ ძაღლები ჰყევენ. მორიგი მიდის თათრის სოფელზე, ეშვება ხევში, სადაც მოსდოკელები დასახლებულან, და გაღმა ფერდობზე ადის ქოხში. „*სალდატკა*“ სუფრაზე დგამს ფაფას, ლორის ქონსა და რძეს. მორიგე საჩქაროდ სკამს, ტანთ საგარეო ტანისამოსს იცვამს და მასწავლებელ ქალთან მიდის სტუმრად.

მასწავლებელ ქალთან მორიგე კვარს კვარზე უნაცვლებს და მოწყენით ამბობს:

— *აზიაა. ქვეყანა კი არა,—აზიაა. თათრები, მორდოველები. სიღარიბე. ქვეყანა კი არა აზიაა.*

და მორიგე ფიქრობს საკუთარი სილატაკეზე.

მასწავლებელი ქალი ცივბლთან დგას, დაძველებულ მოსახურავში იფუთნება, ებვევა. მერე მასწავლებელი სამოვარს იცხელებს და ქერის ყავას ამზადებს...

გვიან ღამით მორიგი თავის ქოხში „*სალდატკასთან*“ წვება. ჭრაქუნობს ლოჯინი, გიტარა ახმაურდა. ჭრიჭინა ჭრიჭინებს, ღუმელს იქით კუთხეში გოქა ღრუტუნობს. სალდატკა სუფრას ალაგებს, გარეთ გადის. ფარეტინა თიხით შელესილ კედლის იქით ისმის, როგორ იცლება ქალი და ძაღლს იგერიებს, რომე-



ლიც განაჯალის შექმნის ესწრაფის. მორიგე უფროს უფლებებს და უნდა ვეფუძნო... რა ენებზე ოცნებობს: სიმდიდრეზე, კარგად ჩაცმულ ლამაზ ქალებზე, ყოფილი ტყვენიკაპოსზე მხიარულებაზე, ფულუნებაზე, რომელიც მას ეღირსება ოდესმე... „სალდატკა“ დიდხანს ლოცულობს, ლოცვებს კითხულობს, სინათლე ქრება, და ფეხშიშველი „სალდატკა“ მორიგეს ლოგინს ფხანით უახლოვდება.

ველებში ღამეა, შრიალობს ხნელი ხათიბარი. ბართან ძურწა ბალახი სტვენს. და მიკროსკოპიული სადგური „ბაქანი მარი“ არ სჩანს ველებში.

მატარებელი № ორმოცდათერთმეტი — შერეული მიზობავს გარუჯულ ველებში.

ხალხი, ადამიანის ფეხები, ხელები, თავები, მუცლები, ზურგები, ადამიანის ნეხვი, — ხალხი, ტილებით ისევე დაფარული, როგორც ამავე ხალხით ეს სათბური ვაგონები. ხალხი, რომელიც აქ დგას და მგზავრობის უფლება მუშტითა და კრივით მოიპოვია, რამეთუ იქ, მშვიერ გუბერნიებში ყოველ სადგურზე სათბურ ვაგონებს დამშუფლები ეხვეოდნენ, მიძვრებოდნენ თავებზე, კისერზე ზურგებზე, ფეხებზე, ხელებზე, შედოაღენ შიგ, — სცემდნენ მათ, ისინიც სცემდნენ, აცილებდნენ და ჰკლევდნენ ვაგონებიდან, ჰყრიდნენ ძარს უკვე გამგზავრებულებს და ცემა ტყეპა გრძლდებოდა მანამ, სანამ არ დაიძროდა მატარებელი და არ წაიყვანდა იმას, რომელმაც ზედ შერჩინა მოასწრო, — და ესენი, ახლად შესულნი, ახალ სადგურზე ახლა ახალ მუშტი-კრივისათვის ემზადებოდნენ. ხალხი მთელი კვირების განმავლობაში მოგზაურობს. ამ ხალხმა დიდი ხანია, რაც დაპყრობა განსხვავება დღედაღამის შორის, სიბინძურესა და სისუფთავის შორის და მიერჩიენ ძილს ფეხზე, დამსხდარნი, ჩამოკიდებულნი. სათბურ ვაგონებში გასწვრივ და ირიბად თაროებად არის დაფენილი ფიცრები და ფიცრებზე, ფიცრებ ქვეშ, იატაკზე, რაფებზე, ყველა ჯურღმულეში, სბედან, დგანან, წვანან, გაყუჩებულა ხალხი, — რომ მერე იხმაურონ სადგურზე. პერი სათბურში წაბილწული ადამიანების მუცლითა და ნახორკით, ღამით სათბურში ბნელა, კარები მიწეულია, ქვევები დახურული. სათბურში ცივა, ღრქოვებში ქარი უბერავს. ვილაც ხერხავს, ვილაც იქექება, სათბური ქრაკუნობს. მოძრაობა სათბურში შეუძლებელია, რადგან ერთის ფეხები მეორის გულზე აწევიან, მესამეს კი მათ ზევით სიძინავს და მისი ფეხები პირველის კისერზე ჰკიდია. და მაინც — მოძრაობენ... და ადამიანი, რომელსაც, როგორც ეტყობა, ფილტვები მთლად დაქმული აქვს, კარებს ინსტინქტურად ესრისება და მის გვერდით, გაწეულ კარის ღრქოვში ხალხი, ქალები და კაცები ქვეშ გამობნენ ნამორებზე ვადმოკიდებულნი, ან და ჩაცუქულნი ბუნებრივ მოთხოვნილებას იკმაყოფილებენ, — ადამიანმა ზედმიწევნით შეისწავლა, როგორ უნდა მოახერხოს ეს, — ყველა სხვადასხვა ნაირად ახერხებს ამას.

ამ ადამიანს, რომელიც უკანასკნელ დღეებს ათენებს და ჭლექი ბოლოს უღებს, სათკარი და ბუნდოვანი გრძობები აქვს: აზრები სტოიკიზმისა და პა-



ტიონების შესახებ, მისი პატარა ოთახი, მისი ბროწიურები და წიგნები, სამ-  
შილი,—ყველაფერი წავიდა სადღაც ჯანდაბაში. აუარებელ უწყვეტ უწყვეტ  
შემდეგ, აზრები, შეცეხებულივით, ნაწილდებოდა, და ეს კაცი გომიონდა თუ  
როგორ ორდება, სამდება მისი „მე“, როგორ ცოცხლობს და თავისებურად  
ფიქრობს მისი მარჯვენა მკლავი სრულიად დამოუკიდებლად და მის გაორე-  
ბულ „მეს“ რალაცას ედაედა. დღეები, ღამეები, სადგურის მოსახლეები, შესამე  
კლასის ვაგონები, სათბურები, საფეხურები, სახურავები—ყველაფერი აირია,  
დაიბურდა, უნდა წაიქცეს და ტკბილად დაიძინოს,—დაე მასზე იარონ, აფურთ-  
ხონ, აყარონ და შეასიონ ტილები. სტოიციზმი, ბროწიურები სოციალიზმზე, კლეკ-  
ზე და წიგნები ღმერთზე—ეს ადამიანი ოცნებობს ჯერ კიდევ უჩვეულო ამო-  
ბაზე,—დაეცე, ძირმოწრეულს ფეხები გამოგეწალოს, მიეხუტო ადამიანს—ვინ არის  
იგი? რატომაა ის? სიფილიტიკი? პარტახტიან სახადით შეპყრობილი?—გათბო  
იგი და შენც გათბე მისი ადამიანურ სხეულის სითბოთი... საყვირები, ზარების  
საფშტევენები... ტინი თითქოს გადმობრუნებულია და ბუმბულის გინგლში არის  
დაქვარქნილი, იმიტომ რომ ბუმბული მუდამ თბილია და თაკარა, აზრები თა-  
კარა, უჩვეულო, მოუცილებელი და ვნებიანი... ქანაობს, ქანაობს ტვინში კარის  
ურდული, კრაქუნობს კარები და ქალები, ქალები ეკიდებიან, ცუკქდებიან ქვეშ  
გაქანებულ რკინის გზის ნამორებზე. სქესი!..

გუშინ პატარა სადგურზე ვაგონს ვილაც დედაკაცი მოუახლოვდა. კარებთან  
ჯარისკაცი იდგა.

— ჩემო ძაშია, შემისვი ლეთის გულისათვის! არ დავედები, ფებზე ვიდ-  
გები,—სთქვა დედაკაცმა.

— ადგილი არაა! არ შემიძლია.—მიფგო ჯარისკაცმა.

— ლეთის გულისათვის...

— რით გადამიხთი, მერე?

— რამე ნაირად...

— სიყვარულიანობა გინდა?

— რამენაირად... მოვრიგდებით...

— აჰა, მამ ადი, ნარებ ქვეშ შეძვერ. იქ ჩვენი მანარა გლია. ეი, სემიონ,  
ეს დედაკაცი მიილე!

ჯარისკაცი ნარებ ქვეშ შეძვრა, ხალხი ირგვლივ შემოეხვია, და კაცის  
გულს ტკივილით რალაცა უსახლეროდ ტკბილი შემოეჭირა, მხეცური, —გინდოდა  
ყვირილი, მუშტი, კრივა, სცემოდი პირველსავე ქალს, რომელიც მოგზებდებოდა,  
ყოფილიყავ ღონიერი და სასტიკი, და აქვე, ხალხში, ძალა გეხმარა ქალზე-  
ძალა, ძალა გეხმარა ქალზე! აზრი, კეთილშობილება, სირცხვილი, სტოიციზმი,  
ჯანდაბას, ჯანდაბას იქით! მხეცი!

ქანაობს, ქანაობს თავში ურდული... ქალებო, ქალებო, ქალებო... ტკივი-  
ლებამდე თვალნათლად და მკაფიოდ ორდება „მე“, და გული ტვინის ამომკველ  
სიჯიუტით ედაეება მკერდს... კრაქუნობს, ქანაობს, მიბოხავს სათბური.



ვილაც კაცს თეხზე დაიძინა და წაიქცა, ძილისაგან ფეხებგამოშლილი, ვილაცის ფეხებში გაიშალა. მას კიდევ ვილაც დეცა თეხზე. კაცს სძინავს ტკბილად, ყრუდ, ქვასავით. სათბური მიუჭრდა, ყველას სძინავთ... სადგური, სტევენა, ბიძგება... კაცს წუთით ეღვიძება. ადამიანის თავი— „მე“ ადამიანისა გაორებულია, გასამიზნული, გაათებული! — მისი თავი დეცს ქალის ტიტველ მუცელზე, ტრიმიტილაბინის მძაფრი სუნი ასდის ამ მუცელს, აზრები ისე ირევა, როგორც რუსის ქრელი დედაკაცები ბაზრობაზე, — აზრები მიჰჭრიან ჯანდაბას იქით! — მხეცი! ინსტინქტი! და კაცი ჰკოცნის, ჰკოცნის, ჰკოცნის ქალის ტიტველ მუცელს, ვნებით, მტკივნეულად, — ვინ არის ეს ქალი? საიდან არის? — დედაკაცს ნელნელა ეღვიძება, იქექება, იშშუშნება და ნამძინარევი ამზობს:

— გაათავე ახლა, ხედავო!.. ხედავ, როგორ აიგდო თავი!.. — და — და უსწორ-მასწორო სუნთქვა დაიწყო...

ველები, უდაბურება, უსაზღვროება, სიბნელე, სიცივე.

სადგურში, სადაც მატარებელს შემოათენდა, ხალხი წყლისათვის ჩამწრალ კებთან და ნაგუბარებთან გარბიან, ანთებენ ცეცხლებს, რომ გათბენ და კართოფილი მოხარშონ, — და ცალიერ სათბურში ნახეს მკვდარი: გუშინ მოხუცი პარტახტიან სახადით იტანჯებოდა, ახლა მოხუცი მკვდარია. ლაბრი, სავანთიადო ნისლია ყველგან დაშვებული. ველების ცისკიდურთა ღრეჩოებიდან მოდის ქარი, ცივი და ბოროტი. ღრუბლები ძირს დაიწვიენ, — თოვლი წამოყვა. ნამორები, სათბურები, ხალხი. ცეცხლები წითლად ანთია, ყველაფერი ბოლით გაიგვიჟა. ცეცხლებთან, სადაც კარტოფილს ხარშავენ, — ხალხი იხდის პერანგებს, კოფტებს ნიფხვებს, კაბებს, აბურტყავენ ცეცხლში ტილებს და ფრჩხილებით სრესენ ნაოკებში მიყრილ წილებსა და კვერცხებს. ხალხი მოგზაურობს მთელი კვირეები — ველებში! პურისთვის! — არ არის პური, არ არის მარილი. ხალხი მსუნაგად სკამს კართოფილს, მატარებელი გაჩერდა და ასე იქნება გაჩერებული ერთი დღედაღამე, ორი დღედაღამე. გათენების ხანს ხალხი მახლობელ სოფლებში იფანტება, და სოფლებში (რამდენი შორს წახვალ ველებში, მით უფრო დაბალია ქოხები, მით უფრო მაღალია ზეინები), პატარ პატარა ჯგუფებდ დაყოფილნი თხოულობენ ღვთის გულისათვის. დედაკაცები დგანან სარკმლებთან. თავს უკრავენ და ჰგალობენ:

— გვიწყალობეთ რამე ღვთის გულისათვის!

მატარებელი დგას ერთი დღედაღამე ორი დღედაღამე. სათბურების მამსახლისები მიდიან სადგურის მორიგესთან ჩეკაში. აქ იყვნენ თეთრები — სადგური: — სათბური ვაგონი, ბოროლზე მოხსნილი, რიგში გამწყვდრიებული სათბურები, კარების მაგიერ გამოტობრულ ღრეჩოებით. კანტორაში — ბნელ სათბურში — ხრჩოლავს თუნუქის ფეჩი, დგას ლექის სუნი, ზეზუნობენ ტელეგრაფის მავთულები და ხალხი.

ვილაც კაცი მორიგეს ჩურჩულით რაღაცას ეუბნება.

— არ შეიძლება! — ამბობს მორიგე კმაყოფილ ბანით. — სრული შემადგენლობაა. ას ორმოცდაათი ღერძია, სამოცდათხუთმეტი. ვაგონი, არ შემოძლია.



კაცმა თავისი სამაგური მორიგეს სამაგურთან მიიტანა და ამოცდა დასტას. — ამახანავებო! — არ შემოძლია! მე მხოლოდ ის შემთხვევაში ვიღებ, როცა რამე შემოძლია, ამ შემთხვევაში არ შემოძლია — სამოცდათხუთმეტი ვაგონი, ასორმოცდაათი ღერძი. არ შემოძლია!.

და სამაგურზე სამაგური გადასვა — მაშასადამე მეტი „მოქონება“ საჭირო. მაგრამ აღმოჩნდა რომ მორიგეს შეეძლო. საღამოთი ახალი მატარებელი მოვიდა, ახლები ანთებენ ცეცხლებს და სრესენ ტილებს, — და ეს მატარებელი ღამით პირველი გავიდა. ხალხი მორიგესთან გარბის, მორიგე არ არის, — ახალი მორიგეა (ეს ასე იყო, — დარაჯები ხალხს ამშვიდებდენ: — აქ არ არის, ვაიგონეთ... იმ კვარია შეიდეგერ მაინც გალახეს...). ხალხი ჩიკაში გარბის, — მაგრამ ღამით სასურსათო არმიელების რაზმი მოვიდა და ვაგონების ჩხრეკა დაიწყო.

სასურსათო არმიელი მიუტებულ სათბურში შედის.

— აბა, რომლებია? რაა?

მოხუცმა ქუდი მოიხადა და ჩამოატარა.

— აბა, ძამიებო, ჩამოდით თითომ ორ ორი!..

განთიადის ხანს მატარებელი გავიდა.

ბაქანზე გამოჩნდა მორიგე და მატარებელი ათას ყრონტიდან ამოხეტქილ ღრიალით ეფხოვება:

— წუწუ — ნალოოო! შეეე — ქრთაა — შეეე!..

მატარებელი ისე ნელა მიდის, რომ შეეძლება ჩამოხტე და ფეხდაფეხ გაპყვი ველები. უდაბურება. სიცივე. სიმშლი. დღისით ველებში ამოდის ნამძინარევი მზე. შემოდგომის დღემილში გაძარკულ მინდვრებში დაფრინავენ ყვაეების გუნდები — მოსაწყენი გუნდები. ბოლავენ ცისკერ მზის ხრჩოლით იშვიათად შეხვედრილი სოფლის ქოხები, — მოსაწყენი ქოხები.

ღამით მოთოვა. დედამიწა დაიღას ზამთრით შეეგება, მაგრამ თოვლმა სითბოც თან მიიტანა და ისევ შემოდგომა დადგა. წვიმა ასხამს და ცივი ქართ დაბერილი და გათოშილი მიწა სტირის სოფელი ზეკით წამოხურვილი. ნაცრისფერ ნაფლეთებად აწყვია თოვლი. რუხი მანდილი გადაეფარა დედამიწას.

სოფელ ძველ კორდუმში, რომელიც ველის მდინარის ნაპირებზე ისე გაშლილა, როგორც ბუზებისაგან დატოვებული ლაქები, არაფერ იცის, რომ აი იქ, ცის კიდურთან გაწვა — აზია.

სოფელ ძველ კორდუმში, რუსების, თათრებისა და მორდოველთა მხარეზე — ქოხებ წინ ბელღებში და ქოხებს უკან ზღინებში, კალოებში — ჰყარია ზორბალი, ქერი, შვრია, იფქლი — პური. პურთან ერთად მილაგდა ყველა, ახლა ისვენებენ.

ამ დღეს გათენების ხანს სოფელ ძველ კორდუმში, რუსების მხარეზე აცხელებენ აბანოებს. აბანოები — მიწურები — დგას მდინარის გასწვრივ. ფეხშიშველ დედაკაცებს მოაქვთ წყალ, ქოხში სახლის ფფროსი ნაცარს წყალში ხსნის, ჩერებს აგროვებს და ყველა აბანოს ოხშივარში გამოსაშუშებლად მიდის — მოხუცებულ-



ნი, ახალგაზრდები, მაზლები, ვაჟიშვილები, ბავშვები, დედები, ეფუძლენოვანნი, გოგონები, ყველა ერთად. აბანოში არ არის ჰაერის საწმენდი საშუალება. აბანოში, ორთქლში, მოწითალოდ გადმოკრულ სინათლეში, სიციწროვებაში, ჯიკავობენ, ძიძგილაობენ ადამიანის თეთრი სხეულები, ტანს ყველა ერთ და იგივე ტუტით იბანენ, ზურგებს ყველას სახლის უფროსი უზღელს და სუფთა წყლის გადასავლებლად ყველა დიდთან-პატარაიანად იქვე პატარა მდინარეზე ზირბიან, მირბიან დოლის საგანთიადო სუსხში. მდინარის სანაპირო ნაპარლებში თოვლი დევს.

თათრების მხარეზე, მდინარის გაღმა, სადაც მკაეთია, პარასკევს შემდეგ, თათრები, თავის პატარა ნოხებს გაშლიან, სანბრეთისაყენ პირს შეიბრუნებენ და ლოცულობენ—უხილავ მზეზე, შემდეგ ხელს გადაიბანენ და წინდების ამბარა მრგვალ ქოხში ბიდიან, რომელიც მთლად ნოხებით არის მოფენილი. სხდებიან შუა ქოხში, იატაკზე და ცხვრის ხორცს ხელით სჭამენ, პირს აწკლარტუნებენ და თითებში ქონი ედინება. ცხვრის თვალებს მოხუცი სჭამს. ქალები, რომელთაც, მგონი, ნება არა აქვთ კამისა და ლოცვის, მამაკაცებს უკან ხელში დოქებით დგანან და ელოდებიან.

და ამ დროს სოფელ ძველ კორდუში ზოდის კიდევ ახალი ჯგუფი, რომელიც აქ პურისთვის ჩამოვიდა.

ეზოს გარემოსთან, უას ახლო დგანან მორდოველები. დედაკაცებს კუნძებოვით დასიებული ფეხები აქვთ და ტანსაბან ხრალივით წვერებიან პატარა დღეულ გლეხებს თავზე გაქონილი ქუდები ჰაზრავთ და ტანთგწვივებამდე ჩაშვებული პერანგები აცვიათ, რომელზედაც სარტყელი თითქმის მკერდზე აქვთ შემოკრული—ველური ხალხი უფრო მეტი იღუმბლებით არის მოცული, ვიდრე ძველის-ძველი სფინქსები. ვიღაც გლეხუკა მანქვით მირბის ახლად მოსულებისაყენ, ქუდს უხდის, ილიმება, იკმუნება და ბუტბუტებს:

— ვერცხლის ფარა მომეცი... ფარა... ქერს მოგცემ, ხორბალს მოგცემ... ვერცხლის ფარა!...—და ისევ უკან გარბის.

ნის მაგიერ ახლა კუნძებივით ფეხებ დასიებული დედაკაცი მორბის.

— ვერცხლის ფარა მომეცი!.. ქერს მოგცემ, პურს მოგცემ!—ამბობს დედაკაცი, ილიმება და ისევ უკან გარბის, იკმუნება, ზუკავს მზისუმზირას კაკლის მზგავს თვალებს და თვალები იგი მღრიალია, როგორც სალდათის გაკრეცილი დილი (კიტაი—გოროდი!).

ნაპარლებიდან მახლობელ აბანოდან გამოვარდა თმაგაწიწილი შიშველი გოგო, კუდმომწვიაროვით მახლობელ მდინარეზე ჩაირბინა და მერე იქიდან ისევ აბანოში გაიქცა. იმავე მხარედან, მდინარეს გაღმა ნაპირიდან, ცხენებზე ფეხების ქანაობათ მიდიან თათრები, თან თათრების ბიჭები და აღრენილი მუფთარა ძაღლები ახლავთ. თათრები ახლად მოსულებს ირგვლივ ებგვიან, უხანკიდან ამოღებულ ფეხებს აქნევენ, ცხენს სადავს უჭერენ და ხელს ჩამოსართმევად იწვდიან. ერთი ეშმაკურად ილიმება და ჰყვირის:

— ჩემგან იყიდე! მე—საბჭო ვარ, კამიტეტი, კამისარი! ჩემგან იყიდე! ასი მანეთი! საქონელი გავცევალოთ!—და თვალთმაქცურად ილიმება.—წამო ჩემ-



თან! ცხვირი შეეწვით! მე—საბჭო ვარ! ვბრძანებ—გაეყოდი, **მეჩვეულებანი—არ გიშვებოდა**  
გაეყოდი.

ლიბრ ნაფლეთებად ყრია თოვლი, ნაცრის ფერს მანდილს დაემზგავსა სუს-  
ხი, და არ მოსჩანს უნაპირო ველთა კიდეები. სოფელ ძველ კორდუმში არავინ  
იყის, რომ აი იქ. ცისკიდურს იქით არის—აზია. დედაკაცი, აი ის, რომელიც  
დამწველებთან ერთად მოვიდა, ფიქრობს: „ჭერი, თუ მელესტინში გაეცვალე,  
ათი მანეთი მაინც დამიჯდება, ფულად კი—ასი“...

გზაზე ორი კაცი მიდის ბოხებით ილიაში. ქასთან დედაკაცი დგას, ერთი  
მათგანი მნიშვნელობით უახლოვდება დედაკაცს და მნიშვნელოვანად ეუბნება:

- ფქვილი საქონელში, გინდა?
- რა საქონელია?
- მანფართულაა. მელესტინი, სარპინკა... სხვადასხვა საქონელი.
- მოიცა ვნახოთ... რომელი სახლიც ვანიშნოთ, შემოდიო!

ანიშნა. შედიან. თავი ჭერში აბრტყეს—ქოხში შევიდენ. ქოხში ნახევარი  
ადგილი ღუმელს უჭირავს, ღუმელზე დედაბერი ექვაიოდ ბალლით შემოხვეული  
წევს, კუთხეში ღორი აბია, სუფთა კუთხეში—პატრონია, ხატები, გენერლის სუ-  
რათი და მეფის გვარეულობა.

პირველს იწერენ. თავს უკრავენ. ყველას ხელს სათითაოდ ართმევენ. საქ-  
მელად მიიწვიეს,—და სქამენ ხმის ამოუღებლად, მსუნავად, სულწასწრებით—  
ღორის ქონს, ღორის ხორცს, ცხვრის ხორცს, ფაფას, წვეწს, პურს, მერე ისევ  
ღორის ქონი, ისევ ცხვრის ხორცი. სახლის უფროსი სუფთა კუთხეში ზის  
ჩუმად, ჩუმად უცქერის,—სახლის უფროსის თვალები გაბუძვულ წვეკრებით არის  
დაფარული.

სახლის უფროსი რძალს ეუბნება:

- დუნია, აბანო გაამზადე!

მიდიან საბანაოდ და ორთქლში გამოშუშების დროს დუნია მათ წყალს  
უზიდავს.

როცა სტუმრები ბრუნდებიან, სახლის უფროსი დუნიას ეუბნება:

- დუნია, სამოვარი დაადგი!
- და მერე სტუმრებს მიმართავს:
- აბა თქვენი საქონელი მაჩვენეთ?

სტუმრები საქონელს შლიან. სახლის უფროსი დინჯად უცქერის. ჩუმადაა.  
დედაკაციები თავისიანნი და მოსულნი საქონელს ისე მიეხიენ, როგორც თავილს.  
სტუმარი დიასახლისს რაღაც წითელ ჩვარს აზომებს, გვერდში წაპკრა და გნმა-  
კურად ამბობს:

- სახლის უფროსო, შეხედე, თუ ათი წლით არ გაყმაწვილდა!.. დიასახ-  
ლისო, აბა მალე ღუმელზე აასწარი და ქმარს დაემალე.
- დამეხსენი! უზრდლო!—ამბობს დედაკაცი და თან თვალები სიხარუ-  
ლით უბრწყინავს.



მერე სტუმარმა პრანკვით ფეხზე საზარვლე შევიოტი შევიოტი ვეკლას აჩენა და თან საქონელს აქებს. დედაკაცებს, საქიროს თუ უსაქირო ყველაფერი მიაქვთ, და მეორე სტუმარი ოჯახის უფროსს ებაასება კირნახულზე, ომზე, სიმ-შილზე და ავრეთვე იმაზე, თუ რამდენი მელესტინი, მადეპალამი, მანქანები და ჩითები აქვთ მოსკოვში მოსკოველებს და როგორ ეცემიან ქუჩებში სიმშილისაგან პანცმოწყვეტილი დაშველები.

ჩაიკ მოიტანეს. ყველა სვამს ქოშინით, სულას ბერვით, ხმას არ იღებენ. არ მოატყუე ვერ გაპყიდი. როცა ექვს-ექვს ჭიქას დასკლიან, ოჯახის უფროსი დონიჯს შემოიყრის და შუბლ შეყვრით იკითხავს:

— მაშ ასე, ფასი რაა?

დედაკაცები მაშინვე კარებთან მიდგენ და გულუბრყვილო და განურჩეველ სახეებით შეფიქრიანებულნი, — საქმეებში ბრძანებელი ჩაერია.

— ჩვენი საქონელი — თქვენი ფქვილი, — მიუგო საჩქაროდ სტუმარმა, — ჩვენ ფქვილი გვინდა.

— რასაკვირველია, ფქვილზე! ფქვილი ჩვენში ახლა სანოცდაორი ფასობს.

სტუმრის საზე ტკივილისაგან მოიღრცა და შეწუხებულმა წამოიძახა:

— ა—ა!.. თქვენ საქონელს აფასებთ და ჩვენსას კი არა?.. ა—ა.. მერე ვინ გააძვირა ასე თქვენი პური?.. — ჩვენ ყველამ?.. ჩვენ სიმშალით ქუჩაში ვინოცებით და თქვენ კი ზურგზე ტყავს გვაძრობთ!.. ა—ა!.. ვინ გააძვირა თქვენი პური!.. ვინ გააძვირა!.. — ჩვენ ყველამ!..

— დედაკაცო, დაასბი კიდევ ჩაი, — ამბობს შუბლშეყვრით ოჯახის უფროსი.

ოსევ სვამენ, ოსევ ვაჭრობენ, მერე კიდევ სვამენ და კიდევ ვაჭრობენ. დედაკაცები კარებთან დგანან და ჩუმად არიან. დედაბერი ღუმელიდან მეთაუდ კითხულობს: ვინაა?.. — გოგოებს წიქარში ბიჭები წამოუხევიან. გოკი ღრუტუნობს. ღუმელ ქვეშ ყვინჩილები ხორხოცობენ.

ბოლოს ოჯახის უფროსმა და სტუმარმა ხელი ბელს დაკრეს: მთელი საქონელი — მთლად — სამი არშინა — ფუთი პური. ოჯახის უფროსი კმაყოფილია რომ სტუმრები მოატყუა, სტუმრები კმაყოფილი არიან რომ მასპინძელი მოატყუეს. მასპინძელმა კიდევ მოართვა სტუმრებს — ღორის ხორცი და ბლითები ნალბითა და ერბოთი, მერე სამიკიტნოში მიიწვია არაყის გადასაკვრელად. ვარიანების დროებაა!

სამიკიტნოსთან ჟოკზე წამოგებული თივის ბლოჯა ქარისაგან იწიწება სოფელში ძალღები ყიფენ. თათრების მხარეზე, სადაც სტუმრებს ფეხი დაბანეს და იატაკზე დამსხდაროთ საქმელი მოართვეს, დასდევს ჭობიდან ჭობამდე ხ ღზი მყიდველებს. მჭადრო ჯგუფებად დგანან უშვილო და უსიკოცხო მორდოველები. ეზოებს იქით ველებია — ღნაპირო და დაუსრულებელი. ველებიდან უბერავს გათოშლი ქარი, წვიმა ასხამს და მიწა სტირის. სამიკიტნო ი გლეხები ლოთობენ, ღრიანებენ და შეზარხოშებულნი თათარ-კამისართან მიდიან.



სოფელ ძველ კორდუმში რამოდენიმეჯერ იყვნენ წითელკვამლეულები, მთელი რიგები გადამწვარი და გაძარცული. სოფელ ძველ კორდუმში ცხოვრობს ხალხი ყელთამდე ხორბალში ჩაფლული ღორებთან და ხედავებთან ერთად, რომელთაც საზრდოდ ხორბალს აძლევენ. ცხოვრობენ კვარის სინათლეზე, კვარს ტალკესით ანთებენ; ცხოვრობენ ნახევრად შიშველნი... ველებში უზარმაზარ ტალღებად ღელავს კონტრრევოლიუცია და რბევა, რომელიც ღამით ხანძრებად ანთია და განკაშით გუგუნობს... სოფელ ძველ კორდუმში ახალგაზდა ბიჭები არ არიან; ზოგი რევოლუციის გზას დაადგა, ზოგი თეთრებს გაჰყვა.

ბინდები. ღიფ, ბინდებში ოცდაათი წლის სალდატკა (ტკბილია ღამით საბძელში სალდატკის კოცნა) აჩერებს ვიღაც კაცს, რომელიც ჭლებსაგან უკანასკნელ დღეებამდე მიღწეული, თავისკენ იტყუებს და ერთრწულება:

— წამო ჩემთან, ბიჭო! სახლში არაფერია, პურს მოგცემ. აბანო ცხელია.

და აბანოში, მოწითანოდ გადაკრულ სინათლეზე, კაცი იგი ხედავს: ქალის მუკელზე და ბაყეებში მარმარილოს ფერად მიყრილ ნაყარს—სითილისის—პარტახტი.

ბინდებში მეტეითდან მეფინის ყვირილი ისმის. ბინდებში თათრები პატარა ნახებზე მუხლმოყრილნი, აღმოსავლეთისაკენ, უბილავ აზიისაკენ ხელაპყრობილნი ლოცულობენ.

ყვავების უკანასკნელი გუნდი გადაფრინდა.

და ისევ უკან ცალიერ ველებში მიხობავს მატარებელი № ორმოცდაჩვიდმეტი—შერეული, დატვირთული ხალხით და პურით.

და „ბაქან მარში“, სადაც უწინ კვერთხებხაც კი არ სცვლიდნენ, აახდინა ფერითული კარიერა: ახალგაზდა მორიგეს ოცნებები ახდა, „ბაქან მარში“ გზა შეტყრეს და შინაური ბაყი დააწესეს. ახლა მატარებლები აქ დღედაღამეები დგანან.—და დღედაღამე ანთია აქ ცეცხლები და სადგურის ირგვლივ ირევა ბაღი. ქაში და გუბებში წვეთი წყალი არ მოიპოვება. და წყლისათვის ორი ვერსის მანძილზე მირბიან, მდინარეზე, ორი ნაბიჯის გაველიც არ შეიძლება ისე, რომ ადამიანის გ.ნავალში ფეხი არ ჩაჰკრა. სასანიტარო სათბურები გატენილია ავადმყოფებით. სასურსათო მატარებლიდან, საიდანაც მკაცრად იტყირებიან ტყვიისურქველები, ისმის მზიარული სიმღერები და ათი გარმონის ჭყვიტინი. ირგვლივ კენესაა, გოდება, ტირილი, მუდარა, წყვეა-კრულვა.—მორიგე რაზმის უფროსს ელაპარაკება მოკლედ, სხარტად, ორ სიტყვით—მორიგეს კარგად ესმის სამაჯურის სამაჯურზე გადასმის მნიშვნელობა,—მორიგეს შეუძლია მატარებელი ათ წუთში გაუშვას, და შეუძლია ორი დღედაღამე დააკავოს,—მორიგეს შეუძლია მილოს და მაშინვე, გაუჩერებლად გაისტუმროს მატარებელი, ღამით, როცა გზის შემკვრელები „სინათლობის გამო“ არ მუშაობენ,—და მორიგეს განკარგულუ-



ბაშია—ქალები, ღვინო, ფული, ახალი ტანისამოსი, საუკეთესო ჯაჭვები, კენემისა და სიუს კამფეტები,—მორიგე ლაპარაკობს როგორც სპასილარი, ორიოდე სიტყვით და მას უკვე აღარ სცალია ბაქანზე, რომ მოწყენით ისეირნოს, ამას დრო უნდა.

მიზობაზე გარუჯულ მინდორ ველებში მატარებელი № ორმოცდამეჩვიდმეტე. შერეული, ხალხით, ფეკილით და ტალახით გატენილი... ეცემა, ეცემა ღამის უდაბურებაში სოფელი თოვლის ფანტალები და ქარი აფრიალებს მათ ჰაერში. სათბურები ჯაჯგუნობენ. ღამე, სიბნელე, სიცივე და კიდევ კარგა ხანს მოსჩანს „ბაქან მარზე“ დანიებული ცეცხლები,—საშინელი, როგორც ცხელებიანის ალმური. სათბურებში, სადაც სხედან და დგანან ერთიმეორეზე, არავის არ სძინავს, სათბურები მიუწყებელი არიან, მატარებელი ჩერდება ნელა. ყოფდ კრაქუნობენ ვაგონის თელები. ანთია ცეცხლები, და ცეცხლებთან თოვლში ხალხი ერთიმეორეს ეუჭუჭყება და ყრია ტომრები. სადგურის ქოზი დამონჯებულია. სიბნელეში თავისი საქრთამო ფულებით გროვდებიან მატარებელ № ორმოცდამეჩვიდმეტე შერეული სათბურის მამასახლისები, თოვლი. ქარი. ორი მამასახლისი მიდის, მოდის. წუთით სადგურის წინ მორიგე განოჩნდება და ლაპარაკობს ისე, როგორც სარდალი.

სიჩუმე.

ჩურჩული.

და სათბურებისაკენ შორბიან საქაროდ მამასახლისები.

სათბურში ბნელა. მამასახლისმა კარი მოიხურა. სათბურში სიჩუმეა.

— რა იყო?—კითხულობს ვიღაც ბრინწიანი ხმით.

მამასახლისი ქოშინობს და, თითქოს გახარებულიცაა.

— ქალებო, გოგოებო,—თქვენთან ვარ!..—ამბობს მამასახლისი ჩურჩულით.— მიბრძანა, რომ ყველაზე ღამაში ქალები, გოგოები გაუგზავნოთ იმათ,—არმიფლებს,—მეო,—მათხრა, არაფერი შემიძლიაო...

და სათბურში ჩამოვარდა სიჩუმე, მხოლოდ მამასახლისი ქოშინობს.

— ქალებო, გოგოებო,—ა?

სიჩუმე.

— რას იზამენ და წავლენ! რას იზამ!—ამბობს ვიღაც კუმტად. პური, პური მიგვაქვს!

და ისევ სიჩუმე.

— რა ვლყოთ, მანიჟშა,—წავიდეთ...—აწყრილდა ხმა, გაწყვეტილ სიმივით.

სათბურიდან, სიბნელეში, თოვლში, მოძვრებიან ფრთხილად ქალები, და მათ ზურგს უკან მაშინვე მისწიეს კარი. ქალები უსიტყვოდ, ჩემად გროვდებიან ერთად. უცდიან, სადღაც იქვე ტელეგრაფის მივთულები გუგუნობენ. მოვიდა ვიღაც. ჩახედა თვალებში და ჩურჩულით ამბობს:

— მოგროვდით.—ყველა აქ ხართ?.. წამოდით... რა იზამ... პური, გვისხენით, ქალებო,—გოგონებო... რომლებიც მთელი ხართ ნუ წამოხვალთ, რათ უნდა... რახან...

მარკინეშვილი

მერე ქალები დიდხანს დგანან სასურსათო მატარებლის მსვლელობისასათ-  
ბურებთან, — სანამ ვილაც სალდათურ ხალათში ჩაცმული ბიჭი არ მოვარდა.

— აა, ქალები? ჩვენ ქალები პირველ რიგებშია დე გვინდა! — ამბობს ის  
მზიარულად: — ააუ, აქ მთელი ჯოგია, — ხედავ, მონატრებით! აარჩიე თხუთ-  
მეტოიდე, რომლებიც ყველაზე ლამაზებია. და — მიყურე! — ყველა ჯანსაღი იყოს,  
თორემ...

ლაშე, მოდის, მოდის თოვლი. გუგუნობენ მავთულები. გუგუნობს ქარი  
კანკალობენ ცეცხლები. ლაშე.

კანტორაში, მორიგეს ირგვლივ ირევიან მამასახლისები და ხმა შეცვლილ-  
ნი, რაღაც მოშაქრულ, ტაბილ, წრიპინა და ქლესა ხმით ერთი მეორეს არ  
აცლიან, იმანკებთან, უმასპინძლდებთან მორიგეს — ნესვით, სპირტით, კონიაკით,  
პაპიროსით, თუთუნით, ჩითით, ღრაფით, ჩაით... მორიგე, ლაშე რომ გასტეხოს  
და თავი შეიქციოს ფელდმარშალურ ტონით ამბობს უწმაწურ ანექლოტებს, და  
მამასახლისები ლაქტციით, მოშაქრული ხმით: იცინიან და თავებს მორცხვად  
ჭხრიან.

გათენების ხანს მატარებელი № ორმოცდაჩვიდმეტი — შერეული სტვენს,  
იქაჩება, თითქოს ხერხემლის გორგლები სწყდება ერთი მეორეს, და — გადის  
სადგურ „ბაქან მარიდან“.

პური!..

სადგურს უკან ამართულია ძველის ძველი ბექობი, რომ უის სახელიც ჰქვია  
თვით ბაქანს. ოდესღაც მართან მოჰკლეს კაცი და საფლავის ქვაზე ვილაცამ  
მოჭრეველი ხელით მიაწერა:

„მე ვიყავი შენსავით, —

„შენ იქნები ჩემსავით“.

უნაპირო ველები, ბექობი, ყველაფერი თოვლით არის დაფენილი და წარ-  
წერისაგან მხოლოდ ორი სიტყვა სჩანს:

„მე ვიყავი... — —“...

შემოდგომა, საღამოთი გორაკ ქვეშ ქალაქ ორდინინში დაინთება ცეცხლე-  
ბი: ეს: დამშეულები წყნის ხარშვას იწყებენ, ისინი, რომელნიც ათასობით მო-  
ხობავენ ველებში პურისათვის და გორაკიდან მოაღწევენ ხმა მწუხარე სიმღერე-  
ბისა. ის ლაშე, ანდრია ვოლკოვიჩი: — დაგორდა ქვები დაქანებულ ფერდობზე,  
დაეშვა მისთან ერთად და ძირს დაქანებულ ანდრიას ქარმა უფრში: — „გვიიუუ“...  
დაპბერა, დაკვივისაგან თვალთაგან ნაპერწკლები დასცვივდა და მას მაშინ მხო-  
ლოდ ერთი რამ დარჩა: გული. საიდანღაც ზევით გუშავმა რაღაც დაიძახა და  
მერე: — დამშეულთა ცეცხლები, რკინიგზის ნამორები, დამშეულთა სიმღერის  
ნაწყვეტი.



მარკინეშვილი

— მაშასწამად. ერთი საკითხი, — დოსტოვესკისებურად, — **მატარა საკითხი:** — „ბაქან მარის“ ის მორიგე — ანდრია ვოლკოვიჩი ან გლებ ორდინინი ხომ არ იყო? — ან და სხვანაირად: — გლებ ორდინინი და ანდრია ვოლკოვიჩი — ხომ არ იყვნენ ის კაცი, ვლადი რომ ბოლოს უღებდა. — ეს ჩვენი ივანუშკა-დურაჩოკები და ივანუშკა ცარევიჩები?

ბნელია ტრიპტიხის ეს მესამე ნაწივეტი!

— სემიონ მატვეცი ზილიტოვის წიგნში — წიგნში „გონიერი ყოფა, ანუ ზნეობრივი შეხედულება ადამიანის ღირსებაზე“ არის ფრაზა:

„არის განა იმაზე უსაშინელესი რამ, როცა ხედავ ურწმუნოების ზრდასა და განვითარებას, იმ დროს, როცა ბუნების ძალნი უძლურდებიან, იწურებიან, რათა ზიზღით აღსაყვამ შეჰხედოს ძრწოლას და გარს-შემოხვეულ მიცვალებულის სარეცელს და მსოფლიოს ამაყად უანდერძოს თავხედობისა და ურწმუნოების მაგალითი?“

თარგმ. დ. შენგელაიაძე.

(გაგრძელება იქნება)



პროტიკა, მხატვრობა  
და მემუარები

## ჩემი სწოვრების გზაჯად

XII

შიუბედავად იმ ხელის შემშლელიობისა, იმ წინააღმდეგობისა, რომელს ეწეოდნენ ჩვენი ხმოსნების მიმართ, მათ ასათიანისა, ვოლსკის და მესხის მეთაურობით დიდი ენერჯია და მოსაქნარეობა გამოიჩინეს. ქალაქის თვითმმართველობაში გაჩაღდა სალი, არაჩვეულებრივი მუშაობა. გამოჩნდა ბევრი ნიჭიერი მოღვაწე მოსაქნარე და საზოგადო ინტერესით გამსჭვალული, სულ მოკლე ხანში დამთავრდა ბათუმის გიმნაზიის გახსნის საქმე, აგებულ იქნა მისთვის ჯერ დროებითი, შემდეგ დიდებული ორსართულიანი შენობა: მშვენიერა შენობა აიგო საქალაქო სასწავლებლისათვის. აშენდა ქალაქის გასანათებლად საკუთარი ელექტრონული სადგური; გაიხსნა ას ოცი საწოლიანი საავადმყოფო, რომლისათვის აგებულ იქნა სამაგალითოთ მოწყობილი შენობები; გაიხსნა რამდენიმე დაბალი სკოლა ცალცალკე ყოველ ეროვნებისათვის, დაწესდა ლომბარდი, გაიხსნა ქალეზის გიმნაზია; განახლდა ბათუმის გარშემო მდებარე ჭაობების დაშრობის მუშაობა ქალაქის გასაჯანსაღებლად; აიგო ნურიის მოედანზედ მშვენიერი შენობა დაბურული ბაზრისათვის; გაკეთდა ასფალტიანი ტროტუარები ზღვისკენ მიმავალ ქუჩებზედ; შეუდგნენ ქალაქის გამგეობისათვის შენობის აგებას, იმ შენობის რომელაც დღეს ამშვენებს ბათუმს. ერთი სიტყვით ეს ოთხი წელიწადი მართლა რომ სამაგალითო და საბრძანო მუშაობაში ჩატარდა. ყველაფერი კეთდებოდა ფიცხლად, ხალისიანად და მჭიდროდ.

გიმნაზიის გახსნას ბათუმში წინათვე ბევრს მაცადნობდნენ, მაგრამ ვერას გზით თავი ვერ მოაბნეს. ასათიანმა კი სულ მოკლე ხანში მოახერხა მისი გახსნა პეტერბურგში წასულმა, ყოფილ მეფის მოადგილის მიხეილ ნიკოლაევიჩის დახმარებით, რომელიც მას დიდ პატივს სცემდა, მან ამისათვისაც და სხვა მრავალი საქმისათვის ნებართვანი და ფული იშოვა. გახარებული უკან ის იყო ებრუნდებოდით, მითხრა მან, რომ ჩემთან მოვიდა გულშეწუებული გიორგი ზდანოვიჩი, რომელმაც შემომჩივლა რომ ნახევარი წელიწადია თითქმის რაც აქ ვარო შავიქვის საქმეზედ და ვერაფერი გავაწყვეო და ვერც ებრუნდები ხელ-ცალიერი და



არც არა გამოდის რა ჩემი აქ ყოფნითო. კაცი ვერ ვიშოვე ჩემი მიხედვით, ნიკოლაევიჩს მივუგზავნო—უბრძანებთ კი საქმე არ გაკეთდება.

საქმე იმაში იყო, რომ ზღანოვიჩი მაცადინობდა რათა შავიქვის გადასახიდავი ფასი რკინის გზით რამოდენიმე კაპიკით შეემცირებინათ, დაეკლოთ იმ ათ კაპიკზედ, რასაც მთავრობა ახდევინებდა ყოველ ფუთზედ, და ამით შეძლება მისცემოდა მწარმოებლებს გაეფართოვებინათ წარმოება, როგორც ამბობდენ ესეთი დიდი ტარიფი დაწესებული იყო მიხეილ ნიკოლაევიჩის ხათრით, რომელს მარიუპოლის მამულში ქონდა შავი ქვა, მაგრამ დაბალი ხარისხის და მოიჯარადრეთა ხელისშესაწყობად ქიათურის შავ ქვასთან კონკურენციის გასაადვილებლად უკანასკნელზედ დიდი გადასახიდი ტარიფი შემოაღებნა.

ზღანოვიჩმა სთხოვა ასათიანს ეშვამდგომლა ამ საქმეში მიხეილ ნიკოლაევიჩთან. ასათიანმა არ უთხრა უარი ზღანოვიჩს, ინახულა მიხეილ ნიკოლაევიჩი და დიდი ნობერზედული სიტყვით, რომ მას არ წყენოდა რამე, მოუყვა ქიათურის შავი ქვის მრეწველთა დიდი გაჭირვებაზედ მაღალი ტარიფის ვანო, მრეწველობის დაღუპვის შესაძლებლობაზედ ახლო მომავალში, თუ რომ გადასახიდი ტარიფი დაკლებული არ იქნა.

საუბარი იყო საუზნეზედ, რომელზედ ასათიანი მიპატეებული იყო.

— ლუკა ნიკოლაევიჩ! თქვენც შავი ქვის მრეწველი ვახდით! უთხრა სიცილით ასათიანს მიხეილ ნიკოლაევიჩმა.

— არა, მაგრამ მეც მიანტერესებს ეს ჩენი ქვეყნის მოლონიერებული წარმოება და ამიტომ ვიკისრე თქვენს წინაშე შუანდგომლობა და ვაწუხებთ თხოვნით თქვენი გავლენიანი სიტყვით დაეხმაროთ ქიათურელებს! ვუთხარი მეო.

— ვიცი, მე მამრალიან ამ მაღალ ტარიფს, რომ ჩემი შავი ქვა ნიკოპოლში და ნარიუპოლში უფრო გავასალო, მაგრამ გვ მართალი არ არის. მე მოიჯარადრები მყავს, გრძელ-ვადიანი ნოიჯარადრენი და მე სულაც არ ვერევი ამ საქმეში, მერწმუნეთ! თქვენ თხოვნას კი, ლუკა ნიკოლაევიჩ, ავასრულებ, უსათუოდ ავასრულებ!

საუბრის შემდეგ მან წერილი მიწერა ვილაც ტრუბეტკოის და ერთი კვირის შემდეგ ქიათურიდან შავი ქვის გადასახიდის ტარიფს მოუკლეს სამი კაპიკი.

ზღანოვიჩის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდაო და ნიშნად მადლობისა მომიტანა საჩუქრად მარქსის „კაპიტალის“ ორი ტომი, რაც ჩემი ხნის კაცისათვის ძნელი დასაძლევია იყო, მაგრამ ძრიელ მესიამოვნაო, სიცილით დებათავა მან თავისი მონაყოლი.

ჩამოსვლისათანავე იგი დაუჯონებლივ შეუღდა გიმნაზიისათვის დროებითი შენობის აგებას. ზოგიერთი დაქინებით ნოითხოვდა, რომ მთავარ შენობასთან უსათუოდ უნდა აშენებულიყო პანსიონი და გიმნაზიისაც სანატორიალური ხასიათი უნდა ვითომ მისცემოდა. ეს იყო ხრიკი, რომ გარედან მოეყარათ ბავშვები, ადგილობრივნი კი სასწავლებლის კარს გარეთ დაეტოვებინათ. განზრახვა აშკარა იყო, მაგრამ



მიუხედავად და ცხარე კამათის შემდეგ გადაწყვიტეს რომ გიმნაზიისთვის, კერაი-თარი პანსიონი არ აგებულყო.

უცნაურ პირობებში მოხდა ქალების გიმნაზიის გახსნა. ქალაქის საბჭომ დაადგინა გიმნაზიის გახსნა და ნებართვა ითხოვა ოლქის მზრუნველისაგან. გაგზავნილ შუამდგომლობაზედ ქალაქის თავმა საიდუმლო ქაღალდი—პასუხი მიიღო მზრუნველ იანოვსკისაგან. იგი იწერებოდა რომ არ არის სასურველი გიმნაზიის გახსნა, რადგან იგი მხოლოდ გაამრავლებს ინტელიგენტ ქალების რიცხვს, რაც სასურველი არ არის, მით უფრო რომ გიმნაზია უსათუოდ იფუნქციონირებს მზარეულების, პარიკმახერების, იზვოშნიკების, თერძების და ამათ მსგავსი ხალხის შვილებით.

ეს უცნაური მონაწიერი ასათიანმა, ვოლსკიმ და მესხმა გააცნეს რანოდენიმი ხმოსანს. ამათში იყო პოდპოლკოვნიკი ნიკო დუმბაძეც. მან დაიფინა წერტილის გამოკვეთება თუ მზრუნველი უარს იტყვოდა განუყოფელ შუამდგომლობაზედ გიმნაზიის გახსნის შესახებ და როცა მეორეთაც უარს მოუვიდა ქალაქის საბჭოს მზრუნველისაგან, დუმბაძე შეუქდა „ჩერნომორსკი ვესტნიკის“-ს რედაქტორს და იმდენი ახერხა, რომ ზემოთ მოყვანილი საიდუმლო წერილი დააბეჭდინა გაზეთში. საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა ამ წერილის გამოაშკარავებამ, მეტის-მეტე უკმაყოფილება გამოიწვია მისმა შინაარსმა. უსიამოვნო შთაბეჭდილების გასაქარწყლებლად იანოვსკიმ ნება დართო ქალაქს გაეხსნა ქალების გიმნაზია. საბჭომ ამის მოგვარება მიანდო ვოლსკის და დუმბაძეს, რომელნიც დაუღალავი ენერჯით შეუდგნენ საქმეს და ნახევარი წლის თავზედ გახსნეს გიმნაზია და მისთვის ააგეს მშვენიერი შენობა. ¶

სამწუხარო მხოლოდ ის შეიქმნა, რომ სასწავლებლის გამგეთ მოწვეული მანდილოსანი ურიგო სატყეულს დაადგა თავიდანვე, ყველას გასაკვირებლად—იგი არჩევდა ბავშვებს ერაცნებით და ნამეტნავად ეცერძებოდა რუსობას. ეს მეტად აშკარა იყო და დიდ უკმაყოფილებას იწვევდა საზოგადოებაში. ბრძოლა ამგვარ პირებთან მეტად ძნელი იყო, რადგან მათ მფარველობდა მთავრობა, მათ მოქმედებაში არ ხედავდა ბოროტმოქმედებასა და უსამართლობას.

მეტად მძიმე პირობებში იყო მოქცეული ახალი საზოგადოების მოღვაწეები და დიდ მოთმინებას ითხოვდა რომ მუშაობას არ გადაცდნოდნ და წერილმანებში არ გაბმულიყვენ.

მე ხშირათ ვიყავი ზოლმე ასათიანთან, ხშირათ როცა საღამოობით თავისუფალი იყო, შემომითვლიდა მივსულიყავი მასთან. მეც მეტის სიამოვნებით მივიჩქაროდი მასთან, რადგან მეტად მიუფარდა მისი მუსიკის მოსმენა, მისი ენამახვილიანი ლაპარაკი და ჩვენი ცხოვრების დამახასიათებელი ამბების მოყოლა. სხვათა შორის მახსოვს მისი მონაყოლი ალექსანდრე მესამის გვირგვინის კურთხევაზედ რომ გაემართენ ჩვენი წარჩინებული წოდების წარმომადგენელნი. საოცარ სურათს ხატავდა იგი ამათშესახებ. მთავარმართებლის სამიებლად ქუთაისის ლუბერნიის მარშალმა ნესტორ წერეთელმა შრავალი თავადი და ახნაური გაიტყუა მოსკოვისკენ დაპირებით რომ თუ ბრწყინვალეთ წარუვადგებით ხელ-



მწიფესო უსათუოთ დიდათ დაგვასაჩუქრებსო და დაგვაწინააღმდეგობა თავად-აზნაურმა დაიჯერა მარშლის სიტყვა და თავი არ დაიხრებს, მიყიდ-მოყიდეს რაც რამ ქონდათ, გამოეწყყენენ, მოიორთენენ და გაყვენ საუცხოოვ ამალათ თავის მარშალს. მოსკოვში მართლადაც ყურადღება მიექცის ჩასვლის-თანავე, მაგრამ მალე გვარიანი გაქარვებაც ეწვია უმეტესობას, — ფული შემოაკლდა ბევრს და დაპირებული დახმარება არსაიდან იყო; სასესხებელიც არსად იშოვებოდა. აუჩანელ გასაქარში ჩავარდნენ. გამწარებულნი დაეძებნენ ნესტორ წერეთელს, მაგრამ ეს უკანასკნელი თავის საქმეებს იკეთებდა, ათასში ერთხელ თუ ნახავდა ვინმე, ამ ნახვითაც არა გამოდიოდა რა ცალიერი დაიმედების მეტი. ამასობაში ბევრმა დაყიდა წამოყვანილი ცხენი, ღნაგრები და ამგვარები ოლონდ რამე რიგად თავი შეეხაზათ. დაბოლოს ერთმანეთში აუტყდათ სამღურავეები, დაუსრულებელი სამღურავეები: ჩხუბი და დავიდარაბა. ვინ იცის რითი გათავდებოდა ესეთი მდგომარეობა რომ ცოტა მეტ ხანს გაგრძელებულიყო. მეფის გვირგვინის კურთხევა ისე გათავდა რომ ბევრს ამათვანა არც კი გაუგია, არც ამათთვის იისმეს ყურადღება მოუქცევია. საზრუნავი შეიქმნა სახსრის შოვნა შინ დასაბრუნებლად წყალობისა და გაკეთებაზედ ყოველი იმედი გამქრალი გახდა. ერთად-ერთი საჩუქარი მარშალმა მიიღო — უმაღლესა საჩუქარი: ჩარიცხული იქმნა მეფის ამალაში და ებოძა ნება გენერლის საბუქურებზედ ეტარებინა ვერცხლის მეფის ვენზელი. ეს იყო და ეს. ძლიერ ჩამოაწიეს სახლამდინ საცოდავით მოტყულებულმა და მათ ჩამოიტანეს მხოლოდ გამწარება და ერთმანეთში ატეხილი უსიამოვნება.

თავათ ასათიანი გვირგვინის კურთხევაზედ მიწვეული იყო როგორც საგუბერნო ქალაქისთავი.

განზრახული იყო ბათუმში ელექტრონის განათების შემოღება და ამისათვის სადგურის აშენება. ასათიანმა მოლაპარაკება გაპართა ამის თაობაზედ სხვადასხვა ფირმებთან და ბოლოს ქალაქის საბჭოს წარმოდგინა მოხსენება. ამ მოხსენებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ხმოსნებზედაც და გარეშე მაყურებლებზედაც. გაოცებას იყენენ ყველანი იმასგან თუ როგორ შესძლო ამ მოხუცებულმა ადამიანმა არა სპეციალისტმა ასეთი მოხსენების წარდგენა და იმ პასუხების მიცემა, რომელსაც ის აძლევდა მრავალ შემკითხველებს. რასაკვირველია მოხსენება სავსებით მიღებულ იქნა და საქმის შესრულებასაც მოკლე ხანში შეუდგნენ. ერთ მახლობელ საღამოს მასთან მყოფმა ვერ მოვითმინე არ გამომეთქვა ჩემი განცვივრებაც და სხვათა სიამოვნები მისი მოხსენებისაგან გამოწვეული მის წინაშე. მოხუცებულმა გაილაშა და თქვა—ამ მოხუცებულობაში ძალა-უნებურად შემასწავლეს ფიზიკის ერთი განყოფილება. შემდეგ ეს სახელმძღვანელოები გულდასმით გადავიკითხე და დღეს თითქმის ელექტრო-ტექნიკი გავხდიო, სიცილით დაათავა მან.

ამგვარი მომუშავე იყო ეს ადამიანი ყოველ საქმეში და ამიტომაც იყო რომ ყოველ მის ნაკეთებს მაგარი ფესვები ქონდა და მკიდრო ნაშენობა.

იგი მთელი თავისი სიანდისით ამართლებდა იმ იმედს რომელიც მასზედ



ქონდათ მის მოწვევის დროს და როგორც თავის ერის მოყვარულნი და მამის ვალად რაცხდა თავისი მუშაობით მალე დაეყენებინა ქართველი მოღვაწის პრესტიჟი.

ამგვარივე მიმართულების იყო მეორე მოღვაწეც—ვოლსკი. სათავეში მას ქონდა წინამდებარეული რომ ყოველი ქართველი მოღვაწე, მომქმედი ყოველ საყვედურს გარეშე უნდა ყოფილიყო, ყოველ მიკერძოებას დაშორებული—უნდა ყოფილიყო სანართლიანი. და რადგან ამ სანართლიანობას ვერ ხედავდა წინანდელ ქალაქის მეთაურებში, კიდევ იმიტომ ყოველივე ღონე იხმარა და შეიჭრა თვითმართველობაში, შეიყვანა თან ბევრი ახალი ჯერ გამოუცდელი ძალა და შემდეგ გამოცდილებაც მისცა და სამართლიანობის გზაზედაც დააყენა.

გატაცებული საზოგადო საქმეებით იგი თითქმის დილაღესაც არ განიცდიდა. მხოლოდ კვირა დღეა იყო რომ ჩაიკეტებოდა ოთახში და არავის არ მიიღებდა, ამ დროს მარტო ჩვენ ახლობლები ვიყავით,—ან მე, ან ალექსანდრე აბაზაძე, ან გქიმი კონდრატი მხეიძე. აქვე იყო ჩვენი საყვარელი ალექსანდრე ლორთქიფანიძე, გამომძიებელი. უფროსი ძმა მწერალი ნიკო ლორთქიფანიძის. ლამაზაკი მხოლოდ ლიტერატურულ თემაზედ იყო, ქალაქის საქმეებზედ და სადავო საქმეებზე დაუშვებელი იყო.

— დასვენება მინდა! უსათუოდ დასვენება! ამბობდა ვოლსკი. და თავით ლიტერატორი—პოეტი, იგი სულ დგმულობდა ლიტერატურით. მან ზედმიწევნით იცოდა ქართული ლიტერატურა და უცხოც. ყოველი მისი საუბარი ამ დროს ლექციასავით იყო და ჩვენც დიდის სიამოვნებით ვუსმენდით ხოლმე. ზედმიწევნით მცოდნე ქართული ენისა იგი ხშირათ ჩაუჯდებოდა „ვერისს“, „კვალის“ ნომრებს და ასწორებდა ხმარებულ ენას; ამ შენიშვნებით ავსებულ ფურცლებს უგზავნიდა ილია ჭავჭავაძეს და გიორგი წერეთელს. ორივენი დიდათ აფასებდნენ ამ შენიშვნებს და თხოვდნენ გრიგოლს ხშირ-ხშირათ მიეწოდებინა ამგვარები.

თავით უაღრესად გულწრფელი. გულახდილი გაფრბოდა ყოველივე თაღლითს და ხრიკიანს. გულკეთილს—ქვეყნისათვის სიყვითე სურა, ნახი, გრძნობიერი ღრმად გრძნობდა ადამიანის ტანჯვას და მწუხარებას.

ერთხელ ქუზაში შემხვდა, თავისებურად მიჩაქუნობდა, (ფეხი ქონდა წამხდარი და კოჭლობდა) აქარებულნი. მითხრა, რომ ნინოშვილი ჩამოიყვანეს ძრიელ ავადმყოფი და შემოეთვალა მისთვის ენახა ავადმყოფი. მითხრა წამოდიო მავრამ მე საქმე მქონდა და ვეღარ წაეყვი.

— ხვალ წავიდეთ! ხვალ ვინახულებ! ვუთხარი.

მეორე დღეს მიველ ვოლსკისთან ნინოშვილთან წასასვლელად.

— რა კარგი ქენი რომ არ წამოდი ნინოშვილის სანახავად, გული მომიკვდა მისი ნახვით. ახალგაზრდა კაცი უკანასკნელ დღეშია, გრძნობს ამას და ცხარე ცრემლით ტირის. მიშველეთო!... რათი უშველოს კაცმა—ქლექი მორეულია მთელი სიძლიერით, ვინ ოხერი არ დააკვდებოდა ზედ, რომ გადაარჩენა შესაძლებელი ყოფილიყო. ტირის, რომ ბევრი რამ მიჩრება განზრახული დაუშთავრებელი დაუბოლოებელი... სიკვდილი კი არა მუშაობა მწადაია, მუშაობა!.. და ამას ისეთ

ნაირად ამბობს რომ გული მოგებარშება! ბევრი ვაშვიდე, მაგრამ ვერ დავემ-  
შვიდე ვერას გზით!

მან გადადო საქმეები გვერდზედ და გავეშურეთ სასტუმროსკენ, სადაც  
ოწვა ნინოშვილი. მივედით სასტუმროში, მაგრამ ნინოშვილი იქ აღარ დაგვიხვდა,  
უკანასკნელი მატარებლით იგი სიღბისტრო ჯიბლაძეს წაეყვანა ბათუმიდან თა-  
ვის სოფელში ჩიბათში, რადგან აღარავითარი იმედი აღარ იყო მისი სიცოც-  
ხლის გაგრძელებაზედ.

შეწუხებული ნიქანი გამოვბრუნდი.

— დაილუბა ყნაწვილი კაცი... დაილუბა ნიქი, საჭიროა ნიქი! განსხვავებუ-  
ლი სიმწარით ამბობდა გრიგოლი.

მისმა გრძნობიერმა გულმა ღრმად განიცადა საწყალი ეგნატეს ტანჯვა და ხში-  
რად იგონებდა მის სიყვდილის წინ გაწამებას უზომოდ შეწუხებული განსხვავებული  
კეთილი გულის, პატრონმა საოცარი რისხვით მისგა იცოდა უსაქციელო ადა-  
მიანთან. აქ ის პირდაპირ გადარეულავით იყო, მისი გაბედული, უშიშარი მი-  
მართვა სავსე იყო ხოლმე გამანდგურებელი სიტყვებით, არც იცოდა დარიდება—  
რაც პიროვნება არ ყოფილიყო, უმალღესი, უმდაბლესი—ამ დროს გარჩევა არ  
ჰქონდა, გავლენიანობით, თავის სიდიადით მას ვერაფერ შეაშინებდა და ვერ  
ჩააჩუმებდა: სიტყვა ბასრი, ენა მახვილი იგი მშვენიერი რამ იყო რისხვის წუ-  
თებში. უყვარდათ ეს ლამაზი, თავზარდამცენი რისხვა მისი როცა იგი აცამტე-  
რებდა რომელიმე მაღალ საფეხურზე მყოფ ზვიად პიროვნებას.

აღლევებულ, მოუქვენარ ცხოვრებაში მყოფი მოსვენებას იგი პოულობდა  
ახლო ამიანაგებში და განსაკუთრებით ბათუმის საბაჟოს მოხელის პეტრე ლლონ-  
ტის ოჯახში. ეს ოჯახი განსხვავებულად უყვარდა ვოლსკის; გვიყვარდა ჩვენც,  
სხვებს, რადგან ოჯახის პატრონები როგორც პეტრე, ისე მეთულე, მაკრინე საყ-  
ვარელი ადამიანები იყვნენ თავიანთი ხასიათის გამო. კვირა დღეს და ყოველ  
საღამოს აქ იყრიდა თავს მრავალი ბათუმის ახალგაზრდა, აქ ეცნობოდნენ  
ერთმანეთს, აქ ენაცვლებოდნენ აზრებში, აქ იმართებოდა ხშირად გაცხარებუ-  
ლი მსჯელობა ჩვენი საქმეების შესახებ.

ოჯახის პატრონი საოცარი ხელისიანი ადამიანი—მეტად უყვარდა ყველას;  
ამგვარივე პატივისცემით და სიყვარულით შემოსილი იყო პეტრეს მეთულე—  
მაკრინე. ქეთევან ჟურულის წასვლის შემდეგ მაკრინე ლლონტისას ჰქონდა მი-  
კუთვნილი ყოველივე საზოგადო საქმეებში მეთაურობა, მაგალითად: როგორც  
წერა-კითხვის სკოლის სასარგებლოდ საღამოების გამართვა, ჩამოსულ ქართულ  
თეატრის არტისტების ხელისშეწყობა, სხვადასხვა საჭევლოქმედო წარმოდგენები  
და ამგვარები. იყვნენ სხვა ოჯახებიც ანგეარ საზოგადო მუშაობაში ჩაბმული.  
როგორც ეს გრიგოლ ელიავასი, სეფე მხეიძის, მიხეილ ნაკაშიძის, ივანე მესხის.  
მრავალი საქმის აღმასრულებელი იყო ექვთიმე ბერძენიშვილი (ქართული სკოლის  
ამშენებელი), ნიკო საბაგვი, ივანე კაკაბაძე, სარდიონ ქუთათელაძე, გერასიმე  
სანაძე, მიხეილ ბეთანელი ადამიანი საოცარი ცოცხალი ბუნების, დაუღალავე  
მომუშავე, ამერიკაში რამოდენიმე წელიწადს ნამყოფი, ინგლისური ენის მშვე-

ნივრად მკოდნე, მან აღმოაჩინა ახალციხის მახლობლად, თეგესკარეფულე ინფუზორიტი და სანამ ცოცხალი იყო დიდი მუშაობაც ჰქონდა გაჩაღებული მის გასაღებისათვის.

ეს პირები, ეს ოჯახები ეხვივნენ ვოლსკის გარშემო და ყოველნაირად ხელს უწყობდნენ მას მოღვაწეობაში.

ამით გარდა გვქონდა ერთი ბინა სადაც მხოლოდ მამაკაცები იყრიდნენ თავს: საზოგადო საქმეების შესახებ მსჯელობაში იყვნენ. ეს იყო ბათუმის ოლქის უფროსის თანაშემწის მელიტონ ლორთქიფანიძის ოჯახი. იგი იყო ყმაწვილობისას გეოგრაფიის მასწავლებელი ერთ სამაზრო სასწავლებელში; რუს-ოსმალეთის ომის შემდეგ წიატოვა მასწავლებლობა და შევიდა ადამინისტრაციაში, ბათუმის ოლქის უფროსის თანამდებობაზედ, დარბაისელმა, თავაზიანმა, ხალისიანმა მიმღებმა ადამიანმა მრავალი პატივისმცემლები მოიპოვა. საღამოობით მისას ვის არ ნახავდი! დიდით უყვარდათ ადგილობრივ მცხოვრებსაც და მის გარეშემო იყრიდნენ თავს. აქ ნახავდი მანინ სოცოცხლით საესე გულ-ალა კაიკაციშვილს, დიდი-ალა ნიქარაძეს—რომლებმაც შეინიძინეს და თავიანთი ვაგები თბილისში ვაგზავენეს სათავად-აზნაურო გიმნაზიაში სასწავლებლად, როცა სხვები ამას გაუბობდნენ იმის შიშით რომ შეილები გაგვიქრისტიანდებიანო, ამათ შეილებს კოწია მუხრანელი ზრდიდა თავის ზარჯზედ. ორივემ დაამთავრეს გიმნაზია და ოდესის უნივერსიტეტში შევიდნენ. საუბედუროთ გულ-ალას შველი საოცარი ნიქის პატრონი ყმაწვილი ავად გახდა და მოკვდა ოდესაში; ნიქარაძემ კი გაათავა უნივერსიტეტი და დღესაც მოღვაწეობს ბათუმში.

ხშირი სტუმრები იყვნენ ტუფან-ბეგ შარვაშიძე აჭარელი, ახმედ-ბეგ ბეგანიძე, ფერად-ბეგ ბეგანიძე, სულეიმან ბეგ ბეგანიძე, სანჯალ-ბეგ აბაშიძეები, ჰუსეინ ეფენდი ქათამაძე, ძმები ხიმშიაშვილები და მრავალი სხვა. ამათ მოქონდათ აქ თავისი მწუხარებაც და დაღბინებაც, აქ ეძიებდნენ დარიგებას და გზის ჩვენებას თავიანთ გასაჭირში ლორთქიფანიძისა და ვოლსკისაგან, გასაჭირში რომელიც მძღავრად ქონდათ გარშემორტყმული. ხანდახან მოდიოდა აჭარელი ალი-ალა სირაძე, უკვე შეზნეირებული კაცი, მაგრამ ჭარმაგი. იგი განთქმული იყო თავის ენამახვილობით მთელ აჭარაში; იყო გასაოცარა, მოჭართულე, მშვენიერი მოლაპარაკე და საოცარი სიტყვა მოსწრებული.

აჭარის გლეხობაც ხშირად მოდიოდა ლორთქიფანიძისაგან შემწეობისა და დარიგების მისაღებათ. ხუმრობით საქართველოს კონსულს ვეძახდით მას და საკონსულოს მის სახლს. არ ვიცი დასმენილი იყო თუ რა როლს თამაშობდა მისი სახლი თუ სხვა რაიმე იყო, ოღონდ ყოველ უმიზეზოდ ერთ დღეს მთავარ-მართებელმა გოლიცინმა სამსახურიდან გადადგომის ქალაღდი შეატანინა და დაითხოვა სამსახურიდან. გოლიცინის დროს ტენდენცია იყო რომ რუსობა ყოფილიყო მხოლოდ ადმინისტრაციაში და აღბათ ესეც როგორც ქართველი მოხვდა გაძეგებაში, მით უფრო რომ დიდი გავლენა ქონდა აჭარლებზედ.





## XIII.

ახლოვდებოდა ახალი ქალაქის არჩევნები. ბერი რამ ვაკეთდა, როგორც ზემოთ აღვნიშნე ამ სამ წელიწადში; ხმოსნებმა დიდი უნარიანობა გამოიჩინეს და დაამტკიცეს, რომ მათ ზეუღლიათ სასარგებლო მუშაობა-მოღვაწეობა, მაგრამ მდგომარეობა მაინც სამძიმო იყო და საშიშარი. რუსობა და სომხობა ერთად ეწინააღმდეგებოდა ქართველობას და მისი დაცემა სულით და გულით სწადდა. ეს აშკარა, ნათელი იყო ყველასათვის; მაგრამ ისევ ჩვენში იყო ისეთი მიმდინარეობა, რომ მდგომარეობას საშიშრად ხდიდა, მისი გამარჯვებით შესაძლებელი იყო ქართველებს ისევ დაკარგოდათ ინიციატივა, საზოგადო საქმეების ხელმძღვანელობა, სათავეში მოქცევა და ისევ დაჩაგრულ ელემენტად გამხდარიყვნ, როგორც წინად იყო.

1894 წელს ნინოწვილის საფლავზედ, მის გასვენების დღეს სოლიბისტროჯიბლაქემ დეკლარაცია წაიკითხა იმ პარტიის, რომელსაც შემდეგ დაერქვა სახელად მესამე დანა. დეკლარაცია დაიბეჭდა „კვალში“ და დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებაში. ამგვარი რამ თორმეტი წლის წინადაც იყო ქართულ პრესაში, — ეს გ. მაიაწვილის წერილი საზოგადო მოღვაწეთა მიმართ დაბეჭდილი ჟურნალ „ივერიაში“. წერილმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, მაგრამ მკითხველთა წრე იმ ხანებში მეტად ეიწრო იყო და ამიტომ ფართო ვავრცელება არ ჰქონია ამ ყოველად შესანიშნავ წერილს, რომელიც წარმოადგენდა საოცრად შედგენილ პროგრამას ჩვენი ეკონომიური ცხოვრების განსაფითარებლად.

თორმეტი წლის შემდეგ, მზგავსმა დეკლარაციამ კი აუარებელი მსმენელი იპოვა, იგი შეიქრა ხალხში, არ დარჩენილა მხოლოდ ინტელიგენციის კუთვნილებათ, მოიპოვა მრავალი მსმენელი, ახლად გაღვივებულ წრეებში და დიდ გავლენას ახდენდა მათზედ.

ბათუმის ქუჩებში ყოველ ფეხის ნაბიჯზედ შეხვდებოდი სხვანაირი სიმართლით მოსიარულეს, გატაცებულ კილოზედ მოლაპარაკე ყმაწვილობას „კვლით“ ხელში.

ნურთის ბაზარზედ ვაჭრობდა ერთი ბუკინისტი სპირადონ ჭელიძე. ქონდა მალაზია ავისილი ძველი და ახალი წიგნებით, წიგნაკებით, ფურცლებით, ვაზეთებით. იგი იყო ნამდვილი ჩვენებური შოველი ერკმან-შატრიაანის „ერთი გლეხის ისტორიი“-ს გმირი. დაქონდა წიგნები, წიგნაკები სხვა ქალაქებში, სოფლებში; ხან ყიდდა, ხან ისე ავრცელებდა—არიგებდა. შესმენილი, საკმაოდ განვითარებული, საკმარისად ენამეტყველი—იგი საოცარი ენერჯის პატრონი იყო, ამასთან გულკეთილი და მოსიყვარულე ადამიანი. ახალგაზდა, თავისი ტკბილი სიტყვით და მოქცევით ხიბლავდა ახალგაზდობას, რომელიც მხოლოდ მოდიოდა მის მალაზიაში და ბზირად მართავდნენ საერთო საუბარს-დაობას ამა თუ იმ საგანზედ.

მე ძრიელ მიყვარდა ამ მალაზიაში სიარული—მიყვარდა მისი პატრონი და



მარკსისტი

მიყვარდა მოსმენა იმ გაცხარებული დიაბისა, რომელიც ამ დღეებში უწყალოდ ვიღებ შორის.

მასხოვს ერთხელ ერთმა ყმაწვილმა გატაცებით წამოიძახა: მე მარკსისტი ვარ, ვარ მარკსისტი და ვერავითარი ძალა მას ვერ ჩამომაშორებს.. დაეზადე ღარიბ ოჯახში, ვისრდებოდი სიღარიბე სიღატაკეში, გაჭირვებაში ვსწავლობდი, თვალი ევახილე, სიღარიბის და სისაწყლის გარშემო ვერას ვხედავდი.. მოითმინე, მოითმინე, მოითმინებთა შენითა პოეზიად სასუფეველსა, რომ მოკვდები იქ საიქიოს, ზეცაში მოგვლევია სამაგიერო ბედნიერებაო. ვინ იცის იმ საიქიოს, ზეცას რა ანბავია—ვის უნახავს, ვის მოუტანია იქაური ანბავი?! ტყვილი დაიმედება, თავის მოტყუენა.. ამ კაცმა კი სამოთხე ზეციდან დედამიწაზედ ჩამომიტანა, აქ გამოჩინა, აქ მომეცა ჩემს სიცოცხლეში.. პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!.. მიგვანებია გზას და ყველა რომ შევერთდებით, ყველა გაჭირვებულები სამოთხეს აქ გვაჩვენო, სიცოცხლეში, სიკვდილის შემდეგ კი არა! ამისთანა მჭადავებელს ჩამოეშორდები?—არასოდეს, არასფრის გულსათვის. მე არ ვიცი ვინ ვარ ახლა—ქართველი ვარ, რუსი, სომეხი თუ სხვა ვინმე—არც მინდა ვიცოდე; მე ვარ პროლეტარი!—პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით! აქ არის, ამაშია ჩვენი ხსნა!

ერთხელ ვოლსკის მოუტანეს ერთი ყმაწვილის ნაწარმოები, ხელნაწერი წასაკითხავად და თავის აზრის გამოხატაქმელად. ნაწარმოები იყო პატარა მოთხრობა სათაურით „ის“. ავტორი იყო, სახელი არ მახსოვს, გვარად კალახაძე. მოთხრობას წამძღვარებული ჰქონდა წინასიტყვაობა, რომელშიც ავტორი ამბობდა რომ დღევანდელი ცხოვრება ეწინააღმდეგება კაცობრიობის ერებათ დაყოფას, სპობს იმ მრავალ ენათ, რომელზედ დაპარაკობენ ეს ერები, რაც ხელს უშლის შეერთებას, აშორებს ადამიანს ადამიანს, და ამის ძაგიერ შემოაქვს ახალი ენა ხმარებაში—ესპერანტო, რომელიც მისცემს საშუალებას ერთმანეთის დაახლოვებაში და გაგებაში. ჩემს მოთხრობას საუბედუროთა ვწერ ჯერ ქართულითა, რადგან ესპერანტოს ცოდნა ჯერ არ არის იმდენათ გავრცელებული და შემოღებული და ჯერ-ჯერობით არც მე შემარჯვება მისი ხმარებაო: მომავალი კი მისიაო. ჩემს მოთხრობის გვირს სახელად ვარქმევ „ის“, რადგან პეტრე რომ დამერქვა—ეს იქნებოდა ქართველი, პიოტრ რომ დამერქვა იქნებოდა რუსი; პიერ—იქნებოდა ფრანგი; „ის“ კი საერთო იქნებოდა. ავრეთვე მოთხრობა უნდა აშენებულ იყოს ისეთ მოვლენაზედ, რაც ყველასათვის საერთოაო, მაგალითად ამ ნაწარმოებში შიმშილზედ,—შიმშილი ყველას ერთგვარად აწუხებს და ყველასათვის უბედურებაა ერთნაირად; ამიტომ ამ მოთხრობაში იგი იქნება მთავარი ლერძო; სად იმყოფება ჩვენი გვირიო?—ეს ზღვია. ზღვის ნაპირი, რადგან ზღვა დიდებულთა და მძღაეროთ. ამ შესავლის, განმარტების შემდეგ იწყებოდა თვით მოთხრობა. „ის“ იწეა ზღვის ნაპირას შიმშილისაგან მეტის მეტად შეწუხებული და ღონე მიხდილი; ეძღეოდა სხვადასხვა ფიქრებს. შემდეგ ბრუნდებოდა საღამოს თავის ბინაზედ და მიქანცული ეწეებოდა თავის ხელსაწყოზედ; ოთახში სინათლე, გარეთ ქუჩაში, ანთებულ ელექტრონის ლაპიონიდან შემოდიოდა. ბევ-



რი იბროგა ის-მა თავის ხმელ ლოგინზედ შიმშილისაგან მიღებული მტკიცისი სიციცხლე დაითავა მით, რითაც თავდებდა საერთოდ ყველას სიციცხლე—სიკვდილით;—დილას იგი მოკვდა.

მოთხრობა იყო პატარა, მოკლე, დაწერილი პრეტენზიით, იგი უნდა ყოფილიყო დამწყები ახალი ლიტერატურის და ლიტერატურული ფორმის მაგალითი.

მე მწარე მონდომებული ვიყავი შემენაბა ეს ნაწარმოები სამახსოვროთ; მინდოდა მეთხოვა იგი ავტორისათვის, მაგრამ ვოლსკიმ სასაცილოთ აიგდო, ბეკრი იოხუნჯა და ჩემდა გაუგებრათ დაუბრუნა მომტანს იგი.

ზოგიერთნი კი მათებურად გაგებულ კოსმოპოლიტიზმის მიხედვით აშენებდნენ თავიანთ ოჯახებს. ერთმა როტშვილდის ქარხნის მუშამ, გერონტი ც—იამ, რომელმაც რუსული ენა იმდენათ იცოდა რომ ძლიეს ორ სიტყვას თუ გადააბამდა დიდის წვალეებით ერთმანეთს უკუ აგდო მისი ეროვნება და მოიწადინა კოსმოპოლიტურ ოჯახის შექმნა. მისი აზრით ამისათვის საჭირო იყო მხოლოდ სხვა ეროვნების ქალის შერთვა და კიდევ ასე მოიქცა; შეერთო ქალი, რომელმაც ერთი სიტყვა ქართული არ იცოდა.

მოვდივარ ერთხელ თეატრიდან სახლში. ღამეა.

— დავით! თუ არ მოგჩქარებთ თქვენთან საქმე მაქვს!

შეჩერდი, მივიხედე—გერონტია.

— არ მიმჩქარება—მივუგე—რა ამბავია ჩემო გერონტი?

ახალგაზდა მუშა პატროსანი და ვულწრფელი ადამიანი იყო, კარვად ვიდი მისი წადილი სანათლებლად გამოსულიყო, თავისი შეგნება რაც შეიძლება გადაფართოებინა. მე ხშირად ვხდებოდი მას და მიყვარდა ყოველთვის მასთან შესაიფი. აღელვებულ კილოზედ მისმა მომართვამ განაკვირვა.

— რა ამბავია გერონტი? შეგობრულად შევიკითხე.

— თქვენი დარიგება მინდა, თქვენი რჩევა მჭირია, ძვირფასო დავით, რა რიგათ მოვიქცე, რა გზას დავადგე იმ გაჭირვების ასაცილებლად, მე რომ ჩავარდი ჩემი დაოჯახიანებით. ვიცი, რომ თქვენ გულით მომეკიდებით და ამიტომ მოგმართავთ! ოჯახს მოვეკიდე, მეგონა გავებდნიერდებოდი... ამას ისე გეუბნებით, როგორც მოსიყვარულე უფროს ძმას, მამას. შევედი, გადავედი—მე ისევ ჩვენიანი ვინმე უნდა მომეგვანა, ახლა ეხედები რომ ის უცხო ქალი და მე არ უნდა შევეყრილიყავით, უნდა მეფიქრა რომ სახიერო არაფერი გამოვიდოდა და აკი არ გამოვიდა, ნამეტანი ევირიეთ, ერთმანეთის აღარაფერი გვესმის, იმას ნამეტურ ჩემი: წყენს როცა ჩემთან მოსული ამხანაგები ქართულად დაიწყებენ ლაპარაკს, უპატივცემოთ ექცევა ჩვენს წარჩინებულ ხელმძღვანელებს, ნუ დადიანო. არ მესიამოვნება მათი შეხედვაო—ერთი სიტყვით ყველაფერი ჩვენი შეიძულა უცნაურათ და გული მიკვდება. ცეცხლი მეკიდება ამას რომ ეხედავ... ვევიდრები, ვეხვეწები, ვაჯერებ რაც შემიძლია ნუ ადგიხარ ამგვარ გზასთქვა, მაგრამ არაფერი ეწყობა!.. რა გქნა აღარ ვიცი!.. პირდაპირ ჯოჯობეთია ჩვენი ცხოვრება!.. მივედი იმ აზრამდე რომ გაშორება სჯობიათქო... მაგრამ თან მრცხვენია, თან არ ვიცი რავე მოვახერხო... არა და დავიტანჯე კაცი!.. რას



მეტივენი

ფიქრობდი და რას შევეყარე!? რაცბა გზაზედ დამაყენე... მიტყუე ქრამქა და ვით, თქვენი ჭირიმი!.. სხვას კი ვერ გოუხეულ ამგვარ ჩემს ტანჯვას... თქვენთან მიოქციე, ვიცი რომ გულთან ახლოს მიიტანთ ამ ჩემს მწუხარებას და დამყარებურებით რაზე ვზით გამოვიდეთ ამ უბედურებისაგან!

ვერავითარმა საშველებამ ვერ გასჭრა, რომ მშვიდობიანობა დამყარებულყო ცოლ-ქმარის შორის და ამგვარად აშენებული კონსოპოლიტიური ოჯახი დაინგრა. გათვისდნენ, დაშორდნენ ერთმანეთს. შემდეგში გერონტი არა ერთხელ ციხეში ჯდომით დასწულდა, გაძევებულ იქნა რუსეთში, დაქვლეტიანდა და მშვიდობა უდროო სიკვდილში ნახა.

ამგვარი სახეები, როგორც „ის“-ის ავტორი, გერონტი მრავლად გვხვდებოდა და თანდათან მატულობდა; ხელმძღვანელი მთავრობის შიშით აშკარად ვერ ხელმძღვანელობდა, ეროვნული საკითხის უქუცდებას, უარყოფას მთავრობისაგან ნებაც ერთგებოდა და არ ეკრძალებოდა; ეს იმიტომ რომ აქ ძლავრობდა, გამარჯვებელი პოლიტიკა, ხედავდა ეროვნების გაქარწყლებისათვის მუშაობის გაადვილებას, თუმცა ეროვნების მოწინააღმდეგეთა ქადაგება მიმართული იყო ამ გზით მთავრობის დასამზობად.

ყოველ შემთხვევაში მდგომარეობა სამძიმო და საშინაო ხდებოდა. ახლოვდებოდა ქალაქის ახალი არჩევნები და ყოველ თითო კენჭს, ყოველ თითო იმპორჩეველს დიდი მნიშვნელობა ქონდა—ძვირვასი იყო ერთი კენჭიც. ის სამართლიანობა, ის საქმიანობა რომელიც დამყარდა ქალაქის საქმეებში ქართველობის სათავეში მოქცევის შემდეგ ძნელი დასაკარგავი იყო, რადგან ვერავენ ვერ ემსახურებოდა ისეთი მაღალი იდეოლოგიით როგორც ქართველთაგან წამოყენებული მოღვაწენი. იმართებოდა კერძო ოჯახებში მოლაპარაკება ახალი არჩევნების შესახებ, ხშირი იყო შედაგება მესამე დასელთა და ფედერალისტებთა შორის. არჩევნების მოსაგებათ საქარო იყო გაერთიანება ქართველობის და ამ გაერთიანების დანახვით ბერძენ ამომრჩეველთა მომხრეთ შენარჩუნება.

ორი კვირა ვიზბინე იმისათვის რომ შემეჯერებინა და თავი მომეყარა ჩვენებური შეთაურებისათვის მოსალაპარაკებლათ. როგორც იქნა დავიყოლიე და გაემართეთ პატარა კონფერენცია.

ერთ საღამოს ქალაქის სამმართველოში, მდივნის ოთახში თავი მოიყარეს მოწვეულმა პირებმა; აქ იყო გრიგოლ ვოლსკი, ივანე მესხი, ისიდორე რამიშვილი, კარლო ჩხეიძე, საშა წულუკიძე, ნიკო ჯაყელი და მე; მომხსენებლად ყოფნა მე შემხვდა. მდგომარეობის აწერის დროს აღენიშნე რომ ის დაობა, რომელიც ატეხილია ჩვენს პარტიებს შორის ეროვნულ საკითხის გარშემო შესაძლებელია საზარალო იქნას—ქართველობას ხელიდან გამოაცალოს ქალაქის საქმეების ხელმძღვანელობა რაც არა სასურველია რადგან ქართველებმა თვალსაჩინოთ დაამტკიცეს თავისი საქმიანობა, თავისი სამართლიანობა ყველასთან,—არჩევნების წაგება იქნებოდა ისევე ძველი უწყსოებობის და უსამართლობის დამყარება; ამის ასაცილებლად საქირაოა, ვამზობდი, შეთანხმებული მოქმედება, გამოიხატვა საერთო პლატფორმის. კარლო ჩხეიძემ თავის გრძელ სიტყვაში გამოსთქვა, რომ ერო-



ეროვნული

ენული მიდგომით არ შეიძლება მოქმედებაო, ჩვენ დღეს უნდა გვიწვიოს—ეს თვითმპყრობელობის დაცემა სასტიკი ბრძოლით, რომლისათვის უნდა ყველა შევერთოდეთ; შემდეგ, როცა მიზანი მიღწეული იქნება, თვითმპყრობელობა დაძლეული, მაშინ ეროვნულ საკითხსაც შევუდგებით და შეიძლება ეროვნული ინტერესებითაც ვიხელმძღვანელოთ. როცა საშა წულუკიძემ აიღო სიტყვის ნება, მან წარმოსთქვა, რომ ეს დღევანდელი ჩვენი ლაპარაკი უქმიაო, ჩვენ ვერ შევთანხმდებითო, რადგან სხვა და სხვა პოლიუსებზედ ვდგავართო ამ განცხადებამ გამოიწვია ცხარე ლაპარაკი, გაბზობული დაობა ისე რომ იძულებული ვიყავით კრება შეგვეწყვიტა და დაეწლიოყავით. მეორე დღეს შევხვდი საშას და ვესაყვედურე:

— რატომ იხმარე, საშა, ის პოლიუსები და მოლაპარაკება ჩაშალე... გამოიწვიე გაწიწმარებული ბაასი!..

— სულ ერთი იყო, გაცივინა მან,—პოლიუსების ხსენებით არა, სხვა რამეთი ჩაიშლებოდა ჩვენი კონფერენცია... არაფერი არ გამოვიდოდა!

მოპოვებული მდგომარეობის შესანარჩუნებლად დიდი მუშაობა წარმოებდა. ზოგიერთნი დიდ ხრიკიანობას იჩენდნენ. დიდი ხრიკიანი გეგმით შემოიჭრა ერთ დღეს ერთ-ერთ მოლაპარაკების დროს ხმოსანი ნიკო დუმბაძე. მან წამოაყენა საჭიროება გაზეთ „ჩერნომორსკი ვესტნიკის“ რედაქტორის პალმის ხმოსნათ გადასვლის, ყველას ეუცხოვა ასეთი წინადადების წამოყენება, მაგრამ დუმბაძემ დიდი დაობის შემდეგ თავისი გაიტანა—მისი აზრით ეს იყო ერთათ ერთი გზა მოსპობილიყო ყოველად შეუწყნარებელი, საზიზღარი, დაურიღებელი იერიშები, რომელიც თითქმის ყოველ დღე მოქონდა გაზეთს თავის ფურცლებზედ ქალაქის შეთაურებზედ.

შინი არჩევნების წაგებისა დაბოლოს უქმი გამოდგა. არჩევნებმა ბრწყინვალეთ ჩაიარა, ყველა წამოყენებული კანდიდატები დიდის ხმით გავიდნენ. რამდენიმე ხნის შემდეგ ქალაქის თავის ყოფილ არჩევნებზედ ქალაქის თავათ ხელახლად არჩელ იქმნა ასათიანი; ოცდაათექვსამეტ ხმაში, მან მიიღო მხოლოდ სამი შავი. საბჭოს დარბაზში მყოფმა, დამსწრე ხალხმა დიდი ოვაცია გაუმართა ღირსეულ მოღვაწეს, რომელმაც მშვენიერ მოკლე სიტყვით გადუხადა ყველას მაძლობა.

— ჩემს მოხუცებულობას მხოლოდ შრომა დაამშვენებს—თქვა, მან—შრომა სინიღისიერი და სასარგებლო და გაძღვეთ პატიოსანი სიტყვას რაც ძალი დაღონე მაქვს გიძღვნათ ასეთი შრომა.

პატიოსანი და სინიღისიერი შრომა იყო დამყარებული, მაგრამ სინიღის დაკარგულს რა მოარჯულეზდა. ხანმოკლე მიჩუმების შემდეგ „ჩერნომორსკი ვესტნიკი“-მა ისევ წამოიწყო თავისებური ლანძღვა-გინება, უსაფუძლო კილვა ქალაქის თვითმართველობის და მისი ხელმძღვანელების. პალმის ეკითხებოდნენ რატომ საბჭოში იგი ხმას არ იღებს, რატომ ასე უკუღმართად აშუქებს ქალაქის საქმეებს, როცა ნამდვილი იცის როგორც ხმოსანმა; ერიდებოდა ცუდლუტურად პასუხისმგებლობას და ამბობდა ეს გაზეთის საქმეაო, გაზეთის შეხედულო-

ბაო და განაგრძობდა ბინძურ წერილების წერას. როცა ვერაძის წერილს ვხედავდი, მის დრიკეს ეს გზა აბნეული მგლამბნავი, ხმოსანთა უმრავლესობამ გადასწყვიტა მისი საბჭოში გაკიცხვა, როგორც რედაქტორ-ხმოსნის, ამის შესახება განცხადება შეიტანა კარლო ჩხეიძემ, რომელმაც დიდებულიად გააშუქა თუ როგორ უსინდი-სოთ ამახინჯებდა გაზეთი ფაქტებს, აწვდიდა მკითხველებს გადასხვაფერებულ და გაუუღმართებულ ამბებს ქალაქის საქმეების შესახებ და ცრუ ცნობებს აგრე-ლებდა ზოგიერთ მოლკაწივებზედ. ეს განცხადება შეტანილ იქნა საბჭო-საგან გასარჩევ საქმეთა სიაში. როცა სხდომაზე მივიდნენ ამ განცხადებაზე პალმი წა-მოდგა და თავუჯდომარეს, ასათიანს მიმართა:

— რამდენადაც ვიცი საქალაქო დებულება არ იძლევა ნებას ვინმე გაკიც-ხოს საბჭოში, მით უფრო ხმოსანი და მიკვირს რატომ გინებებით უკანონობის გზაზე დადგომა!

— მეტი არა გაქვთ სათქმელი?— შეეკითხა ასათიანი.

— სრულიად არაფერი!— უპასუხა პალმი.

— თანახმად უმრავლესობის განცხადებისა მე ვუყრი კენჭს გამოცხადოს გაკიცხვა თუ არა ხმოსან პალმს მის მოქმედებისათვის, როგორც რედაქტორს ისე როგორც ხმოსანს. ყუთი... თეთრი—წინადადება მიღებულია—ე. ი. გამოცე-ხადოს გაკიცხვა; შავი—წინადადება უარყოფილია.

ყუთთან დგას ამართული თავუჯდომარე; დარბაზში კრინტი ხმა ირ ისმის; პალმი ზის და იღიმება. გითავდა კენჭის ყრა.

— გამოცხადოს განკიცხვა ხმოსან პალმს მისი მოქმედებისათვის.. ერთი ორი, სამი... ათი... თუთხეტი... ოცი... ოც და ხუთი!—ასათიანმა გამოწეული ყუთის უჯრა გადაატრიალა.

— არ გამოაცხადოს გაკიცხვა!.. ერთი, ორი, სამი... ხუთი... ათი! ამრი-გად მიღებულია, გამოცხადოს ხმოსან პალმს, რედაქტორს „ჩერნომორსკი ვესტ-ნიკი“-სას საბჭოსაგან განკიცხვა მისი უმართებლო მოქმედებისათვის! დინჯათ წარმოსთქვა თავუჯდომარემ.

— რომელი კანონის უფლებით!?—წამოიძახა ფეხზე წამოკრილმა პალმი.

— ნუ წუხდებით!— შეუტია შემალღებელი კილო; ი ასათიანმა—ნუ წუხდე-ბით!.. კანონი თავის ადგილას იწნება მოყვანილი!

მთელმა დარბაზმა იგრიალა, მხიარულ სიცილს დასასრული არ ჰქონდა, სადაც მე ვიჯექი, ჩამოყვიარა თავის კაბინეტში მიმავალმა ასათიანმა და ერთი წუთით შეჩერდა ჩვენთან.

— კანონს ეძებს!.. ეს დალი ხომ მირტყმული აქვს... დაარღვიოს გადაწყვიტა—იგი მინც დარჩება? წარმოსთქვა მან; მოხუცებული საოცარი აღელ-ვებული იყო, ასეთი აღელვებული იგი მე არას დროს არ მიხახავს.

ამ გაკიცხვამ თითქმის ხმოსანთა რიცხვიდან გამოაკლო პალმი; იგარ იღარ ესწრებოდა სხდომებს და განაგრძობდა თავისებურად გაზეთში უხეირო წერას. ყველზე მეტად ამოჩემებული ჰყავდა რისაკვირველია ასათიანი, ვოლსკი, მესხი და ჩხეიძე.



ასათიანი დიდბანს აღარ შერჩა ხელში სალანძღვე მასალას, ერთი წლის შემდეგ, დილას რომ ემზადებოდა სამსახურში წასასვლელად იგი უძეცრად გარდაიცვალა.

მოულოდნელმა სიკვდილმა დიდათ შეაწუხა მთელი ქალაქი და აუარებელმა ხალხმა მიაცილა პატიოსანი მოხკივი მოღვაწის კუბო სადგურამდი, საიდანაც მიასვენებდნენ ქუთაისში.

სამწუხარო იყო იმისთანა პიროვნების დაქარგვა როგორც იყო ასათიანი და ამ მწუხარებას აორკეცებდა ისიც, რომ მოსამქებნი, მოსანახი იყო ისეთი პიროვნება რომ შესაძლებელი ყოფილიყო მისი ქალაქის თავათ დასახელება და გაყვანა. საჭირო იყო ეს პიროვნება ყოფილიყო შრომის მძლავრ უნარიანი, სანდო და ისეთი რომელსაც მთავრობა მიიღებდა და დაამტკიცებდა თანამდებობაზედ. დიდი ძებნის შემდეგ ილია ჭავჭავაძის რჩევით შეჩერდნენ ივანე ანდრონიკაშვილზედ. ილიამ ურჩია ივანე მესხს და მიხეილ ბეთანელს, რომლებიც თბილისში იყვნენ გამოგზავნილნი მოსალაპარაკებლად, ურჩია ანდრონიკაშვილზედ შეჩერებულიყვენ და დაამიგედა რომ იგი სასურველი კანდიდატი იქნებოდა ბათუმის ქალაქის თავის თანამდებობისათვის. ანდრონიკაშვილი, სპეციალობით აგრონომი, ახალგაზრდა, შრომის მოყვარე და ენერგიული პიროვნება იყო ილიას სიტყვით და მთავრობაც წინააღმდეგი არ იქნებოდა მისი, რადგან იგი ამ ხანად სახელმწიფო სამსახურში იმყოფებოდა.

სანამ ეს კანდადატი მოიძებნებოდა ქალაქის თავის მოადგილეობას ასრულებდა ამას წინად გაშავებული საბჭოს წევრი ივანოვი, რომელიც მთავრობამ ჩააყენა და დაარჩინა თავის წინანდელ თანამდებობაზედ. თავის წინანდელ მეგობრებს სრულიად ჩამოშორდა ივანოვი და მთავრობის ყურმოკრილი მონა ვახდა და ახლა იმასაც ფიქრობდა რომ ქალაქის თავად ყოფილიყო დანიშნული მთავრობის მიერ; ამიტომ მოწინააღმდეგებთან ერთად ის დებულობდა ყოველ ღონეს რომ ქალაქის თავის არჩევნები ორივეჯერ ჩაშლილიყო, რის შემდეგ იგი დაინიშნებოდა ქალაქის თავად.

ბევრი ითმინეს ხმოსნება მათგან გაშავებული, მაგრამ მთავრობისაგან დაძალბებული ივანოვის უკანონოდ ჯდომა ქალაქის მეთაურის სავარძელში, მაგრამ მოთმინებასაც ბოლო მოეღო.

აღარ მახსოვს კარგად რის შესახებ იყო საქმეთა სიაში შეტანილი საკითხი, სერიოზული საკითხი კი იყო მახსოვს, — როგორც მივიდა ჯერი ამ საკითხს შესდგომოდა საბჭო, ივანოვმა, თავმჯდომარედ ყოფილმა, აიხსნა ჯაჭვი და სხდომა დახურულად გამოაცხადა. გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა; ასეთი საჭკიელი პირდაპირ გასალახანებას წარმოადგენდა დაწესებულებიას. მეტის-მეტად უხერხული მდგომარეობა შეიქმნა, ზოგიერთი ხმოსნები წამოდგნენ და საბჭოს დარბაზიდან გასულა დაპირეს, ზოგნი კი სახტად დარჩენილნი, ისბდნენ ისევ თავინთ ადგილებზედ გაოცებულნი, გაკვირებულნი.

ამ დროს საბჭოს მდივანმა, ივანე მესხმა, ჩაღარა ვოლსკის და ჩაულაპარაკა: — ჩამოიკიდე ჯაჭვი... განაგრძე სხდომა!

— ბატონებო, გაისმა ვოლსკის ხმა, — ბატონებო გთხოვთ... სხდომა გრძელდება! გრძელდება სხდომა!.. და ჩამოიკიდა თავმჯდომარის „ჯაჭვი“. ამან უარესად დაადთხო ხმოსნები; ზოგიერთნი პარდაპირ გაშემდენ — გაყოლოდნენ ვოლსკის თუ როგორ მოქცეულიყვენ. წუთიერი ყოყმანის შემდეგ რამოდენიმე ხმოსნის გარდა, ყველამ დაიკავა თავისი ადგილი და სხდომა განაგრძეს, დაათავეს.

ესეთი მოქცევა ვოლსკის მიერ შეიქმნა ჩერნომორსკის ვესტნიკის ყოველდღიურ სალაპარაკოთ როგორც ნიშუში და მაჩვენებელი თუ რა კანონის მოწინააღმდეგენი არიან ვოლსკი და მისი მიმყოლი ხმოსნები.

ვოლსკის მოქმედება დაფუძნებული იყო იმაზედ რომ ივანოვი წვერობაზედ გაშაგებული იყო, მას აძალებდა მხოლოდ მთავრობა და ქალაქის თავის გარდაცვალების შემდეგ სათავეში ყოფნა ეკუთვნოდა უსათუოთ ამორჩეულ პირს, როგორც იყო იგი, ვოლსკი.

გაზეთის წერილებმა მიიქციეს გუბერნატორის ყურადღება და ქუთაისიდან შეკითხვა შეკითხვაზედ მოდიოდა, დიანიშნა გამოძიება — ატყდა ერთი ალიაქოთი. გახარებულნი მოწინააღმდეგენი გაიძახოდნენ რომ ყველა ზემოაღნიშნულ სხდომაზედ დარჩენილი ხმოსნები მოხსნილნი იქნებიანო და ვოლსკიც და მისი ამყოლი ხმოსნები პასუხის გებაში მიცემულნი. ბევრი შეშინებული ამტყუვნებდა ვოლსკის მის მოქმედებაში. მაგრამ იგი მტკიცეთ იდგა თავის პოზიციაზედ; თავისებურად იცინოდა და ამბობდა „ნაბავთ თუ ჩვენი გამარჯვებით არ დათავდეს ეს აურზაური!“.

მან გასწია ერთ დღეს თბილისში და იმდენი ახერხა რომ ინახულა მეფის მოადგილის თანაშემწე გენერალი მალაშა. მალაშა ერთგვარათ მოილიბერალეზდა საუბარი მასთან დათავდა ვოლსკის გამართლებით, რაც მალაშამ წერილობით აცნობა ქუთაისის გუბერნატორს. ვოლსკის მოეზიბლა გენერალი და გამარჯვებული დაუბრუნდა თავის მუშაობას. ივანოვი გამტყუვნებული დარჩა მაგრამ თანამდებობას არ მოაშორეს..

ამ აყალ-მაყალში, როგორც ვთქვი, ქალაქის თავის კანდიდატიც მოინახა, და მოხდა არჩევნები.

ანდრონიკაშვილი იქმნა ამორჩეული, მაგრამ ქუთაისის გუბერნატორმა იმ დეპუტაციას, რომელიც წარუდგა და თხოვა არჩეულის დამტკიცება, უთბრა რომ თქვენი ამორჩეულის საწინააღმდეგო არა მაქვს რაო ოღონდ სუსტი ცენზი აქვსო და სანამ არ მოწინააღმდეგე სხვა ცენზს, მანამდე არ დავამტკიცებო; ცენზის მოსახანაზავად დეპუტაციამ დრო ითხოვა გუბერნატორისაგან და მანაც შეპირდა რომ სანამ არ მოწინააღმდეგე ახალ ცენზს, მანამდე ხელნიერე არჩევნებს არ დავაძალბებთო. დეპუტაცია ჩამოვიდა ბათუმში, ჩამოიტანა ერთგვარათ დანამშვიდებელი ამბავი, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ მოვიდა მოწერილობა; „დაუყოვნებლივ მოეზდინათ ქალაქის თავის არჩევნები“. ამ ბრძანებამ, ამ „დაუყოვნებლივ“ არჩევნების დანიშვნამ თავზარი დასცა ყველას. ეს პირდაპირ იმ განზრახვით იყო ნაბრძანები რომ ანდრონიკაშვილი ვერ გაეყვანათ ქალაქის თავათ: რამდენიმე



დღეში გულბერნატორისა და ბათუმის მოწინააღმდეგეების ახრით ახალ ცენტს ვითომ ვერ მოუნახავდნენ ანდრონიკაშვილს, არჩევანში ვერც შეხიზნულა და მთავრობასაც ვერას უსაყვედურებდნენ. ასე ფიქრობდნენ მოწინააღმდეგეები და იმედოვნებდნენ, რომ თავიანთ განზრახვას გაიტანდნენ.

ანდრონიკაშვილის კანდიდატურის წამომყენებლებიც დატრიალდნენ ივანე მესხმა თვალის დახამბაზებაში გამოსძებნა საჭირო ცენტრი ოღონდ გასაჭირი ეს იქნებოდა, რომ ვისგანაც ეს ცენტრი შეიძინებოდა იგი იმ დროს ბათუმში არ, იყო, იმყოფებოდა აბაშის მახლობლად სოფელში და სოფლიდან უნდა ჩასულიყო ფოთში და იქაურ მომრიგებელ-მოსამართლეს უნდა დაემტკიცებინა ცენტის გადმოცემა და გადმოცემული ცენტრი ჩამოეტანათ ბათუმში, ეს უნდა გაეთქვამოდა უსათუოთ სამ დღეში, თორემ საქმე წაგებულ იქნებოდა.

ამორჩეულ იქმნა მწუ ახალგაზდა აბაშაში და იქიდან სოფელში გასაგზავნად. მას უნდა ჩაეყვანა აღნიშნული პირი ფოთში, ფოთში დაუბედებოდნენ კარლო ჩაბიძე და ფოთელი ათანასე ხოშტარია, რომლებიც გააცნობდნენ საქმის ვითარებას მომრიგებელ-მოსამართლეს დავით ყიფიანს და ეს ერთ წუთსაც არ გააჩერებდა გაგზავნილებს ტყველა.

ყველას თავ-თავისი ინსტრუქცია მისცა სტრატეგმა ივანე მესხმა, რომელიც უცაბედათ ავით გაავიხდა ამ დროს და ლოგინში მწოლარე, მწარე შეწყუბებული საქმეს არჩებდა, თუ ვის რა და როგორ გაეკეთებინა.

გამგზავრდნენ დასაქმებულები. აბაშაში გაგზავნილი ჩიქოვანი ცხენის ქაინ-ქაინით მიიჭრა სოფელში; აუხსნა იქ მყოფ ჯაიანს მისვლის მიზეზი და ორთავე დაუყონებლივ გაემართნენ ფოთისკენ. ბათუმელები გულისფანქვალთ მოველოდით დებუშას ჩხეიძისაგან ფთხედან მესამე დღეს; დანიშნულია ქალაქის საბჭოს კრება და საქმეთა სიაში შეტანილია ქალაქის თავის არჩევა; თუ არ შესდგა არჩევნები—მთავრობისაგან დანიშნება და ვისაც მოიპრიანებდა.

საბჭოს დარბაზში საყვება ხალხით; ხმოსნები უკლებლივ ყველანი არიან. დაიწყო სხდომა. მატარებელი რომლითაც უნდა ჩამოსულიყვნენ ფოთში გაგზავნილები მოგვიანოთ მოდის ბათუმში. დებუშა მოსულა მოვდივართო. საჭირო იყო სხდომის რამე რიგით გაგრძელება. ჯერ მივიდა არჩევნების მოსახდენაზე, რამოდენიმე ხმოსანმა მოითხოვა სხდომის შეწყვეტა, რომ სინამ არჩევნებს შეუდგებოდნენ ხმოსნებს მოვლაპარაკნათ ერთმანეთში.

— შეწყვიტოთ სხდომა.— მოილაპარაკონ რა კი ეს საჭიროა! წამოიძახა დაცივნით ამ დღეს გამოცხადებულმა პალმომ, რომელიც მხიარულათ იყო, რადგან მისი შებედულობით ანდრონიკაშვილის არჩევა წაგებული იყო.

სხდომა დროებით შესწყდა. ეს იყო ხერხი რომ გაგზავნილებს კრებისათვის ჩამოესწროთ. ქალაქის სამმართველოდან რკინისგზის სადგურამდი ცოცხალი ტელეგრაფი იყო გაბმული.

დარბაზში შეიქმნა მხიარული მოძრაობა. მატარებელი მოვიდა, ჩხეიძე ჩამოვიდა და მოაჭეს ცენტრი!.. მალე თავით ჩხეიძეც გაჩნდა საბჭოს დარბაზში, ივანე მესხმა ჩიბიარა მოტანილი საბუთები, ხელათ შეიტანეს კასიაში რაც ფუ-

ლი იყო საურვეზედ შესატანი და თამამათ მოითხოვეს სხდომის განხილვა რამაც მეტად გააკვირვა მოწინააღმდეგენი. გაიგეს ყველაფერი და მხარულად ყოფნა მოეშალათ. შეუდგენ არჩევანს.

— გთხოვ დასახელოთ კანდიდატები! თქვა თავმჯდომარემ.

— ივანე ზაქარიას ძე ანდრონიკაშვილი! წამოიძახა რამდენიმე ხმოსანმა.

— აქვს სათანადო ცენზი? ვერ მოითმინა პალმიმ.

— ყველაფერი წესიერათ აქვს! მიუგო ივანე მესხმა.

შეუდგენენ კენჭის ყრას.

ანდრონიკაშვილი არჩეულ იქნა ხმის დიდას უმეტესობით. სიზარულს საზღვარი არ ჰქონდა. არჩეული მთავრობისაგანაც სულ მოკლე ხანში იქნა დამტკიცებული.

ასეთ დამძიმებულ პირობებში უხდებოდათ მეშაობა, მაგრამ მაინც ენერგიულათ მუშაობდენ.

ასათიანის მემკვიდრე სასურველი მემკვიდრე გამოდვა: მან საყვებით გაამართლა ილიას რეკომენდაცია და დიდხანს ცუო ბათუმის ქალაქის ეთაჟრათ.

მუდმივმა ლეკვამ, დავიდარაბამ დაბოლოს მოსტება ვოლსკი და სრულიად აუშალა ნერვები, რის გამო იძულებულა შეიქმნა ბათუმს გამორებოდა. იგი გადვიდა თბილისში, ქართულ გიმნაზიაში იწყო მასწავლებლობა, მაგრამ უღმობელმა სიკედილმა მალე გამოასალმა წუთისოფელს—რაღაც მიზეზათ მოეწამლა სისხლი და გარდაიცვალა რამდენიმე დღის შემდეგ. ბათუმლებმა თბილისიდან იგი ჩამოასვენეს ბათუმში და აქ დიდის პატივისცემით დაასაფლავეს ქართული ეკლესიის შესავალ კარებთან.

(გაგრძელება იქნება)

## ქოლა ლომთათიძე.

(მისი ნაწარმოებთა გამოშვების გამო).

### I

ქოლა ლომთათიძეს ჩვენ აქამდის არ ვიცნობდით როგორც მხატვრულ-მწერალს. იბეჭდებოდა ხოლმე იმ ხანებში მისი ნაწერები, მაგრამ ნაწყვეტებათ-იშვიათათ. არ მოგვეცემია შემთხვევა, რომ დავეკვირვებოდით იმის შემოქმედებას. ათასში ერთხელ თუ გაიფიქრებდი ვინმესგან შენიშვნას გაკვრით და სხვათაშორის.

მე მგონია, რომ პირადათაც უცნობი იყო ის თავის ამხანაგებისთვის... პარტიული მუშაობის დროს ორჯერ შევხვედრივარ მე იმას. ერთათ წავედით 1905 წელს პირველ ლეგალურ კონვენერციაზე პეტერბურგში, ერთათ დავბრუნდით იქიდან. ერთათ ვიყავით სტოკჰოლმის ყრილობაზე 1906 წელს. მე ვერ ვიყავი კმაყოფილი ჩემი შთაბეჭდილებებით. ქოლა მომეჩვენა მე ისეთ ადამიანათ, რომელსაც არავინ არ უყვარს და რომელიც არ შეიძლება ვინმეს უყვარდეს.

ახლა ვგრძნობ, რა მოტყუება ცოდნია პირველ 'შთაბეჭდილეს'. ვფიქრობ ასე მოტყუებულა ბევრი სხვა, ვინც ჩემზე უფრო დაახლოებული ყოფილა ქოლა ლომთათიძესთან. დარწმუნებული ვარ, მისი გაცნობა შესაძლებელია მხოლოდ მისი ნაწერების საშუალებით. ასე ერთათ მე არ მიწახავს ეს ნაწერები. ვხედავ, რომ ჩვენ გვერდით, ჩვენ რიგებში ყოფილა მდიდარი ბუნების პიროვნება და ისე გაუფლია იმის სიცოცხლეს ჩვენ თვალის წინ, რომ ჩვენ ვერ გვიცნია ის.

ახლა, სიკვდილის შემდეგ, თავისი დატოვებული ნაწერებით უფრო გულახდილათ, მეგობრულათ და უბრალოთ გველაპარაკება ჩვენ ქოლა ლომთათიძე. არ შეიძლება არ შეუყვარდეს ის ყველას, ვინც კი წაიკითხავს მის ლიტერატურულ მემკვიდრეობას.

ორათ ადამიანია ქოლა. ერთი პოლიტიკური მოღვაწე, ფანატიკური მუშაკი-ფრაკციონერი და მეორე დიდი მხატვრული ნიჭით დაჯილდოებული პოეტი. პირველი ჩვენ გვახსოვს, მეორეს ვხედავთ იმის ნაწერების ორ ტომში.

საკვირველი სხვა და სხვაობაა. ქოლა პოლიტიკური მოღვაწე-მუშაკი სრულ-

ლიად არ გავს ჰოლას—პოეტს. ჩვენში მაინც იშვიათათ შემხვედრია ამისთანა დამოუკიდებლობა შენოქმედების, როგორცაც ვხედავთ ჰოლაში. შემხვედრია ვალექსილი პროპაგანდა-ავიტაცია, შემხვედრია პოეტი, რომელიც მიზნათ ისახავს უმღეროს რევოლუციას და ამ მხრივ ასრულებს თავის მოვალეობას...

ჰოლა უფრო თავისუფლათ გრძნობს თავს, არაფერს არ ივალეებს არც შინაგნათ, არც გარეგნულათ არ ხელმძღვანელობს წინასწარ შეთვისებული აზრებით. ის ემორჩილება მარტო თავის გრძნობას. გრძნობითაა მდიდარი ჰოლა ლომთათიძის მხატვრული შემოქმედება და ამითი აიხსნება მისი დიდი მიღწევები.

II

— „სატუსალოში ადამიანი ძმავ, გადამეტებული გრძნობიერია“,—სწერს ჰოლა ლომთათიძე. სატუსალოში გაატარა მართლა მეტი წილი თავისი ხანმოკლე სიცოცხლის. უხეშობის, სიბინძურის და სისახელის მეტს ის ვერაფერს ხედავდა ამ სატუსალოში და მაინც შეირჩინა სიღრმე-სიანზე გრძნობიერების.

გრძნობას გაჰყვა ის თავის მხატვრულ ძიებაში და სულ არ გახსენებია აქ ის, რაც შეადგენდა იმის პოლიტიკურ-პარტიულ იდეოლოგიას; „წინააღმდეგობაც“ გამოუღდის, თითქო, ამ იდეოლოგიასთან. არ ეტყობა არსად, რომ იზიარებს მატერიალისტურ მსოფლმხედველობას. თავის მხატვრულ ნაწერებში ის გვეჩვენება იდეალისტათ. ის იყურება ზეცისაკენ... მთელი სინამდვილე მიაჩნია სატუსალოთ და მიუწოდომელი იდეალიზმით გაჯერებულია მისი მოგონებები. ეძებს ზღაპარს, ტკბილ ზღაპარს:

— „უბლა სად ხარ შენ? განა იმიტომ მომიჩვენე, რომ მეტირა? რათ ამჰყვარილდი შექტრა გარსკვალავივით ჩემს სიბნელეში? განა ვსურს, რომ შემდეგ უფრო მეგობრო სიბნელე ღამისა“?..

„ღამის სიბნელის“ გასაფანტავათ იბრძოდა იმ დროს სოციალ-დემოკრატია. ჰოლა ლომთათიძე წევრი იყო ამ პარტიის. როგორც პოეტი კი სწერდა იმას რაც, პარტიულ პროგრამაში არ ეწერა.

— ღამე მშვიდობისა მშვენიერო ქალწულო!

— საით მიიჩქარით?

— სადმე ქალაქ გარეთ, მინდვრათ... იქ საღამომობით ჩამოდის ხოლმე ძირს ღმერთი და ადამიანს ესაუბრება—როგორ ცხოვრობ? მკითხავს იეს.—გმადლობ შენ შემოქმედო, რომ მე ზუზანიკას შემახვედრე და შემაყვარე—ჩემი სიცოცხლე ნეტარება! ოღონდ ნოაწყვე იხე ყოვლის შემძლევე, რომ იმასაც შეეწყვარდე, და ვიდრევი სიტყვას—შენ მიერ მოცემული სიცოცხლე უქმით არ გავლიო ამ ქვეყნათ... აი რას ვეტყვი ღმერთს,—რათ იცინით?“...

ეს „რათ იცინით? მიმართულია საერთოთ მკითხველისადმი თუმცა, პოეტი ესაუბრება თავის ოცნებაში ერთ პიროვნებას. პოეტი გრძნობს, რომ სიცოცხლე გამოიწვევს მისი უსახლგრო იდეალიზმი, მაგრამ არ ეშინია დაცინვის. გრძნობა არ უმორჩილდება. სწყურია სიყვარული, „სიცოცხლე სიყვარულს გარეშე“ არ სწამს და ეს უნათებს სიბნელეს გარეშემო. აქედანაა მისი იდეალიზმი მხატვრობაში.



— ნეტა რას უნდა ნიშნავდეს ეს? რომ საათი ასე ნელა მივწვდეთ? ნეტავ, რა უნდა იყოს ამის მიზეზი? ახ, მიეხვედი, მიეხვედი, იმას, საათს არასოდეს არ ყვარებია. მკმის...

რალაღ ისეთი ღვთაებრივი ძალა ერევა სიყვარულს, რომ პოეტის შეგრძნებაში სხვაფერდება რეალური სინამდვილე. ეს არ არის იდეალიზმი ჩვეულებრივი ფილოსოფიური გაგებით. ეს არის იდეალისტური განწყობილება სულის შემხუთველი სინამდვილით გამოწვეული. პოეტის გრძნობიერება ამ იდეალიზმის სათავე და არა აზროვნობა. აზროვნობით შეიძლება იყო მატერიალისტი, მაგრამ გეჟნეს-მოთხოვნილება თავი დაახწიო გარემოცულ სინამდვილეს, მისწრაფიდე უკეთესი სინამდვილისკენ. მატერიალისტური მსოფლმხედველობა სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ დაემონა ნიყთის არსებულ სინამდვილეს. მარქსიზმის დამოკიდებულება ნივთ-მატერიასთან, არის უაღრესათ რევოლიუციონური, ეს დამოკიდებულება მოითხოვს ნიყთის—მატერიის შეცვლას, გარდაქმნას, ახალი თვისებების აღმოჩენას ნიყთში—მატერიაში. ახალი სინამდვილის გამოყენა არსებულ სინამდვილისგან ჭოლას ჭოვზიაზია „ზეცა“, „ღმერთი“, „შუქურა ვარსკვლავი“, „ვარსკვლავების სიცილი“, ეს მხოლოდ სიმშლია იმ ახალი სინამდვილის, რომლისთვისაც იბრძვის მშრომელი კაცობრიობა.

მატერულათ, „უბრალო სტრიქონებში“ ჭოლამ დააყენა ეს დიდი ფილოსოფიური პრობლემა, მოგვცა უფრო ადვილი გზა იმის გასაგებათ, ვიდრე მოცემული გვაქვს მსხვილი მეცნიერულ-ფილოსოფიურ წიგნებში. ჭოლას პოეზიაში ვხედავთ მოკვლელ წყურვილს ადამიანისას გამოვიდეს რკინით შემოჭდილ ორი კვლიდან და ავიდეს „მალა მწვერვალზე“, „გამლილ და თავისუფალ სიერკვზე“, „სხვანაირ ზეცისკენ“, იქ „სადაც ზეცაც და მიწაც, ყველაფერი სხვანაირია“.

თავისი პირადი განცდით გამოხატავს ჭოლა საერთოთ ადამიანის განცდას. მის ინდივიდუალიზმში საკაცობრიო ძარღვებია ერთმანეთზე გადაჭყელილი. ის ჩივის, რომ მარტოა სულიერათ, მაგრამ მისი სულიერი მარტოობა იმას აერთებდა მაელ იმ კაცობრიობას, რომელაც მას დროს ვიწროთ და შებუთულათ გრძნობდა თავს „სატუსალოში“.

### III

მთავარი შინაარსი ჭოლა ლომთათიძის ნაწერების არ არის მიმართული საზოგადოებრივი აზრებისკენ. ის სწერს სიყვარულზე, მშვენიერებაზე, მშვენიერების ძიებაზე, ბუნებაზე, გვიზიარებს თავის ეანცდებს, გვიამბობს თავისი დაკრილი გულის საიდუმლოების და საზოგადოებრივ აზრებს კი ებება ნაკლებათ. სადაც ეხება, იქ უფრო გრძნობაა „ვიდრე აზრი საიდანმე გადმოღებული“. თავის გრძნობებში აქვს პოეტს გატარებული ის დაკვირვება, რომელსაც აწარმოებს მისი თვალი და ყური.

იი ერთი დაკვირვება, მაგალითათ.

—...ლაშიზი ცხენები, ლამაზი ჭალები, მორთულ მოხდენილი ალფონსები და სუტენიორები, ქართველი აივადები და სოვნები ვაჭრები—ყველაფერი ეს

არცელია, ერთმანეთს სდევს, ერთმანეთს ეტრფის. სანახევროს სტატუსის ქალები, ისეთი, ისეთი ლამაზები. მდიდრები ერთი-მეორეს ახარებენ იმით, ერთი-მეორეს აჩვენებენ, აბა შეხედე, ღირს თუ არა იმ ფულუბათ, რომელიც დამიბარჯავს ამაზე—ღირს თუ არა იმ სიმდიდრეთ, რომელსაც მაგაზე ვხარჯავ, ხომ ლამაზი საქონელიაო! აი, აბა შეხედეთ ამ ლამაზს, ამ ნაზ ქწილუბას, აი ამას ჩემს საყვარელს შეხედე—ჯოღვა თვალებით, მოხდენილს და ისეთ მშვენიერს, როგორც ცნობილი ჯიშის ცხენა და როგორც კარგი ჯიშის ცხენი, ძვირისა და ძნელათ საშოვარს.. და ის ჩემი სურვილების, ჩემი გარყვნილი ღამეების მონაა, იმიტომ, რომ ფულუბი მაქვს მე“..

სილამაზისაგან, მშვენიერებისაგან ყოველთ ბინძური კაპიტალისტური „საზოგადოება ქწნის სიბინძურეს ეს არის კანონი იმ ურთიერთობის, რომელიც გამოდის ადამიანის ხელიდან, და რომელსაც ემორჩილება ადამიანი. ათასწიარ წიგნაკებში, ჟურნალებში, გაზეთებში წაგვიკითხავს ჩვენ ეს და მაინც ახალია, თითქო, რაღაც, როცა ამაზე ვკითხვლობთ ჭოლა ლომთათიძის მხატვრულ ნაწერებში. ახალ შთაბეჭდილებებს ვვადლებს ის ჩვენ თავის სტრიქონებით.

არა-ლეგალური მომუშავე მიდის ერთ საღამოს საყვარელი ქალის შესახვედრათ. ფიჭვი მისდევს თან, იქნება ჯაშუშებმა იცნონ და გააგზავნონ სატუსალოსაკენ... კიარა, ვინ სთქვა ეს, ვინ შეთხზა ადამიანის საზოგადოებაზე ისეთი ზღაპარი? ვინ დასწავა ცილი ადამიანს ასეთი მშვენიერა საღამო დგება—როდის უნდა გაიშალოს ადამიანის გული თუ არა ეხლა? როდის უნდა შეიქმნას ის სპექტაკი და გამსჭვირვალე, თუ არ ამ საღამოს? როდის უნდა გაიმელანოს მან მან მისი ფაქიზი, მისი უწყვიკლო საყვარული? და ეს დანაშაულია? ამისთვის სატუსალო მოგველას? რას ზღაპრობთ ერთი მითხარით, ვინ განდათ დაატყუოთ?..

თითონ შექმნა ადამიანმა ეს, და ლომთათიძეს უნდა გაიგოს ეს უცნაური „ზღაპარი“ საზოგადოებრივი ურთიერთობის. შეგნებით ეს ვიცით ყველამ, ვისაც კი წაგვიკითხავს სოციალურ-ეკონომიური გამოკვლევები. ჭოლასაც გაგებული აქვს ეს, როგორც პოლიტიკურ მომუშავეს, რევოლუციონერს. მაგრამ აქ ის ამ „ზღაპარს“ უდგება გრძნობით და არა შეგნებით. ის გვადლებს პსიხოლოგიას საზოგადოებრივი ურთიერთობისას. ის არ სწერს რევოლუციონერს და რევოლუციონერი კი არის მისი სტრიქონები იმ უცნაური „ზღაპრის“ წინააღმდეგ. პართლა რომ ცილის წამება ადამიანის ადამიანზე, როცა „გულის გაჭლა“ ფაქიზი უწყვიკლო საყვარულის გაქუღაენება გინდა და „ამისთვის სატუსალო მოგელოს“ ჭოლას მხატვრულ კალამს მიაქვს გრძნობის ნაპერწკალი იმ ისანთებ მასალასთან, რომელიც დაგროვილია ჩვენს შეგნებაში.

## IV

\* ეს რევოლუციონერი ანთება, თითქო, არ უდგება ჭოლას ნაზ, გრძნობიერ ბუნებას. ჭოლას უყვარს ადამიანი, მისი სატუსალოს ფანჯრის წინ სტალიანის ჯალათები ადამიანს აღჩობენ. და ის კი მხათ არის ამ დროს საყვარული გაუქუღაენოს ყველას, საყვარულით უნდა გაქარწყლება იმ უცნაური ზღაპ-



რისა, რომ აღამიანი აღრჩობს აღმშინს.—მიყვარს „ველა სულ ველა“, ისმის კლასის გულიდან, როცა ის ხედავს „კლასთა ბრძოლის სისულელეს“.

„მანილოვი მიწოდო“—ამბობს კოლა ერთზე. და მართალია, ძალიან წაგავს ის მანილოვს თავისი უზომო გრძნობიერებით, მაგრამ გრძნობითვე ამარცხებს ამ მანილოვობას თავის ბუნებაში:

— შევცქერი ველა ამას და მაგონდებიან ზოგიერთი ბრიყვები, რომლებიც მშვიდობიანი საშუალებით ფიქრობენ მოსპონ დიდი დავა სიმდიდრე-სიღარიბეს შორის. მართლა ეგრე ფიქრობთ, ყმაწვილებო? აი ესენი დათმობენ რამეს ნებაყოფლობით? თუ მაგარი მუჯღუგუნნი არ უთავაზე იმათ, მიხედებიან ვანა ისინი რომ ცხოვრების სუფრაზე სხვათაღ უნდათ ალაგი! დიდება შენ სახელს ღმერთო რომ ასეთი ქვეა თხელ ხალხს აჩენ ქვეყნათ. მშვიდობიანი გზით უნდათ მოსპონ ომი შრომასა და შრომის პარაზიტებს შორის!...

რალაც წიგნური ეტყობა ამ სტრიქონებს. თითქო, რალაც ვახსენებია, ჟიან მიუხედავთ თითქო ვერ მიპყვება თავის მხატვრული შემოქმედების სტიქიას, რეზონიორობა მაინც არ გამოავდო, და პირადი განცდით იძლევა აქაც საზოგადოებრივი ურთიერთობის პსიხოლოგიას.

მშვიდობიანი გზა ბრიყვების, ქვეა თხელი ხალხის საქმეა. აბა რომელი გზა სჯობია იმ „დიდი დავის“ მოსასპობათ „მუჯღუგუნის წასაქრავათ“.

კოლას არ შორდება ეს კითხვა.

...— მისი აღმატებულება წავიდა. კარები მიიხურა, და მე მარტო დავრჩი. ვნახოთ რა იქნება.. კარკერო? დეე. წიგნებს წამართმევენ? ჯანდაბას მაგათი თავი, წაიღონ! ბოლთას ვსცემ, ვშფოთავ და უცებ, პირველათ, ამდენი წლის განმავლობაში, თავში იზადება კითხვა: „რას იზამ, როგორ მოიქცევი, რომ „ისინი“ შენ ხელში ჩამოგარდენ? შენ ციხის უფროსი ხარ მაგალითათ, „ისინი“ კი ტუსალები, როგორ მოიქცევი?

მინდოდა ამ კითხვის მოშორება თავიდან—აბა ეს როგორ შეიძლება? მაგრამ კითხვა ჯიუტობდა და არ მოშორდებოდა.—არ იქნება ეს—რა თქმა უნდა, მაგრამ რომ მოხდეს რას იზამ მაშინ... რას ვიზამ „ისინი“ რომ ხელში ჩამივარდენ? არაფერს, მხოლოდ ძალაში მოვიყვანდი, ერთი იოტის ოდენათ არ შევამსუბუქებდი იმ კანონებსა და ცირკულიარებს, რომლებიც იმათ ტუსალების საწამებლად და დასამცირებლად შეუქმნავენიათ. მეტს არაფერს არ ვიზამდი.. ერთი მითხარით—შეიძლება ამაზე შორს წასვლა, მეტი ვაზრწნა? კაცი ოცნებობდღ და ამ ოცნებაში ნატრობდღ სატუსალოს უფროსობას!..

მხატვრული ინტუიციით მიდის კოლა ღრმითიღე დიდი საზოგადოებრივი კითხვების გარკვევაში—ეძებს, რაში უნდა გამოიხატოს არამშვიდობიანი საშუალება, „მაგარი მუჯღუგუნნი“. ეძებს და უცებ თავში მოუდის, რას ვიზამდი, რომ „ისინი“ ჩამივარდენ როდისმე ხელშიო. ის გაურბის ამ ფიქრს, მის მხატვრულ სინდისს არ აკმაყოფილებს ისეთი პერსპექტივა, როგორიც ესახება ამ შემთხვევაში თვალის წინ.

აღვილია შეთვისება იმ აზრის, რომ საზოგადოებაში კლასთა ბრძოლა,



რომ ისტორიის შინაარსია ეს ბრძოლა. სოციალისტებისთვის, არ უნდა ახალი ამბავი, რომ ერთმა კლასმა უნდა დაამარცხოს მეორე კლასი მანამ, წინამ არ შეგვიძლია გაეთვალისწინოთ ფორმები ამ ბრძოლის...

თითქო, წინასწარმეტყველებაა კოლას სტრიქონებში... თითქო ათეული წლით გაიხედა წინ.

## V.

კოლას სრულიდმა გამოიწვია იშვიათი ერთსულოვნობის დემონსტრაცია. რუსეთის დიდი და მიფარდნილი კუთხეებიდან მოდიოდა თანაგრძობის დეპეშები. ეს იყო პირადათ კოლასთვის. კოლას პატივს სცემდნენ, რამდენათაც ის პოლიტიკაში ემსახურებოდა რევოლიუციას. რუსეთში კი არა იცნობდნენ იმის ლიტერატურულ მემკვიდრეობას. რუსეთში კი არა საქართველოში არ ვიცნობდით. ერთხელ დაიბეჭდა, გაზეთ «Русския Ведомости»-ში ს. შკარიშვილის პსევდონიმით. მისი ყველა ნაწერები რომ ყოუილიყო დაბეჭდილი დარწმუნებული ვარ, ყველა, მიმართულების გაურჩევლად, იგრძნობდა არა მარტო თანამოაზრის დაკარგვას. ცხადი იქნებოდა ყველასათვის, რომ კოლამ თან წაიღო ადამიანის გულის საიდუმლოება\*.

სატუსალოში დალია სული კოლა ლომთათიძემ. ვინ იცის რამდენ რამეს შექმნიდა მისი დიდი ნაჭი იმ „ზღაპრის“ მოსასაზრად, რა სიძულვილს და რა სიყვარულს ვისწავლიდით ჩვენ იმისგან.

საზოგადოებრივ მებრძოლს სჭირდება ორივე—დიდი სიძულვილი და დიდი სიყვარული. კოლას გრძნობა არ იყო ზედაპირული. იმაზე არ ითქმოდა ლერმონტოვის—«И ненавидим и любим мы случайно».

— ბავში ერთად ერთი სოლდგმულია, რომელიც გვიყვარს ნამდვილი, ქემპარტიტი სიყვარულით... და, როცა ჩვენ, ძმებო, შეგვიყვარდება ერთმანეთი ისე, როგორც გვიყვარს ბავშები. ამ წუთში კი შე გგონია, რომ ყველა თქვენგანი მიყვარს მე...

ღრმა სიძულვილს კოლას პოეზიაში თან ახლავს ღრმა სიყვარული, უყვარს ადამიანი და სძულს ადამიანის დამამკირებელი „არსებული საზოგადოება“.

გრძნობა ნიჭია. რომელიც ხელოვნურად არ მოიპოვება. მხოლოდ დიდ ნიჭს შეუძლია დიდი სიძულვილი და დიდი სიყვარული.

„სიყვარული როდია“ კოლასთვის უბრალო მისწრაფება ქალისადმი. „ამ სიყვარულის საბელით“ დგას ის „ბრძოლის ველზე“. კოლას არ სწამს ის „მხოლოდ დედაკაცის ტურებსა და კოცნაზე“ გალობა.

მის პოეზიაში ინდივიდუალური სიყვარული სიმბოლოა იმ სიყვარულის. რომელიც სარჩულად უნდა დაედოს მოზაველ საზოგადოებრივ ფრთხილბრძობას.

...„მე ერთი ვიცოდი—ჯიბილო მდიდარი კაცი იყო. ცოტა წარმოდგენა მქონდა სიმდიდრე სიღარიბეზე და მთელი ჩემი პაწია ჭკუითა და გულით ღარიბების მხარე მეჭირა. მაშასადამე მძულდა ჯიბილოც, როგორც მდიდარი, როგორც მტერი... და შენ მის ცოლს გთვლიდი მტრად, რომელიც მტრის ოჯახს





შეემატა. ეს იყო და ეს... მაგრამ აი გაეკრულა ხმა, რომ შენს სურულიდაც არ ვინდოდა, რომ ჯიბილო ყოფილიყო შენი ქმარი, რომ შენ მხოლოდ მთავრობოვს ჯიბილოს მისი სიმდიდრით დახარბებულმა შენმა მშობლებმა... როცა მე ეს ვაიგე. შენ მაშინ კიდევ არ წყავდი ნახული... და უცებ შენ შემოდი, ქეთო ჩემს გულში, როგორც სიმბოლო, როგორც მიზანი. შენ, მეგობარო, შენ ამხანაგო, და შენ ტყვევ მტრის ბანაკში, შენ პერობილო ჯიბილო დვალაძის, ქვეყნის მტერი—ჯიბილოს ტუსალი\*...

ქალის სიყვარული, „როგორც სიმბოლო, როგორც მიზანი“. ახლა ეს პრობლემა დაყენებულია ქოლა ლომთათიძის პოეზიაში. სიყვარული ქალი სიმბოლოა მშვენიერების, რომელიც „არსებული წესრიგის“ კლანჭებშია ჩავარდნილი. ქოლას შემოქმედება ეძებს გზებს ამ მშვენიერების, ამ „ნესტან დარეჯანის“ გასანთავისუფლებლად. აქ ინდივიდუალური სიყვარული საკაცობრიო სიყვარულია იმავე დროს.

## VI

„უდიდებულესი გრძნობა, ზრომლისოთაც ადამიანი არ არის ადამიანი, სად, სად არის გულში ეს გრძნობა!..“

ქოლა ლომთათიძე უკმაყოფილოა თავის თავით. ვისთვისაც მეტი მიუცია ბუნებას, ის თითონაც მეტს მოითხოვს თავის თავისაგან. ხანდახან ქოლა ისე გულგამშრალად გრძნობს თავის თავს, რომ ვერაფერს გვეუწება და „დუმილს“ გაეს მისი თქმა. მაგრამ ამ „დუმილიდანაც“ ჩვენ მეტი გვეუწება, ვიდრე საუკეთესოთ გამართული და აკაზმული სიტყვებიდან.

„უდიდებულესი გრძნობის“ ჩარჩოებში სვამს ქოლა ლომთათიძე საზოგადოებრივ კითხვებს. მშვენიერებას ეძებს მისი მხატვრული კალამი თითოეული ამ კითხვის ვადაჭრაში.

— გზა, გზა დიდებულ ადამიანს, რომელიც გუშინ იყო მიიმუნი, დღეს ადამიანი და ხვალ კი, ვინ იცის, რა მოდენათ გაიზრდება, რად იქცევა!.. გზა ადამიანს!..

არ შეიძლება გულდაჯერებული და მოსვენებული იყოს ადამიანი, როცა ყოველი ნივთი, მისი ცხოვრების გზა არის მომავლისკენ. არ შეიძლება მოსვენებული ყოფილიყო ქოლა ლომთათიძე, როცა ხედავდა, რომ „სატუსალო და საბარბოელა“ გზას არ აძლევდენ ადამიანს.

მშვენიერების სახეთ აქვს წარმოდგენილი ქოლას თითოეული საზოგადოებრივი აზრი, რომელიც იმარჯვებს, რომელმაც უნდა გაიმარჯვოს ამ გზის გაკაფვაში.

სამშობლოც ასე აქვს წარმოდგენილი:

— „მეღვქით. ჩვენ წინ ლელავდა და ბობოქრობდა თბილისი. შეიძლება სიყვარულით ვიყო ასეთი ბრძა, მაგრამ თბილისი უღამაზესი ტალაქი მკონია ამ ქვეყნათ. მიყვარს, მისი დაკლანული ოღროზოღრო ქუჩები, მისი დიდებე, სადაც თამარ მეფემ იქორწილა... მიყვარს მისი ავლაბარი, სოლოლაკი, ხარტუბა, ნაძა-

ერეკნული

ლაღვი... მიყვარს იმ სისხლის გამო, რომელიც საუკუნოებამს წაგმავს სხვაში დაუღვრია ჩენა ძეგლებს მის დასაცავად, წმინდა ქართული სისხლის გამო... მიყვარს დაესცქეროდე იმას თავზე, მესმოდეს მისი ბმურობა, მისი ქოთქოთი მისი შფოთიანი მოძრაობა, ხორცსა და ძვალს ისხამს ის ჩემს წარმოდგენაში და როგორც ცოცხალი, ძვირფასი არსება დგება ჩემს წინაშე—მაბლობელი, საყვარელი, ფსიქოფიზი, და გული ჩემი მაშინ სცემს უფრო მზნეთ და უფრო პატიოსნათ... იქ არ აფრიალდა პირფილი ის დროშა, რომელსაც მე თავი შევადარე, რომლის ქვეშ ვცდილობ მე არა რის პატრონი, ქვეყნიერებას დავეპატრონო?.

სამშობლო და საერთაშორისო დროშა, ეს „საყვარელი არსება“ ასულდგმულებს ჭოლას პოეზიას. ხელოვნების საგანია ეს იმისთვის.

დიდი წვალება იქვს გავლილი ამ მწერალს თავის ასპარეზზე. რედაქციები გულგრილად ეკადემოდენ მის ნაწერებს, ეკარგებოდათ მისი რეველები. მეორე ხარისხიდან და უმნიშვნელო რამეთ იყო მიჩნეული მისი მუშაობა, როგორც მხატვრული მწერლის.

ახლა, როცა ვკითხულობთ ამ ორ ტომს მისი ლიტერატურული მემკვიდრეობისას, ჩვენ ვგრძნობთ, რომ სპილო ვერ შეგვიმჩნევია თავის დროზე. ქოლა ლმთათიძის პარტიული მოღვაწეობა, კომიტეტების, კონფერენცია-ურილობების, სახელმწიფო სათათბიროს წევრობა წვრილმანი რამე ყოფილა იმის მხატვრულ მოღვაწეობასთან შედარებით. დიდ და პატარა საზოგადოებრივ პოლიტიკურ მომუშავეს ამ ორი ტომის წაკითხვაზე ექნება „აუცილებელი მომენტი“ „სიმშვენიერის გრძნობის პირველად გაღვიძებისა“, როცა საზოგადოებრივი მებრძოლი პირველათ იგრძნობს, რომ ლამაზია, მშვენიერია საგანი მისი ბრძოლის, მისი მისწრაფების.

მშვენიერების გრძნობით არის აღფრთოვანებული ქოლას შემოქმედება და ამ გრძნობის საჩხულზე ის იძლევა ისეთ წინ გახედვას, როგორიც შეუძლებელია მარტო აზროვნობისთვის და ლოლიკური დასკვნებისთვის. ეს წინხედვის გრძნობა ისე ძლიერია მის პოეზიაში, რომ სატუსალოში, სატუსალოს „თეთრ ლამიებში“, „არსებული წესრიგის“ სიბნელეში—ყველგან უნათებს პოეტს „შუჭურა ვარსკვლავი“. იმედით იყურება ის მომავალი გამარჯვებისაკენ.

## ალიტერატურული კართულ შაირში და „ვეფხისტყაოსნის“ პროზაზე.

(დასასრული \*)

აგილოთ ამისათვის „ვეფხისტყაოსანი“, გამოცემული კაკაბაძის მიერ. ამ გამოცემაში მოყვანილია ყველა ტაეპები „ვეფხისტყაოსანის“ სხვადასხვა ხელნაწერებიდან შემდეგი წესით: ის ტაეპები, რომლებიც გამოცემულს ნამდვილად მიიჩნია, მოთავსებულია ზემოთ (ზედა სართულის ტაეპები), ხოლო ყალბად მიჩნეული ტაეპები კი ქვევით (ქვედა სართულის ტაეპები). დალაგებაში ბევრი შეცდომებია, მაგრამ ამის შესახებ ორიოდ სიტყვას ვიტყვით შემდეგ, ჯერ კი ეს წიგნი გვიანტერესებს, როგორც „ვეფხისტყაოსანის“ ყველა ტაეპების შემცველი წიგნი.

თუ გამოვაკლებთ პროლოგს, რომლის შესახებ ჩვენ წინა თავში საკმაოდ ვილაპარაკეთ და რომელიც ს. კაკაბაძეს მეტად არეულად აქვს დალაგებული, ჩვენ დავგრძობთ ამ წიგნში 508 ტაეპი მოქცეული ქვედა სართულში, ესე იგი მიჩნეული ყალბად: ეს ტაეპები (რამდენიმეს გამოკლებით) არ შედის „ვეფხისტყაოსანის“ არც ერთ გამოცემაში. ბევრი მათგანი წარმოადგენს ზედა სართულის ტაეპების შინაარსის სუსტ გამეორებას და რა თქმა უნდა, არც შეიძლება რომ მათ ადგილი დაეთმოთ პოემის ტექსტში. მაგრამ მაშინ როდესაც ამ ტაეპებს „ვეფხისტყაოსანის“ მკვლევარები ვადამწერების მიერ შეთხზულ ტაეპებად აღიარებენ ერთ ხმად, ჩვენ ერთმა თვალის გადავლებამ მათზე ღრმად დავგარწმუნა, რომ ყველა ეს ტაეპები წარმოადგენენ ავითონ რუსთაველის მიერ დაწერილსა და შემდეგ მისგანვე გადაკეთებულ ტაეპებს. იმისთვის ვინც, პოეტურ შემოქმედებაში ასე თუ ისე გამოცდილია, ვინც იცის მაგალითებით, თუ როგორ და რა მიზნით ასწორებს ხალხმ პოეტი თავის ლექსებს, საკმარისია, ვიმეო-

\*) იხ. „მნათობი“ № 5 და 6 (13 და 14).



რებთ, ამ ტაიპებზე მხოლოდ ერთი თვალის გადავლება, რომ ეს საყვარელი დარ-  
წმუნდეს ზემოთ გამოთქმულ აზრში).

ესეც არ იყოს, როგორ შეიძლება ავხსნათ სხვაგვარად ერთი და იმავე ტაი-  
პის რამდენიმე ვარიანტის არსებობა. დავიფიქსოთ ის ზოგადი მოსაზრება, რო-  
მელიც ზემოთ „ვეფხისტყაოსანის“ გადამწერების შესახებ ითქვა, მით უმეტეს,  
რომ არც ერთი ჩვენ მიერ წამოყენებული მთავარი დებულება ამ გამოკვლევაში  
ზოგად მოსაზრებას არ ემყარება, და დაუშვათ, რომ გადამწერებს შექონდათ  
ვეფხისტყაოსანში საკუთარი ტაიპები. ამ შემთხვევაში გადამწერები რუსთავე-  
ლის ტაიპების გადამაბინჯებას კი არ მიჰყოფდნენ ხელს, ისინი სხვა შინაარსის  
ტაიპებს შეიტანდნენ შავ. რომელი კეთათა მყოფელი აღამიანი გადაასწორებდა,  
მაგალითად, ქვემოთ მარცხნივ მოყვანილ ტაიპებს ისე, როგორც სახითაც ისინი  
მარჯვნივ არიან მოყვანილი:

**ტაიპები ზედა სართულიდან:**

იყო არაბეთს როსტევიან  
მეფე ლეთისაგან სვიანი  
მაღალი, უხვი, მდაბალი,  
ლაშქარ მრავალი ყმიანი,  
მოსამართლე და მოწყალე,  
მორტ ული განგებიანი,  
თვით მეომარი უებრო,  
კვლავ მოუბარი წყლიანი.

**ტაიპები ქვედა სართულიდან 1):**

1. იყო არაბეთს მეფეობა  
მეფისა როსტევიანისი  
მას ჰქონდა სპარსთა ქვეყანა  
მართ ვითა შანშეს ანისი;  
უძრწის და მონებს ყოველი,  
ხელთა აქვს მას საბრძანისი;  
თქვეს თუ ზამს ზმელთა პატრონად  
ან აღექსანდრე, ან ისი.
2. აწყა დივიწყით ამბავი  
მის ხელმწიფისა ზენისა  
არაბეთს როსტენ პატრონი,  
მპყრობელი სმა მოსპენისა;  
მას ესეა ქალი მნათობი,  
თვალთა თუთია დენისა,  
შენხედთა სულის წამლები  
ვერ მხედთა ამავზენისა.

1) როდესაც ეს მოსაზრება გამოვსთქვით მოხსენებაზე, მაშინ ჩვენ ვეწყარებოდით მხო-  
ლო რამდენიმე ტაიპს და ჩვენს განცხადებას ჰქონდა მთავდრის პასიანი. თითქმის ყველა ის მა-  
საღები, რომლებიც მოყვანილია აქ ამ შეხედულებების დასამტკიცებლად ნაყოფია მოხსენების შე-  
დგომ ამ მიზან-თვლებით წარმოებული მტკიცების.

2) ამ მხარეზე მოყვანილ ტაიპებში საზგანმულოა ზოგიერთი რუსთაველისათვის განსაკუთ-  
რებით დამახასიათებელი ალიტერატურა და სიტყვის გამეორება.



მისი სახელი თინათინ—  
 არს ესე საცოცნარია,—  
 რა გაიზარდა, გაივსო  
 მზე მისგან საწუნარია.  
 მეფემან იხმნა ვიზირნი,  
 თვით ზის ლალი და წყნარია,  
 გვერდსა დაისვა, დ. უწყო  
 მით ამო საუბარია.  
 უბრძანა: „გატოხე საქმესა,  
 ერთგან სასაუბაროსა:—  
 რა ვარდმან მისი ყვავილი  
 გაახნოს, დაამკნაროსა,  
 იგი წაევა და სხვა მოვა  
 ტურფასა საბაღნაროსა,—  
 მზე ჩაგვიყენდა, ბნელსა ვსტერეტო  
 ღამესა ჩვენ უნთვაროსა.

როსტევიან უბნა <sup>მეფემან</sup>  
 უბრძანებს თუცა <sup>ფარულად</sup>  
 მე ძე არ მამცა სოფელმან,  
 კიდევ მისთვის ვარ მალულად,  
 ამ ჩემთა სპაშა თავადად,  
 შემტვევებელი ქარულად,  
 მოღბინე, მოასპარეზე,  
 გამოყენებელი დარულად.  
 თვალი უმხვოდ ბრაღია,  
 თუმცა შეეყრას ჩრდილოსა<sup>1)</sup>.  
 თქვენ იცით, რომე კუნუას ვარ  
 ძნელსა, არ საადვილოსა<sup>2)</sup>.  
 ვაფი არა მყავს, ქალია  
 მართ ჩემსა საგაზრდილოსა,  
 ასე მით მხედავთ, მუნ იტყვი  
 ხ ი ტ ყ ვ ა ს ა საღრეჯილოსა.

რა მეფედ დასმა მეფემან,  
 ბრძანა მისისა ქალისა,  
 ავთანდილს მიხვდა სიამე,  
 ვხება სვირს მი სოქალისა.  
 სიტყვა: „ზედა-ზედა მომხვედბის  
 ნახვა მის ბროლ ფიქალისა,  
 ნუთუ ვერ ვპოვო წამალი  
 მე ჩემი ფერ გამკრთალისა!“

ავთანდილს მისით შორს ყოფით  
 შეეკრა თვალნი ბლექითა,  
 იამა ქალის მეფობა  
 სიხარულითა მეტითა;  
 იტყვის: ხანდისხან საუბრად  
 მივალ გულითა რეტითა,  
 კელა ზედა-ზედა შეცხვდავ,  
 ვალბინებ თვალთა ქვრეტითა.

1) აქ ოდნავ არა ჩასაუღლი ის აღგებოია, რომელიც რუსთავედს ბოლოს ასე მკაფიოდ გამოუთქვამს: „მზე ჩაგვიყენდა, ბნელსა ვსტერეტო, ღამესა ჩვენ უნთვაროსა“. შემოკმედბის ფე ხოლოგი ს თვალხაზრით ეს მეტად დიდი ფაქტია, ეს რომ სხვისი ვადავითებელი იყოს, მაშინ აქ ასეთი შორეული მზგავსება კი არ იქნებოდა, გადაწყვეტილები ან უკუღმად გაიმკრებდა ან ტლანქად გადააკეთებდა რუსთაველის ნათქვამს.

2) „ძნელსა, არ საადვილოსა“—უარყოფითი გამოთქმის ტიპური ფორმა ავეფხვს ტყაოხანში“. ეს შერიშული აქვს აკად. ნ. შარს თივის ზემოდ დასახელებულ ნაშრომში:

„Так—очень выразен у Шоты параллелизм отрицательный, т. е. такое двойное или двухчленное выражение одного и того же понятия или одной и той же мысли, в котором один член построен отрицательно, напр.:

1. მის მოყვრისა მოშორება კელა ამიღებს, არ ადიღებს.
2. იგი ნაფი მკობრეთა მის დღეს ნახეს არა ზეღეს.
3. ნაყოფად ვარგი, შავგრემანი, პირმსუქანი, არ პირმხელი“.



ალაფობდეს საჭურჭელსა  
მისსა, ვითა ნათურქაღსა,  
მას ტაიჭსა არაბულსა  
ქვენაბამსა, ნასუქაღსა,  
რომე გვიანდა სიუხვითა  
ბუქსა ზეცით ნაბუქაღსა...

აწ ნახეთ მეფე თინათინი  
და მისთა შუქთ ბუქსა  
რომე მისებრივ სიუხვე  
ბუქსა თუ ჰქონდა ბუქობა  
მართ იმა დღისა მნახველსა  
არსად ეთქმოდა უქობა...

კვლავ ბრძანა: „მონა თორმეტი  
შეესხათ ჩვენთანა მარებლად;  
თორმეტი ჩემად ისრისა  
მომრთმეველად მოსახმარებლად,—  
ერთად შენი შერმადინ,  
არს მათად დასადარებლად,—  
ნასროლ ნაკრავსა სთელიდიან  
უმტყუვრად, მიუმცდარებლად“.

მეფე უბრძანებს: კაცი ხაშს  
ჩვენთა ნაკრავთა მთვალავად;  
ნაკოდთა შემადარებლად  
და მკვდართა არ დამშალავად;  
სხვანი ისრისა მმართავად,  
მომრთმეველი არ ლაღვალავად,  
შენთა ნაკრავთა მართლად თქმა,  
სხვათათვის არ დამშალავად.

საჭირო არ არის მეტის ამოწერა. ისე პარალელურად მისდევს ზედა სართულის ტაეპებს ქვედა სართულის ტაეპები მთელი პოემის მანძილზე. ზოგან ის რაც ზევით რამდენიმე ტაეპშია ნათქვამი (მაგალითად არაბებისადმი როსტეფანის ბრძანება და მათი მოსვლა), ქვევით გამოთქმულია ერთ ტაეპში. არის ადგილები, სადაც პოემის ზედა ტაეპებს აღარა აქვს ქვევით პარალელური ტაეპები. არ არის არავითარი ეპეი, რომ აქ ადგილი აქვს გადაკეთებას, მაგრამ გადაკეთებულია არა ზედა ტაეპები ქვედა ტაეპებთან, როგორც ამას მველვეარები ფიქრობენ, არამედ, პირიქით, ქვედა სართულის ტაეპები გადაკეთებულია თვითონ რუსთაველის მიერ ზედა სართულის ტაეპებთან. არავინ იფიქროს მხოლოდ, რომ ვითომც რუსთაველმა დასწერა ერთ დღეს ქვედა სართულის რომელიმე ტაეპი, მეორე დღეს აღარ მოეწონა და გადააკეთა მაშინავე ისე, როგორი სახითაც ის ზემოთ არის მოცვანილი. არავითარ შემთხვევაში. იმ ტაეპებ შორის მაგალითად, რომლებიც ჩვენ ზევით ორ სვეტად მოვიყვანეთ და რომლებსაც აქ რაღაც 1—2 სანტიმეტრი აშორებს ერთმანეთს, რუსთაველის შემოქმედებაში ჩაწოლილია, სულ მცირე, 15—20 წლის დაუღალავი და წარმატები მუშაობა ლექსზე\*).

ძალიან ბევრი კუროსების დაშვება მოგვიხდება თუ ყოველივე ის, რასაც „ვეფხისტყაოსანში“ აქვს ამ მხრით ადგილი, ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ ყალ-

\*) არ არსებობს სხვა თერზინი, თორემ ხიტყვა „მუშაობა“ მეტად შეუფერებელია ნამდვილი პოეტის შემოქმედებითი პროცესის გამოსახატავად. ყოველ შემთხვევაში, რუსთაველის მუშაობა არ უნდა გვესმოდეს ისე, თითქოს ის ოდელში გაწურული თავის აკლავდა სტროქონების გაართუვას. პოეტი „მუშაობს“ ნოღმე ლექსზე მაშინაც კი, როდესაც ის უსაქუოდ დაეცემა ან ოცნებაში ატარებს დროს. ხშირად ხდება, რომ თვითონ პოეტი ვერ ხედავს თავის მუშაობას.



ბის მქნელობით ავხსენით. მაგალითად, ზოგიერთი ცალკე ტაყეპები, როგორც ზევით ითქვა, გადაკეთებულია რამდენჯერმე. ავიღოთ თუნდა ტაყეპი: „გასრულდა მათი ამბავი, ვითა სიზმარი ღამისა“. ამ ტაყეს აქვს ხუთი თუ ექვსი სხვადასხვა რედაქცია. მკვლევართა უმეტესი ნაწილი თვითონ ამ ტაყესა სთვლის ყალბად. ამ შემთხვევაში აი რა გამოდის: რუსთაველს გასჩენია ვიღაც ყალბისმქნელი, რომელსაც ეს ტაყეპი შეუტანია მის პოემაში, ამ ყალბისმქნელს გამოსჩენია თავის მხრით ხუთი სხვა ყალბისმქნელი და მათაც შეუტანიათ თითო ასეთი გაცილებით უფრო მდარე ღირსების ტაყეპი „ვეფხისტყაოსანში“. ეს ისეთი ფანტასტიური ზღაპარია, რომ ცნობილ ანდერსენსაც კი არ მოუფიქროდა მისი მზგავსი თავში.

მაგრამ „ვეფხისტყაოსანში“ გადაკეთებულია არა მარტო ცალკე ტაყეპები, რუსთაველს, თუ რამდენჯერმე არა, ერთხელ მაინც რადიკალურად გადაუღმუშავებია მთელი თავისი პოემის შინაარსი. ჩვენი აზრის დასამტკიცებლად ჩვენ რა თქმა უნდა, საჭიროდ არ მიგვაჩნია ყოველივე ის, რაც ზემოთ ითქვა, საჭიროა დეტალური შესწავლა ორივე სართლის ტაყეპების ალიტერაციისა და სიტყვის გამოკრების თვალსაზრისით. ვიდრე ასეთ მუშაობას შევუდგებოდეთ, აუცილებლად მიგვაჩნია ყურადღება მივაქციოთ ერთ გარემოებას. ს. კაკაბაძის გამოცემით „ვეფხისტყაოსანის“ ამბავი იქ კი არა თავდება, სადაც სხვა გამოცემებში, ესე იგი ქორწილით არაბეთის მეფის კარზე, არამედ გაცილებით უფრო შორს—ტარიელისა და ავთანდილის სიბერიით, მათი ანდერძებით და მათი სიკვდილით. „ვეფხისტყაოსანის“ ყველა მკვლევარები, გარდა ს. კაკაბაძისა, ამ თავებს სთვლიან ყალბისმქნელების მიერ შემდეგ მიმატებულ თავებად, სარგის კაკაბაძე ამის შესახებ სრულიად სამართლიანად სწერს შემდეგს: „ვახტანგისეულ რედაქციაში „ვეფხისტყაოსანის“ ამბავი თავდება ტარიელისა და ნესტან დარეჯანის ერთის მხრივ და მეორეს მხრივ ავთანდილისა და თინათინის ქორწილით. ამ შემთხვევაში ვახტანგისეული რედაქციის დაბოლოება—„გასრულდა მათი ამბავი ვითა სიზმარი ღამისა, გარდახდეს, გავლეს სოფელი, ნახეთ სიმშბთლე ჯამისა“ ფრიად უცნაურად ღჩანს, რადგან ამ რედაქციაში პოემის გმირთა მიერ სოფლის გარდახდის და გავლის შესახებ არაფერია ნათქვამი. ბოლო ეს ადგილი უცნაურად არ მოგვეჩვენება, თუ მივიღებთ შედველობაში, რომ ეს ტაყეპი აქოლებულია ვრცელი რედაქციიდან, სადაც პოემის გმირთა ამბავი მათ სიკვდილამდე არის მიყვანილი“. მართალია ეს აზრი, მაგრამ არა ნაკლებ მართალი იქნება ის მოსაზრებაც, რომ, თუ რუსთაველმა რაიმე მიზეზით საჭიროდ დაინახა თავისი პოემის სიუჟეტის საბოლოო დამუშავების დროს (შეიძლება უფრო ადრეც) ამ ბოლო თავების მოხანა, ის მოხსნიდა მათ, ბოლო ტაყეს „გასრულდა მათი ამბავი...“, როგორც ისეთ შესანიშნავს, რომლის შესადარებელი მთელს „ვეფხისტყაოსანში“ სულ რამდენიმე თუ მოინახება, მაინც დასტოვებდა, ვინაიდან ასეთ სრულყოფილ სტრიქონებს პოეტები საერთოდ გადასაგდებად ვერ იმეტებენ. თუ რა მოსაზრება უნდა ჰქონოდა რუსთაველს პოემის შემოადინაში, ბოლო თავების მოხსნისათვის, ამის შესახებ ლაპარაკი გვექნება ქვევით, ჯერ



კი იმ აზრის დასამტკიცებლად, რომ როგორც ზედა, ისე ქვედა სართულის ტაეპები თვითონ რუსთაველის მიერ არის დაწერილი, გადავიკითხოთ ორივე რიგის ტაეპები და აღვნიშნოთ მათი საერთო თვისებები. გვაქვს საბუთი ვიფიქროთ, რომ რუსთაველმა ძალიან ახალგაზდამ დაიწყო თავისი პოემის წერა, ის მაშინ იმგვარადვე „უწვევრულო“ უნდა ყოფილიყოს, როგორც მისა გმირები—ტარიელი და ავთანდილი. მწერლის სტილი კი მუშავდება თანდათან. ცხადია, რომ ჩვენ მიერ ზემოთ შენიშნული რუსთაველის სტილის ნაშენები „ვეფხის ტყაოსანის“ ქვედა სართულის ტაეპებში უფრო ნაკლები და მარტივი უნდა იყოს, ვიდრე ზედა ტაეპებში. თვით ამ ქვედა სართულის ტაეპებ შორის უნდა იყოს ამ მხრით განსხვავება, ვინაიდან ისინი სხვა და სხვა დროს არიან დაწერილი, მათ ჩამოყალიბებას ხშირად მთელი წლები უნდა ამორებდეს ერთმანეთს. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ქვედა სართულში არის ბევრი ისეთი ტაეპებიც, რომლებიც ატარებენ რუსთაველის სტილის ფრთხილ ნიშნებს, და შეიძლება ზოგი მათგანი ვეფხის ტყაოსანის\* უკანასკნელ რედაქციაშიაც შედიოდა. ავიღოთ ჯერ „ვეფხის ტყაოსანის“ ზედა სართულის ტაეპები შესავალიდან დაწყებული ჩვეულებრივად მიღებულ ბოლომდე, ესე იგი 1527 ტაეპამდე ჩათვლით 1). დავყოთ ეს 1527 ტაეპი ორას-ორას სტრიქონად (50 ტაეპა) და დავითვალოთ ყველგან რაც სიტყვის გამეორება შეგხვდება. სულ იქნება 80 სრული ნაწილი (თითო ნაწილში 50 ტაეპი) და კიდევ 27 ტაეპი. აი ეს ანგარიში: I—45 (სიტყვის გამეორება); II—21; III—36; IV—36; V—31; VI—80; VII—15; VIII—21; IX—27; X—37; XI—30; XII—19; XIII—48; XIV—51; XV—47; XVI—61; XVII—55; XVIII—56; XIX—46; XX—43; XXI—37; XXII—35; XXIII—42; XXIV—33; XXV—37; XXVI—41; XXVII—80; XXVIII—28; XXIX—32; XXX—29; XXXI (27 ტაეპი)—16. სულ 1121 გამეორება; საშუალოდ 36 გამეორება ყოველ ორას სტრიქონზე 2). ეს საშუალო რიცხვი 36 (ნამდვილად ის ცოტა მეტი უნდა იყოს, ვინაიდან, როგორც შემდეგ შევამჩნიეთ, აქა იქ გამოგვრჩა გამეორება) ისეთივეა, როგორც ამ ნაშრომის მეორე თავში მივიღეთ, მაგრამ ჩვენთვის სრულიად მოულოდნელი შეიქნა მათი ასეთი უსწორ-მასწორი განაწილება პოემის სხვა და სხვა ნაწილში. ეს გარემოება მეტად საინტერესოა და დიდძალი შეწველოვანი, მაგრამ ამის შესახებ ჩვენს მოსაზრებას შემდეგ გამოვსტევიამო. ჯერ კი მოვხდინოთ სიტყვის გამეორების ასეთივე დათვლა ქვედა სართულის ტაეპებში (მთლად, გარდა პროლოგისა). აი ეს ანგარიში:

I—22; II—19; III—25; IV—22; V—36; VI—17; VII—24; VIII—15; IX—21; X—10; XI—(53 ტაეპი)—15. სულ 241. საშუალო—22. ამდენ გამეორებას ორას

1) ვგულისხმობთ ამ თავში ყველგან ხ. კახიანიის გამოცემას.  
 2) მოხსენებაზე ჩვენ განაცხადდით, რომ „ვეფხის ტყაოსანში“ იქნება დაახლოებით 1200 გამეორება სიტყვის. მაშინ ჩვენ ექსპერიმენტული შოლოდ შევარე თავში მოყვანილ ციფრებს. თუ შევდევლობაში მივიღებთ, რომ დაახლოებით 60—80 გამეორება გამოგვრჩა დათვლის დროს, რაჯგან სხვა ნაშენსაც ვაქცევიდით ყურადღებას, მაშინ შეიძლება ითქვას, წინასწარი გამოანგარიშება (საშუალოდ სულ სტრიქონზე ერთი გამეორება) ხეცხვით გამართლდა.





სტრიქონზე ვერ შეხვდებით სხვა მწერლის ლექსებში. „შაპ-ნამეშნაჲ“ შემოვლიც სხვა და სხვა პოეტების მიერ არის შაირით ნათარგმნი, სიტყვის გაბეჭობა გვხვდება როგორც იშვიათი მოვლენა.

შევამჩნიეთ, რომ რუსთაველი ყველაზე უფრო ხშირად იმეორებს შემდეგ სიტყვებს სხვა და სხვა გრამატიკული ფორმით: მ ზ ე (მზე—მზისა, მზემან—მზესა და სხვ.), ზ რ და (გაზრდილი—გამზრდელს, გამზრდელნი—ზრდილნი), მი ჯ ნ უ რ ო ბ ა (მიჯნური—მიჯნურობდეს, მიჯნური—მიჯნურს), ჭ ი რ ი (ჭირი—ჭირსა, ჭარმა—ჭირი). ამავე სიტყვების გამეორება გვხვდება ხოლმე ქვედა სართულის ტაეებშიც. მაგრამ ყველაზე უფრო ნიშანდობლივია რუსთაველისათვის სიტყვა „ქმნა“-ს გამეორება (ვიქმ საქმესა, ვქმენ საქმენი, ქმნა საქმისა და სხ.) და ორი სიტყვის „მართ ვითა“-ს ერთად ხმარება<sup>1)</sup>. ზემოთ მეორე თავში, დასახელებულ თემურაზის, არჩილის, გურამიშვილის და ბესიკის ორას ორას სტრიქონში ეს ორი რამ არა გვხვდება არსად, მხოლოდ არჩილ მეფეს აქვს ერთი ასეთი სტრიქონი, სადაც სიტყვა „ქმნა“ მეორდება: „ავის მქნელსა ასე უნდა: არ იქნება ჩემი ნალა“<sup>2)</sup> ჩვენ გადავიკითხეთ, გარდა ამისა, გურამიშვილის „გურამიანი“ (შემოკლებით იმავე წიგნში) „შაპ-ნამეში“ „როსტომისა და ზურაბის ამბავი“ (1288 სტრიქონი), მთელი „აბდულ-მესია“ შავთელის (864 სტრიქონი) და არსად არ შეგვხვდებოდა არც „ქმნა“-ს გამეორება და არც „მართ ვითა“ („თამარიანი“ გვხვდება უკანასკნელი) „ვეფხისტყაოსანში“ კი, როგორც ერთი, ისე მეორე, ძალიან ხშირად შეგვხვდებათ. აი იმ ტაეების ნომრები, სადაც „ქმნა“ მეორდება:

ზედა სართულში—2, 3, 42, 47, 102, 140, 154, 171, 173, 245, 267, 366, 403, 441, 632, 666, 720, 747, 752, 775, 832, 857, 892, 1146, 1246, 1294, 1295, 1327, 1349. სულ 29, 1528 ტაეში.

ქვედა სართულში—85<sup>1</sup>—ზ, 308<sup>1</sup>—ზ, 317<sup>1</sup>—ით, 549<sup>2</sup>—ზ, 711<sup>1</sup>—ზ, 976<sup>2</sup>—ვ, 1397<sup>2</sup>—ვ, 1453<sup>1</sup>—ვ, 1537<sup>1</sup>—იდ, სულ 9 503 ტაეში (პროცენტულად თითქმის იმდენივე).

„მართ ვითა“: ზედა სართულში—17, 48, 98, 143, 207, 418, 454, 548, 557, 589, 1192, 1207, 1214, 1221, 1230, 1275, 1299, 1303, 1316, 1369, 1872, 1507, 1523. სულ 23.

ქვედა სართულში—26<sup>1</sup>—იბ, 291<sup>1</sup>—დ, 631<sup>1</sup>—ბ, 1561<sup>1</sup>—დ, 1561<sup>2</sup>—დ, 1561<sup>3</sup>—დ<sup>3)</sup>, 1721<sup>1</sup>—იზ, 1730<sup>1</sup>—იი, 1742<sup>1</sup>—იბ. სულ 9 (პროცენტულად ცოტა მეტი ვიდრე ზედა სართულის ტაეებში).

<sup>1)</sup> აი ორივეს მაგალითი პრაოლოგიდან:

1. მე რუსთაველი ხელობითა ვიქმ საქმესა ამაღარი,
2. მიჯნურსა თვალად სიტურვე მართებს მართ ვითა მზეობა.

<sup>2)</sup> ეს სამი ტაეი ერთად არიან, თანამ ტაეების სტრიქონები, სადაც „მართ ვითა“ გვხვდები:

1. ადრე ვამიტყდა სოფელი, მართ ვითა კმათელნი.
2. შეშინებული სახალა დუღდა მართ ვითა ქვათი.
3. თავები დასჭერ, აღინე სისხლი მართ ვითა ღვარია.

სულაველი ეს შანსი გვაქვს იმისათვის, რომ განაცხადოთ: ეს სტრიქონები დაწერილია რუსთაველის მიერ.

ალიტერაციისათვის რუსთაველი ზოგიერთ სიტყვას ერთმანეთს უმჯობესად ამორებს. მაგალითად, ცეცხლი და ცრემლი თითქმის ყოველთვის „მტკიცებენ“ ეპიტეტს „ცეცხლი“; პოემაში შეგხვდებით ხშირად ერთად „ჩაღანა და ჩანგი“, „ხრა ხრული“, „მუტრიბნი და მომღერალნი“<sup>1)</sup> და — გამეორების მიზნით „ვეფხის ტყაოსანში“ სადაც ნათქვამია „დღე“, იქ თითქმის ყოველთვის „დამეც“ არის. აზრის მხრით ეს არა თუ საჭირო არ არის ყველგან, ზოგან ვნებს კიდევ, მაგალითად:

უშენოდ მეოფსა ღამე და დღეცა მესადამოების.

ცხადია, აქ „ღამე“ ზედმეტია, ვინაიდან უაზრობა გამოდის „ღამე მესადამოების“, მაგრამ რუსთაველის წარმოდგენაში ეს ორი სიტყვა ასოციაციის ისეთი მტკიცე კავშირით არის ერთმანეთთან შეკრული, რომ ის იმათ ერთად ხმარობს ხოლმე იქაც კი, სადაც ეს საჭირო არ არის. ეს ნიშნები შეგხვდებით როგორც ზედა, ისე ქვედა სართულის ტაეპებში.

მეტად საინტერესო და ნიშანდობლივია კიდევ ერთი მოვლენა „ვეფხის ტყაოსანში“. იშვიათად (თითქმის არსად) თუ იხმარს რუსთაველი რომელიმე რიცხვს ისე, რომ ის ალიტერაციით არ შეკვრას სხვა სიტყვასთან სტრიქონში<sup>2)</sup>. რა თქმა უნდა, არა მარტო რუსთაველი, ყოველი დახელოვნებული პოეტი გამოიყენებს იმ შემთხვევას, როდესაც მას საშუალება ეძლევა რამდენიმე რიცხვში ერთი რომელიმე აირჩიოს: ის უტყველად იმ რიცხვს აირჩევს, რომელიც თავის სიტყვიერ გამოხატულებაში უფრო მისაღები იქნება მისთვის ფონეტიკური თვალსაზრისით. სამაგიეროთ ზედმეტია იმის მტკიცება, რომ უბრალო დილეტანტი პოეზიაში ვერავითარ შემთხვევაში ამას ვერ შესძლებს, ვინაიდან მთელი მისი ყურადღება მიქცეულია მხოლოდ იქით, რომ როგორმე დასძლიოს მეტრის და რითმის სიმწეღე ლექსში. რუსთაველი კი ამ შემთხვევაში იმდენად დაკვირვებულია, რომ პირდაპირ გაოცდებით ზოგჯერ. ის ხან რიცხვს არჩევს სიტყვების მიხედვით, ხან სიტყვებს ათანხმებს რიცხვთან, თუ უკანასკნელების შეცვლა არ შეიძლება. მოვიყვანოთ აქ ამის ხუთმეტი მაგალითი ზედა და ხუთმეტიც ქვედა სართულის ტაეპებიდან.

ზედა სართულიდან.

1. მაგრამ ავთანდილს ოცითა უფროსი დაუხოცია.<sup>3)</sup>

<sup>1)</sup> ლეონტი მელიქიძისათვის კურადღება მიუქცევია ნ. მარს, მაგრამ ეს მისი აზრით არის „არა იმდენად პოეტური ზერხი, რამდენადაც ბუნებრივი რიტორიული ფიგურა“, რომელიც ხალხში დადიოდა. ჩვენის აზრით კი ეს სწორად პოეტური ზერხია. რუსთაველი არა მხოლოდ ერთად „მგოსანნი და მომღერალნი“, იმიტნა რომ აქ ბგერები არ არის შეთანხმებული.

<sup>2)</sup> ერთი ამის ნიმუში გვქონდა ზემოთ: „ხაზი თახსა აკიდეს მარგალიტი და თვლები.“

<sup>3)</sup> აქ აშკარად სჩანს, რომ რუსთაველს რიცხვი „ოცი“ ალიტერაციის მიზნით უმჯობესია, თარგმნის მტკიცე გონსხევაება არის, რადგან ორივემ (ავთანდილმა და როსტევემმა) სულ 2000 („ასჯერ ოცი“). ნაღირი დახოცეს განსხევაება, სულ ცოტა, ახი წინც უნდა ყოფილიყო მგრამ რაღა გაშვიდოდა მანამ; „მაგრამ ავთანდილს ახითა უფროსი დაუხოცია“. — ეს პირდაპირ დადებულა იქნებოდა სტრიქონის. ეს მაგალითი ნათლად გვიჩვენებს იმას, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ხოლმე თრახმ ბგერას მთელი სტრიქონისათვის.



2. მოასხნეს კაცნი გაგზავნეს ოთხთავე ცისა კიდეთა.
3. ყმამან მუნ დაყო სამი დღე ამოხა სანადიროსა.
4. ავთანდილ იგი მინდორი ოთხ ახმით გარდაიარა.
5. შეიღისა წლისა შეიქნა ქალი წყნარი და ცნობილი.
6. ჭბრძანა ცხრათა ხადუმთა დადგომა მცველად კარისად.
7. გიტყუვო, ღმერთმან მიწა მენას, ნუშტა ცხრითავე ვზი ცითა!
8. ჯორ აქლემი ათჯერ ასი, ყველაკაი წვივ მაგრობდა.
9. ინდოეთს შეიღთა მეფეთა ყოვლი კაცი ხართ მქნობელი:
10. ექვსი სამეფო ფარსადანს ჰქონდა, თვით იყო მპყრობელი.
11. მათ ბაღთა პირსა დაბეს ნავი ხაბლითა სამითა.
12. ესეა ზღვათა სამეფო თვისა ათისა ხავლითა.
13. ზოგიხმენ ოთხნი მონანი ჩემსა წინაშე მდგომელნი.)
14. შენმან მზემან არვის მიხვდეს მოცავიდნენ სამნი მზენი. \*)
15. ხამახისა კაციხვან ას ხამოცი შეწყულოდა.

ქვედა სართულიდან:

1. მახ დღესა მოკლა ავთანდილ, დავსთვალეთ ას და ორიო.
2. ყოვლენით ალყა დაიშალა ოთხ კიდეთა ხმა გავიდა,
3. სრულ სპათა ჩემთა მოგათელი სამ წლამდი დაგეთხოვემი.
4. მაგრამ ღმერთმან მოწყალემან მით სახითა ერთი მზითა.
5. ლალობითა ნადირობდეს მხეტთა ხოცდეს ორმოც ოცდეს.
6. მონართვეს ასი კლიტნი ისთავე საქურქლეთანი.
7. შეეკურვე, ჩემთან ჩემნი მოემზადნენ ასნი ზრდილნი.
8. აჲ ათა წელიწადი იანდოეთით რა წასრულა. ა)
9. ავთანდილის მაქებელთა ათასიმცა ენა ღნდა.
10. ჭბრძანა შუქი მთვარემან სიმს წლამდი ხხვაგან ამოსა. ო)
11. მოიცადე წამ ერთ, მოვა ღმერთის წყალობა აღრეული. ბ)
12. ხამთა კაცთა ცხრ- ათასი მოყმე სცვიდა ვითა გმირი.

\*) საქორ იყო ოთხზე მეტი მონა, ვინაიდან ფატმამა ძალიან ძნელი საქე დააკისრა მათ. მაგრამ არც ერთი სხვა რაცები არ გამოდგება აქ ზგრა-ა შეხამების თელსაზრისით.

ბ) არც ორნი, არც ოთხნი, არც ექვსნი, არც ათნი, არც სხვა რამეღვივე რაცები, გარდა „ხამნი“-სა, აქ არ გამოდგება.

ა) არ არის არავითარი ეჭვი იმაში, რომ ეს სტრიქონი რუსთაველს ეკუთვნის: ოთხი წესით სტრიქონში თ და დ მზავსი ბგერა.

ბ) გაიხსენეთ ზემოთ მოყვანილი ზედა სართულის სტრიქონი: „ყმამან მუნ დაყო სამი დღე ამოსა სანადიროსა“. გარდა ამისა, მას მოჰყვება რუსთაველის შემდეგი ორი ტიპიურ სტრიქონი:

მისნი ვერ მვერტნი ყვავილნი დააზროს, დაამტკნაროსა.

მერვე მივდეს მნათობი, მნათობსა შეეყაროსა.

ბ) ი ვითაღ რომ რუსთაველმა ისე ახსენოს ღმერთი თუ იმავე სტრიქონში არ იხმაროს ხდამე სიტყვა „ერთი“.



13. რომ გენახნეს ოთხნივ ერთად ტახტსა ზედა მსხდომნივე...<sup>1)</sup>
14. შეიღდა სამეფო თავადნი ტარიას შემოყრიაო; შეზღვირესიას  
სარიდან შეინით შევიდა, მამასა გარდენებიაო,  
ჟთბრა თუ: შეილო ნუ სტირია...<sup>2)</sup>
15. არიან ორნი მნათობნი გვიან მოსრულან მზე მზითა.

თუ რამდენად დიდ ყურადღებას აქცევს რუსთაველი სტრიქონში ბგერების მიხედვით სიტყვების ერთმანეთთან შეთანხმებას, ეს, სხვათა შორის, იქედანაცა სჩანს, რომ პოემის მომქმედნი პირნი, რომელნიც ერთი მეორეს შენობით ელაპარაკებიან, თუ საჭირო იქნა ბგერა ქს გამეორება, თქვენობით მოსდგებიან ლაპარაკს. მაგალითად, ავთანდილი თავის მეგობარს ტარიელს ასე მიმართავს ორივე:

1. კმუნვა შეეჭმნა, თქვენც იცით ხელმწიფე ნებიერია.
2. ჭურდნი ვნახე, რომე თქვენთვის სიტყვა რამე გაემკვავნა.

როგორც ყოველ პოეტს, რუსთაველს აქვს რამდენიმე ამოჩენებული სახე და ამ სახეებს იმეორებს ის სხვადასხვა ვარიაციით როგორც ზედა, ისე ქვედა სართულის ტაქტებში<sup>3)</sup>. მაგალითად, მეტად ხშირად გვიხატავს რუსთაველი იმას თუ როგორ აუფენენ ელვას მისი გმირების ლაწევები და კბილნი.

აი ეს სახე ზედა სართულში:

1. თეთრთა კბილთა გამოპრთალსა შუქსა ველთა მოაფენდა.
2. თეთრთა კბილთა გამოპრთების თეთრი ელვა ვითა კვირი.
3. უჭვრიტეთ, მისთა ელვათა შუქი ძლივ გავიცადენით.

<sup>1)</sup> იქვე ქვევით: „ქორწილი ავთანდილისა იგ სდომთა ოთხთა მკლასა, და იმავე ტაქტში რუსთაველის ორი ტიპოური სტრიქონი: პუნ ერთობა ელვა შუქისა ციერთ უზუნვე ზეთისა; ქალთა უტურფეს მნათობთი, ყრბითა უზუნვეთა მუნეთისა... გაიხსენეთ: „უმუნესი სხვათა მუნეთისა“.

<sup>2)</sup> იმიღეთ კიდევ რიცხვების შესახებ ზედა სართულში ტაქტები: 166, 168, 175, 177, 178, 180, 181, 190, 225, 284, 320, 393, 400, 437, 472, 522, 545, 551, 640, 668, 975, 1124, 1 196, 1337, 1354 1362, 1364, 1368, 1387, 1507.

ქვედა სართულისათვის გვერდები: 109, 117, 151, 185, 202, 202, 203, 203, 204, 204, 205, 210, 210, 210, 219, 219, 221, 223, 228, 233, 233, 234, 239, 239.

<sup>3)</sup> ცნობილია რუსმა პოეტმა ლერმონტოვმა გასაუფრთხებელი დატინებით იცოდა ზოგიერთი შედარებების და სახეების გამეორება სხვადასხვა ვარიაციით ისეთ ლექსებში, რომლებსაც ერთმანეთისაგან წლები აშორებდა, მაგალითად:

„...И звуки чередой,  
Как слезы, тихо льются, льются.“ („Сосед“. 1837 წ.) „დემონის“ უცნაურული ვარიანტში (1840 წ.) ეს შედარება ასე შეორდება:

„И звуки те льялись, льялись,  
Как слезы, мерно, друг за другом“.

აქ კიდევ ასე: „Твоих вершин нубчатые хребты“, რომელსაც მან შემდეგ ბგერების შერტების საშუალებით უძლიერესი და სრულყოფილი გამოხატულება მისცა:

„И мрачных гор зубчатые хребты“...



4. გალიმდის, ძოწი გააპის, კბილთაგან ელვა კრთებოდეს<sup>1)</sup> ქვედა სართულში:

1. ხატავთს წასელა ებრძანა პირსა ელვათა მკრთომელსა. (გვ. 60).
2. მათთა შუქთა და ელვათა თვალი ვერ შეედგამება.<sup>2)</sup> (გვ. 199).
3. მუნ კრთომა ელვა შუქისა ციერთ უზენე ზეთასა. (გვ. 199).
4. ყელსა ბროლსა შეენებანი მას ელვანი გარუჯარდის. (გვ. 221).
5. ელვაშან და შეენებამან მათმან სრულად დააშენა. (გვ. 221).
6. თინათინს შუქთა ელვანი ჯავარ ციმციმის ცემითა. (გვ. 249).

ნუ თუ ეს სტრიქონები ერთსა და იმავე პოეტს არ ეკუთვნის?

არა თუ „ვეფხისტყაოსანის“ მკვლევარებს, თვითონ რუსთაველი რომ იდგეს საფლავიდან და გააცხადოს ზემოთმოყვანილი ქვედა სართულის სტრიქონები მე არ მეკუთვნისო, ჩვენ იმასაც კი ვერ დავუჯერებთ.

რუსთაველმა იცის აქა-იქ დეტალების ააახვა ისე, როგორც ეს თანამედროვე პოეზიაში ხდება ხოლმე, ყოველ შემთხვევაში, რაც სრულებით უცხოა ძველი ქართული და, საერთოდ, აღმოსავლეთური პოეზიისათვის. „ვეფხისტყაოსანიდან“ ვტყობილობთ, მაგალითად, რომ რუსთაველის დროსაც იმგვარადვე თავდაბრით და კოკიტურად სკოდნია ქალს გალიმება, როგორც ესლა, ჩვენს დროში. აი რას ამბობს ტარიელი ნესტანის შესახებ:

მერმე ავდექ წამოსავლად, მან დამიწყო ქვე ქვე წვევა...<sup>3)</sup>

აქ ლაპარაკია თავდაბრილი ქალის გამომწვევ ღიმილზე, მხოლოდ სიტყვა ღიმილი სტრიქონში აღარ ჩატეულა. აი კიდევ როგორ იცინის აეთანდილა თავდაბრით, თავ მოდრეკით.<sup>4)</sup>

1. თავ მოდრეკით გალიმნა, გაცინება დაუშენდა.
2. მან პასუხი არა გასცა თავის წინა ღიმილებოდა.

ქვედა სართულში:

1. აეთანდილ ქვეშ-ქვეშ იცინის არ ავად პირ აღრებია. (გვ. 14).
  2. აეთანდილ თავი დადრეკა სიცილით მოლიზღარემა. (გვ. 165).
- აი როგორ იცინის ტარიელი (ქვედა სართულის ტიპებიდან):
1. ცნობა მიეცა ჭკვას მიხვდა, ბაგეა გააღიმებდა. (გვ. 61).
  2. მისნი კბილნი და ბაგენი დაიშვენებენ ღიმილსა. (გვ. 102).
  3. მას ტურფად მოუხდებიან სიცილი კარ გაღებული.<sup>4)</sup> (გვ. 226).

<sup>1)</sup> იხ. კიდევ ტიპები: 111, 589, 648, 684, 1126, 1181, 1288, 1308, 1424, 1485, 1497, 1489.

<sup>2)</sup> გარდა იმისა, რომ ეს ტიპიური რუსთაველის სტრიქონია, ის არის ერთი უღამაზესი სტრიქონი მთელ პოემაში.

<sup>3)</sup> „თავ მოდრეკით“, „თავ დადრეკით“, საერთოდ დამახასიათებელი თქმა არის რუსთაველის. იხ. ტიპები: 1181, 779, 1134, 1291. ამ სიტყვას ასე, იშვიათად თუ იხმარდა ვინმე სხვა.

<sup>4)</sup> იხ. კიდევ ტიპიური დეტალი (ქვედა სართულში):

ტურფაშან წარბი ახარა—ტარიელ რას იჭროტები?

სიტყვა ტურფა რამდენჯერმე გვხვდება იქ, სადაც უღამარაკია ტარიელზე, აეთანდილთა და ფრიდონთან ეს ეპიტეტი არასოდეს არ შევნიშნავს; ამას მიხვნი, რა თქმა უნდა არის, გვრა ტ.

რუსთაველს აქვს ერთი იშვიათი სახე—წამწამების ქარხანაში

1. მისთა წამწამთა ნიავეი ჰქრის ვითა ქარი არავეი. ნიკოლოზიძე

2. ცრემლსა სეტყეს და ვარდსა აზრობს, წამწამთაგან მოჰქრის ბუქი.

ქვედა სართულში:

1. უწყალოდ ცვალის ჰაერი ტურფისა თვალ წამწამისად.

2. უზანობისა ქარი ჰქრის ვითა ერთისა წამისა,  
ოხრად გახდების ჰაერი ტურფისა თვალწამწამისა.

ცხადია, ასეთ ძნელად მოსაფიქრებელ სახეს სხვა ვერაფერს გაიმეორებდა,<sup>1)</sup> თუ არა თვითონ ის, ვისაც პირველად მოუვიდა იგი თავში. საერთოდ მწერლის სტილის ნიშანდობლივი თვისებები თვალსაჩინო ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მას კვლევა ძიების თვალსაზრისით მივუღვებით. გადამწერები კი, რა თქმა უნდა, „ვეფხისტყაოსანის“ გარშემო კვლევა ძიებას არ ახდენდენ და, მაშასადამე, ისინი არა თუ ვერ გადმოიღებდენ, ვერც კი შეამჩნევდენ რუსთაველის ლექსის იმ შინაგან ბუნებას და ხასიათს, რომელიც ქვედა სართულის თითქმის ყოველ ტაეპს ემჩნევა.

ზევით მოვიხსენიეთ, რომ ხელნაწერს № 757 დართული აქვს რვა ტაეპიანი ლექსი. ამ ლექსში არ არის არც ერთი სიტყვის გამეორება, არც ერთი მნიშვნელოვანი ალიტერაცია და, საერთოდ, არაფრით ის რუსთაველის ლექსს არ ჩამოჰკავს.

ყოველთვის იტყვევს ის გარემოება, რომ ქვედა სართულის 503 ტაეპში არსად მოხსენებული არ არის რომელიმე სხვა ავტორი. ნუ თუ გადამწერებს „ვეფხისტყაოსანში“ შეჰქონდათ აზღენი საკუთარი ნაშრომი და არც ერთმა მათგანმა არსად თავისი პიროვნება არ მოიხსენია? რა თქმა უნდა ეს დაუჯრებელია, ვინაიდან პოეტურ შემოქმედებას ყოველთვის თან ახლავს დავიწყებისაგან საკუთარი სახელის გადარჩენის სურვილი.

ებლა განვიხილოთ „ვეფხისტყაოსნის“ ის თავები, რომლებიც სარგის კაქაბაძეს მოჰყავს თავის გამოცემის ბოლოში, როგორც პოემის ნამდვილი გაგრძელება.

ეს ნაწილი იწყება 1528-ე ტაეპით და შეიცავს შემდეგ თავებს (მხოლოდ ზედა სართული): 1) ტარიელისაგან ინლოთ მეფის სიკვდილის ცნობა, 2) ტარიელისაგან ინლოეთს მისვლა და ხატაელთა დამორჩილება, 3) ქორწილი ტარიელისა და ნესტან დარეჯანისა, 4) აქა ტარიელის დასწრულენა და ზეარაზმშა მეფისაგან სისხლის ძებნად მისვლა ინლოეთს, 5) აქა ომი ზეარაზმელთა, ინლოთა, არაბთა და თურქთა. 6) ანდერძი ტარიელისა, ოდეს მიიცვალებოდა მის ჟამისა ნათქვამი, 7) სიკვდილი ტარიელისა და ცოლისა მისისა, 8) ანდერძი ავთანდილისა სიკვდილის ჟამსა, 9) სიკვდილი ავთანდილისა და ცოლისა მისისა თინათინისა, 10) აქა ფრიდონისაგან ორგანვე მისვლა და ტირილი. სულ 234 ტაეპი.

1) თუმცა „თამარიანში“ არის ერთგან ანგარი თქმა.



დავანაწილოთ ეს თავები ორას-ორას სტრიქონად დავითვალოთ შიგ სიტყვის გამეორება. აი ეს ანგარიში: I—23; II—20; III—5; IV—6; V (34 ტაეპი)—19 1).

მიღებული ციფრები მეტად საინტერესო სურათს წარმოადგენენ: რუსთაველის 200 სტრიქონში ხუთი ან ექვსი გამეორება სიტყვის! ეს პირდაპირ წარმოუდგენელია.

ძალიან საინტერესოა აგრეთვე I და II ორასი სტრიქონის ფარგლებში სიტყვების გამეორების განაწილება. I-ში თორმეტი უკანასკნელი ტაეპი შეიცავს (12 გამეორებას, დანარჩენი ათი გამეორება მოსდის წინა ტაეპებს).

ლექსიც ამ 12 ტაეპის კარგია მეტად და წარმოადგენს იმ მომენტის აწერას, როდესაც ტარიელი თავისი პატარძლით და მყარბონით ინდოეთის საზღვრებში შედის. აი ცხრა ტაეპი ამ ადგილიდან:

1567. მოგვებნიან ტარიელს, შორი შორ უსალამიან;  
 შიგნითა დროშა ინდოთა მითად ცნეს, უსალამიან.  
 ვერ გამოენდენეს ინდონი, თქვეს თუ ლალტა ლამიან;  
 არ მოელოდეს ტარიელს მით ცრემლი დაილამიან.
1568. ტარიელ მიდგა, უყვილა: „მე მოველ მეფე თქვენიო,  
 თანა მყავს ჩემი ნნათობი, პირი ელვითა მფენიო,  
 ზენ მოგვცა მალლით მალამიან აწყა ორბისა ფრთენიო,  
 გამოდით, თქვენი სიშორე არს ზენგან მოუთმენიო.“ 2)
1569. მაშნლა იცნეს ტარიელ მათგან მიდამო სრბანია;  
 სრულად ნათლითა აივსო ზღუდე და ბანის ბანია; 3)  
 ხმა მალლად ხმობდეს, იზახდეს, მოგვშორდეს სალმობანია;  
 აქამდის რისხვა მალამიან, აწ მოგვცა წყალმობანია
1570. კარნი გაახვენეს, გამოჩნდეს, მოიხვენეს მათ კლიტენია;  
 ერთობ ფლასითა მოსილნი უმზერდეს მათ მჭკრეტელნია;

1) აი იხი.

I. 1530—3, 1547—1, 1531—2, 1532—1, 1532—3, 1543—2, 1552—4, 1556—1, 1556—2  
 1562—2, 1563—3, 1567—1, 1568—3, 1569—2, 1569—3, 1570—1, 1571—1, 1571—4, 1575—4  
 1576—1, 1578—1, 1578—3, 1578—4.

II. 1587—2, 1588—3, 1593—3, 1596—1, 1597—1, 1597—2, 1597—2, 1601—2, 1604—1,  
 1606—2, 1606—3, 1607—3, 1607—4, 1609—4, 1610—1, 1614—4, 1615—4, 1617—2, 1624—2,  
 1625—1, 1625—2.

III. 1654—1, 1664—1, 1669—3, 1670—1, 1671—3.

IV. 1696—1, 1721—1, 1722—1, 1726—1, 1726—4, 1728—4.

V. 1729—3, 1734—3, 1734—4, 1740—4, 1743—2, 1743—2, 1745—3, 1745—4, 1746—1  
 1746—1, 1747—4, 1747—1, 1752—1, 1754—1, 1758—2, 1758—4, 1759—2, 1760—3, 1781—4

1) ეს ერთი სატყვეთხო ტაემთაგანია მოვლ პოემაში: მასში არ შეიძლება არავითარი ნაკლი იპოვნება. თანაც ის უდარესად რუსთაველურია.

2) „ვერსეთენ სრითა ტარჯეთი და ზედათ ბანის ბანითა“. (1066—3).





ტირან ორნივე ქალკმანი, ვარდისა ბაღსა ტენია,  
 ზახილით თავსა იცემდეს, ყო რნის თმა ბროლსა ტენედ: *მეფე იმედიანი*

1571. ვითა გამზრდელსა მართებდა გაზრდილი აგრე ხელია;  
 რომე სდის ცრემლი თვალთავან ცეცხლთავან უფრო ცხელია;  
 თავსა იცემდეს, იზადეს, ტირს მეტად გულფიცხელია,  
 გიჟრისა ტევრსა მოფოცხდა ბროლისა საფოცხელია.
1572. რა ნახა ზასნი ვაზირნი ფლახითა დამოხილნია,  
 კვლა დაიზახა ტარიელ უფროსი დანაკივლნია;  
 სისხლი და ცრემლი თვალთავან სდის და მიწყობით მილნია;  
 მოვიდეს, ყელსა მოეკვდნეს, ვითა ძმანი და შევილნია.

ამას მიჰყვება სამი ტაეპი, სადაც აწერილია დაქვრივებული დედოფალის, ნესტანის დედის, გამოსვლა შესახვედრად და შემდეგ:

1576. ქალმან დედასა შესტირნა: „ჰაი, ჰაი, მე რა ვქნა, დედაო!  
 წითელ ყვითლითა დაგაგდე, აწ შაოსანსა გხედაო, 2)  
 მამამან ტახტი დასცალა, აღარ სადა ზის ზედაო“;  
 დედამან ცრემლი მოსწურნა, „ნუ სტირ დადუმდი, ბედავო!“
1577. გარდაუკონა პირი და ბაგეთა ვარდი თხელები,  
 ვარდსა დაუტყლიეს ბაგითა, ვახდა ალვისა მთხელები.  
 ნესტან ჯარს ეტყვის: სადლა ვთქვავთ სატყვები ბედით ხელები,  
 ჩვენ ყოვლთა გემართებს ნეტარბი ათასი, არ ერთხელები.
1578. რა გარდახდა მცირე ეამი, ხანი იქნა გარდასრულად;  
 დიდებულნი ეთაყვენენს, ერთობილნი აღდგეს სრულად;  
 იგი მზენი მოვხვიენეს, მოეგებნეს გულის გულად,  
 აკოცეს და მოიკითხეს თავის თავის თვითეულად.

თუ ეს ტაეპები სხვისი დაწერილია, მაშინ ეს „სხვა“ რუსთაველზე უფრო დიდი პოეტი ყოფილა, ვინაიდან მას, ერთი მხრით, რუსთაველზე არა ნაკლებად შესძლებია ლექსის გამართვა და, მეორე მხრით, გენიალური იმიტატორის ნიჭი ჰქონია. მაგრამ, რა თქმა უნდა, წარმოუდგენელია ასეთი იმიტაცია. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს ტაეპები არა თუ რუსთაველს ეჭვთენის უდავოდ, ისინი შედიოდნენ რუსთაველის მიერ უკანასკნელად გადაწერილი „ვეფხისტყაოსანის“ ტექსტში.

ჩვენ მეტსაე ვფიქრობთ: სამი პირველი თავი ამ ათი თავიდან უთუოდ ნამდვილი დასასრულია „ვეფხისტყაოსანის“. მართალია, ამ თავებში აქა იქ არის სუსტი ადგილი, მაგრამ იქ არ არის არც ერთი ისეთი სუსტი ტაეპი, რომ იმაზე

1) გლოვა არა იხლოთ მეფის, ფარსადანის, გარდაცვალების გამო.

2) გაიხიენეთ „მან ქალმან შაოსანამან“.





სუსტი საყოველთაოდ ცნობილ ტექსტში არ იყოს. 1) საერთოდ უნდა აღვნიშნავთ, რომ „ვეფხისტყაოსანში“ არის ერთი მხრით, უმაკალითარს ხელმოწერებით დაწერილი ტაეებები და, მეორე მხრით, სამწუხაროდ მეტად სუსტი ადგილები. რუსთაველის ტაეებები შეიძლება დაიყოს ღარსების მხრით რამდენიმე ხარისხით. ეს აიხსნება ჩვენის აზრით იმ გარემოებით, რომ პოემის საბოლოო რედაქციაში ავტორს, რომლის ხელოვნება თანდათან იზრდებოდა, ბევრი ადრე დაწერილი ტაეებები დაუტოვებია საბოლოო ტექსტში უცვლელად. მართლაც წარმოუდგენელია, რომ რუსთაველს ამდენი ხნის დაკარგული ტარიელისა და ნესტანის მისვლა ინდოეთში საკმაოდ დაწვრილებით და ტარიელისათვის შესაფერი რიხით არ აეწეროს პოემის ბოლოში. თუ ფარსადანის სცვდილის ცნობა და ტარიელის ასეთი საზნებო შესვლის ამბავი გამოეტოვებოდა, მაშინ პოემის დასასრული ძალიან სუსტი გამოდის, ხოლო ტაეები: „ტარიელს და ცალსა მისსა...“ სრულიად დაუსაბუთებელი იქნება, ვინაიდან ტარიელის გამეფება ინდოეთში უნდა მოჰყვეს შედეგად ფარსადანის სიკვდილს ან იმის გადადგომის მეფობიდან სიბერის გამო, რასაც განმარტება ეწინააღმდეგება უთუოდ პოემაში, მით უმეტეს, რომ ტარიელისა და ფარსადანის შორის უდიდესი კონფლიქტი მოხდა, რომლის გვერდის აქცევა და მიფუჭებება პოემის ბოლოში შეუძლებელი იყო თუ კი ფარსადანი ცოცხალი იქნებოდა. უმჯობელია აგრეთვე ისიც, რომ ტარიელს ინდოეთში შესვლის დროს ომი მოუხდა ხატაელბთან, როგორც ეს აწერილია მეორე თავში („ტარიელი-საგან ინდოეთს მისვლა და ხატაელთა დამორჩილება“), თორემ რა აზრი ექნებოდა იმ ტაეებს საყოველთაოდ მიღებული ტექსტიდან, სადაც ნათქვამია: „კაცი ოთხმოცი ათასი ჰყვა ცხენებითა ვარჯითა“? რა საჭირო იყო მათთვის ასეთი ლაშქარის გაყოლება იმ ადგილებში, სადაც თითო ამ გამირთავანი უშიშრად დაჯირითობდნენ წლობით? ეს ოთხმოცი ათასი კაცი უთუოდ ამტკიცებს იმას, რომ მაყრიონს ომი მოუხდა ხატაელბთან გზაში. უადგილო იქნებოდა აგრეთვე ტაეები „სრულნი ინდონი აეთანდილს და ფრიდონს მწედ ჰადოდთან, თქვენგან გვეჩრს კარგი ყველაი...“, თუ მათ ნამდვილად არ გაუწიეს ინდოეთს სამსახური ომში, ამას აქვს მატერული გამართლებაც—საჭირო იყო, რომ ამდენი ხნის დაკარგულ ტარიელს მისვლისთანავე მთელი ინდოეთის გული მოენადირებია თავისი გამირობით სამშობლოს გადაარჩენის საქმეში. ომი აწერილია რუსთაველის სტილის უტყუარი ნიშნებით:

დაეკაზმნეს საომარად, გაამიყდეს, გააუქდეს;  
 ცხენთა შესხდეს უკეთესთა, სახედარა ასუბუქდეს;  
 ერთმანეთსა აჯობინეს, მჭვრეტელთაგან არ ვაუქდეს  
 იგი ქედი ჩაიჭროლეს ბუქცის აგან უფრო ბუქდეს.

1) მაკალითად ამ თავში არ არის აღნიშნული ასეთი სუსტი სტროქონები, რომელთა სინამდვილეში არაფერს არ შეიქვს გვეთ:

1) თავში მათი გააღიანეს, მათნი მშობლნი იწელეს, ითხეს.

2) ვითა მართებდეს ბურობდეს, დენოსა სეენდეს, არ დოსა, და ბგერი ამეცარი.

ხატელთა დამარცხებისა და რამაზ მეფის დატყვევების შემდეგ<sup>1)</sup>

ტარიას ნახვად მოსრულნი მეშთარნი ახლოს მკერეგთა;  
რისთვისა ცეცხლი ტარიელს სიტკბოთა დაუშრეგთა;  
მოვიდეს, ნახეს; რამაზის ლაშქარი ძლივ-ლა ეტია;  
ინდოეთს ზეცით სინათლე ჩადგა მართ ვითა სვეტია.

რომ ამ ტაეპის ავტორი რუსთაველია, ეს ისევე ცხადია, როგორც ის რომ  
ორჯერ ორი არის ოთხი ).

დამახასიათებელია აგრეთვე რუსთაველისათვის, რომ ინდოთ-მეფის სი-  
კვდილს ტარიელს ვაპართა ქარავანი აცნობებს. ვაპრები და სახედრები იყვნენ  
„შოსანი“. ნუ თუ ეს ტაეპი რუსთაველს არ ეკუთვნის:

„ მო ა ს ხ ნ ე ს ი გ ი ვ ა პ ა რ ნ ი დ ა მ ა თ ი უ ხ უ ე კ ე ს ი ა ;  
უ ბ რ ძ ა ნ ა : „ ე ი ნ ხ ა რ თ , შ ა ვ ი თ ა რ ა დ ტ ა ნ ი ზ ე გ ვ ლ ე ს ი ა ? “  
მ ა თ მ ო ა ხ ს ე ნ ე ს : ს ი თ მ ო ვ ა ლ თ , მ უ ნ ე ს ე დ ა ნ ა წ ე ს ი ა ,  
ი ნ დ ო ე თ ს მ ი ს რ ი თ მ ო ს რ უ ლ თ ა <sup>2)</sup> გ ვ ი ე ლ ი ა გ ზ ა უ გ რ ძ ე ს ი ა “ . <sup>3)</sup>

მაგრამ მეტად საინტერესოა დანარჩენი შეიდი თავის ბედი. სიტყვის გა-  
მეორება ძალიან იშვიათად გვხვდება (ორის სტრიქონზე საშუალოდ 6—7) და  
თვითონ ლექსიც იმდენად სუსტია უნეტეს შემთხვევაში, რომ ლამის ჩენც და-  
ვეჭვდეთ, მართლა სხვისი დაწერილი ხომ არ არის ეს თავები? მაგრამ ამ ნაწი-  
ლის ზედა და ქვედა სართულის<sup>4)</sup> ტაეპებში ჩვენ გვხვდება რამდენჯერმე „მართ-  
ვითა“, გამოკრებული „ქმნა“<sup>5)</sup> და ორი-სამი ისეთი სტრიქონი, რომელიც გად-  
მოგვეცემს „ვეფხისტყაოსანის“ ცნობილი ტექსტის მიმართ საწინააღმდეგო  
ფაქტებს, მაგალითად:

ტარიელი თავის სიკვდილის წინ ანდერძში<sup>6)</sup> იგონებს თავის წარსულს და  
ერთ ადგილას ამბობს:

<sup>1)</sup> საკითხი ამ სამი თავის შესახებ ყოველად შეყოლებულია რომ გადაუჭრელი დარჩეს  
იმდენად მნიშვნელოვანია იგი. მისი გადაჭრა შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ მთელ პოემასთან  
მათი შედარებით სტილის შრით; ეს შედის შექრალთა კავშირის კომპეტენციის ფარგლებში.  
შეჩაღლთა კავშირმა უნდა დანიშნოს ამისათვის კომისია და მიანდოს მას საკითხის სერიოზულად  
შესწავლა და დისკუსიის გამოტანა. სასურველია რომ ცალკე პოეტებიც გაეცნონ ამ მეტად საინ-  
ტერესო საკითხს და გამოხატონ თავიანთი აზრი.

<sup>2)</sup> გაიხსენო: „მოით მოვიდა დარიბი შონა მოყვებთა სამითა“.

<sup>3)</sup> ქვემოთ (1533—4) რუსთაველის ცნობილი „ბუქი“: ბ უ ქ თ ა მ ი ს გ ა ნ მ ო ნ ა ქ რ ო ლ -  
თ ა ი ნ დ ო ე თ ი გ ა რ დ ა ქ რ ა ნ ა .

<sup>4)</sup> აქაც იგივე დაუჭერბული ამბავი. ვითომც რუსთაველის პოემა გაუჭრებელია ვიდაცის  
და ამ ვაღბ ადგილებში სხვის კიდევ ვაღი ადგილებში შეუტანილი თავის შრით.

<sup>5)</sup> იხ. ჯველი ათი თავისათვის ტაეპები: 1539, 1565, 1596, 1597, 1617; 1678, 1688, 1690,  
1754.

<sup>6)</sup> ძალიან საინტერესოა აქ, თუ როგორ ვთბოვება ტარიელი სიკვდილის წინ ყოველივე  
მის, რაც მისი გმირული სიკაცხლის ინტერესს წარმოადგება:

ოქენცა მშეოდობით, პატრონო, მსაჯულნო, ჩემებრ შეფნო!  
სამელმწიფონო ქურბელნო, ოქსინოვ ქვეშე შეფნო,  
თ ა ე ა დ ნ ო , ს მ ა ნ ო , მ ტ ე რ თ ა თ ე ს ლ ო მ ე მ ბ რ მ ბ რ დ ე ვ ი ნ ა გ ნ ო .

ყოვლი მტიროდით საბრალოდ, ჩემთვის ცრემლისა მქეფნო.  
გვაგონდება ოტელის გამოთხოვება მონოლოგში: „შვიდობით სპარო ყიდოსანო“...

ს ე ფ ე ნ ო .



„როსტენს უნდოდა შეპყრობა, ყმა მწიფა ოკდარჯანია“... ჩვენ ვიცით, და არ იქნებოდა „ვეფხისტყაოსანის“ ისეთი გადამწერი, ვისაც ეს ერთგულებოდა, რომ როსტეევანმა თორმეტი ყმა დაადგინა ტარიელს შესაპყრობლად:

„გაგზავნა მონა თორმეტი მისი წინაშე მღვდმარე“.

ნუ თუ ასეთი ტლანქი შეცდომა დაუშვა ყალბის მქნელმა? ჩვენ არ შეგვიძლია ამის დაშვება; გარეგნული ნაშნების გადმოცემაში ყალბის მქნელი უფრო პედანტური უნდა იქნეს, ფსიხოლოგიური თვალსაზრისით, ვიდრე თვითონ აეტორი. ასეთ შეუახამობას არც რუსთაველი დაუშვებდა.

მაშ ვინ დასწერა ეს თავები? ცხადია, რომ ეს დასწერა რუსთაველმა, მაგრამ გაცილებით უფრო, ადრე, ვიდრე „ვეფხისტყაოსანის“ ის ტექსტი, რომელიც დღეს ჩვენში საერთოდ არის მიღებული; ამის მოწმობს აგრეთვე, როგორც თვითონ ლექსის სისუსტე, ისე მკრთალი ჩანასახი რუსთაველის სტილის იმ ნიშნებისა, რომლებიც თანდათან გაფართოვდა და განმტკიცდა წლების და შეიძლება ათეული წლების განმავლობაში. 1)

ეს შვიდი თავი უნდა წარმოადგენდეს „ვეფხისტყაოსანის“ უპირველესი ვარიანტის დასასრულს. როგორც ეტყობა ამ ვარიანტის შინაარსი ბევრად განსხვავებული ყოფილა რუსთაველის მიერ საბოლოოდ ჩამოკალიბებული პოემის შინაარსისაგან. აქ ნაკლები ადგილი უნდა ჰქონოდა დათმობილი ნესტან-დარეჯანის ძებნას და საერთოდ ავთანდილის თავგადასავლებს. 2)

ავთანდილი ამბობს თავის მოგონებაში:

მუხლნო, ვით გქონდა ცხენთ რბევა ან ავეანდათა გრძელობა,

უცხენოდ ვეფხი შევიპყარი, არ ჩნდა დაქირვის ძნელობა...

ეს ამბავი, ავთანდილის მიერ ვეფხისტყაოსანის შეპყრობა, „ვეფხისტყაოსანში“ არსად არა გვხვდება ხოლო არც ტარიელი, არც ავთანდილი ისეთს არაფერს იგონებენ თავიანთ ანდერძებში, რაც პოემაში არ მომხდარა. ყალბის მქნელიც ვერ ათქმევინებდა ამ სიტყვებს ავთანდილს. როგორც ეტყობა, პოემის პირველ ვარიანტში ასეთი ამბავი ყოფილა.

1) თუ ვგულა ათ თავს მივიღებთ მხედველობაში, იქ გვხვდება მეტად ძლიერი და უკიდურესად სუსტი სტრიქონები ერთსა და იმავე დროს. ათასი დიდი ნიჭის პოეტი იყო, თუ ის მეტად დახვლოვნებული არ არის პოეტურ შემოქმედებაში, ვერ დასწერს ანგარ ტაევს: „ტარიელ მიღმა უყულა“... შორე მშრით, ვინც ასეთ სრულყოფილ სტრიქონებსა სწერს, ის არ დასწერს იმავე პერიოდში სრულიად უმწეო სტრიქონებს. თუ დაუშვით, რომ ეს თავები სვისი დასწერილია, მაშინ უნდა დაუშვათ ისიც, რომ ეს „სხვა“ ათეული წლები მუშაობდა ამ თავებზე, რაც ყოველად დაუჯერებელია.

2) ქვედა ხართლის ტავებში არის ასეთი სტრიქონი, მომკვდავი ტარიელი აშობს „ფრიდონ მტიროდი პირველ მც, მერბე ავთანდილ ხნლიანი“. თუ აქ მხედველობაში არ არის მიღებული ის გარემოება, რომ ფრიდონის სამეფო უფრო ახლოს იყო ინდოეთზე და ის ავთანდილზე უმალ მივიდოდა, მაშინ აშკარა არის, რომ პირველობას მეგობრებში ფრიდონს ანიჭებენ; საერთოდ მიღებულ ტექსტში კი პირველობა უფაოდ ავთანდილს ელთენის. ძალიან საეჭოა რომ არსებული ტექსტის შემდეგ ყალბის მქნელი ასე დაეწერა ეს სტრიქონი. შეიძლება პირველ ვარიანტში ფრიდონი მართლაც მეტ როლს თამაშობდა, ედრე ავთანდილი.



ის აზრი, რომ ავთანდილის მეორედ გამგზავრება და მისი რეფლექტირება დასავალი, ცალკე ტარიელის ცალკე ნესტანის ძეხვის დროს, რეფლექტის ერთ-ერთ უკანასკნელ რედაქციაში აუწერია ფართოდ, დადასტურებას ჰპოებს ზემოთ ჩვენ მიერ წარმოდგენილ სიტყვათა გამეორების ანგარიშში, სადაც გამეორებანი ძალიან უთანასწოროდ არიან განაწილებულნი. ნაწილები VI—XII და ზოგიერთი სხვა ადგილები, სადაც შედარებით ცოტა არის სატყვის გამეორება, უნდა შეიცავდნენ ბევრ ტაეპებს აღრინდელი (არა სულ პირველი) რედაქციებიდან, ხოლო ნაწილები დაწყებული XIII-დან, სადაც არაბეთის დაბრუნებული ავთანდილი ემზადება მეორედ წასასვლელად, მთლად „ვეფხისტყაოსანის“ ბოლომდე, ზოგიერთი სტენების გამოკლებით, პირდაპირ საესეა გამეორებული სიტყვებით, რის გამო საუბრებელია, რომ ისინი დაბრუნებული და გაშლილი უნდა იყოს რუსთაველის მიერ ბოლო დროს. რა თქმა უნდა, ამ ეპიოდ ძნელია დეტალებზე ლაპააკი ვარიანტების საკითხის გარშემო. ჯერ ჯერობით უდავო კემარიტებად ჩვენ მხოლოდ ის მიგვაჩნია, რომ ეს ტაეპები დაწერილია რუსთაველის მიერ და რომ რუსთაველს დიდხანს უმუშავეთა არა თუ ლექსის დამორჩილებაზე, თვითონ პოემის სიუჟეტის განვითარებაზედაც. <sup>1)</sup> მას უმკველად რამდენჯერმე გადაუწერია პოემა, და ყოველი ახალი გადაწერა იმავე დროს მის ახალ რედაქციას წარმოადგენდა. მაგრამ როგორ უნდა გავრცელებულიყოს ხალხში პირველი ვარიანტები, პოეტის ასე ვთქვათ, შავი მუშაობა? სულ ადვილად. გადაკეთება, როგორც ზემოთ შევნიშნეთ, ხდებოდა წლების განმავლობაში და არა მეორე დღესავე. შეიძლება პირველი ვარიანტები რუსთაველს ჯერ კიდევ გამოუცდილ ხელოვანს, საესებით აკმაყოფილებდა. ის უკითხავდა მას აღბად თავის მეგობრებს; მაშინ მეტად მიღებული იყო წიგნების გადაწერა, მისი ნაცნობები და მეგობრები, რა თქმა უნდა, გადიწერდნენ პოემას, და ისიც გავრცელებოდა ხალხში. სატყვის „სრულყოფაზე“ გადაგებული რუსთაველი თანდათან ახალს და ახალ მოთხოვნილებას უყენებდა თავისთავს, მას აღარ აკმაყოფილებდა თავისი პოემა და ისიც ასწორებდა შიგ სუსტ ადგილებს. ის ვერ დაინებებდა მას თავს და ვერ დაიწებდა ახალის წერას ვინაიდან ძალიან ძნელია დიდი საგმირო პოემისათვის კარგი სიუჟეტის მოძებნა. ხშირად შეიძლება რუსთაველი პოემის გადაწერის დროს ასწორებდა უკვე ახალ ხელნაწერში შეტანილ ტაეპს, მაგრამ, რომ

<sup>1)</sup> ზოგან რუსთაველს შეუძლებია ამავეის მოთხოვნიის წესი. ასე მაგალითად, საბოლოო რედაქციაში ტარიელი წერილს სწერს ნესტანს და სხვათა შორის უთვლის: „სამხრე შენი მომივიდა, შემოვიბი მკლავსა გარე“-თ და აცნობებს, რომ ამასთანავე ის უგზავნის მას რიდეს და უბ ნახ. წინა რედაქციაში კი ყოველივე ეს უბრალოდ ყოფილია ნამბობი ტარიელის მიერ: „სამხრე მისი მომივიდა შემოვიბი მკლავსა გარე“... „რიდენი და ყაბაჩანი რომე, ეხხნეს სადნოდ მესად ერთგან შევკარ, გაუგზავნე, მახსა აკლდეს თვენ ვისად“. ან კიდევ: ტარიელი უამბობს ავთანდილს: „რამაზ შეფე მის წინაზე შეპრობილი მივიყვანე“... წინად კი ასე ყოფილია: „სატყვის გამარჯვებული ხელ ჩამომპული ტარია, რამაზ მოკვეარა მდღესა ზღლ ბუნძით შენაკარია“.

<sup>2)</sup> კუჭკობი უკითხავდა თავის მეგობრებს ჯერ კიდევ დაუმთავრებელ „ვეფხისტყაოსანს“. რომელიც მას, სხვათა შორის, ათი წელიწადი სწერა.



ხელნაწერი არ დამახინჯებულა (ე. ი. ვასწორება შექმნიდა პარამან ხელნაწერში, არამედ შემდეგ, ხელახალი გადაწერის დროს. ეს ვარიანტიც ნაღობში გვევლინება, შემდეგ გადაწერებში ისინი აღირიეს ერთმანეთში. ა) კერძოდ ნახუჩას ხელნაწერში ჩაუვარდა ალბად „ვეფხვის ტყუილის“ რომელიმე იშვიათი ვარიანტი და მან შეიტანა მისი უცხო ტაგები საერთოდ ცნობილ ტექსტში.

საინტერესოა კიდევ შემდეგი. მეოთხე თავში არის ორი ასეთი ტაგები:

1612. აჲ, გონიერო, სიტყვანი თქვენ ჩემნი შეიწყნარნით,  
ძველნი ნარჩონნი ამაჲნი ლექსად ვთქვენ, გაიხარნით;  
სარგის დაურჩა უთქველად, მას ესე დაეძარნით,  
ლექსნი მიქნით, ამისთვის ენანი მამიხმარნით.

1) წიგნების ბეჭდის გაუცდებლად, როგორც უკეთ. დიდი ატრიალება ექცეოდა ხელნაწერის სისუფთავეს. ზარათაშვილის ხელნაწერები გვიჩვენებს, თუ როგორი სიყვარული ახდენდა ის თავის ლექსების გადაწერას.

2) ლერმონტოვს დაწერილი ჟეს „დემონის“ ოთხი ვარიანტი, ამ ვარიანტების ტაგები რომ აქა-იქ ერთმანეთში აღრიოთ, მივიღებთ დაახლოებით იმ სტროფს, რომელსაც „ვეფხის ტყაოსანში“ ვხვდებით.

აი ერთი იმის მაგალითი, თუ როგორ ასწორებდა ეს პოეტი თავის პოემას. 1829 წელს ხუმბერტი წლისამ დაწერა პირველი ვარიანტი. აი ერთი ტაგები ამ ვარიანტიდან:

В полвочь, между высоких скал,  
Однажды над волнами моря,  
Один, без радости, без горя  
Беглец эдема пролетал.

ამ ტაგში შესტია პირველი სტრიქონი, ხოლო მეორე კი უდავლო (ზღვა ზღებში), ის დაწერილია რითმისათვის ყველაზე ბოლოს ტაგში. 1830 წ. ვარიანტში ვკითხულობთ:

Однажды вечером меж скал,  
И над седой равниной моря, да сбе.

ამ ვარიანტში პირველი ნაკლი ატოლებულია თავიდან, მაგრამ მეორე ისევ დარჩენილია. 1833 წ. ვარიანტში ამ ნაკლსაც ასწორებს პოეტი, მაგრამ დიდს ზარალით ტაგებისთვის.

Между прибрежных диких скал,  
Беглец эдема пролетал.  
Он взор исполненный презренья  
Вверх на грешный мир земной.

აქ ტაგების მთლიანობა დარღვეულია: ორი პირველი სტრიქონი ერთად არის, ორი უკანასკნელი კი სხვა სტრიქონებთანაა რითმით გადახვეული. 1840 წ. ვარიანტში ტაგები ისევ გამართლებულია:

И над вершинами Кавказа  
Изгнанник рая пролетал.  
Под ним Кавбек как грань алмаза  
Снегами вечными слял.

ეს უკანასკნელი რედაქცია ყველას სჯობს თუმცა ნაკლი ჟეს არის: მესამე სტრიქონში დატოვებულია თანხმოვნები: Кавбек как грань...

არ შეიძლება, რომ XII—XIII საუკუნის ქართველ პოეტსაც ასე ემუშავა ლექსზე? შედარეთ ამას ტაგების „გასრულდა მათი ამაჲნი...“-ს ვარიანტებზე.

1720. ეს ამბავი დარჩომოდა სარგის ლექსთა შეფუყობლად. **მარკინეშვი** შემდეგ თმოგვი თმოგველთაგან შესაყლითურთ დარჩა **სამხალაქ** მე ვნახე და მას უჩვენე, ვინ ჩანს გმირთა რაზმთა მწყობლად. მან მიბრძანა ლექსად თქვიო მკვერ ქართულად შესაწყობლად. ამ ტაეებებს ამჟამად ვაპყაეს საზღვარი სამ პირველსა და შეიღ დანარჩენ თაიებ შორის. ს. კაკაბაძემ ამ ტაეებების მიხედვით გამოოსთქვა ის აზრი, რომ „ვეფხისტყაოსანი“ დაწერილი ყოფილა სარგის თმოგველის მიერ და შემდეგ რუსთაველს გაუჯრძელებია იგი. სხვა მკვლევარები ამ ტაეებებს სთვლიან ყალბად. ჩვენის აზრით არ არის არავითარი საბუთი იმისათვის რომ ეს ტაეები ყალბად ჩავსთვალოთ. მართალია ისინი რუსთაველის ლექსის პირველ ხარისხიდან ნაშენებს („მართ ვითა“, „ვექმ საქმესა“, ზოგიერთი სახე) არ იტარებენ, მაგრამ ნაშენები მიანც არის: რუსთაველისათვის დამახასიათებელი ქს დაწყვილება სამგან („ლექსად ვთქვენ“, „ლექსნი მიქნით“, „ლექსად თქვიო“) და სიტყვის გამოორება ერთგან გ-ს ალიტერაციით („შემდეგ თმოგვი თმოგველთაგან...“). გარდა ამისა, როდესაც ჩვენ ყვილა ამ თავების ტაეები რუსთაველის მიერ დაწერილად მიგვაჩნია, რა უფლება გვაქვს მხოლოდ ამ ორ ტაეებში შეიტანოთ იჭვი? უკანასკნელი ტაეები გვიძლევს საბუთს ვიფიქროთ, რომ ეს ამბავი არ იყო ფართოდ ცნობილი.

ჩვენის აზრით აქ ნაჯულისხმევია „დილარიანის“ ავტორი, რომელიც რუსთაველის უფროსი თანამედროვე მწერალი უნდა ყოფილიყო, ჩვენ არ ვიცით, თუ რა ნაწერები ჰქონდა თმოგველს, ვაკით მხოლოდ, რომ მისი „დილარიანი“, რომელსაც ჩვენამდე აღარ მოღწევია, სახელოვან ნაწარმოებად ითვლებოდა ძველად. პროფ. ქვეკლიძე აი რასა სწერს ამ ნაწარმოების შინაარსის შესახებ: „თუ შედარებებსა და პარალელისმს ვიქონიებთ მხედველობაში, დილარიანი ლაპარაკი უნდა ყოფილიყო გმირ-კაბუკების მიერ თავიანთ სატრფოთა ძებნის შესახებ, ესე იგი დილარიანი ყოფილა სადევ-გმირო და სამიჯნურო ნაწარმოები“. აქედან ჩვენ შეგვიძლია გამოვიტანოთ ის აზრი, რომ რუსთაველი ზემოთ მოყვანილ ორ ტაეებში გულისხმობს სწორედ ამ „დილარიანი“ აღწერილ ამბავს, რომელიც როგორცა სჩანს, ძალიან ჰგვანებია ტარიელის თავგადისათვის; პოეტს სრული პოეტური უფლება ჰქონდა ეთქვა თავისი პოემის სიუჟეტის შესახებ: „ეს ამბავი დარჩომოდა სარგის ლექსთა შეფუყობლადო“ ეს ტაეები რომ შემდეგ იყოს სხვისაგან დაწერილი, ნათქვამი იქნებოდა, რომ ეს ამბავი დარჩომოდა რუსთაველს და არა თმოგველს.

ამგვარად ს. კაკაბაძის მიერ გამოცემულ „ვეფხისტყაოსანში“, სადაც თავ-

1) დამახასიათებელია აკრეფე რუსთაველისათვის სხვისი ნაოტემის ამ ფორმით გადმოცემა: „ლექსად თქვიო“.

2) აქ სიტყვა „დარჩომოდა“ გული მზობს აღბ და არა უკანასკნელ თავებს, არამედ მთელ ამბავს. ნაკვეთი იმაშია რომ ვთქვამთ ეს ტაეები თავის ადგილს იმ არის პოემის პირველ ვარიანტში ისინი უფროა შესაძლებელი იქნებოდათ მო ავტორად, როგორც უკანასკნელ ვარიანტში ტაეები „ესე ამბ ვი სარაქლი“...



მოყრილია ტაეპები ამ პოემის ყველა ხელნაწერებიდან, ჩვენს მკვლევარებში ერთ ვერც ერთი ისეთი ტაეპი, რომელზედაც გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ის რუსთაველს არ ეკუთვნის. სამაგიეროდ, ყველა ყალბად მიჩნეული ტაეპების 90% რუსთაველის სტილის ნიშნებს ატარებს.

უკანასკნელი შვიდი თავი რუსთაველმა ალბად შეუფერებლად დინახა ბოლოს და აღარ გადაამუშავე რა თქმა უნდა, სრულიად მიუღებელია მხატვრული მოსახარებით ასე ერთბაშად პოემის ახალგაზდა გამრების დაბერება და მათი სიკვდილი. რუსთაველმა ეს შეიგნო, როდესაც ის მომწიფდა, როგორც ხელოვანი, და ბოლო თავები მოხსნა სრულიად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან რუსთაველის ასეთი ხანგრძლივი მუშაობის შესახებ „ვეფხისტყაოსანის“ როგორც ლექსზე ისე სთუგეტზე, გამომდინარეობს ის დასკვნა, რომ ეს პოემა სავსებით ორი გინაღურია. რუსთაველს დაუმუშავებია უბრალო სპარსული ზღაპარი.

#### IV „ვეფხისტყაოსანის“ მკვლევარები

ყოველივე ზემოთ ნათქვამის შემდეგ საჭიროდ მიგვაჩნია „ვეფხისტყაოსანის“ მკვლევარების მთავარ მოსაზრებათა განხილვა. პოემის მკვლევარები თავიანთი სპეციალობით ფილოლოგები და ისტორიკოსები არიან. ჩვენის აზრით ქართული ფილოლოგიისა და ისტორიის დღევანდელი მდგომარეობა ისეთია, რომ ის არც ერთ ამ მეცნიერებას საშუალებას, და მაშასადამე უფლებასაც არ აძლევს დამოუკიდებლად გადასჭრას ისეთი რთული პრობლემა, როგორც არის პრობლემა „ვეფხისტყაოსანის“. გადამწყვეტი სიტყვა ამ საკითხში უნდა სთქვას პოეტიკამ და შემოქმედების ფსიხოლოგიამ, რომელიც ინდივიდუალურ შემოქმედებაში თითქმის ყოველ დროს ერთი და იგივე იყო. ფილოლოგიურსა და ისტორიულ კვლევა-ძიებას კი აქ წხოლოდ დახმარების გაწევა შეუძლია. მართო ის წინააღმდეგობანი და სრული შეუთხანებლობა, რომელსაც ადგილი აქვს ამ სფეროში მკვლევართა შორის, უფლებას გვაძლევს გამოვიტანოთ ის დასკვნა, რომ მათი მიდგომა ყალბი და უნიადაგოა. მათი დებულებების და მოსაზრებების კრიტიკასათვის სრულიად საკმარისი იქნებოდა მხოლოდ იმის მოყვანა, თუ რასა სწერს ყოველი მათგანი დანარჩენების მიღწევებზე ამ სფეროში. მართლაც, რამდენად „ვეფხისტყაოსანის“ მკვლევარები სუსტნი არიან თავიანთი ხშირად მეტ-დ უცნაური დებულებების დასაბუთებაში, იმდენად დიდ ძალას და გამჭრიახობას იჩენენ მოწინააღმდეგეთა აზრის გაბათილების საქმეში. ვიმეორებთ, ეს არის მთავარი მაჩვენებელი იმისა, თუ რამდენად უმწეოა ორივე ზემოთ დასახელებული მეცნიერება ამ საკითხის გარკვევის საქმეში.

პირველი, რომელმაც ფართოდ წამოაყენა „ვეფხისტყაოსანის“ შესწავლის საკითხი, არის აკად. ნ. მარო. მისმა ნაშრომებმა ევროპიული მასშტაბის ინტერესი გააღვიძეს ჩვენი პოემის გარშემო. ჩვენის აზრით, უმთავრესად ამაში გამოიხატება პატივცემული მკვლევარის უდიდესი ღვაწლი „ვეფხისტყაოსანის“ წინაშე. რაც შეეხება თვითონ საკითხის გაშუქებას აქ ნ. მარო არა ერთი და



ორი დაუსაბუთებელი შეხედულება გამოსთქვა, რომელიც მან ათრეფინენჯეფარაკყო ბოლოს. უეჭველად შეკვლევის დიდ ღირსებად უნდა ჩაითვალოს მისი შეხედულება, რომელსაც იჩინდა იგი საკუთარი აზრის უარყოფაში მას შემდეგ, რაც მისი უნიადგობა ნათელი გახდებოდა მისთვის, მაგრამ იგივე ფაქტი, მეორე მხრით, აშკარად გვიჩვენებს, თუ ზოგჯერ რამდენად ნაჩქარევი იყო შეკვლევის მუშაობა და დასკვნების გამოტანა ამ საკითხში.

პირველი მისი აზრი, რომ „ვეფხისტყაოსანი“ სპარსული პოემის თარგმანს უნდა წარმოადგენდეს, დღეს უკვე უარყოფილია როგორც თვითონ ნ. მარის, ისე სხვებისაგან, მაგრამ ამ აზრმა მაინც დასტოვა თავის შემდეგ რაღაც მძიმე ნალექი ხალხის წარმოდგენაში. ჩვენი შეხედულება ამ საკითხზე უკვე გამოვსთქვით ზემოთ. ნ. მარის მეორე ორიგინალური აზრია რუსთაველის და ჩაბრუნების ერთ პიროვნებად გამოცხადება; ეს აზრი მან თვითონვე უსაფუძვლოდ აღიარა შემდეგ. ასეთი მოსაზრება, რა თქმა უნდა, ყოველად მიუღებელია. ჩვენის აზრით ჩაბრუნება არ იყო დიდი მასშტაბის პოეტი 1). იმ გარეგნულ ფორმას, რომლითაც დაწერილია ჩაბრუნების „თამარიანი“, არა აქვს არავითარი გამართლება პოეზიაში. პირდაპირ გულს აწყალებს ის აკრომატიული რითმები, რომელიც თითქმის ყოველი სიტყვის შემდეგ გვხვდება ამ ნაწარმოებში, ისე როგორც „აბდულ-მესიანი“ში“. ასეთი ხშირი რითმები ჰმორკავს პოეტს, ის არ აძლევს მას სტრიქონში სახეების გაშლის და აზრის გამოთქმის საშუალებას. რუსთაველმა იცის რითმის ფასი ლექსისათვის, მაგრამ არასოდეს მისთვის რითმა თვითმზანს არ წარმოადგენს, არსად არ ცდილობს ის „ვეფხისტყაოსანში“ რითმის საშუალებით ფონს გასვლას. რუსთაველს უყვარს სიტყვა, საზე და სტრიქონი თავისთავად, ესე იგი ყოველივე ის, რაც ნამდვილი პოეტის სიყვარულის საგანს უნდა შეადგენდეს. ჩაბრუნების „თამარიანი“ კი ჩვენ, ყოველად აუტანელი რითმების გარდა, ვერაფერს ვხედავთ.

ბოლოს, ნ. მარმა ზემოთ მოხსენებულ თავის გამოკვლევაში გამოსთქვა ის აზრი, რომ „ვეფხისტყაოსანი“ დაწერილია დაახლოებით მე-XIV საუკუნეში და მისი ავტორი არის ქართველი მამადიანი. უკანასკნელ მოსაზრებას ნ. მარი ამყარებს იმაზე, რომ პოემაში აწერილია ზედმიწევნითი ცოდნით მამადიანური ტყუენები და შიგ მრავლად გვხვდება სპარსულ-არაბული სიტყვები. იმაზე ნ. მარს უპასუხებს კ. კეკელიძე თავის წიგნში, სედაც ის ამბობს, რომ ეს სიტყვები და თერმინები შემოდის ჩვენში უფრო „ლიტერატურულიდან და პოლიტიკურის, ვიდრე სარწმუნოებრივი გზით“, და, იმის დასამტკიცებლად, რომ პოემის ავტორი ქრისტიანია, მოჰყავს მრავალი ისეთი ნიმუშები „ვეფხისტყაოსანიდან“, რომლებსაც კავშირი აქვს ქრისტიანულ საღმრთო წერილთან. ერთი ასეთი ნიმუში—„ამად რომე შეცოდება შეიდ გზის თქმულა შესანდობლად“—მოჰყავს თვითონ მარს, მაგრამ ამ სტრიქონის წინ ის შემდეგ სიტყვებსა სწერს:

1) მჭად ცუდი აზრის არის ჩაბრუნების შესახებ პოეზიის ისეთი დიდი დამფსებელი, როგორც იყო ილია ქვეციანაძე.





«Если бы мы могли быть уверены в том, что Шота эту мысль взял именно из Евангелия, то у нас возникло бы недоумение, почему Шота, будучи христианином, когда приводит евангельскую мысль не указывает, что она взята из св. писания—из Евангелия.» ეს და ამის ქვემოდ მოყვანილი სიტყვები ჩვენ რამდენჯერმე გადავიკითხეთ. რათა საფასვრით დაგრწმუნებულყავით იმაში, რომ ყოველივე ეს ნამდვილად ასეა დაწერილი. გასაოცარი, წარმოუდგენელი ამბავია ეს: შეკლევიარი მოათხოვს პოეტისაგან, რომ მან თავის ლექსში აღნიშნოს წყარო, საიდანაც მას ესა თუ ის აზრი მოჰყავს! ჩაკვიტობით ეს ადგილი ქვევით: „თქმულა“ «сказано» в грузинской речи значит, что существует такое изречение, такая пословица или поговорка, наконец, такое мнение. Когда Шота высказывает мысль «кто не ищет друга, тот враг себе», то он спешит предупредить, что она, эта поговорка, кстати, вовсе не столь далекая от христианского учения, «написана на камне в Китае», когда же он мысль берет из Евангелия, то не называет своего источника, не говорит даже того, что она написана.» როდესაც ჩვენ ეს ადგილი წავიკითხეთ, არ ვიცოდით თუ როგორ არის ქართულად აქ მოყვანილი ადგილი „ვეფხისტყაოსანიდან“ ჩინეთში ქვაზე წარწერის შესახებ, მაგრამ მაშინვე გამოვიტანეთ ის აზრი, რომ რუსთაველს აქვს აღზად სტრიქონი გათავებული სიტყვით „მტერია“ (враг) და შემდეგ რითმის მიზეზით დაწერილი სტრიქონი, რომელიც თავდება სიტყვით „სწერია“ (написано).<sup>1)</sup> თუ როგორ ხდება ეს პოეტურ შემოქმედებაში, ამაზე ლაპარაკი გვექნება შემდეგ თავში, ხოლო რაც შეეხება ამ ადგილს, უნდა გადაჭრით განვიცხადოთ, რომ მეორე სტრიქონის შინაარსი შედეგია ლექსის ტექნიკური მიზეზების და არა იმის მამასწავებელი ვითომც აქ რუსთაველი „ჩქარობდეს გაგვაფრთხილოს“. არა ნაკლებ გასაოცარია ის გარემოება, რომ პროფ. კ. კეკელიძე სერიოზულად ცდილობს ნ. მარის ამ მოსაზრების დარღვევას და სწერს შემდეგ: „ეს გარემოება სწორედ იმისი მაჩვენებელია, რომ ავტორი ქრისტიანია და ქრისტიანები ჰქავს მხედველობაში, ეინაიდან ქრისტიანისთვის საჭირო არ იყო საღმრთო წერილიდან, უფრო კისახარებიდან, ამოღებული ადგილების წყაროს ჩვენება, იმისათვის ეს ისედაც ცხადი და ნაცნობი იყო“. აქედან ნათლად სჩანს, რომ კეკელიძის აზრითაც ზოგიერთ შემთხვევაში პოეტმა უნდა გვიჩვენოს წყარო, როდესაც ის საღმრთო წერილის რომელიმე აზრს იმეორებს. არ შეიძლება ასეთი მისგან პოეტთან. თუ ჩვენ კრიკაში ჩაუდგეკით პოეტს და ჩვენი აზრის დასამტკიცებლად ხელზე დავიხვიეთ ყოველი მისი სიტყვა, რომელსაც ის ხშირად ამა თუ იმ ტექნიკური მიზეზით ხმარობს, ხოლო ყოველივე იმას, რაც ჩვენს აზრს ეწინააღმდეგება, თვალი ავარიდეთ, მაშინ ჩვენ შეეძლებოდა ყოველგვარი შეუსაბამობის დამტკიცებას. მაგრამ დაფანტობით ამ შემთხვევაში წერილმანებს თავი და საკითხი დავა-

<sup>1)</sup> ჩვენ არც ვცდი ვიცით, თუ რა ადგილს არის ეს „ვეფხისტყაოსანიში“. მაგრამ კ. კეკელიძის წინშე ვაპეთ იგი და დაგრწმუნდით, რომ სტრიქონები მართლაც ამ სიტყვებით თვდება.



ყენით ფართოდ. თავდაპირველი წყარო როგორც იმ ექვის, რომ პოემა ფარგმანს წარმოადგენს, ისე იმ მოსაზრების, ვითომც მისი ავტორი ქართველი პოეტიკონია, არის ის გარემოება, რომ რუსთაველს თავისი პოემის წინაარსად შაჰადიანური ცხოვრება აუღია და მოქმედებაც მათ ქვეყნებში გადაუტანია. რა მიზეზით მოხდა ეს? შეეძლო რუსთაველს, რომ ეს სხენადიდად მოქცეულიყო? ა) არაერთარ შემთხვევაში არ შეეძლო, ვსცადოთ ამის დამტკიცება.

უწინარეს ყოვლისა ვიკითხოთ, თუ როგორი იყო მეთორმეტე საუკუნის ან უფრო ძველი დროის ადამიანი დღევანდელ ადამიანთან შედარებით? ისტორიული პერიოდის ადამიანი ყოველ საუკუნეში თითქმის ერთსა და იმავე ფიზიკურ შესაძლებლობას წარმოადგენდა. ძველ დროსაც, ისე როგორც დღეს, ადამიანი საშუალოდ იწონიდა ხოტ ფუტს და მისი სხეულის ღონე ამ ფარგლებში იყო მოქცეული. ის ვაცილებით უფრო მწვავედ ჰგრძობდა თავის ფიზიკურ უძლურებას სიკვდილის ან ბუნების სხვა მოვლენათა წინაშე, ვიდრე ჩვენს დროში. ძველად ადამიანს უადრესად ესაჭიროებოდა ფიზიკური ძალა. განუწყვეტელი ხელჩართული ბრძოლები ამ ძალას მაშინდელი ადამიანის ოცონების საგნად აქცევდა. ფიზიკური ღონე დღესაც ბევრსა სწყურია, მაგრამ ეს ნატურა არ არის დამახასიათებელი ჩვენი დროის ადამიანისათვის, ხოლო ძველად კი ის ერთნაირად ახასიათებდა დიდსაც და პატარასაც, ქალსაც და კაცსაც, ხმალის მოკნევისა და ისრის გასროლას ეს ახერხებდა მაშინ უკეთ, ვისაც უფრო მტკიცე მკლავი ჰქონდა, გაქცევის მაგარი მუხლი უნდოდა, მტრის შეწინებას მრისხანე შეძახილი. ვინ იცის რამდენ ახალგაზრდა ქართველს გაუთენებია ძველ საქართველოში ღამეები იმაზე ოცნებით, რომ ღმერთს მიეცა მისთვის ერთი ისეთი დევ-გმირული ხმა, რომლის საშუალებით ის შესძლებდა ყოველი მხრიდან მის სამშობლოზე მომდგარი ურდოების მიწაზე დაუფენას და განადგურებას. გმირი, — ადამიანის ფიზიკური შესაძლებლობის ჰიპერბოლური განსახიერება, — ი რა შეადგენდა ძველი ეპოქების იდეალს. მაშინდელი პოეტები სცდილობდნენ ამ იდეალის გამოხატვას. ისინი სწერდნენ გმირულ პოემებს, სადაც მათ გამოჰყავდათ არაჩვეულებრივად ღონიერი პირები. თანამედროვენი კითხულობდნენ ამ პოემებს, და მათ აღტაცებას არა ჰქონდა საზღვარი, როდესაც ისინი შიგ თავიანთი ნხურვალე ოცნების განსახიერებას ნახულობდნენ. მაგრამ ყოველ მხატვრულ ნაწარმოებს ესაჭიროება უწინარეს ყოვლისა მხატვრული სიმართლე. იმისთვის, ვინც პოეტური ნაწარმოების მთავარ ინტერესს ხედავს სიუჟეტის განვითარებაში, ესე იგი მკითხველების უდიდესი ნაწილისათვის, საჭიროა რომ ნაწარმოებში მოთხრობილი ამბავი დასაჯერებელი იყოს. არა თუ მხატვრული ნაწარმოებისათვის, მხატვრული სიმართლე ზღაპრისთვისაც კი აუცილებელია. როდესაც ბავშვს ზღაპრის უყვებით, თუ თქვენ უთხართ მას, რომ ეს ამბავი მოხდა გუშინ ან დღეს აგერ ჩვენს ეზოში ან მეზობ-

1) ამ საკითხს აყენებს დ. ჩუბინაშვილი და შაჰადიანურ ქვეყნებში პოემის მოქმედების გადატანას მისი იმიო, რომ პოემაში განსახიერებულა რუსთაველს. დეტალური სიყვარული თი პირისადმი. ასეთი განმარტება ჰვენ ზეტად ზერეულედ მოგვიჩინა.



ლის კალოზე, ის შემოგხედავთ ერთს უნდობლად და შემდეგ შემბღვნიან. იყურიც აღარ დაგივდოთ, ვინაიდან მას თქვენი ნაამბობი არა სჯერას რომ დაიჯეროს, ამისათვის საჭიროა უთხრათ მას, რომ ეს მოხდა „ცხრა მთას იქით“ ან „ათასი წლის წინად“. არა მარტო ბავშვები, დიდებიც ადვილად იჯერებენ ყოველგვარ ფანტასტიკურ მოვლენას, თუ კი ეს მოვლენა საკმაოდ დაშორებული იქნება მათგან სივრცეში ან დროში. როგორც იქცეოდნენ ძველი პოეტები საგმირო პოემებში მხატვრული სიმაართლის დასაცავად? მათ თავიანთი პოემების დაუჯერებელი ამბები გადაჰქონდათ შორეულ წარსულში, ან შორეულ ქვეყნებში. ასე მოიქცა ჰომეროსი, რომელმაც თავისი პოემების მოქმედება საბერძნეთის მითოლოგიაში გადაიტანა. მაშინდელი დროის ბერძნები აღტაცებული იმენდნენ ალბად მის „ილიადას“ და სწუბდნენ თანაც, რომ ცუდი დრო დადგა, ხალხი დაჩაივდა, აღარ არიან ძველებური გმირები, დიდი ვაჟკაცები. ასე მოიქცა ვირგილი — „ენეიდას“ ავტორი. ასე მოიქცა ფირდოუსი, რომელმაც თავისი დროის სპარსელებს თვალწინ დაუყენა ძველი ზღაპრული გმირები, მშობლიური მითოლოგიის პილოტანები — ნარმანი, საალი, როსტომი, ზურაბი. როგორ უნდა მოქცეულიყო რუსთაველი, რა პირობებში იმყოფებოდა ის ყველა ამ პოეტებთან შედარებით? მას არა ჰქონდა მშობლიური მითოლოგია, მისთვის საქართველოს მაშინდელი უახლოესი საუკუნოების ისტორიაც კი სიბნელით იქნებოდა მოცლილი, სამაგიეროთ რუსთაველს ჰქონდა საგმირო პოემის დაწერის დიდი წყურვილი, სადაც გადაშლილი იქნებოდა საარაკო გმირობა საარაკო სიყვარულთან დაკავშირებით. გმირებს კი ჰქმნის ისტორია, გმირები არ არსებობენ გარეშე პერსპექტივისა დროში ან მანძილში. საქართველოში, რუსთაველისათვის არ იყო არც ერთი და არც მეორე სიმორე. ცხადია, მას უნდა ესარგებლნა სხვა ქვეყნის მითოლოგიით; ეს სხვა ქვეყანა უმჭველად მაჰმადიანური უნდა ყოფილიყო, ვინაიდან მთელი მაშინდელი საქართველო, როგორც პოლიტიკურად ისე ლიტერატურულად, საესებით მაჰმადიანურ ქვეყნებთან იყო დაკავშირებული. რაც შეეხება მოქმედების არეს, გარდა იმისა რომ უცხო სიუჟეტი უცხო ქვეყანაში უნდა გაშლილიყო, არ არის საერთოდ კარგი, როდესაც დიდი ნაწარმოების მოქმედება სწარმოებს მკითხველის ცხვირის წინ. აქ არის რაღაც უხერხულობა მაშინაც კი როცა ნაწარმოებში არაფერი დაუჯერებელი არ ხდება. 1) მცხეთაში მყოფ რუსთაველს არ შეეძლო ეთქვა, რომ ნატახტარზე ან ავკალაში შამშებში მიმავალი კაცი წააწყდა ლომსა და ვეფხვს, ერთი ხელით მან ერთი დაანარცხა მიწაზე, მეორეთი მეორე, და

1) ეს კარგად იციან დღეს ქართველმა რომანისტებმა. საქართველოში შეტავ ძნელია დიდი რომანისათვის მოქმედების სხარტის არჩევა. სად ვადავილოს აქ რომანიტა მკითხველის დაკვირვებულ თვალს? თუ მან რომანის მოქმედება ტფთაისში გაშალა, ყოველი იმერელი მკითხველი იმ სახლსაც კი გამოიკნობს, სადაც მისი გმირი შეუა ან საიდანაც გამოვა. არც ტფილისში ხერხდება ეს გადამალვა. მკითხველს ჰგონია, რომ ყოველივე ის რაც ამ ქალაქის ფარგლებში გამართულ ნაწარმოებში ხდება ქართველი გმირის გარშემო, მომხდარი დახლოებით ან წყნეთის ქუჩაზე ან ვერის დაღმართზე. არა თუ ავტორისთვის, ეს უხერხულია თვალით მკითხველისთვისაც კი.

ამგვარად ორივე დახოცა. რუსთაველის თანამედროვენი ამ ამბავს უწყალობდნენ მონადირის ტყუილს. რომ ასეთ ტყუილს დამაჯერებელი სახეც. მისთვის საჭირო იყო მისი გადატანა ცხელ არაბეთში, შორეულ ინდოეთში, საერთოდ ევროპურ ქვეყნებში, რომლებიც აღამიანის ფანტაზიის ჩვენს დროშიაც კი ათასგვარი დაუჯერებელი ამბებით დაუტვირთავს.

რაკი რუსთაველი იძულებული შეიქნა მოქმედება მაჰმადიანურ ქვეყნებში გადაეტანა, რაღა თქმა უნდა, რომ პოემაში, როგორც ამას პრ. კეკელიძეც შენიშნავს სამართლიანად, გადაშლილი უნდა ყოფილიყო მაჰმადიანური ცხოვრება. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ეს ცხოვრება რუსთაველს ზედმიწევნით ეცოდინებოდა, რის გამო მან საესებით შესძლო მხატვრული ილიუზიის შექმნა.

სარკის კაკაბაძე, როგორც ზევით მოიხსენიეთ, ფიქრობს, რომ „ვეფხისტყაოსანი“ დაწერილია არა უადრეს მეთოთხმეტე საუკუნის ნახევრისა. გარდა ზემოთ (III თავში) მოხსენებული საბუთისა, კაკაბაძე ეყრდნობა იმ გარეშობას, რომ პოემაში ნახმარია თამარის ეპოქისათვის უცხო სიტყვები: სკამი, შუბი, მოღარე, ხანი, აღლუმი, ჯეონი, და ხვარაზმშია. ხოლო, მეორე მხრით პოემაში ვერ ვნახულობთ ზოგიერთ ისეთ სიტყვებს, რომლებიც თამარის დროს ხმარებანი იყო: სელი, პოროლი, მემკურჭლე. პროფ. კ. კეკელიძე არღვევს კაკაბაძის ამ საიუფდელს. კეკელიძე ამტკიცებს, რომ ყველა ეს სიტყვები თამარის დროს და ჯერადრეც იხმარებოდნენ, ხოლო რაც შეეხება სელსა და მემკურჭლეს, „ვეფხისტყაოსანში“ ისინი გვხვდებიან. 1) მაგრამ დაუშვათ, რომ აქ ყოველივე ისეა, როგორც ს. კაკაბაძე ფიქრობს, მაინც განაწარმოსადგენია რუსთაველის, ამ ბუმბერაზი პოეტის, ადგილიდან დაძვრა იმ მიზეზით, რომ მას ესა თუ ეს სიტყვა უხმარნია ან არ უხმარნია თავის პოემაში? ამაზე ჩვენ შემდეგი ამბავი გვაგონდება: ერთმა კაცმა მოისურვა ხარის დაკვლა, მაგრამ დანა წინა დღით მას სახლის სახურავზე დარჩენოდა; დანის ჩამოტანის მაგიერ ამ კაცმა ხარის აყენა მოინდომა მიღლა დასაჯლავად... სწორედ ასე იქცევა პათოლოგიური მკვლეარი იმ შემთხვევაში 2).

1) კ. კეკელიძის მოკლე რუსთაველის სტრაქონი: „მონაწილე დიდგვ. დაჯდ. კრძალვით და რიღითა“. ჩვენ ზევით მხრით უნდა დაუმატოთ, რომ ქვედა ხართულის ტაბებში არის ასეთი სტრაქონი: „მონა სელს უდგამს აეთხვილს, პირდაპირ მისა ჯდებოდა“. კაკაბაძის მიერ გამოცემულ „ვეფხისტყაოსანში სწერია „მონა ხელს უდგამს“-თ, მა რამ ეს აშკარად შეცდომა არის ან კორექტურული ან გადამწერის.

2) ჩვენ ვფიქრობთ რომ „ვეფხისტყაოსანი“ უნდა იქნას დაწერილი, ვიდრე „თამარიანი“, რომელსაც ყველა თამარის დროს ნაწარმოებდა: სედლის. რომ ეს ასე არ იყო, „თამარიანი“ უნდა იქნებოდა ნახევარი „ვეფხისტყაოსანის“ უკანასკნელ ტაბში, ყოველ შემთხვევაში უნდა, ვიდრე სხვა რომელიმე ნაწარმოები, ვინაიდან ორივე ეს პოემა თამარის საქებრად არის დაწერილი. თუ ჩვენ დაუშვებთ, რომ ეს უკანასკნელი ტაბი შემდეგ არის მიწერილი, მით ვერაფერს ვერ იგნებთ, რადგან არც მით უმეტეს, ყალბის—მქნელი დასტოვებდა „თამარიანს“ მოუხსენებლად. პირიქით, ეს გარემოება ამტკიცებს იმას, რომ მოხსენებული ტაბი უნდა იქნას, მეორე მხრით, „თამარიანში“ მოხსენებული „ვეფხისტყაოსანის“ გვირი თინათინი: „ა ეს თინათინი, წესის თინათინი, არაბეთის იყო სულადიანი“.



პროლოგის ტიპების დალაგება ს. კაკაბაძის გამოცემაში პირდაპირ საარაკოა. მაგალითად, პირველ ტიპს „რომელმან შექმნა სამყარო“<sup>1)</sup> სწორედ რიტორიული ფრაზებით აგვიწერს ღმერთის ბუნებას, უშუალოდ „შეხვედრის“ ტიპში „მე რუსთველი ხელობითა...“; ეს ისეთი ყოველად შეუწყნარებელი ვადისკლა არის, რომ ამას რუსთაველი კი არა, მეოთხე კლასის გინაზიელი არ დაუშვებს თავის ლექსში. თავისი კონტრასტული ვადისკლით ამას ემკვანებოდა, მაგალითად, შემდეგი ტორადა უფლის მიმართ: „ღმერთო დიდებულო! შენა ხარ სამყაროს უზენაესი შემოქმედი, შენში მარხია დასაბამი და დასასრული ყოველი ნივთის და აი ეხლა მე წყალი მწყურია და წყაროზე მივდივარ წყალის დასალევად“. განა შეიძლება ასეთი ნახტომები აზრის მსვლელობაში?

იუსტინე აბულაძესაც სხვადასხვა ვადამწერების მიერ შეკეთებულად მიაჩნია პროლოგი და ეპილოგი. სიტყვები „ესწერ ვინმე შესხი მელეკსე მე რუსთველისად ამისა“, მისი აზრით, ცალკე პოეტი-ბიბლიოგრაფის მიერ უნდა იყოს მიწერილი. შეუძლებელია ცალკე სტრიქონის სიყალბეზე ვილაპარაკოთ, როდესაც სტრიქონები ორგანიზულად არიან ტიპში, ერთმანეთთან დაკავშირებული. ზოგიერთი მკვლევარები მთელ ამ ტიპსა სთვლიან ყალბად, საკითხიც სწორედ ასე უნდა დაისვას. ჩვენ გვქონდა ზემოთ ლაპარაკი ამ შესანიშნავი ტიპის შესახებ. აქ კი ვიტყვით ნხოლოდ იმას, რომ ასეთ ტიპს იმ თემაზე, რომელიც აქ არის აღებული. ვერ დასწერდა არა თუ ვინმე ბიბლიოგრაფი, ან „ვირშეპლიოტი“, როგორც ნ. მარო ფიქრობს, არამედ ვერცერთი ცნობილი ქართველი პოეტი, რომელიც სწერდა შაირით ლექსებს. ოთხი ასეთი პოეტი ჩვენ ზემოთ დავასახელებთ და მათ უნდა მივუმატოთ კიდევ ილია, აკაკი და, ასე ვასახელოთ, ვაჟა ფშაველაც. რა საბუთით ვფიქრობთ, რომ ისინი ვერ დასწერდნენ ასეთ ტიპს? იმ მეტად დამაჯერებელი საბუთით, რომ ვერცერთმა მთავანმა ვერ დასწერა ამის შესადაარებელი სტრიქონები ადამიანის ცხოვრების მსწრაფელ წარმავლობაზე და მის ამაოებაზე, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ყველანი შეეხებნ პოეტებისათვის ამ მეტად მიმზიდველ თემას.

ი. აბულაძე ემხრობა ცნობილ შეხედულებას, რომ რუსთაველის სამშობლო უნდა ყოფილიყო ჰერეთის რუსთავი, ეგრედწოდებული ზოსტან ქალაქი. აი სხვათა შორის, რასა სწერს ის ამის შესახებ: „რომ სახელდობრ ეს ტფილისის ახლო მდებარე ქალაქი უნდა ყოფილიყო პოეტის ადგილ-სამყოფელო, ამას რამდენადმე გვაფიქრებებს შემდეგი შედარება „ვეფხისტყაოსანში“: „აღაფობდეს საქურტლესა მისსა, ვითა ნათურქალსა“. როგორც ზევით იყო ნაჩვენები, ქ. ც—ბით, რუსთავი დავით აღმაშენებლის მეფობის პირველ ხანებში თურქებს

<sup>1)</sup> კერძო ხელნაწი ი. აბულაძემ გამოისტყვა ის აზრი, ვითომც რუსთაველი ასე დაწეროს ეს სტრიქონი: „ესწერ ვინმე შესხი მელეკსე მე რუსთველი...“ ხოლო დანარჩენი შეიშატებია სხვას. არა თუ დაუშვებელი, წარმოუდგენელია, რომ რუსთაველს სტრიქონი ტიპში გაურთავებინა და დაუზიარებელი დეტოვებოთ. ამისათვის უნდა დავუშვათ, რომ რუსთაველი ცუცუკად გარდაიცვალა ამ ტიპის წერის დროს.

გვირათ, მამასადავამე, პოეტის სამშობლო ქალაქის მკვიდრთ განაგრძობდა. როგორც თურქთა ბატონობა, ისე შენდევში მათი განდევნა. ამიტომ შედარება რუსთველას პოეტის მხრით სრულიად ბუნებრივიად უნდა ჩაითვალოს, რადგან საგულევებელია, რომ პოეტის მხრით ამგვარი შედარება იდეოლოგიის ხასიათისაც უნდა იყოს“.

წარმოუდგენელია ასეთი დიდმნიშვნელოვანი საკითხის გადაჭრის დროს ასეთ წერილმწიფე და ყოველად უნიიდავო მოსაზრებაზე დაყრდნობა. ვინა არსებობდა ძველ საქართველოში ისეთი კუთხე, რომელიც უზრუნველყოფილიყო თურქების შემოსევისაგან? კერძოდ კი ვინა შესხეთი ყველაზე უფრო ხშირად არ განიცდიდა თურქებისაგან რბევასა და აწიოკებას?!

როდესაც „ვეფხისტყაოსნის“ მკვლევართა ისეთი მოსაზრებებს ვკითხულობთ, ჩვენ ყოველთვის გვაგონდება მარკ ტვენის ერთი მოთხრობა— „თეთრი სპილოს დაკარგვა“. ეს მოთხრობა წარმოადგენს სატირას ინგლის-ამერიკის მამძიებლებზე, რომელთაც ჩვეულება ჰქონიათ განსაკუთრებით უცნაური და რთული მოსაზრება გამოსთქვან იმათ წინაშე დასმული ყოველგვარი საკითხის შესახებ, თუნდაც ეს საკითხი მეტად მარტივი იყოს თავისთავად. ამ მოთხრობაში აწერილია შენდევნი ფაქტი. ვაგონით მაჰყავთ რკინის გზაზე ინდოციდიდან ინგლისში თუ ამერიკაში ჩაყვანილი თეთრი სპილო—მეტად იშვიათი სპილო. ერთ სადგურზე ეს ძაბარებელი ვაითევეს ღამეს. დილაზე სპილოს პატრონები ხედავენ, რომ ვაგონის ერთი კედელი გამოგლეჯილია მთლად და შიგ სპილო აღარ არის—სპილო მოუპარავთ. სპილოს პატრონებმა აფრინეს ყოველი მხრით დეპეშები და გამოაწერეს ყველა გამოჩენილი მამძიებლები. მამძიებლები მოვიდნენ და დაათვალიერეს ვაგონი. ყველამ სხვა და სხვა მოსაზრება გამოსთქვა იმის შესახებ, თუ როგორ არის ვაგონიდან გაყვანილი ეს თეთრი სპილო, მაგრამ ყველანი შეთანხმდნენ ერთ აზრში, სახელდობრ იმაში, რომ სპილო ამ გამოგლეჯილი კედლიდან კი არ გაუყვანიათ, არამედ რომელიღაც სხვა გზით. ყოველი მათგანი გულმოდგინეთ ათვალთვრებდა ვაგონის დანარჩენ სამ კედელს, ნახულობდა იქ პატარა ჭურჭუტანას და აცხადებდა, რომ სპილო იქიდან არის გაყვანილი. მეორე მამძიებელი მის განცხადებაზე მხრებს აიჩნჭდა და უპასუხებდა, რომ ეს შეუძლებელია, რის შემდეგ ის, თავის მხრით, კიდევ უფრო პატარა ჭურჭუტანას დაადებდა თითს და აუწყებდა ყველას, რომ უპიკველად ეს არის ის ადგილი, საიდანაც გაუყვანიათ სპილო ქურდებს.

არის მართლაც გარეგნულად რალაც საერთო ამ ამბავსა და „ვეფხისტყაოსნის“ გარშემო წარმოებული კვლევა-ძიების შუა. ვინა თეთრი სპილოს დაკარგვას არა ჰგავს ის ფაქტი, რომ „ვეფხისტყაოსნის“ მკვლევარებმა იციან,

1) თუ როგორ დასწერა რუსთაველმა ეს სტრიქონი, ამაზე ლიპარიკი გვქვება შეხვედრით, სიდაც ჩვენ შევძლებით დავსალოთ ზოგიერთი მისი ტაბებია, ნათელყოფა მათი პირველყოფილი ჩანაწერ პოეტის წარმოდგენაში და გამოფარკვიით, თუ რა იყო მათში მთავარი და რა მეორე ხარისხოვანი.



თუ ვინ დასწერა პოემის პროლოგი, რომელიც სულ 31 ტაქტისაა შესდგება (მისი ავტორი ყოფილა ვილაც რუსთველი), იციან თუ ვისი დასწერისაა ამისა. ვისი ხელი ტაქტი (ის დაუწერია ვილაც ბიბლიოგრაფ მესხს), მაგრამ მათ აღარ იციან თუ ვინ დასწერა თვითონ პოემა „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც დაახლოებით 1600 ტაქტისაგან შედგება. ამ ორ იუმორისტულ ამბავში განსხვავდება არის: თეთრი სპალო მართლა მოიპარეს ქურობეში, „ვეფხისტყაოსანის“ ავტორი კი არავის არ მოუპარავს, ის მთელი თავისი გრანდიოზული სიმბოლით ამართულა მკვლევარების წინაშე, მაგრამ უკანასკნელებმა იმდენად დააჩუქურჩეს თავიანთი თავი მას დაკარგვაში, რომ ისინი ვერ ხედავენ მას.

კერძოდ ი. აბულაძის „ნათურქალზე“ დამყარებული მოსაზრება ჩვენ ერთ ისეთ პატარა ტექსტთანად მიგვაჩნია, სადაც, არა თუ სპალო, ბუზიც კი ვერ გაიტყევა.

ი. აბულაძე ფიქრობს, რომ ვახტანგის გამოცემა შეკეთებულია ვილაც მესხის მიერ, რომელსაც დაუშთავრებია ზემოთ მოყვანილი სტრიქონი, შეუთხზავს ეპილოგის დანარჩენი ოთხი ტაქტი, შესავალის რამდენიმე ტაქტი, და თვითონ პოემაში კიდევ ზოგიერთი ადგილი. მკვლევარის აზრით აქ სჩანს ერთი სტილი—რა თქმა უნდა ცუდა. აი რას სწერს ამის შესახებ ი. აბულაძე: „მართლაც ვახტანგის გამოცემის შემკეთებელს ძალიან სჩვევია უგვანი შედარებები და ნაძალადევი ლექსები; მოვიტან მაგალითებს: შესავალში ვკითხულობთ, IV, 8, „მელნად ვიხმარე გიშრის ტბა და კალმად მინა რხეული“, რუსთაველი კი შავს თვალებს აღარებს მელნის მორვეს, ან მელნის ტბას... ტანს კი—წვილი თმას“<sup>1)</sup>.

ტაქტი, რომელშიაც ეს სტრიქონი შედის, ალიტერაციის მხრით ჩვენ დაწვრილებით განვიხილეთ ზემოთ. ის საერთოდ ერთი უშესანიშნავესი ტაქტია პოემაში. კერძოდ ამ სტრიქონში მოცემული შედარება პატივცემულ მკვლევარს ვერ გაუგია. რუსთაველი გიშრის ტბას აქ თ:მარის თვალებს კი არ აღარებს, ან რხეულ მინას—თამარის ტანს. ყოვლად დაუშვებელია ვიფიქროთ, რომ რუსთაველს აქ ორკეცი შედარება ჰქონდეს ნახმარი (თავდაპირველად ეს განმარტება ნ. მარმა წარმოადგინა) მელანი—გიშრის ტბა—შავი თვალები, კალამი—რხეული მინა—ტანი ქალის მაშინ გამოდის ასეთი, მართლაც უგვანო სახე, თითქოს რუსთაველი თავისი პოემის წერის დროს კალამს აწებდეს შავ თვალბში. აქ არის უბრალო, ერთკეცი შედარება: რუსთაველს უნდა სთქვას (და კიდევაც მშვენიერად ამბობს), რომ, როდესაც ის მაღალი დედოფლის ქებასა სწერს, უბრალო მელანსა და ბატის ფრთის კალამს კი არა ხმარობს, რასაც ჩვეულებ-

1) „ვეფხისტყაოსანი“, ი. აბულაძის გამოცემა.

2) ზოლოს აბულაძემ ეს სტრიქონი შესწორა და ისევ რუსთაველს მიაკუთვნა. ამ შესწორების შესახებ, რომელიც უფრო მკვლევარება ვიზიარეს, ლამაზაკი გვექნება შემდეგ, ეხლა კი შევინშნით მხოლოდ ის, რომ შესწორება (მელნად ვიხმარე გიშრის ტბა და კალმად მენა რხეული) არაფერი არ გამოუცვლია „გიშრის ტბის“ გარშემო და როგორ მოხდა რომ წინადადება შედარება „უგანო“ იყო, ზოლო აბულაძის მიერ შეტანილი შესწორების შედეგად ის რუსთაველის კალამის ღირსეულ ნაყოფად გადაიტყა?



ბრევი წერის დროს ხმარობენ, არამედ გიშრის ტბას და რსეულ მენჯეცქ შე-  
დარებულა, მელანი გიშრის ტბასთან და კალაში რხეულ მინასათხმარტკათვა-  
ლები, არც ტანი სრულებით არ არის ნაგულისხმევი. შემოქმედების პროცესი  
ძალიან რთულია და შესაძლებელია, რომ რუსთაველს ამ სტრიქონის საბოლოოდ  
ჩამოყალიბებამდე, მართლაც ჰქონდა მხედველობაში თამარის თვალეზი, მაგრამ  
როდესაც სტრიქონი საესეებით გამოაკვეთა ზემოთ მოყვანილი სახით, რუსთავე-  
ლი აღარ გულისხმობდა ამ შედარებაში არც თვალეზს და არც ტანს, ყოველ-  
შემთხვევაში ჩვენ, მკითხველებს, აეტორი არ გვაძლევს არავითარ საბაზს ვი-  
გულისხმოთ ისინი.

აბულაძეს არ მოსწონს სტრიქონი „გასტეხს ქვასაცა მაგარსა გრდემლი  
ტყვიისა ლბილისა“ და ამის შესახებ შენიშნავს: „ტყვიის ლბილი გრდემლი არ  
არსებობს, პირიქით, გრდემლი ბასრი უნდა“. რუსთაველმა, რა თქმა უნდა,  
იცოდა, რომ გრდემლი მაგარი უნდა და არა ლბილი, მაგრამ ის ამ სტრიქონში  
გრდემლს მქედლის თვალსაზრისით არ მისდგომია. რუსთაველი იქ იმ შეუდარე-  
ბელი ხელოვნებით, რომელიც მხოლოდ დიდ პოეტებს ახასიათებს, გვიხატავს თუ  
რამდენად ლბილია, რა უნაზეს ფორმებშია მოქცეული მისი მაღალი ქალბატონის  
ღვთაებრივი ბუნება, და იმავე დროს რამდენად ხელშეუშართავი და ლახვარივით  
გამგმირავია მისი გავლენა ადამიანზე, თუნდაც ამ უკანასკნელის გული ქვასავით  
მაგარი იყოს.) ეს ტაეპი კიდევ უფრო შესანიშნავია, ვიდრე ზემოთ დასახელე-  
ბული. ბგერები დალაგებულია შიგ გასაოცარი ოსტატობით:

მიბრძანეს ნათდა საქებრად თქმა ლეკებისა ტბილისა,  
ქება წარბთა და წამწამთა თმათა და ბაგეკბილისა,  
ბროლ-ბალახშისა თლილისა, მით მიჯრით მიწყობილისა,  
გასტეხს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყვიისა ლბილისა.

ამ ტაეპში ისმის ოთხი გაფრენილი ქედანის აჩქარებული ფრთების ცემა.  
მასში არ შეიძლება იოტის ოდენი ნაკლის აღმოჩენა. მთელი ქვეყნის ვადამწერე-  
ბის გაერთიანებული ძალა ვერ დასწერდა ამ ტაეპს 2)

ი. აბულაძე განაგრძობს „ვეფხისტყაოსანში“ „ვილიც ბიბლიოგრაფის  
მესხის“ მიერ შეტანილი „უგვანო“ სახეების აღმოჩენას და იქვე სწერს შემდეგს:

1) ან შეიძლება აქ ნაგულისხმევი დედაფლის მიერ ლბილად, გაღებებით გამოთქმული  
სტრიქონი სოტის დაწერის შესახებ, რომელიც ბრძანებისა და მტკიცე კანონის სახეს იღებს მის-  
თვის—რუსთაველისთვის.

2) ე. მარი ასე სთარგნის ამ ტაეპის ეკსკნელ სტრიქონებს:

„губы и зубы,

„Стройными рядами выточены из рубина и хрустали,

(Но крепкие) наковальня из мягкого свинца дробить крепкий камень“.

გამოღის თითქოს რუსთაველი იქ თამარის მაგარ კბილებზე ლაპარაკობდეს. უკანასკნე-  
ლი სტრიქონის ასეთი გაგება მთელი ტაეპის განაფურება იქნებოდა. ასე თუ არის, რაღა სა-  
ჭიროა მაშინ „но крепкие“, თითქოს ბროლი ლბილი იყოს?





„ბოლო მინაწერის ავტორსავე უნდა ეკუთვნოდეს ის უგვიანეს ჩემსავე სტრუქტურულ-საეწარმოადგენს 178 ხანა: „უკმაინ უთხრა: დაო ასმათ, ზსაღნა ჩაგვი-ცვიედღსო“. ზღვაზე ბიდი შეიძლება?! ეს რა ძალიან ვაგს ტყუილის ღბილი გრდემ-ლის ნათქვამს!..“ ი. აბულაძემ გამოსცა ქართულად „შამანის“ თარგმანი და მას ეხსომება ამ პოემიდან ასეთი სტრიქონი:

„ზუბის წვერი ცასა ზევდეს და ღრუბელი სისხლასა სწვიმდეს!“

ვის ვაუგონია, რომ ზუბის წვერი ზევდეს ცას? ვის უნახავს რომ ღრუბელს სისხლის წვიმა სდიოდეს?!

იმავე პოემაში არის ასეთი (და აუარებელი კიდევ სხვა ასეთი) სტრიქონი, ზურაბი იძახის:

მე ვუჩვენო ერანელთა მზე უღრუბლოდ დავსებული

ვის უნახავს დღისი უღრუბლოდ დავსებული, ესე იგი დაჩრდილული მზე? თვალზე თუ დაიფარებს ადამიანი ხელს, თორემ ისე უღრუბლოდ მზე არ და-ჩრდილება... იმავე პოემის გმირები „მთასავით ყვირიან“. ვის ვაუგონია, რომ მთა ყვიროდეს?! არაფერი აქ მოყვანილი მაგალითების მაგვარი ცხოვრებაში არა ხდება, მაგრამ პოეზიაში ამ დიდ ტყუილებს უდიდესი გასაჯალი აქვს, და სახე-ლად ეწოდება იმათ იქ ჰიპოტოზა. რუსთაველის ზემოთ მოყვანილ სტრი-ქონში მოცემულია კატასტროფის გაზვიადებული, ჰაერბოლოური სახე. პატივ-ცემულ შვედურს კი უნდა რომ ეს სურათი დაატარებდეს და ზღვის მაგიერ რუსთაველმა რომელიმე ხევის ამღვრეულ ღელეში ჩაჰყაროს თავისი ხიდები. სხვა თუ არაფერი, ის მაინც ვიციტ ისტორიიდან, რომ ქსერქსის ბრძანებით ხიდი გაიყვანეს ჰელსპონტზე და შემდეგ აღელვებულმა ზღვამ წააღწია ეს ხიდი.

აი ამ ზემოთ მოყვანილ მოსაზრებებზე ემატება ი. აბულაძე, როდესაც მის მიერ გამოცემულ „ვეფხისტყაოსანში“ პროლოგისა და ეპოლოგისათვის ზემო-დან დაუწერია, რომ ისინი მხოლოდ „მიეწერება შოთა რუსთაველს“.

პროფ. კ. კეკელიძე, როგორც ზევით მოვიხსენიეთ, იმ აზრის არის, რომ პროლოგი და ეპილოგი პოემის ავტორის მიერ არ არის დაწერილი. ის ვრცლად განიხილავს ეპილოგს და ამტკიცებს, რომ იგი მრავალი შეუსაბამობით არის საესე. შეეხებით ამ ყველა მის მიერ ამ აზრის დასამტკიცებლად, წამოყენებულ დებულებებს, რათა მკითხველმა არ იფიქროს, ვითომც ჰქონდეს მკვლევარის უფრო სუსტი მოსაზრებანი ამოვიღეთ მიზანში. აი ისინი მუხლობრივ:

1) „წინასიტყვაობაში განცხადებულია—პოემა შეიცავს თამარის ქებასო, ის მისი საქებრად დაწერილიო, ბოლოსიტყვაობა კი გვეუბნება, რომ პოემა დაწერილია არა საქებრად, არამედ საკამათებლად თუ საკუმათებლად (ნ. მაროთ) ესე იგი გასართობად მხოლოდ და ისიც არა მარტო თამარისა, არამედ მგონია დავითისაც“.

რა არის აქ გასაცვირი? ვანა არ შეიძლებაო, რომ რუსთაველს ამ პოე-მის წერის დროს, რომელიც, სულ უკანასკნელი, რამდენიმე წელიწადი მაინც გაგრძელდა, ახალი პერსპექტივები გადაშლოდა წინ? გარდა ამისა, რა დიდი წინააღმდეგობა არის საქებრად დაწერაში და გასართობად დაწერაში? ძალიან

კარგად შეიძლება ორივე ამ მიზანის ერთად შეთავსება. ყოველ შემთხვევაში ეს არის მეტად წერილმანი მოსაზრება.

2) „წინასიტყვაობაში ნათქვამია, რომ პოემა აქებს თამარს, აქებს მის თვალ-წარბ-ლოყა-წამწამებს, აქებს შეფუტვევით, ესე იგი ჩამოსხმული ლექსების მიმობნევით (ნ. მარი), მაგრამ მთელს პოემაში ისლად ერთა სიტყვათაჲ კი თამარი ნახსენებდ არაა“ რა არის აქ გაუგებარი? რუსთაველმა განიზრახა თამარის შექება, მაგრამ თავისი მიზანი მან ოღაში კი არ განახორციელა, არამედ ცნობილ სიტუეტზე დაწერილ პოემაში, სადაც, ცხადია, მას არც ერთით, არც ნახევარ სიტყვით თამარის ხსენება არ შეეძლო; სამაგიეროდ მან პირდაპირ დაასახელა პოემის მიზანი პროლოგის იმ ტაეებში, რომლებიც თამარისადმი პოემის მძღვნის ხასიათს ატარებს. რუსეთის პოეტმა დერჟავინმა ეკატერინე II-ს საქებრად დასწერა თავისი „ფელიცა“ სადაც ეკატერინე არც ერთი სიტყვით არ არის ნახსენები. ეს „ფელიცა“ რომ დიდი ნაწარმოები ყოფილიყო ზომით და დერჟავინის პროლოგი დაწერა მისთვის, ნუ თუ მას უფლება არ ექნებოდა ეცნობებოდა იქ მკითხველებისათვის თავისი ნაწარმოების მიზანი?.

3) „რაც უფრო საკურადღებოა, პროლოგში გიტარებული აზრები პოემის შინაარსით არ მართლდება. მართლაც, აქ წარმოდგენილია შემდეგი იდეალი მიჯნურობისა და მიჯნურობისა:

მიჯნურობა სხვა რაზეა, არ სიძვისა დასადარი,  
იგი სხვაა, სიძვა სხვაა, შუა უზის დიდი ზღვარი.

„ბაშ მიჯნური არ შეძვი, ბილწი, მრუწი“, მან უნდა „გული ერთსა დაჯეროს“, მას არ უნდა სდევდეს თან უჯულოდ სიყვარული, ხეენა კოენა, მტლამა-მტლუნი“. ამართლებენ პოემის მოქმედი პირნი ამ იდეალს, „დაჯერეს მით გული ერთს“, დაიცვენ თავი „მეძავობისა და მრუწობისაგან“? ვერა!

ამ ძლიერპოსილი „ვერა!“-ს შემდეგ პრ. კეკელიძე ივანებს აფხანდილის დამოკიდებულებას ფატმანთან, რომლის ნამდვილ მიზეზზე, რა თქმა უნდა, ის ხმას არ იღებს, და შემდეგ აგვიწერს ტარიელის გარყენილებას იმგვარა კილოთი თითქოს ის ეგნატე ნინოშვილის „ტარიელ მკლავადეს“ არჩევდეს და არა „ვეფხისტყაოსნის“. რომ მორიდება არ გვაკავებდეს, ჩვენ ბევრ რამეს ვიტყვიდით მკვლევარის მიერ უდიდესი პოემისადმი ასეთი ვულგარული მიდგომის შესახებ.

4) კ. კეკელიძეს მოჰყავს რუსთაველის შემდეგი ტაეპი:

მიჯნურსა თვალად სიტურფე მართებს, მართ ვითა მზეობა;  
სიარძნი, სიმდადრე, სიუხვე, საყმე და მოკალეობა,  
ენა, გონება, დამობა, მძლეთა მებრძოლთა მძლეობა,—  
ვისცა ეს სრულად არა სჯარს აკლავ მიჯნურთ ზნეობა.

ამ ტაეპის შესადარებელი ბევრი არაფერი დაწერილა ადამიანის ენაზე, მაგრამ იმ რასა სწერს კ. კეკელიძე ამას შესახებ: „არსებათად ეს ტაეპი სრულს გაუგებრობაზე და ადამიანის სულას უკოდინარობაზეა დამყარებული: განა იმისთვის, რომ ადამიანის გულში ფესვი გაიდგას მიჯნურობამ, სიყვარულმა, უპველად ის უნდა ლამაზი, მრძენი, გმირი და, რაც უფრო საოცარია, მდიდა-



რი იყოს? სინამდვილეში ასე არ არის, სიყვარულის ალი ერთმანეთს უკავდება ყველას, ისე, როგორც მზის სხივები ერთნაირად ეცლინება ყველას დღესამაჩვენებ\*. თუ რამეა აქ გაუგებრობაზე დამყარებული, მხოლოდ პატივცემული მკვლევარის მსჯელობა, სხვა არაფერი. რუსთაველი აგვიწერს რაინდული ეპოქის მიჯნურის თვისებებს. მას მიჯნურობა ესმის, როგორც ქალისა და ვაჟის ერთმანეთისადმი სიყვარული. მას მხედველობაში ჰყავს მიჯნური, როგორც სიყვარულის სუბიექტიც და ობიექტიც ერთსა და იმავე დროს, და არა ვიღაც მათხოვარი, რომელიც ერთხელ თვალს მოჰკრავს მშვენიერ დედოფალს, წავა შემდეგ თავის ჭოხში და ოცნებობს მთელი სიცოცხლე იმის შესახებ. პრ. კეკელიძეს ისე გაუგია ზემოთ მოყვანილი ტაეპი, თითქოს რუსთაველი ამბობდეს, რომ ვინც ასეთი და ასეთი არ არის, იმას შეყვარება არ შეუძლიაო; ნამდვილად კი აქ პოეტი ჩამოგვითვლის იმ თვისებებს, რომლებიც საჭიროა რაინდისათვის სიყვარულში მიზნის მისაღწევად. რაც შეეხება თვითონ ამ თვისებებს, ყველა ისინი მართლაც უნდა ახასიათებდნენ იმ კაცს, ვისაც ნესტან დარეჯანის ან თინათინის გულის მონადირება ეტნება მიზნად დასახული. ის უნდა იყოს მხესავით ღამაში და თვალის მომჭრელი, მისი სახის და სხეულის ყოველი ნაკვეთი ღვთაებრივი სრულყოფით უნდა იყოს გამოკვეთილი. მისთვის საჭიროა სიყმე და დიდი გმირობა. ასე გასინჯეთ, მდიდარიც კი უნდა იყოს იგი: მას უნდა ჰქონდეს აგებულ ზღაპრული სასახლეები, გავსილი ფასდაუდებელი საუნჯეებით, მისი ქარზე უსწრაფესი ბედაურები მხოლოდ თვალმარგალიტით მოკედელ უნაგირებს უნდა იდგამდნენ გავაზე, იმისი ხმალის ეფესში ჩამჯდარი იაგუნდები და აღმასები ტეცხლს ღრდა უჩენდნენ მტრის ბანაკს. ის უნდა იყოს უზვი: მის სასახლეებში დაუსრულებელი ღვინი და ნადიმი უნდა იმართებოდეს, მის მიერ გაცემული საზოძვარი ანგარიშშიუყვდომელი უნდა იყოს. სიბრძნეც კი საჭიროა მისთვის იმდენად, რამდენადაც აქ რუსთაველს ბრძენის სახით ვენდტის ან ჯონ სტიუარტ მილის მზგავსი აღამიანი. არა ჰყავს წარმოდგენილი. სიბრძნის სახით ჩვენს პოეტს მხედველობაში აქვს ენამქვერობა, გონებაშახვილობა, პოეზიის დაფასების უნარი—სახელდობრ იმის ცოდნა, რომ „შაირობა სიბრძნისაა ერთი დარგი“,— ვინაიდან ნესტანივით და თინათინივით აღზრდილ ქალებს ყოველთვის ჰქონდათ მაშინდელი დროისათვის საკმაოდ მაღალი ინტელექტუალური მოთხოვნილება. არ შეიძლება მე-XII საუკუნის მწერალის მსოფლმხედველობა დღევანდელი თვალსაზრისით დაფასოსთ. ჩვენი დროის ყოფა-ცხოვრების რომანში აღწერილია ხოლმე, თუ როგორ შელყვარდა რომელიმე კანტორის მოხელეს მეზობელ ოთახში საწერ მანქანაზე მომუშავე ქალი; აქ რა თქმა უნდა, არ არის შეყვარებული-სათვის საჭირო ყველა ზემოაღნიშნული თვისებები, მათ ნაცვლად შეადგება წამოყენებული იქნეს აქ, „სულიერი ნათესაობა“, „საერთო მიზნები“, „ცხოვრების გზაზე ხელი ხელ ჩაკიდებული სიარულის“ პერსპექტივა და სხვა ასეთები, რომლებიც ხანძარდანთებულ რაინდულ სიყვარულში რუსთაველის მიერ ჩამოთვლილი თვისებების საკომპენსაციოდ არ გამოდგებიან.

მაგრამ ეს კიდევ არაფერი. თავი და თავი ის არის, რომ პროფ. კ. კეკე-

ლიძე ვერც ერთ ზემოაღნიშნულ თვისებას ტარიელში ვერ ნახოვობს. დავედოთ ყური: „დავანებოთ ამას თავი და შევხედოთ, აქვს თუ არა არა...“  
 პონის მთავარ გმირს ტარიელს? აქვს თუ არა მის სიყმე, მძლეოთ მებრძოლთა მძლეობა, ესე იგი ნამდვილი გმირობა, რომლის შესახებ პონეში ნათქვამია: „სჯობს საყვარელსა უჩვენე საქმენი საგმირონია“? არა! იქნება ვისმეს ეს პარადოქსად იჩვენოს: ტარიელი და არა გმირი? გმირობა, რაინდობა მარტო იმაში ხომ არ განიხიბატება, რომ ხატაელები შეეშუსრო, კონკურენტი მიპარვით მოჰკლა, ლომები და ვეფხები გასწყიტო და ქაჯეთის ციხის კარები შეღწეო?“

უწინარეს ყოვლისა ჩვენ უნდა დავიმშვიდოთ პატრიცეზული მეკლევიარი იმ მხრით, რომ არავინ ამ ამონაწერში პარადოქსებს არ დაინახავს, საშუაბაროდ აქ ვაცილებით მეტია, ვიდრე პარადოქსი. რა არის გმირობა? ქ. კეკელიძეს საკითხი მთლად სულიერ სფეროში გადააქვს—მისი აზრით გმირობა ყოფილა მხოლოდ მოთმინება და ჭირსა შინა გამაგრება. თერზინების მნიშვნელობა სიუჟეტების განმავლობაში იცვლება. ამ რამდენიმე წლის წინად გმირად ითვლებოდა ისეთი ადამიანი, რომელიც ორი ვირვანქა ნავთისათვის რიგში ჩამდგარი დაუყენებლად მიაღწევდა თავის მიზანს. ძველ დროში კი გმირობა სხვანაირად ესმოდათ. ლომებისა და ვეფხების გაკლეტა, ხატაელების შეშუსვრა, ქაჯეთის ციხის კარების შეღწევა—ყოველივე ეს უდიდეს გმირობად ითვლებოდა მაშინ. ჩვენ პირადად დღესაც გმირობად მიგვიჩნია ასეთი ამბები.

პრ. კეკელიძე განაგრძობს და გვაუწყებს, რომ ტარიელს „აკალია ენა“ (ხაზი აქ და ქვემოთ კეკელიძის). ჩვენ კი ვიცით, რომ „ვეფხის ტყაოსანში“ არავინ იმდენს არ ლაპარაკობს რამდენსაც ტარიელი, იქ მთელი თავებია ნაამბობი მის მიერ. ტარიელი სხვაგანაც ლაპარაკობს, მაგალითად თათბირზე; ხოლო, როდესაც სამი გმირი ნესტანიურთ არაბეთში მიდიან, აეთანდლის შეამავლობას კისრულობს არა ფრიდონი, არამედ ტარიელი, რომელიც მშვენიერი, მეტად მოსწრებული სიტყვით მიმართავს როსტევანს:

დაუწყო თხრობა მეფესა სიტყვისა ბრძნად ნაკაზმისა.

„აკალია მას სიბრძნე და გონება, რომელიც გამოიხატება მიზანშეწონილ მოქმედებაში და საუმჯობესო საშუალებათა გამოთქმნაში“. ჩვენ ვიცით, რომ ფრიდონის, ტარიელის და აეთანდლის სამხედრო თათბირის დროს, ტარიელის აზრმა გაიმარჯვა და გავიდა მისი გეგმა, მაშასადამე ტარიელს ჰქონია სიბრძნე და გონება 1) რაც შეეხება „მიზანშეწონილ მოქმედებას და საუმჯობესო საშუა-

1) თი რასა სწერს ქვემოთ კეკელიძე ამის შესახებ: „ტარიელი აქ გონებით კი არ აზროვნობს, როგორც აეთანდლი და ფრიდონი, არამედ მკლავებით, რომელიც მისთვის ბუნებას მართლაც მოუცა; მისი გეგმა ციხის იჭრით, ტლანკი ძალით (1) აღება, რამაც უფოვდ ზედმეტი მსხვერპლი შეიჭრა“. აბა როგორ ხვობდა? ქაჯების სასტიკოთ ცირკი უნდა გაემართოთ გმირებს და აკრთატებოთ ბაწრებზე ევლოთ? ან ევბ „იჭრისა და ტლანკი ძალის“ ნაცვლად დაუნის რტოები მიერთოთ ქაჯებისათვის და უმორჩილესად ეთხოვათ, რათა ზედმეტი სისხლი არ დადრილიყო, ნესტან დარჯჯანის განთავისუფლებას? ისეა გეგმა, რომ ტარიელს ბრალი დაუდოთ იმაში, თუ რატომ მან წინასწარ წითელი ჯვრის საზოგადოება არ მოაწყო თავის ჯარში დაქრილების მოსაფლვლად.

ლებათა გამოძებნას“, არ ვიცით რა ვიგულისხმობთ ამ სიტყვებში. როგორც ჩანს ამ-  
ბოხს: „მიჯნური შპაკსა გვაქვიან არაბულსა ენითა“, და „არსით უწინდეს  
ველად გავილა (ნ. მარის გადმოცემით, ეს ყოველა სამიჯნური უნაი ველოდ).  
შეიძლება „მიზანშეწონილი“ და „საუქჯარესო“ ის იქნებოდა, რომ ტარიელს  
სულ განებებია თავი დაკარგული ნესტანის ძებნისათვის და შეერთო ცოლად  
ერთი კარგი სოფელი ქალი, რომელსაც არაფერ არსად გააპარებდა. ეს ცხოვრ-  
ებაში ეგებ მართლაც საუქჯარესო გამოსავალი იყოს, მაგრამ პოეზიაში თემა  
არ გამოდგება.

5) პროფ. კეკელიძე სწერს: „დასასრულ, პროლოგში ნათქვამია, რომ მიჯ-  
ნური „ხამს თავისსა ზვაშიადსა არვისთანა აშეღაენებდეს“ და „არსით უწინდეს  
მიჯნურობა“. ამ სიტყვების ავტორს არ სცოდნია, რომ აღმოსავლეთის საბჭო-  
ეთსო სტრუქტურა რომანებში მიჯნურთ, თითქმის ყველას, ჰყავთ დაახლოებული  
პირი, გამდელი თუ ძიძა, რომელთაც უშეღაენებდენ თავის ზვაშიადს“.. აღმო-  
სავლეთის რომანებზე ვერას ვიტყვი, ხოლო რუსთაველს რომ შეძლება ჰქონ-  
და წიგნითა პუშკინის „ევგენი ონეგინი“, სადაც ტატიანა ლარინა გამდელს  
უშეღაენებს თავის ზვაშიადს, მაშინ ეგებ ის შესაძლებლად დაინახებდა, გამოიკ-  
ლისის სახით, გამდლებისათვის სიყვარულის გამეღაენებას. არ შეიძლება პოე-  
ტური ნაწარმოების ასე განხილვა.

6) პროფესორი განაგრძობს: „ეს მიჯნურობის შესახებ, რაც შეეხება მე-  
ღმეწიკობის თეორიას, რომელიც პროლოგში გვაქვს, მისი ღირსების და-  
საფასებლად საქმარისია მოვიგონოთ შემდეგი; ერთს ადგილას ნათქვამია:  
„გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის შაირია ამაღ კარგიო“, მეორე ადგილას კი—  
„მოშაირე არა ჰქვიან, ვერას იტყვის ვინცა გრძელადო“. რომელს უნდა დაუჯე-  
როს კაცმა? ჩვენ გვიძინებს ამ კითხვებზე პასუხის გაცემა. ყველაზე მორიდებული  
თქმა ჩვენის მართლ ამ შემთხვევაში იმის თქმა იქნებოდა, რომ პატრიცებულო  
პროფესორს ვერ გაუგია რუსთაველის აზრი მოშაირობის შესახებ. მაგრამ ეს არ  
იქნება მართალი. ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია, რომ დღეს, მე-XX საუკუნეში, სიმ-  
ბოლისტების და დეკადენტების ურთულესი პოეტების შემდეგ, ფუტურისტებისა  
და დადაისტების ხშირად მართლაც გაუგებარი მანიფესტების დროს, კაცმა ვერ  
გაიგოს რუსთაველის მარტივი და დღესაც ნათელი პოეტიკა. არა, აქ გაცი-  
ლებით უფრო სამწუხარო მოვლენასა აქვს ადგილი, ვიდრე გაუგებრობის  
მკვლევარს უნდა დაამტკიცოს თავისი წინასწარ აღებულნი აზრი იმის შესახებ  
რომ „ფეხის ტყაოსანის“ პროლოგი სისულელე და ზაზრობა არის თავიდან  
ბოლომდე. ჩვენი შეხედულებით კი ეს პროლოგი წარმოადგენს ქართული პოე-  
ზიის უდიდეს სიანაყეს და მის უძვირფასეს საუნჯეს, რომლის ფეხით გათელვის  
ნება არავის არ უნდა მიეცეს... რას ამბობს რუსთაველი ნამდვილად თავის  
პოეტიკაში? „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის—შაირია ამაღ კარგიო“, გვეუ-  
ბნება იგი. აქ მას მხედველობაში აქვს სტილი, აზრის მოკლედ გამოთქმა. შემ-  
დეგ ის ანვითარებს იმ აზრს, რომ ნამდვილი პოეტი ის არის, ვისაც დიდი თა-



ვისი მოცულობით) ნაწარმოების დაწერა შეუძლიათ ამის შესახებ რუსთაველის ერთი უდიდებულესი ტაეპი:

ვითა ცხენსა შარა გრძელი და გამოსცდის დიდი რბევა,  
 მოზურთალსა მოედანი, მართლად ცუმა, მარჯვედ ქნევა,  
 მართ აგრეთვე მელქსეთა ლექსთა გრძელთა თქმა და ხევა,  
 რა ნისქირდეს საუბარი და დაუწყოს ლექსმან ლევა.<sup>1)</sup>

კიდევ ერთ-ორი ტაეპი ამ აზრის გასაშლელად და ბოლოს რუსთაველი დაასკვნის: „მოშაირე არა ჰქვიან, ვერას იტყვის ვინცა გრძელადო“. ცხადზე უცხადესია ამ სიტყვების მნიშვნელობა: რუსთაველის აზრით ის პოეტი არ არის პოეტი, რომელსაც გრძელი პოემის დაწერა არ შეუძლია. რა არის აქ გაუგებარი? სად არის აქ წინააღმდეგობა?

პროფ. კეკელიძეს გამოჰყავს დასკვნა: „ყოველივე ზემონათქვამის მიხედვით ჩვენ გვგონია, რომ პროლოგი არ ეკუთვნის პოემის ავტორს და ის არც ერთი ადამიანის ნაწარმოებია“. მკვლევარი ფიქრობს, რომ ეს პროლოგი მე-XVI სუ-კუნწში უნდა იყოს დაწერილი.

ისა სწერს: „ჩვენი დებულების საწინააღმდეგო საბუთად ვერ გამოდგება, რასაკვირველია, განსვენებული ალ. სარაჯიშვილის პათეტიური შეძახება: „განა იყო საქართველოში ვინმე პოეტი ნიჭიერებით რუსთაველის ტოლი?“ რომელსაც შემდეგ იმეორებს ნ. მარი: „В какую эпоху после Тамары писали в Грузии языком и стихами ставшего спорным вступления?“ ნიჭიერებაზე ამ შემთხვევაში ზედმეტია ლაპარაკი, ვინაიდან რიგვარ ნიჭიერებას შეიცავს პროლოგი, რამდენადმე ზევითაც დავინახეთ; რაც შეეხება ЯЗЫК И СТИХ-ს, როდესაც ლაპარაკია არა მთლიან ნაწარმოებზე, არამედ ცალკე ტაეპებზე, ეპიზოდებზე და კუპეტურებზე, კატეგორიულად უნდა ვთქვათ, რომ ალორძინების ხანაში არა ერთი და ორი მარგალიტი შეიძლება მოიძებნოს ვეფხის ტყაოსანის, ყოველ შემთხვევაში პროლოგის შესატყვისი. და რომ ეს ასეა იქიდანაც ჩანს, რომ, მიუხედავად დიდის ცდილსა და თავის მტვრევისა, მცნეირული კვლევაძიების მეთოდებით აღჭურვილნიც კი ყოველთვის ვერ ახერხებენ ნამდვილისა და ყალბი ტაეპების გამოკრებას ამ სასახელო პოემაში“.

უწინარეს ყოვლისა<sup>2)</sup> ამ „აღჭურვის“ შესახებ უნდა შევნიშნოთ, რომ ყოველივე იარაღს აქვს თავისი გამოყენების სფერო, მაგ. რომელიმე სოფლის მეურნე რომ აღიჭურვოს სახნისით, ბარი, ნიჩბით, წალდით, ნაჯახით, ერთი სიტყვით, ყველა სამეურნეო იარაღით, გარდა ნამგალისა, და წაიედეს ყანაში პურის მოსამკალად, ის, რა თქმა უნდა, ყანას ვერ მომკის, ვინაიდან მის განკარგულებაში არ არის სწორედ ის იარაღი, რომელიც მკაშია საჭირო.

რაც შეეხება იმ განცხადებას, რომ „ალორძინების ხანაში არა ერთი და ორი მარგალიტი“ მოიძებნება „ვეფხის ტაოსანის“ შესატყვისი და რომ „ეს

<sup>1)</sup> სინატე-ესთა, რომ გოვთეც პოეტურ შემოქმედებას ადარებს ეტლში შებული გოვ-ხედნელი ცხენების გაყარდნას; პოეტს ზელთ უბუკია მათი სადავეები, მან ისე უნდა დამორჩი-ლოს ისინი, რომ თვექსმეტო ცეცხლმოდებული ტორი გრიალით ჰვებოდეს მიწას, ერთი შე-წობილი ტაქტით, — ი ნამდვილი ხელმოწევა.



ლექსი მიუბაძველი არაა“ (გვ. 141), ამის შესახებ უნდა ითქვას შემდეგი: მიუბაძველი გვეყვანაზე არაფერი არ არის, არაერთარ სიძნელეა და შეუძლებელია იმის დამტკიცება, რომ მიუბაძველი არ არის, მაგალითად, ჰომიროსის პოემები, შექსპირის დრამები, მიქელ ანჯელოს ქანდაკებები და სხ. არ არის აგრეთვე მიუბაძველი რუსთაველის ლექსიც, მით უმეტეს თუ ჩვენ იმ თვალსაზრისზე დავდებით, რომ „ჩაბრუბადის თამარიანი ლექსის მხრივ არა ნაკლებ სიაშოვნებასა ჰვერის სეითხველს“, ვიდრე „ვეფხისტყაოსანი“, როგორც ამას პროფ. კეკელიძე ფიქრობს (გვ. 141). რუსთაველს უდადესი გავლენა ჰქონდა შემდგომი საუკუნეების ქართველ პოეტებზე, იმ გავლენის მასშტაბის არა თუ გამოჩვენება, მისი დაახლოებითა წარმოდგენაც კი არ შეგვიძლია ამ ვამად ჩვენ. რუსთაველს, რა თქმა უნდა, ჰბაძედენ, ზოგჯერ მართლაც ნიჭიერად ჰბაძედენ (ეს არ ნიშნავს იმას, რომ ნიჭიერი მიმბაძველები მისი სტილის ზოგიერთ ჩვენს მიერ მითითებულ ნიშნებს არკვევდენ და ითვისებდენ,—არა ისინი სწავლობდენ მისგან შიარის გამართვას), ზოგჯერ კი მიბაძვა კარიკატურულ ფორმებს იღებდა.

მაგალითად, მეტად დიდია რუსთაველის გავლენა „შაჰ-ნამეს“ მთარგმნელებზე. ჯერ არ არის ცნობილი დანამდვილებით თუ ვინ იყვნენ ამ წიგნის მთარგმნელები და ვის რა ნაწილი აქვს გადმოთარგმნილი, მაგრამ იმ პოეტის შესახებ, რომელმაც სთარგმნა იქ „როსტომი და ზურაბი“, თამაზად შეიძლება ითქვას, რომ ის არის რუსთაველის ღირსეული მემკვიდრე და ქართული შიარის საუკეთესო ხელოვანი რუსთაველის შემდეგ. „შაჰ-ნამეს“ შემოხსენებულ თავში არის ისეთი სრულიად უნაკლული 2 თუ 3 ტაეპი მთლიანად (იმდენივე უნაკლული ტაეპი თუ იქნება კიდევ მთელ იმ ლამრავ შიარში, რომელიც დაწერილია საქართველოში რუსთაველის შემდეგ დღემდე) და ბევრი ცალკე სტრიქონები, რომლებიც რუსთაველის საუკეთესო ტაეპებსა და სტრიქონებს არ ჩამოუყარდება 1). მაგრამ პროფ. კეკელიძეს იმის დასამტკიცებლად, რომ აღორძინების ხანაში ვითომც რუსთაველზე ნაკლებად არა სწერდენ, მოჰყავს არა „შაჰ-ნამეს“ მთარგმნელები, არამედ ისეთი მთარგმნელის ლექსები, რომლის მიმბაძველობას რუსთაველისადმი კარიკატურული და ყოვლად აუტანელი ფორმები მიუღია. თურმე ის პოეტი, რომელსაც აქვს „ვეფხისტყაოსანის“ ლექსის შესადარებელი ნიმუშები ყოფილა პოეტი ნოდარ ციციშვილი—ნი ზ ა მ ი გ ა ნ ჯ ე ლ ი ს „ბარამ-გურიანის“ მთარგმნელი. ეს პოეტი ბრმად ჰბაძავს რუსთაველს 2), და ერთად ერთი მისი გა-

1) რუსთაველის დიდი გავლენის ნაყოფად მიგვიჩნია, მაგალითად, შემდეგი ორი უმშენაკრები და ყოვლად უნაკლული სტრიქონი „როსტომიანიდან“:

დამიბაძ: დონე წველისა უგავეს შეკრულთა ხუნდითა,  
მუცელი უგავეს ხავესა წითლითა იაკუნდითა.

2) მაგალითად:

ესე ამბავი სხარსუღებარ გონება მიუწოდებლი,  
ნიზამის უოქემს განჯელსა. ბრქნთა ბრძენია რომელი,  
მას ჰბაძავს ზოსრო დაქლვეი, მუნ ენა დოჟშრომელი,  
მას ზოსრო სუღამს თუ ნიზამი ვართ მისი მოჭდომელი.

მიუხედავად ბრმა მიბაძვითა, აქ სწამს მთარგმნელის მიერ უმჯობა ტაეპის გამ რთვანი. როგორ ვეფიქრო: „მას (ნიზამს) ჰბაძავს ზოსრო დაქლვეი... მას (?) ზოსრო სუღამს თუ ნიზამი...“



მართლება გამოიხატება იმაში, რომ მას მოწიწებით უჭირავს, მა-  
სწავლებელის წინაშე. კ. კეკელიძეს მოჰყავს „მარამ-გურიანიდან“ ერთი მეორე-  
ზე უფრო საშინელი სტრიქონები და დაასკვნის: „ინაირად ნოდარი არის მე-  
ჩვიდმეტე საუკუნის პირველი ნახვერის მწერალი, ის დიდი პოეტური ნიჭით ყო-  
ფილა დაჯილდოებული; მისი ლექსი მეტად მოხდენილი და მუსიკალურია, მდი-  
დარი დახვეწილი რითმებით და მშვენიერი პოეტური შედარებებით... ენა მისი  
უაღრესად განვითარებულია, პოეტური აღმადრენა მისი გამაცვიფრებელია“. ბო-  
ლოს კეკელიძეს შესადაარებლად მოჰყავს ექვს-ექვსი ნიმუში ერთი ნხრით „მა-  
რამ გურიანიდან“, მეორე ნხრით „ვეფხისტყაოსანიდან“. ჩვენ მოვიყვანთ აქ  
მხოლოდ პირველს მათ შორის:

**მარამ-გურიანი.**

სიტყვა: სოფელო, რას მიუტყრობ  
კაცსა შენგან განაწირსა  
სისხლის სმა გვირს კაცთა გვართა  
რაცა ფის სჭირს შენგან სჭირსა.

**ვეფხისტყაოსანი**

ეპა, სოფელო, რაშიგან ხარ,  
რას გვაბრუნებ, რა ზნე გვირისა!  
ყოვლინც შენი მონდობილი  
ნიადაგმცა ჩემებრ სტერსა;  
სად წაიყვან სადაღურსა,  
სად აღუფხვრი სადით ძირსა,  
მაგრა ღმერთი არ გასწირავს  
კაცსა შენგან განაწირსა.

მართლა რომ შესაძლებელი იყოს ენის მოტება, მარცხნივ მოყვანილი „ლექ-  
სი“ უეჭველად მოსტებდა ადამიანს ენას უკანასკნელ სტრიქონში სამი ჭ ალი-  
ტერაცია არ გიგონოთ, ეს უფრო გომორში დამწყვედებული სამი დამშეული გო-  
ჭის ჭყვილია, ვიდრე ალიტერაცია. სხვათა შორის ციციშვილი სიტყვის გამეო-  
რებაშიაც ჰბაძავს რუსთაველს. დანარჩენი ზედიზედ ნიმუშები ასეთია; ციციშვილის  
სტრიქონები ისე გაჩერებულან კ. კეკელიძის წიგნის ფურცელზე რუსთაველის  
სტრიქონების პირდაპირ, როგორც ფრთამოტეხილი ბატები ყურებდაცქვეტილი  
შეელის ნუჯრების წინაშე. მაგრამ მკვლევარი მაინც შემდეგს დაასკვნის: „საყუ-  
რადღებო ისაა, რომ ეს მზგავსება არაა უბნში და ტლანჭი მიბაძვა, როგორც  
ამას სხვა ნაწერებში აქვს ადგილი, არამედ ზუნებრივი პოეტური ნიჭის მეოხე-  
ბით პირდაპირ ორიგინალობას ებჯინება“. ჭალაღდი ყველაფერს აიტანს, რაც  
არ ზნდა დაბეჭდოთ ზედა, და ეს ამონაწერიც მოთმინებით აღტანია მას.

შემდეგ კ. კეკელიძეს მოჰყავს ერთი ტაევი, სადაც ჩამოთვლილია სხვადა  
სხვა სამკსიკო ინსტრუმენტები. გაიხსენეთ რუსთაველის მიერ საგნების ჩამოთვ-  
ლა და წაიკითხეთ შემდეგ ეს ტაევი:

მუტრბთა მორთეს საკრავნი, ტურფად სასმენი ყურისა:  
ჩანგი, ჯდი და ქამანჩა, შუთურყე ხმა სანთურისა,  
ჩოგური, მულნი, ჩართარი, მის ყალი ნაი მსურისა,  
ყანონი, სურნა, ბალაბ:ნი, დაფთა ხმა სპილენძ-ჭურისა.





ეს არის რაღაც მარბაროსული კონცერტი ერთმანეთთან დაკრული მუყობელი ხმების<sup>1)</sup>. ამის დამწერს არა სკოდნაია, რომ არ შეიძლება ტაეპი საგნების სიად გადავაქციოთ, სადაც ერთად ერთ საზრუნავს ის შეადგენს, რომ არაფერი დარჩეს შიგ ჩაუწერელი. „მარამ-გურიანი“ გამოუცემელია და საერთოდ მის შესახებ ვერას ვიტყვი, მაგრამ არა გეჯერა, რომ ის მთლად ასე ცუდად იყოს ნათარგმნი, როგორც ამას პროფ. კეკელიძის მიერ მოყვანილი ნიმუშებზე გვაუჩიქებინებს. პრ. კეკელიძეს მხოლოდ ერთი შედარებით გვარიანი ტაეპი მოაყვას ამ პოეზიიდან, მაგრამ მასაც ბევრი დეფექტები აქვს. იმ ეს ტაეპი:

გარდებვიენეს ერთმანეთსა, ყვა ქალსა და ქალი ყმასა,  
ვარდნი ერთად შეაწებნეს, აპირებდეს ლბინთა ზმასა,  
მის ყმისავე შესაპყრობლად ყელს ახვევდა გიშრის თმისა,  
წამწმით გული მოელახვრნეს, უპირობდა სისხლის ღვრასა.

ამ ტაეპის პირველი სტრიქონი კარგია იმდენად, რამდენადაც ის თითქმის უცვლელად „ვეფხის ტყაოსანიდან“ არის ამოწერილი. მეორე სტრიქონში არ ვარგა „აპირებდეს ლბინთა ზმასა“, ვინაიდან ეს თქმა ანელებს ქალ-ვაჟის ვნების იმ ინტენსიურობას, რომელსაც გარდახვევინის დროს უმალღესი წერტილისათვის უნდა მიეღწია. მესამე სტრიქონში ცუდია „მის ყმისავე“, თითქოს სხვა რომელიმე ყოფილიყოს კიდევ იქ. მეოთხეში—შემოკლებული „წამწმით“ და ისევ „უპირობდა“. გარდა ამისა, მთლიანად აღებული ტაეპის სისუსტე გამოიხატება იმაში, რომ მას აკლია გავსილობა, მისი შინაარსი საკმარისია მხოლოდ ორი სტრიქონისათვის; ხოლო თუ ეს შინაარსი მაინც მთელ ტაეპში იქნება მოქცეული, მაშინ სურათი ისე უნდა იყოს გაშლილი, რომ ვნება თანდათან იზრდებოდეს და ყოველ შემდეგ სტრიქონს თემის განვითარებისათვის რაიმე ახალი მოქონდეს, აქ კი ამას ვერ ვხედავთ. ეს ტაეპი სასებით ააშკარავებს იმას, რომ ციციშვილს არავითარ შემთხვევაში უნაკლულო ტაეპის დაწერა არ შესძლებია. ეს ტაეპი რუსთაველის მეორე ხარისხოვან ტაეპებსაც კი ვერ ამოუდგება გვერდში. მაშ, როგორც ვხედავთ, არ ყოფილა მართალი კ. კეკელიძის სიტყვები: „კატეგორიულად უნდა ვთქვათ, რომ აღორძინების ხანაში არა ერთხ და ორი მარგალიტი შეიძლება მოიძებნოს „ვეფხის ტყაოსანის“, ყოველ შემთხვევაში პროლოგის, შესატყვისის“.

„ვეფხის ტყაოსანზე“ გამოკვლევა აქვს დაწერილი აგრეთვე პავლე ინგოროსაც, მაგრამ ეს მისი ნაშრომი ჯერ დაბეჭდილი არ არის და ამიტომ მის შესახებ ვერას ვიტყვი. რამდენადაც ვიცი, პატივცემულ მკვლევარს მიუკცევია სხვათა შორის, ყურადღება ილიტერატურისათვის რუსთაველის ლექსში. პავლე ინგოროსკა ქართული პროსოდის მცოდნეა და პოეზიის კარგი დამფასებელი. მას რომ მთელი თავისი დაკვირვება ამ ზნით მიემართნა, გაცილებით მეტ შედეგებს მიიღებდა, ვიდრე ფილოლოგიური კვლევა-ძიებით.

აქვე უნდა შევეხეთ იმ შესწორებებს, რომელიც მკვლევარებმა „ვეფხას

<sup>1)</sup> გვარიანია მხოლოდ პირველი სტრიქონი და მეორე სტრიქონის პირველი ნახევარი.

ტყაოსანში“ მოახდინეს ტექსტის აღდგენის მიზნით). არ არის უცუვე იმაში, რომ აქა იქ ჩვენი პოემის სტრიქონები არ იწება ჩვენამდე მოღწეულ შთაღამ სახით, როგორც მათ რუსთაველის ხელით დაწერილ ტექსტში ჰქონდათ. ვადაწერების უნებლიეთი შეცდომა უეჭველად შესცვლიდა ზოგიერთ სიტყვებს და შეიძლება მთელ გამოთქმებსაც „ვეფხისტყაოსანში“. მაგრამ ტექსტის აღმდგენელს ჰმართებს უდადეგი სიფრთხილე. არ კმარა რუსთაველის სტრიქონის კარგად გასწორება ამა თუ იმ შემთხვევაში. კარგად გასწორება, ესე იგი სტრიქონის გაუმჯობესება, არ ნიშნავს სიმართლის აღდგენას. ამ გასწორების დროს გამოყენებული უნდა იქნეს, როგორც მთავარი იარაღი, რუსთაველის ლექსის ნიშანდობლივი თვისებები—ალიტერაცია, ასონანსი და ლიტყვის გამეორება. გარდა ამისა, შეკლევარმა არამც და არამც ნება არ უნდა მისცეს თავის თავს „ვეფხისტყაოსანში“ შეიტანოს ისეთი სიტყვა, რომელიც სხვაგან რუსთაველს არ უხმარნია.

განვიხილოთ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის აღდგენის ცდა ზოგიერთი მკვლევარების მიერ. რუსთაველს აქვს ნათქვამი: „სთმობდეს გაყრისა თმობასა“. ნ. მარმა ეს უაზროდ მიიჩნია და ასე შეასწორა: „სთმობდეს გაყრისა ღმობასა“. ეს შესწორება ჩვენ სრულიად მიუღებლად მიგვაჩნია შემდეგი მოსაზრებით: 1) აქ ადგილი აქვს რუსთაველის მიერ სიტყვის ტიპიურ გამეორებას—„სთმობდეს... თმობასა“, 2) არასოდეს რუსთაველი არ იხმარდა სიტყვა „ღმობას“, სადაც ბგერა ლ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ბგერა არის, ისე, რომ სადმე ახლოს არ ეხმარნა მეორე სიტყვა ასეთივე ბგერით; აი რუსთაველის სტრიქონები სადაც მას ეს სიტყვა უხმარნია: „ენა დაშრების გაცვდების, გულსა შეელმის ღმობილსა“, „მუნ შემწყალოს თქვენავე გულმან მოწყალე—მღმობელმან“. ჩვენ ერთხელ და სამუდამოდ უნდა დავიხსოვოთ, რომ რუსთაველი ზოგან სტრიქონის ანსტრუქტურის მიზნით ლაბატობს აზრის ვარკვეულობას.

პროლოგის სტრიქონები:

მას არა ვიცი შეგკადრო შესხმა ხობისა ხშირისა,

მისთა მჭერტელთა ყანდისა მირთმა ჰმანს მართ მშერისა,—

შემდეგი რეაქციით მიიღეს ზოგიერთმა მკვლევარებმა:

მას არა ვიცი შეგკადრო შესხმა ხობისა შერისა,

მისთა მჭერტელთა ყანდისა მირთმა ჰმანს მართ მშერისა.

უკანასკნელი სტრიქონი გაცილებით უკეთესია მეორე რეაქციით, ვიდრე პირველით; მაგრამ არც „შერისა“ და არც „მშერისა“ სწორედ არ უნდა იყოს შემდეგი მოსაზრებით, რომელიც ჩვენ სრულიად უდაოდ მიგვაჩნია: რუსთაველი შეყვარებულია სიტყვაში, ლამაზი სიტყვა მას ყველაფერს ურჩევნია; სიტყვები შერი და მშერი მეტად მოზღენილი, მეტად მუსიკალურია თავისი ბგერებით და ისინი რომ რუსთაველის ლექსიკონიდან იყვნენ, თითო მათგანი, სულ

1) პოემის გვირგვინი ტექსტის ასეთი შესწორებები უბეტეს შემთხვევაში ხდება მისი იშვიათი ვარიანტების მიხედვით.



უკანასკნელი, ათჯერ მაინც იქნება ნახშირი მთელი პოემის ქვეყნულ-მაგრიან ნამდვილად კი არსად სხვაგან „ვეფხისტყაოსანში“ არა გენგვეტინი/ქართულში და ეპილოგში კი არ არის არცერთი სიტყვა, გარდა საკუთარი სახელებისა, რომელიც თვითონ პოემაში ნახშირი არ იყოს რამდენჯერმე).

არ მოსწონს მკვლევარებს მინა სტრიქონში: „მელნად ვიხმარე გიშრის ტბა და კალამად მინა რხეული“ ამ სტრიქონში გვაქვს სხვათა შორის ალიტერაცია „მელნად ვიხმარე... შინა“ და ასონანსი „ვიხმარე... შინა“, აკად. ნ. მარშა ეს სტრიქონი წარმოგვიდგინა შემდეგი რედაქციით: „მელნად ვიხმარე გიშრის ტბა და კალამად ნაი (ლერწამი) რხეული“, ამ ერთი პატარა სიტყვის გამოცვლამ სრული დეზორგანიზაცია შეიტანა რუსთაველის სტრიქონის ბგერათა დალაგებაში (ამოვარდა მ და ადგილები შეეცვალათ ა-ს და ბ-ს), რაც ყოვლად დაუშვებელია. იგივე სტრიქონი ი. აბულაძემ შემდეგი სახით წარმოგვიდგინა: „მელნად ვიხმარე გიშრის ტბა და კალამად მე ნა რხეული“ (ნა—იგივე ლერწამი); ეს გასწორება, როგორც ზევით შევნიშნეთ, თითქმის ყველა მკვლევარებმა მათ შორის თვითონ ნ. მარშა, გაიზიარეს. მართალია ეს რედაქცია თითქმის ხელუხლებლად სტოვებს სტრიქონში რუსთაველის ბგერათა შენაშენებას, მაგრამ ის იმდენად უაზროა, რომ ჩვენ პირდაპირ გაცილებული ვრჩებით იმ ერთსულოვნობით, რომელსაც მკვლევარები მის დაკანონებაში იჩენენ. თუ ეს ყველას მიერ ათვალწუნებული მინა აუცილებლად უნდა ამოვარდეს ამ სტრიქონიდან, მაშინ მის ნაცვლად ჩვენ შეგვიძლია ჩავსვათ რომელი ორმარცვლოვანი სიტყვაც გნებავთ—ნაი, ნაძვი, ნალი—ზოლოდ „მე ნა“ კი არავითარ შემთხვევაში მართლაც. რა შუაშია ასეთ ადგილას ნაცვალსახელი „მე“, სადა აქვს შემასმენელი ამ სტრიქონში მეორე წინადადებას „და კალამად მე ნა რხეული“? კავშირი „და“ ხამ სრულიად შეუძლებელია ხდის ვიგულისხმვით აქ პირველი წინადადების შემასმენელი ვიხმარე. ეს შეუსაბამობა არა სჩანს კიდევ საცხებოდ ლექსში, მაგრამ უბრალოდ რომ ითქვას, აი ამის მაგვარი ფრაზები: „ლექსის წერის დროს ვიხმარე მელანი და მე კალამი“, ან—„წყალი დავლაე და მე ლინო“. ეს გაცილებით უარესია, ვიდრე რევაზ ერისთავის (კაზლოვის „შეშლილის“ მთარგმნელის) „ფეხი გავიქნიე ხელი“ (ილია ჭავჭავაძის სიტყვები). ასეთი წინადადებები რუსთაველს არა სჩვევია. გარდა ამისა ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ სიტყვა „ნა“-ს სხვაგან „ვეფხისტყაოსანში“ ჩვენ ვერსად ვერ შევხებით<sup>2)</sup>, მაშინ როდესაც რუსთაველს ისე სჭირდება ზოლზე ერთმარცვლოვანი სიტყვა, რომ მისი გულისთვის ლამის ყელი გამოიჭრას,—„ნა“ რომ იმის ლექსიკონში ყოფილიყო, ის ძალიან ხშირად

<sup>1)</sup> სხვათა შორის, პროლოგში სიტყვები კ უ შ ტ ი და ქ უ შ ი ალიტერაციისა და ასონანსისთვის ერთ სტრიქონშია ნახშირი, თვითონ კ ვ ე მ შ ი აც არის ორი სტრიქონი, სადაც ორივეს სიტყვა ნახშირი ერთად:

1. ქალი დაუჯდა კ უ შ ტ ლეარად, ქ უ შ ბ ს ჯერ არ დამტკნარია.

2. ქ უ შ ქ უ შ ი დ გვეუბნებოდა, კ უ შ ტ ი, თავისა მკრძალავი.

<sup>3)</sup> ი. აბულაძეს აქვს შედარებით სხვათა შორის, მცენარეულობათა სახეობებელი „300-მის ტაოსანიისთვის“ სადაც ნ ა ნაჩვენებია ზოლოდ ამ სტრიქონში.

იხმარდა ამ სიტყვას. სამაგიეროდ შინა იმდენჯერ არის „ვეფხისტყაოსნის“ ნახმარი, რომ დათვლა გაძნელებდა.

არსად გვხვდება მთელ პოემაში აგრეთვე სიტყვა დაბა, რომელიც ნ. მარის აზრით უნდა იყოს სტრიქონში „ვეწერ ვინმე შესხი“... დაბის ნაცვლად. სამაგიეროდ ზემოთ განხილულ ჰეგდა სართლის ტაეებში, რომლებიც ჩვენ რუსთაველის მიერ დაწერილიდ მიგვაჩნია, არის ერთი სტრიქონი: „ეამ ერთ ვაუწვით გოველი სოფლისა უბან დაბანი“<sup>1)</sup>, სადაც დაბანი შეერულია წინა სიტყვასთან სწორედ იმ ბგერის (ზ-ს) ალიტერაციით, რომლითაც დაბა და დაბა ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. ცხადია, რუსთაველი ხმარობდა პირველს და არა მეორეს.

ნ. მარს ეკუთვნის კიდევ ერთი ყოველად შეუწყნარებელი გადაკეთება. რუსთაველის ასეთნაირი მუცადურობით გაშლილი სტრიქონი: „აწ ენა მინდა გამოთქმად გული და ხელოვნება“, ნ. მარმა შემდეგი სახით წარმოგვიდგინა: „აწ ენა მინდა გამოთქმად მე, გული და ხელოვნება“<sup>1)</sup>, სადაც, გარდა იმისა რომ სტრიქონის კომპოზიცია უკიდურეს დამახინჯებამდე მიყვანილი, იმგვარადვე უადგილო ადგილას ჩასმულ „მე“-ს აქვს ადგილი, როგორც ზემოთ განხილულ სტრიქონში.

ვარგია ნ. მარის „სარატანისა“ „საროს ტანის“ ნაცვლად, მაგრამ არა გვაქვს არავითარი საბუთი ვიფიქროთ, რომ რუსთაველს ასე ექნებოდა ეს ადგილი.

საერთოდ უნდა ითქვას, რუსთაველის ტაეა და სტრიქონი ისეა ჩამოხმული, რომ, არა თუ სხვისთვის, თვითონ რუსთაველისთვის იყო ძალიან ძნელი მათში რაიმე ცვლილების შეტანა. როდესაც მას არ მოსწონდა სტრიქონი ან მთელი ტაეა, ის რადიკალურად ახდენდა გადასწორებას, რის შემდეგ ტაეის წინანდელი რითმაც კი იცვლებოდა თითქმის ყველგან.

„ვეფხის ტყაოსანის“ სიტყვებში შეიძლება აქა იქ ცვლილებების შეტანის გაზედვა, მაგრამ ყველგან მხედველობაში უნდა გვქონდეს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბგერების შეთანხმება და სიტყვის გამეორება.

ალიტერაციის საშუალებით შეიძლება რუსთაველის მართლწერის აღდგენა. მაგრამ ამასთანავე ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ რუსთაველი ერთსა და იმავე სიტყვის სხვადასხვანაირად სწერს იმისდა მიხედვით, თუ ფონეტიკურად რა დროს რა ფორმა ღერო მისაღებია მისთვის. ყოველად დაუშვებელია ჩვენის აზრით ზ-ს განდევა ზოგიერთი სიტყვებიდან, როგორც ეს ს. კაკაბაძის გამოცემაშია, და სიტყვა ქმნაში მ—ს გამოტოვება, სადაც ეს ბგერები ალიტერაციის წარმოადგენენ, მაგრამ არის ზოლმე ისეთი იშვიათი შემთხვევა სადაც რუსთაველი მართლაც გამოსტოვებდა ქმნაში მ—ს, მაგალითად: „სავაქროდა მოვეკაზმი საქმესა ვიქ შე მუხთალსა“ (ს. კაკაბაძის გამოცემა 1349—3), აქ ყოველად შეუძლებელია, რომ რუსთაველს ჰქონოდა „საქმესა ვიქმ მე მუხთალსა“. თუმცა სხვა გამოცემებში ეს სტრიქონი ასე იკითხება: „სავაქროდა მოვეკაზმი

<sup>1)</sup> Н. Марр „Тексты и розыскания по армяно-грузинской филологии“, გვ. 36-



ვიქმ საქმესა მე მუხთაღსა, აქ შეიძლება ამ სიტყვაში დარჩეს „მე“ წინის აზრით პირველი რედაქცია უკეთესია და უპირატესობაც მას უნდა: მტკიცესა.

რა კი ისევ ბგერებზე ჩამოვარდა სიტყვა, ჩვენ აღენიშნავთ აქვე ერთ მეტად საყურადღებო ამბავს. რუსთაველის გატაცება ბგერების შეთანხმებით იქამდე მიდის, რომ „ვეფხისტყაოსანში“ მოხსენებული თითქმის ყველა პირების სახელები ალიტერაციით და ასონანსებით არის შეკრული სტრიქონის დანარჩენ სიტყვებთან. აქაც, ისე როგორც რიცხვების ხმარების დროს, რუსთაველი ხან სიტყვებს ათანხმებს სახელებთან, ხან სახელებს (თუ ისინი უწინშენელო პირებს ეკუთვნის) სხვა სიტყვებთან. განვიხილოთ ამ მხრით ჯერ პროლოგი და ეპილოგი. ავიღოთ სახელები თამარი, დავითი, მესხი და რუსთველი. ჯერ პირველი ორი სადაც არის ბგერა თ მაგრამ არ არის ლ: თამარს ვაქებდეთ შეფესა“... „ქართულთა ლეთისა დავითისა“... „დავითის ქნანი ვითა ვთქვენ“, არსად ამ სიტყვებში არა გვხვდება ქართულ ენაში საკმაოდ ხშირი ბგერა ლ, გარდა ერთი სიტყვისა („ქართულთა“), სამაგიეროთ აქ ცხრაჯერ მეორდება ბგერა თ. ეხლა ავიღოთ იმ სამი სტრიქონის პირველი ნახევრები, სადაც ნახსენებია რუსთველი: „დავსჯე რუსთველმან გავლექსე“... „მე რუსთველი ხელობითა“... „ტარიელ მისსა რუსთველსა“, — აქ კი ლ ყველგან არის დაწყვილებული და სულ გვხვდება ექვსჯერ. მესხის შესახებ ჩვენ უკვე ვიცით: „ესწერ ვინმე მესხი შეეღებე მე რუსთველისად ამისა“<sup>1)</sup>. ეხლა თვითონ პოემაში. გადავდოთ ჯერ სამი მთავარი გმირის (ტარიელი, ავთანდილი, ფრიდონი) სახელი და ვნახოთ თუ რა სიტყვებთან ერთად არიან დასახელებული პირველად ზოგიერთი მეორე და მესამე ხარისხოვანი პირები. 1) „იყო არაბეთს როსტევენი“... როსტევენის შესახებ გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ეს სახელი პირდაპირ დაკავშირებულია სიტყვა არაბეთთან რს მეოხებით. 2) სოგრატ პირველად ქვედა სართულის ტაყებში გვხვდება: ვაზირი ბერა სოგრატა“...<sup>2)</sup>, მიღებულ ტექსტში კი ეს სახელი პირველად შემდეგ სტრიქონში გაისმის: „ვაზირი სოგრატ—მოახლე შეფისა დასთა დასისა“. უეჭველად—სიტყვა რომელთანაც შეწყობილია თავდაპირველად სოგრატ არის ვაზირი. 3) შერმადინ: „ერთთა შენი შერმადინ“... 4) ფარსადანი<sup>3)</sup> „ექვსი ხაშეფო ფარსადანს“... 5) სარიდან: „ხარიდან ერქვა სახელად მტერთა ხრვად დაუფარავი“. 6) დავარ: „დავარ იყო და შეფისა“, ამ სახელის შესახებ არ არის არავითარი ეჭვი, რომ ის „და“-სთან არის დაკავშირებული, ისე როგორც უეჭველია შემდეგი ორი სახელის პირდაპირი კავშირი სიტყვა „უზუცეს“-თან. 7) უსამი: „უსამ იყო ქარაენისა უზუცესი, კაცი ბრძენი“. 8) უსენი: „მე ვარ მებაღე უსენის, ვაქართა უზუცესისა“. 9) ფატმა ხათუნი: აქ

1) ამ სტრიქონს თუ ასეთი რედაქციით მივიღებთ, მაშინ აქაც იგივე ლ-ა ალიტერაციით იქნება: „მელექსე მე რუსთველისად“.

2) ს და ზ მზავის ბგერებია (სოგრატა—ზოგრატი).

3) გამოდგოვით ახმათი, ამ სახელს სტრიქონში სადაც ის პირველად გვხვდება, არა აქვს მიუხედავად ალიტერაცია.

უკველად ეპიტეტი ხათუნი შერჩეულია სახელთან ფაშმანი ხაზგასმული ბგერების მიხედვით. 10) დილარდუხტ: დულარდუხტ არის დილარდუხტ-კლდე ვითა ლოდაა“. 11) როდია იმავე ტაქტში, სადაც ნახსენებია დილარდუხტ-გამოგონილია რითმისათვის, შეიძვე ამ სახელთან შეწყობილია მეორე ვაგის სახელი „როსან და ერთი როდია“. 12) რამაზ: „მოწყრა: რამაზ მეფე“... 13) პლატონი: „...პლატონისგან სწავლა — აქქულსა“. 13) ბორიო (ქარის სახელი): „ნარგისთათ იძკრის ბორიო ვარდსა ზრავს იანვარია“ (ყველა სიტყვებში რ). 14) დიენოს: „ბრძენი დიენოს გააცხადებს“... 15) დიონოსი: „დიონოსი ბრძენი ეზრის“. 16) კრონოს: „კრონოს წყრომით შემხედველნი...“ 17) ლევი: ნაზმარია რითმისათვის. 18) მელიქ სურხავი: „მელიქ სურხავი ხელმწიფობს...“

ესლა გადავიდეთ მთავარ გმირების სახელებზე. როგორც ზევით შევნიშნეთ, იმ სტრიქონებში, სადაც ტარიელია ნახსენები, ძალიან ბევრგან შეგხვდებოდ ბგერა ტ: ტარიელი ტურფა, ტარიელი ტირის, ტარიელი ეტყვის, ტარიელს ტყავი აცვია ვეფხის. აი, მაგალითად, ორა სტრიქონი. სადაც ტარიელია ნახსენები:

ტარიელ შავსა ზედან ზის ტანითა მით წერწყითთა,  
დალიენეს მტერნი ომითა, ვითა მჭერეტელნი ჭკრეტითა!

იმ სტრიქონებში, სადაც ავთანდილია ნახსენები, ხშირად მეორდება ბგერები ვ, თ, ნ, დ, ლ. ორგან არის ნათქვამი: შეჭურფინვიდიან ავთანდილს“. „ავთანდილ და ლომი ფრიდონ...“, აქ ლომი, როგორც ეპიტეტი, ფრიდონს ეკუთვნის, ხოლო ნამდვილად კი ავთანდილის გამოა ნაზმარი ლ-ს გამეორების მიზნით.

ფრიდონსაც თავისი შესაფერა სიტყვები ახვევია ვარშემო: „ფრიდონა — ნადრობა — მინდორი!“.

მოვიყვანთ აქ ე იმის უტყუარ საბუთს, რომ რუსთაველის შემოქმედების ძარითადი ქარვა არის ბგერების შეხამება. ი. აბულაძეს თავის წიგნში „მე XII-ე საუკუნის საერო მწერლობა და „ვეფხისტყაოსანი“ მოყვანილი აქვს პოემაში ნ. ხმარი სხვადასხვა არსებითი სახელების საჩვენებელი. ჩვენ შეგვიძლია თითქმის შე-შედარად ვსთქვათ საჩვენებელში მოყვანილი სიტყვების მიხედვით თუ რა თანხმოვანი ბგერება იქნება გამოვარდული იმ სტრიქონებში, სადაც ის სიტყვებია ხმარებული. ავიღოთ რამოდენიმე ჯგუფიდან ოთხი პირველი სიტყვა, გავუსვავთ მათში ხაზი დამახასიათებელ თანხმოვანს და შემდეგ მოვანახოთ სტრიქონი ი. აბულაძის მიერ იქვე ნაჩვენები ციფრის საშუალებით. ცხოველები: 1) ა ა ვ ა ზ ა 415, 1089\*, ამ სიტყვის დამახასიათებელი ბგერა არის ზ, აბა ვნახოთ ორივე აღნიშნული ტაქტი (415, 1089\*, აბულაძის გამოცემით): „შევეკაზმე, დარბაზა

1) ნადრობა „ე ფხის ტყაოსანში“ ყოველთვის ხდება მინდორზე და არა ველზე; სამაგონოთ ხელად გაჭრილი ყოველთვის დარბის ველად და არა მინდორად. აინს ერთად ერთი მიწები ბგერებ ი უნდა ვეძიოთ.



წიელი, დამხედა ჯარი ავაზისა<sup>1)</sup>“, „ვეფხი-აეზა პირქუშიდ ზანქუშქუშქუ ვერ უკრძენითა“. 2) „აზავერი, 405“—აქაც იგივე ბგერა ზ (ჭღმს რსს) გნძორებ-ბს არა აქვს დიდი დამაჯერებლობა, ვინაიდან ეს ბგერები ისედაც ხშირად გვხვდებიან ქართულში: „ვერ შოვეყავ აქლემითა აზავრები ვაზავრე<sup>2)</sup>“ 3) „არწივი, 188“,—ბგერა წ: „ეთთა კაკები არწივისა ქვეშე, მიდამო ძრწებოდა.“<sup>3)</sup> 4) „ასპიტრი 1161“—ამ სიტყვაში მნიშვნელოვანი და იშვიათია ორი ბგერა პ და ტ. ალიტარაციას ან ორივე ან ერთი მათგანი უნდა წარმოადგენდეს: „ეთთა ასპიტრი მჭერეტელთა მისთა თვალითა მლაღაივი“. მცენ-ნარეფლობა. გამოვტოვით ამ ჯგუფში ორი პირველი სიტყვა—ალვა და ვარდი,—ვინაიდან მათ შესაბამე ლაპარაკიც კი ზედმეტია—მათი ბგერების (ლ, ვ, რ, დ) გამოვრება რუსთაველს უმკვილად ექნება (აქვს კიდევაც), რადგან ისინი ძალიან ხშირად გვხვდებიან ქართულში. ავიღოთ შემდეგი ოთხი სიტყვა სინტერესო თანხმოვანი ბგერებით (აქაც გამოვტოვით ია, სადაც თანხმოვანი არ არის): 1) „ვერხვი, 102“—ხ: ვითა ვერხვი ჭირისაგან, ირხვეს და იკეცების“. 2) „ეკალი, 626“—კ,—აბულაძის გამოცემაში სწერია: „ვარდი დამკნარი ეკალსი შვა შორს—მყოფი ახ ისა!“ ყოვლად შეუძლებელია, რომ სტრიქონის ხაზგასმულ სიტყვაში კ არ იყოს,—მართლაც ს კაკაბაძის გამოცემით ვკიოხულობთ: „ვარდი დამკნარი ეკალსა შვა შორს მყოფა ახ ისა!“<sup>4)</sup> 3) „ზაფრანა 302“,—ზ და ფ (ან ერთი რომელიმე): „ზაფრანის ფერად შესცვალა ბროლი ცრემლისა ბანამან“ (ამავე სტრიქონში: რ-რ-რ-რ, ც-ც, ბ-ბ). 4) „კიტრი, 723“,—კ ან ტ (უფრო კ): „მე იგი ვარ, ვან სოფელსა მოპკრეთს კიტრსა არა ბერად“. ლითონები. 1) „ალმასი, 272, 286“<sup>5)</sup> ლ, მ, ს: „აღმასისა ხამს დახვარი დახვარად გულისა საღისა“. 2) „აყიყი, 1076“—ყ (ეს ბგერა უმკვილად უნდა იქნეს გამოვრებული); „შვა ძოწისა და აყიყსა სკვირს მარგალიტი ტყუბები“ (აგრეთვე—ტ-ტ), 3) „ბალახში, III, V“: „ლაწე-ბალახში-გიშე-რისა, ზ ბროლ-ბაღახშისა ძლიღისა“... 4) „ბროლი 101“: „ბროლი და და-ღი გასრულ-ვარ“... (რუსთაველი ბ-ს გამოვრების მაზნით ერთად ზმარობს ხშირად ბროლი—ბალახში.) ვარსკვლავთ-მრიცხველობა. 1) „აბველი, 1338“: „ნახეს მზისა შესაყრელად გამოეშვა მთვარე გველსა“. 2) „ეთერი, 241, 360“ ამ სიტყვაში მთავარი ბგერა არის თ (რ-ზე კი არ არის საჭირო ლაპარაკი—ის უფლად იქნება): „აჲ გამოგზავნა, რომელსა ვერ მზე სკობს ვერ ეთერია“—აჲ არ შეორდება თ წინააღმდეგ ჩენი მოლოდინისა, სამაგიეროთ იი მეორე ნიმუ-

1) ამ სტრიქონის შემთხვევაში სტრიქონში არა გვხვდება ეს ბგერა სრულებით!

2) შერეე სიტყვა ამ ჯგუფში—გავაზი, 171: „ვითა გავაზი გაფრინდა არ გაშვებული ხე-ლითა“.

3) არც წინა ორ ტაბში, არც მომდევნოში ეს ბგერა არ იხიბს სრულებით.

4) ეს არის იმის ნიშნუში თუ როგორ უნდა იქნას აღდგენილი ალიტარაციის საშუალებით რუსთაველის მართლწერა.

5) პირველი ტაბი (272) შეცდომით არის ნაწვენები, ამავე მიზეზით უნდა გამოვტოვოთ შემდეგი სიტყვა ასპიტრი, ვინაიდან ის ი. აბულაძის მიერ ნაწვენებ მც-21-ე ტაბში არ არის ნახ-მარი.



ში (360)—„ჩემად ჩნდა იგი სინათლე ეთერით მზედ ნაჩინისაჲ, შემფრქვალ-  
ბოგდანოვის მოძღვრების მიხედვით, როგორც ვიცით, ობექტური სამყარო ქაოსს წარმოადგენს, რომელიც „არ იცნობს კანონებს“, არ იცნობს „კანონზომილ მოვლენებს“, არ იცნობს ადამიანის შრომისაგან დამოუქიდებელ მიზნობრივობას, არ ემორჩილება „აუცილებლობას“. ეს უქუნეთა „ქაოსი“ „აწესრიგებს“ ადამიანის „შეგნებას“, რომელიც „თავის ფორმებს საბოლოოდ სოციალურ პრაქტიკიდან სესხულობს“. ამ უკანასკნელმა აზრმა მკითხველ-მატერიალისტს თვალი არ უნდა აუხვიოს. ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ ბოგდანოვი რაოდენადმე მაინც სცნობს მატერიალისტურ შეხედულებას არსობის პირვანდელობაზე: იგი ბოგდანოვის მოძღვრების „სოციომორფიზმის“ მთავარ დასკვნას წარმოადგენს; ეს მოძღვრება ისეთსავე იდეალისტურ შეხედულებაში გამოიხატება, როგორც მთელი მისი მოძღვრება.

ბოგდანოვი ამბობს: „აზროვნებას ჩანსახთა განვითარების საქმეში მათე სისტემატიზაციის პირველი ნაბიჯი ძირითადი მეტაფორა იყო, რომელიც ადამიანის მოქმედებათა მზგაკხად გარეშე ბუნების მოვლენებს წარმოადგენდა. ეს იყო პირვანდელი სოციომორფიზმი, რამაც ცდის ორგანიზაციამქნელ აზრის არეს დაუსრულებელ გაფართოებისათვის გზა გაუხსნა“ („Фил. жив. опыта“, გვ. 241). პირველი „მეტაფორები“ ის სიტყვებია, რომელნიც ადამიანის აზროვნების განვითარებას აღნიშნავენ და ადამიანის მოქმედებათა კანონების ბუნებაზე გადატანის პირველ ცდის წარმოადგენდენ.





ცხადზე-უცხადესია, რომ ასეთ კავშირს დამყარებასა და გვიანდელმა ტერ-  
რიალიტურ ფორმულის რაიმე გამოყენებაზე ლაპარაკი კი არ შეეძლება. თა-  
ვის შემდგომი განვითარების დროს, პირველ „მეტაფორიდან“ რთულ სისტემე-  
ბამდე, იდეოლოგია სპეციალურ ამოცანას ისახავდა: ბუნებაში კანონზომიერება  
შეერთება და ეს დაუსრულებელი ქაოსი მოეწესრიგებინა.

ბოგდანოვის მოძღვრების მიხედვით ყოველ ეკონომიურ ფორმაციას ახა-  
სიათებს „სახოვადობრივი-წრომის პროცესის განსაკუთრებული პრაქტიკული  
კავშირი“; ასეთი კავშირი თავისებურად სრულიად ბუნებრივად მოქმედებს იმა-  
ზე, თუ რანაირად წარმოგვიდგება ეგრეთ წოდებული „ობიექტიური სამყარო“  
ე. ი. მოქმედებს იმ კანონებსა და კანონზომიერებაზე, ურომლისოდაც წარმოუდ-  
გენელია არამც თუ რაიმე ორგანიზაცია, არამედ რაიმე პრაქტიკაც კი. მიგრამ  
რადგანიც ყოველ „აზროვნების სისტემაში“ მიზეზობრივობა „ძირითად პრინ-  
ციპსა“ და „მომწესრიგებელ საფუძველს“ წარმოადგენს, ამიტომ ცხადია, ზემოდ  
მოხსენებულ „კავშირის“ ძირითადი ცვლილება ახალ მიზეზობრივი კავში-  
რის შემუშავებას იწვევს, რაც ახალ მსოფლმხედველობის, — ახალ კლასის  
მსოფლმხედველობის, — დამახასიათებელია. ამგვარად სრულიად აშკარაა, რომ  
კლასობრივ კულტურათა შეცვლა ბოლოსა და ბოლოს იმით გამოიხატება,  
რომ იდეოლოგიით „ორგანიზაციაქმნილი“ წარმოება, ან უკეთესად და  
უფრო სწორედ რომ ვთქვათ, მის საფუძველზე მოქცეული ტექნიკა თა-  
ვის განვითარების დროს ახალ „წრომის კავშირებს“ ჰქმნის. საცა ახალი  
კავშირებია იქ „ახალი ლოლიკა“, ხოლო ახალი ლოლიკა ძველისაგან პირველ  
ყოფლისა მიზეზობრივი კავშირის სქემით განსხვავდება; მიზეზობრივი კავშირის  
ცვლილება კანონზომიერებათა მთელი ჯამის შეცვლას იწვევს იმ კანონზომიე-  
რებათა ჯამისა, რომელიც „ცდის“ წინასაფხურზე სხვა „წრომის კავშირთა“  
ადაშიანებმა ბუნებას აღირსეს. ერთი სიტყვით, „ისტორიის სარბიელზე გამო-  
სული ყოველი ახალი კლასი მხოლოდ დიდი ხნის მეცადინეობასა და ბრძოლის  
ფასად ახერხებს საკუთარ კულტურის, თავის განსაკუთრებულ მსოფლ-მხედვე-  
ლობის შეპყროვებას.“ რაკი „ყოველი ახალი კლასი“, მაშასადამე პროლეტარია-  
ტიც ახერხებს: „დიალექტიკური მატერიალიზმი პირველი ცდა იყო, რომელსაც  
უნდა გამოეხატა და ჩამოეყალიბებინა მუშათა კლასის თვალსაზრისი ცხოვრება-  
სა და სამყაროზე. ჩვენ დავინახეთ, თუ ჯერ კიდევ რამდენად მძლავრად ეტ-  
ყოზა ამ პირველ ცდას (დიალექტიკურ მატერიალიზმს. ვ. ვ.) ძველ, გაბატონე-  
ბულ კლასების, მათი მეთოდების და ცნებათა იდეური გავლენა (კურსივი ჩე-  
შია, ვ. ვ.) სრულ დამოუკიდებლობას ახალი მსოფლმხედველობა მხოლოდ მაშინ  
მიიღწევს, როდესაც მისი დამახასიათებელ მიზეზობრივი კავშირის ახალი ფორ-  
მა ჩამოყალიბდება და მკაფიოდ გამოისახება, რადგან სწორედ მიზეზობრივობა  
წარმოადგენს ძირითად პრინციპს, აზროვნების სისტემის მომწესრიგებელ სა-  
ფუძველს“ („Фил. жив. опыта“, გვ. 221—222).

ძალიან საინტერესო სიტყვებია ადამიანის ყურისათვის „ძველ გაბატონე-  
ბულ კლასების, მათი მეთოდების და ცნებათა ძლიერა იდეური გავლენა (დია-

ლექტიკურ მატერიალიზმზე)“. რითი გამოიხატა ეს გავლენა ბაქტერიალიზმით? ამ გავლენის მაჩვენებელია მახვილის წინააღმდეგ მარქსის მატერიალიზმის ორი შეკოდება: 1) ობექტიურ სამყაროს და მისი მიზეზობრივობის კანონისა, მისი „მიზეზობრივი აუცილებლობის“ (როგორც ეს ამბობს) არსებობის აღიარება და 2) დიალექტიკის პრინციპის აღიარება, აღიარება „წინააღმდეგობის გზით განვითარების“ პრინციპისა, როგორც გამოსთქვამს ამ ცოდვას თითონ ბოგდანოვი.

სასაცილო იქნებოდა მატერიალიზმის ამ ორ ძირითად დებულებას უარყოფა, ისევე სასაცილო, როგორც იმის უარყოფა, რომ მარქსიზმმა ეს ორი დებულება შემკვიდრებით ძველი ფილოსოფიიდან მიიღო. მაგრამ რათ არის ეს ცოდვა? მხოლოდ იმიტომ, რომ ბოგდანოვი წმინდა წყლის იდეალისტია. ამასთანავე იგი მეტად თავისებური იდეალისტია. ბოგდანოვი ისეთი იდეალისტია, რომელსაც სურს თავისი იდეალისტური შეხედულებანი პროლეტარულ ფრაზიოლოგიით დასაბუთოს.

შე არ ვიცი, საჭიროა თუ არა იმის მტკიცება, რომ დიალექტიკური მატერიალიზმი წარმოადგენს არამც თუ ბუჩქვაჯიულ ფილოსოფიის დამთავრებას, არამედ იგი ერთად ერთი მონისტური მეცნიერული მსოფლმხედველობაა, რომელიც პროლეტარიატის მოძრაობის ნიადაგზე წარმოიშვა? საჭიროა თუ არა იმის მტკიცება, რომ სწორედ ბოგდანოვის იდეალისტური სისტემა წარმოადგენს ფრიად საბიფათო ხერხს, საიდანაც „გაბატონებულ კლასის იდეური გავლენა“ ცდილობდა გზა გაეკვლია პროლეტარიატის მსოფლმხედველობისაკენ?

„გაფუტიშებულ აუცილებლობის“ მადეირ პროლეტარიატი იმუშავებს მიზეზობრივობის საკუთარ სქემას—შრომითს მიზეზობრივობას, რომლის ძირითადი თავისებურება ის არის, რომ სხვა „შრომითი“ ფსევდონიამის წილამ-ქვეშ მას გაჰყავს საერთოდ მიზეზობრივი კავშირის იდეალისტური უარყოფა. „მიზეზობრივი კავშირის ახალი ფორმა—სოციალურ-ტენიკურია სამანქანო წარმოებისა და მისგან ძალთა მრავალსახოგან გარდაქმნათა ნიადაგზე ყალიბდება ისეთი თვალსაზრისი, რომლის თანახმად ყოველი არსებული მოვლენა კოლექტივის პრაქტიკისათვის სხვა მოვლენათა ტენიკურ სათავეს წარმოადგენს. მიზეზთა და მათი შედეგების ეს თანამიმართება კავშირის ტიპად და მოდელად იქცევა. მიზეზი და შედეგი—ენერგიის ერთი და იგივე ჯამია ორ თანამიმდევრო ფაზისში; ორივე თანაბარია და კოლექტივის შრომა თუ ცდაში ერთ განუწყვეტელ პროცესს ეკუთვნიან“ (Фил. жив. опыта, გვ. 257).

ამ საინტერესო ფორმულაში რამოდენადმე მხოლოდ ერთ სიტყვას—ენერგიას აქვს მეცნიერობის სახე, მაგრამ ბოგდანოვი იმასაც საჩქაროდ „უუკუ-განმარტავს“ თავის «Наука от общ. сознанин»—აზი. იგი ლაპარაკობს ენერგიის დაცვის კანონის შესახებ, როგორც „ახალ შრომითი მიზეზობრივობის“ შესახებ და სწერს: თვით ენერგია მეცნიერებს სხვადასხვანაირად ესმით, მათ შორის ზოგიერთი ფაქტობს, რომ ენერგია ჩვენდა დამოუკიდებლად, „ჩვენს გარეშე“ არსებობსო, და კოთხლობს: „შეუძლია თუ არა ახალ შეგნებას (ე. ი. ბოგდანოვისას) მიიღოს იგიო? სრულებითაც არა. მისთვის „ენერგიის“ შესახებ ლაპარაკიც



კი არ იქნება, თუ არსებობს ის, ვინც ცდილობს გამოიყენოს იგი, უკვე არ არსებობს შრომითი კოლექტივი“ (189. კურსივი ჩემბა, ვ. ვ.). ამგვარად ყოველგვარი შესაძლებლობა ისპობა, რომ გვევლინებოდეს იმაში, რომ „ახალი, მიზეზობრივი კავშირი შეტად ძველი იდეალიზმია, მხოლოდ ახალ სამოსელში გამოხვეული, თუმცა ეს აუცილებელია: რაკი ადამიანს შეგნების გარეშე არავითარი კანონზომიერება არ არსებობს, არის მხოლოდ ქაოსი და არავითარ აუცილებლობას აღვილი არა აქვს, ამიტომ არც მიზეზობრივი კავშირი არსებობს, იგი ბუნებაზე ადამიანის ზედმოქმედების მეთოდია, „იდეოლოგიის“-მიერ მონატანი მეთოდი.

მაგრამ რაკი მიზეზობრივი კავშირის უკვე ახალი სქემა „ჩამოყალიბდა და მკაფიოდ გამოირკვა“, მაშ ლაპარაკი კი აღარაფრისა შეიძლება, მაშ „ახალ მსოფლმხედველობას“ შეუძლია ახლა სრულ დამოუკიდებლობას მიიღწიოს, ახლა უკვე სრული შესაძლებლობა არსებობს, რათა დიალექტიკურ მატერიალიზმის საეალალო ზედი თავიდან აცილებული იქნას: **„დიალექტიკურ მატერიალიზმს ჯერ კიდევ არ მოუღწევია მიზეზობრივობის ამ უმაღლეს სქემამდე—მაგრამ იგი უკვე იდგა ამ გზაზე, ვინაიდან მსოფლმხედველობას საფუძვლად წარმოება, ადამიანთა სოციალურ-შრომითი საქმიანობა დაუდო და ბუნების დამარცხებულ, დამორჩილებულ ძალებში, საზოგადოების მწარმოებელ ძალებს ხედავდა ახლა კი საკითხი იმას ეხება, რომ შეგნებულად და შეურაცხლად გამოყენებულ იქნას შრომითი მიზეზობრივობის იდეა, ხოლო მისი საშუალებით აგებული იყვეს მთლიანი, ნათელი, შეცნიერული მსოფლმხედველობა“** («Фил. жив. опыта», გვ. 227).

ასეთ მთლიან, ნათელ, შეცნიერულ მსოფლმხედველობას წარმოადგენს ის ახალი პროლეტარული კულტურა, რომლის შესაბამაც ბოგდანოვი უკვე 20 წელიწადზე მეტია რაც განუწყვეტლივ ლაპარაკობს. რასაკვირველია, მართალია, რომ დიალექტიკური მატერიალიზმი თავის აღნაგობას საფუძვლად წარმოებას უდებდა, მაგრამ მან წარმოების საფუძველსა და შესაძლებლობას პირობად დაუდო **ობიექტიურ კანონზომიერებათა არსებობა**, იმ კანონზომიერებათა, რომელნიც ადამიანისა და მისი „სოციალური ცდისაგან“ დამოუკიდებელნი არიან; ეს კი იმას ნიშნავს რომ ბოგდანოვი მარქსისა და ენგელსის თავითბოლომდრ მატერიალისტურ მსოფლიო გაგებას“ სრულიად ტყუილ-უბრალოდ ჩირქსა სცემებს.

პროლეტარულ „კოლექტიურ ცდისა“ და სამანქანო წარმოებაში გამოსახულ შრომითი კავშირების გამოხატულებამ, „შრომითმა მიზეზობრივობამ“ სრულის აუცილებლობით უნდა გამოიწვიოს პირველ ყოვლისა გადატრიალება შეცნიერების დარგში, იმ შეცნიერებისა, რომელსაც ახასიათებს სისტემატიზაციის ფორმა ე.—ი. „მაღლების დამუშავებისა და დალაგების საქმეში მეთოდიური და ლოდიკური კავშირი“. ანარქიულმა საზოგადოებამ საფუძველი შექმნა შეცნიერების მეტისა და მეტის დაქუცმაცებისათვის, მისი უფრო და უფრო მეტი სპეციალიზაციისათვის; ახალი კლასი პროლეტარიატი, რომლის „შრომითმა კავშირმა“ „შრომითი მიზეზობრივობა“ წარმოშვა, ის კლასია, რომელიც თან შოიტიანს

„პრინციპიალურად ახალ თელასზრისს, აზროვნების ახალ წესს, ახალ შეხედულებლობად გახდის მეცნიერების დაქუცმაცების მოსპობას.

ის, რაც ამ თელასზრისს უნივერსალობის ხასიათს აძლევს, არის „სამანქანო წარმოება“. პროლეტარიატის მთელი პრაქტიკა მას მთლიან, საერთო ორგანიზაციულ მეცნიერების გზაზე აყენებს. ჯერ კიდევ მანამდე, სანამ პროლეტარიატის ამ ნატურას ბოვდანოვი წიავენბდა, არსებობდა ტენდენციები, რომ სპეციალიზაციის წყალობით ადამიანის დაქაჯსულ სხვა და სხვა კოდნისათვის ერთად თავი მოეყარათ, ერთ მკვეთრად ჩამოყალიბებულ სისტემად შეეკრიბათ, მაგრამ, საუბედუროდ, ეს ვერ მოხერხდა, „ამ ტენდენციის მეცნიერულ ფორმებთან დაახლოება ფილოსოფიის წარმოშობაში გამოიხატა ფილოსოფია ცდილობდა შეეკრა ერთ მეცნიერულად ჩამოყალიბებულ სისტემად სპეციალიზაციის მეოხებით დაქსაჯსული ცდა ადამიანისა; მაგრამ ფილოსოფია ვერა ხვდებოდა რომ იგი ცხოვრების პრაქტიკაზეა დამოკიდებული, და ამიტომ არ ესმოდა, რომ ამოცანის გადაჭრა მხოლოდ სპეციალიზაციის ობიექტურად დაძლევის ნიადაგზე შეიძლება. ამოცანის გადაჭრა უკანასკნელ დრომდე ობიექტურად შეუძლებელი იყო; მაგრამ ფილოსოფიის სწამდა იგი და ცდილობდა გადაჭრას. იგი ფიქრობდა-წარმოედგინა სამყარო, როგორც ჩამოყალიბებული მთლიანი სისტემა, აეხსნა სამყარო რომელიმე უნივერსალური პრინციპის საშუალებით; სინამდვილეში საჭირო იყო ცდათა სამყაროს გარდაქმნა ორგანიზაციაქმნილ მთელად, სადაც რეალურად იგი არ უოფილა: ამას კი არამც თუ ფილოსოფია არანედ საზოგადოდ აზროვნება თავის-თავად, თავის განსაკუთრებულ ძალებით, ვერ მოახერხებს, ეს შეიგნო მე XIX საუკუნის უდიდესმა მოაზროვნემ და ფილოსოფიურ ამოცანას—სამყაროს ახსნას—დაუპირისპირა რეალური ამოცანა სამყაროს ცვლილება“ („Текология“ გვ. 64).

„ცდათა სამყაროს გარდაქმნის საქმეში ორგანიზაციაქმნილ მთელად“, მთელი ფილოსოფია, ვიდრე მარქსამდე უმწეო გამოდგა და მხოლოდ ნიადაგი მოაწზადა ბოვდანოვისათვის და მის-მეორე საკითხის დასმისათვის; ამ საკითხის დასმას ახასიათებს: „ჯერ ერთი ის, რომ დაუფძნებულია მისი საორგანიზაციო რაობის გამორკვევაზე; მეორე ის, რომ სრულად უნივერსალურია, შეიცავს პრაქტიკულსაც და თეორიულ მეთოდებსაც, ადამიანის შეგნებულს და ბუნების სტიქიურ მეთოდებსაც, ერთი მეორეს აშუქებს და ნაოვლჰყოფს; საკითხის ასეთ ინტეგრალურ დასმის გარეშე კი მისი გადაჭრა შეუძლებელია, ვინაიდან მთელისაგან მოწყვეტილი ნაწილი, შეუძლებელია მთელად გარდაიქცეს, ან გაგებულ იქმნას მთელის გარეშე“ (Текология“, გვ. 55). ასეთია ბავდანოვის აზრის დენა, რომელსაც „პროლეტარული მეცნიერება“ თავის იდეალისტურ გნოსეოლოგიიდან თანამიმდევნობით გამოჰყავს.

კანტამდე და ჰეგელამდე არსებული რომელიმე „უნივერსალური პრინციპები“, რომელნიც საუფუძლად დაედო სამყაროს ახსნას, სრულებითაც არ იყვნენ ისე აბუჩად მისაწნევი, როგორც ბოვდანოვი ლაპარაკობს; ყოველ შემთხვევაში „მე XX საუკუნის უდიდესი მოაზროვნე“ იმ აზრისა არა ყოფილა, რომ „სამყა-



რომ არის მხოლოდ „ცდათა სამყარო“, რომელიც საჭირო ექნებოდა „კავშირ-კავშირი“ ორგანიზაციის მიერ. ასეთი თავით-ბოლომდე „კავშირ-კავშირი“ თვალსაზრისი ადამიანს ბევრს რასმე აკისრებს, და ბოგდანიოვიც, კაცმა უნდა სიმაართლე სიტყვას, შეუდრეკლად სწორხაზოვანია. მართლაც, სამყარო მხოლოდ „ცდათა სამყაროა“, მისი მოწესრიგება სწარმოებს, „იქცევა“ ორგანიზაციის მიერ მთელად, „ადამიანთა პრაქტიკად“, „ორგანიზაციის იარაღად“, რომელსაც იდეოლოგია წარმოადგენს.

შეადარეთ ამას ბოგდანიოვის შეხედულება, რომელიც თავში მოეყვანეთ. სამყარო არის ქაოსი, იგი არ იცნობს არც აუცილებლობას, არც კანონზომიერებას, „რომლის გასაგებად და დასაუფლებლად ჩვენ უნდა მივყენოთ კაცობრიობა და მისი ბერძნი შრომისა და შემეცნებისა“. თქვენ ამის წიკითხვის შემდეგ დაინახავთ, რომ ბოგდანიოვი სრულის თანამიმდევრობით და „მონისტორად“ მიათხოვს ფილოსოფიიდან სრულიად ორგანიზაციულ მეცნიერებაზე გადასვლას: ყველა კანონზომიერებათა წყარო ერთია—მთელი კაცობრიობა და მისი „ბერძნი შემეცნებისა და შრომისა“, ცდათა მთელი ჯამი და მისი ყველა ფორმა შეიძლება ჩავთვალოთ „ქაოსის“ ორგანიზაციის იარაღად—შეალოებით (ადამიანთა ორგანიზაციის ვხით) თუ უშეალოდ. მერე მხრით, რაკი ბუნებაში არ არსებობს ობიექტიური კანონზომიერება და ბუნების, სამყაროს, მსოფლიოს ყველა ობიექტიური კანონი „კოლექტიურ მუშაობის პროდუქტებსა და იარაღებს“ წარმოადგენს, ამიტომ სრულიად ნათელია „ბუნებისა და ადამიანის ორგანიზაციულ ფუნქციათა“ სრული იდენტობა, „პრინციპიული ერთსახეობა“.

მარქსის დიალექტიკური მატერიალიზმიც მონისტორია, მაგრამ მისი მონიზმის საზომი ადამიანი არ არის და მისი შემეცნება, რომელიც „ადამიანის ცდის ორგანიზაციას“ წარმოადგენს;—მისი მონიზმის საზომი ობიექტიური არსობა, რომელიც ჩვენს გარეშე იმყოფება და ბოლოსა და ბოლოს შეგნებასა და ყველა მის ფორმასა თუ გამოვლინებას განსაზღვრავს.

ბოგდანიოვს მოუსურვებია ენგელსს გაუსწორდეს და სწერს: „ზოგად სტემაში ჩვენ წინ კაცობრიობის ცხოვრების მთელი შინაარსი გადაიშალა და შეგვიძლია ჯამი ვაუკეთოთ. მეცნიერულ სოციალიზმის ძველმა მასწავლებელმა ეს ჯამი შემდეგის ფორმულით გამოსახა: ადამიანთა წარმოება, საგანთა წარმოება, იდეათა წარმოება. ტერმინში „წარმოება“ ორგანიზაციამქველ მოქმედების მცნებას შეიცავს. ჩვენც ფორმულას უფრო მეტ სისწორეს მივცემთ: ბუნების გარეშე მართა ორგანიზაცია, ადამიანის ძალთა ორგანიზაცია, ცდათა ორგანიზაცია. („Тектология“, გვ. 21).

ყოველა რაოდენადმე მინც გულდასმული ადამიანი ხედავს, რომ „მეტრის სისწორის მიცემა“ იმით გამოიხატება, რომ ბოგდანიოვს სურს ენგელსი იდეალისტად გადააქციოს.

ენგელსის ფორმულა დიალექტიკური მატერიალიზმის ლაკონიური ფორმულაა, მას სამყარო წარმოადგენილი არა აქვს, როგორც „ცდათა სამყარო“, რომლისთვისაც ჩვენს გარეშე არსებული სამყარო „ქაოსის სამყარო“ კი არ

არის, არამედ „შენების გარეშე ძალთა ორგანიზაცია“, (რის შექმნაზეც ზოგდანიოვი ლაპარაკობს), ე. ი. ადამიანის შეგნების კანონთა გადატანა ბუნებაზე (ეს შეგნება მატერიალურ ბასიას არ იღებს, მხოლოდ იმიტომ რომ თავის ფორმებს პრაქტიკისაგან სესხელობს); ზოგდანოვის „ორგანიზაცია“ სრულებით არ წააგავს „ადამიანთა წარმოებას“ ან „საგანთა წარმოებას“, რის შესახებაც ენგელსი ლაპარაკობს.

ასეთი „მიყენება“ ზოგდანოვის იდეალისტურ სისტემას ვერ შევლის. იგი კვლავ წმინდა წყლის იდეალიზმად რჩება და „ძველი მასწავლებელი“ ამ თვალსაზრისთა წინააღმდეგობას უფრო ნათელჰყოფს.

ჩვენ ტყუილ-უბრალოდ არ შეგჩერებულვართ ასე დიდბანს ზოგდანოვის „სრულიად ორგანიზაციულ თვალსაზრისსა“ და მის გნოსეოლოგიას შორის კავშირის დამყარებაზე. ფიქრობთ, სრულიად ნათელია ის დებულება, რომ ზოგდანოვის იდეა პროლეტარულ კულტურისა, რომლის შეთადლოვებაც წარმოადგენს მისი სწავლა ორგანიზაციულ შეცნეებების შესახებ, ფრიალ მკიდროდ არის დაკავშირებული მის იდეალისტურ „ემპირიოზონისტურ“ მოძღვრებასთან და ამ იდეალიზმით განისაზღვრება, ე. — ი. რომ ეს იდეა არსებითად იდეალისტური იდეა არის იმ სახით, რა სახითაც მას ზოგდანოვი ჰქადაგებს. მაგრამ, ცოტა არ იყვას, დიდი დრო მოვანდომეთ ამ შედარებით ყველასათვის ცნობილ კემპარტების დამტკიცებას. ახლა შეუდგეთ ზოგდანოვის დებულებათა განხილვას თვით კულტურის შესახებ.

## II

როგორც ვიცით (აღბად პროლეტარულ კულტურის ახლანდელ აპოლოგეტებაც—ნაპოსტოველებსაც ეცოდინებათ), მე-II ინტერნაციონალში პირველად ოპორტუნისტებმა გამოსთქვეს ის იდეა, რომ ამჟამად ჩვენ გვაქვს სოციალიზმის ელემენტები პროუკავშირების, კოოპერაციის, მუნიციპალურ და სახელმწიფო წამოწყებათა სახით. ზოგდანოვი ამის თანახმა არ არის. მას შეუძლებლად მიიჩნია, რომ მათში სოციალიზმი ეძიოს, მაგრამ ის არ უარჰყოფს, რომ კაპიტალისტურ საზოგადოებაში მოშათა კლასი სოციალიზმის განსაზღვრულ ელემენტებს ჰფლობს. ასეთ ელემენტს წარმოადგენს მუშათა კლასის „ამბანაგური კავშირი“. ზოგდანოვი სწერს: სოციალიზმი „იზრდება და ვითარდება, იგი ჩვენს გარშემოა; მაგრამ იქ კი არ არის, სადაც მას ამბანაგვი—ოპორტუნისტები ეძიებენ; სოციალიზმი უფრო ღრმად იწყობება: ეს არის მუშათა კლასის ამბანაგური კავშირი, ეს არის მისი შეგნებული დაარსებულობა შრომაზე და სოციალურ ზრდილაში. ახლა სოციალიზმი უნდა ვეძიოთ არა მუშათა ორგანიზაციების, პროფესიონალურ, პარტიულ და სხვა ორგანიზაციების ქონებრივი მეურნეობაში, არამედ ცოცხალ კლასობრივ თანამშრომლობაში. ეს თანამშრომლობა სოციალიზმის წინასახე კი არ არის, არამედ მისი ნამდვილი დასაბამი; ვინაიდან სოციალიზმის რაობა მოქცეულია ამბანაგურ შრომითის ორგანიზაციაში (გვ. 95). სოციალისტურ საზოგადოებაში სოციალიზმი „ყველაფერი“ იქნება,

ახლა კი, ზოგდანოვის აზრით, იგი ზღაგრი ტენდენციაა, „ადამიანთა ორგანიზაციის საგანგებო საშუალება სხვა საშუალებათა წინააღმდეგ“. „საზოგადოებრივი შეგნებული მებრძოლი ფილანტროპი კი არ არის, არამედ მრავალწინა, „თავისუფლოვე ცხოვრების მოწყობის საქმეში მონაწილე“. აქედან ცხადია, ზოგდანოვის აზრით, რომ „დიდსა და ძლიერს საზოგადოებრივ კლასს სურს თავისებურად იცხოვროს, და არა ისე, როგორც სურს და მას თავზე ახვევს ძველი საზოგადოება,—იგი ანეითარებს ადამიანთა ურთიერთობის ხაკუთარ ფორმებს და ამ ურთიერთობას თავის სოციალურ იდეალით გამოსახავს. ამ იდეალს პროლეტარის გულში აჩენს არა ხალასი ოცნება ძმობის შესახებ და არა ლიტონი პროტესტი მკაცრ საზოგადოებრივი წყობილების წინააღმდეგ,—არა! ეს იდეალი არის გამოსახულება იმ შრომითი ურთიერთობისა, რომელიც ნამდვილად ვითარდება მუშათა კლასში და ახლანდელ წყობილების მიმართ ღრმა წინააღმდეგობის გამოხატველია. მუშათა კლასის შეგნებული იმპანაგური ორგანიზაცია ამ ემად და მთელი საზოგადოების სოციალისტური ორგანიზაცია მომავალში—ეს არის ერთისა და იმავე პროცესის სხვადასხვა მომენტი, ერთისა და იმავე მოვლენის სხვადასხვა საფეხური“ (გვ. 96). აქედან სრულიად გასაგებად და თანამიმდევრობით გამომდინარეობს, რომ საქარია პროლეტარიატს საკუთარი კულტურა ჰქონდეს: „თუ ასეა, მაშინ სოციალიზმისათვის ბრძოლა სრულებითაც არ ამოიწყება მარტო იმით, რომ მხოლოდ ბრძოლა სწარმოებდეს კაპიტალიზმის წინააღმდეგ, რომ ძალთა უბრალო თავმოყრა ხდებოდეს ამ ბრძოლისათვის. ეს ბრძოლა ამავე დროს დადებითი, შემოქმედებითი მუშაობაა—სოციალიზმის ახალ-ახალი ელემენტების შექმნა თვით პროლეტარიატის, მშს შინაგან ურთიერთობათა ფარგლებში, მის ყოველდღიურ ცხოვრების პირობებში: სოციალისტურ პრინციპულ კულტურის შემუშავება“ (გვ. 96). აქ სრულებითაც არ არის შეფერადებული მთელი ამ მსჯელობის მკიდრო კავშირი მასთან, რასაც ჩვეულებრივ ზოგდანოვი წინას უწოდებენ; ამ მზრით მსჯელობა სრულიად თანამიმდევროა. სწორედ ასევე, სრულის თანამიმდევრობით განმარტავს ზოგდანოვი, რომ პროლეტარულ კულტურის შექმნა არის „ოჯახურ მონობასთან“ ბრძოლას მეთოდების შემუშავება, პროლეტარულ მეცნიერების, პროლეტარულ ფილოსოფიის, პროლეტარულ ხელოვნების შექმნა.

1918 წელს ზოგდანოვი სწერდა: „მხოლოდ დამოუკიდებელ სულიერ კულტურის შემუშავება მისცემს კლასს მთლიან აღზრდას, რომელიც გარდღვალად წარმართავს კოლექტურ ნებისყოფასა და აზროვნებას. დამოუკიდებელი სულიერი კულტურა ბურჟუაზიულ კლასებს ჰქონდათ,—ამაში მდგომარეობდა მათი ძალა; იგი აქლდა პროლეტარიატს,—ამაშია მისი სიხუხუხე (კურსივი ჩემია, ვ. ვ.), პროლეტარიატი კულტურულად სრულიად დამოუკიდებელი რომ ყოფილიყო, მაშინ ძველი ქვეყანა ვერავითარს პირობებში, რაც უნდა ძნელი და ახალი ყოფილიყო გარემოება, მას თავის აზრს ვერ უკარნახებდა, თავის სულიერ განწყობილებას ვერ დაამყნობდა, თავის შხამით ვერ შერყვნიდა, თავის ბრმა იარაღად ვერ გადააქცევდა (101 გვ.).



ბოგდანოვი რომ ახლაც, პროლეტარულ რევოლუციის შემდეგ, საქმითა ხელისუფლებას, პარტიას, პროფკავშირებს და სხვათ, პროლეტარულ კულტურის ელემენტად არა სთვლის, — ამისი მაჩვენებელი ის არის, რომ იგი კულტურულ მოძრაობას — პოლიტიკურსა და ეკონომიურს უპირისპირებს (იხილეთ შემოდგომოვანილ ნაწყვეტის მომდევნო ანგარი). ბოგდანოვის პოზიციას სამკველი იმ დამოკიდებით წინადადებაზეა მოქცეული, რომელიც ნათლად გვიჩვენებს, რომ ბოგდანოვს არ ესმის, თუ რა სპეციფიკურ პირობებში იმყოფება პროლეტარიატი და რომ ეს პირობები ბურჟუაზიულ პირობებისაგან პრინციპიალურად განსხვავდება.

მაგრამ პრინციპიალური ნამძღვარიც შემცდარია და ჩვენის შეხედულებით არც ისე დაშორებულია ოპორტუნისტების პოზიციას, როგორც შეილება ეგონოს ადამიანს პირველ შეხედვაზე.

ოპორტუნისტების ოპორტუნიზმი შემდეგში მდგომარეობდა: მათ არ ესმოდათ, რომ კაპიტალისტური წარმოებისა, განაწილებისა და მათგან გამოწვეულ კონებრივ ურთიერთობის ბატონობის დროს უოველი სამეურნეო საქმე აუცილებლად საქონლის მეურნეობას წარმოადგენს და ამიტომ კაპიტალიზმის საზღვრებს ვერ სცილდება.

მაგრამ რას სჩადის ბოგდანოვი? იგი სოციალიზმის ნაწილად ასეთივე კაპიტალიზმის ელემენტებს (ლებს; ვინაიდან რას წარმოადგენს კლასობრივი სოლიდარობა? ეს ისეთი ენებაა, რომელიც მხოლოდ კლასობრივ საზოგადოებას აბასიათებს და არა სოციალიზმს.

როგორ შეიძლება იმის მტკიცება, რომ კლასობრივი სოლიდარობა ამ ეჟამად სოციალიზმის წინასახეა ან თვით სოციალიზმიც კია?

კლასობრივი სოლიდარობა და სოლიდარობა უკლასო სოციალიზმის დროს პრინციპიალურად სრულიად სხვადასხვა რამ არის. თუნდაც, მაგალითად, ისა ვსთქვათ, რომ კლასობრივი სოლიდარობა ერთსა და იმავე დროს კლასობრივი ხიჭულვილიც არის; „შუათა კლასის ანბანაგური კავშირი მარტო წარმოების დროს კი არ არის, არამედ კლასობრივი ბრძოლის დროსაც“.

მაგრამ ეს რომ ბოგდანოვის გაგებითაც მივიღოთ და დავეთანხმოთ, რომ კლასობრივი სოლიდარობა საუბაროკო შრომის (სამანქანო წარმოების) დამახასიათებელია, რომ კოლექტიური შრომა ფაბრიკებში და ამ შრომით შექმნილი თანამშრომლობა ისეთი რამ არის, რაც შეგვიძლიან განვაშოროთ კლასობრივ სიძულვილს, რაც შეიძლება გამოიყოს კლასობრივ ბრძოლას, მაშინაც ვერავინ დაამტკიცებს, რომ სოციალური წარმოება\*) შეინარჩუნებს თანამშრომლობის არსებულ კონკრეტულ ფორმას, რომელსაც დიდად და დიდად განსაზღვრავს არა მარტო ტექნიკა, არამედ კაპიტალისტურა ფაბრიკაც.

მაგრამ, ისაც კია, რომ ჩვენ ტყუილ-უბრალოდ ვაწვევით ვარაუდს ბოგდა-

\*) ჩვენ გვწამს, ჩვენ გვჯერა რომ იგი ტექნიკურად გაცილებით უფრო განითარებულ ნიადაგზე იდგება.





ნოვის შესახებ; ის არც პუბლიკობს, ეს ორი რამ ერთმანეთს უბოგდანი-  
ნოვი აშკარად ზედავს სოციალიზმს „შრომის სოციალურ მოწყობის“ და „სო-  
ციალურ ბრძოლაში“.

მაგრამ, ჩვენ გვეტყვიან, რაკი, ამგვარად, თანამედროვე სინამდვილეში სო-  
ციალიზმის ელემენტებს უარყოფთ, თქვენ ამით სოციალიზმის შესაძლებლობასა  
და აუცილებლობასაც უარყოფთო! სრულებითაც არა. ჩვენ უარყოფთ მხო-  
ლოდ მარქსის მეცნიერულ სოციალიზმის შეზამების საჭიროებას ნამდვილ უტო-  
პიასთან; არც მეტი, არც ნაკლები.

ფაბრიკის მუშის ის „კოლექტივიზმი“, რომელიც იქნება კაპიტალიზმის  
დროს, ის სოლიდარობა, რომელსაც მუშებში წარმოშობს კოლექტიური შრომა,  
ფაბრიკა, წარმოების მდგომარეობა, „ამხანაგური კავშირი“ სოციალიზმი არ  
არის, არამედ იგი ერთი იმ ნაწარმი ნიშანთაგანია, რომელიც გვიჩვენებს, რომ  
სოციალიზმის დამყარება აუცილებელია.

გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენ ამით  
სრულებითაც არა გვსურს ბოგდანოვის მზგავსად საკითხის სიმძიმის ცენტრი  
ფეიხოლოგიურ-იდეოლოგიურ სფეროში გადავიტანოთ; ჩვენთვის ყველა მატე-  
რიალისტური ნამძღვარი ძალაში რჩება, ჩვენ მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ  
ბოგდანოვის თვალსაზრისზეც რომ დავდგეთ, მაშინაც მის „სოციალიზმის ელ-  
ემენტსა“ და ოპორტუნისტების „ელემენტებს“ შორის დიდი განსხვავება არ იქნე-  
ბა; ყოველ შემთხვევაში ორივე ელემენტი ყალბია.

რას წარმოადგენს პროლეტარიატის სოციალური იდეალი? თუ იგი უტო-  
პია არ არის (რომელიც მატერიალისტურად აგრეთვე განსაზღვრულია), მაშინ იგი  
სწორედ „თავზე მოუხვევია“ პროლეტარიატისათვის ძველ საზოგადოებას; ეს  
იდეალი „ადამიანთა ურთიერთობის საკუთარ ფორმათა“ გამოგონებაში) არ  
მდგომარეობს,—პროლეტარიატის სოციალური იდეალი ვერ აღმოცენდებოდა და  
არც აღმოცენდა როგორც სოციალიზმის რომელიმე ფანტასტიური ნაწილის გა-  
მოსახულება კაპიტალისტურ საზოგადოებაში. პროლეტარიატის სოციალურ  
იდეალის გამოსახულება მხოლოდ ის არის, რომ მან მიაგნო კაპიტალისტური  
წარმოების საიდუმლოებას და საიდუმლოებას კაპიტალისტური ექსპლოატაციი-  
სას, რომელიც ვითარდება კაპიტალისტური წარმოების ნიადაგზე.

მარქსისტ-მატერიალისტს არ შეუძლია ბოგდანოვსავეთ იფიქროს, რომ  
სოციალიზმისათვის ბრძოლა მეტი რამ არის, ვიდრე „კაპიტალიზმის წინააღმდეგ  
ომი“, ასეთი ომი სოციალიზმისათვის ბრძოლის ერთადერთი გზაა, თანაც სწო-  
რედ კაპიტალიზმის წინააღმდეგ ომი არამც თუ „თავს უყრის პროლეტარიატის  
ძალებს“, როგორც ბოგდანოვს ჰკონია, არამედ ჰქმნის ერთადერთ რეალურ  
არაფანტასტიურ პირობებს იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს პროლეტარია-

ა) რაც ნამდვილი უტოპიაა; იგი არ არის გამოსახულება „შრომითი ურთიერთობის-  
რომელიც მუშოთა კლასში ნამდვილად ვითარდება“, ვ. ი. გამოსახულება ბოგდანოვის მიერ  
ფაქტურად გამოგონებულ „სოციალიზმის ელემენტსა“, რომელიც თითონ ნაწარმი და სხვა  
არაფერია.

ტის განთავისუფლება ბურჟუაზიის იდეურ და იდეოლოგიურ გაყვანისაგან. მხოლოდ ასეთი ოპის პროცესში შესძლებს პროლეტარიატი ფეხდანი მოქმედების თავისი საკუთარი ყალბი შეხედულებანი, განთავისუფლდეს „ძველი საზოგადოების კულტურისაგან“, ენგელსის მოსწრებული თქმისა არ იყოს, და განსაზღვროს, თუ წინა ეპოქათა კლასობრივი კულტურისაგან რა შემკვიდრეობა შეუძლია მიიღოს, რაოდენი და რა ფორმით. თვით „კლასობრივი ომი“ ბუმბერაზული „დადებითი შემოქმედებითი მუშაობა“ და კლასთა დიდი ომის გათავებამდე, ყოველგვარ კლასების მოსპობამდე პროლეტარიატის შემოქმედებითი მუშაობა ხზვანაირი არც იქნება და ვერც იქნება.

ბოგდანოვი ასე არ ჰფიქრობს. მას ჰგონია, რომ ყალბი შეხედულებებისაგან განთავისუფლება მხოლოდ ახალი კულტურის შექმნით შეიძლება. „კულტურულ დამოუკიდებლობის“ გზით—აი „ერთადერთი საშუალება, რომ სრულიად დაპყრობილ იქმნას სულიერი საუნჯენი, რაც კი აქამდე კაცობრიობას შეუქმნია“.

მაგრამ პროლეტარიატი საპატარძლო ხომ არ არის, რომ კარგის გუგერნიორების საშუალებით „გაიკეთოს“ ასეთი დამოუკიდებლობა „მემკვიდრეობის“ მოლოდინში. პროლეტარიატი ისტორიის მსვლელობით თავიდანვე ისეთ პირობებშია ჩაყენებული, რომ ყოველგვარი სხვა „პირობა“, კლასობრივი ომის პირობების გარდა, კულტურული მუშაობისათვის არ არსებობს; ცხადზე-უცხადესია, მე ვლადიმერ კულტურული მუშაობის შესახებ მასობრივის მასშტაბით, მთელი კლასის მასშტაბით: ცალკე წარმომადგენლებსა და ჯგუფებს არ შეეძლია საქმის ვითარება შესცვალონ, „პროლეტარულ ფალოსოფიის“ (ე. ი. ბოგდანოველების) და პროლეტარულ „მეკულტურეების“ თითო-ოროლა მავალითი არაფერს ამტკიცებს: მასები კულტურას აღწევენ და ჰქმნიან კლასობრივ ომში.

ბოგდანოვი „პროლეტარულ კულტურის“ შესახებ ლაპარაკობს და სწორს პროლეტარული კულტურა მიიმართება ჯერ თვით კლასისა და შემდეგ მთელი საზოგადოების ცხოვრების გეგმაზეზომილ ორგანიზაციის მიმართულებით („Кр. Культура“ გვ. 317). „ჯერ—შემდეგაო!“—სწორედ ეს ააშკარაებს პროლეტარულ კულტურის იდეის უძღვრებას. თანამედროვე მკითხველს შეიძლება გული მოუჯოს თვით გეგმაზეზომის იდეამ, რომელიც აქ ბოგდანოვს აქვს გამოთქმული, მაგრამ საჭიროა აღინიშნოს, რომ წარმოების გეგმაზეზომილ ორგანიზაციასა და „ცხოვრების გეგმაზეზომით ორგანიზაციას“ შორის დიდათ-დიდი განსხვავებაა. თვით ბოგდანოვი ამ განსხვავებას ვერ ხედავს, პირიქით, ის ნაღდ არის<sup>1)</sup>, ჩვენი ამხანაგები, რომელნიც საგგებო ორგანიზაციაზე მუშაობენ, თავის მოწოდებებზე ჩასთვალოს მაგრამ ეს ისეთი საქმეა, რომ ჩვენს ამხანაგებს ვერაფრით დავეხმარებით, რომელნიც სრულიად უდანაშაულოდ ბოგდანოველები გამოდგნენ, ვერც ბოგდანოვს დავეხმარებით, რომელსაც ამ მინიოგრმა ვერაფერი შეჰპატა. „კლასის ცხოვრების გეგმაზეზომილი ორგანიზაცია“ მართლაც პროლეტარია-

1) როგორც სანს მის „ტექნოლოგიის“ წინასიტყვაობიდან.



ტის კლასობრივი კულტურის ამოცანა იქნებოდა, ის რომ ნამდვილად უზღველ-ტარიანის ბრძოლის მიზანი ყოფილიყო, ან უკეთესია ასე გვეტყვიან: „საქართველოს, ცხოვრების გეგმაშეზომილი ორგანიზაცია“ პროლეტარიატის ბრძოლის ამოცანას შეადგენს, მაგრამ მისი განხორციელება მხოლოდ „საზოგადოებრივი ცხოვრების“ გეგმაშეზომილი ორგანიზაციით შეიძლება, ე.—ი. კლასების მოსპობით. პროლეტარიატს შეუძლია თავისი ცხოვრება გეგმაშეზომვით მოაწესრიგოს, მხოლოდ იმ პირობით თუ თავის თავს მოისპობს, უარყავს. ამიტომ სრულიად გასაგებია რომ ხალასი ჭიშკრად და ფანტაზია, თითქმის უფრო სწორედ იქნება რომ ვთქვათ, რევოლუციური უტოპიაა ის კულტურა, რომელიც ამოცანად ისახავს გეგმაშეზომ-ვით მოაწესრიგოს ის, რისი უარყავაც ნაადვილ Sine qua non-ის წარმოადგენს ჭეშმარიტ გეგმაშეზომილ ორგანიზაციისათვის.

რომ ბაგდანოვს სწორედ ისე აქვს საქმე წარმოდგენილი, რომ პროლეტ-კულტურა იწყებს მოწესრიგებას კლასის ცხოვრებისას, რომელიც მოწესრიგებულ სახით საერთო კაცობრიულ ცხოვრებად იქცევა,—ამის მაჩვენებელია მისი საუ-ცხოო სიტყვები „ჯერ თვით კლასისაო, შემდეგ მთელი საზოგადოებისაო“. კო-ლექტივიზმი არ იქმნება კლასის „გეგმაშეზომილი ორგანიზაციის“ სახით, იგი იმ ადამიანთა ჭმნილებას არ წარმოადგენს, ვინც ამ საგნისათვის საგანგებოდ განს-წველულნი არიან. ეს უფრო ნათლად არის გამოთქმული ბოგდანოვისავე თხზუ-ლებაში „Наука об общественном сознании“. ამ თხზულებაში ბოგდანოვი კოლექტივისტურ კულტურის ხასიათის შესახებ ამბობს: „კოლექტივისტური კულტურა თავით-ბოლომდე გამსჭვალულია შრომითი კოლექტივის იდეით— განსაზღვრული კლასი იქნება ეს თუ მთლიანი „უკლასო საზოგადოება“; შემ-დეგ, იმ საკითხზე, თუ როდის გამოდის სარბიელზე კოლექტივიზმი, ბოგდანოვი უპასუხებს: კოლექტივიზმი „ისახება კაპიტალიზმის დროს, სიმანქანო წარმოე-ბის ეპოქაში, მაგრამ, რაკი ინდუიდიუალისტურ კულტურის მიმართ წინააღმდე-გობაში იმყოფება, ამიტომ კაპიტალიზმის ჩარჩოებში ბატონობას ვერ აღწევს, იგი ვითარდება მხოლოდ როგორც კლასობრივი, სახელდობარ პროლეტარული ტიპი. მან უპირატესობა წარმოების მხოლოდ სოციალ-ატურ სისტემის დროს უნდა მოიხვეწოს (მნ გვ.). სურათი სრულიად ნათელია: თანამედროვე ნახევრად ბოგდანოველების მტკიცებათა და ინტერპრეტაციათა წინააღმდეგ ლაპარაკი არა სხვა რამეზე, არამედ იმაზე, რომ პროლეტარული კლასობრივი კულტურა სწორედ ის კომუნისტური კულტურაა, რომელიც უკლასო საზოგადოებას უნდა ახასიათებდეს. ვფიქრობ, საჭირო არ არის გავიმეოროთ ზემოდ მოხსენებულ არგუმენტები ამ სკემის უაზრობისა და შეცდომის დასამტკიცებლად. თუმცა ძა-ლიან საკებურნი არიან ისინი, ვისაც მოთმინება აღარ ჰყოფნიოთ და ჭჭარობენ „კომუნისტური კულტურის შექმნას“, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სქემა იდეალი-სტურია და უტოპიური.

ადამიანთა კეთილ, ცოტად თუ ბევრად ფანტასტიურ განზრახვათა გარდა, არსებობს აგრეთვე ობეკტიური, ადამიანთაგან დამოუკიდებელი პირობები, რომელთა დაძლევა არ შეიძლება ასე თუ ისე სინამდვილის მინაგვარ სქემათა

შექმნის საშუალებით; მათი დაძლევის ხარალი მიიმართება მათივე კულტურული-  
ბის შეგნების გზით

ფაქტალიზში? სრულებითაც არა. მაგრამ მარქსიზმის ნათელი მეცნიერული შემეცნების ადგილი ილიუზიებს არ უნდა დავაჭვრინოთ. მოგონეთ, თუ რას ლაპარაკობს მარქსი იდეოლოგიების შესახებ, რომელთა მთავარ საქმიანობას შეადგენს— „კლასის ილიუზიების შექმნა საკუთარ თავის შესახებ“. ამ ილიუზიას ის თვისება ახასიათებს, რომ თვით იდეოლოგიებისათვის იგი ქეშმარიტებასა და რეალობას წარმოადგენს. პროლეტარიატს ასეთი ილიუზიები არ ესაჭიროება. მისი მეცნიერება სწორედ იმით დახასიათდება, რომ მან იდეოლოგიებს ღონისძიება მოუსპო შექმნან ილიუზიები პროლეტარიატის შესახებ, ვინაიდან იდეოლოგიის ბუნებას იგი მისწვდა

მაგრამ განა ნამდვილი ილიუზია არ არის ბოგდანოვის პროლეტარული კულტურა—სოციალიზმის ელემენტების შექმნა კლასობრივ საზოგადოებაში და კლასის ხელით, ამ კლასის მეთოდებით? პროლეტარული კულტურა, როგორც კლასის ყველა სხვა ილიუზია საკუთარ თავის შესახებ, ისეთივე იარაღი იქნებოდა (თუ კი შესაძლებელი გახდებოდა მისი რეალიზაცია) კლასობრივი ბატონობის უკვდავყოფისათვის, როგორც ბურჟუაზიული კულტურა; სხვანაირად რომ ესთქვით, პროლეტარული კულტურა სოციალიზმის უარყოფა იქნებოდა ან, უფრო სწორედ, იგი გადაიქცეოდა იმ ფაქტორად, რომელიც შეაფერხებდა კლასობრივი ბატონობის მაგიერ სოციალიზმის დამყარებას, შეაფერხებდა პროლეტარიატის მოძრაობის დამახასიათებელ ტენდენციითა განვითარებას ყოველგვარ კლასის მოსპობისათვის.

მაგრამ პროლეტარიატისათვის საკუთარ თავის შესახებ ასეთი ილიუზიის, ასეთი კლასობრივი კულტურის შექმნა არ არსებობს. დიალექტიკური მატერიალიზმი დაუძლეველი დაბრკოლებაა პროლეტარიატის კლასობრივი კულტურის შესახებ ბოგდანოვის იდეალისტური მოძღვრების განვითარების გზაზე; ბოგდანოვის „სრულიად ორგანიზაციულ“ თეორიის მეტაფიზიკურ იდეალიზმსა და იდეოლოგიზმს წინ ეღობება დიალექტიკური მატერიალიზმი.

ტყუილად კი არ არის, რომ ბოგდანოვი დიალექტიკურ მატერიალიზმს ასე გამუდმებით და ასე მედგრად ებრძვის.

### III

მაგრამ, გვიპასუხებენ, განა შეიძლება უარყოფით სპეციფიკურ პროლეტარულ თვისებათა არსებობაო? და განა „ანტი-ანარქიზმი, ანტი-ინდივიდუალიზმი, კოლექტიური სული—როგორც უყვარს ლაპარაკი ბოგდანოვის—“ არ წარმოადგენენ ტიპურ პროლეტარულ თვისებებს? ისინი თავის თავად კომუნისტური არ არიან. სწორედ ისევე, როგორც კომუნისტურნი არ არიან ის თვისებანი, რომელთაც შეუზღვევებს ხოლმე პროლეტარიატს ქალაქი—ე. ი. ურბანისტული სულის განწყობილებანი, მაგრამ პროლეტარიატის დამახასიათებელი თვისებანი კი არიან“.



შერე რა?

მარკსიზმი

შერე ისაო, გვიპასუხებს ჩვენი ნაეარუდვეი ოპონენტი, რომ სისხე ბროლე-ტარიატს ასეთი სპეციფიკური თვისებანი აქვს, მან უნდა შეჰქმნას შეტად თავისებური შეხამებანი: „კოლექტივიზმი პლიუს რევოლუციონერობა, პლიუს ქალაქი—ეს სულ სხვა შეხამებაა, ვიდრე, ბურჟუაზიის ქალაქური ურბანიზმი“. ცამდის მართალია! „მაშინ,—განაგრძობს ჩვენი დაუღალავი ოპონენტი,—ყოველგვარ ექვს გარეშეა, რომ აუცილებლათ მისი ფიქსაცია მოხდებოა“.

ყველაფერი, რაც ნათქვამია, უდავოა, მაგრამ ამ ნათქვამს არავითარი ჰალა არ გააჩნია, რომ პროლეტარულ კულტურის უიმედო შერყეული პოზიცია დაიცავს, პირველ ყოვლისა ის აღვნიშნოთ, რომ ასე მოლაპარაკენი ლახვარს პირველადვე ბოგდანოვის წინააღმდეგ მიმართავენ (მაშასადამე, თვით პროლეტარულ კულტურის იდეის წინააღმდეგ). რატომ? იმიტომ, რომ კლასობრივი კოლექტივიზმი იმ სახით არ მიიჩნიათ, რა სახითაც უკლასო საზოგადოებაში იქნება. ამის აღნიშვნა სპიროა, რადგან ამით საკითხი აშკარად სულ სხვა ნიადგზე გადააქვთ, ვიდრე ამას ბოგდანოვი სწადიოდა.

მაშასადამე, ჩვენი ნაეარუდვეი ოპონენტი ახლავე სოციალიზმის ელემენტის შექმნის მომხრედ არ გამოდის. მაგრამ ეს ხომ ბოგდანოვისათვის ერთი არსებითი შეხედულებათაგანია. ან როგორ შეხედავს ჩვენი ნაეარუდვეი ოპონენტი იმას, რომ მთელი მეცნიერება ტექნოლოგიურ პრინციპის მიხედვით ჩამოყალიბდეს?—ეს ხომ პროლეტარულ კულტურის შექმნისათვის ერთი ძირითადი პირობათაგანია. ან იქნება დაავიწყდა ჩემს ღირსპატივსაცემ ოპონენტს „მუშური ენციკლოპედიის“ შექმნის რღეა?

„ლაპარაკი ამას არ შეეხებოა,—ნერვიანობს ოპონენტი,—პროლეტარულ კულტურის შესახებ რომ ვლაპარაკობთ, ჩვენ მხედველობაში გვაქვს ისეთი ლიტერატურა და ისეთი ხელოვნების შექმნა, რომელთა მეოხებით ფიქსაციაქმნილი გახდება ის სპეციფიკური რამ, რაც პროლეტარიატის, ვითარცა კლასის, დამახასიათებელ თვისებებს შეადგენს“.

მაშინ კამათი ყოფილა! „ფიქსაცია“ ისედაც მოხდება ყოველგვარ „პროლეტარულ კულტურის“ გარეშე სინამდვილის ასახვის წესით. მაგრამ რადგანაც პროლეტარიატისათვის ყველაზე სპეციფიკური არის მისი რევოლუციონური მიწოლა, მისი აქტიურად უარყოფითი დამოკიდებულება თანამედროვე კლასობრივი საზოგადოებისადმი, სწორედ ამიტომ მისი „ფიქსაცია“ თანაირია: უარყოფითიც და დადებითიც. სპეციფიკური პროლეტარული დადებითი გამოსახვას ჰპოებს იმ ხელოვნებაში, რომელმაც მიიღო მუშათა კლასის თვალსაზრისი, ე. ი. თანამედროვე ოპტიმისტურ ხელოვნებაში, ხოლო უარყოფით გამოსახვას ის ჰპოებს მოწინააღმდეგე ხელოვნებაში, პესიმისტურში. ჩვენ გვიჩვევა ტერმინი ოპტიმისტური და პესიმისტური—წინააღმდეგ თანამედროვე კრიტიკოსებისა, რომელნიც პროლეტარიატისათვის მისაღებ ლიტერატურის დამახასიათებელ თვისებებურებად მის მებრძოლ ხასიათსა სთვლიან. ეს სწორე არ არის. ნაკლებად მებრძოლი ლიტერატურა არაა იტალიური ფუტურიზმიც, რომელიც ფრად ტე-



მკერამიტიან ფორმით გამოხატავს ახალგაზდა იტალიურ იმპროვიზაციის მიმიკულას. შებრძოლი ხასიათი ჯერ კიდევ საკმარისი არ არის, რამე ლიტერატურა ნისაღებად გახადოს. **ისტორიული ოპტიმიზმი**—აი რა წარმოადგენს კრიტიკის სახეობს იმ ადამიანთათვის, რომელნიც პროლეტარიატის თვალსაზრისზე სდგანან,

ამგვარად საკითხს ყველაზე ნაკლებად ისინი სწყეკტენ, ვის წარმოადგენ-  
ლადაც ჩვენი ნაგარაუდგეი ოპონენტი გამოადიოდა. ზრუნვას ლიტერატურის იმ ფრთის გაძლიერებისათვის, რომელიც დადებითად ასახავს პროლეტარიატსა და მის ბრძოლას, საერთო არაფერი აქვს პროლეტარულ კულტურის მოძღვრებასთან. სასაცილოა იმის შიში, რომ პროლეტარიატის საქმე ვერ ჰპოვებს ნამდვილსა და საკმაო გამოხატულებას. პროლეტარიატმა გაიმარჯვა და მით თავისი ისტორიული უფლება მოაპოვა, რომ კაცობრიობის შემდგომი პროგრესის პოტენციის ერთად-ერთი მატარებლის სახელი ატაროს, მან ხელი მიჰყო თავის იდეალის რეალიზაციისათვის პირობების შექმნას. ამიტომ ასეთ კლასს არ შეუძლია არ დააყენოს თავის თვალსაზრისზე მთელი ოპტიმისტური ხელოვნება. ასეთ კლასს თავის კულტურულ რევოლუციის პროცესში (ამის შესახებ ქვემოთ) არ შეუძლია არ ჩააყენოს ამ ოპტიმისტურ ხელოვნების რიგებში ათეული და ასეულის პირველხარისხოვანი ტიპანტები, ათასეული და ასიათასეული საშუალო დონის მუშაკნი.

მაგრამ ეს არის დიდიხნის პრაქტისი, უმჭიდროესად დაკავშირებული იმ კულტურულ გადატრიალებასთან, რომელიც პროლეტარიატის დიქტატურის ერთ-ერთ არსებითს ამოცანას წარმოადგენს და რომელსაც საერთო არაფერი აქვს პროლეტარულ კულტურის მოძღვრებასთან, რასაც ქვემოთ დავინახავთ.

მაგრამ დაუბრუნდეთ კოლექტივიზმის, პროლეტარიატის სპეციფიკურ თვისებათა საკითხს. რაში მდგომარეობენ ეს თვისებანი? იმ თვისებებზე შეხამებაში, რომლის შესახებაც ჩვენი ლირსპატივისცემი ნაგარაუდგეი ოპონენტი ლაპარაკობდა: „კოლექტივიზმი, პლიუს რევოლუციონერობა, პლიუს ქალაქი“, ეს შეხამება თავის თავად კომუნისტურს არაფერს შეიცავს, როგორც სამართლიანად აღნიშნავს ოპონენტი, მაგრამ ამ სპეციფიკურს „უიქსაცია“, ასახვა, პროლეტარული კულტურა იქნება, მართალია იგი თუ არა? მე ვფიქრობ, რომ უმჭიდროდ მართალია. ❀ არის კლასობრივი კულტურა? ქვემოთ ჩვენ დავწვრილებით შევხებით ამ საკითხს, ახლა კი უნდა აღვნიშნოთ, რომ კულტურას კლასობრივ ხასიათს აძლევს მართლ ის კი არა, რასაც რეალურად ასახავს, მართლ ის კი არა, თუ არსებულ კლასს რომელ მეტ-ნაკლებად სპეციფიკურ თვისებებს შეიცნაურებს, არამედ კულტურის ფარგლებში გაბატონებული იდეებიც.

მართლაც „სპეციფიკურ თვისებათა შეცნაურების“ თვალსაზრისით კულტურა შეიძლება დაგვეყო გაცილებით მეტ ნაწილებად, ვიდრე ახლაა. კლასობრივი კულტურა თავთ წარმოადგენს ასეთ „ჯგუფურ კულტურათა“ ერთ-გვარ ჯამს. რა აერთიანებს იმ „ჯგუფურ კულტურათ“ ერთ მთლიან კლასობრივ კულტურად? ის, რასაც ენგელსი ეპოქის გაბატონებულ იდეებს უწოდებს,



რომელიც ენგელსისავე სამართლიანის შენიშვნით, წარმოადგენს საზოგადოებაში გაბატონებულ კლასის იდეებს.

ცხადზე-უცხადესია, თუ რატომ არ შეიძლება საკმაოდ ჩაითვალოს სპეციფიკურ პროლეტარულ თვისებათა ასახვა პროლეტარულ კულტურის აღმოცენებისათვის, მისი შექმნისათვის: იმიტომ, რომ პროლეტარიატის იდეები, რომელიც უნდა გაბატონდნენ მას შემდეგ, რაც საზოგადოებაში ბატონობა პროლეტარიატის ხელში გადავიდა, კომუნისტური იდეებია; მათი დედაბერი კი პირველ ყოვლისა ყოველგვარ კლასის უარყოფაა.

## VI

რაკი იგრძნეს რომ, ზოგდანოვის პოზიცია სრულიად უწყვეტია, რომ პროლეტარულტა რეტორტებში „სოციალიზმის ელემენტები“ შექმნას, პროლეტარულ კულტურის ზოგიერთი მომხრენი დაადგინეს ისეთ თვალსაზრისს, რომელიც პირველი შეხედვით უფრო მისაღებია, ვიდრე ჩვენი მოგონილ ოპონენტის თვალსაზრისი. ისინი ამბობენ: თქვენ რანაირი დისკუსიაც გინდათ აწარმოეთ, იკამათეთ იდეოლოგიისა და იდეალიზმის შესახებ, ცხოვრება კი თავისი გზით მიდის და პროლეტარიატი თვითონვე თავის ბრძოლის პროცესში საკუთარ კულტურას ჰქმნის: განა პროლეტარულ კულტურას არ წარმოადგენს პარტია, პროფკავშირები, საბჭოთა ბელისფლეტა, წითელი არმია და სხვ.? ამგვარ თვალსაზრისის ერთი წარმომადგენელთაგანია ლუნაჩარსკი, მაგრამ ისიც სრულდებით ვერ იმეორებს თავს ამ „ნიეტრალურ“ პოზიციაზე და, ბოლოსა და ბოლოს, აღიარებს ზოგდანოვის მიერ საკითხის დაყენების ზოგიერთ ელემენტს, ეს გარემოება კიდევ ერთხელ ადასტურებს, თუ რა მჭიდროდ არის დაკავშირებული პროლეტარულ კულტურის იდეა ბოგანოვიობასთან და რამდენად უსაფუძვლოა ის აზრი, რომ შეიქმნას პროლეტარული კულტურის რაიმე ახალი საქმე ზოგდანოვიობის გარეშე.

ლუნაჩარსკი უპასუხებს იაკოვლევს, არ შეიძლება „ტილის ორიენტაციის დადავდეთ“, არ უნდა წამოვაცნოთ კულტურულ „ნიველირობის“ იდეა და ელემენტარულ მუშაობის გვერდით უფრო რთული მუშაობა უნდა ვაწარმოოთ. შემდეგ სწერს: „მართლაც ხომ არ შეიძლება, რომ მთელი კლასის შესახებ, რომელსაც თავისი მარქსები ჰყავდა, თავისი ლენინები ჰყავს, ვილაპარაკოთ მხოლოდ, როგორც მოსამზადებელ კლასის მოწაფის შესახებ და უფლება წავართვათ, შეიმუშავოს, თუნდაც მხოლოდ, საკუთარი კრიტიკიუმები მეცნიერების დარგში, შეიმუშაოს თუნდაც თავისი საკუთარი ჩანახახები იმ ემოციების გამოსახვაში, რომელიც მხოლოდ ამ კლასს ახახიათებს“.

ლუნაჩარსკი უფრო მკაფიოდ და ნათლად სვამს საკითხს, როდესაც ტროცკის უპასუხებს; ლუნაჩარსკი სწერს: „რომელ პროლეტარულ კულტურის შესახებ შეგვიძლია ამ ეხმად ლაპარაკი? რასაკვირველია, გვერდი უნდა აუხეიოთ იმ საკითხს, შეიძლება თუ არა უცებ წარმოიშვას მთლიანი კულტურა. რომელი სერიოზული ადამიანი მოითხოვს ამ სასწაულს. ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ იმის



ესაზრდები, რომ კლასმა კრიტიკულად და შემოქმედებითი გზით გამოიკვლიოს თავისი თავი იმ უდიდეს საგმირო საქმეთა დროს, რომელნიც მას ისტორიის ზედმა დააკისრა. თუ საზოგადოდ პროლეტარიატის თვითგამორკვევის ყოველი ნაბიჯი, არსებითად რომ ვილაპარაკოთ, პროლეტარულ კულტურის ელემენტია (რადგან სახელმწიფოც, პროფესიონალური მოძრაობაც, ახალი სასამართლოც, ახალი სკოლაც, რასაკვირველია, ნაკლებად არ არის კულტურა, ვიდრე ზელოვნება), მაშინ, მიუხედავად ამისა, პროლეტარიატის თვითგამორკვევას კულტურის უარედწოდებულ უწვლილადეს მხარეთა საქმეში, კულტურის მაღალ ფარდებში თავისი საგანგებო და სპეციფიკური მნიშვნელობა აქვს“ (Идеализм и материализм“, 158 გვ.).

ეს, უეჭველია, ამხ. ლუნაჩარსკის ფრიალ პიკანტურ მდგომარეობაში აყენებს: მას არა სურს ზოგადანოველი იყოს, მაგრამ არც ის შეუძლია, რომ ამ მოჯადოებულ წრიდან გამოვიდეს, ლუნაჩარსკი ლაპარაკობს კლასობრივ კულტურულ თვითგამორკვევის შესახებ, როგორც პროლეტარულ კულტურის სასურველ საზღვრის შესახებ. მაგრამ ეს ხომ იგივეა, რაც ზოგადანოვეს სურს. ლუნაჩარსკი 1918 წელს სწერდა: „დიად, ამხანაგებო, პროლეტარიატის კულტურული განთავისუფლება აუცილებელია, ბრძოლა მისთვის გადაუდებელია; ეს ბრძოლა არის ბრძოლა ნამდვილი და სრულ კლასობრივ თვითგამორკვევისათვის (102 გვ.) ლაპარაკი იმის შესახებ კი არ არის, როგორც ლუნაჩარსკი გვიბატავს, ვითომც ვინმე კლასობრივი თვითგამორკვევის წინააღმდეგი იყოს, არამედ ლაპარაკი იმის შეეხება, თუ რას ნიშნავს ეს თვითგამორკვევა და რაში უნდა გამოიხატებოდეს იგი. ზოგდანოვი ამბობს: სოციალიზმის ელემენტების შექმნაში, თანაც ლაბორატორიულად უნდა შეიქმნას იგი, ვინაიდან თვითგამორკვევა „კლასობრივი ომის“ პარალელურად უნდა მიმდინარეობდეს“. ლუნაჩარსკი რაღას ამბობს? სასაცილოა, როდესაც ლუნაჩარსკის საკითხი გადააქვს თეორეტიულ სფეროდან და ამბობს, აღინიშნება თუ არა გარდამავალი ხანა განსაკუთრებულის კვანძით ზოგად კაცობრიულ კულტურის ისტორიაში? იგი სწერს: „კულტურის ისტორიაში კავშირის ნამდვილი გაწყვეტა მხოლოდ მაშინ თუ შეიძლება, როდესაც ზღვის ძირზე ჩაიყურყურებლავებთ. კავშირის სრული გაწყვეტა მაშინაც კი ვერ ხდება, როდესაც ველური ნომადები მაღალ-კულტუროსან სახელმწიფოს იპყრობენ.“

კულტურა მართლაც ზოგადკაცობრიულია, მას მხოლოდ სხვადასხვა ფაზისი აქვს და თვითველ მის თავისებურ ფაზისს ჩვენ პირობით ვუწოდებთ კულტურას რომელიმე მახლობლის განსაზღვრით. ან როგორ შეიძლება ადამიანმა იფიქროს, რომ პროლეტარიატის ბრძოლისა და მისი კლასობრივი ხელისუფლების მინიმუმ 30 წლის პერიოდი ვერ შექმნის შეიანიშნავ კულტურულ კვანძს“ (Идеализм и материализм“ 162 გვ.)

აქ ყველაფერი ყირამალაა დაყენებული. „შესანიშნავი კულტურული კვანძი“! მაგრამ ასეთი შესანიშნავი კულტურული კვანძები ყოველი ერის ისტორიაში კვიშაზე უმრავლესია, ხოლო პროლეტარიატმა უკვე არა ერთი ამისთანა შე-





სანიშნავი კვანძი შექმნა, ავიღოთ თუნდაც მარქსიზმის სცენაზე გამოჩენა, 90-იან წლებში. ეს ათეული წელი მეტად შესანიშნავი კვანძია, რომელშიც კლასობრივ განსაზღვრა მთელი რუსული კულტურის მიმართულება (რასაკვირველია, მე ვამბობ სულიერ კულტურის შესახებ), რატომ არ ამბობს ლენინარსკი, რომ ეს „შესანიშნავი კვანძია“ პროლეტარული კულტურაა? თუ ლაბარაკი უფრო დიდ რამეზეა, ვიდრე რომელიმე „შესანიშნავი კვანძის“ შექმნა, მაშინ საკითხი სრულებითაც იმას არ ეხება, რაზედაც ლენინარსკი მოგვითხრობს. მე ვფიქრობ, ლენინარსკი სასტიკად სცდება კულტურულ ფაზისთა გაგების საქმეში და ამ შეცდომიდან აუცილებლობით გამომდინარეობს შისი „შესანიშნავი კვანძი“.

ცხადია „კავშირის სრული გაწყვეტა“ ისტორიაში არ ხდება, კულტურათა მეგვიდრეობა, თანამიმდევრობა აშკარაა; როდესაც ზოგად კაცობრიულ კულტურის შესახებ ვლაპარაკობთ, იგი უნდა გვესმოდეს არა როგორც ზეკლასობრივი რამ. კულტურა ზოგადკაცობრიულია, ვინაიდან იგი განუწყვეტელია, მეტი არაფერი. ხოლო არსებითად და შინაარსის მიხედვით რომ ესთქვათ, კულტურის ფაზისები თუ მკაცრად არ არიან საზღვარგაღებულნი, ყოველ შემთხვევაში სასტიკად არიან შეფერადებულნი განსაზღვრულ კლასობრივ ფერადებით. ენგელსი დიდ სიმართლეს ამბობს: „გაბატონებულ კლასის აზრები ყოველ სათანადო ეპოქაში გაბატონებულ აზრებს წარმოადგენენ, ე.—ი. კლასი, რომელიც საზოგადოების გაბატონებულ მატერიალურ ძალას წარმოადგენს, იგი ამავე დროს საზოგადოების გაბატონებულ სულიერი ძალაც არის.“ (კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ირქივი“, 230 გვ.)

თუ ეს მართალია, მაშინ ლაბარაკი კლასობრივი კულტურის შესახებ სრულებითაც არ არის „პირობითი“ რამ, იგი პირობითია მხოლოდ იმ აზრით, რომ სასტიკ პრონოლოგიურ წესით ძნელია ერთი კულტურის მეორე კულტურად გადატვივის დასაწყისი განვსაზღვროთ; მეტი არაფერი. ეს უკვე მარქსს აქვს აღნიშნული თავის განთქმულ წინასიტყვაობაში.

ამგვარად, კულტურულ პერიოდების განსაზღვრა გაბატონებულ საწარმოო ურთიერთობათა მიხედვით, გაბატონებულ კლასის და ამ კლასის იდეათა ბატონობის მიხედვით სრულებითაც არ წარმოადგენს მხოლოდ კვლევა-ძიების ხერხს.

კლასობრივი კულტურა რომელიმე ფაზისი არ არის „უახლოესის განსაზღვრით“, იგი სოციალიზმით რეალურია რამაა.

კლასობრივი კულტურა არის იმ იდეათა და ამ საშუალებათა (ნივთიერ და სულიერ) ჯგუფი, რომელშიც მიმართულნი არიან სათანადო კლასის ბატონობის განმტკიცებისა და უკვდაყოფისაკენ; კლასობრივი კულტურა ვითარდება და მუდამ ეგუება სწორედ ამ იმეციანებს. შრომის განაწილების არსებობა კლასის წევრთა შორის—მთ შორის „ვისთვისაც საზრდოობის მთავარ წყაროს წარმოადგენს ამ კლასის ილუზიების შექმნა თავისთავის შესახებ“ და მთ შორის, ვინც ამ ილუზიებს ეკიდებიან „პასიურად და რეცეპტიურად, ვინაიდან სინამდვილეში ისინი ამ კლასის აქტიური წევრები არიან და ნაკლებად დრო აქვთ

თავისთავის შესახებ ილუზიებისა და აზრების შედგენისათვის (ე. წ. მარქსისა და ფ. ენგელსის არქივი, 231 გვ.) მხოლოდ იმით და მხოლოდ ამიტომ მართლდება სოციოლოგიურად, რამდენადაც თვითეული მხარე თავისებურად ანხორციელებს ამ ამოცანას, გაბატონებულ კლასის ილუზიები თავისთავის შესახებ, სრულიად აშკარაა, ამ კლასის წევრებისათვის კი არ არის საჭირო, არამედ საჭიროა როგორც საზოგადოებრივი კლასების დასამორჩილებლად, როგორც იმის საშუალება, რომ გაბატონებულმა კლასმა თავისი ინტერესები საზოგადოების ინტერესებად წარმოადგინოს, თავისი აზრები—ყველასათვის მნიშვნელოვან, ერთად ერთ გონიერ აზრებად დასახოს. ასეთია კლასობრივ კულტურის აზრი; თუ მას დანიშნულებად არა აქვს გაბატონებული კლასის ბატონობის განმტკიცებისა და უკუდავითის საშუალებად იყოს, მაშინ კლასობრივი კულტურა სრულიად ზედმეტია და ჰეარავს იმას, რაც მას კლასობრივ ხასიათს ანიჭებს. რასაკვირველია, ამასთანავე მტკიცედ უნდა გვახსოვდეს, რომ როდესაც მარქსი გაბატონებულ კლასის ილუზიებზე ლაპარაკობს, ის ერთს წუთსაც არ იფიქრებს ყველა საჭირო შენიშვნას: ილუზიებს სწორედ იმიტომ აქვთ ძალა, რომ მათ მატარებელთათვის რეალობას წარმოადგენენ და გაბატონებულ კლასის რეალურ საარსებო მოთხოვნილებებს შეეფერებიან.

ამჟამად რუსეთში გაბატონებული კლასი პროლეტარიატია. მაგრამ აი რა არის დამახასიათებელი ამ გაბატონებულ კლასისათვის—იგი არამც თუ არც იღობს უკუდავითის თავისი ბატონობა, არამედ ყველა თავისი საშუალება და იდეა იქითკენ აქვს მიმართული, რომ ყოველგვარი კლასი და ყოველგვარი ექსპლოატაცია მოსპოს. აქედან სრულიად აშკარაა, თუ რატომ თითონ არა ჰქვანის კლასობრივ კულტურას და არც არავინ არის, რომ შეუქმნას მას კლასობრივი კულტურა.

ბურჟუაზიას, კლასობრივ კულტურას ბურჟუა კი არ უქმნა და არც ბანკირი, არამედ ამისათვის საგანგებოდ დაქირავებულ პირთა წრე. ენგელსი სწერს: „იმ კლასს, რომელსაც შეუძლია განაგებდეს მატერიალურ წარმოების საშუალებებს, ამის გამო აგრეთვე სულიერ წარმოების საშუალებებიც აქვს, ისე რომ ამის წყალობით იგი ბატონობს საერთოდ იმათ აზრებს, ვისაც სახსარი არა აქვს სულიერი წარმოებისათვის“ („არქივი“, 230 გვ.). რაკი კაპიტალისტი „აზრების ბატონი“ იყო, სრულიად ბუნებრივია, რომ იგი ამ აზრების საშუალებით ილუზიებს ჰქმნიდა თავისთავის შესახებაც, თავის უფლებათა შესახებაც, საკუთრების „საღმრთო კანონების“, დემოკრატიის, პიროვნების თავისუფლების და სხვათა შესახებ. ახლა აზრებს პროლეტარიატი ჰბატონობს, მას არამც თუ არა სურს ასეთი სამარადისო კანონები, არამედ იგი ყველასაგან მოითხოვს ნათელ შეგნებას, რომ პირი ბატონობა დროებითია; იმიტომ შესაძლებელია თუ არა ლაპარაკი კლასობრივი კულტურის შესახებ? პროლეტარიატი ააშკარავებს ყველა ილუზიას, ანხელს ყველა კერპებს, რომელთაც ბურჟუაზიის კლასობრივი კულტურა ესოდენ უზვად სთხზავდა და მსიებს ასულელებდა.

პროლეტარიატი მოითხოვს ყველასაგან, ვის „აზრებსაც“ ჰბატონობს, რომ



ბურჟუაზიისაგან მიღებულ ყველა საშუალებით ამაღლოს <sup>საქართველოს</sup> ხალხის მდებარე ყველა იმ იდეის შესაგნებად. ის მოითხოვს ყველასაგან, ვის აზრებსაც იგი გაბატონობს, არა კლასობრივი კულტურის შექმნას, არამედ „კულტურულ რევოლუციას“ ისე, როგორც პროლეტარიატმა მოახდინა სოციალური რევოლუცია.

მაგრამ „კულტურულ რევოლუციის“ შესახებ, რომელიც ლენინმა უდიდესის მკაფიოებით გამოხატა, ჩვენ ჭევემოდ მოვილაპარაკებთ, ახლა ორიოდ სიტყვა კიდევ ვსთქვათ კლასის კულტურისა და კლასობრივი კულტურის შესახებ.

### V

რა არის კულტურა? ზოგი მას „ორგანიზულად მთლიან და წინაგანად შეთანხმებულ სისტემადა“ სთვლის, ზოგი—ადამიანის მეცადინეობით შექმნილი, ყოველივე გონებრივის და მატერიალურის ერთგვარ ჯამად,—„ყველაფერი, რაც ადამიანის მუშაობის შედეგიაო“ (მ. პოკროვსკი).

ჩვენ ვფიქრობთ,—სხვადასხვაობა იქიდან წარმოსდგება, რომ ამ თვალსაზრისთა მომხრენი სხვადასხვანაირ საგნებს განსაზღვრავენ. მაგალითად, პოკროვსკი კულტურას განსაზღვრავს „სიტყვის ფართო მნიშვნელობით“, პირველი თვალსაზრის მომხრენი კი კლასობრივ კულტურას განსაზღვრავენ, იმასაც მთლად სწორად და მარჯვედ არა, ვინაიდან კლასობრივი კულტურაც კი საეჭვოა, რომ შესაძლებელი იყოს იგი „მთლიან“ სისტემადა ჩაითვალოს.

ჩვენის აზრით უფრო მიზანშეწონილი იქნება ეს ორი რამ დავყოთ, თუმცა მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული იმ მხრით, რომ საზოგადოდ კულტურა კლასობრივ კულტურათაგან შემდგება, ან უფრო სწორედ რომ ვსთქვათ კლასობრივ კულტურისაგან პლიუს წარსულის კულტურათაგან შემკვიდრობით მიღებული ღირებულებანი. მაგრამ ასეთი დაყოფა იმით მართლდება, რომ კლასობრივი გაცილებით უფრო ფიწრა, ვიდრე „საზოგადოდ კულტურა“. კლასობრივი კულტურა ყველაფრის გადამუშავებას და მონელებას ვერ ახერხებს, რასაც „საზოგადოდ კულტურა“ შეიცავს.

ჩვენის თვალსაზრისით საზოგადოდ კულტურას ძალიან კარგად განსაზღვრავდა მ. ნ. პოკროვსკი: „ყველაფრის ჯამი, რაც ადამიანის მეცადინეობას შეუქმნია წინააღმდეგ იმისა, რასაც მუქთად, ჩვენის ძალ-ღონის დაუხარჯველად ბუნება გვაძლევს“. მაშასადამე ყველაფერი—იდგებიც, საშუალებანიც, მატერიალურიც, სულიერიც.

მაგრამ ეს ჯერ კიდევ თავის თავად არაუფერს ნიშნავს, ვინაიდან ჯერ არ ყოფილა ისტორია „საზოგადოდ“, ხოლო საზოგადოების მთელი ისტორია—როგორც ვიცით—„აქამდე კლასთა ბრძოლის ისტორია იყო“.

ნუ გავიმეორებთ ყველასათვის ცნობილ სიტყვებს გაბატონებულ საწარმოო ურთიერთობათა შეცვლის შესახებ, რომელიც იწვევს გაბატონებულ კლასების შეცვლას და სხვა. მაგრამ გაბატონებულ საწარმოო ურთიერთობათა შეცვლა მთელ ამ „ჯამს“, რომელსაც კულტურა ეწოდება, ახალ გაბატონებულ კლასს გადასცემს. რა მოსდის ამ „ჯამს“? მის მატერიალურ ნაწილს თვით საწარმოო ურთი-



ერთობათა შეცვლა გარდაჭეპნის და შეუფარდებს ახალ გაბატონებულ კლასის ინტერესებს. საჭიროა უფრო სწორედ ითქვას: ძველი საზოგადოების წიაღში ახალ საწარმოო ურთიერთობათა მომწიფების პროცესი არის შეგუებისა, მატერიალურ კულტურისა, თვით წარმოების ელემენტების მიხედვით. მაგრამ გაბატონებულ კლასის ინტერესები, რომელნიც ყველაზე უფრო სწორედ და ყველაზე უფრო მკვიდრად ახალ საწარმოო ურთიერთობათა გამოთქმული, აუცილებლად იწვევს იმას, რომ გაბატონებულ კლასის აზრები გაბატონებულ აზრებად ხდება და წინა კლასების აზრებს სრულიად აძევებენ ან კიდევ მნიშვნელობას უკარგავენ. ეს პროცესი ისე მშვენიერად აქვს დახატული ენგელსს, რომ აქ მისი სიტყვები უნდა მოვიყვანო: „გაბატონებულ მატერიალურ ურთიერთობათა მხოლოდ იდეალური გამოსახულება, ივინი აზრებად გამოსახული გაბატონებული მატერიალური ურთიერთობანია, ე. ი. ისეთი ურთიერთობანი, რომელნიც რომელსავე კლასს გაბატონებულ კლასად ხდიან, ე. ი. მისი ბატონობის აზრებს წარმოადგენენ. გაბატონებულ კლასის წარმომადგენელ ინდივიდებს, სხვა საგანთა შორის შეგნებაცა აქვთ და, მაშასადამე, აზროვნებენ; ამიტომ თავის თავად ცხადია, რომ, რამდენადაც ეს ინდივიდები ბატონობენ როგორც კლასი და განსაზღვრავენ რომელიმე ისტორიულ ეპოქის მთელ შინაარსს, ისინი ამას მთელის არსებით ხაზადიან, ე. ი. ბატონობენ, სხვათა შორის როგორც მოაზროვნე არსებანი, როგორც აზრის მწარმოებელნი, აწესრიგებენ თავის დროის აზრთა წარმოებასა და განწილებას, და, მაშასადამე მათი აზრები ეპოქის გაბატონებულ აზრებს წარმოადგენენ“ („კ. მარქსისა და ფ. ენგელსის არქივი“, 230 გვ.). მაგრამ თვით აზრების წარმოება სრულებითაც არ არის ისეთი მარტივი, როგორც შეიძლება აღაშინოს ესკენებოდეს. შრომის განაწილება, რომელიც წარსულ ისტორიის ერთ-ერთ მთავარ ძალას წარმოადგენს, „გაბატონებულ კლასშიცა მოსჩანს, სულიერ და მატერიალურ შრომის სახით; ისე რომ ამ კლასის ერთი ნაწილი მის შიგნით გამოდის, როგორც კლასის მოაზროვნენი (კლასის აქტიური შემოქმედი იდეოლოგები, რომელთათვისაც საზრდოობის მთავარ სათავეს წარმოადგენს ამ კლასის ილუზიების შექმნა თავისთავის შესახებ), მაშინ როდესაც მისი მეორე ნაწილი ამ ილუზიებს პასიურად და რეცეპტიურად ექილება, ვინაიდან ესენი სინამდვილეში კლასის აქტიური წევრები არიან და მცირე დრო აქვთ, რომ თავისთავის შესახებ ილუზიები და აზრები შეადგინონ“ („არქივი“, 281 გვ.), ამგვარად სრულიად ცხადია, რომ კლასობრივი კულტურა არის იმ იდეათა და იმ საშუალებათა (მატერიალურ და სულიერ) ჯამში, რომელნიც მიმართულნი არიან ხათანადო გაბატონებულ კლასის განმტკიცებისა და უკვადაყოფიხაკენ. ამის შესახებ ზემოდ უკვე გვქონდა ლაპარაკი. მაგრამ იმ დროს ერთი საკითხი არ გავიშვქებია, სახელდობრ, როგორ ხდება ესა, ე. ი. რითი გამოიხატება იგი, ენგელსი აქვე იძლევა მშვენიერ პასუხს: სამარადისო ჭეშმარიტებათა შექმნით. თავის აზრთა სიერთო მნიშვნელობის აზრებად, ერთადერთ გონიერ აზრებად წარმოადგენის საშუალებით. „გაბატონებულ კლასს თითონ აქვს საზოგადოდ რომ ვსთქვათ, წარმოდგენა, რომ მისი ცნებანი ბატონობენ და წინა ეპოქების გაბა-



ტონებულ წარმოდგენათაგან იმით განასხვავებს, რომ თავის კინემატოგრაფი-  
სო კეშმარტებად სახავს“ („არქივი“, 231 გვ.). გაბატონებული კლასი თავის  
ბატონობას წარმოადგენს განსაზღვრულ იდეათა ბატონობის სახით, სამარაღისო  
პრინციპების რეალიზაციის სახით და ამკვიდრებს თავის ბატონობას მანამდე,  
სანამ „გაბატონებულ საწარმოო ურთიერთობათა“ შეგნით არ მომწიფდება ახა-  
ლი ურთიერთობანი, რომელთაც ბატონობა შემკვიდრებობით უნდა შეიღონ.  
„მთელი ეს მირაჟი, ვითომც განსაზღვრულ კლასის ბატონობა მხოლოდ განსა-  
ზღვრულ იდეათა ბატონობა იყოს, რასაკვირველია, თავისთავად ჰქრება, რაწამს  
კლასების ბატონობა საერთოდ საზოგადოებრივი წყობილების ფორმას ჰკარ-  
გავს, მაშასადამე, რაწამს საჭიროება აღარ მოითხოვს, რომ განსაკუთრე-  
ბული ინტერესი წარმოდგენილ იქნას საყოველთაო ან კიდევ საზოგადოდ გაბა-  
ტონებულ ინტერესად“ („არქივი“, 232 გვ.). სხვანიირად რომ ვსთქვათ, კლასო-  
ბრივი კულტურა კლასების მოსპობასთან ერთად ქრება. ეს სრულიად გასაგები  
და ცხადია.

მაგრამ ზემოხსენებულიდან ჩვენს ყურადღებას კიდევ ერთი მნიშვნელოვანი  
გარემოება უნდა იქცევდეს. ენგელსი ამტკიცებს, რომ რევოლუციათა ეპოქაში  
ძველ გაბატონებულ კლასის კლასობრივი კულტურის-მიერ შექმნილი ილუზია  
ჰქრებაო და იქნება საკუთარი, რევოლუციონური კულტურა, რომელიც თვალ-  
საინოდ განსხვავდება კლასობრივ კულტურათაგან. „ყოველი ახალი კლასი, მე-  
ტადრე კი ის, რომელიც მანამდე გაბატონებულ კლასის ადვილს იჭერს, თავის  
მიზნების მისაღწევად იძულებულია საკუთარი ინტერესები წარმოადგინოს საზოგა-  
დოების ყველა წევრის საერთო ინტერესის სახით, ესე იგი იდეალი-  
ზმის ენით რომ გამოვსთქვათ, იძულებულია თავის აზრებს საყოველთაოდ  
ბასიათი მისცეს, დასახოს ივინი ერთად-ერთ გონიერ, საერთო მნიშვნე-  
ლობის აზრებად. რევოლუციონური კლასი გამოდის არა როგორც კლასი,  
არამედ როგორც მთელი საზოგადოების წარმომადგენელი; იგი გამოდის  
როგორც მთელი საზოგადოების მასა წინააღმდეგ ერთად-ერთ გაბატო-  
ნებულ კლასისა. ეს რევოლუციონური კლასისათვის შესაძლებელია, ვინაიდან  
თავდაპირველად მისი ინტერესე ი მართლაც ჯერ კიდევ მძლავრადია გადაჯაჭ-  
ვული დანარჩენ, არა გაბატონებულ, კლასების ინტერესებთან, რომელთაც ვერ  
შესძლეს წარსული მდგომარეობის ზეგაყენით, განვითარებულიყვნენ განსაკუთ-  
რებულ ინტერესებად“ („არქივი“, 231—232 გვ.). ჩვენის აზრით ეს ფრად  
საინტერესო აზრია, რამაც იმ დასკვამდე უნდა მიგვიყვანოს, რომ კლასობრივი  
კულტურის გვერდით არსებობს ერთგვარი რევოლუციონური კულტურა; იგი  
გამოიბატება იმ იდეათა და იმ საშუალებათა ჯამით, რომელნიც აერთიანებენ  
მთელ „საზოგადოებას“ (ე. ი. ყველა არა გაბატონებულ კლასებს) გაბატონე-  
ბულ კლასის წინააღმდეგ და მას გამარჯვების დონისძიებას აძლევენ. „ახალი  
კლასი თავის ბატონობას უფრო ფართო ნიადაგზე ამყარებს, ვიდრე მანამდე  
გაბატონებული კლასები; მაგრამ სამ გეგროდ შემდეგ მით უფრო მეტის სიმ-  
წვავით და სიღრმით ვითარდება წინააღმდეგობანი არა გაბატონებულ კლასებსა



და გაბატონებულ კლასს შორის ეს ორივე ფაქტორი ჰქონს. უმეტესწილად გაბატონებულ კლასის წინააღმდეგ წაიშობა და ბრძოლა თავის მხრით წინანდელ საზოგადოებრივ წყობილების უფრო აშკარა, უფრო რადიკალურ ფარყოფას იწვევს, ვიდრე ამას ყველა წინანდელი, რატონობისადმი მიმსწრე ფიქლები სჩადიოდნენ“ („არქივი“, გვ. 282). „შემდეგა“ . როდის „შემდეგ“? — როდესაც რევოლუციონური კულტურა გარდაიქმნება იმ მხრით, რომ იქიდან გამოეყოფა ყველაფერი რაც სპეციფიკურ კლასობრივია და ახალი ელემენტები კლასობრივ კულტურად ჩამოყალიბდება.

სრულიად აშკარაა, რომ კლასი, როქელიც ამოკანად ისახავს ყოველგვარ კლასების მოსპობას, რევოლუციონურ კულტურის დამკვიდრების დროს თავიდან იშორებს პირველ ყოვლისა სპეციფიკურ-კლასობრივს, რითაც უკლასო კულტურისაკენ გზას შეიწოკლებს.

კლასობრივ და რევოლუციონურ კულტურათა შორის კიდევ ერთი განსხვავება არსებობს. კლასობრივი კულტურა იმათი შექმნილია, ვინც სპეციალისტები არიან კლასის ილუზიების შექმნისა თავის თავის შესახებ, რევოლუციონური კულტურა კი, პირიქით, კლასის ნამდვილი კულტურაა. ეს კულტურა შეუქმნია მთელ კლასს იმ „არა გაბატონებულ კლასებთან“ ერთად, რომელთა ინტერესების გამომსახველადაც იგი რევოლუციის დროს გამოდის.

კლასის კულტურასა და კლასობრივ კულტურას შორის არსებობს კიდევ ბევრი მეტ ნაკლებად ადვილად გასარჩევი განსხვავებანი, მაგრამ მათ შესახებ სიტყვას არ გავავარძელებთ.

არც ერთს საღად მოაზროვნე მარქსისტს არ შეუძლია ბურჟუაზიული კულტურა ბურჟუაზიის კულტურად ჩასთვალოს. ზემოდ ნათქვამ სრულიად აშკარაა, თუ რატომ. მაგრამ ძნელია, რომ, მაგალითად, დიდ ბურჟუაზიულ რევოლუციათა კულტურა მესამე წოდების კულტურად არ ჩავთვალოთ.

მაგრამ როგორ არის პროლეტარიატის საქმე?

ის, რასაც ამხ. ლუნჩარსკი სრული დაბნევის დროს პროლეტარულ კულტურად სთვლის, ნამდვილად პროლეტარიატის კულტურაა, თუ შეიძლება ასე აღვნიშნოთ, ე. ი. ჯამია იმ იდეათა და საშუალებათა (ორგანიზაციის მეთოდებისა) რომელნიც შეუმუშავებია მთელ კლასს კლასთა ბრძოლის დროს და რევოლუციის პროცესში, შეუმუშავებია და არა გამოუგონებია; ხილო რად გან ეს კულტურა იმის დროს არის შეუმუშავებელი ამიღომ იგი პრინციპ ალურად არაფრით განსხვავდება წინა რევოლუცი თა ასეთ ვე ჯამისაგან (კულტურისაგან); თვითელმა წინა რევოლუციამ რაიმე წვლილი შეიტანა იმ ჯამში, რომელსაც ახლა პროლეტარიატი ჰკლავს. მაგრამ საქაროა .ღვინზნოთ, წინა რევოლუციების შესახებ ლამარაკის დროს. ჩვენ სრულებითაც არ გვ ვიწყდება, რომ ბურჟუაზიულ რევოლუციათა ფრიალ დიდი ნაწილი პროლეტარიატს შეუქმნია.

საფრანგეთის დიდი რევოლუციის მესამე წოდება არ.მც თუ მთლიანად არ თანხვდება ბურჟუაზიასთან,—პირიქით მესამე წოდებაში ყველაზე აქტიური



შემოქმედი ელემენტი პროლეტარიატი იყო (მე ვლადიმერ კობახიძის რეგულირების მიზნების შემოქმედების შესახებ). მოიგონეთ თუნდაც ლიონი და ბაბუიშვილი!

ჩვენ აღარაფერს ვამბობთ 48 წლის რესახებზე, როდესაც პროლეტარიატმა, როგორც რევოლუციონური კულტურის ნაშედეგმა შემოქმედმა, იმდენად იზინა თავი, რომ სამუდამოდ დააშინა ბურჟუაზია. მაგრამ ეს გარემოება კიდევ ერთხელ მოწმობს, თუ რამდენად მართალნი ვართ ჩვენ, როდესაც რევოლუციითა კულტურის მემკვიდრეობისა და თანამიმდევრობის იდეას ვაკავებთ.

ჩვენ გვგონია, — ზედმეტი არ იქნეოდა ალგვენიშნა, რომ თუ ბურჟუაზიული რევოლუციები იმ პრინციპებს აღიარებდნენ, რომელნიც ბურჟუაზიულ კულტურას საფუძვლად ედებოდნენ, სამაკეოდ ის მეთოდები და საშუალებანი, რომელთაც თვით რევოლუციის დროს იყენებდნენ, ხარებაში არ შედიოდა, არ შედიოდა იმ ჯამში, რასაც ბურჟუაზიული კულტურა ეწოდება; მიზეზი გასაგებია: თუ ბურჟუაზიული კულტურა ცდილობდა უკვდავეყო ბურჟუაზიის ბატონობა, მაშინ ბურჟუაზიულ კულტურას აუცილებლად ხელი უნდა აეღო რევოლუციის ყოველგვარ იდეაზე, რომელსაც (ძას შედეგ რაც მან ბურჟუაზიის ბატონობა მიანიჭა), შეეძლო ბურჟუაზიისათვის წაერთმია ხელისუფლება, თუ ხსენებული იდეა შემდგომს განვითარებას განიცდიდა.

მართლაც, განა იაკობინთა კლუბები ბურჟუაზიისათვის ძალიან სასიამოვნო მოსაკონინებელია, ან ფრიალ კეთილი დოქტორის ინსტრუმენტს — გილიოტინას — განა შეეძლო რაიმე ილიუზია შეექმნა ბურჟუაზიის შესახებ? თუმცა სანკიულოტთა ბრძოლამ ბურჟუაზიის ხელისუფლება და ბატონობა მიანიჭა, მაგრამ სანკიულოტთა მეთოდები და საშუალებანი იაკობინობა — ზენსკენ უნდა გამოწვეულიყვნენ და არა ბურჟუაზიისა, რომლის თვალსაზრისითაც რევოლუციის მეთოდების გამოყენება მხოლოდ ერთხელ შეიძლება და ისიც მისი ბატონობის მოსაპოებლად. ვის შეუძლია სთქვას, რომ ტერორი, დიქტატურა, ცენტრალიზაცია ქმნილი მართვა-გამგეობა, რევოლუციონური არმია — სწორედ პროლეტარული კულტურის ელემენტებია? მეორე მხრით, არა გვგონია, რომ ეს ელემენტები ვინმე სერიოზულად ბურჟუაზიის კულტურას მიაკუთვნოს. რევოლუციითა კულტურას თავისი თანამიმდევრობა აქვს, და სრულებითაც არაფერი უშავს, თუ უდიდეს რევოლუციითა ეპოქაში პროლეტარიატის მიერ შექმნილი კულტურა რევოლუციონური კულტურაა და არა პროლეტარული.

ამ მხრით არამც თუ მზაკესებაა, არამედ განსხვავებაა პროლეტარულ რევოლუციასა და ბურჟუაზიულ რევოლუციითა შორის.

ბურჟუაზიულ რევოლუციებში სრულიად შეურიგებელი წინააღმდეგობაა რევოლუციითა კულტურასა და იმ პრინციპებს შორის, რომელთაც ეს რევოლუციია აღიარებს, ე. — ბურჟუაზიის კლასობრივ კულტურას შორის. კონვენტსა და რევოლუციის შემდგომი დროის საკანონმდებლო კრებათა შორის უდიდესი, შეურიგებელი წინააღმდეგობაა, თუმცა ბურჟუაზიულ დემოკრატიის საფუძვლების ფერტიშხაცია ბოლოსა და ბოლოს სწორედ კონვენტსა მოახდინა. რომელიმე ბურჟუაზიულ ქვეყნის საკანონმდებლო კრება კლასობრივი კულტურის ერთი საი-



შედო ელემენტთაგანია, — კონვენტი კი სწორედ იმდენად შედგენილ მუშაკუთხის კლასობრივ კულტურაში, რამდენადაც ამ „ელემენტის“ უკვდავკონვენტის შექმნა. რევოლუციის ბრძოლის არც ერთი მეთოდი და საშუალება ბურჟუაზიის კლასობრივ იდეათა და საშუალებათა ჯამის ნაწილად არ გაიზარა, თუ კი ასეთ იდეებად და საშუალებებად რევოლუციასთან ბრძოლის მეთოდებს, კონტრ-რევოლუციის მეთოდებს არ ჩავთვლით.

გარეგნად ეს გამოიხატა მკაცრ, თითქმის საყოველთაო ლაშქრობად რევოლუციონერ მეთოდებისა და საშუალებათა წინააღმდეგ, თვით რევოლუციის იდეის წინააღმდეგ; ამ ლაშქრობას მუდამ ბურჟუაზიის იდეოლოგები აწყობდნენ, ე. — ი. ისინი, ვის აზრებსაც ბურჟუაზია ჰბატონობდა დიდი რევოლუციის შემდეგ.

სრულიად სხვანაირად არის პროლეტარულ რევოლუციის საქმე. პროლეტარიატის რევოლუციონერი კულტურა ჯამია იმ იდეათა და საშუალებათა, რომელიც ნაანდერძევეა მთელ წარსულ კულტურისაგან ყველა წარსულ რევოლუციათაგან, ის ჯამია, რომელიც მთლიანად და სრულად შეეფერება კლასის ინტერესებსა და მიზნებს, თუნდაც იმიტომ, რომ იგი (ჯამა) მიმართული არ არის ვინიმე ბატონობის უკვდავყოფისაკენ. პროლეტარიატი — ერთადერთი კლასია, რომლის ინტერესები მთლიანად აღბეჭდილია რევოლუციის კულტურაში, — ეს იმას ნიშნავს, რომ პროლეტარიატი ერთადერთი კლასია, რომელიც არ საჭიროებს კლასობრივი კულტურის შექმნას რევოლუციიდან მომავლის აღმშენებლობაზე გადასასვლელად; ეს მომავალი კი მას წარმოდგენილი აქვს კომუნისმად. პროლეტარული რევოლუცია — ერთადერთი რევოლუციაა, რომელიც არ უკვდავყოფს არავითარ კლასობრივ იდეალებს; ამ მხრით პროლეტარული რევოლუცია არა პროლეტარულ რევოლუციებისაგან სწორედ იმით განსხვავდება, რომ იგი არავითარ კლასობრივ კულტურას საფუძველს არ უყრის. რევოლუციონერი კულტურა, რომლის ამოცანები უდიდეს წილად თითქმის ყოველთვის ნეგატიური იყვნენ, — რევოლუციის კულტურაა, — პროლეტარიატის გასანთავისუფლებელ ბრძოლაში შემუშავებულ საშუალებათა და მეთოდების ჯამია; რევოლუციონერი კულტურა სწორედ ის არის, რაც პროლეტარიატს ესაჭიროება იმისთვის, რომ შეასრულოს თავის ამოცანათა შორის ყველაზე უდიდესი, ყველაზე ძნელი, ყველაზე მძიმე ამოცანა — სახელდობრ, მოახდინოს კულტურული რევოლუცია.

ამ პროცესის დამთავრების მომენტი (ეინაიდან, როგორც დაფინანსავთ, კულტურული რევოლუცია — მთელი პროცესია) თანხედება სოციალიზმზე, ნამდვილ უკლასო კულტურის შექმნის ეპოქაზე გადასვლის მომენტს, რაც პროლეტარიატის ნამდვილ კულტურას წარმოადგენს.

მხოლოდ უკლასო კულტურა შეიძლება იყოს იმ კლასის კულტურად, რომლის საარსებო ამოცანები ყოველგვარ კლასის უარყოფაში მდგომარეობს. გზა ამ უკლასო კულტურისაკენ კულტურულ რევოლუციაზე მიიწართება





დაეუბრუნდეთ ლუნაჩარსკის. იგი იცავს პროლეტარიატს იმ უსამართლო შეურაცხყოფისაგან, რომელსაც „უმადური“ იაკოვლევი აყენებს. ამ დაცვის დროს ჩვენმა რევითელესმა პროლეტარულ კულტურის ხობტის შემსხმელმა ისეთი დებულება წამოაყენა, რომ დიდად შეგვაფიქრიანა.

თქვენ თითონვე განსაჯეთ. ლუნაჩარსკი ამართლებს პროლეტკულტურ სურვილს, რომ კრიტიკულად შეითვისოს ძველი კულტურა და სწერს: „თუნდაც მართო ის გარემოება, რომ თითქმის მთელი ბურჟუაზიული კულტურა, ვიდრე ბუნებისმეტყველებამდე (როგორც სწორედ აღნიშნა ამხ. სტეფანოვმა), ფრიად საიჭვოა შხამიან ინციდენტების საქმეში, — გვაძლებს საჭიროდ მივიჩნიოთ, რომ მათ დაუპირდაპიროთ, კრიტიკის წარმატებისათვის, რომელიმე ხაკუთარი კრიტიკიუმი. ჩვენ ჩვენი სვეტი გვაქვს (! ვ. ვ.) და ყვარჯენი — მარქსიზმი. ჩვენ მარქსიზმისაგან ისეთი დასკვნა უნდა განოვიყვანოთ, რომელიც დასაყრდნობ პუნქტად გამოგვადგება მის ძირითად თემათაგან უფრო დაწორებულ ცოდნათა კრიტიკულად შეთვისების დროს“ („Идеализм и материализм“, 127 გვ.).

თუმცა ყველაფერი ეს ძალიან ბუნდოვნად არის ნათქვამი, მაგრამ ის მკითხველი, რომელსაც კრიტიკული უნოსვა აქვს განვითარებული, ადვილად მიხვდება, თუ რაშია საქმე. ვინ იქნება იმის წინააღმდეგი, რომ მარქსიზმი ადამიანთა ცოდნის ყველა დარგში იქმნას გამოყენებული? არაფერია. მაგრამ რითი უწყევს ეს მფარველობას პროლეტარულ კულტურას? არ ვიცით. ცოდნის რომელიმე დარგის კრიტიკის დროს რომ მარქსიზმი გამოვიყენოთ, საჭიროა: 1) მარქსიზმი ვიცოდეთ, 2) ვიცნობდეთ ცოდნის იმ დარგს, რომელსაც გვსურს კრიტიკა გავუწიოთ. მაშასადამე, პროლეტარიატის ყველა ჭეშმარიტ „მეკულტურეთა“ მთელი ზრუნვა (ყველა მათი, ვინც „ტილიანი არ არის“) იქითკენ უნდა იყვეს მიმართული, რომ მუშათა კლასის რაც შეიძლება მეტი წარმომადგენელი ამაღლდეს ამ ცოდნამდე. მაშასადამე — რის შესახებ ეკამათებიან ერთმანეთს იაკოვლევი და ლუნაჩარსკი?

საქმე ის არის, რომ საქმე ასე მარტივი არ არის. რა არის ჩვენთვის მარქსიზმი — დიალექტიკური მატერიალიზმი? ეს არის მთელი, დასრულებული მსოფლმხედველობა. ყოველ ამგვარ მარქსისტისათვის საქმე იმას კი არ შეეხება, რომ „შეიმუშავოს“, არამედ იმას, რომ „გამოყენება“ იცოდეს, ამისათვის კი სწავლაა საჭირო. მაგრამ ლუნაჩარსკის მიხედვით საკითხი ასე სდგას: „პროლეტკულტი, როგორც ასეთი, ყოველთვის მარჯვე ცდა არ იყო, მაგრამ ყოველთვის დროული ცდა იყო, რომ ახლავე შექმნილიყო ბაზა პროლეტარიატისათვის, რათა მის ემუშავა ძველი კულტურის კრიტიკულად შეთვისებისათვის და ახალი კულტურის ზოგიერთი ფუძის შექმნისათვის. (Идеализм и материализм“ 127 გვ.). სამკვლავი ამაშია. ყიელა, ვინც ფიქრობს, რომ „იდეოლოგიების“\*) ძალ-ღონით

\*) ამ სიტყვის უცუფესი მნიშვნელობით, ვინაიდან ისინი განგებ ეგუებიან იმ ამოცანას, რომელიც ეხოვრებას და მუშათა მოძრაობას არ წამოუყენებია.

შეიძლება ისეთი ბაზის შექმნა, რაზედაც მთელ კლასს, შეუძლიან დასწრება, კლასს, რომლის მასსა ელემენტარულ კულტურას არ ზიარებულა. ამასთანავე იმასთან ან არა ამქვეყნიური უტოპისტი და მეოცნებეა, ან გაუსწორებელი იდეალისტი, ჯადოსნურ მნიშვნელობას რომ ანიჭებს ერთხელ აღძრულ იდეებს, ან კიდევ მას არ ესმის მუშათა კლასის მოძრაობის ამოცანები და ბუნება. უკანასკნელ ვარაუდს ლენინარსკის ვერ მიუყენებ, მხოლოდ ისლა დამრჩენია ესოქეა, რომ ლენინარსკაც და მისი მიმდევარნიც—ხალასი უტოპისტები არიან.

ჩვენ ლენინთან ერთად ვაზნობთ, რომ ისტორიამ გვაძლუა სოციალიზმის შენობა აფავოთ ისეთ პირობებში, როდესაც მუშისა და გლეხისათვის არჩევანი არ არსებობს: ან მიიღე ბურჟუაზიული კულტურა და მისგან სოციალიზმი ააგე, ან სოციალიზმზე ხელი აიღე. „დაწყონებლივ, ახლავე აფავოთ სოციალიზმი იმ მასალისაგან, რომელიც კაპიტალიზმსა დაგვიტოვა გუშინდელ დღიდან დღეისთვის, და არა იმ ადამიანებისაგან, რომელნიც შეშაში იქნებიან გამოცხვარნი, თუ რომ ამ იგავით თავს შეიქცევეთ“ (В. И. Ленин (Ульянов), Собр. соч., т. XVI, 72 გვ). „იგავი“ პროლეტკულტურ ფანტაზიებს ეხება, სხვას არაფერს. ამ ფანტაზიების აეტორნი გვპირდებიან თავის „შეშებში“ დაამზადონ პროლეტარული კულტურაც და ამ საქმის სპეცებიც, მაგრამ ლენინმა კარგად იცის ზნე და ბუნება პროლეტკულტურ თაღმუდებლისა, რომელთაც შეეძლოთ მისი სიტყვა „მასალის“ შესახებ წალში-ჟუღლმა ეტრიალებიათ, ეს რომ არ მომადარიყო, ლენინი პირდაპირ განმარტავს, თუ რის შესახებ ლაპარაკობს: „ეს არის ამოცანის ერთი ნახევარი და დიდი ნახევარიც. საბჭოთა აპარატი იმას ნიშნავს, რომ მშრომელნი ისე არიან გაერთიანებულნი, რომ თავისი მასობრივი გაერთიანების სიმძიმით გასრისონ კაპიტალიზმი. გასრისეს კიდევ. მაგრამ გასრესილი კაპიტალიზმი ვერ გავაძლობს. უნდა მივიღოთ მთელი კულტურა, რომელიც კაპიტალიზმსა დაგვიტოვა და მისგან სოციალიზმი აფავოთ. უნდა მივიღოთ მთელი მეცნიერება, ტეხნიკა, მთელი ცოდნა, ხელოვნება. უამისოდ კომუნისტური საზოგადოების ცხოვრებას ვერ აფავებთ. ხოლო ეს მეცნიერება, ტეხნიკა, ხელოვნება—სპეციალისტების ხელსა და თავშია“ (იქვე, 72 გვ.).

სურათი ნათელია. მიიზიდეთ სპეციალისტები, კულტურის მფლობელნი, გადააცემინეთ ეს კულტურა, რომელიც მათ აქვთ, გლეხებისა და მუშებისათვის. ამასთანავე მიიღეთ მათგან ყოველის დარგიდან ყველაფერი, რასაც ფასი აქვს, თავი ნუ მოვაკვეთ თქვენის ძალებით, ჩვენ ეს ძალები არ გავგავჩნია: შეუკრთომელი და გამჭრიახი ლენინი ყოველს სიტყვაზე მოსჩანს. ჩვენ მშვენიერი ორგანიზაციები გვაქვს იმისათვის, რომ კაპიტალიზმი გავსრისოთ, მაგრამ კომუნისტების აგებისათვის ეს სრულებით საკმარისი არ არის. მართალია, ეს საკმარისი არ არისო, კომუნისტების აგება მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ შევიმუშავებთ კოლექტიურ ორგანიზაციულ აღმშენებლობის საკუთარ მეთოდებსაო,—ამბობენ სხვადასხვა ყალიბის ბოვდანოველები. უაზრო ჩმახვაო, უპასუხებს იმათ ლენინი,—ფუქსავატობით თავის შექცევის დრო არ არის, კომუნისტების აგება მხოლოდ



მაშინ შეიძლება, თუ მახსებებს უფრო კულტუროსწრაფად გააზრდითი ამოცანის უდიდესი სიძნელე სწორედ ის არის, რომ მახსებები გავაკულტუროსნათო.

მაგრამ—პასუხს იძლევა პროლეტ-კულტოველი—კაპიტალისტური კულტურა მასებს მხოლოდ გარყენის, — ჩვენ ვერ კიდევ შესამუშევრებელი გვაქვს „კრიტიკური უცხო კულტურის კრიტიკულად შეთვისებისათვის“. ლენინისათვის ასეთი პასუხები ახალი არა ყოფილა.

ერთ თავის უკანასკნელ წერაში, იმის აღიარების შემდეგ, რომ ჩვენ ხუთი წლის განმავლობაში სექტაციკიზმით გავიმსკვალეთ იმ ფრიად ფართო გემებისადმი, რომელნიც კულტურის საკითხს შეეხებოდა, იგი სწერს:

„ჩვენ ძალაუვნებურად ადვილად ვიმსკვალებით ამ თვისებით იმათ მიმართ, ვინც მეტად ბევრსა და მეტად ადვილად ჩეტყველებს, მაგალითად, „პროლეტარულ“ კულტურის შესახებ: ჩვენთვის პირველ ხანებში საკმარისი იქნებოდა ნამდვილი ბურჟუაზიული კულტურა, ჩვენ პირველ ხანებში იოლად წავიდოდით მეტად „ჯიშინა“ ტიპების კულტურათა გარეშე, რომელნიც ბურჟუაზიულ წყობილებამდე არსებობდნენ, ეს იგი ჩინოვნიკურ ან ბატონებურ კულტურისა და სხვათა გარეშე. კულტურის საკითხებში აჩქარება და ერთი ხელის მოსმით საქმის გაკეთება ყველაზე მანებელია. კარგი იქნებოდა, რომ ბევრს ჩვენს ახალგაზრდა ლიტერატორს და კომუნისტს ეს „შებლზე დაეკვლია, „ულვაშზე დაეხვია“ (Сорп. соч. т. XVIII, გვ. 125).

ახლად იმიტომ არავინ „იხვევს ამ რჩევას ულვაშზე“, რომ პროლეტკულტის თითქმის ყველა ნოციბუღნი ულვაშონი არიან, — ნართაჯლის აზრით, რასაკვირველია.

მაგრამ როდისმე ულვაშები გაეზრდებათ. მაშინ კი დაახვევენ; ხოლო შეგნებულმა მუშებმა და გლეხებმა უკვე დიდი ხანია, რაც თავისი მასწავლებლის რჩევა ნაგრად დაიტყდის უშებლზე.

ჩვენ საქმე უნდა დავიწყოთ, ხოლო დაწყება შეიძლება იმ კულტურის შეთვისებით, რომელიც სამეცკვიდროდ მივიღეთ.

მარკსი დამყარა „კაპიტალიზმის დროს მოპოებულთა იდეალის ცოდნათა“ საძირკველს და ამიტომ შესწავლა შეეძენა თავისი მოძღვრება, რომელშიც მონიანიდრა ათეულ მალიონობით პროლეტარები.

„ეს მხედველობაში უნდა გვქონდეს, როდესაც ჩვენ, მაგალითად, პროლეტარულ კულტურის შესახებ ვლაპარაკობთ. თუ კარგად არ გვეჩვენება შეგნებული, რომ მხოლოდ მაშინ, როდესაც ზედმიწევნით შევისწავლით კაცობრიობის განვითარებით შექმნილ კულტურას, რომ მხოლოდ მისი გადამშუშავების შემთხვევით შეიძლება ავადგოთ პროლეტარული კულტურა, ჩვენ ასეთი შეგნების გარეშე ამ ამოცანას ვერ გადავჭრით. პროლეტარული კულტურა უცნობი მზიდან გამოიზტარი რამ არ არის, იგი იმ იდეალიანთა გამოკონილი არაა, ვინც თავისთავს პროლეტარულ კულტურის სპეციალისტებს უწოდებენ. ეს თავით-მხოლოდ უაზრობაა. პროლეტარული კულტურა უნდა იყოს კანონშეზომილი განვითარება იმ ცოდნათა მარაგისა, რომელნიც კაცობრიობამ შეიმუშავა კაპიტალისტური საზო-



გადოების, შემამულეთა ს: ზოგადობის, ჩინოვნიკურ საზოგადოებებს უფლად ქვეშ,  
(Собр. соч., т. XVIII, გვ. 817).

ზედმიწვენითი შეთვისება, წინა ეპოქათა სხვა და სხვა კულტურის ცოდნა, მათი გადამუშავება—აი პროლეტარულ კულტურის შექმნის გზა. ეს არის საკითხის ერთად-ერთი დიალექტიკური გადაჭრა. მთელი კლასის—მიერ წინა კულტურათა დიფულემა ერთად—ერთი გზა არის მათ დასაძლევად, მაგრამ იგი ამასთანავე ერთად-ერთი ვზაც არის კომუნისმის გასამარჯვებლად.

მოიგონეთ ლენინის უკანასკნელი წერილი კოოპერაციის შესახებ, სადაც ის ლაპარაკობს ჩვენი კულტურული ამოცანების შესახებ გლეხთა მიმართ და პროლეტარიატის ჩამორჩენილ რიგების მიმართ. ლენინის-მიერ წამოყენებული კონცეპცია,—ჩვენის აზრით ერთად-ერთი ნამდვილი მარქსისტული კონცეპციაა კულტურის პრობლემათა გადასაწყვეტად.

თუ წინად პარტიას სიმძიმის ცენტრი მოჭყეული ჰქონდა ელისფულების დაპყრობისა და ხელისუფლებისათვის ბრძოლის საკითხების ფა-გლებში, ახლა საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების შემდეგ, ამოცანა ძირიან ფესვიანად შეიცვალა, შინაურ აღმშენებლობის დარგში მიიწე. ახლა ამოცანა უმთავრესად კულტურულია, რომელიც ბოლოსა და ბოლოს სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესებისათვის ბრძოლასა და „გლეხთა შორის კულტურულ შეშაობას“ შეეხება. სწორედ ეს მუშაობა აქვს მიზნად კოოპერატიულად დარაზმვას. „კოოპერატიულად სრული დარაზმვა რომ ყოფილიყო, ჩვენ უკვე ორივე ფეხით სოციალისტურ ნიადაგზე ვიდგებოდით. მაგრამ კოოპერატიულად სრული დარაზმვა გლეხობის ისეთ კულტურისნობას მოითხოვს (სწორედ გლეხობისაჲ, ვინაიდან იგი უდიდესი მასსაჲ), რომ ეს სრული კოოპერატიული დარაზმვა მოუხერხებელია მთელი კულტურული რევოლიუციის გარეშე“. რა არის ეს კულტურული რევოლიუცია, თუ არი თვით ლენინის—მიერ უკვე აღნიშნული დაუფლება ყველაფრისა, რაც ძვირფასია და სამემკვიდრეოდ დაუტოვებია წინა კულტურას? „ჩვენი მოწინააღმდეგენი არა ერთხელ გვოუზნებოდნენ, თქვენ უვნურ საქმეს იწყებთ, სოციალიზმის განხორციელებას რომ აპირებთ ნაკლებად კულტურულ ქვეყანაშიო. მაგრამ ისინი იმაში შესცდნენ, რომ ჩვენ საქმე იმ მხრიდან არ დაეიწყებთ, როგორც თეორიით იყო მიღებული (ყოველგვარ პედანტების თეორიით) და რომ ჩვენში პოლიტიკური და სოციალური გადატრიალება წინამორბედი გამოადგა იმ კულტურულ რევოლიუციისა, რომლის წინაშე ჩვენ ახლა მიიწე ვდგევართ. ჩვენთვის საკმარისია ახლა ეს კულტურული რევოლიუცია, რომ სრულიად სოციალისტურ ქვეყანად გადაქცეს ჩვენი ქვეყანა, მაგრამ ჩვენთვის ეს კულტურული რევოლიუცია უზომო სიძნელეს წარმოადგენს; ეს სიძნელე წმინდა კულტურული თვისებისაჲ არის (ვინაიდან ჩვენ ანაბნაც არ ვიცით), მატერიალური თვისებისაჲ (ვინაიდან, კულტურულნი რომ ვიყუეთ, საჭიროა წარმოების მატერიალურ საშუალებათა განსაზღვრული მატერიალური ბაზა)“.



მე ვუჩირობ, ის დასკვნა, რომელიც აუცილებლობის წინააღმდეგ გამო-  
მდინარეობს, თავით—ბოლომდე მიმართულია პროლეტკულტის „თეორეტიკოსე-  
ბის“ წინააღმდეგ.

1) ვიდრე „უბედობას“ დავიწყებდეთ პროლეტარულ კულტურის შესახებ,  
უნდა იქამდის მავალწიოთ, რომ პროლეტარული და გლეხთა მასები დაეუფლონ  
ყველაფერს, რაც ძვირფასია წარსულ კულტურაში—„მეცნიერებას, ტექნიკას,  
ხელოვნების მთელ ცოდხას“.

2) თუ ასეთი დაუფლება მოხდება (რის გარეგან გამოხატულებად იქნებო-  
და თუნდაც კოოპერაცია) ჩვენ ორივე ფეხით სოციალისტურ ნიადაგზე დავ-  
დგებით.

3) მხოლოდ წინა კულტურის ასეთი დაუფლებისა და გადამუშავების პი-  
რობებში შეიძლება სოციალიზმის აგება.

სრულიად აშკარაა:

1) პროლეტარიატის დიქტატურის ეპოქის კულტურული ამოცანა კულტუ-  
რულ რევოლუციას, რომელიც წარმოადგენს მასების მიერ წარსულის კულ-  
ტურის დაუფლების პროცესს და რომელიც პროგრესიულად დამკარდებდა კულტუ-  
რულ კადუების გამრავლებასა და წარმოების მატერიალურ საშუალებათა ზრდის  
დაკეალად.

2) „კულტურულ რევოლუციას“ ამ ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივ პრო-  
ცესის ბოლო „სოციალისტურ ნიადაგზე“ გადასვლის დასაწყისია, კლასობრივი  
საზოგადოებრივ ლიკვიდაციის დასაწყისია, მაშასადამე, უკლასო კულტურის შექმ-  
ნას დასაწყისიც არის.

თანამედროვე პირობებში, როდესაც მუშათა კლასის ავანგარდის წინაშე  
ისეთი დიდი საკითხია სდგას, როგორც მუშათა და გლეხთა მთელი მახახი  
ამაღლება თანამედროვე კულტურის დონემდე, ამ დროს პროლეტარიატის პარ-  
ტიის ყურადღების რამენაირად დაბანდება საწრფო ამოცანებზე (როგორც მა-  
გალითა და „კრიტიკიკების“ შემუშავება), ბალასი ოპორტუნიზმია; უკეთეს  
შემთხვევაში საწრფო ამოცანებს შეუძლიათ გამოიწვიონ სპეციფიკურ კათეგორიის  
პირობების შემუშავება, რომელთა საზრუნავიც იქნება „კრიტიკიკის“ შექმნა;  
მათ შეუძლიათ გამოიწვიონ კულტურული არისტოკრატის ჩამოყალიბება, რომ-  
ლისაგანაც პროლეტარიატი უფრო ნაკლებ სარგებლობას ნახავს, ვიდრე იმ არი-  
სტოკრატისაგან, რომელიც წარმოშვა პროლეტარიატმა და რომელმაც პროლე-  
ტარიატს არაფერი მისცა, გარდა საპარლამენტო კრეტინიზმისა, სოციალ-შოვინი-  
ზმისა და რევიზიონიზმისა.

მაშ ასე, ყოველგვარ ჯგუფს შეუძლია იდეოლოგიურ ვარჯიშობით შეიქ-  
ციოს თავი, ცალკე პირს შეუძლიათ ეს საქმე ნამდვილ პროლეტარულ კულ-  
ტურად გამოაცხადონ, მაგრამ მუშათა კლასის პარტია სექტა არ არის, მას არ  
შეუძლია განზე დასტოვოთ მახახი თვალაზრისი; პარტიის საქმეა აამალოს ეს  
მასსა თანამედროვე კულტურის დონემდე; მისი ამოცანა ერთია: დაიწყოს და  
ბოლომდე მიიყვანოს „კულტურული რევოლუცია“.



ბრუნეშვილი  
გინჯლიჩიშვილი

მაშინ—და მხოლოდ მაშინ!

როდესაც პროლეტარიატი თანამედროვე კულტურას დაეფუძლება და მის დონეზე დადგება, იგი საკუთარ, უკლასო, პროლეტარულ კულტურას შექმნის.

მუშათა კლასის გენიალური მასწავლებელი მარქსი ტყუილად არა სწერდა: „საქმე შეეხება არა იმას, რომ საზღვარი იქმნას გავლებული წარსულსა და მომავალს შორის, არამედ იმას, რომ წარსულის აზრი განხორციელდეს: „აკაცობრიობა ახად მუშაობას კი არ იწყებს, არამედ ძველი საქმე ბოლომდე შეგნებულად მიჰყავს“... ეს შეეხება სოციალურ ცხოვრებასაც, კულტურის დარგსაც.

# გიგლიოზბრავია

„ახალი კავკასიონი“ № 1—2

ორგანო სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირისა.

„ახალი კავკასიონი“-თ საქ. მწერალთა კავშირმა ერთი ნაბიჯი წინ წასდგა. მართალია „ახალი კავკასიონი“ იმავე ლიტერატურული ტრადიციებით იკვებება, რომლითაც სცოცხლობდა „კავკასიონი“, მაგრამ თვისი პოლიტიკური პლატფორმით „ახალმა კავკასიონმა“ ატყობილებლათ გაუსწრო წინ „კავკასიონს“. იქნებოდა ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ეს უკანასკნელი მე-15 ან მე-16 საუკუნეში გამოდიოდა, ახალი ყოფა, ახალი ფრთხილბეგობა ოდნავდაც არ იყო ამ ეურნალში ასახული; შეიძლება ითქვას: „კავკასიონი“ ყველა ამით განზრახ გერდს უვლიდა; ამითი მას უნდოდა დაემაღლა თვისი პოლიტიკური მსოფლმხედველობა. მაგრამ ეს სიზღმე, ეს გვერდის ახვევა ახალი ცხოვრებისათვის საუკეთესო მაჩვენებელი იყო ამისი, თუ პოლიტიკურათ როგორ დამოკიდებულებაში იყო ქართველი ინტელიგენციის ერთი ნაწილი იმ ფრთხილბეგობასთან, იმ საზოგადოებრივ წესწყობასთან, რომელიც დამყარდა რევოლიუციის გამარჯვებისას საქართველოში.

„ქართული მწერლობის უკეთილშობილ ტრადიციას წარმოადგენს—ცხადებს „ახალი კავკასიონი“, შეუროგებელი რევოლიუციონური სული, რომელიც

ისტორიულათ გამოუმუშავდა მე-19—20 საუკუნეთა მანძილზე რუსეთის ცარიზმთან ვებრძოლ რაზმებში. ქართული მწერლობისათვის, რომლის მთავარი ხელმძღვანელი წრეები მშრომელი ხალხის წიალიდან გამოვიდა, და რომელიც ბუნებრივი ამსახველი იყო მშრომელა მასების რევოლუციონური სულისკვეთებისა,—ქართველი მწერლების ამ მთავარ რაგებისათვის თითქოს არ უნდა ყოფილიყო უცხო ეს ახალი საბჭოთა რევოლიუციონური ხელისუფლება“.

მაგრამ ამისდამიუხედავათ ქართული მწერლობა მინც შენდევდა დაბრკოლებას საბჭოთა ხელისუფლებასთან აქტიურ თანამშრომლობის ნიდაგზე. „იმ დაბრკოლებას იწვევდა ეროვნული კითხვა... იბადებოდა შიში, რომ საქართველოს ახალი ხელისუფლების მიერ აღიარებული ეროვნულ კულტურულ დამოუკიდებლობის პრინციპები, მის და უნებურათ ვერ მიიღებდენ სწორე განზორციელებას, რომ ეროვნულ პოლიტიკის ხაზი თანდათან გაიზრებოდა საქართველოს საზიანოთ, რომ რუსული ენა სტიქიურათ დასზავრავდა ქართულს, რომ რუსული წიგნი თანდათან დასრდილიყდა ქართულს“... და სხ.

მაგრამ ბოლო დროს ქართველმა ინ-





ტელიგენციის იმ ნაწილმა თუნცა გვიან, მაგრამ მიხეც დანახა ის დიდი მიღწევებიც, რომელნიც ახასიათებს საბჭოთა ხელისუფლების ეროვნულ კულტურულ შემოქმედების სფეროში და 21 სექტემბრის დეკლარაციაში კატეგორიულად აღიარა ხელისუფლებასთან აქტიური თანამშრომლობის აუცილებლობა ამ დეკლარაციით ვანისაზღვრება“ ახალი კავკასიონი“-ს პოლიტიკური პოზიცია.

საბჭოთა ხელისუფლებასთან აქტიური თანამშრომლობა ნიშნავს ძველი ქვეყნის, ძველი ურთიერთობის უარისკყოფას. ეს არის პირველი ნაბიჯი პოლიტიკური თანამგზავრობის. თანამგზავრობა ამ შემთხვევაში პოლიტიკური აზრით უნდა ვიგულისხმოთ: როგორც ასეთი, თანამგზავრობა ნიშნავს უშთავრებათ ძველი ურთიერთობის უარისკყოფას. ძველის უარყოფით ახალი ფსიქოლოგიურათ სავსებით ძლეული არ არის, მაგრამ ეს არის პირველი ნაბიჯი, რომ მის ბუნებრივ განვითარებას მოჰყვება მეორე, მესამე და სხ. ნაბიჯები.

ასეთს თანამგზავრობას განვიცდით ჩვენ გრიშაშვილის და აბაშელის ლექსებში გრიშაშვილს, როგორც პოეტს უნელდება ძველი თბილისის დატოვება-ის ჰმედავს, რომ თბილისი სავსებით გამოიცვალა.

...დუდუკის ნაცვლათ—ქარხნის საყვირი დუმბო და ზილი დაახშო რკინამ ბულბულს ყაფაზა—გაძნობას აღვირი!.. აღარც დუდუკი... აღარც ყიყინა... პოეტი ჰმედავს და განიცდის ამ ფაქტს, მის რკინის აუცილებლობას. მის დაარჩენია გზა: გაღწევიტოს კავშირი ძველთან და მიიღოს ახალი თბილისი: ძველო ტფილისო! ჩემი მიზნები

აღარ მაქვს გულში, არც მქონდა... გადაწყვიდა! უნდა შევქულო... შევქულო ტფილისო, გტოვებ ჩახვამდის... ამ სტრიქონებში გულწრფელით მოცემულია პოეტის განცდა.

საშა აბაშელი ებრძვის უიმედობას, მელანქოლიას:

„არ მინდა გულში ჩამებუდოს უიმედობა. გამარჯვებული განვიღო ტანჯვას არ მოიგონებს დაღალულ პოეტს მომავალი აღარ ენდობა და დაივიწყებს უნუგემოთ მტირალ სტრიქონებს!“

პოეტი ემშვიდობება მელანქოლიას: „მშვიდობით ჩემო მელანქოლია“.

ამით მას უნდა მისწვდეს ახალ საუკუნეს, ახალ ცხოვრებას.

...უნდა ესვა სიბრძნე საუკუნის ახალ თა-სიდან, რომ მკაცრ ლითონის სიმძიმითა და გამძაფრებით იეპართო ცეცხლით დატვირთული რკინის აფრები სულის ტკევილის სხვა ნაპირზე გადასაზიდათ“...

აქ არის აუცილებლათ ძლიერი პოეტური განცდა ახალი საუკუნის.

ვ. მაყაშვილის „სიციცხლის თავდაღნართზე“ თავიდან ბოლომდე კონსერვატიზმითაა გატენთილი.

სოლომან თავაძე თავის „ცხრაას ხუთი წელი“—ძლევა ძველ ფორმებში 1905 წლის რევოლიუციის სურათს.

იონა ვაკელის „საქართველო“ ახალი საქართველოა. აქ ის ძლიერათ და გარკვევით განიცდის მუშების და გლეხების ჰმეყანას.

მოთავსებულია აგრეთვე ვარდოშვი-





ლის, ქუთათელის და გრ. ცეცხლბაძის ლექსები.

ეურნალში იბეჭდება და ჯერ არ დასრულებულა შალვა დადიანის „უბედური რუსი“, ნიკო ლორთქიფანიძის „იბრაჰი“ და კ. გამსახურდიას „დიონისოს ღიმილი“, რომლის მთლიანი გარჩევა დაიბეჭდა „მნათობის“ წარსულ ნომერში.

საკმაო ადგილი უკავია თარგმნილ ლიტერატურას. აქ აღსანიშნავია „ფაუსტი“, რომლის თარგმანი ეკუთვნის იბერიელს (თარგმანი გერმანულით) და „ანტიგონე“, რომელიც სთარგმნა პ. ქავთარაძემ. ორივე თარგმანი აუცილებლათ დამაკმაყოფილებელია.

ვ. კოტეტიშვილი თავის წერილში ეხება ქართულ მხატვართა გამოფენას.

სეით დევდარიანის წერილი თავიდან ბოლომდე ყალბი მარქსიზმით არის დაწერილი. დევდარიანი განსაკუთრებით მოაკოკლებს ხელოვნებისა და ლიტერატურის საკითხებში. ის მცირე ცოდნა, რაიც დევდარიანს გააჩნია ლიტერატურაში ეკლექტიზმით და ცრუ მარქსიზმით

არის გაელენთილი. შევეცდებოკოქვას რომ დევდარიანმა მარქსიზმი მთელუწინების საკითხში De jure—თავ მიიტოვა.

ივ. გონართელი სწორ ანალიზს იძლევა ილია ჭავჭავაძის შემოქმედებისას.

ფილოლოგიურ განყოფილებაში მოთავსებულია დ. უზნაძის წერილი ბერგსონის მონიზმზე, სიმ. ყაუხჩიშვილის—იაფეტურ თეორიის შესახებ და სხვ.

მოთავსებულია აგრეთვე ი. ნიკოლაძის ერთი წელი როდენთან და ნ. ნიკოლაძის მოკონებანი სამოციან წლებზე.

ბიბლიოგრაფიული განყოფილება მდიდარია.

ზოგადი შთაბეჭდილება: ეურნალში არ არის რაიმე ფორმალური მიღწევა: ძველი სტილი, ძველი პრიმიტიული ფორმა. იდეოლოგიურათ ეურნალს ემზნევა პროგრესი, თუმცა მაღლიანობა ამ პროგრესის ეურნალში არა სჩანს.

შინაარსის მხრივ ეურნალი მრავალფეროვანია. გამოცემულია ლამაზათ.

შ. დ.

## იასამანი.

ლექსები, ტ. I, ტფილისი, 1922 წ.

წიგნში მოთავსებულია ასზე მეტი ლექსი, პირველ ლექსს უზის 1904 წლის თარიღი, უკანასკნელს 1921 წლის. ლექსთა კრებული, რომელიც ავტორის შემოქმედების უმცირესი ნაწილია, შექმნილია პირველი და მეორე რევოლუციის მწვერვალთა შორის და განსაკუთრებულის სიძლიერით გვიხატავს შავნელი რევოლუციის ხანას, როცა

„მწარე ამბები მოედო  
ქალაქებს, დაბა-სოფელთა.

უდროვოდ დაკარგულ შეილებზე  
ძაბა ჩაიცივს მშობელთა,

სოფლის ჯვარედინ შარაზე  
ბევრი დააგდეს გმირები,  
ყორნებს დაურჩათ სამარხი  
უდროვოდ განაწირები“.

იასამანი ჩუმი და უპროტესტო პოეტიკა, თავდაბალი, კდემამოსილი, თანაც წრფელის გრძობით, უზადო გრძობით გაელენთილი და დაავადებული, არ მგო-



ნა, რომ მას ისე დაეწეროს რომელიმე ლექსი, რომ თვალეზზე ცრემლები არ ქონოდეს, მაგრამ ეს ცრემლი არ არის ეფექტური და ისტერიული გრძობების თანამგზავრი, არა, იცოდა ჩემი და ნარინარი, სათუთი და ძლიერ შესამჩნევ. იასამანს ზოგიერთებივით არ აუბრაზუნებია პოეტური პარამანი და არასოდეს არ გამოსულა მხატვრული კდემამოსილებს სფეროდან.

ჩვენს პოეტს სულითა და გულით უყვარს „ნაზი ტირიფი ტოტებ დახრილი“, ცად ატორცნილი აღვის ხის მას თითქოს ერცხვინებო და ტოტებ დაშვებულ ტირიფთან ამჯობინებს წმიდა გრძობათა ფრქვევას. იასამანისათვის ტირიფი სიმბოლიურია: ეს მცენარე თავის ჩაშვებულის ტოტებითა და ვერცხლის ფოთლებით დიდი სილამაზის მატარებელია და იზრდება იქ, სადაც მრავალი სისველეა და ანკარა მდინარეც ჩემად მიბუტბუტებს ამ ქვეყნიურ იღუმალეზაზე. სწორეთ ასეთი კდემამოსილია და ცრემლთა სისველეში აღმოცენებულია იასამანის მუზა, რომელმაც „სიმებად გაიხადა დაჩაგრული ხალხის გული“ და რომელიც ასე მიმართავს შობელს:

„შობელო არე მიდამოვ,  
მინდა შენს სევდას მარადისს  
ჩემი ცრემლებიც დაესძინო...  
მინდა ძილშიაც სევდის ხმა,  
ლოცვის სიტყვები გასმინო“.

იასამანი აღტაცებული იყო პირველი რევოლიუციის დროს, როცა

„მაშვრალთ ტანჯვა-კენესის ცეცხლსა  
ჩამოშორდა ნაპერწყალი,  
აილდ იქცა და მტრის ბანაკს  
შემოაფლო ირგვლივ რკალი,“

პოეტ-მოქალაქეს, რასაკვირველია, მთელის თავისი საწინელებით უნდა

ეგრძნო მაშვრალთა გდემარტება და ისიც აქვითინდა: **გინჯლირთხანა**

„სხვა იყო ის დრო, სხვა არის ეზოა,  
სხვა ზღვა, სხვა გემი, სხვა ნიაქარი.  
ძირს ტალღათ ლელვა, გრიგალი მალღა,  
სევდათა წვიმა და ნიაქელიაი“.  
პოეტი გოდებს:

„ამოიშრუტოა ეგ ტბა სევდისა,  
შესწყდეს, თუ ისმის მოთქმა დედისა!  
ისევ გაისმის სიტყვა გმირული,  
კვლავ გაჩნდეს რაზმი თავგანწირული“:

იასამანი სტირის და გოდებს, მაგრამ უიმედობა მაინც არ სწამლავს მის გულს:

„იმედის სხვი ისევ აენტოს,  
კვლავ ამტყველდეს ჩანგი გრძნული,  
გადიწეროს წიგნი ბრძოლისა:  
მასში ლა კვებებს ნუგეშს ძლეული.“

დეე, ანებები დახოცილ ძმებზე  
ცხელ ტყვიასავით ედგეროს გულთა—  
და შავი ჯვრები, უწარწერონი  
გამოხატვდენ მიცვალებულთა.

ხოლო იქ, სადაც სიმუბთლე მეფობს,  
სად იმედები გადაითრშა,  
იქ წერტილები დაისვას ბლომად:  
მიხედენ—დროებით დაეშვა დროშა“.

აღსანიშნაფია, რომ პოეტს სიხარულის გამოთქმა არ ეხერხება, მეორე რევოლიუციის დროს ის ამბობს: „ტყვეობის ჩვეულ სიტყვასა, უკებ ვერ ავსნი ხუნდებსა-ო“ და „მარტობაში ხშირად ვითვლი გულის ხეფელებს ო“. პოეტის ამ დროინდელი სიხარული ხშირად ნაძალადეგს გაავს და ეპკითაა საესე.

კრებულში მოთახლებული ლექსი ყველა ერთი ლირების არ არის, აგერ-ეგერ შეხვდებით პროზაიზმებსაც. არის აგოეთვე ბუნდოვანად აზრის გამოთქმაც.

გ. ხუროძე.



## „სოფლის კომუნისტი“ № 1.

საქ. კომ. პარტიის ცენ. კომიტეტის ყოველთვიური ორგანო.

ტფილისი 1925 წ. გამოცემა „ახალი ხოფელი“-სა.

ამ ყოველთვიურ ჟურნალის გამოცემას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. საბჭოთა მთავრობა დიდ აღმშენებლობითი მუშაობას აწარმოებს ჩვენში. საფუძვლები ეყრება ახალ ცხოვრებას, ახალ ყოფას, ახალ ორგანიზაციას. თუ ამ საერთო მუშაობაში ჩვენი სოფელიც არ ჩაება, თუ სოფელი ახალ ხელისუფლებას არ დაუახლოვდა და არ დაუმეგობრდა, თუ სოფელი მშრომელი ქილაქედ ბუშას არ შეუკავშირდა, ისე ცხადია, შეუძლებელია ქვეყნის ეკონომიური განვითარება და აღორძინება. ეს სამიზნო, მაგრამ აუცილებელი ამოცანა კარგად შეთვისებული აქვს კომუნისტურ პარტიას და მის სამოქმედო დღის წესრიგში, სწორედ სოფლის დახმარების, სოფლის ქალაქთან დაკავშირების და სოფლის ეკონომიურ განვითარების ხელის შეწყობის საკითხი სდგას.

ამ მნიშვნელოვან საქმის სისრულეში მოსაყვანად საჭიროა სოფელში შეიქმნას და მომზადდეს იდეურ მომუშავეთა ისეთი კადრი, რომელიც ყოველივე წვრილ ბურჟუაზიულ გადახრას გარეშე, შესძლებს სოფლად ჩაატაროს ნაყოფიერი მუშაობა, აღადგინოს რევოლუციონური სამართლიანობა, შეაყვაროს ხალხს ხელისუფლება და სხვ. ჟურნალ „სოფლის კომუნისტი“-ს პირდაპირი მოვალეობაა ასეთ სოფლად მომუშავე კომუნისტების მომზადებას ბელი შეუწყოს. მან უნდა მიაწვდინოს სოფლელ კომუნისტს საჭირო იდეური საზრდო. ჩვენს სოფლებში მომუშავე აზნაანების ერთ

ნაწილს არა სასიამოვნო გადახრა ემჩნეოდა დღემდე. აზნაანებს აკლდით იდეურ-მარქსისტული მომზადება და ამა თუ იმ პრაქტიკული მიზნის განხორციელების მაგივრად, მათ ხშირად თვითნებობა, ის კი არა თვითსამართალიც კი გამოსდიოდათ. რევოლუციის პირველ ხანებში შეიძლება ასეთი მუშაობა ზოგ ალაგას საჭიროც კი იყო, მაგრამ დღეს მდგომარეობა საფუძვლიანათ შეცვლილია, დღეს ბრძანება კი აღარ არის გლეხის მიმართ საჭირო, არამედ მასთან ერთად ხელი-ხელ ჩაკიდებული საერთო საქმის კეთება.

ამ მიზნების სისრულეში მოსაყვანად საჭიროა მომზადდეს სოფელში მომუშავე კომუნისტის საშუალო ტაპი, რომელიც სათანადო მარქსისტული იდეური მომზადებით აღტურვილი გაერკვევა სოფლის პრაქტიკულ საქმეში და ამით მშრომელ გლეხობას ჩააბანს აღმშენებლობითი მუშაობაში და მას უშუალოდ მონაწილეობას მიაღებინებს ახალი ცხოვრების აშენების საქმეში. ჟურნალი „სოფლის კომუნისტი“ სწორედ ასეთი საშუალო მუშაკის იდეური სახელმძღვანელო უნდა გახდეს. ჟურნალის პირველი ნომერი გვაძლევს უფლებას ვიფიქროთ, რომ ეს ამოცანა უნაკლოდ შესრულებული იქნება. ჟურნალი ისეა დალაგებული და აშენებული, რომ ის უსათუოდ გადაიქცევა სოფლელი კომუნისტის საკითხავ წიგნად.

პირველ ნომერში პირველი წერილი აშხ. ფილ. მახარაძეს ეკუთვნის. ამ წე-

რილში ანხ. ფილ. მახარაძე ებება და კორტიკის ქარცეცხლში ატარებს იმ არასასიამოვნო მოვლენებს, რასაც დღეს კიდევ აქვს ადგილი სოფლად. ანხ. ფილიპე სამართლიანად აღნიშნავს, რომ ის დრო წავიდა, როცა ყოველივე განკარგულება ზევიდან მოდიოდა ბრძანების სახით, ახლა საჭიროა მასების თვითმოქმედების გაიზიარება და მათთან ერთად მუშაობა. საჭიროა უკუგადასვლა ბიუროკრატიზმის უკანასკნელი ხარჩენის, აღმოფხვრა თვითნებობის და თვითსამართლიანობის და სოფლისათვის მტკიცე რევოლუციონური, ყველასათვის ერთნაირი და ერთგვარად მჭრელი კანონიერების დაცვა. ეს წერილი მარტო სოფლის მუშისათვის კი არ არის საინტერესო, ის კარგად უნდა გადაიკითხოს ყველა პასუხისმგებელმა მუშაკმა და თავის საქმიანობას ერთგვარი კანტროლი გაუწიოს.

მეორე წერილი ეკუთვნის ანხ. მამია ორაბელაშვილს. ის ნათლად, მკაფიოდ და გასაგებ ენით მოუყვება მკითხველს იმ შედეგების შესახებ, რაიც ჩვენ-მესამე საკავშირო ყრილობამ მოგვცა. რა თქვა და რა გააკეთა ყრილობამ, რა მიზნები დაისაზა და რა მოიუქრა მან მუშისა და გლეხის კავშირის განმტკიცებისათვის—აი საკითხები, რომელსაც ებება ეს წერილი. ასეთი ინფორმაციული და ცნობების სწორად გამოყენებელი წერილი, ისიც დაწერილი ჩვენი ქვეყნის მუშაობის უშუალო მონაწილის და მეთაურის ხელით, არამც თუ საჭიროა სოფელ კომუნისტისათვის, არამედ ის მისთვის აუცილებელია. ის ბევრ სოფელ კომუნისტს დაეხმარება სწორად გაიგოს პარტიის და მთავრობის უმაღლესი ორკანოების დადგენილებანი და სწორადვე გაატაროს ის ცხოვრებაში.

მესამე წერილი ეკუთვნის ანხ. ვახტაძეს, ამ წერილის მიზანია სთქვას რის თქმა უსათუოდ საჭიროა. აუცილებელია სოფლად მომუშავე ამხანაგების საქმიანობას გაუწიოთ კანტროლი და კორტიკა, მაგრამ არც ერთ წუთს არ უნდა დაევიწყოთ ის მიმე პირობებს, რომელშიაც სოფელ კომუნისტებს მუშაობა უზღვევთ საჭიროა გაეითვალისწინოთ ყველა ობიექტიური სუბიექტიური პირობები და ამა თუ იმ სოფელ ამხანაგებს მერმე დაესდოთ საკანტროლო ორიგანოების მსჯავთი.

შემდეგ წერილი არის ანხ. გ. მუში-შვილის. ის შეეხება თემსი საბჭოებში პარტიულ ხაზის გატარების და პარტიულ ზელმძღვანელობის საკითხს.

ანხ. აცევეიჩის წერილი ინფორმაციული ხასიოისა არის. ხოლო ანხ. ღარაზველიძის წერილი ებება კომკავშირის ზრდას სოფელში. არის წერილი აგრეთვე ტერიტორიულ დივიზიების რაობისა და მნიშვნელობის შესახებ, ის ეკუთვნის ანხ. ბ. ადამაძეს.

ამას მოჰყვება წერილები ადგილებიდან. აქ გველაპარაკებიან თვით სოფელი კომუნისტები. საჭიროა ეჭრნალის ამ ნაწილს მეტი ყურადღება და მეტი ადგილი დეთმოს. სამართლიანად აღნიშნავს ანხ. ფილ. მახარაძე, რომ სოფლის კომუნისტ-ში მარტო სოფლის კომუნისტებისათვის კი არ უნდა იწერებოდეს, არამედ იქ თვით სოფელი კომუნისტებიც უნდა სწერდესო.

ეჭრნალს აქვს აგრეთვე ბიბლიოგრაფიული განყოფილება.

დაბეჭდილია ეჭრნალი მშენიერ ქალაქზე. გამოცემულია ლამაზად, მაგრამ სამწუხაროდ შიგ მოიპოება კორექტორული შეცდომები, რაიც ასეთი ტიპის ეჭრნალისათვის პირდაპირ მომავლინებულ ცოდვად უნდა ჩაითვალოს.

# შინაარსი:



გერმანული ლიტერატურა

ს ა კ ა რ თ ვ ე ლ ი

გვერდი

1. ვალერიან გაფრინდაშვილი—ჩინეთი . . . . .	5
2. ალექსანდრე ქუთათელი—Ford . . . . .	—
3. ვარლამ ჟურული—გოგო . . . . .	7
—საბადური . . . . .	8
4. ა. ბუმერანგ-მაშაშვილი—ფუნქციონორიდან . . . . .	9
5. დავით რონდელი—სოფელს . . . . .	11
9. მიხეილ ჯავახიშვილი—ლამბალო და ყაშა (დასასრული) . . . . .	13
7. დემნა შენგელაია—ტფილისი (რომანის მასალები) . . . . .	33
8. ტრიფონ რამიშვილი—ამონა ვენსა . . . . .	71

## რ უ ხ ე თ ი


9. ბორის პილნიაკი—შიშველი წელი (გაგრძელება) თარგ. დემნა შენგელაიასი . . . . .	81
---	----

## ძ რ ი ტ რ ა კ ა, მ ხ ა ტ ვ რ ო ზ ა და მ ი მ უ ა რ ა ბ ი:

10. დავ. კლდიაშვილი—ჩემი ცხოვრების გზაზე (გაგრძელება) . . . . .	149
11. ხ. დევდარიანი—ჟოლა ლომთათიძე . . . . .	166
12. კოსტ. ჭიჭინაძე—ალიტერაცია ჭართ. შიარში და ჩვეულების ტყიონანის“ პრობლემა (დასასრული) . . . . .	174
13. ვ. ვაგანიანი—რამდენიმე მოსაზრება „პროლეტარულ კულტურის“ შესახებ . . . . .	234

## გ ი ზ ლ ი ო ზ რ ა ფ ი ა

14. შ. დ.—„ახალი კავკასიონი“, № 1—2. . . . .	266
15. გ. ხუროძე—იასაშანი, ლექსები, ტ. 1. . . . .	268
16. ამხანაგი—„სოფლის კომუნისტი“ № 1, საჭ. კ. პ. ცეცეს ყოველთვიური ორგანო . . . . .	270



შანიშვილი: ტექნიკური მიზეზების გამო ჟურნალის მე-16 გვერდის შემდეგ იწყება კვლავ 1 გვერდი, ნამდვილად უნდა იყოს მე-16 გვ. შემდეგ მე-17 და სხ.